

შანი

I

არქეოლოგიური
გათხრები

1947-1969

«მეცნიერება»

თბილისი

1972

В А Н И I

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ
РАСКОПКИ
1947—1969

V A N I
ARCHAEOLOGICAL
EXCAVATIONS
1947—1969

I

«МЕЦНИЕРЕБА» «METSNIEREBA»
ТБИЛИСИ Tbilisi
1972

ას წელზე მეტაა, რაც ვანის არქეოლოგიურმა ძეგლებმა მხარეთმცოდნეებისა და მკვლევართა ყურადღება მიიპყრო.

პირველი არქეოლოგიური გათხრები აქ XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩაატარა გამოჩენილმა ქართველმა სწავლულმა ექვლიძე თაყაიშვილმა. მასვე ეკუთვნის აგრეთვე პატივი ვანის სიძველეების პირველი მეცნიერული პუბლიკაციისა.

ვანის ნაქალაქარის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა 1947 წელს დაიწყო აწ განხეხებული პირველი ქართველი არქეოლოგი ქალის ნინო ხოშტარისა მეთაურობით და დროგამოშვებით გრძელდებოდა 1963 წლამდე. 1966 წელს განახლდა ვანში არქეოლოგიური ავლევამბობა, რომელსაც წარმართავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია პროფ. ითარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად უკვე აღმოჩენილია ამ ძველი ქართული ქალაქის ძვ. წ. III—I საუკუნეების კარიბჭე და გალავნის კედლები, საზოგადოებრივი და საეკლტო ნაგებობანი, კიბისებური საკურთხეველი და მრავალი ტაძარი, აგრეთვე ძვ. წ. V—IV საუკუნეების მდიდრული სამარხები, მრავლად რომ შეიკავენ ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და თიხის ნაგებობა თუ სამკაულებს.

ვანის არქეოლოგიური მონაპოვარი უმდიდრესი წყაროა საქართველოს ძველი ისტორიისა და კულტურის შესასწავლად, აგრეთვე ანტიკურ თუ ძველადმოსაუღერ ცივილიზაციებთან ერთეერთობის ისტორიისათვის.

გათხრებასს მოპოვებელი მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალის მეცნიერული პუბლიკაცია ამიტომ აწ წივნის უმთავრესი მიზანი.

მეცნიერულ-დოკუმენტურ ანგარიშებს ერთვის გათხრების ხელმძღვანელის ვრცელი ნარკვევი „ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები)“, რომელშიც განზოგადებელია არქეოლოგიური კვლევამბობის შედეგები, განსაზღვრულია ძველი ქალაქის ისტორიის უმთავრესი ეტაპები, მოცემულია არქეოლოგიური ძეგლებას (ხუროთმოძღვრება, ოქროშქედლობა, ტორევეტოქა, კერამიკა) მხატვრულ-ტიმოლოგიური ანალიზი, წარმოდგენილია ცდა ვანის ნაქალაქარის წერილობით წყაროებში მოხსენებულ საქალაქო ცენტრებთან იდენტიკაციისა...

წინასიტყვაობა

კრებულში წარმოდგენილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1947—1969 წწ. ვანის ნაქალაქარზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების მეცნიერული ანგარიშები.

ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია 1947 წელს შეიქმნა და 1963 წლამდე პირველი ქართველი არქეოლოგი ქალის, აწ განსვენებული ნინო ხოშტარაას უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა. იმ ხანებში 11 კამპანია განხორციელდა (1947—48, 1950, 1952, 1957—63 წწ.). მაშინ უმთავრესი სამუშაოები ე. წ. ახვლედიანების გორას წვერზე წარმოებდა. აღმოჩნდა და ითხრებოდა ძვ. წ. III—I სს. საკულტო ნაგებობანი და ძვ. წ. VI—IV სს. კულტურული ფენები, ხოლო ნაქალაქარის სხვადასხვა უბნებზე ექსპედიციამ აღმოაჩინა რამდენიმე მდიდრული სამარხი. პარალელურად წარმოებდა არქეოლოგიური დაზვერვები ვანსა და მის შემოგარენში. ამ დროის არქეოლოგიური კვლევა-ძიების წინასწარი შედეგები გამოქვეყნებულია ნინო ხოშტარაას სხვადასხვა სტატიებში. წინამდებარე კრებულში 1947—1960 წწ. კვლევის შედეგები შედარებით მოკლედაა გადმოცემული ნინო ხოშტარაას გარდაცვალების გამო. მის მიერ დატოვებული მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვანის ნაქალაქარის შესწავლას, ახლო მომავალში იქნება გამოქვეყნებული, ამჟამად კი კრებულში შეტანილია ნ. ხოშტარაას მიერ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გამოცემებში უკვე გამოქვეყნებული ნაშრომები ილუსტრაციების დამატებით და უმნიშვნელო ცვლილებებით. შედარებით ვრცელადაა მოცემული 1961—1963 წწ. ჩატარებული თხრების შედეგები.

1963 წ. ნინო ხოშტარაას მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო დროებით შეწყვეტილი არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარზე განახლდა მხოლოდ 1966 წელს. 1966—69 წწ. არქეოლოგიური გათხრები ნაქალაქარის რამდენიმე უბანზე მიმდინარეობდა. ამ წლებში აღმოჩნდა ძველი კარიბჭის არქიტექტურული კომპლექსი, გალავნის კედლები, მოზაიკური ატაკიანი ტაძარი, მრგვალი ტაძარი, ძვ. წ. IV—I სს. ნაგებობანი, აგრეთვე ძვ. წ. V და IV სს. მდიდრული სამარხები. გათხრებით მოპოვებულია მეტად მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა: ადგილობრივი და იმპორტული კერამიკა, პრინჯაოს ქანდაკებები, ქვის სკულპტურული და არქიტექტურული დეტალები, ლითონის საეჭურნეო და საომარი იარაღები, ოქროსა და ვერცხლის სამკაულები და სხვ.

ვანის არქეოლოგიური მონაპოვარი უმდიდრესი და მეცნიერულად სრულიად ახალი მასალაა საქართველოს ძველი ისტორიისა და არქეოლოგიისათვის. სწორედ ამ არქეოლოგიური მასალის პუბლიკაცია და მისი მეცნიერულ მიმოქცევაში ფართოდ შეტანა ამ კრებულის უმთავრესი ამოცანა. უკვე მზადაა და

უახლოეს ხანებში გამოქვეყნდება საგანგებო გამოკვლევები ვანის ნაქალაქარის ხუროთმოძღვრების, კერამიკის, იარაღების, ოქრომკედლობის, ნუმიზმატიკისა და გლიპტიკური ძეგლების შესახებ.

კრებულში გამოქვეყნებული ნახაზები შეასრულეს ვ. ჩაგუნავამ, გ. ტონიამ, გ. ლეჟავამ, კლ. კვეესმა და ბ. მკედლიშვილმა, ხოლო ფოტოები — ვ. თუ. ლანჯილმა, ლ. სკლიფასოვსკიმ, ი. პახომოვმა, ი. ნესკოროდიევმა, ლ. კობაიძემ, თ. ხოზაძემ, მ. კოზლოვსკიმ, ი. კობონილიძემ და მ. ავალიანმა.

ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რომელმაც, როგორც აღინიშნა, 1947 წ. დაიწყო მუშაობა ნინო ხოშტარის ხელმძღვანელობით, სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: ქ. ბერძენიშვილი, ვ. მირიანაშვილი, რ. აბრამიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, მ. ინაძე, ი. გაგოშიძე, თ. ქუთელია, ჟ. ამირანაშვილი, ი. ჩხარტიშვილი, მ. ბარამიძე, ბ. გამყრელიძე, ე. ჭანდიერი, ნ. ჩუბინაშვილი, ი. მაჩაიძე, ო. ჭავთარაძე, გ. ტონია, ვ. ჩაგუნავა, რ. რამიშვილი, ნ. თოფურიძე, თ. მიქელაძე, ლ. ასათიანი, ქ. რამიშვილი, გ. დოჩანაშვილი, ნ. ვასილევა, კლ. კვეესი, ი. პახომოვი, ლ. სკლიფასოვსკი, ვ. თულაშვილი, ი. ნესკოროდიევი, ლ. კობაიძე, ა. კახიძე, თ. ფარცვანია, ნ. აფციური, რ. კახიშვილი, ზ. აგრაბა, ჟ. სტეფნაძე, ლ. ჩიქია, ნ. ბოსტაშვილი

ამჟამად ექსპედიცია ოთ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით შემდეგი შემადგენლობით მუშაობს: რ. ფუთურიძე, გ. ლორთქიფანიძე, გ. ლეჟავა, ვ. თოლორაძე, მ. მიწიშვილი, ბ. მკედლიშვილი, ა. ჭყონია, ნ. მათიაშვილი, ნ. კილურაძე, თ. ჭავჭავაძე, ე. გიგოლაშვილი, ი. ცუხიშვილი, მ. ავალიანი, დ. კაკარაძე, ო. ლანჩავა, მ. ფირცხალავა და სტუდენტო-პრაქტიკანტები.

ვანში აღმოჩენილი ნივთების ქიმიურად დამუშავებისა, გამაგრებისა და რესტავრაციისათვის დიდი მუშაობა ჩატარა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიამ მისი გამგის რუსულან ბახტაძის მეთაურობით.

რთ. ლორთქიფანიძე

პანის ნაქალაქარი

(გათხრები. ისტორია. პრობლემები).

დღევანდელი დაბა ვანი შუაგულ იმერეთში, მდ. სულორის (რიონის მარცხენა შენაკადის) ულამაზეს ხეობაშია განლაგებული (სადგურ სამტრედიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 24 კმ-ის დაცილებით).

ვანში არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენები ჯერ კიდევ XIX ს. შუა ხანებში გახდა ცნობილი (მ. ბროსე). პირველი ცნობები კი ადგილობრივ პრესაში 1876 წ. გამოქვეყნდა (სხეიტორელის ფსევდონიმით) და მათ მაშინვე მიიქცეის მხარეთმცოდნეების ყურადღება (გიორგი წერეთელი, ა. სტოიანოვი). პირველი სადაზვერვო არქეოლოგიური გათხრები ვანში 1896 წელს ჩაატარა ექვთიმე თაყაიშვილმა. მასვე ეკუთვნის პატივი ვანის არქეოლოგიური ძეგლების პირველი მეცნიერული პუბლიკაციისა.

XX საუკუნის 30-იან წლებში ვანსა და მის მიდამოებში არქეოლოგიურ დაზვერვებს აწარმოებდა აწ განსვენებული აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი (ლ. მუსხელიშვილისა და ნ. ხოშტარიას მონაწილეობით).

ვანის ნაქალაქარის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1947 წ. აწ განსვენებული პირველი ქართველი არქეოლოგი ქალის ნინო ხოშტარიას ხელმძღვანელობით და მცირე ხარვეზებით 1963 წლამდე გრძელდებოდა.

არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარზე განახლდა 1966 წელს და ამჟამადაც გრძელდება საკმაოდ ფართო მასშტაბით.

ვანის ნაქალაქარზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დიდძალი და საკმაოდ მრავალფეროვანი მასალა დაგროვდა, რომელიც უკვე მოითხოვს განზოგადოებასა და მონოგრაფიულ შესწავლას. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ძველი ქალაქის მეტად მცირე ფართობია არქეოლოგიურად შესწავლილი (ეს კარგად ჩანს ნაქალაქარის გენერალურ გეგმაზეც), მაინც შესაძლებელი ხდება ზოგიერთი საკითხის, ხოლო ზოგჯერ საკმაოდ დიდი მეცნიერული მნიშვნელობის პრობლემის დასმაც.

ქალაქური ტიპის სამოსახლო ვანში, როგორც ჩანს, განვითარდა იმ უძველეს დანახლებათა საფუძველზე, რომელთა ნაშთები ახლ. მრავლადაა ფიქსირებული თვით ვანსა და მის ირგვლივ მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე (კეჭინარა და ციხესულორი, ვორა, ბაგინეთი, ინაშაური, სულორი, ძულუხი, ბულნარი, ბზვანი), აგრეთვე რამდენადმე მის აღმოსავლეთითაც (ფუჩასთი, ზეკარი, ბაღდადი)¹

¹ Н. В. Хоштариа, Археологические исследования в Ваи Ваиском районе в 1952 г., Мსკ, II, 1959, გვ. 149 და შემდ.

ნაქალაქარზე მოპოვებული ჯერჯერობით უძველესი არქეოლოგიური მასალა ძირითადად ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით თარიღდება და უპირატესად კერამიკული ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი: „ზოომორფული“ (ან უნაგირისებურ შვერილიანი) ჭურჭლის ყურები, დიდი ზომის შავპრიალა დერგებისა თუ ყაყისფრად გაპრიალებული კანელურებიანი დოქის ფრაგმენტები, აგრეთვე სამკუთხა და რომბისებური სახეებით, სპირალისებური და თევზიფხური ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლის ნატეხები — წინარეანტიკურ ხანაში რომ იყო მთელ კოლხეთში ფართოდ გავრცელებული². მაგრამ ამ ხანის სამოსახლოს ნაშთები და კულტურული ფენები ჯერ არაა მიკვლეული. ამის მიზეზი ისაა, რომ ამ ეპოქის (ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის) ნაშთები მერმინდელა მშენებლობის დროს საგრძნობლადაა განადგურებული და აღგვილი. ამ ხანის ნამოსახლარის ნაშთების აღმოჩენა ვანის ნაქალაქარზე უთუოდ ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა საქალაქო ცხოვრების ჩასახვა ძველი კოლხეთის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ოლქში — „ვანის ქვეყანაში“.

საკუთრივ ქალაქობის პერიოდში კი ორი უმთავრესი ეტაპი გამოიყოფა: პირველი — ძვ. წ. VI—IV საუკუნეებს³ მოიცავს, ხოლო მეორე — ძვ. წ. III ს. დასაწყისიდან ძვ. წ. I ს-ის შუა ხანებამდე.

პირველი ეტაპი ძირითადად ნამოსახლარის კულტურული ნაშთებითა და სამარხებითაა წარმოდგენილი. კულტურული ფენების სიმძლავრე საშუალოდ 1—1,5 მეტრია და მრავლად შეიცავს ძვ. წ. V—IV საუკუნეებისათვის ტიპურ კოლხური კერამიკის (ქვევრები და დერგები, სასმისები, ჯამები, ყურმილიანი და ბაკონუსური დოქები), აგრეთვე ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტებს. სამოსახლო კომპლექსი კი ჯერ არაა სრულად გამოვლენილი. არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ ამ დროს, ისევე როგორც მთელ კოლხეთში, უპირატესად ხის ნაგებობანი იყო ფართოდ გავრცელებული, ან კიდევ თიხით შელესილი (და შემდეგ გამომწვარი) სახლები. ამას მოწმობს წითლად გამომწვარი თიხის ბათქაშები, რომელთაც ნათლად ეტყობათ ხის წნულის ანაბეჭდები. ასეთი ნაგებობის გეგმა ისახება ზედა ტერასზე (ნაკვეთი 192)⁴. როგორც ჩანს, ამ დროს (ძვ. წ. V—IV სს) ქვით ნაგები ან ქვის საძირკვლიანი შენობებიც ყოფილა ვანის ძველ ქალაქში. ცენტრალური ტერასის ერთ-ერთ უბანზე (ნაკვეთი 68) აღმოჩენილია კლდოვან დედაქანზე ამოყვანილი უსწოროდ გათლილი

2 შვრ. ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სუხუმი, 1957, გვ. 57 და შემდ. ტაბ. XVII; Б. А. Кухтин. Материалы к археологии Колхиды, II, гв. 107 და შემდ. ტაბ. 36; Т. К. Микеладзе, Исследования по истории древнейшего населения Ксхиды и Юго-восточного Причерноморья (автореферат докторской диссертации), Тбилиси, 1969, გვ. 21.

3 უძველეს ძვ. წ. VI ს.-ის ნაშთები ჯერჯერობით მაინც სუსტადაა გამოვლენილი. ი. ახსენება იმათ, რომ ძვ. წ. VI—IV სს კოლხური კერამიკა ფორმებითა და ორნამენტაციით ძირითადად ერთგვაროვანია. ვანის ნაქალაქარზე კი იშპორტული მასალა (კულტურული ფენების დამატარებელი) უპირატესად ძვ. წ. V—IV საუკუნეებისაა, თუმც ნაპოვნია ძვ. წ. VII ს. დასასრულისა და VI ს. დასაწყისის არქაული (ქიოსური) მოხატული კილიკის ფრაგმენტი (სავ. № 349—209, სურ. 182).

4 შვრ. გ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარის 1 უბანზე 1961—1963 წწ. ხატარებულა არქეოლოგიური თხრის შედეგები, ამავე კრებულში გვ. 137 და შემდ.

თეთრი ქვის წყობა, რომელსაც ძვ. წ. V ს. მეორე ნახევრით დათარიღებული კულტურული ფენა ადევს (ეს წყობა ჯერ არაა ბოლომდე შესწავლილი). ასევე ძვ. წ. IV ს. (ან უფრო ადრინდელი) უნდა იყოს თეთრი ქვით ნაგები შენობა⁵, რომლის გათხრა ამჟამად მიმდინარეობს (ნაქვეთი 86).

ნაქალაქარზე აღმოჩენილ სამარხებიდან ძვ. წ. V—IV საუკუნეებით თარიღდება 6 სამარხი (№№ 6—11). მათგან ორი გაძარცვულია (№№ 7—8) და მათი ზუსტი თარიღის განსაზღვრა ძნელდება. თუმცა № 7 გაძარცვულ სამარხში ნაპოვნია შაფეიგურული ატიკური კილიკი, რომელსაც ძვ. წ. V ს. პირველი ნახევრით ათარიღებენ⁶. დანარჩენი სამარხებიდან ყველაზე ადრეული ჩანს № 11 სამარხი (წარჩინებული კოლხი ქალისა), რომელიც იქვე ნაპოვნი და ძვ. წ. V ს. მეორე მეოთხედით დათარიღებული ატიკური იმპორტული ნივთებით (ბრინჯაოს პატერა და ოინობოია, ვერცხლისა და შველაკიანი კილიკები) ძვ. წ. V ს. შუახანებს განეკუთვნება⁷. რამდენადმე უფრო გვიანდელი ჩანს, ჩვენი აზრით, № 6 სამარხი⁸, კერძოდ აქ ნაპოვნი ლომის, ჯიხვისა და ბბოსთავიანი ოქროს სამაჯურები (სურ. 49—50), რომელთა ანალოგიურ სამკაულებს ძვ. წ. IV ს.-ის პირველი ნახევრით ათარიღებენ⁹.

ძვ. წ. IV ს. მესამე მეოთხედით თარიღდება კოლხი მეომრის სამარხი¹⁰.

ვანის მდიდრულ სამარხებში ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა უმდიდრესი წყაროა ძვ. წ. V—IV სს. კოლხეთის ნივთიერი კულტურის ისტორიისათვის საერთოდ და განსაკუთრებით, მხატვრული ბელოსნობის (ოქრომკვდლობის) შესწავლისათვის.

ოქროს ნივთები უპირატესად წარჩინებულთა სამარხებშია ნაპოვნი და ისინი წარმოდგენას გვიქმნიან კოლხეთის საზოგადოების მაღალი ფენების შიართვა-მოკავშელობის შესახებ.

ძვ. წ. V—IV სს. კოლხ წარჩინებულთა თავსამკაულის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია საკმაოდ თავისებური ფორმის დიადემა. ესაა გრეხილი რკალი, რომელიც 2 ორნამენტირებული რომბისებური ფრაგმენტითაა დაბოლოებული და ორი კავით იკრება შუბლთან. ძველი კოლხეთის სხვადასხვა ცენტრებში ნაპოვნია უმთავრესად ვერცხლისა და ელექტრონის, ხოლო ვანში ოქროს და ვერცხლის დიადემები. ვერცხლის დიადემები თითქმის ყველა ერთნაირადაა

⁵ საინტერესოა, რომ ძვ. წ. III—I სს კვლევებში „ხურდალ“ სწორადაა გამოყენებული თეთრი კირქვის ქვათილები. ჩანს ელინისტურ ხანაში მონუმენტური ნაგებობებისათვის საძირკვლების გაქრისას ძველი შენობები დაუნგრევეათ და მათი ნაშთები ღამატებით საწენ მასალად გამოუყენებიათ.

⁶ ნ. ხოშტარია, რ. ფუთურიძე, ა. ქუონია, ვანის ნაქალაქარის ჩრდ. აკმ. ნაწილში 1961—1963 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები, ამავე კრებულში, გვ. 120.

⁷ ი. თ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ა. ქუონია, ვ. თოლორდავა, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წ., ამავე კრებულში გვ. 233.

⁸ შტრ. ნ. ხოშტარია, რ. ფუთურიძე, ა. ქუონია, დასახ. ნაშრ., გვ. 117; Н. В. Хоштарна, Археологические раскопки в Ване, „კავკასურ-აზიოლოგ-მოსაელური კრებული“, 1962, გვ. 64—80.

⁹ P. Amandry, Oriënterle Achéménide, „Antike Kunst“, I, 1959, გვ. 14—15, 20, ტაბ. 11—12.

¹⁰ ი. თ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ა. ქუონია, ვ. თოლორდავა, დასახ. ნაშრ., გვ. 203 და შემდ.

შემკული: რომელი ფირფიტა ორ ნაწილადაა გაყოფილი, ხოლო ამგვარად მიღებულ თითოეულ სამკუთხედში გამოსახულია თავისებური ვარდულა და თითისტარისებური მოყვანილობის ბურცობები (სურ. 204). ამგვარად შემკული ვერცხლის დიადემები ნაპოვნია აგრეთვე ითხვისსა¹¹ და ბრილის სამაროვანზე¹². გუადისუს სამაროვანზე (სოხუმის მახლობლად) ნაპოვნია სრულიად ანალოგიური ფორმის დიადემა, რომლის რომბულ ფირფიტებს ზვისებური გამოსახულება ამკობს¹³. საქართველოს ფარგლებს გარეთ ზემოაღწერილი დიადემის აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევაა ჯერჯერობით ცნობილი. ესაა ჩრდილო კავკასიაში ნესტეროვის სამაროვანზე ნაპოვნი გრეხილირკალის ნატეხი, რომელსაც შემორჩენია ზუსტად კოლხური (ვანური და ითხვისური) დიადემების მსგავსად ორნამენტირებული რომბული ფირფიტა. ამგვარი დიადემის აღმოჩენა ნესტეროვის სამაროვანზე ჩრდ. კავკასიის არქეოლოგიის სპეციალისტებს უჩვეულო მოვლენად მიაჩნიათ¹⁴ და ამიტომაც საეხებით მართებულია მოსაზრება, რომ ზემოაღნიშნული დიადემა ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოდან უნდა იყოს მოხვედრილი¹⁵. ასე რომ კედური ორნამენტით მორთული რომბისებურფირფიტანი და გრეხილრკალიანი დიადემა წმინდა კოლხური თავსამკულია. განსაკუთრებით შესანიშნავია ვანში ნაპოვნი ოქროს დიადემები (სურ. 37—38, 187—189), ძვ. წ. V ს. კოლხური ოქრომკედლობის ბრწყინვალე ნიმუშებს რომ წარმოადგენენ. ფორმით ისინი თითქმის ზუსტად იმეორებენ ვერცხლის დიადემებს, მაგრამ მათი რომბული ფირფიტები ცხოველთა ბრძოლის სცენებითაა მორთული. 1961 წელს გათხრილ სამარხში (სამარხი № 6) ნაპოვნი ოქროს დიადემანულოვები და ტახებია გამოსახული. გამოსახულება ოთხჯერაა გამეორებული: ორ-ორჯერ თითოეულ ფირფიტაზე — გამყოფი ხაზის ზემოთ და ქვემოთ (სურ. 32).

1969 წელს აღმოჩენილ წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში (სამარხი № 11) ნაპოვნი ოქროს დიადემის ერთ ფირფიტაზე ლომები თავს ესხმიან ქურციკს (სურ. 188). ხოლო მეორეზე — ხარს (სურ. 189). თითოეულ ფირფიტაზე განოსახულება ორ-ორჯერ მეორდება (ორრიგი ნაქდევებით შემკული გამყოფი პორიზონტალური სარტყელის ზემოთ და ქვემოთ). ორივე ფირფიტაზე ბრძოლის ფინალია გამოსახული: ერთზე ორი ლომი გლეჯს უკვე დამარცხებულ და ზურგზე განრთხმულ ხარს, ხოლო მეორეზე — წინა მუხლებზე წაჩოქილ ქურციკს. ორსავე შემთხვევაში დამარცხებული ცხოველი ცენტრშია გამოსახული, ხოლო ლომები — მათ აქეთ-იქით (ე. ი. ლომები ამ ფიგურის მიმართ პერალდუქურადაა მოცემული).

ცხოველთა ბრძოლის თემა ფართოდაა გავრცელებული ძველს წინა აზიაში: მაგ. ლომის მიერ დამარცხებული ხარის გამოსახულება მესოპოტამიის გლიპტიკურ ძეგლებზე ჩნდება უკვე ძვ. წ. IV ათასწლეულს დაქასარულს (ე. წ. ჯემდეტ-ნასრის ეპოქა)¹⁶, ხოლო ძვ. წ. XXIX—XXVIII საუკუნეებით დათარიღე-

¹¹ ი. გა გო ში ძე, ითხვისის სამარხი, სსმ, XXV—B, 1968, გვ. 32—34.

¹² გ. გობჯიშვილის ვახტრები.

¹³ М. М. Трапш. Труды, 2. Сухуми, 1969, гв. 38. ტაბ. III, 2—3.

¹⁴ Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, Москва, 1960, гв. 289,

სურ. 46კ.

¹⁵ ი. გა გო ში ძე, ოსების სამარხი, გვ. 33.

¹⁶ R. Ghirshman. Un plat Achéménide de la Collection Forughi, „Artibus Asiae“, XXIV, 1961, გვ. 43.

ბულ ირანულ სტეატიტის ქურქელზე გამოსახულია ზურგზე განრთხმული ხარი, რომელსაც ლომი გლეჯს¹⁷. შემდგომ ხანებში ცხოველთა ბრძოლის სცენებია ფართოდ იკავებს ადგილს ასურულსა და განსაკუთრებით აქემენიდური ხანის ხელოვნებაში — როგორც ტორევეტიკაში (ვერცხლის თასი ფორუგის კოლექციიდან), ასევე მონუმენტურ რელიეფებზე (ძვ. წ. VI—V სს სასახლის კომპლექსი პერსეპოლისში)¹⁸.

ფიქრობენ, რომ ძველ აღმოსავლურ ხელოვნებაში ლომის მიერ დათრგუნვლილი ხარის გამოსახულებას ასტროლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა და აღქმული იყო გაზაფხულის ბუნიობის სიმბოლოდ: თებერვლის დასაწყისში, ასურეთისა და ირანის მეფეთა სასახლეებიდან ჩანდა, თუ როგორ გადაეფარებოდა („კლავდა“) ხოლმე ლომის თანავარსკვლავედი ხარისას. ამ დროს კი იწყებოდა ახალ სამიწათმოქმედო წელი¹⁹... ასურეთისა და შემდეგ აქემენიდურ ეპოქაში ეს ძველი აღმოსავლური მოტივი აღიქმებოდა, როგორც ზოროასტრული კალენდრის უმთავრესი დღე და რელიგიური დღესასწაული, როდესაც ხდებოდა მეფეთა-მეფის საზეიმო კორონაცია. ამიტომაც ლომის მიერ დამარცხებული ხარის გამოსახულება აღიქმებოდა აგრეთვე, როგორც პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების სიმბოლოც²⁰.

ძვ. წ. VIII ს. დასასრულსა და VII საუკუნეში ე. წ. ო რ ი ე ნ ტ ა ლ ი ზ ი რ ე ბ უ ლ ი სტილის ხანაში, ცხოველთა ბრძოლის თემა ფართოდ ვრცელდება აგრეთვე ბერძნულ სამყაროში²¹, როგორც აღმოსავლურ-ბერძნულ, ასევე კონტინენტური საბერძნეთის ხელოვნებაში. თუ ძველი აღმოსავლეთისა და შემდეგ კი აქემენიდური ირანის სახვით ხელოვნებაში, როგორც წესი, ორი ცხოველის ბრძოლა წარმოდგენილი (ლომი და ხარი, ლომი და თხა, და ა. შ.), ბერძნულ ხელოვნებაში ვხვდავთ კომპოზიციის გართულებას. ამასთან დრამატული ეფექტის გაძლიერებას. ასე მაგალითად, კამირის სტილის ერთ-ერთ ლარნაკზე (ძვ. წ. VII ს. მესამე მეოთხედი) უკვე წარმოდგენილია ორი ლომი, რომელნიც ორი მხრიდან უახლოვდებიან თავის მსხვერპლს (ხარს)²², ხოლო VII ს. დასასრულსა და VI ს. ატიკურსა და კორინთულ კერამიკულ ფერწერაში საკმაოდ ხშირად ვხვდებით სცენას, სადაც ორი ლომი გლეჯს მუხლზე წაჩოქილ ან ზურგზე განრთხმულ ხარს²³.

¹⁷ ეს ქურქელი, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმში ინახება, ნაოქნია შესობოტამიში, მაგარამ მიწიწულია ძველი ირანის ხელოვნების ძეგლად — იხ. Ed. Porada, *Iran ancien*, Paris, 1963, გვ. 28—30, სურ. 12.

¹⁸ R. Ghirshman. *Un plat...*, გვ. 39 და შემდეგ.

¹⁹ იხ. დაწერ. W. Hartner. *The Earliest History of the Constellations in the Near East and the Motif of the Lion-Bull Combat*, JNES, XXIV, 1965, № 1—2, გვ. 1 და შემდ.

²⁰ W. Hartner, R. Ettinghausen. *The Conquering Lion, The Life Cycle of a symbol*, „Oriens“, 17, 1964, გვ. 161 და შემდ.

²¹ უნდა აღინიშნოს, რომ ორი ცხოველის ბრძოლის თემა გვხვდება ჯერ კიდევ კრეტაზე. იხ. H. Lushey. *Zur Wiederkehr archaischer Bildzeichen in der attischen Grabmalkunst des 4. Jahrhunderts v. Chr.* „Festschrift B. Schweitzer“, 1956, გვ. 252 (იქვე დასახ. ლოდ).

²² K. F. Kinch. *Fouilles de Vroulia*, Berlin, 1914, სურ. 91.

²³ E. Buschor. *Burglöwen*, AM, XLVII, გვ. 101 და შემდ. ტაბ. XII/2; XIII/2.

აღსანიშნავია, რომ ორი ლომის ხარზე თავდასხმის სცენები წარმოდგენილია აგრეთვე ძვ. წ. VI ს. შუა ხანებით დათარიღებულ ატიკურ შავფიგურულ პიდრიაზე, როქელიც. როგორც წარწერა გვამცნობს, კოლხი ოსტატის მოხატულია²⁴.

ძვ. წ. VI ს. ორი ლომის ხარზე თავდასხმის სცენა ძირითად ადგილს დაიკავებს აგრეთვე აკროპოლისის მთავარი ტაძრის ფრონტონის მორთულობაში, (დაახლოებით ძვ. წ. 560 წ.)²⁵. ხოლო რამდენიმე თავისებური სახით — დელფოში სიფნოსელთა საგანძღრის ფრიზზე²⁶, მაგრამ VI ს. დასასრულიდან ეს თემა ატიკურ მონუმენტურ ხელოვნებაში თანდათანობით ადგილს უთმობს მითოლოგიურ სიუჟეტებს და ძვ. წ. V და IV სს თავს ინახავს მხოლოდ სამარხ რელიეფებზე²⁷. საშაგიეროდ, ძვ. წ. V ს. ცხოველთა ბრძოლის თემატიკა ვრცელდება გვიანი არქაული ხანის (ძვ. წ. 540—480 წწ.) ეტრუსკულ ხელოვნებაში²⁸ და კვლავ განაგრძობს არსებობას იონიურ საბერძნეთში²⁹, სადაც ძლიერი იყო აღმოსავლური ტრადიციები და გავლენა³⁰.

ამრიგად, ვანის ოქროს დიადემაზე წარმოდგენილია აღმოსავლურსა და ანტიკურ ხელოვნებაში ძვ. წ. VI—V საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული სიუჟეტი ცხოველთა ბრძოლისა, როქელიც უთუოდ გამოჩენილი ოსტატის მიერაა შესრულებული. ამას მოწმობს მარჯვედ აგებული ჯგუფური კომპოზიცია, ცხოველთა დამახასიათებელი ნიშნების ხაზგასმა, ნათელი და მკვეთრი ნახატი... უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი და პირდაპირი ანალოგია ვანის დიადემის გამოსახულებებს ვერ ვძებნება. ჩანს, ოსტატმა—დეკორატორმა უბრალოდ კი არ გაიმეორა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომელიმე ცნობილი ნაწარმოები, არამედ თავისებურად და მაღალი მხატვრული ოსტატობით დაამუშავა იმ დროს ნახლობელ აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული სიუჟეტები, რაშელთაც იქნებ ძველ კალხეთშიც გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა ამ სიმბოლიკის რეალური შინაარსი დღეს, არსებითად მინც. ძნელად გავოსაცნობია³¹. დიადემის ოსტატმა — ოქრომკვედელმა

²⁴ Er. Püchl. *Malerei und Zeichnung der Griechen*, I, München, 1923 გვ. 271.

²⁵ K. Schefold. *Der Griechen und ihrer Nachbar*. Berlin west, 1967. გვ. 166, ნახ. 6.

²⁶ G. Richter. *Animals in Greek sculpture*, New York, 1930 გვ. 5—6.

²⁷ H. Lushey. *Zur Wiederkehr...*, გვ. 252 და შემდ.

²⁸ W. Llewellyn Brown. *The Etruscan Lion*, Oxford, 1960, გვ. 81, ტაბ. XXIX, XXXIII.

²⁹ H. Lushey. *Zur Wiederkehr...* გვ. 253—254 (იქვე დასახ. ლიტ).

³⁰ საკმაოდ რთულია საკითხი ბერძნულ ხელოვნებაში ლომისა და ხარის (აგრეთვე სხვა ცხოველთა) ბრძოლის გამოსახულებათა სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ. მკვლევართა უმრავლესობის აზრით მას წმინდა დეკორატიული მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა უკანასკნელ ნაწილში გამოითქვა საპროპაგანდო მოსაზრებაც. (იხ. Marie-Louise und Hans Eriemeyer, *Ober griechische und altorientalische Tierkämpfgruppen*, „Antike Kunst“, I/2, 1958, გვ. 53 და შემდ.).

³¹ ეს ვიტყვით, რომ ვანის დიადემაზე გამოსახულ ლომისა და ხარის ბრძოლას ისეთივე „მონუმენტური“ მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც აქემენიდური ირანის ხელოვნებაში, მაგ. პერსეპოლისის რელიეფებს. დორფის ვერსიის თასზე და სხვ. (— იხ. R. Ghirshman, *Un plin...* გვ. 39 და შემდ.). მით უფრო, რომ იმავე დიადემის მეორე ცენტრატზე ლომების ბერძნულ სიუჟეტსა და გამოსახულებას ვაშთივე 1961 წ. ნაბოენ ოქროს მეორე დიადემაზე ლომები ტახტთან ერთად გამოსახული ძველ სალხებში ლომი მისისა და სინაილის განსახიერებად იყო

შეჯლო კედური სელოენების სერხებით ხარსა და ქურციკზე ლომების თავდასხმის სცენების გადმოცემა, სარკისებურად ასახვა რომბული მოყვანილობის ფირფიტებზე და ამასთან სამფიგურიაანი კომპოზიციებას საქუთხა ჩარჩოში მოთავსება, რაც უფრო მონუშენტური რელიეფისა და კერძოდ ფრინტონული კომპოზიციისათვისაა დამახასიათებელი. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ვანის დიადემის დეკორატივი კარგად იცნობდა ბერძნულ ფრინტონული რელიეფის წარმოსახვის პრინციპებს. თანაბარი ზომის ფიგურები ზომიერად ავსებენ გამოსახულებისათვის განკუთვნილ მთელ სამკუთხა სივრცეს, რაც აგრე დამახასიათებელია გვიანი არქაული ხანის ბერძნული ხელოვნებისათვის. ფიგურების განლაგება ემორჩილება ერთ საერთო გეგმას, თუმცა დეტალებში შეინიშნება ერთგვარი თავისუფლება და გადახვევა. ამასთან ერთად, გამოსახულების შესრულების მანერა სავსებით განსხვავებულია ბერძნულისაგან და ახლო დგას აღმოსავლურთან ე. წ. აქემენიდურთან, თუმცა არც მის კანონიკურ ნორმებს ემორჩილება. „აქემენიდური“ პირველ რიგში ქურციკი, დამახასიათებელი დაღარული რქებით³², მაგრამ უჩვეულოა მის ზურგზე გამოსახული ბეწვი³³. აქემენიდური ხელოვნების გავლენა იგრძნობა ზურგზე განთავსებული ხარის ზოგიერთ დეტალშიც (რელიეფური და მკვეთრად მოდელირებული სახე, ამოზიდული რელიეფური თვალი, რქა). საკმაოდ თავისებურია ლომების გამოსახულება. თუ პროფილში მოცემული მოქნილი, ძლიერი და მკვეთრად მოდელირებული ტანი ბრძოლის დაჰაბულობას გამოხატავს, სამაგიეროდ მათურებისკენ მომზირალი პატარა თავი რამდენადმე გაყინულია და უსიცოცხლო, სხეულის გამოსახვა აღინიშნება ზოგიერთი ანატომიური დეტალის გადმოცემით (ნეკნები, დაკუნთული კიდურები), რასაც ნაჭურჯისკუთრი ასურული ხელოვნებისაგან მომდინარედ მიიჩნევენ და შესანიშნავადაა წარმოდგენილი სარგონიდების ხანის ასურულ რელიეფებზე. იქვე გამოსახულ ლომებს აქვთ

მიჩნეული („ლოში ელვარებს შვე“ — წერდა სენეკა), რაც მის ასტროლოგიურ მნიშვნელობასთან აყო დაკავშირებული. ამიტომ საკმაოდ ხშირია ვარსკვლავებით მოპყდილი ლომის გამოსახულებანი. (დაწერ. იხ. O. Keller, Die antike Tierwelt, I. Leipzig, 1889, გვ. 37 და შემდ.). უაღრესად საინტერესოა, რომ კოლხურ ვერცხლის რომბულფირფიტებიან დიადემებზე კი გამოსახულია თავისებური ვარდული, რომელიც შხის გამოსახულებადან მიჩნეული (ი. გაგოშიძე, ითხების სამარხი... გვ. 32). ამიტომ იქნებ კოლხურ რომბისებური ფირფიტებიანი დიადემების გამოსახულებანი წარმოადგენდნენ სიცოცხლისა და სიკვდილის, შხისა და სიბნელის კიდილის სიმბოლოს. საფიქრებელია, რომ აღნიშნული დიადემები სავანებზე მზადდებოდა დასაქრძალავი რიტულისათვის და არ წარმოადგენდა ხელისუფლების ინსიგნიას, მიუხედავად იმისა, რომ წარჩინებულთა სამარხებშია ნაპოვნი (შდრ. ი. გაგოშიძე, ითხების სამარხი... გვ. 34). ასეთი ვარაუდის სადუმეველს გააძლევს ის ფაქტი, რომ ვანში 1959 წ. ნაპოვნი წარჩინებული კლასის სამარხში კიდე აღმოჩნდა სამი ჩონჩხი, რიგორც ჩანს მოპყლებებისა, რომელნიც შედარებით ღარიბულად იყვნენ შორთული. მოთვან ირს ჰქონდა თავზე ვერცხლის დიადემა, ხლო ერთს ორი ერთად!

³² დაღარული რქები ვხვდებდა ძველ ასურულ ხელოვნებაში (შდრ. A. Parrot, Assur, Paris, 1961, სურ. 58, 73) და ფართოდაა გავრცელებული აქემენიდურ ხანაში. შდრ. H. Kantor, Achaemenid Jewelry in the Oriental Institute, JNES, XVI, № 1, 1957, ტაბ. IV. იხ. აგრეთვე JNES, IX, 2, 1950, გვ. 111—112, ტაბ. III.

³³ საინტერესოა პლინიუსის ცნობა: „ვერთუოდებელი *εραγέλαδος*-ი (თხა-რევი) მხოლოდ მდ. ფასისის შიდაპირებში ბინადრობს. იგი ირმის სახისაა, მაგრამ გამოირჩევა მარტო წვეროთა და ბანჯკლოიანი ბეჭებით“ (VIII, 120). შდრ. A. Godard, Le Trésor de Zitiyê, Haarlem, 1950, გვ. 19 და შემდ. სურ. 13.

ანეაზე გარჩისებურად დაბლოებული კული³⁴ და ფოთლისებური ყურები, როგორც ვანის ოქროს დიადემის ლომებს³⁵. საკმაოდ თავისებურადაა გადმოცემული ვანურ დიადემაზე ლომის ფაფარი: თავსა და კისერზე იგი რომბულად დანტარხელი გრავირებული ხაზებითაა აღნიშნული, ხოლო ზურგზე კი — ირბი მოკლე ქდეებით. ფაფარის რომბული სახეებით გადმოცემა გვხვდება აქემენიდურ საბეჭდოებზე³⁶ და იგიც მიჩნეულია³⁷ ასურულ ტრადიციად, მაგრამ სრულიად უჩვეულოა ძვ. წ. VI—V სს. აქემენიდური (და ანტიკური) ხელოვნების ძეგლებზე ლომის ზურგზე ფაფარის აღნიშვნა. სამაგიეროდ, ირანის ქურთის-ტანში. სპეციალურ ლიტერატურაში კარგად ცნობილ ზივიეს განაშში, ნაპოვნია ძვ. წ. VII ს. დასასრულის ოქროსა და სპილოს ძვლის ფირფიტები, რომლებზედაც სიკოცხლის ხესთან აღმართული ლომების ფაფარი დაშტრისულია რომბულად და ზურგზეც აღნიშნულია ქდეებით³⁸. ეს ძეგლები ადგილობრივი, მანა-მიდიური ხელოვნების ნიმუშებადაა მიჩნეული.

ამრგად, ვანში ნაპოვნი ოქროს დიადემა, რომელიც ძვ. წ. V საუკუნის პირველ ნახევარშია დამზადებული, თავისი ფორმით წმინდა კოლხურია, მაგრამ მისი მორთულობა მეტად რთული. იგი თითქმის აერთიანებს ძველ აღმოსავლურ და ანტიკურ სიუჟეტებსა და კომპოზიციებს, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ. წინა აზიის (ასურეთის, მანას სამეფოს, აქემენიდური ირანის) ხელოვნებისათვის დამახასიათებელ სტილისტურ თვისებებს, სახეებსა და ცალკეულ ნიშნებს³⁹. ეს გარემოება მოწმობს კოლხური ცივილიზაციის ძველ აღმოსავლურ ისტორიულ-კულტურულ ფესვებს და მკიდრო კონტაქტს მისი თანადროული აქემენიდური ირანისა და ანტიკური სამყაროს კულტურებთან.

ვანის დიადემა, ჩემი აზრით, ადგილობრივი ონტატის ნახელავია, იგი აღზრდილი იყო ძველ წინა აზიურ ტრადიციებზე, მაგრამ განიცდიდა თანამედროვე ირანული და აგრეთვე რამდენადმე ბერძნული ხელოვნების გავლენას⁴⁰.

³⁴ შტ. ლომების გამოსახულება ასურბანიძის (ძვ. წ. 668—627 წწ.) სასახლის რელიეფზე E-წყობაში (—A. Parrot, Niveeh and Babylon, P. 1961, გვ. 58 და შემდ. სტრ. 65;), ასურული წარმოშობის ოქროს ფირფიტაზე ზივიედან (W. Gulican, The Medes and Persians, Hudson, 1955, გვ. 38, ტაბ. 22).

³⁵ იხ. O. Keller, Die antike Tierwelt... სტრ. 12 b; შტ. P. Amandry, Un motif „cyclope" en Iran et en Grèce" JNES, XXIV/3, 1965, სტრ. 1 B (ცხოველის გამოახსენება მარლიკიდან, რომელსაც ზესტად ასეთვე უფრო აქვს).

³⁶ იხ. E. Porada, Iran... გვ. 174, სტრ. 86.

³⁷ ლომის რომბულად დაშტრისული ფაფარი გვხვდება ამ დროს აგრეთვე კორინთულ კამარულ ფურნურაში H. Payne, Necrocorinthia, Oxford, 1931, სტრ. 14/2, 18.

³⁸ „Sept Mille Ans d'Art en Iran", Exposition, Paris, 1961, № 501, ტაბ. XXIX; იხ. აგრეთვე გერმანული კატალოგი: „7000 Jahre Kunst in Iran", № 283; A. Godard, Le Trésor de Zlwiye. Haarlem, 1950, გვ. 95, სტრ. 83. ზურგზე ფაფარის აღნიშვნა გვხვდება, აგრეთვე ირანულ-ბერძნული სტილის ეტრუსკული ხელოვნების ძეგლებზე C. Camparelo, Coniaderazioni sui leoni Etrusci, RM, 72, 1965 გვ. 1—13.

³⁹ რამდენადმე უფრო გვიანდელია (ძვ. წ. V ს. დასაწყისი) და სტილისტურადაც განსხვავებულია ოქროს მეორე დიადემა, რომელიც 1961 წელსაა ვანში აღმოჩენილი და რომელზედაც ლომზეა და ტახია გამოსახული (სტრ. 38). გამოსახულების სიუჟეტსა და კომპოზიციას, აგრეთვე სტილში შედარებით თვალსაჩინოა იონიურ-ბერძნული ხელოვნების გავლენა. მაგრამ ყოველზე ეს მოითხოვს სავანეზო შესწავლას.

⁴⁰ ამ ნიშნით იგი შეიძლება პირობით მოვათავსოთ ე. წ. „ბერძნულ-სპარსული" სტილის ძეგლებს თავისებურ განაშტრებაში. ვეულისხმობთ ამ ტერმინის („ბერძნულ-სპარსული") არა ფურტავენდურად აღიქვას, არამედ იმ ახალ შინაარსს, რომელსაც ამ რიგის ხელოვნების

თავსამკაულის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს აგრეთვე საყურეები და სასაფეთქლე რგოლები, ძვ. წ. V საუკუნეში რამდენიმე ნაირსახეობით რომ არის წარმოდგენილი. განსაკუთრებით დამახასიათებელია ე. წ. სხივანა საყურეები, რომელნიც ამ დროს მთელ კოლხეთშია გავრცელებული და როგორც წესი, არ გვხვდება საქართველოს ფარგლებს⁴¹ გარეთ. ამიტომაც ისინი ისევე, როგორც დიადემები, ტიპურ კოლხურ სამკაულადაა მიჩნეული (სურ. 40—41, 190).

კოლხეთის სხვადასხვა ცენტრში ნაპოვნი ოქროს, ელექტრონისა და ვერცხლის სხივანა საყურეები ერთმანეთისაგან შემკულობის ცალკეული დეტალებითა და უპირატესად კი „სხივების“ რაოდენობით განსხვავდებიან⁴². ამ ტიპის სამკაულის საუკეთესო ნიმუშები ნაპოვნი ისევ ვანში. აქაური სხივანა საყურეებია დამზადებულია რთული წესით: საყურე რგოლის საფასადო მხარე მეტწილად მორთულია ვარდულით, ხოლო „სხივები“ კი ცვარათი შედგენილი პირამიდებით ბოლოვდება⁴³. განსაკუთრებით მდიდრულია 1969 წ. აღმოჩენილი სხივანა საყურეები, თუ სასაფეთქლე რგოლები (სურ. 190). იმავე დროს კოლხ ოქრომკედელთა ფილიგრანული ტექნიკის შესანიშნავ ნიმუშებს რომ წარმოადგენენ: საყურე რგოლი მრგვალგანიკვეთიანი მავთულისაგანაა დამზადებული. რაკლა გახსნილია, ხოლო ბოლოები გახვეტილია ისე, რომ ფრინველის თავს მოგვაგონებს. საყურე რგოლის წინა მხარე (ზედა ნაწილში) 16-ფურცლიანი მინიატურული ვარდულითაა დაშვენებული, სიგრძივ დაცვარულია, ხოლო ნაპირებზე დაკეცილი მავთულით გამოყვანილი „მარყუქებითაა“ შემკული. რგოლს ქვემოთ გაშლილი 6 „სხივიც“ ცვარათი შედგენილი პირამიდებითაა დაბოლოებული და ჩიტის მინიატურული გამოსახულებებით მორთული. ამასთან ფრინველის გამოსახულებაც უხვადაა დაცვარული (თავი, მკერდი, ფრთები), ხოლო მკერდზე ორრიგად განლაგებული სამკუთხედებია გამოყვანილი. სულ 8 სმ-ს არ აღემატება თითოეული საყურე და მის მოსართავად კი, სხეასთან ერთად, დამზადებულია რამდენიმე ასეული ოქროს ცვარა, რომელთა დიამეტრი ნახევარ მილიმეტრსაც კი არ აღემატება და მით გამოყვანილია რთული სახეები (პირამიდები, ფრინველის ცალკეული დეტალი).

ძვ. წ. V—IV საუკუნეების კოლხეთში გავრცელებულია აგრეთვე ე. წ. ბურთულიანი ოქროს საყურეები და სასაფეთქლეები. ნაპოვნი ისინი ვანში როგორც ძვ. წ. V ს. (სურ. 191), ასევე ძვ. წ. IV ს. სამარხშიც⁴⁴. ამას გარდა, ამავე

ქალებს აძლევენ მ. მაქსიმოვა, ტ. კნობოვიჩი, ა. სეირიგი, ხოლო ახლახან ნ. ნიკელინა თავის საკანდიდატო დისერტაციაში (იხ. Н. М. Никулина. Малоазийская глиптика второй половины V—IV вв до н. э. и проблема „восточно-греческого“ и „греко-персидского“ искусства (автореферат), М. 1966.

⁴¹ სხივანა საყურეების საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში აღმოჩენის თოქმის ყველა შემთხვევა აღნუსხულია ნინო ხოშტარიას მიერ. იხ. მისი ნაშრომები — Археологические исследования Вани, Мსკ, II, 1959, გვ. 157; „Археологические раскопки в Вани“... გვ. 70—71. (იქვეა მითითებული მთელი ლიტერატურა); შტრ. Р. Книжалов. Золотая серьга из Борж. „Сообщения Гос. Эрмитажа“, VII, Л. 1955 გვ. 32—33.

⁴² Н. В. Хостарна, Археологические исследования... გვ. 157.

⁴³ Н. В. Хостарна, Арх. раск., 70—71, ტაბ. 1.

⁴⁴ Н. В. Хостарна, Археологические исследования... გვ. 157, ტაბ. IV/3; იმავე ტიპის ნაირსახეობას წარმოადგენს 1961 წელს გათხრილ მდიდრულ სამარხში (№ 6) ნაპოვნი ოქროს საყურეები (სურ. 43), ხოლო 1969 წ. კვირულბურთულიანი საყურეები

ტიპის ოქროს საყურე აღმოჩენილია აგრეთვე ითხვისში ძვ. წ. V ს. დათარიღებული სამარხში⁴⁵. საგანგებოდ აღსანიშნავია ვანში 1969 წ. გათხრილ წარჩინებულ კოლხი ქალის სამარხში ნაპოვნი ოქროს შესანიშნავი საყურეები: თოთხნეტლარცილიანი ვარდულით, დაკეპნილი მაკთულით შედგენილი „მარყუითა“ და ცრუკვარათი მორთული ოვალური ფორმის საყურე რგოლზე დამაგრებულია ღებძი, რომლის შუაში მოთავსებულია 6 სარტყლისაგან შედგენილი ჰვირცელი ბურთულა და ბოლოვდება ცვარათი შედგენილი პირამიდებით. საყურე რგოლიცა და ჰვირცელი ბურთულის სარტყლებიც უხეადაა დაცვარული (სურ. 191).

ზემოაღწერილი ორივე ტიპის საყურეები თუ სასაფეთქლე რგოლები მხოლოდ კოლხეთისათვისა და მახასიათებელი და არ გვხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთ⁴⁶. ვანში ნაპოვნი აგრეთვე ოქროს საყურეები ეტლზე მდგარი ცხენონების გამოსახულებით, რომლებიც⁴⁷ (სურ. 39) მოგვაგონებენ ახალგორის სასაფეთქლეებს⁴⁸ და მათთან ერთად სრულიად უყოყმანოდ ადგილობრივ ნ. წარმად უნდა იქნენ მიჩნეული⁴⁹.

ვანშივე ნაპოვნია ე. წ. ნახევარმთვარიანებური (თუ ნალისებური) მოყვანილობის საყურეები (სურ. 42), რომელთა ფორმა ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებიდან მოკიდებული, ფართოდაა გავრცელებული როგორც წინა აზიაში (ურარ-

ვანში აღმოჩნდა როგორც ძვ. წ. V ს. წარჩინებულ კოლხი ქალის სამარხში, (სურ. 191), ასევე მეორის სამარხშიც (სურ. 168), რომელიც ძვ. წ. IV ს. შესაძლოა მეოთხედით თარიღდება.

⁴⁵ ცნობა მომაროდა რ. აბრამიშვილმა.

⁴⁶ თქმვა უნდა აღინიშნოს, რომ საყურეების სხეულად გამოჩნდება ქერ კიდე ასურულ ბრითღმია ცნობილ (?დრ. A. Moorijat, Der Oirschmuck der Assyrer, „Archiv für Orientforschung“, IV, 5/6, 1927, ტაბ. VIII; Chr. Kardara's სტატია AJA, 65/1, 1961, გვ. 36/6—8 და გვხვდება აგრეთვე ბრძნულ სამყაროშიც—K. Hadazek, Der Oirschmuck der Griechen und Etrusker, Wien, 1903, გვ. 19, ს.რ. 34.

ასევე ჰეირულბურთულიანი ბრინჯაოს საკიდეები გავრცელებულია საბერძნეთში, მაკედონიაში, მცირე აზიაში, მაგრამ ისინი ტიპოლოგიურად საესებით განსხვავდებიან კოლხური ოქროს საყურეებისაგან. ?დრ. A. G. Bather, The Bronzes fragment of the Acropolis, JHS, XIII, 1893, გვ. 242, ს.რ. 15; P. Amandry, Collection H. Stathatos, Strasbourg, 1953, ს.რ. 35/3, ს.რ. 36/6, ტაბ. XXVI/169.

⁴⁷ Н. В. Хоштарна. Археологические раскопки... გვ. 71.

⁴⁸ Я. А. Смирнов, Ахалгорский клад, Тбилиси, 1934, გვ. 23—29, ტაბ. III/26 ინალიური ფორმის საკიდეები ნაპოვნი, აგრეთვე ქვემო ვოლგისპირეთში ერთ-ერთ საკრომატულ სამარხში და მას საქართველოდან იმპორტირებულად მიიჩნევენ: И. П. Беркина, Л. Я. Маловицкая. Богатое сапорогатское погребение в Астраханской обл. СА, 1955, № 3, გვ. 153, სურ. 8/1. გაოცებას იწვევს მხოლოდ იტორის გაცხადება, რომ თათქს „Золотые серьги, так же как и височные подвески из Вани и Ахалгора, изготовлены вероятно, в одной из греческих колоний, расположенных на территории древней Иберии“.

⁴⁹ ი. გაგოშიძე, აღვანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნ. მეშვეთა III საზენიგეო კონფერენციის თეზისები, თბილისი, 1962, გვ. 24. ირანულ ენტერის ცნობილ შედეგების — რ. გირშმანის თქმით, „ახალგორის სასაფეთქლეები „ბარბროსტლა“. თქმვა ძვ. წ. IV ს. თარღუდებიან, შეესაბამებიან ირანულად დამორებული ოლქების მოსახლეობის გემოვნებს და წინამორბედნი არიან პართული ხანის რთული შედგენილობის სამკაულებსა. იხ. R. Ghirshman, Iran, გვ. 254.

ტუბი, აქემენიდური ირანი⁵¹, ასევე ხმელთაშუა ზღვისპირეთსა (კვიპროსი, კონტინენტური საბერძნეთი, ეტრურია)⁵² და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში⁵³, მაგრამ მათგან განსხვავებით, ვანში ნაპოვნი საყურეები შედგენილია ისევე, როგორც წმინდა კოლხური ტიპის (სხივანა და ჭვირულბურთულიანი) საყურეები: ოთხივე ტიპის საყურეებზე რგოლის საფასადო მხარე შემკულია მინიატურული ვარდულითა და ცვარათი გაწყობილი ან დაკეცილი მავთულით გამოყვანილი „მარყუევებით“. ესაა საყურე რგოლის მხატვრული გაფორმების თავისებურება⁵⁴, რომელიც ამ სახით არ გვხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთ⁵⁵. მასთან ერთად საყურეებისა და სასაფეთქლეების მორთვაში უხვადაა გამოყენებული ზედაპირას დაკვარვა სამკუთხა თუ რომბული სახეებით, ხოლო სხივანა და ჭვირულბურთულიანი საყურეების შემკობა — ცვარათი შედგენილი პირამიდებით. ასეთივე სტილისტური ნიშნებით ხასიათდება და სრულიად უეჭვოდ კოლხური ოქრომკვდლობის ნიმუშებს წარმოადგენს ძვ. წ. V საუკუნის ვანის სამარხებში ნაპოვნი პრავალრიცხოვანი და ნაირსახოვანი ოქროს მძივები და საკაღები (სურ. 44—47, 193—198). მათ შორისაა ჩიტის, ვერძისა და ხბოს თავის მინიატურული გამოსახულებანი. საგანგებოდაა აღსანიშნავი ძვ. წ. V ს. წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში ნაპოვნი დოლისებური საკიდები, რომლებიც შემკულია დაცვარული გეომეტრიული სახეებით: სვასტიკა, მენდრი და სხვა. (სურ. 197). ეს უძველესი ორნამენტი (სვასტიკა), რომლის საწყისი ფორმები ახლა ძველ აღმოსავლეთში ცნობილია უკვე ენეოლითის ხანიდან, კოლხურ ხელოვნებაში გვიანი ბრინჯაოს ხანიდანაა გავრცელებული, და ჯერ კიდევ, როგორც ცნობილია, კოლხურ ცულებზე გვხვდება. ძვ. წ. V ს. იგივე ნიშანი აღნიშნულია ვანში 1961 წ. ნაპოვნი ცხენოსნის გამოსახულებიან ოქროს საკაღებზე (ცხენის გავაზე), აგრეთვე კოლხურ ბრინჯაოს სიტულებზე. იგივე გამოსახულება გვხვდება აგრეთვე უფრო გვიანაც: ელინისტური ხანის კოლხურ ამფორებზე და თანამედროვე ფორმის საწაფებზე. დაბოლოს ისიც აღსანიშნავია, რომ იგივე ორნამენტი სხვადასხვა ვარიანტით დღემდე შემონახულია ქართუ-

⁵⁰ Б. Б. Piotrovskii. Кармир-Бур, I. Ереван, 1950, გვ. 83.

⁵¹ ასეთი საყურეებია წარმოდგენილი მაგ. პერსეპოლისის ტრიპილონის (ძვ. წ. VI ს. დასასრული — V ს. დასაწყისი) ერთ-ერთ კაპიტელზე, რომელიც ადამიანის თავს გამოსახავს, „Пам'ятник мирового искусства. Искусство древнего Востока“. Москва, 1968, ტაბ. 305. უფრო ადრე (ძვ. წ. VII ს.) აშკარა საყურეები გვხვდება აგრეთვე ზიქეში, იბ. R. Ghirshman, Iran, სურ. 153.

⁵² იბ. K. Hadzsek. Der Ohrschmuck, გვ. 21 და შემდ. B. Segall, Catalog... გვ. 19, № 5, გვ. 22, № 15 (103/4). ტაბ. IV.

⁵³ იბ. Н. А. Оняйко. Античный импорт на территории среднего Приднепровья, СА, 2 გვ. 35, იქვე დასახელებული ლიტერატურა.

⁵⁴ Н. В. Хоштариа, Археологические раскопки... გვ. 71.

⁵⁵ ვარდლის ელემენტი საყურეებში ბერძნულ სამყაროში ადრევეა გავრცელებული, მაგრამ საყურე რგოლის მორთვა მხოლოდ ძვ. წ. V ს. დასასრულიდან, უფრო კი ძვ. წ. IV და III საუკუნეებში გვხვდება, მაგრამ ბერძნული ვარდულიანი საყურეები ამ დროს ტიპოლოგიურად და სტილისტურად სრულიად განსხვავებულია კოლხურისაგან. შდრ. F. H. Marshall. Catalogue of the Jewellery Greek, Etruscan and Roman in the Department of Antiquities, British Museum, London, 1911, № 1666—68; 1845—46; 1855—56, 2253; G. Becatti; Oreficerie Antiche, Roma, 1955, № 383, 385, 399, 401, 402; B. Segall, Catalog... № 37, 52—53.

ლი „დედაბოძის“ მორთულობაში და საერთოდ ქართულ ხალხურ ორნამენტში⁵⁶.

ოქრომკვდლობის ბრწყინვალე ნიმუშებია კუს გამოსახულებიანი საკიდები. რომელნიც ყელსაბამის ნაწილებს წარმოადგენენ. კუს თვალები პასტითაა ინკრუსტირებული, ხოლო ზურგი ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებითაა მორთული (სურ. 192).

ვანის მდიდრულ სამარხებში ნაპოვნია აგრეთვე ოქროს სამაჯურები, რომელთა ბოლოები შემკულია ცხოველთა თავების სკულპტურული გამოსახულებებით. მათგან ერთი ნაწილი, სრულიად აშკარად შესრულებულია აქემენიდური სტილით და იმეორებს ძვ. წ. V—IV სს ფართოდ გავრცელებულ ცხოველსაბოვან სამაჯურებს⁵⁷. ასეთებია 1961 წელს წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში (სამარხი № 6) ნაპოვნი სამაჯურები, რომლებიც ჯიხვის, ლომისა და ხბოს თავებითაა დაბოლოებული (სურ. 49—50). სტილისტურად სრულიად ანალოგიური გამოსახულებებით (ჯიხვისა და ხბოს თავები) შემკული ოქროსა და ვერცხლის სამაჯურები ნაპოვნია კვიპროსზე (ვენი), სირიაში (რასშამრა), ეგვიპტეში და სხვ. ჩერტომლიკის ერთ-ერთ ოქროს სატევრის თავს ამკობს ისეთივე ხბოს თავი, როგორც ზემოაღნიშნულ სამაჯურებს, რომელთაც პ. ამანდრი⁵⁸ თანმხლები კომპლექსებითა და სტილის მიხედვით ძვ. წ. V საუკუნის დასასრულითა და IV ს. პირველი ნახევრით ათარიღებს⁵⁹. ამ სამაჯურების დამზადების ცენტრია ჯერ განსაზღვრული არაა და ფიქრობენ, რომ შესაძლოა მათ აქემენიდური სამყაროსა და მისი მომიჯნავე ქვეყნების სხვადასხვა სახელოსნოში ამზადებდნენ⁶⁰.

ზემოაღწერილ სამაჯურებზე რამდენადმე უფრო აღრეულია 1969 წ. წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში ნაპოვნი ოქროს სამაჯურები, რომელთაგან ერთი წყვილი ვერძის თავებითაა შემკული, ხოლო მეორე — ტახის სკულპტურული გამოსახულებით (სურ. 199). ეს უკანასკნელია განსაკუთრებით საინტერესო და რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია — ჯერჯერობით უნიკალურიც. ეს სამაჯურები ოვალური ფორმისაა. საკმაოდ მასიური, მრგვალგანივიკვეთიანი რგოლი ტახის სკულპტურულ გამოსახულებებთან ერთადაა ჩამოსხმული. ტახის მკვეთრად მოდელირებული დრუნჩი წინგართხმულ ფეხის ჩლიქებზეა დაყრდნობილი. ტახს რელიეფურად გამოკვეთილი ეშვი აქვს. თვალის ბუდე დიდი ზომისაა, რომელშიც ასევე დიდი ამოზიდული თვალია ჩასმული. დაცქვეტილი ყური ფოთლისებური მოყვანილობისაა და ვერტიკალურად დასმული. უკანა ფეხები მუცელს ქვემოთაა მოკეცილი. სკულპტურულადაა გადმოცემული თეძოები და ღონიერი ჩლიქები. ფაფარი თავიდან ბოლომდე ზურგის მთელ სიგრა-

⁵⁶ დანჯ. იხ. И. К. Сургуладзе, *Астральная символика в грузинском народном орнаменте* (Автореферат кандидатской диссертации), Тбилиси, 1965, გვ. 9—15. (იქვე დასახელებულია ლიტერატურა).

⁵⁷ დანჯ. ამ ტიპის სამაჯურების შესახებ იხ. P. Amandry, *Orfèvererie Achéménide*. „Antike Kunst“, I, 1, 1958, გვ. 9—24.

⁵⁸ P. Amandry, *Orfèvererie...* გვ. 14—15, 20, ტაბ. 11—12.

⁵⁹ ასე რომ არ შეიძლება ამ სამარხის დათარიღება, რომელშიც ეს სამაჯურებია ნაპოვნი, ყოველშემთხვევაში ძვ. წ. V საუკუნის დასასრულზე უფრო აღრინდელი ხანით, შდრ. ი. ვაგოშვილი, *„ქართული ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოდან, თბილისი, 1964, გვ. 76—77;*

⁶⁰ P. Amandry, *Orfèvererie...* გვ. 13.

ძეზე(!) ვერტიკალური ღრმა ღარებითაა გადმოცემული. კუდი მარჯვენა მხარესაა გადავლებული... მთელი სხეული მცირე ზომის კდეებითაა დაფარული.

სტილისტური თვალსაზრისით ვანის სამაჯურის ტახის გამოსახულებანი რამდენადმე უახლოვდებიან ირანისა და მცირე აზიის ტერიტორიაზე ცნობილ ბრინჯაოს ტახის გამოსახულებებს⁶¹. მაგრამ მათგან განსხვავდება ზოგიერთი დეტალის (ყურის, ჩაჯრის) გადმოცემით და რაც მთავარია, უფრო გრაფიკულ-დეკორატიული სტილითა და რამდენადმე სკულპტურულობით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმავე სამარხში ნაპოვნია ვერცხლის საკიდები, რომელნიც თითქმის ზედმიწევნით იმეორებენ სამაჯურზე გამოსახულ ტახის ფიგურას.

ვანის მდიდრულ სამარხებში მრავლადაა აგრეთვე ნაპოვნი ოქროს წერილი ნივთებიც: მძივსაკიდები, სამოსის მოსართავი ღილაკები და კილიტები, ჰერალდიკური ნიშნები, რომელთაგან საგანგებოდაა აღსანიშნავი ფრთავაშლილი არწივის გამოსახულებანი და სხვ.

ამგვარად, ვანში მოპოვებული ოქროს სამკაული საქმოდ მრავალფეროვანია და მეტად მრავალრიცხოვანი. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თითქმის ყველა ისინი ხასიათდებიან გასაოცარი მხატვრულ-სტილისტური ერთიანობით. მათ ადგილობრივ, ე. ი. კოლხურ წარმომავლობაზე მიუთითებს მხატვრული ფორმის ორიგინალობა, რაც მეტწილად მხოლოდ კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი, ზოგიერთ შემთხვევაში გენეტურად უკავშირდება (როგორც ფორმით, ასევე დეკორით) წინამორბედი ხანის ბრინჯაოს კულტურის ძეგლებს და, როგორც წესი, არ გვხვდება კოლხეთისა (და საერთოდ ძველი საქართველოს) ფარგლებს გარეთ. ასეთებია, პირველ რიგში: დიადემა, „სხივანა“ და ჰვირულბურთულიანი საყურეები თუ სააფეთქლე რგოლები, მძივსაკიდების ზოგიერთი ფორმა და სხვა, რაც მეორდება აგრეთვე ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობაზე. ვანსა და კოლხეთის სხვა ცენტრებში ნაპოვნი ოქროს ნივთების ადგილობრივი წარმოშობის უტყუარი მოწმობაა მათი სტილისტური და ტექნიკური ერთიანობა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა საყურეებსა და სასაფეთქლეებში: სხვადასხვა საყურეები, რომელთა ფორმა ორიგინალურია („სხივანა“ და „ჰვირულბურთულიანი“) თუ ნასესხები („ნახევარმთვარისებური“), მაინც ერთნაირადაა შემკული: რგოლის საფასადო მხარე მორთულია მინიატურული ვარდულით და უხვადაა დაცვარული, რაც ძვ. წ. V საუკუნეში მხოლოდ კოლხეთისათვისაა დამახასიათებელი და ამ სახით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ გვხვდება ძველი საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძვ. წ. V—IV საუკუნის კოლხური ოქროს სამკაულისათვის დამახასიათებელია აგრეთვე გავარსის ფართოდ გამოყენება: სულ სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ნივთები (საყურეები, სასაფეთქლეები, ნაირსახოვანი საკიდები და მძივები, ბალთები) ამ დროს უხვადაა დაცვარული და ამასთან შემკულია ცხარათი გამოყვანილი პირამიდებით, სამკუთხედებით, რომლები ან სხვა გეომეტრიული სახეებით. ფრიად საინტერესოა, რომ ძვ. წ. V ს. ვანის მდიდრულ სამარხებში გვხვდება აგრეთვე ასეთივე წესით შემკული ვერცხლის ნივთებიც (სურ. 203), რაც საერთოდ იშვიათია⁶² და თავის მხრივ გავარსის ტექნი-

⁶¹ P. Amandry. Un motif... გვ. 153 და შუბდ.

⁶² შტრ. P. Amandry. Objets d'or et d'argent: Collection Hélène Slathafos, III Strasbourg, 1963, გვ. 118 და შუბდ. 113/4, ტაბ. XXX.

კის კოლხეთში ფართოდ გავრცელების კიდევ ერთი თვალსაჩინო მოწმობაა⁶³.

ოქროს ნივთებისა და სამკაულის ცვარათი გამოყვანილი პირამიდებითა და სამკუთხედებით, რომელი თუ სხვ. გეომეტრიული სახეებით შემკობა ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული მხატვრულ-სტილისტური ხერხია აღმოაველეთა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის მალაკულტურულ ქვეყნებში. მის საწყისებს ძველი აღმოსავლეთის, კერძოდ ძვ. წ. II ათასწლეულის შუმერის მხატვრულ კულტურაში ეძიებენ⁶⁴. მაგრამ სრულიად ჩამოყალიბებული სახით, დაცვარული პირამიდებით დაბოლოებული საყურეები და ცვარათი შედგენილი სამკუთხედებით მორთული ოქროს ნივთები ამას წინათ აღმოჩნდა დღევანდელი ირანის ქურთისტანში, მარლიკის სამაროვანზე, რომელსაც ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულის დასაწყისით (1200 — 900 წწ.) ათარიღებენ⁶⁵.

მარლიკის ძეგლებს, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, უკავშირებენ მანას სამეფოს⁶⁶ კულტურას, რომლის უფრო გვიანდელი (ძვ. წ. VIII — VII სს) ძეგლები 1947 წ. ზივიეში აღმოჩნდა⁶⁷. როგორც ჩანს, სწორედ მანას სამეფოს ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ყალიბდებოდა ოქროს ნივთებისა და სამკაულის მორთვა დაცვარული პირამიდებით თუ სამკუთხა და სხვ. გეომეტრიული სახეებით, რაც ძვ. წ. VIII და განსაკუთრებით VII საუკუნიდან თანდათანობით გავრცელდა მახლობელ აღმოსავლეთში⁶⁸, ხოლო ძვ. წ. VII—IV საუკუნეებში თავისებურ მოდად იქცა მთელ ხმელთაშუა ზღვისპირეთსა (კვიპროსი, სამოსი, კონტინენტური საბერძნეთი და მაკედონია, ეტრურია)⁶⁹ და შავი ზღვისპირეთში⁷⁰. ამ დიდმა მხატვრულმა ტალღამ,

⁶³ შტრ. ბ. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ქართული ოქროშემკვდლობის ისტორიისათვის, საქართველოს მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განუ. ასპარანტა და ახალგაზრდა მეცნ. მუშაკთა III სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბილისი, 1962, გვ. 21.

⁶⁴ B. Segall, Catalog... გვ. 103.

⁶⁵ იხ. E. Zaf O. Negaliban. Notes on some Objects from Marlik. JNES, 1965, XXIX, № 5, გვ. 326—327, ტაბ. LIX, 14; მისივე, A preliminary Report on Marlik Excavation. Teheran, 1964, გვ. 21—22, სურ. 66, 68; გვ. 24 და შემდ. სურ. 79, 82 (ტაბ. VI A).

⁶⁶ მანას სამეფოს შესახებ იხ. Г. А. Меликишвили. Некоторые вопросы истории Манейского царства, 1944, № 1, გვ. 57 და შემდ: И. М. Дьяконов, История Мидии, М.-Л. 1956.

⁶⁷ გველისხმობთ ძეგლების იმ რიგს, რომელნიც ადგილობრივადაა მიჩნეული განსხვავებით იქვე ნაპოვნი ასურული და ე. წ. სკვითური ნივთებისაგან. ზივიეს (საკიზის) განძის შესახებ იხ. A. Godard, Le Tresor de Ziwiye, Haezlem, 1950. აგრეთვე ცალკეული გამოკვლევები: R. Ghirshman-ის („Art. Asiae“, XIII, 3, 1950); A. Godard-ის („Art. Asiae“, XIV, 3, 1951); R. D. Barnett-ის („Iraq“, XVIII, 2, 1956); M. Falkner („Arch. f. Orientforsch“, XVI, 1952—53); H. Kantor (JNES, XIX, 1, 1960); ch. Wilkensen-ის („Iraq“, XXII, 1960); H. Potraz-ის („Orientalia“, 28, 1959); P. Amandry-ს („Iranica Antiqua“, VI, 1966).

⁶⁸ Б. Б. Piotrovskii, Искусство Урагу, Л. 1962, გვ. 86—88.

⁶⁹ იხ. K. Hadzdeck. Der Orschmuck... გვ. 16 და შემდ. B. Segall. Catalog... გვ. 15, 21; P. Amandry. Objets... გვ. 198—199; G. Becatti, Oreficerie... გვ. 77 (ტაბ. LXXI, 274); R. A. Higgins, Greek and Roman Jewellery, London, ტაბ. 27.

⁷⁰ იხ. G. Becatti. Oreficerie... გვ. 183 (ტაბ. LXXV, 293); P. Amandry, L'art scythe archaïque, AA 4, 1965, გვ. 891 და შემდ. სურ. 4.

როგორც ჩანს, კოლხეთამდე⁷¹ მოაღწია, სადაც მოხდა მისი თავისებური ათვისება, გადამუშავება და ორგანულად დაკავშირება საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ ადგილობრივ მხატვრულ ფორმებთან და სახეებთან. ამის შედეგად შეიქმნა კოლხური ოქრომკედლობის თავისებური და განუმეორებელი სტილი, რომლის შესანიშნავი ნიმუშებიც ვანში მრავლადაა აღმოჩენილი.

ამრიგად, ყველა საფუძველი გვაქვს, იმისათვის, რომ ძვ. წ. V—IV საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ცნობილი ცენტრების (აქემენიდური ირანი, ეგვიპტე, კვიპროსი, ლიდია, არმენია, მიდია, ბაქტრიანა) გვერდით კოლხეთიც დავასახელოთ. მით უფრო, რომ კოლხეთში ოქროს მოპოვებასა და დამუშავებაზე ბერძენ-ლათინი მწერლებიც მოგვითხრობენ და მას „ოქრომრავალ“ ქვეყანას უწოდებენ. შეიძლება თამამად ვიკარაუდოთ, რომ ძველ ვანში არსებობდა სწორედ პროფესიონალ ხელოსანთა მძლავრი სკოლა, რომელიც ურთულესი ტექნიკური ხერხების გამოყენებით (კვერვა-პედვა, რჩილვა; ჯავარსი, ტვიფრა) საუკუნეების მანძილზე ქმნიდა მხატვრული ოქრომკედლობის უბრწყინველეს ნიმუშებს.

ვანის არქეოლოგიური მონაპოვარი ნოშშობს აგრეთვე, რომ კოლხურა კულტურის განვითარების ამ ეტაპზე (ძვ. წ. V—IV სს.) კელაე გრძელდება ბრინჯაოს მხატვრული დამუშავება (ნაირსახოვანი სამკაული, საკულტო და სარიტუალო ნივთები, ჭურჭლები). უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ბრინჯაოს ნაწარმში იჩენს თავს გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ტრადიციები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მთელი წყება ძვ. წ. V ს. ბრინჯაოს სიტულებისა, რომელნიც აღმოჩენილია ქობულეთ-ფიჭვნარში, რაქასა და ითხვისში⁷², ხოლო სულ უკანასკნელ ხანს კი (1969 წ.) ვანში ძვ. წ. V ს. ქალის სამარხში; აქ ნაპოვანია სამი ბრინჯაოს სიტულა, რომელნიც თავის ფორმით თითქმის ზედმიწევნით იმეორებენ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში საქართველოსა და კავკასიაში გავრცელებულ ბრინჯაოს ჭურჭლებს, რომელთა ერთ-ერთ საწარმოო ცენტრად მიჩნეულია კოლხეთიც⁷³.

ძვ. წ. V ს. სიტულები უფრო ადრინდლებიანაგან პროპორციებითა და ძირითადად კი ყურის მოყვანილობით განსხვავდებიან. ძვ. წ. I ათასწლეულის

71 მანას სამეფოდან მომდინარე მხატვრულ-კულტურული ელემენტები, როგორც დავინახეთ, ჩანს აგრეთვე ოქროს დიადემის შემკულობაში, რაც ზოგიერთ პარალელს ზივის ძეგლებში პოულობს. შესაძლოა იმავე კულტურული წრიდან მომდინარეობდეს ყურმილიანი დოქების ფორმაც, რომელიც ირანის ტერიტორიაზე (პასანლუ, ზივი, სილუ IV), ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისშია გავრცელებული. (იხ. R. Ghirschman. Iran Protoiranien, Meder, Achämeniden, München, 1964, გვ. 128, სურ. 170; Robert H. Dyson, Problems of Protohistoric Iran, JNES, XXIV, 3, 1965, გვ. 200, სურ. 7), ხოლო კოლხეთში VI—V საუკუნეებისთვისაა ძალზე ტიპური. ეს, თუმცა ჯერ კიდევ მეტად მცირერიცხოვანი მასალები, სკამენ ჩვენს წინაშე ძვ. წ. VI—V სს. კოლხური კულტურის შემადგენელი ელემენტების ისტორიული ფესვების საკითხს. ხომ არ აისახა აქ კულტურულ-ეთნიკური კონტაქტები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ძველი მანასა და მიდიის მოსახლობასთან. გამოიციხულა არ უნდა იყოს ამ დღი და ძლიერი სამეფოების ნგრევის პერიოდში გარკვეული ეთნიკური ინფილტრაცია.

⁷² იხ. ი. გაგოშიძე. ითხვისის სამარხი. გვ. 37—38, ტაბ. II/8; ზღ. M. M. Трапш. Труды, 2, გვ. 141—143, 167—168, ტაბ. XIV.

⁷³ დაწვრ. ლ. სახაროვა, უძველესი ბრინჯაოს ჭურჭლები, „საბჭოთა ხელოვნება“, 1965, № 12.

პირველი ნახევრით დათარიღებული ქურქლების ყურის ზედა ნაწილი ზედმიწევნით იმეორებს იმავე ხანის კოლხური თიხის ქურქლის ე. წ. „ზომორფული“ ყურების შემკულობას⁷⁴. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ყურები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრისთვისაა დამანასიათებელი და როგორც წესი, აღარ გვხვდება ძვ. წ. VI—V საუკუნეებიდან. შესაბამისად განსხვავებულია ბრინჯაოს სიტულების ყურების ფორმაც ძვ. წ. V საუკუნეში. ვანში ნაპოვნი ერთი სიტულის ყურის ზედა ნაწილი ცხოველის დაქვევებული და თავწაწვეტებული ყურების იმიტაციას წარმოადგენს და ზუსტად იმეორებს თიხის ქურქლის ყურების ფორმას, რომელიც გვხვდება ძვ. წ. VI და V საუკუნეებში⁷⁵. ამრიგად, ჩანს, ერთი მხრივ, ქურქლის ტრადიციული ფორმის შენარჩუნება და განვითარება, ხოლო მეორე მხრივ, მისი მორთვა ეპოქის მხატვრული სტილის მიხედვით. სიტულების მეორე ჯგუფის ყურები წნული ორნამენტითაა შემკული, აპასთან ვანში ნაპოვნი ერთ სიტულას ძირზე სვასტიკის გამოსახლება ამკობს. საგანგებოდაა აღსანიშნავი ეანის 1969 წ. აღმოჩენილი ქალის სამარხში მიცვალებულის თავთან ნაპოვნი ბრინჯაოს ქურქელი (დაახლ. 14 სმ სიმაღლისა), რომელიც თითქმის ზუსტად იმეორებს ზემოაღნიშნული სიტულების ფორმას: ყურები შემკულია წნული ორნამენტით, ხოლო ძირზე გამოსახულია სვასტიკა. შემორჩენილია სახურავი, რომელზეც ცხოველთა გრავირებული გამოსახულებაა (ჭიხვი, ტახი, მამალი, ლომი?), რომელიც კოლხური ცულებისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სტილითაა შესრულებული (სურ. 224, 225).

ძალზე მრავალფეროვანია და საკმაოდ მრავალრიცხოვანიც ვანის მდიდრულ სამარხებსა და ძვ. წ. V—IV საუკუნეების კულტურულ ფენებში მოპოვებული კერამიკა. საერთოდ, როგორც ცნობილია, კერამიკული წარმოება ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხეთის ერთ-ერთ განვითარებულსა და მაღალდაწინაურებულ დარგს წარმოადგენს. ამ ხანის კოლხური თიხის ქურქელი მეტად მრავალფეროვანია თავისი დანიშნულებით (სამეურნეო, სუფრის, საკულტო, სარიტუალო), ამასთან გამოირჩევა უაღრესად ნატიფი და ორიგინალური ფორმებით. ძვ. წ. VI—V საუკუნეების კოლხური კერამიკა ძირითადად შავი ფერისაა (ან ზოგჯერ ნაცრისფერზედაპირიანი), კარგადაა გამომწვარი, შემკულია მეტწილად გეომეტრიული ორნამენტით (ტალღისებური, სამკუთხა, რომბული, წიწვისებური, გრეხილი, თევზიფეხური სახეებით) და ზოგჯერ გაპრიალებულიცაა.

კერამიკული წარმოების ფართო მასშტაბს მოწმობს ეანის არქეოლოგიური მონაპოვარში (ძვ. წ. V—IV სს კულტურულ ფენებსა და სამარხებში) კერამიკული მასალების არაჩვეულებრივი სიმრავლე და მათი მრავალფეროვნება: სხვადასხვა ფორმის დიდი ზომის სამეურნეო დანიშნულების ქურქელი (ქვევრები, დერგები), მრავალგვარი ქოთნები, დოქები, კათხები, მათარები, სხვადასხვა ფორმის სასმისები, ჯამები; თეფშები...

განსაკუთრებით დამახასიათებელია შავზედაპირიანი ქვევრები და დერგები. ძვ. წ. VI—IV სს. მათ აქვთ კარგად პროფილირებული (კრილში სამკუთხა

⁷⁴ ზღ. ბ. ა. კუფტინ, Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси, 1950, გვ. 124.

⁷⁵ თიხის ქურქლის ასეთი ყურები ნაპოვნია მაგ, ფოთის მახლობლად, სიმაგრეს ანტიკურ ნაშთსაღარზე, რომელიც ძვ. წ. VI ს. უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება (თ. მიქელაძის გათხრები), ასეთივე სურათი შემკული ქურქელი ნაპოვნია აგრეთვე ქუთაისში (გამაშვილების გორაზე) ძვ. წ. V საუკუნის ნაშთსაღარზე (ინახება ქუთაისის მუზეუმში).

მოყვანილობის) პირის გვირგვინი, რომელიც ყოველთვის ორნამენტირებულია (თევზიფხური, გრეხილი, რომბული თუსხვა სახეებით). ქვეერის მუცელგამობერილი ტანი დაფარულია წერილი, მკაცრად პორიზონტალური დარებით (თითქოს დაპტრიხულია) და შემკულია აგრეთვე რელიეფური ქედებით. ზოგიერთ ქვეერზე გვხვდება ცხოველთა და ფანტასტიურ არსებობათა გამოსახულებანი, რომელნიც სტილისტურად თითქოს იმეორებენ კოლხური ბრინჯაოს ცულების გრავირებულ გამოსახულებებს.

საკმაოდ მრავალფეროვანია ძვ. წ. VI—V სს კოლხური დოქები, რომელთაგან ტიპურია ყურმილიანი ჭურჭლები, უპირატესად ბიკონუსური ფორმისა. საერთოდ ბიკონუსური მოყვანილობა კოლხური თიხის ჭურჭლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია (სურ. 217—222).

ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული ძვ. წ. VI—IV სს. კერამიკა, როგორც ფორმებით, ასევე ორნამენტაციით სავსებით ანალოგიურია ამ დროს მთელ კოლხეთში ფართოდ გავრცელებული თიხის ჭურჭლებისა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძვ. წ. VI—IV სს კოლხური კერამიკა წარმატებით უწყვედა მეტოქეობას იმდროინდელ მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულ ბერძნულ მხატვრულ კერამიკას. მაშინ როდესაც ანტიკური სამყაროს პერიფერიებში ბერძნულ იმპორტულ კერამიკას გაბატონებული მდგომარეობა უკავია, კოლხეთში მისი რიცხვი ადგილობრივთან შედარებით მინიმალურია. ნიშანდობლივია, რომ წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში (№ 11) ნაპოვნია მხოლოდ ორი ბერძნული თიხის ჭურჭელი (შავლაკიანი კილიკი და ამფორისკი), მაშინ როდესაც კოლხური ჭურჭლების რიცხვი 20-მდე აღწევს!

ვანის მდიდრულ სამარხებში ნაპოვნი ნივთების ერთი ნაწილი იმპორტულია და წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან მასალას კოლხეთის ანტიკურ სამყაროსთან სავაჭრო ეკონომიური ურთიერთობის ისტორიისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა 1969 წ. წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში (№ 11 სამარხი) ნაპოვნი ბრინჯაოს, ვერცხლისა და თიხის ჭურჭლები. საგანგებოდაა აღსანიშნავი ბრინჯაოს სურა (ოინოხოია, სურ. 208) და პატერა, რომელნიც ხელის რიტუალური დაბანისათვის იყო განკუთვნილი (სურ. 207). პატერის ტარი ტანშიშველი ჭაბუკის სკულპტურულ ფიგურას წარმოსახავს. სახისა და ტანის სტილისტური თავისებურებანი, განსაკუთრებით კი ქანდაკების მწყობრი კონტურა და წაგრძელებული პროპორციები, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი ფეხები, მარცხენა ხელის ასიმეტრიულობა, ზომები და აგრეთვე აკროტერიუმის სახით შესრულებული დამაკავშირებელი ფირფიტა, ამ პატერა აახლოვებს ატიკური წარმოების პატერებთან (მის ე. წ. აკროპოლისის ჯგუფთან), რომელთაც ძვ. წ. 500—480 წწ ათარიღებენ⁷⁷. ძვ. წ. V ს. მეორე მეოთხედით თარიღდება იქვე ნაპოვნი ატიკური წარმოების ორი ვერცხლის კილიკი⁷⁸ (სურ. 209) და აგრეთვე ატიკური შავლაკიანი მაღალფეხიანი კილიკი⁷⁹ (სურ. 213). შესაბამისად იმავე ხა-

⁷⁷ შდრ. M. Gjedesen. Bronze Paterae with Antropomorphic Handles, „Acta Archeologica“, Kobenhavn, 19, 1944, გვ. 110 და შემდ. № 10—17, № 29; A. Ridder, Catalogue des Bronzes sur l'Acropole d'Athens, Paris, 1896, № 707, სურ. 224.

⁷⁸ შდრ. H. Bloesch. Formen attischen Schalen... Berlin, 1940, გვ. 137 და შემდ. 143; ტაბ. 39, 4a; L. Talcott, Vases and Kalosnames from an Agora Well, „Hesperia“, გვ. 336 და შემდ. სურ. 4.

⁷⁹ შდრ. H. Bloesch. Formen... გვ. 141 და შემდ; L. Talcott; Vases... გვ. 333, და შემდ. სურ. 4. CVA, Suisse, fas. I, Genève I, 1962, გვ. 31, ტაბ. 26/4.

ნისა იმავე სამარხში ნაპოვნი ასევე ატიკური მცირე ზომის ამფორა⁸⁰ (სურ. 214) და რამდენიმე სრულიად უნიკალური ნივთი. ასეთია პირველ რიგში ატიკური ტიპის ვერცხლის არხალოსი (სურ. 210), რომლას პირი ლეკითოსისებური ჭურჭლისაა, ხოლო ყურები ფრინველის სახითაა გაფორმებული⁸¹. ძირზე — გათხვევებული ლოტოსის გამოსახულება⁸². სფეროსებური ტანი „ენების“ ორნამენტითაა შემკული, მათ შორის კი შექმნილია ფრიზი, რომელზედაც სფინქსების მსგელობის გრავირებული გამოსახულებებია. სფინქსებს წინა ხელი⁸³ ზეაწეული აქვთ. სფინქსის თავი (მოკლედ შეკრილი და შუბლზე აქოჩრილი თმა) და გარმზავებული მონარგვალეული ფრთები თითქოს იმეორებენ ატიკურ ტიპს. რომელიც წარმოდგენილია ბრიტანეთის მუზეუმის ორ წითელფიგურულ რიტონში. სფინქსს რომ წარმოსახავს. მათგან ერთი ძვ. წ. V ს. მეორე მეოთხედში მოღვაწე ცნობილი ატიკელი ოსტატის — სოტადის ნახელავია⁸⁴, ხოლო მეორე — პისტოქსენის⁸⁵.

ჭურჭლის ატიკური ფორმა და სფინქსის (სტილის თვალსაზრისით) ატიკურია იქრა გვაფიქრებინებს, რომ ეს მრავალმხრივსაინტერესო პატერა ატიკურია სახელაანობის ნაწარმია. სტილიტურად ამავე რიგისაა მჭდომარე სფინქსის სკულპტურული გამოსახულება, იმავე სამარხში ნაპოვნი ვერცხლის კოვზს რომ აქვობს. დაბოლოს აღსანიშნავია, აგრეთვე, ასევე სრულიად უნიკალური ვერცხლის სარწყულა, ყურზე ფრთოსანი ლომის სკულპტურული გამოსახულებით, ხოლო მათ ქვემოთ ორ-ორი ვერძის გამოსახულებაა მუცელზე მიჩილული. თავისებურია იქვე ნაპოვნი ე. წ. ფინიკიური მინის ორი თასი, რომელთაგან ერთი ცისფერი მინისაა და მორთულია ყვითელი ფერის სარტყლებით, ხოლო მეორე მელნისფერია (სურ. 215—216).

ამრიგად, აქ აღწერილი ნივთების უმრავლესობა ზუსტად თარიღდება ძვ. წ. V ს. მეორე მეოთხედით და წარმოადგენს ძველი ბერძნული ტორევეტიკის უნიკალურ ნიმუშებს. მათი აღმოჩენა ვანში არაპირდაპირი მოწმობაა იმისა, რომ ამ უბრის ვანი წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურსა და სავაჭრო ცენტრს. ეს აღმოჩენა იმითაცაა საინტერესო, რომ იგი აზუსტებს ათენის კოლხეთთან ურთიერთობის ახალი ეტაპის დასაწყის თარიღს: კოლხეთი ათენის სავაჭრო ურთიერთობათა ინტერესების სფეროში მოექცა ბერძენ-ირანელთა ომის დამთავრებისთანავე, ე. ი. ძვ. წ. V ს. 70-იანი წლებიდანვე. სწორედ

⁸⁰ იხ. M. Ebert. Ausgrabungen auf dem Gute Maritzin, PZ, V, 1913, სურ. 33.

⁸¹ ამ ტიპის თხის არხალოსი ატიკურ კერამიკაში ჩნდება ძვ. წ. VI ს. უკანასკნელ მეოთხედში და გავრცელებულია ძვ. წ. V და IV საუკუნეებში. იხ. J. D. Beazly. Arybalos, ABSA, XXI, 1927/28, გვ. 194 და შემდ., 197, გვ. 212.

⁸² ამ ტიპის ორნამენტის განვითარების შესახებ იხ. H. Payne, Necrocorinthia, გვ. 146 და შემდ. სურ. 54.

⁸³ ზეაწეული თათი ადამიანის ხელისა და თითების სახითაა, რაც სრულიად უჩვეულოა ატიკურ და სეროელ ბერძნულ ტიპის სფინქსის გამოსახულებებისათვის ადამიანისხელოანი რეაქციული სფინქსი გამოსახულია თითქოს ერთ-ერთ ვებეურ შავფიგურულ ლეკიონზე. D. V. Bohmer, Euboean Black-figure In New York, „Metropolitan Museum Journal“, 2, 1967, სურ. 35.

⁸⁴ CVA, Great Britain 5, British Museum 4 [III c—part II]: E. 788 (ტაბ. 40, 1a—d), იქვე, დანახ. პლტ.

⁸⁵ იქვე, ტაბ. 40, 2a—d.

ამ დროიდან, როგორც ჩანს, ათენი დაოკავებს დომინირებულ მდგომარეობას საერთოდ შავი ზღვისპირეთიდან ვაჭრობამ⁸².

ამრიგად, ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ძვ. წ. V—IV სს. მდიდრული სამარხები მოწმობენ, რომ ამ დროს ეს ბორცვი ადგილობრივი ზედა ფენის (საგვარეულო არისტოკრატიის?) ადგილსამყოფელია და კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ (და აგრეთვე ეკონომიურ) ცენტრს წარმოადგენს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროის ნივთიერი კულტურა (დასასლების ტიპი, დაკრძალვის წესები, ოქროსა და ვერცხლის სამკაული, ბრინჯაოს ნაწარმი, კერამიკა) ზუსტად ისეთივეა, როგორც მთელ კოლხეთში (ზღვისპირა და შიდა რაიონებში), რაც ძვ. წ. VI—V საუკუნეების კოლხეთის ნივთიერი კულტურის ერთიანობის კიდევ ერთი თვალსაჩინო მოწმობაა. ამ დროს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვანის სანახები დასავლურ-ქართული ანუ მეგრულ-ქანურ (ზანური) ტომების განსახლების არეშია მოქცეული (და შესაძლებელია ამ ხანის დანაშრეებთა სწორედ წარმოდგენილი ვანის „ქვეყნის“ ტოპონომიკაში, რომლის ერთი გარკვეული ნაწილი ამჟამად მეგრული წარმოშობისაა). ამიტომ. შეიძლება ვანის ძველი ქალაქის ისტორიის ამ ეტაპს (ძვ. წ. VI—IV სს.) ვუწოდოთ კოლხური პერიოდი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ეტაპის დასასრულისათვის (ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარი) ვანის ძველ ქალაქში ძალიან მკაფიოდ და საკმაოდ თავისებური სახით იჩენს თავს კოლხეთის ბერძნულ-ანტიკურ და აგრეთვე სხვა უცხო ქვეყნებთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგი. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა 1969 წელს აღმოჩენილი კოლხი მეომრის სამარხი (№ 9 სამარხი). რომელიც იქვე ნაპოვნი ფილიპე II მაკედონელის ოქროს სტატერით (ძვ. წ. 359—336 წწ), ატიკური შავლაკიანი კანთაროსით (სურ. 177) და ამფორებით (სურ. 165) საკმაოდ ზუსტად თარიღდება ძვ. წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით⁸⁷. და აი უკვე ამ დროს დაკრძალვის წესსა და სამარხულ კომპლექსში მოჩანს რიგი სრულიად ახალი ნიშნებისა.

სამარხი კლდოვან დედაქანშია აპოკვეთილი, ხოლო მიცვალებული დაკრძალული უნდა ყოფილიყო ხის სარკოფაგში (შემორჩა მხოლოდ რკინის ლურსმნები), რომელიც შემდეგ თიხა-მიწითა და რიყის ქვაყრილით იყო დაფარული. მეომრის სამარხი სამი მხრიდან შემორაგული იყო რკინის შუბისპირებითა და ხელშუბებით (სურ. 163, 174—175), რომელთა საერთო რაოდენობა 50-ს აღწევს⁸⁸. აქვე უნდა დავძინოთ, რომ სამარხში ნაპოვნი (მეომრის ფერხით) რკინის ფარიც (სურ. 164), აგრეთვე რკინის მახვილი და სატევარი, ხოლო უთვალავი რაოდენობით — რკინისა და ბრინჯაოს ისრისპირები. თუ გავითვალისწინებთ, რომ რკინის იარაღი იმ დროს ძალზე ძვირად ფასობდა და კერძო

⁸² უდრ. И. Б. Брашнинский. Афины и Северное Причерноморье VI—II вв до н. э. М. 1953, გვ. 35 და შემდ.

⁸⁷ დაწერ. ამ სამარხის შესახებ იხ. ამავე კრებულში — ოთ. ლორთქიფანიძე, ქყონია, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორაძეა. დასახ. ნაშრ. გვ. 203.

⁸⁸ ბუნებრივია ასოციაცია არისტოტელეს ცნობასთან, რომელსაც ქართულ ტომებს უკავშირებენ: „იბერთა შორის, რომელიც მეომარი ტომია (წესია) იმდენი სარი უნდა დაირქოს (კაცის) საფლავის ირგვლივ, რამდენი მტერიც ჰყავს მას მოკლული“. რომ ქართველ ტომებში მტრის მოკლა გარკვეული წესით აღინიშნებოდა, მოწმობს ეთნოგრაფიული პარალელეები — იხ. თ. ალ. ხიციანიძე, ბერძენი მწერლები ცნობები საქართველოს შესახებ, II, თბილისი, 1969, გვ. 23—24.

საკუთრების საგანს შეადგენდა, ადელი წარმოსადგენი ვახდებდა სამარხში და-
კრძალული მეომრის წარჩინებულობა და მისი უთუოდ მაღალი რანგი, რასაც
იქვე მრავლად ნაპოვნი ოქრო-ვერცხლის სამკაულის ხასიათიც და დაკრძალვის
წესიც ადასტურებს.

მეომრის ოქრო-ვერცხლის სამკაული თითქმის მთლიანად კოლხურია. გან-
საკუთრებით საინტერესოა მდიდრული თავსაბურავი, რომელიც განსხვავდება
ძვ. წ. V საუკუნეში გავრცელებული დიადემებისაგან, მაგრამ უშუალო ანალო-
გიებს ისევ კოლხეთში პოულობს. ამჟერად თავსაბურავი ოქროს ფიგურებისა-
განაა შედგენილი (სურ. 166): ესაა ცხენოსნისა და მასზე მირჩილული სხვადა-
სხვა ზომის ორი ფრინველის დაცვარული გამოსახულებანი (სულ 15-ია ნაპოვ-
ნი და ყველა თავის ქალის არეში). ტიპოლოგიურად და მხატვრულ-სტილის-
ტური თვალსაზრისით ისინი ემსგავსებიან ოჩამჩირეში აღმოჩენილ ოქროს ფი-
გურებს, რომელიც ბ. კუფტინის თქმით, „თავისებურ, არაბერძნული მხატვ-
რული სტილის, აქლემისებურ ფრთოსან ცხოველებს წარმოსახავენ“⁸⁹.

მეომარს აღმოაჩნდა ერთადერთი ოქროს საყურე (ე. წ. კვირულბურთუ-
ლიანი ტიპისა), რომელიც (სურ. 168) ტიპოლოგიურად ძვ. წ. V ს. გავრცელე-
ბულ კოლხური საყურეების შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. რამდენად-
მე ახალია ოქროს მთვარისებური საკიდები (სურ. 167), რომელთა ნაპირები
ცვრათია შემკული. მეომრის ოქროს დაკბილული სამაჭურები (სურ. 170) თით-
ქოს იმეორებენ კოლხეთსა და კავკასიაში ძვ. წ. VII—VI სს. საუკუნეებში გა-
ვრცელებულ სამაჭურებს⁹⁰, ხოლო ცხოველისთავიანი ვერცხლის სამაჭურები
სავსებით ანალოგიურია ძვ. წ. IV ს. დაბლაგომის ქვევრსამარხებში და საერთოდ
მთელ საქართველოში ამ დროს ცნობილი სამაჭურებისა⁹¹.

წარჩინებულ მეომარს 4 ბეჭედი აღმოაჩნდა. ერთ-ერთ ოქროს საბეჭდავზე
(სურ. 169) გამოსახულებასთან ერთად ბერძნული ასოებით ამოკვეთილია სა-
კუთარი სახელი „დედატოს“. ჭერჭერობით ძნელია თქმა ბეჭდის მფლობელის
(ე. ი. დაკრძალული მეომრის) სახელია თუ არა „დედატოს“, მაგრამ იმის თქმა
მაინც შეიძლება, რომ ეს სახელი არ ჩანს ბერძენთა საკუთარ სახელებს შორის⁹².

ამგვარად, წარჩინებული მეომარი კოლხურ იარაღ-სამკაულს და ბერძნულ
წარწერიან ბეჭედს ატარებდა. ბერძნული კულტურის გავლენა ჩანს აგრეთვე
აბჯარ-საჭურველის ზოგიერთ დეტალში: მეომრის ქვედა კიდურებს მოსავედა
ბრინჯაოს აბჯარი (სურ. 162), რომელიც ტიპოლოგიურად იმეორებს ბერძნული
ფეხის აბჯრის, ე. წ. კნემიდების ფორმას (სურ. 172). ეს უკანასკნელი ფართოდ
იყო გავრცელებული მთელ ანტიკურ სამყაროში, განსაკუთრებით ძვ. წ. V ს.
შუა ხანებიდან ძვ. წ. II ს. დასასრულამდე⁹³. უაღრესად საინტერესოა, რომ
კოლხი მეომრის ფეხის აბჯარი ორწილადი იყო და იცავდა ფეხს როგორც

⁸⁹ Б. А. Куфтин. Материалы... II, гл. 272, таб. 37/4.

⁹⁰ შტრ. М. М. Трапш, Памятники колхидской и скифской культуры, гл. 63 (იქ-
ვეა ლტ). ტაბ. XXX.

⁹¹ Б. А. Куфтин. Материалы... II, гл. 38 და შემდეგ.

⁹² ჩვენ შევამოწმეთ ვ. ბებტელის, ფ. ღორზაიფისა და ვ. ჰანსენის, ა. ფიკის, ე. პაეის,
ფრ. პრაისაეის და ლ. ზგუსტას საკუთარ სახელთა ლექსიკონები.

⁹³ W. Gaerte. Die Peinschützwaflen der Griechen, Dresden, 1920, გვ. 12—26;
Л. К. Галанина, Греческие поножи Северного Причерноморья, „Археологический
сборник“ (Гос. Эрмитаж), VII, 1965, гл. 5 და შემდ.

მუხლს ქვემოთ, ასევე მუხლს ზემოთ, რაც საკმაოდ იშვიათია თვით ბერძენთა შორისაც, ვინაიდან იგი ძვირად ფასობდა და ამიტომ თეძოებს ფარზე მიმაგრებული ტყავით იფარავდნენ. ეს კიდევ ერთი მოწმობაა ვანში 1969 წ. აღმოჩენილ სამარხში დაკრძალული მეომრის წარჩინებულობისა⁸⁴.

ამავე სამარხში ვხვდებით ჩვენ მონეტის ჩატანების წესს: ნაპოვნია ფილიპე II მაკედონელის (ალექსანდრე მაკედონელის მამის) ოქროს სტატერი.

მისწრაფება ბერძნული ჩვევებისაკენ ჩანს დაკრძალვის წესის ზოგიერთ დეტალში და საიქიოდ გატანებული ნივთების ხასიათშიც: კოლხურ თიხის ჯამთან (სურ. 178) და აღმოსავლურ წითლად მოხატულ დოქთან ერთად (სურ. 176), კოლხი მხედართმთავრისათვის ბერძნული (მცირე აზიული) ბრინჯაოს ლანგარი და თიხის შავლაკიანი საღვინე თასი (ატიკური კანთაროსი) გაუტანებიათ. თუ ბერძნულ სუფრის პურქელსა და პირისსაფარეშო ნივთებს კოლხ წარჩინებულთა სამარხებში ძვ. წ. V საუკუნეშიც ვხვდებით, სამაგიეროდ თითქოს ახალ მომენტია (ვანის მდიდრული სამარხებისათვის) ამფორების ჩატანება: საკუთრივ მეომრის სამარხში ერთი ამფორა აღმოჩნდა, ხოლო მის გარეთ — 5 (სურ. 165). მათგან ორი კოლხურია, ერთი სინოპური (დამლიანი), ხოლო ორი — ე. წ. სოლოხა I ტიპისა. ზოგიერთი ამფორა ალბათ ღვინით იქნებოდა სავსე, შესაძლოა აგრეთვე მარცვლეულით ან ზეთუნის ზეთით (მაგ., ცნობილია, რომ სინოპეს ამფორებით ჩვეულებრივ ზეთუნის ზეთი შემოჰქონდათ), რომლის გამოყენებაც აგრეთვე ძველ ელინურ ჩვევებთანაა დაკავშირებული.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წარჩინებული მეომრის ფერხთით აღმოჩნდა კიდევ ორი ჩონჩხი (ქალისა და მამაკაცისა). ისინი თითქმის ყოველგვარი სამკაულის გარეშე იყვნენ დასვენებული ძაღლის ჩონჩხზე. საფიქრებელია, რომ ესენი იყვნენ წარჩინებული მეომრის მსახურნი თუ ტყვე-მონები. როგორც ჩანს, ისინი „იმ ქვეყანაში“ სამსახურად გაატანეს „ამა ქვეყნის ძლიერს“. ეს წესი რამდენადმე უცნაური, უჩვეულო და მოულოდნელი ჩანს ძვ. წ. IV ს. კოლხეთისათვის, მაგრამ მრავალ ანალოგიას პოულობს სკვითურ-ირანულ სამყაროში⁸⁵. საინტერესოა, რომ იქ სადაც „მონებია“ დაკრძალული, გათხრებისას ფიქსირებულია ხის ბორბლის ანაბეჭდი. ხომ არ ეკუთვნოდა იგი დასაკრძალავ ეტლს, რომელიც დაკრძალვის რიტუალის შესრულებას შემდეგ იქვე დაამსხვრიეს (ასეთი წესი სკვითებშია დადასტურებული)⁸⁶.

ამრიგად, წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხში ტრადიციულ ელემენტებთან ერთად (სამარხის აღნაგობა, სამკაული) ჩვენ ვხედავთ ზოგიერთ ახალ წესსაც, რომელიც ბერძნულ და სკვითურ-ირანულ სამყაროსთან კონტაქტებით შეიძლება აიხსნას. ამ თვალსაზრისით, ეს მრავალმხრივ საინტერესო სამარხი თითქოს პირველი მაინც იმ ახალი და რთული მოვლენებისა, რომელნიც ძვ. წ.

⁸⁴ საინტერესოა, აღინიშნოს, რომ ფეხის მთლიანად ლითონის ორწილადი აბჯრით დაფარვა წესად იყო საშუალო საუკუნეების ქართულ ლაშქარში, რასაც მოწმობს ქართულ წყაროებში შემონახული ტერმინები: „საბარკული“ (დაწვრ. ცხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, თბილისი, გვ. 220—223, 265, 270—274) და „საწიკვე“.

⁸⁵ დაწვრ. იხ. М. И. Ростовцев. Скифия и Боспор, Л. 1925 გვ. 331—333; მისივე, Эллинизмо и Иранство на Юге России, Петроград, 1918, გვ. 67.

⁸⁶ იხ. М. И. Ростовцев. Скифия... გვ. 330.

IV საუკუნის მიწურულიდან — ელ-ნიზმის ხანაში, თავს იჩენენ ძველი კოლხეთის სოციალურ-ეკონომიურ წყობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კულტურაში.

ამ დროს — ძვ. წ. IV ს. დასასრულსა თუ III ს. დასაწყისში იწყება ახალი ეტაპი ვანის ძველი ქალაქის ისტორიაშიც. ამასთან გარეგნული იერით, ნივთიერი კულტურითა და საერთოდ თავისი ხასიათით იგი მკვეთრად განსხვავდება წინამორბედი ხანისაგან.

ძვ. წ. III—I საუკუნეების ქალაქი განლაგებული იყო სამკუთხა მოყვანილობის ბორცვზე. რომლის ფართობი დაახლ. 12 ჰექტარია და სამ ტერასადაა დანაწილებული. ქალაქი გამაგრებული ყოფილა მძლავრი თავდაცვითი კედლებით. ამასთან შესანიშნავადაა გამოყენებული ბუნებრივი პირობებიც — აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან მას იცავდა ღრმა ხეხეები, მიუვალი, ციცაბო კლდეები. გალავნის კედლების სისქე, როგორც წესი, სამ მეტრამდე აღწევს და ამოყვანილია დიდი ზომის (55×80 სმ; 50×70 სმ; ან 50×50; 40×50, 30×50 სმ) სწორკუთხა ქვათილებით, რომელთა ნაპირები საგანგებოდაა ჩამოთლილი, ხოლო მათ შორის შექმნილი ბალიში წვეტიანი იარაღითაა დაკეცილი. ესაა ბერძნულ-ელინისტური ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი „რუსტებიანი“ წყობა⁹⁷, რომელიც სიმაგრესთან ერთად განსაკუთრებულ სილამაზესაც ანიჭებდა საფასადო კედლებს. ამგვარი ქვათილებით, ჩვეულებრივ, გალავნის კედლის გაოე და აგრეთვე ზოგჯერ შიდა პერანგია შედგენილი⁹⁸, ხოლო მათ შორის სივრცე უწყსრივად გათლილი ქვებით, დიდი ზომის რიყის ქვებითა და თიხითაა ამოვსებული. ქვასთან ერთად საშენ მასალად გამოყენებულია ალიზ-აგურიც — ამასთან როგორც გამოუწვავი, ასევე გამოწვარიც. ძალზე საინტერესოა, რომ ვანური ალიზ-აგური სიგრძით დაახლოებით 52 სმ-ია, ხოლო სისქით 8—10 სმ. ამგვარად იგი განსხვავდება ბერძნულ სამყაროში გავრცელებული ალიზის აგურებისაგან და თითქმის ზუსტად ემთხვევა ქართლის სამეფოში (იბერია) იმავე ხანებში ფართოდ ხმარებულ ალიზის აგურთა ზომებს⁹⁹.

ჟ ქალაქის ჩრდ. ნაწილში განლაგებულია კარიბჭის რთული არქიტექტურული კომპლექსი¹⁰⁰. (სურ 103—106, 117), ჩრდილოეთის მხრიდან შესასვლელი არ იყო, როგორც ჩანს, ბორბლიანი ტრანსპორტისათვის განკუთვნილი¹⁰¹ და მხოლოდ ქვეითად მოსიარულეთ ემსახურებოდა. ძველი ქართული ტერმინო-

⁹⁷ „Эллинистическая техника“ (Сборник статей под ред. И. И. Толстого). М.—Л. 1948, ст. 12—13.

⁹⁸ ძალზე საინტერესოა (და თავისებურიც), რომ რუსტებიანი ქვათილები ვანში ზოგჯერ ინტერაქსის წყობაშია გამოყენებული (მაგ. კარიბჭეზე მიშენებული საკულტო ნაგებობაში).

⁹⁹ შტრ. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბილისი, 1963, გვ. 77—78.

¹⁰⁰ დაწვრ. იხ. ამავე კრებულში — ნ. ხოშტარია, ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთუჩიძე, გ. ლევადა, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1966 წ. გვ. 153 და შემოქ.

¹⁰¹ კარიბჭის აღმოსავლეთი ნაწილი და ნახევარწრიული კოშკის დასავლეთი ნაწილი ამჟამად შორღვეულია. თუ აღუადგენთ კოშკის რადიუსს (რაც დაახლ. 13,5 მეტრს უდრის), აგრეთვე კატარაქტისა და კუტიკარის აღმოსავლეთი ბურჯების ადგილმდებარეობას და შესაბამისად წარმოვიღვენთ კატარაქტისა და კუტიკარის სავარაუდო სიდიდეს (დაახლ. 2 მ.), მაშინ აღარ რჩება ავგილ ბორბლიანი ტრანსპორტისათვის.

ლოგით მას „სოტა კარი“¹⁰² ეწოდებოდა¹⁰³. აღმოსავლეთის მხრიდან იცავდა ნახევარწრიული კოშკი და ნაგებობათა მთელი სისტემა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აქ მრავლადაა ნაპოვნი სხვადასხვა ზომის ქვის კურეები, რომლებსაც როგორც ცნობილია, საგანგებო მანქანებით ტყორცნიდნენ. ყოველივე ეს მოწმობს ქალაქის დაცვის მაღალ ორგანიზაციას¹⁰⁴.

კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსის სამშენებლო ტექნიკა, კარების კონსტრუქცია და საერთოდ გამაგრების სისტემა ძალიან ახლო დგას ბერძნულ-ელინისტური ქალაქების ანალოგიური დანიშნულების ნაგებობებთან¹⁰⁵. მაგრამ იმავე დროს ძალზე მკაფიოდ იჩენს თავს ზოგიერთი თავისებურებანი. ასეთებია შესასვლელის წინ მფარველი ღვათების ქანდაკების აღმართვა¹⁰⁶ და განსაკუთრებით კარიბჭის კედელზე მიდგმული საკულტო ნაგებობა, რომელიც აღმ. მხრიდანაა ღია. (სურ. 104). ამ პატარა ტაძარში საკურთხეველთან ახლოს აღმოჩენილია თიხის 23 კურკელი: ჭამები, ქოთნები, წითელი სარტყლებით მოხატული ორყურა ქილა და სამტუჩა დოჭები, აგრეთვე ხუთი ამფორა. ყველა ეს კურკელი, რომელიც შეწირულობას წარმოადგენს, ადგილობრივ მეთუნეთა ნახელავია. ძალზე საინტერესოა, რომ ორი ამფორა ფეტვის მარცვლით იყო სავსე. ფეტვი კი მეგრული და სვანური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დიდ როლს ასრულებდა ნაყოფიერების ღვათებებთან დაკავშირებულ რიტუალში¹⁰⁷.

ზემოაღწერილი საკულტო ნაგებობის (ტაძრის) გარეთ, მის სამხრეთ კედელთან მონოლითში ამოკვეთილია როფი, რომელიც პროფ. ვ. ბარდაველიძის აზრით, შესაძლოა მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლის ჩასადვრელად იყო განკუთვნილი. ამ პატარა ტაძარს — სამლოცველოს რიყის წერილი ქეით

102 ი. ვ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1946, გვ. 48.

103 საფუძვლებია. რომ ქალაქს კიდევ უკონდა შესასვლელი. მაგალითად, ძალზე რთული საკითხია, თუ როგორ იყო გამაგრებული ქალაქის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, რომელსაც თითქოს ბუნებრივი საფარი არ გაჩნია. ამჟამად ძველი გეოგრაფიული კონტურები დარღვეულია. მაგრამ საუბრეებელია, რომ აღმ. და დას. მხრიდან ქალაქის ვარჯიშეული ხეები საგანგებოდ გაჭრილი არხით იყო დაკავშირებული, ან კიდევ კედლებითა და კოშკებით დასული. ასეთ შემთხვევაში გამოირჩეული არაა, რომ ქალაქს ამ მხრიდან უკონდა კიდევ ერთი შესასვლელი, სამწუხაროდ, ახლა ძნელია ამ საკითხებზე დაწერილებით მსჯელობა. ვანის ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემის დეტალური შესწავლა შემდგომი არქეოლოგიური კვლევა-ძიების საქმეა.

104 ვალანის კედელთან ქვის კურეების სიმრავლე გარკვეულ საომარ სამზადისზე მიუთითებს და თავისებური ილუსტრაცია იმ მღვდლარე მოვლენებისა, რომლითაც აღსავსეა ძვ. წ. I ს. პირველი ნახევარი კოლხეთის ისტორია: მითრიდატე VI ევპატორის დაპყრობითი ომები, რომელთა ექსპანსია, ბოსფორისა და პერგამონის შეფეთა მმართველთა შემოსევები...

105 *Всеобщая история арийских народов*, т. II, вып. I. М., 1949, гл. 201, 296.

106 ძველი კოლხეთის ქალაქში შესასვლელთან მფარველი ღვათების ქანდაკების აღმართვა წერილობითი წყაროებითაცაა დადასტურებული: არიანეს ცნობით, „ფასისში რომ შეღრხართ, მარცხნივ აღმართულია ფასისელთა ქალმერთის ქანდაკება“. ასეთივე ეთნოგრაფია, რამდენიმე უჩვეულო ბერძნულ-ელინისტური სამყაროსათვის, დადასტურებულია ძველ აღმოსავლეთში მაგ., ხეთური ნამოსახლარების გათხრებისას ნაპოვნი ძვ. წ. VIII ს. კარიბჭეზე, რომლის წინ ღვათებთა ქანდაკებებია აღმართული. დაწკ. K. Bittel, *Untersuchungen au: Büyük-kale*, MDOG, 91, 1958, გვ. 61.

107 იხ. ვ. ბარდაველიძე, ტართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953; გვ. 121—124; მისივე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1959, გვ. 28; ს. შაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941, გვ. 35.

მოკორწყულული 18 მ სიგრძისა და 2 მ სიგანის საგანგებო მისასვლელი ჰქონდა (სურ. 93, 101).

ამრიგად, ქალაქის შესასვლელშივე საკულტო შენობა — ტაძარია აღმართული, რაც საკმაოდ უჩვეულოა ბერძნულ-ელინისტური ქალაქებისათვის, მაგრამ საინტერესო პარალელს პოულობს ადგილობრივ საკრალურ ტრადიციებში. რომელიც საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში „ღვთის კარის“ სახელწოდებითაა შემორჩენილი. „ღვთის კარი“ — „ჯვრის კარი“ თუ „ხატის კარი“, პროფ. ვ. ბარდაველიძის განმარტებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სამლოცველოს („ხატი“) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, სადაც „დიდი დღესასწაულები იმართებოდა და მოსახლეობას ღვთაებისადმი შესაწირავი მოჰქონდა“. საინტერესოა, რომ საერთო ხეყსურულ სალოცავში (საღმართო გულანის ჯვარი) „ღვთის კარი“ აგრეთვე სამი მხრიდანაა შემოზღუდული, ხოლო მისი შიგნით ქვეს საძირკველზე მდგარი ბომონია აღმართული¹⁰⁸. თუ გავიზიარებთ ჩვენ მიერ აღრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ვანის ძველი ქალაქი წარმოადგენდა სატაძრო ქალაქს ადგილობრივი უზენაესი ღვთაების სალოცავად აღმართულს¹⁰⁹, მაშინ კარიბჭესთან გამართულ პატარა ტაძარ-სამლოცველოს შერთვაც შეიძლება ეწოდოს „ღვთის კარი (საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ღვთის კარი“ ტაძარ-სამლოცველოს მნიშვნელობით ურარტულ ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც იხსენიება)¹¹⁰.

აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი: ქვის საკურთხეველი (სურ. 104) უშუალოდ კედელზეა მიდგმული (ისე როგორც ღვთაების ქანდაკების პოსტამენტი). ეს ტრადიცია ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც იქნა შენარჩუნებული პირველ ქართულ ქრისტიანულ ეკლესიებში, სადაც ტრაპეზი (წარმართული ხანის საკურთხეველი)¹¹¹ კედლის პირას იყო აღმართული, მაშინაც კი როდესაც ბიზანტიურმა და მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა კედელთან მიდგმული ქვის ტრაპეზი მწვალებლობად მიიჩნიეს.

ამრიგად, ვანის ძველი ქალაქის კარიბჭე თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორაა ერთმანეთთან მკიდროდ შერწყმული ბერძნულ-ელინისტური და ადგილობრივი საკრალური სამშენებლო ტრადიციები.

მთელი ეს კომპლექსი აგებულია ძვ. წ. III ს.-ის დასაწყისში და ქალაქის დასაჩვენ ნაწილებთან ერთად დანგრეული და გადაშფვარია ძვ. წ. I საუკუნეში.

კარიბჭის კომპლექსიდან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 200 მეტრის დაცილებით, აღმოჩენილია საკმაოდ დიდი ზომის კიდევ ერთი ტაძარი, რომელიც ძვ. წ. II საუკუნეშია აგებული კიდევ უფრო ძველი ნაგებობების ადგილზე (შემორჩენილია ძველი ნაგებობის წითლადმოლესილი შესანიშნავი იატაკი)¹¹². ტაძარი წარმოადგენს აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულ მარტივი მეგარონის ტიპის სწორკუთხა ნაგებობას, რომლის პარალელური (ჩრდ. და სამხრ.) კედლების

106 В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое, графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957, гл. 10 (შენიშვნა 38).

109 ი. თ. ლორთქიფანიძე, „ვანის ქალაქი“, „ცისკარი“, 1968, № 7, გვ. 133—143.

110 Г. А. Мелликишидзе. Папри-Урарту, Тбилиси, 1954, гл. 369—375, შდრ. В. Б. Питровский, Ванское царство, М., 1959, гл. 208 და შდრ.

111 ი. ჯ. ჭავჭავაძის მიხედვით, მასალები... გვ. 116—117.

112 იხ. ამავე კრებულში 1966 და 1967 წწ. გათხრების შესახებ ანგარიშები (გვ. 171 და 172-ე, გვ. 176 და შდრ.).

სიგრძე 13 მეტრია, ხოლო დასავლეთი კედლისა 5 მეტრი (სურ. 121). ტაძრის შიგნით, მის დასავლეთ ნაწილში აღმართულია სწორკუთხა პოსტამენტზე მდგარი სვეტი — საკურთხეველი (სურ. 122). ტაძარს ჰქონია მოზაიკური იატაკი, რომელიც კირხსნარით შეკავშირებული თეთრი და ღია ვარდისფერი რიყის ქვებითაა შედგენილი. ეს იატაკი მთლიანად თითქოს საგანგებოდაა დანგრეული. ტაძრის მოზაიკური იატაკის ნანგრევებში აღმოჩენილია მდიდარი შეწირულობა: კალხური ქვევრი და 40-ზე მეტი (!) ამფორა, 120 სპილენძის მონეტა. იქვეა ნაპოვნი სარიტუალო საგნები: რკინის სასაკმეველე, რომელიც ორი ნაწილისგანაა შედგენილი: „ჯამისა“ და დაფანჯრულკედლიანი კონუსური „ქუდი-საგან“. „ჯამის“ კალთები ნატეიფრი ორნამენტით (ოვები და მარგალიტები, ვარდულები, მცენარის ფოთლოვანი ღეროები, ფრინველის გამოსახულებანი) მორთული ბრინჯაოს ფირფიტით ყოფილა გარშემოკრული.

იქვეა ნაპოვნი ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელი (თუ სხვა საგანი), რომელიც ცეცხლისგან ძლიერ დეფორმირებულია და ჭერჭერობით მაინც ვერ მოხერხდა მისი ფორმის აღდგენა (სურ. 130). სამაგიეროდ თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი მისი სკულპტურული მორთულობა. ჭურჭელი, როგორც ჩანს, იდგა ფრინველის (არწივის) ბრქვალებიანი კლანჭების გამოსახულებაზე (ასეთა „კლანჭი“ ექვსია ნაპოვნი (სურ. 133—134). ამავე ჭურჭელს ამკობდა ბრინჯაოს განვე ჩამოსხმული არწივის სამი გამოსახულება (სურ. 135—137). ფრთავალილი არწივები, რომელთა თითოეული დეტალი (ნისკარტი და თვალები, განსაკუთრებით ბუმბული და ღონიერი ქვედა კიდურები) დიდი მხატვრული ოსტატობითაა დამუშავებული.

ჭურჭლის მხატვრული გვირგვინია 18 სმ სიმაღლის ბრინჯაოს ქანდაკება (სურ. 143), რომელიც გამარჯვების ფრთოსან ქალღმერთს—ნიკეს გამოსახავს. სრული შთაბეჭდილებაა, თითქოს ქალღმერთი სწრაფად ეშვება ზეციდან გამარჯვების მაცნედ და მუწყებლად. მას ამაყად გადაუგდია უკან თავი, რომელსაც ნაზად ვარცხნილი თმა უშვვენებს, ქალღმერთის ტანს მოსავს დიდებული კვართი, ხოლო მის მოსასხამს ქარი აფრიალებს. სამოსლის ვერტიკალური ნაოჭები შესანიშნავადაა შეხამებული ქანდაკების საერთო რიტმთან — დაუოკებელსა და უსწრაფეს მოძრაობას რომ გამოხატავს. კვართი ვადახსნილია და მოჩანს ქალღმერთის ნატიფი შიშველი ფეხი.

მთელი რიგი ნიშნებით (ტანის წაგრძელებული პროპორციები და შედარებით პატარა ზომის თავი, წინ გაშვერილი შიშველი ფეხი) ეანის ნიკე ანალოგიებს პოულობს ნიკეს იმ ტიპთან, რომელიც ძვ. წ. II ს. მეორე ნახევარში შექმნა მცირეაზიული ქალაქის მირინის კოროპლასტიკამ¹¹⁵. ჭურჭლის მოსართავ ნაწილებს ეკუთვნის აგრეთვე ექვსი ჰორელიეფური გამოსახულება (10—12 სმ. სიმაღლის) მეღვინეობა-მევენახეობის ღმერთის — დიონისეს წრის ღვთაებებს რომ გამოხატავს.

მათგან ერთი ძლიერ დაზიანებულია, თუმც შემორჩენილი ვაზის ფოთლებისაგან შედგენილი გვირგვინი მოწმობს, რომ აქ, ისევე როგორც დანარჩენ შემთხვევებში, დიონისეს წრის გამოსახულებებთან გვაქვს საქმე. მეორე გამოსახულება (სურ. 138) წვეროსანი მოხუცი პანისაა (ბერძნული მითოლოგიის თანახმად ესაა ტყის ღმერთი, მწყემსებისა და მონადირეების მფარველი ღვთაე-

¹¹⁵ Myrina, II (Catalogue Raisonné de Figures et Reliefs), გვ. 65 და შემდ. ტაბ.

ბა). მას თხისებური წვეტიანი ყურები აქვს, ხოლო მეჩხერი თმა ცხოველის ჩლიქბივივითაა ამოზიდული. პირი ფართოდ აქვს გაღებული და მოჩანს კბილებს ქვედა რაგი. სწორედ, ფართოდ გაღებული პირი და ზემოთკენ მომზირალი თვალები. ღრმა ჰორიზონტული ნაოქებით დაღარული შუბლი, აძლიერებენ სახის უაღრესად პათეტურ გამომეტყველებას. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ მოხუცი პანი ახლა გამძვინვარებულია და თავისი საზარელი ყვირილით პანიკურ შიშს გვრის იმათ, ვინც მას სიმშვიდეს უფრთხობს.

სტილისტურად ეს გამოსახულება მოგვეგონებს კარგად ცნობილი წვეროსანი გალის ქანდაკებას იმ ჩვეუური კომპოზიციიდან, ათენში რომ აღმართეს პერგამონელმა ოსტატებმა (ე. წ. ატალოს I-ის ვოტიუვში)¹¹⁴. საერთოდ კი ვანში ნაპოვნი გამოსახულება ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია, და, იქნებ, დამაკავშირებელი რგოლიც გვიანელინისტური ხანის სატირთა გამოსახულებების იმ რიგში, რომელმაც ბრწყინვალე გამოხატულება ჰპოვა საყოველთაოდ ცნობილ „მოციკვავე ფაენის“ ქანდაკებაში (პომპეუმში რომაა ნაპოვნი და ნეაპოლის მუზეუმში გამოფენილი)¹¹⁵.

მესამე ჰორელიეფური გამოსახულება დიონისეს მუდამ მხიარული თანამგზავრის — სატირისაა (სურ. 140). მის თავს ამკობს სურათ ფოთლებითა და ნაყოფით შედგენილი გვირგვინი. ოსტატს იგი თათქოს ოდნავ შემთვრალი გამოუსახავს და ამიტომაც აქვს ცბიერი გამომეტყველება. სტილისტურად, ეს გამოსახულება ძალიან ახლო დგას ე. წ. პერგამონული სტილის სატირების იმ ჩვეუფთან, რომლის საუკეთესო ნიმუშები კანზას-სიტიის (აშშ) მუზეუმშია დაცული და ძვ. წ. II საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება¹¹⁶.

მეოთხე გამოსახულება ქალისაა და გამოირჩევა პათეტური იერით (სურ. 139), აქ ჩვენ უკვე ვხედავთ კლასიკურად სწორ ნაკვებებს. მას თავს ვაზის ფოთლებით შეკრული გვირგვინი უმკობს, ხოლო ყურებზე ყურძნის მტევნები ჰკიდია. სავსებით აშკარაა, რომ ესეც დიონისეს წრის ღვთაებაა. ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს არიადნე, თევზისისაგან მიტოვებული, რომელიც მითის თანახმად გაჭდა დიონისეს მეუღლე და მისი ქურუმი.

დანარჩენი ორი ჰორელიეფური გამოსახულება წარმოსახავს დიონისეს მუდამ მხიარულსა და მომზიბლავ თანამგზავრებს — სახემშვენიერ მენადებს. ორივეს თავს ამკობს ვაზის ფოთლების გვირგვინი. ერთ-ერთ მათგანს (სურ. 142), ფართო, განიერი სახე აქვს, მოკლე ნიკაბი. ამ ნიშნებით იგი უახლოვდება პერგამონის საყურთხველის დიდსა და მცირე ფრიზებზე წარმოდგენილ ჭაბუკთა და ყმაწვილ ქალთა სახეებს. კერძოდ, სტილისტურად ძალიან ახლო ნალოვას წარმოადგენს „ჭაბუკის“ თავის გამოსახულება ე. წ. მცირე ფრიზზე¹¹⁷.

პერგამონული წრის მხატვრულ პლასტიკასთან დიდი მსგავსება და სიახლოვე კიდევ უფრო მეტად გვღავენდება მეორე მენადის გამოსახულებაში (სურ. 141). ძალზე დამახასიათებელია და ტიპიურია, მაგალითისათვის, თვალის გადმოცემა, მშვილდით მორკალული წარბები და ნახად მოხაზული ქუთუთო-

¹¹⁴ L. Altscher. Griechische Plastik, IV, Berlin, 1957, გვ. 98, 101 და შემდ. სურ. 43.

¹¹⁵ L. Altscher. Griechische... გვ. 110 და შემდ. 113 და შემდ. სურ. 47

¹¹⁶ M. Bieber. A Salyr in Pergamene Style in Kansas-City, AJA, 67/3, გვ. 275 და შემდ. ტაბ. 59-60.

¹¹⁷ L. Altscher. Griechische... გვ. 90, 98, სურ. 26 b.

ები. სახის ოვალი, თვალები, მსუქანი ტუჩები და ნაზი ღამილიც კი თითქოს იმეორებს ბერლინის მუზეუმში დაკულ ცნობილ პერგამონული ქალის თავს, რომელსაც ძვ. წ. II ს. მეორე მეოთხედით (დაახლ. 160 წ.) ათარიღებენ¹¹⁸.

მთლიანად ეს სკულპტურული მორთულობა წარმოადგენს ელინისტური ხანის ბერძნული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს, რომელთა აგრე დამახასიათებელი მხატვრული სახეების მრავალფეროვნება სათავეს ძვ. წ. IV ს. უდიდესი ბერძენი მოქანდაკეების პრაქსიტელესა და სკოპასის შემოქმედებაში იღებს. მათი დათარიღება ეჭვს არ იწვევს: ძალზე ახლო მსგავსება პერგამონული წრის მხატვრულ სახეებთან მიუთითებს პერგამონის საკურთხევლის ე. წ. მცირე ფრიზის შექმნის შემდგომ ხანაზე, ე. ი. ძვ. წ. II საუკუნის 60-იანი წლების შემდგომ პერიოდზე.

გაცილებით უფრო რთულია საკითხი იმის შესახებ, თუ სადაა დამზადებული ეს ჭურჭელი და მისი სკულპტურული მორთულობა. ვიდრე არაა დასრულებული მხატვრული სახეების კიდევ უფრო დეტალური სტილისტური ანალიზი, აგრეთვე არაა აღდგენილი ჭურჭლის ფორმა და არც მისი ტექნოლოგიური თვისებებია ჩერონად შესწავლილი, იძულებული ვართ ჩერჩერობით ღიად დავტოვოთ ეს საინტერესო საკითხი. მაგრამ თვით ამ აღმოჩენის ფაქტია ჩვენთვის ამჯერად ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი. იგი მოწმობს, რომ ელინისტური ხანის ვანის მოსახლეობისათვის ცნობილია დიონისეს კულტთან დაკავშირებული ბერძნული მითოლოგიურ-რელიგიური სახეები (ამას სხვა რიგის მონაცემებიც მოწმობენ). მაგრამ პირველ რიგში ყურადღებას იქცევს თვით ის გარემო, რომელშიც აღმოჩენილია დიონისეს წრის ღვთაებათა გამოსახულებით შემკული სარიტუალო ჭურჭელი. ტაძარში აღმოჩენილი მთელი კომპლექსი: მეღვინეობა-მევენახეობის მფარველი ღვთაების დიონისეს წრის ღვთაებათა გამოსახულებებით მორთული სარიტუალო ჭურჭელი, საღვინე ქვევრი და შეწირული ამფორები (40-მდე) ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ტაძარი სწორედ მეღვინეობა-მევენახეობის კულტთან იყო დაკავშირებული. არქეოლოგიური აღმოჩენით დადასტურებული ეს საინტერესო ვითარება ძალზე ჰგავს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ ქართულ საკულტო მარანს. ქართველმა ეთნოგრაფებმა საკმაოდ დამაჯერებლად უჩვენეს ვაზის მოსავლიანობასთან დაკავშირებული მაგიური და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება, რაც სრულიად სამართლიანადაა მიჩნეული ჩვენში მეღვინეობა-მევენახეობის კულტურის სიძველედ. დადგენილია, რომ ქართული მარანი სალოცავ ადგილს წარმოადგენდა და არსებობდა საგანგებო საკულტო მარნები, სადაც მარჯვენა კუთხეში იდგა საზედაშე ქვევრები, ე. ი. ღვთაებისათვის შესაწირავად გამიზნული ღვინის ჭურჭლები (ვანში აღმოჩენილ ზემოხსენებულ ტაძარში სწორედ აღმოსავლეთ ნაწილში ელაგა შეწირულობა — 40-მდე ამფორა).

ქართული მარანი, საჯვარე, საზედაშე—საკულტო ნაგებობაა, რომელიც სალოცავი ხატის როლს ასრულებდა. აქვე სრულდებოდა ლოცვა-ვედრებისა და მსხვერპლის შეწირვის რთული რიტუალი¹¹⁹. ძალზე საინტერესოა აგრეთვე,

¹¹⁸ L. Aischar. Griechische ... გვ. 89 და შემდ. სურ. 35; E. I. Rohde, Griechische und römische Kunst in den staatlichen Museen zu Berlin, 1965 გვ. 109, სურ. 81.

¹¹⁹ დაწერ. ნ. თრფელია, ქართული მარანი, „ველის მეგობარი“, № 16; B. B. Бардавеллидзе, Древнейшие терования... გვ. 62—75.

რომ ვანში გათხრილ ამ ტაძარში, რომლის შესახებაც ჩვენ ახლა საუბარი გვაქვს, აღმოჩენილია თირში ამოკვეთილი ორბოც. ეფიჭრობთ, რომ იგი მსხვერპლად შეწირული პირუტყვისა თუ ფრინველის სისხლის ჩასადგურელად იყო განკუთვნილი. ერთი სიტყვით, არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგენილი სურათის შედარება ქართულ ეთნოგრაფიულ მასალებთან უაღრესად საინტერესო პარალელს ავლენს და ამ მიმართულებით შემდგომი კვლევა-ძიება ალბათ კიდევ უფრო პერსპექტიული იქნება.

ამჟამად კი ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ზემოაღწერილი ნაგებობის არქეოლოგიური შესწავლით დასტურდება ქართული რელიგიური წარმოდგენების ღრმა და ადგილობრივი ყვესები. ამავე დროს მას, გარეგნულად მაინც, იმდროინდელი მოდის შესაბამისად, გარკვეული ელინური იერაც აქვს მიღებული. მხედველობაში გვაქვს სწორედ ის რიტუალური საგანი, მეღვინეობა-მევენახეობის მფარველი ბერძნული ღვთაების დიონისეს წრის მხატვრულ-რელიგიური სახეებით რომ არის მორთული და მოწმობს დიონისეს კულტის არსებობას ვანში. მით უფრო, რომ ამის მოწმობად შეიძლება სხვა საბუთიც დავასახელოთ; არქეოლოგიური გათხრებისას ვანში აღმოჩენილია ერთი ნაწილი ტერაკოტული ნიღბებისა, რომელნიც გამოსახავენ დიონისეს და მის თანამგზავრებს — სილენსა და სატირს¹²⁰. დიონისეს კულტის გავრცელების მოწმობად მიიჩნევენ აგრეთვე ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილ დღესასწაულებს, რომლის ზოგიერთი მომენტი — თხის ტყავეებში გახვევა, ნიღბების გვეთება დასხვა, მართლაც წააგავს დიონისურ მისტერიებს. ამიტომ საესეებით სამართლიანია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმული მოსაზრება, რომ ელინისტური კულტურის გავლენით, დიონისეს სახით, აქ გვევლინება უძველესი ადგილობრივი ღვთაება. დიონისე იყო ყველაზე უფრო პოპულარული ბერძნული ღვთაება საკუთრივ საბერძნეთის ფარგლებს გარეთ. ელინისტური კულტურის გამოჩენილი მკვლევარი ვილიამს ტარნი წერს: „თუ ოდესმე რომელიმე ბერძნულ ღმერთს ძალუძდა მსოფლიოს დაპყრობა, ეს შეეძლო მხოლოდ დიონისეს, რომლის კულტი მისმა მსახიობებმა მთელს ქვეყანას მოჰფინეს, ხოლო ხელოვნებამ და ლიტერატურამ უზრუნველყო მისი ტრიუმფალური მსვლელობა აზიაში მსგავსად ალექსანდრე მაკედონელისა“¹²¹. ცნობილია, რომ ებრაელებმა გააიგივეს იგი თავის ღმერთთან სავაოფთან, ეგვიპტელებმა — სერაპისთან (იმის გამო რომ სერაპისის კულტში თავს იჩენს ოზირისის კულტის ელემენტები). დიონისე გახდა ატალიდებისა და პტოლემეაიოსების წინაპარი.

დიონისური კულტები ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტური ხანის შუა აზიაშიც¹²². მით უფრო გასაგებია „დიონისური“ კულტების პოპულარობა და გავრცელება საქართველოში, რომელიც მეღვინეობა-მევენახეობის უძველეს ქვეყანას წარმოადგენს...

▲ გალავნით შემოზღუდული საკულტო-სატაძრო ნაგებობათა რთული და საინტერესო კომპლექსია გამოვლენილი ბორცვის წვერზე (სურ. 1). მის ერთ-

120 ქ. რამიშვილი, ანტიკური ხანის ტერაკოტები ვანიდან, „საქართველოს კვანძი“ და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1968, გვ. 292—299.

121 В. Тарн. Эллинистическая цивилизация, М., 1949, гв. 307.

122 Г. А. Пугаченкова, Сосуд из Термеза с вакхической сценой, ВДИ, 1951,

ერთ ცენტრალურ ნაგებობას წარმოადგენს საფეხურებიანი საკურთხეველი. შემორჩენილია სწორკუთხა რუსტირებული ქვათილებით ნაგები რეკონსტრუქციის კიბე (თითოეული საფეხურის სიგრძე 2,96 მ-ია, სიგანე — 0,35 მ. სიმაღლე, 0,19 მ). უკანასკნელი საფეხური გადადის სწორკუთხა მოედანში¹²³. ეს საფეხურებიანი ნაგებობა (სურ. 12, 13) თავისი გეგმით სავსებით ანალოგიურია ბერძნულ-ელინისტურ სამყაროში გავრცელებული იმ საკურთხეველებისა, ჩვეულებრივ ტაძრის წინ რომ იყო ხოლმე აღმართული და სადაც მსხვერპლის შეწირვის საზეიმო რიტუალი სრულდებოდა. საფეხურებიანი ნაგებობის დასავლეთით გამოვლენილია ძალზე ფრავმენტული, დაზიანებული კედელი (დასავლეთით 8 მ სიგრძეზე შემორჩენილი), რომელიც ნინო ხოშტარიას აზრით, ტაძრის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს. აღსანიშნავია, რომ იქვე კედელში ღრმა კრიპტა ამოკვეთილი, სამწუხაროდ, ტაძრის ნაშთები იმდენად ფრავმენტულია, რომ მისი პირვანდელი გეგმის წარმოადგენა ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ მაინც აშკარაა, რომ აქ არ უნდა გვექონდეს ბერძნულ-ელინისტური ტიპის ტაძარი, რომლის აუცილებელი ელემენტია საფეხურებიანი სტერუმბატი. საფიქრებელია, რომ ეს იყო სამი მხრიდან შემოზღუდული წაგრძელებული ფორმის სწორკუთხა შენობა, ანალოგიური კარიბჭის სამხრეთით ორასიოდ მეტრის დაცილებით გათხრილი მოზაიკური ტაძრისა (ჩვენ რომ ტაძარ-მარანი ეუწოდეთ), რომელიც აგრეთვე განსხვავდება ბერძნულ-ელინისტური ტაძრებისაგან.

ქალაქის ზედა ნაწილში შესწავლილ საკულტო ნაგებობათაგან კიდევ ერთია საინტერესო. ესაა თლილი ქვით ნაგება სამკედლიანი ნიშისებური შენობა, რომლის შიდა ფართობი მხოლოდ 2,5 მ (სამხრეთ მხრიდანაა დია). ნაგებობის შიდა კედლები ცეცხლისაგანაა ძლიერ გაწითლებული, მაშინ როდესაც გარედან ცეცხლის კვალი არ შეიძინევა. ჩრდ. შავ ზღვისპირეთშიც, ოლბიის ტემენოსზე, აღმოჩენილია სავსებით ანალოგიური, თითქმის იმავე ზომისა და გეგმის ნაგებობა, რომლის შიდა კედლებიც ცეცხლისაგანაა დაწითლებული და დამსკდარი. ფიქრობენ, რომ ესაა მსხვერპლის დასაწევი საგანგებო შენობა¹²⁴. ამგვარი დანიშნულების ნაგებობა ძველ ქართულ წარმართულ ყოფაშიცაა დადასტურებული დამას საზორველი ეწოდებოდა¹²⁵. ამრიგად, ქალაქის ზედა ნაწილში, სადაც საკულტო-სატაძრო ნაგებობათა კომპლექსია¹²⁶ გამოვლენილი, უმთავრესია საკურთხეველი, ტაძარი (რომელსაც ძველი ქართული ტერმინოლოგიით ბაგინი ეწოდებოდა)¹²⁷ და საზორველი. ე. ი. ყველა ის აუცილებელი ელემენტი, რომელიც ძველი ქართული წარმართული სალოცავებისთვისაა¹²⁸ დამახასიათებელი.

¹²³ Н. В. Хоштариа. Археологические исследования в Ванн... Мასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II, 1959, გვ. 151.

¹²⁴ А. Н. Карасев. Монументальные памятники ольвийского темениса. „Ольвия“ [Теменис и агора], М.-Л., 1964, გვ. 102 და შემდ.

¹²⁵ ივ. ჭავჭავაძის შვილი, მასალები... გვ. 73, 91.

¹²⁶ დაწერ. ოთ. ლორთქიფანიძე, ივანის ქალაქი, გვ. 135—136.

¹²⁷ ივ. ჭავჭავაძის შვილი, მასალები... გვ. 72—73.

¹²⁸ შდრ. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, 6 (სივ. მცხ. 1408 წ.); აოდეს... დაეცეს... კერანი არმაზისანი... ივარ იქმნეს ბო მონი, ბაგინი, საზორველი და სამსახურებელი მათი.

ღვ. წ. III—I საუკუნეების ნაგებობათა მთელი წყებაა აღმოჩენილი ე. წ. ცენტრალურ ტერასაზე (სურ. 158), რომელიც, როგორც ჩანს, ძველი ქალაქის ერთ-ერთ უძთაერეს ნაწილს წარმოადგენდა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ე. წ. მრგვალი ტაძარი (სურ. 156—157). არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ამ ადგილზე უფრო ადრე (ღვ. წ. IV საუკუნის დასასრულსა თუ III საუკუნის პირველ ნახევარში) იდგა სწორკუთხა შენობა (სურ. 154—155), რომელიც თავისი გეგმით ემსგავსებოდა კარიბჭესთან აგებულ ტაძარ-სამლოცველოს. თავდაპირველი, სწორკუთხა შენობიდან ამჟამად შემორჩენილია შესანიშნავად გათლილი და დამუშავებული ქვათილილებით ამოყვანილი დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლების საძირკვლები, აგრეთვე კლდოვან დედაქანში (თირში) ამოკვეთილი ბუდეები, რომელნიც ქვათილილების ჩასალაგებლად იყო განკუთვნილი და რომელთა მეოხებით გახდა შესაძლებელი ნაგებობის თავდაპირველი გეგმის აღდგენა: მისი სიგრძე 11,4 მეტრია, ხოლო სიგანე — 10,4 მეტრი. კედლების სისქე 3 მეტრს აღწევს (მშენებლობის წესი ანალოგიურია კარიბჭის კედლების წყობისა). სწორკუთხა შენობის იატაკი მოგებულია სხვადასხვა ზომის თირის ქვათილილებით.

ღვ. წ. III საუკუნის მეორე ნახევარში სწორკუთხა შენობის საძირკველზე მრგვალი შენობა აუგიათ. საამისოდ ძველი შენობის საძირკველიც გამოუყენებიათ. შენობა რომ მთლიანად მრგვალი იყო (კოშკისებური), ამას მოწმობს მრგვალი მოყვანილობის ბუდეები აღმოსავლეთ ნაწილში (სადაც ადრე სწორკუთხა შენობას საერთოდ არ ჰქონდა კედელი და „ღია“ იყო კარიბჭის ტაძარ-სამლოცველოს მსგავსად) და აგრეთვე სამხრეთ ნაწილშიც, სადაც ძველი შენობის სწორკუთხა ბუდეების ნაკვალევზე მომრგვალებული ბუდეებია ამოჭრილი. მრგვალი შენობის გარე დიამეტრი 10 მეტრია, ხოლო შიდა — 5,4 მეტრი. ჭერჭერობით ძალზე რთულია მრგვალი ტაძრის არქიტექტურული ფორმების აღდგენა, მაგრამ აშკარაა, რომ იგი არ ემორჩილება ბერძნულ-ელისნისტური ხუროთმოძღვრების ძირითად პრინციპებს, თუმცა ზოგიერთი კონსტრუქციული დეტალის გამოყენება გამორიცხული არაა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სწორედ ცენტრალურ ტერასაზე 1968—1969 წლებში ნაპოვნი ტრაპეციის ფორმის 10—12 სმ სისქის ქვის ათამდე ფილა (საშუალოდ 90×95 სმ), რომელთა ნაპირები საგანგებოდაა ამოჭრილი, როგორც ჩანს, ქვის ან ხის ძელებზე დასამავრებლად. არქიტექტორ გიორგი ლეჟავას აზრით, ეს ფილები წარმოადგენს კესონის უჭრედის სახურავებს და განკუთვნილი იყო მრგვალი ფორმის (ე. ი. თოლოსის ტიპის) შენობისათვის. ჭერჭერობით ძნელია გადაჭრით თქმა იმისა, ეკუთვნიან თუ არა ეს ფილები ზემოაღწერილ მრგვალ ნაგებობას. მაგრამ ერთი რამ ჰაინც სავსებით აშკარაა: კონსტრუქციულად მათი გამოყენება დაკავშირებულია ელისნისტური ხუროთმოძღვრების სამშენებლო ტექნიკის გავლენასთან. ქვის პლაფონის გაფორმების კესონური პრინციპი დამახასიათებელია მრგვალი ტიპის ისეთი შენობებისათვის, როგორიცაა ფიმელა ეპიდავროსში, ფილაპეიონი ოლიმპიაში (ღვ. წ. IV ს. დასასრული), და განსაკუთრებით არსინონიონი სამოთრაკის კუნძულზე (ღვ. წ. III ს.)¹²⁹. ყველა ეს სატაძრო-საკულტო ნაგებობაა. აღსანიშნავია, რომ ელისნიზმის ხანაში ეს მრგვალი ფორმის საკულტო ნაგებობანი ბერძნული ხუროთმოძღვრების ზემოთ დასახელებული ძეგლების გავლენით ჩნდება და ვრცელდება მახლობელსა და ცენტრალურ აღმოსავ-

¹²⁹ „Всеобщая история архитектуры“ II, I, М. 1949, გვ. 241, 242, 315, და შემდგ.

ლეთში: „მრგვალი ტაძარი“ პართიის ნისაში¹³⁰, ჩაიტის მრგვალი დარბაზი გუნტუბალეში¹³¹, აბსიდიანი ტაძარი ტაქსილაში¹³², საკულტო ნაგებობათა კომპლექსი კოი-კრილგან-კალეში¹³³. ყველა ესენი საკულტო ნაგებობებია, ამასთან ზოგიერთ მათგანში ძალიან კარგად ჩანს ელიზისტური საკრალური ხუროთმოძღვრების გავლენა. მაგალითად ნისის მრგვალ ტაძარში, რომელიც წარმოადგენს ადრეპართული ხუროთმოძღვრების მეტად თავისებურ ძეგლს, სადაც მკაფიოდ იჩენს თავს ბერძნულ-ელიზისტური და პართული ტრადიციების სინთეზი. ცენტრალურ ტერასაზე უნდა მდგარყო კიდევ ერთი მონუმენტური შენობა, რომლის მხოლოდ ცალკეული არქიტექტურული დეტალებია ჩერ-ჩვრობით აღმოჩენილი. განსაკუთრებით დიდი მეცნიერული მნიშვნელობისაა ადგილობრივი ჭიშის თეთრი ფერის კირქვისაგან გამოკვეთილი ლომის თავის გამოსახულებანი, რომელთაგან ერთი შენობის დეკორატიული მოსართავია (სურ. 144—145), ხოლო დანარჩენი ორი სიმის ნაწილია (სურ. 146—149), წვიმის წყლის სადინარად განკუთვნილი. სამივე თითქმის ერთნაირი ზომისაა (სიგრძე 70 სმ, სიმაღლე 45 სმ, სიგანე 36 სმ.).

ერთერთ მათგანს შემორჩენილი აქვს კონსტრუქციული დეტალები, რომლითაც იგი შენობის სათანადო ნაწილთან იყო დაკავშირებული. აღნიშნული ლომის თავები კონსტრუქციულად აშკარად ელიზური თუ ელიზისტული ნაგებობის ნაწილებს წარმოადგენს (სამუშუბაროდ თვით ის შენობა, რომელსაც ეს ლომის თავები ამკობდა, ჩერ ნაპოვნი არ არის). იმავე დროს ცნობილია, რომ ცველი აღმოსავლეთის ქვეყნებშიც ფართოდ იყო გავრცელებული ლომის, როგორც „მფარველი ცხოველის“ გამოსახულება. საკმარისია დავასახელოთ ხეთური „ლომებიანი კარიბჭე“ ბოლაზ-კოეში, „ჰამადანის ლომი“, ლომის მრავალრიცხოვანი გამოსახულება პართულ ქანდაკებაში და მონეტებზე. ლომის გამოსახულება არც კოლხეთის ნივთიერი კულტურის ძეგლებისთვისაა უცხო (კოლხური თეთრი, ვანის ოქროს სამაჯურები და დიადემები). ამავე თვალსაზრისით¹³⁴ საინტერესოა სვანური ეთნოგრაფიული მასალები, კერძოდ სვანური დროშა „ლომ“, რომელიც ლომს განასახიერებდა და ერთ-ერთი ვერსიით იგი სვანებისათვის გადაუცია ღვთაება ლამარიას — მიწისა და ადამიანის ნაყოფიერების მფარველს¹³⁵.

მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, ვანის ლომის თავებს აშკარად ეტყობათ ბერძნულ-ელიზისტური გავლენა, ხოლო რამდენადმე ტრაგიკულად მოჭმუხნული წარბები და პათეტური გამოშეტყველება ანათესავენს მათ ძვ. წ. III—II სს. პერგამონის ე. წ. ბაროკული სტილის ქანდაკებებთან. მაგრამ ამავე დროს სრულიად აშკარად იგრძნობა ძველი აღმოსავლური ტრადიციები. მაგალითად, კეფაზე დასმული მომრგვალებული ყურები და პირს შემოვლებული რელიეფური სარტყელი მოგვაგონებს გვიანხეთურ, ანუ სირო-ხეთურ ლომის გამო-

¹³⁰ Г. А. Кошеленко, Культура Парфии, М., 1966, გვ. 24. და შემდ. (იქვე, დასახ. ლიტ.).

¹³¹ С. И. Тюляев, Архитектура Индии, Москва, 1939, ნახ. 16.

¹³² J. Marshall. Taxila, I, Cambridge, 1951, გვ. 152—153; III, ტაბ. 24.

¹³³ Труды Хорезмской археологической экспедиции, II, Москва, 1959, გვ. 192; IV, 1960, გვ. 12.

¹³⁴ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ანტიკურ ხანაში ლომების არსებობა მეზობელ არმენიასა და პირკანაში ბერძენ-რომაელ მწერალთა ცნობებითაც დასტურდება. (O. Keller, Die antike Tierwelt... გვ. 37).

¹³⁵ В. В. Бардацлидзе. Древнейшие... გვ. 37 და შემდ.

სახელებებს¹³⁶. ამასვე უნდა დავძინოთ, რომ საქართოდ ვანური ლომების სრულიად აშკარა ანთროპომორფული იერი ძალზე ემსგავსება ძვ. წ. III—II სს. შუა და მახლობელი აღმოსავლეთის კოროპლასტიკაში გავრცელებულ ლომის ნიღბებს. ამრიგად, ამ გამოსახულებებში საკმაოდ კარგად ჩანს ბერძნულ-ელინისტური გავლენაც და ძველი აღმოსავლური (სირო-ხეთური) ტრადიციებიც. ამ ფაქტს კი მნიშვნელობა ენიჭება იმ ეთნოკულტურული გარემოს დასახასიათებლად, სადაც ეს ძეგლები იქმნებოდა. ამ აღმოჩენის მეცნიერული მნიშვნელობა იმითაც იზრდება, რომ თუ არ ვცდები ისინი წარმოადგენენ ქართული მონუმენტური ქანდაკების უძველეს ნიმუშებს. ისინი უთუოდ ეკუთვნოდნენ რაღაც გრანდიოზულ, უდავოდ სატაძრო ტიპის ნაგებობას.

ამრიგად, დღემდე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით, ვანის ნაქალაქარი თითქოს არ წააგავს „ნამდევალ“, „საერო ქალაქს“. უკვე საკმარისად თვალსაჩინოა ამ ქალაქში სატაძრო-საკულტო ნაგებობათა დიდი ხვედრითი წილი და მათი თითქოს წამყვანი როლიც. ჩვენი აზრით, აქ საქმე უნდა გვეკონდეს ელინისტური ხანის საქართველოს დიდ სატაძრო ცენტრთან ანუ სატაძრო ქალაქთან¹³⁷, ეს უნდა ყოფილიყო იმავე რიგის ქალაქი, როგორც იყო ძველ ეგვიპტეში კარნაკი, ხოლო არქაული და კლასიკური ხანის საბერძნეთში ოლიმპია, დელფო, დოდონა და სხვა. უფრო კი ელინისტური ხანის მცირე აზიის დიდი სატაძრო გაერთიანებანი: პონტოს კომანა და ზელა, ზევსისა და აპოლონის ტაძრები კაპადოკიაში, ღმერთებას დედის ტაძარი პესინუნტში, ოლბის სატაძრო სახელმწიფო კილიკიაში, ანაიტის ტაძარი არმენიაში და სხვა. კარგადაა ცნობილი, რომ ეს ტაძრები მხოლოდ საკულტო-რელიგიურ ცენტრებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ იმავე დროს იყვნენ მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიური ერთეულები, რომლებიც ფლობდნენ ვრცელ მიწებსა და აურაცხელ სიმდიდრეს¹³⁸.

სწორედ ვანში აღმოჩენილ ქალაქს უნდა გულისხმობდეს ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი, როდესაც კოლხეთის აღწერისას ასახელებს ლევკოთიას მდიდარ სატაძრო ცენტრს¹³⁹. საესებით აშკარაა, რომ ლევკოთიას სახელით აქ იხსენიება ადგილობრივი, ძველი ქართული წარმართული პანთეონის ღვთაება, რომელიც გარეგნული ნიშნებით ემსგავსებოდა ბერძნულ ლევკოთიას — თეთრ ქალღმერთს, ზღვის ღვთაებას¹⁴⁰. წყლის ღვთაების კულტი კი ძველ საქართვე-

¹³⁶ E. Akurgal. Die Kunst Anatoliens, Berlin, 1961, გვ. 66 და შუბდ.

¹³⁷ ძალზე ნიშანდობლივია, რომ ქალაქის ძვ. წ. I საუკუნეში განადგურების შემდეგ, ამ ადგილზე ჩაარავინ დასახლებულა თითქმის XVIII საუკუნემდე, როდესაც ამ ბორცვზე ლენ-ხეშიდის ჩამოსახლებული ასპელდაიანები დაამკვიდრდნენ. გვიანტიურ ხანაში ბორცვზე მხოლოდ დაკრძალვის შემთხვევა დადასტურებული, ხოლო საშუალო საუკუნეებში კი აქ ვეღვისა მდგარა. საინტერესოა სახელწოდება ვანიც, რომელიც უძველეს ტერმინადაა აღიარებული. ამასთან, როგორც ფიქრობენ, უპირატესად სამონასტრო და წმინდა ადგილების აღმნიშვნელი.

¹³⁸ შტრ. სტრაბონის „გეოგრაფია“, XII, 2, 3—6; XII, 3, 32—37.

¹³⁹ დანერ. ლევკოთიას ტაძრის ვანის ნაქალაქართან იდენტოფიკაციის შესახებ იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, „ვანის ქალაქი“, „ციცქარი“, 1968, № 7, გვ. 133—142.

¹⁴⁰ ბერძნებისათვის, უცხო ხალხთა რელიგიური კულტების აღწერისას, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ასე მაგ., ჰეროდოტეს ცნობით: (IV, 59) „სკითები თავიანს სცემენ შემდეგ ღვთაებებს: ყველაზე მეტად ჰესტიას, შემდეგ ზევსსა და გეას... შემდეგ აპოლონს, აფროდიტე — ჯრანისას, არესს და ჰერაკლეს... ჰესტიას სკვითურად ეწოდება ტაბიტი, ზევსს — პაე, გეას — აპი, აპოლონს — პოიტოსინი“ და ა. შ.

ლოში ფართოდ იყო გავრცელებული და მისი გადმონაშთები უკანასკნელ ხანებამდე დასავლეთ საქართველოში შემონახული, აღსანიშნავია მაგალითად, სამეგრელოში ცნობილი დღესასწაული „მესეფობა“. ხალხის წარმოდგენით „მესეფი იყო წყლის დედა, რომელიც ამ დროს ზღვიდან ამოლიოდა...“ ამას გარდა, გავრცელებული იყო რწმენა წყლის დედაზე („წყარიში დიდა“), რომელიც „თეთრი ქალიშვილის“ (!) სახით იყო წარმოდგენილი¹⁴¹ (ლევკოთეა სატყვა-სიტყვით ნიშნავს „თეთრ ქალმეგრის“)¹⁴².

ბორცვის სამხრეთ კიდეზე შეიმჩნევა ალიზის კედლის ნანგრევები, რომელიც კრამიტით ყოფილა გადახურული, იგი ძვ. წ. I ს-ის ბოლოს დაღუპულა ისევე, როგორც კიბეებადან ჩრდილოეთით მდებარე ნაგებობა, რომლის ჩრდილო-დასავლეთით ქვის კურგების მარაგი აღმოჩნდა (1947—1948 წწ. გათხრები).

1958 წელს ექსპედიციამ ბორცვის თავზე, მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოაჩინა სამარხი შესანიშნავ ბრინჯაოს სარკოფაგში (სურ. 16, სამარხი № 5). სარკოფაგს ჰქონდა ოთხი სახელო, რომლებიც წარმოადგენდნენ ლომის თავების რელიეფური გამოსახულებების პირებში გაყრილ რგოლებს (სურ. 17).

სარკოფაგი მეორედაც აღმოჩნდა გამოყენებული. ამჯერად მასში ჩადგმული იყო მთლიან ქვაში ამოკვეთილი ყუთი, რომელშიაც ეწყო მიცვალებულის ქვები. ძველიცა და ახალი სამარხიც გაძარცვული იყო, გადარჩენილია ოქროს მხრებგანზიდული ბეჭედი ახ. წ. III საუკუნისა, რომელიც სარკოფაგთან ახლოს ეგდო (სურ. 18). რამდენიმე ოქროს კილიტი ნაპოვნია ბრინჯაოს სარკოფაგში. როგორც გათხრების დროს დადასტურდა, სარკოფაგში დასაფლავების შემდეგ მასზე გაუმართავთ ყვითელი ფხვიერი მიწის ზენიული, რომელსაც გარშემო მრგვლად შემოუყვება თირის ქვების წყობა. როგორც ჩანს, დაკრძალულს საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რაზედაც მიუთითებს დასაყრდელად აღგილის შერჩევა და მდიდრული სარკოფაგი.

1959 წელს არქეოლოგიურად შესწავლილ იქნა სასოფლო გზის სამხრეთით მდებარე ამბერკი ახვლედიანის ეზო, რომელიც ამჟამად ირაკლი ცაბაძეს ეკუთვნის. უნდა აღინიშნოს, რომ გადმოცემების თანახმად, ყველაზე შესანიშნავი აღმოჩენები სოფლის ამ ნაწილთანაა დაკავშირებული. ამჟამადაც აქ, მიუხედავად ნაკვეთის ინტენსიური გამოყენებისა, შემონახულია კულტურული ფენები, ზე-

²¹ Н. Хоштариа. Археологические исследования в Вани и ванском р-оне в 1952 г. Мასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. II, თბილისი, 1959.

²² ნ. ხოშტარია, არქეოლოგიური გათხრები სოფ. ვანში 1947 წელს... გვ. 307, სურ. 4.

²³ Н. Хоштариа. Археологические иссл... გვ. 152.

²⁴ Н. Хоштариа. Раскопки античного города на месте современного Вани. საქართველოში 1958 წ. წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თეზისები, თბილისი, 1959.

დაპირზე შეიმჩნევა ძველი წყობის კვალი, ბევრგან კარგად ჩანს ვანში ძვ. წ. I ს-ისათვის დამახასიათებელი წითელი ფენა, რომელიც ალიზის კედლების ნაშალსა და კრამიტებს შეიცავს. დამცავი კედლების ასეთი ნაშთები კარგადაა ცნობილი ბორცვის აღმოსავლეთ კიდეზე და მის სხვადასხვა ნაწილში. აღნიშნული ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში 2 მეტრის სიმაღლისა და 400 მ² ფართობის შემადგენელი შემონახული. გათხრებმა აქ გამოავლინა ძვ. წ. IV—I საუკუნეების ნაგებობანი. ამავე ხანებს ეკუთვნის აქ აღმოჩენილი ნივთებიც. გათხრის დაწყებამდე შეგროვდა ამ საუკუნეების შავლაკიანი და წითელლაკიანი ქურქელი. თხრილში მოპოვებულ იქნა იმპორტული ამფორები ძვ. წ. IV—III საუკუნეებისა, ღრუქმა კაპადოკიის მეფის არიარატ IV ევსების (220—163). გათხრების ტერიტორიაზე აღმოჩნდა მარნის ნაშთები — სამი-ოთხი ძალიან დიდი ქვევრის ნაწილები, ერთ-ერთი მათგანის ყელის დიამეტრია 41 სმ. აქვე იყო „ორგო“ — ქვევრის სახურავი, დამზადებული ბრტყელი კრამიტისაგან, სასხლავი დანები და ბრინჯაოს მშვენიერი ანკესი. ალიზის ნაშალის მახლობლად აღმოჩნდა რკინის შუბები, აგრეთვე კონუსური იარაღს — მუჭირის წვერები. გათხრილი ფართობის შუა ნაწილში აღმოჩნდა ქვის მსხვილი ქურევების გროვა (28 სმ დიამეტრის) 10 მთელი და რამდენიმე დაშლილი ცალი.

1959 წელს შეგროვდა მასალები სოფელ ციხესულორშიც. ყურადღებას იქცევს ამ გზასთან ახლოს თეთრი ქვის დეტალის აღმოჩენა, იგი შემკულია ოვების ორნამენტითა და ვარდულით და ანტიკური ნაგებობის ფრიზის ნაწილი უნდა იყოს. იმავე ფართობზე აღმოჩნდა ნაგებობის ნაშთები, რომელშიც თიხის მილები გამოუყენებიათ, ისინი ვერტიკალურად იყენენ ჩაწყობილი, აქვე იყო გამოყენებული თიხის ფილებიც. ეს ნაგებობა ამ მონაცემების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, აბანო უნდა ყოფილიყო²⁵.

1960 წელს მუშაობა გრძელდებოდა გორაკის თავზე და დაიწყო ახალი ნაკვეთის — ოთარ ახვლედიანის ყოფილი ნაკვეთის შესწავლა.

გაგრძელდა 1958 წელს აღმოჩენილი სარკოფაგის გარშემო მდებარე ფართობის შესწავლა. სარკოფაგის გარშემო მოზენიულ ყვითელ მიწაყრილს 15 მეტრი დიამეტრი აქვს. ეს ყრილი გარშემორტყმულია თირის ქვის სარტყლით. თირის ქვის წყობა მრავალწახნაგაა. სამარხის აღმოსავლეთით წყობის ორი თუ სამი მწკრივია, ისინი ფერდობზე თითქმის კონტრაფორსებს ქმნიანო. ამ წყობას ფერდობზე ედგმის III₁ ნაგებობა (სურ. 19).

სარკოფაგთან გათხრილი თხრილის დასავლეთ კედელში კარგად შეიმჩნევა ძვ. წ. I საუკუნის ალიზის კედლის ნანგრევები. მაშასადამე აქ ამ დროს რაღაც ნაგებობა მდგარა.

კიბის სამხრეთ-აღმოსავლეთით არის ბორცვისებური შემადგენელი ზევიდან ქვაყრილით დაფარული, ყრილი გრძელდება ფერდობზე ჩრდილოეთით დასამხრეთით. ეს შემადგენელი ქვაყრილის გარდა კიდევ რამდენიმე ფენისაგან შედგება, სახელდობრ იქ კარგად შეიმჩნევა ქვის ანათალის თხელი ფენა, რომელიც უკავშირდება კიბის სამხრეთით არსებულ ასეთ ფენას შენობის კედლებთან. ბორცვისებური შემადგენლების შრეები ამასთან ჰფარავს სამხრეთ-აღმოსავლეთით კიბის რამდენიმე საფეხურს, რაც ჭერჭერობით ვერ აიხსნება. რაც შეეხება ქვა-

²⁵ Н. Хоштарна. Археологические раскопки в Вани в 1959 г. სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1959 წლის საეკლესიო-არქეოლოგიური კულევაძიებისადმი, თბილისი, 1960, გვ. 47—50.

ყრილს, იგი უფრო გვიანდელია, ვიდრე კიბე და მასში აღმოჩენილი ამისოს მონეტითა და ქვის ქურვებით ძვ. წ. I საუკუნით თარიღდება.

ქვაყრილში რაღაც წყობის კვალიც შეიმჩნევა. ყურადღებას იქცევს ქვაყრილში გამოყენებული ქვების მრავლად აღმოჩენა, ესენია სანაყები და სასრესები, აგრეთვე წაგრძელებული რიყის ქვა, რომელსაც ორმხრივ დაუმთავრებელი ნახვრეტი აქვს. ისინი, შესაძლოა სადღაც ახლოს მყოფი ენეოლითური ან აღრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარიდანაა მოტანილი²⁶.

ზოგიერთ ადგილას ბორცვის თავზე ანტიკური ხანის ფენებს გარდა მიკვლეულია ძვ. წ. II და I ათასწლეულის დასაწყისის ხელუხლებელი ფენები, ეს ფენები შეიცავენ კერამიკას, ცხოველების ძვლებს, რიყის ქვისაგან დამზადებულ იარაღს.

ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გრძელდებოდა ძვ. წ. V საუკუნის ფენების შესწავლა. შესაძლოა აქ ქვევრების წარმოებასთან გეჭონდეს საქმე, ამაზე მიუთითებს აქ პლასტიკური თიხის პირაგი, ხანგრძლივი ცეცხლის კვალი, და რაც მთავარია, ბორცვის თავზე აღმოჩენილთაგან ყველაზე უძველესი ტიპის ქვევრების ნატეხების მრავლად აღმოჩენა.

ბორცვის თავზე აღმოჩენილია აგრეთვე ფეოდალური ხანის ნაშთებიც, IX—X სს მეომრის სამარხი, ამავე ხანების კერამიკა და სხვა. არ არის გამორიცხული, რომ ამ ხანის ნაგებობაც მდგარიყო აქ.

არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობას განაგრძობდა 1961—1963 წლებში რამდენიმე უბანზე, რომელთა შესახებაც შემდეგ პარაგრაფებშია საუბარი.

1964—1965 წლებში ვანში არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა, მუშაობა განახლდა 1966 წელს.

Н. В. ХОШТАРИА

ИСТОРИЯ АРХЕОЛОГИЧЕСКОГО ИЗУЧЕНИЯ ВАНИ

Резюме

В центре Ванского района, в селе Вани, на холме, носящем имя Ахь-лентант гора, на протяжении ужь ста лет не раз были обнаружены богатые погребения в каменных саркофагах, содержавшие много золота. Сведения об этих находках сохранились в специальной литературе и прессе, а также в устных сообщениях на месте. О богатых находках в Вани, говорилось на V Археологическом съезде в Тбилиси в 1881 году и на заседании Подготовительного Комитета к этому съезду. В Вани по поручению Московского Археологического Общества в 1896 году производил небольшие раскопки Е. С. Такаишвили. Результаты его работ опубликованы на грузинском и русском языках.

²⁶ Н. Хоштариа. Ванская археологическая экспедиция 1960 года. საქართველოში 1960 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შესდეგებისადმი მიძღვნილი სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბილისი, 1961.

Систематическое археологическое изучение Ванского городища, начала археологическая экспедиция Института истории, археологии и этнографии им. акад. П. А. Джавахишвили АН Грузинской ССР в 1947 году.

В первый же год работы на вершине холма (рис. 1) у развалин крепостной стены обнаружен был весьма интересный комплекс, состоящий из трех погребений: погребение (№ 1) железной человеческой фигуры высотой в 30 см по середине, а по сторонам одно женское (погр. № 2) и одно мужское погребение (№ 3).

На железной фигуре (рис. 2) были остатки льняной одежды (или савана) и золотые украшения, серьги в ушах, гривна на шее и золотые бляшки (рис. 2а), которые когда-то были нашиты на ткань одежды фигуры.

В женском погребении (рис. 3) имелось большое количество серебряных и железных украшений, много бронзовой и серебряной посуды, а также монеты — колхидки. Среди инвентаря погребенной женщины обращают на себя внимание серебряные пиалы (особенно одна — с изображением на ней движения зверей (рис. 5—6)).

Весь этот комплекс погребений относится к III в. до н. э. захоронение женщины и мужчины были при этом вторичными. Наличие погребения железной фигуры в этом комплексе, а также своеобразия погребального обряда и, в частности, набор сосудов в погребении женщины, являются может быть свидетельством культового обряда погребения двоих (мужчины и женщины), бывших, видимо, служителями культа.

В 1948 году экспедиции наряду с другими находками, удалось обнаружить одно непогребенное богатое погребение (конца IV в. до н. э.) девочки 3—4 лет (погр. № 4), которая принадлежала по всей вероятности к правящей верхушке общества Колхиды (рис. 7—13).

В 1958 году на самой верхушке того же холма, в его юго-западной части, экспедиция обнаружила погребение в замечательном бронзовом саркофаге (погр. № 5). Саркофаг имел четыре кольцеобразные ручки, которые были подвешены к четырем рельефным головкам львов прекрасной работы (рис. 17—18). Саркофаг оказался использованным вторично для погребения в III в. н. э. Второе погребение в саркофаге было также ограблено как и первое. От второго погребения в саркофаге, сохранились непогребенные сложенные в каменном ящике, человеческие кости и прекрасное золотое кольцо, находившееся на некотором расстоянии от саркофага (возможно, обраненное при его ограблении). Погребение должно было принадлежать лицу с выдающимся положением в обществе, о чем говорит выбор места погребения (на самом видном месте—на хребте холма), высокое искусство изготовления саркофага, а также сохранившиеся остатки инвентаря из золота.

В следующие годы археологическая экспедиция изучала остатки

зданий и сооружений различных периодов античной эпохи (рис. 15—16, 19), а в 1961 году было обнаружено богатое погребение V века до н. э. О нем говорится в специальной статье этого сборника.

После кампании 1963 года экспедиция временно прекратила работы в Вапи и возобновила их в 1966 году.

ოთ. ლორთქიფანიძე, თ. შივალაძე

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის IV უბანზე 1960—1961 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები

1960—1961 წლებში ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ნ. ხოშტარია) ახელედიანების გორაზე მიმდინარე ძირითად და ფართო მასშტაბის სამუშაოებთან ერთად განაგრძობდა დაბა ვანის არქეოლოგიურ დაზვერვას ძველი ნაქალაქარის ნაშთების აღმოსაჩენად. ამ მიზნით საცდელი ხასიათის მცირე თხრები ჩატარდა საქვაბიას ფერდობის ქვედა ტერასზე მდებარე ოთარ ახელედიანის ნაკვეთზე (გენ. გეგმით — ნაკვეთი 186).

აღნიშნული ნაკვეთი ჩრდილო-დასავლეთიდან იფარგლება სასოფლო გზით, სამხრეთ-აღმოსავლეთით ხევით, რომელშიაც საქვაბიას ღელე მოედინება.

მოცემული ნაკვეთი წარმოადგენს ზომიერად დაქანებულ ფერდობს. მისი ნაწილი გასდევს სასოფლო გზას და თანდათან დაქანებულია საქვაბიას ღელესაკენ.

აღნიშნული ნაკვეთის არქეოლოგიური შესწავლა განპირობებული იყო შემდეგი მოსაზრებით:

1. გზის კრილში, რომელიც მოქცეულია შესასწავლი ნაკვეთის ფარგლებში, რამდენიმე ადგილას ფიქსირებულია საკმაოდ მძლავრი კულტურული ფენა. ფენაში ჩანდა ალიზისა და ქვის წყობის ფრაგმენტები, გადამწვარი ალიზის ფენა. კერამიკის (განსაკუთრებით საშენებლო კერამიკის) ფრაგმენტები. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ თვითონ გზა მთლიანად და განსაკუთრებით შესასწავლი ნაკვეთი მოფენილია კრამიტისა და კერამიკის ფრაგმენტებით, რაც განსაკუთრებით იჩენს თავს წვიმის შემდეგ.

2. ფერდობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე წვიმების შემდეგ, კრილში ჩანდა საკმაოდ მძლავრი კულტურული ფენა, რომელიც შეიცავდა საშენებლო და საუზაჯაცხოვრებო კერამიკის ფრაგმენტებს. ამ გარემოებამ მიიქცია ყურადღება და გააძეულა საქვაბიას ღელის ძირიც დაგვეთვალიერებინა. აქაც მრავლად იყო მიმობნეული ზემოდან ჩამორეცხილი კერამიკის ნიმუშები. გარდა ამისა, ოთარ ახელედიანისა და სხვათა ცნობით, ამ ღელის სანაპიროზე მრავლად იყო ზემოდან ჩამოცვენილი და კარგად დამუშავებული ქვები, რომლებიც ახლომასლო უბნების მოსახლეობას პერიოდულად გაჰქონდა.

3. ჩრდილოეთიდან აღნიშნულ ნაკვეთს ესაზღვრება ლამარა ახელედიანის სამოსახლო, სადაც (განსაკუთრებით ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში), ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, მიწის ბარვის დროს მრავლად აღმოჩენილა კერამიკული ფრაგმენტები. ამასთან ერთად ამ სამოსახლოს პატრონს ვანის

არქეოლოგიური ექსპედიციისათვის გადაუცია მინისებური პასტის დიდი ზომის მოხატული (ლურჯ ფონზე თეთრი ორნამენტით) მძივი. ლამაზა ახვლედიანის ეზოში დღესაც აწყვია შესანიშნავად დამუშავებულ ექვის ფრაგმენტები (კაპიტელები, ბაზები, კვადრები და სხვა), რომლებიც დამუშავების ტექნიკისა და ფორმების მიხედვით ელინისტურ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს (სურ. 20).

4. ნაკვეთს სამხრეთიდან ესაზღვრება ამბერკი ახვლედიანის (ამჟამად ირაკლი ცაბაძის) კარ-მიდამო, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთით უშუალოდ ებმის ონისიძე ახვლედიანის კარ-მიდამო. როგორც პირველ, ისე მეორე ეზოში მიწის ზედაპირზე აქა-იქ შეიმჩნევა ძველი კედლები. გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, ონისიძე ახვლედიანის ეზოში ძალიან ხშირად აღმოჩენილა ძველი (ზოგჯერ ძვირფასი) ნივთები. ხოლო ამბერკი ახვლედიანის ეზოში, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, წინა წლებში გათხრილ იქნა ძველი ნაგებობა.

აღსანიშნავია შემდეგი საინტერესო ფაქტიც: ამბერკი ახვლედიანის სახლი, როგორც ჩანს, დგას ძველ ნამოსახლარზე, ამაზე მიუთითებს სახლის ქვედა ნაწილში (პალატში) შემორჩენილი მძლავრი კულტურული ფენა.

შესასწავლი ნაკვეთის უდიდესი, შუა ნაწილი, სიმინდის ყანას ეკავა, ამიტომ გადაწყვიტეთ ყანისაგან თავისუფალი ნაწილის გათხრა. I თხრილი გავლებულ იქნა ნაკვეთის სამხრეთ ნაწილში. თხრილი გაყოფილი იყო ორ კვადრატად, თითოეული კვადრატის ზომაა 5×5 მ.

თხრილი დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. შესაბამისად I კვადრატი თხრილის სამხრეთ ნაწილში მოიზომა, ხოლო მეორე — ჩრდილო ნაწილში.

თხრა დაიწყო I კვადრატში. № 1 თხრილში დადასტურდა ორი, მაგრამ მასალის მიხედვით თითქმის ერთგვაროვანი საკმაოდ მძლავრი ფენა, რომელიც შეიცავდა როგორც კრამიტის (გვერდობაკეცილი და ღარიანი), ისე საყოფაცხოვრებო კერამიკის ფრაგმენტებს.

I კულტურული ფენა კორდოვან-თიხნარ შრეს მოსდევს. ამ ფენამ შემდეგი მასალა მოგვცა: უმეტესწილად კრამიტი, როგორც ღარისებური, ისე გვერდობაკეცილი. კეცი კრამიტისა მოწითალო-მოყავისფროა, სხვადასხვა მინარევების შემცველი. სამწუხაროდ კრამიტის ნატეხები ფრაგმენტულია და ამ თხრილში მისი აღდგენა არ მოხერხდა, აკეცილი გვერდის სიმაღლე 4,5 სმ-ია, სისქე 3,5—4 სმ.

ამავე ფენაში მცირე რაოდენობით გვხვდება ამფორის ფრაგმენტებიც. მათ შორის ყურადღებას იქცევს ე. წ. ყავისფერკეციანი ამფორის ძირი, რომლის ღილისებური მოყვანილობის ქუსლი მკვეთრადაა გამოყოფილი. აქვე გვხვდება მრგვალთავიანი ლურსმნის ნატეხები (საერთო სიგრძე 11,5 სმ. თავის სიგრძე — 3 სმ.). ამ ფენაში აღმოჩნდა პირამიდული ფორმის საწაფიც, ნაცრისფერკეციანი. საწაფს ზედა ნაწილი მომტკრეული აქვს, მაგრამ ეტყობა ნახვრეტის კვალი, (სიმაღლე — 6,5 სმ. სიგანე ძირისა 3,5 სმ).

მასალის მიხედვით უფრო საინტერესოა II კულტურული ფენა. ამ ფენას ეტყობოდა ხანძრის კვალი. იგი მრავლად შეიცავდა ნახშირის ნატეხებს.

აქაც საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდებოდა, მსგავსად I ფენისა, კრამიტის ფრაგმენტები.

გვსვდებოდა, ქვეყრის (პითოსის) ნატეხენი, რუხკეციანი, შავზედაპირიანი, წვრილა ლარვებით შემკული, აგრეთვე გლუვზედაპირიანიც. გარეთა ზედაპირი ორი ფრაგმენტისა შემკულია ორ რიგად განლაგებული ლურსმნისებური ჭდე-ბით. გვსვდება ამ ქურქლის ძირებიც. ნაპოვნია, აგრეთვე, ისეთივე ფორმის წითელკეციანი პითოსის ორი ძირი და ასეთივე კეციანი პირის ნატეხი.

აღსანიშნავია ერთი ფრაგმენტი ამფორის პირ-ყელისა. იგი თხელკეციანია. იაბრისებური მოყვანილობისა.

ამავე ფენაში ნაპოვნია სხვადასხვა ქურქლის ყურები. მათ შორის ორ-ა ფრაგმენტი ამფორისაა. თიხა მოყვითალო ფერისაა, წმინდად გაცრილი. ერთა ყური ოვალურგანვიკვეთიანია, მეორე მრგვალი. ამავე ფენაში გვსვდება პირ-გადაშლილი, მუცელგაბერილი ქოთნის ფრაგმენტები, ერთი რუხკეციანია, მეორე მოწითალო ფერისაა და ყელისა და ტანის შეერთების ადგილი ორნამენტირებულია.

ამავე ფენაში ნაპოვნია ერთი ფრაგმენტი წითელაკიანი ქურქლის ძირისა. ქუსლი მკვეთრადაა პროფილირებული და დაფარულია წითელი ფერის ლაკით. თიხა კარგადაა გამოშვარი, წმინდადაა გაცრილი, ვარდისფერია და შეიცავს ქარსის მბრწყინავ მარცვლებს, რაც შესაძლოა მის სამოსურ წარმოშობაზე მიუთითებდეს. ქუსლი გარედან შეღრმავებულია და დაფარულია კონცენტრული წრეებით.

ამავე ფენას უკავშირდება საკმაოდ მოზრდილი დანახშირებული, კარგად დაცული ძელი, რომელიც № 1 კვადრატის ჩრდილოეთ ნაწილში აღმოჩნდა.

II თხრილი გავავლეთ შესასწავლი ნაკვეთის აღმოსავლეთ კიდეზე. ზედ საქვაბაას ღელის პარზე, სადაც, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, შემჩნეული იყო მძლავრი კულტურული ფენა. თხრილი დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ე. ი. ხევის პირიდან ნაკვეთის სიღრმისაკენ.

№ 2 თხრილი დაიყო კვადრატებად. კვადრატების ზომაა 5X5 მ-ზე. სულ გათხარა 6 კვადრატი. ორი კვადრატი თხრილის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილშია. ამათთან კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთით კუთხე წარმოსახვითია. ასევე წარმოსახვითია კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე. ხოლო ამ უკანასკნელის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნახევარი არ გათხრილა.

აღნიშნული კვადრატების შესწავლამ მოგვცა კულტურული ფენების შემდეგი მონაცვლეობა:

ზედა ფენა კულტურული ნაშთებით შედარებით ღარიბია. იგი შეიცავს კრამიტის, ქვეყრისა და სხვ. ფრაგმენტებს. ამ მონაპოვარს შორის აღსანიშნავია ნატეხენი რუხი (შავპირილა) ვერტიკალურკიდეებიანი და მრგვალქუსლიანი ჯამისა, რომლის ძირის შიდა ზედაპირზე გამოყვანილია სტილიზებული ნაძვის ხის გამოსახულება. საერთოდ ამ ფენაში სხვადასხვა დროის მასალაა წარმოდგენილი, რაც აიხსნება რელიეფის თავისებურებით: საგრძნობი დაქანების გამო ეს ფენა, როგორც ჩანს, წარმოიშვა ფერდობის ზედა ნაწილში არსებული კულტურული ფენების ჩამორეცხვით.

აღნიშნული ფენის შემდეგ, თხრილის თითქმის მთელ ფართობზე ფიქსირებულია ამორფულ მასად ქცეული ალიზის აგურები, რომელიც ფარავდა ასევე თხრილის მთელ ტერიტორიაზე მოფენილ ჩაქცეული კრამიტის ფენას. ეს უკანასკნელი მის ქვემოთ აღმოჩენილ მასალასთან ერთად, წარმოადგენს ერთ

მძლავრ, ხანძრის შედეგად წარმოშობილ ფენას, რომელიც განეკუთვნება აქვე მიკვლეული ნაგებობის არსებობის უკანასკნელ ეტაპს.

ამ ფენაში აღმოჩნდა ორი სახის კრამიტი: გვერდბაქეცილი და ლარიანი. აღნიშნული გადამწვარი ფენა დიდი რაოდენობით შეიცავდა ქვევრების, ამფორების, სამზარეულო კერამიკის, შავ და წითელლაკიანი ქურქლებისა და სხვა ფრაგმენტებს.

ქვევრები. ამ ფენაში მრავლად აღმოჩნდა რუბკეციანი და შეზედაპირიანი ქვევრების კედლებისა და ყელ-პირის ფრაგმენტები. კეცი უხეშია, კირქვის მარცვლებისა და სილის მინარევებიანი. გადანატეხში იგი ორფენოვანია. ზედა, უფრო სქელი ფენა მონაცრისფროდაა გამოწვარი; ქვედა, შედარებით თხელი ფენა — მოვარდისფროდ. კედლების ზედაპირი დაფარულია ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი პორიზონტული მცირე სიღრმის ღარებით. ეს ღარები ზოგიერთ ფრაგმენტზე ოდნავ შესამჩნევია. ზოგიერთზე კი შედარებით მკვეთრია. ზოგი ფრაგმენტის ზედაპირი შემკულია მცირე ზომის სოლისებური ქდეებით, ზოგიერთ ფრაგმენტს ეტყობა მერიდიანული ოდნავ შესამჩნევი ქდეები, რომელნიც აქვე მოპოვებული ადრეანტიკური ხანის ქვევრებთან შედარებით (მათ შესახებ იხ. ქვემოთ) უფრო მოსწორებულია და გაცილებით გლუვია. ზოგიერთი ფრაგმენტის შიდა ზედაპირი გლუვია, ზოგიერთისა გარე ზედაპირის მსგავსად დაღარული. კედლების სისქე საშუალოდ 2 სმ-ია.

ქვევრის ყელი შედარებით მაღალია და ვერტიკალური. ყელის მიმართ პირის კიდე შესქელებულია და ზედაპირზე გასდევს ოთხი რიგი მომრგვალებული ქდეებისა, რომელნიც ერთმანეთს შორის მცირე ღარებს ქმნიან. ქვედა ქედი, რომელიც ყელს ებჯინება, უფრო რელიეფურია, ვიდრე დანარჩენი სამი, ხოლო ზედა ქედი თითქმის მთლიანად გლუვია. პირის კიდის სიმაღლე 4 სმ-ია; სისქე 2 სმ, ძირი ბრტყელია და მომრგვალებული.

ქვევრების აღნიშნული ფრაგმენტები, უმთავრესად, აღმოჩენილია თბრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

ანალოგიური ქვევრები უკვე საკმაოდ მრავლადაა ნაპოვნი ვანის ნაქალაქარზე. გვიანელინისტური ხანის ფენებში. ქვევრების ეს ტიპი, შესწავლილი მასალის მიხედვით თუ ვიზუალებით, დამახასიათებელია რიონის ხეობის შუა ნაწილისათვის (ხ. ბოშტარიას მოსაზრება). ზემოაღნიშნული ქვევრები ძალზე ახლოს დგანან დაბლაგომის ქვევრებთან¹ და გვიანელინისტურ ხანაში არიან ფართოდ გავრცელებული. საინტერესოა, რომ ცალკეული ფრაგმენტები აღწერილი ქვევრებისა, რომლებიც, როგორც აღნიშნული გვექონდა, მიჩნეულია რიონის შუა წელის პროლეუქციად, აღმოჩენილია, აგრეთვე, აფხაზეთში სოხუმის ციხის ტერიტორიაზე 1959 წელს, ძვ. წ. III—II სს. კულტურულ ფენაში². აგრეთვე, რაც განსაკუთრებით საკულისხმოა, ჩრდილო შავიზღვისპირეთში (პანტიკაპეონი, მირმეკიონი და ტირიტაკა)³.

¹ Б. А. Куштни, Материалы, к археологии Колхиды. II, гв. 68 და შემდეგ, ტაბ. 27¹⁻⁷.

² ა. აფაქიძე, ოთ. ლორთქიფანიძე, მასალები დიოსკურია-სეზასტოპოლისის არქეოლოგიისათვის „მაცნე“, № 3, 1965, გვ. 125, ტაბ. XII, 4.

³ И. Зеест, И. Марченко. Некоторые типы толстостенной керамики из Пантикапея. МИА № 103, 1962, гв. 153—154; В. Ф. Гайдукевич, Мирмекий, Варшава, 1959, гв. 46, შენიშვნა 95—96.

ამფორები წარმოდგენილია კედლების (სადაზღვევაპირიანი), ყელპირის, ყურების (უპირატესად ოვალურგანიკვეთიანი) და ძირების ფრაგმენტებით.

გათხრილ მონაკვეთზე აღმოჩენილია ე. წ. ყაფისფერკეციანი ამფორის 49 ქუსლი, რომლებიც როგორც წესი, მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი დილისებური მოყვანილობისაა. ქუსლის ძირები სხვადასხვა ზომისაა და განირჩევა მოყვანილობითაც. ზოგიერთი მათგანი ბრტყელია, ხოლო დანარჩენები სფერული. შიგნიდან ყველას ეტყობა მონალესის კვალი, რომელიც უპირატესად ყვავილისებური მოყვანილობისაა, ზოგან კი სპირალური. თიხას, როგორც წესი, აქვს ქარსის, კირქვის მარცვლებისა და სილის მინარეგები.

აღწერილი ძირები ეკუთვნის ადგილობრივი წარმოების ამფორებს, რომლებიც მრავლადაა აღმოჩენილი ვანში და აგრეთვე კოლხეთის ელინისტური ხანის ნამოსახლარებზე⁴.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თეთრანგობიანი ამფორების ფრაგმენტები, რომელთაგან ორი ნაირსახეობა გამოირჩევა. ერთია ქარსნარევი, მუქი წითელი ფერის კეცისა, ძაბრისებური მოყვანილობის ყელ-პირით. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ფრაგმენტები აღმოჩენილია მეორე კულტურულ ფენაში. მეორე უქარსოა და მცირე რაოდენობით შეიცავს კირქვის წვრილ მარცვლებს. მისი მხოლოდ კედლებია შემორჩენილი. ერთ ადგილას, როგორც ჩანს, მხრის დასაწყისში, შემოუყვება ოდნავ შესამჩნევი ღარები. აქვეა ნაპოვნი ოვალურგანიკვეთიანი, თეთრანგობიანი ყურის ფრაგმენტი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სინოპური ამფორის დამდიანი ყურის აღმოჩენა. მასზე შემორჩენილია დამდის ემბლემა — კაღუცეუმი და სამფეხა.

სამზარეულო კერამიკა ამ ფენაში წარმოდგენილია ფართემუცლიანი, პირგადაშლილი ქოთნების ყელ-პირისა და კედლების ფრაგმენტებით. ისინი, როგორც წესი, უხეშადაა დამუშავებული და არათანაბრად გამომწვარი. თიხა ცუდადაა გაკრილი. მსხვილმარცვლოვანია და დადი რაოდენობით შეიცავს სილას, კირქვასა და სხვა მინარეგებს. მოპოვებული ფრაგმენტები ერთმანეთისაგან პირის კიდის პროფილირებით განირჩევიან. ერთ ფრაგმენტს, ყელს ქვემოთ (მზარზე გადასვლისას) ირგვლივ ტალღისებური ორნამენტი შემოუყვება.

საგანგებოდაა აღსანიშნავი ბრტყელპირიანი, ირიბკალთიანი, პირგადაშლილი ჯამის ფრაგმენტი. ამგვარი ფრაგმენტი ჭერჭერობით ერთადერთია ჩვენს მონაპოვარში. ანალოგიური ფრაგმენტები სამაგიეროდ მრავლად გვხვდება დაბლაგომში ანტიკური ხანის ფენაში და მას ბ. კუფტინი კოლხეთის ადგილობრივი კერამიკის ნიმუშებად მიიჩნევს⁵. ამავე ფენაშია აღმოჩენილი აგრეთვე წითელკეციანი ჭურჭლის ორი ფრაგმენტი, რომელნიც წითელი ფერის ზაზებითაა შემკული. ერთი ჭურჭლის ყელ-პირის ფრაგმენტია, ხოლო მეორე კედლისა.

საგანგებოდ უნდა შეეჩერდეთ აღნიშნულ ფენაში მოპოვებულ შავ და წითელლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტებზე, თუმცა ისინი შედარებით მცირერიცხოვანი არიან. შავლაკიანი ჭურჭლის მხოლოდ ორიოდ ნატეხია ნაპოვნი. ლაკი საკმაოდ მდარე ხარისხისაა, მას დაკარგული აქვს ძვ. წ. V—IV ს-ის ლაკის და-

⁴ დაწერ. ის. ო. თ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966, გვ. 137 და შუბლ.

⁵ Б. А. К у ф т и н. М а т е р и а л ы..., II, გვ. 91 და შუბლ. 95, სურ. 24/11—12.

შახსიათებელი ბზინვარება და გვიანელინისტური ხანისათვის დამახასიათებელი ლითონისებური იერი დაკრავს.

შედარებით მრავალფეროვანია წითელლაკიანი კერამიკა. საესებით აშკარად გამოირჩევა ორი ძირითადი ჯგუფი. პირველი წარმოდგენილია ჯამების საკმაოდ მასიური, მრგვალი და ღრმა ძირებით. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ კარგადაა პროფილირებული. ამ ფრაგმენტების კეცი უხეშია, მსხვილმარცვლოვანი, კირქვის, პიროქსენის, აგრეთვე სილისა და ოქრომფერი ქარსის წმირი ჩანართებით. კეციც არაა თანაბრად გამომწვარი. საღებავი (ლაკი) წითელი ფერისაა, აგრეთვე მდარე ხარისხისაა, არათანაბრად წასმული. ზოგიერთ ფრაგმენტს ეტყობა გაპრიანების კვალიც. ზემოაღნიშნული ფრაგმენტები ჩვენის აზრით, ადგილობრივი წარმოებისაა.

მათგან არსებითად გამოირჩევა მეორე (იმპორტული) ჯგუფი, რომელიც კარგად გაცრილი და განლეჟილი თიხისგანაა ნაკეთები და მალახარისხოვანი ლაკითაა დაფარული. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ძალზე თხელკეციანი თასის კედლის ფრაგმენტი. შიგნიდან იგი წითელი ფერის, ხოლო გარედან შავი (ყვიისფერში გარდამავალი) ლაკითაა დაფარული. თიხა გადანატეხში მოწითალო ფერისაა, კარგად განლეჟილი და თანაბრად გამომწვარი. ფრაგმენტს გარე მხარეს შერჩენილი აქვს სუროს ფოთლის რელიეფური გამოსახულება (სურ. 21). საესებით ამგვარი ფრაგმენტები მრავალადა აღმოჩენილი მაგალითად ჩრდილო შვეიცარიისპირეთში. მათ ძვ. წ. II საუკუნით ათარიღებენ და ყოველგვარი ეპიკის გარეშე პერგამონის სახელოსნოების ნაწარმად მიიჩნევენ⁶.

ზემოაღნიშნული ფრაგმენტის სრულიად ანალოგიურია აქვე აღმოჩენილი სხვა ფრაგმენტებიც (მას არა აქვს შემორჩენილი რელიეფური ორნამენტი). ანალოგიური ფერის წითელი ლაკითაა ორავე მხარეს დაფარული, იმავე კეცის მქონე მეტად თხელკედლიანი თასის პირისა და კედლის ფრაგმენტი. ისიც ჩვენის აზრით ძვ. წ. II ს. პერგამონის კერამიკულ სახელოსნოთა პროდუქციას უნდა მიეკუთვნოს. აღსანიშნავია, აგრეთვე, ჯამის პირის მეტად მცირე ზომის ფრაგმენტი. იგი საკმაოდ მალახარისხოვანი წითელი ლაკითაა დაფარული, პირის შუა ნაწილში შავი ფერის არშია გაუყვება. კეცის მიხედვით შესაძლოა ეს ფრაგმენტიც პერგამონულ ნაწარმად მივიჩნიოთ (სურ. 21).

დიდ ინტერესს იწვევს ამავე ფენაში ნაცრისფერკეციანი „მეგარული“ თასის ორი ფრაგმენტი. ჩანს, რომ ჭურჭელს ყელის ქვემოთ, მხრის დასაწყისში ვიწრო რელიეფური სარტყლები უეღიდა გარს, რომელთა შორის მცირე ზომის რელიეფური წერტილებია ჩასმული, ხოლო ქვემოთ ენებდა ორნამენტი (სურ. 22). მსგავსი ორნამენტაცია კარგადაა ცნობილი ძვ. წ. II ს. ე. წ. „მეგარულ“ თასებს შორის. დადგენილია, რომ იგი თავდაპირველად ათენში ჩნდება და შემდეგ ფართოდ ვრცელდება ბეოტიაში, დელოსზე, იტალიასა და სხვაგან⁷. ჩვენის ფრაგმენტის ანალოგიური თასები დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ათენში.

⁶ იხ. მაგალითად, В. Ф. Гайдукевич. Раскопки Тирнтаки и Мирмекия в 1946—1952 гг. МИА, 85 გვ. 199 და შემდ. სურ. 53; მისივე Мирмекий გვ. 76 და შემდ. სურ. 82, ამ ტიპის ჭურჭლის წარმოება პერგამონში დასტურდება, როგორც იქ აღმოჩენილი მსგავსი ჭურჭლის სიმრავლით, ასევე, რაც განსაკუთრებით საეულსისპირა, არაბოჯის აღმოჩენილი ყალიბებით, რომლებიც იხმარებოდა თასების შესამკობი ორნამენტული სახეუბა დასამზადებლად.

⁷ იხ. P. Baur. Megarian Bowls in the Rebecca Darlington Stoddard Collection, AJA 1941, № 2, გვ. 326—237; იხვე ლიტერატურა.

ძალზე ახლოს დგას ჩვენს ფრაგმენტთან სალონიკში შექმნილი თასი, რომელიც იელის უნივერსიტეტშია დაცული. მას და ანალოგიური ფორმისა და შემკულობის თასებს ქვ. წ. II ს. უფრო კი მისი მეორე ნახევრით ათარიღებენ⁹.

საგანგებოდაა აღსანიშნავი ბრინჯაოს კრაქი. იგი ფორმით ელინისტური ხანის იტალიურ ცენტრებში გავრცელებულ კრაქებს წააგავს, თუმცა შესაძლებელია მკირე აზიის რომელიმე სახელისნოშიც იყოს დამზადებული (სურ. 23).

ამვე ფენაში აღმოჩენილია, აგრეთვე, პირამიდული მოყვანილობის თახის საწაფები (სურ. 24). მათ წაკვეთილი პირამიდის ფორმა აქვთ; სწორკუთხა ძირი, ხოლო ზემო ნაწილში — ნახურეტი. ისინი საკმაოდ მრავლადაა ნაპოვნი ვანში, ნაჭალაქარის სხვა უბნებზეც¹⁰. მსგავსი საწაფები ხშირად გვხვდება საქარ: თველოს სხვა რაიონებშიც¹¹.

პირამიდული მოყვანილობის საწაფები, როგორც ცნობილია, ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ სამყაროში ჯერ კიდევ წინარე ანტიკური ხანიდან. ნათი დანიშნულების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება იყო გამოთქმული. ზოგიერთს ისინი თევზის საკერი ბადის საწაფად მიაჩნდა, ზოგს საკვების სახარში კურკლის სადგამებად ან კიდევ საწონის ერთეულებად და სხვა. უკანასკნელ ხანებში განმტკიცდა მოსაზრება, რომ პირამიდული მოყვანილობის თახის საწაფები ძირითადად გამოიყენებოდა ვერტიკალური საქსოვი დაზვისათვის ძაფის ბოლოების დასაქიმად¹².

აქვე უნდა აღინიშნოს იმავე ფენაში ბრინჯაოს ორწვერა იარაღის აღმოჩენა, რომელიც საქსოვად იყო განკუთვნილი¹³.

დამწვარ ფენაში მოპოვებული მასალებიდან აღსანიშნავია აგრეთვე სხვადასხვა ზოვის ტყვიის 2 ფილა, რომლებიც საწონ ერთეულებადაა მიჩნეული¹⁴. ამავე ფენაში ნაპოვნია, აგრეთვე, მრგვალქუდიანი რკინის ლურსმნები.

დიდ ინტერესს იწვევს ამავე ფენაში აღმოჩენილი საკმაოდ დიდი ზომის წყალსადენის თახის მილის ფრაგმენტები. მიუხედავად ფრაგმენტულობისა, მისი კონტრუქცია (სურ. 25) სავსებით ნათელია. წინა შევიწროებული ნაწილი თავსდება მეორე მილის უკანა ნაწილში. მილის დიამეტრი 20 სმ-ია, შიდა დიამეტრი — 15,5 სმ, კედლის სისქე — 2 სმ, სათავე ნაწილის დმ — 15 სმ-ია, სიგრძე 10 სმ, კედლის სისქე — 1 სმ. მთლიანად მილის შემორჩენილი ნაწილის სიგრძე 26,5 სმ-ს უდრის. თავისი ფორმით ეს მილი თითქმის იმეორებს ელინისტური ხანის ბერძნული ქალაქების წყალსადენის მილის ფორმას¹⁵. მართალია, ეს ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა წყალსადენის მილის აღმოჩენისა ვანის

⁹ W. Schwabacher. Hellenistische Reliefkeramik, AJA, 1941, № 2, გვ. 217 და შემდ. ტ. VII.

¹⁰ P. Вауг. დასახ. ნაშრომი, გვ. 236—237, სურ. 6; ტაბ. XI (1913, 199).

¹¹ Н. Хоштариа. Археологические исследования в Ванн, ტ. VI₂.

¹² დაწვრ. იხილე ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966, გვ. 141—142.

¹³ დაწვრ. იხილე იხ. В. Ф. Гайдукевич. К вопросу о ткацком ремесле в Боспорских поселениях, МИА, 25, გვ. 394—414.

¹⁴ ეს ნივთი გამოაქვეყნა გ. ლორთქიფანიძემ: Г. А. Лордкипанидзе, Животноводство и промыслы, СА, 1967, № 1.

¹⁵ Г. А. Лордкипанидзе. О колхидской весовой системе „Культура античного мира“ (сб. в честь В. Д. Блаватского). М. 1966.

¹⁶ იხ. В. Ф. Гайдукевич. Мирмекий, II, გვ. 66, სურ. 68.

ტერიტორიაზე და ბუნებრივია, არ გვაძლევს საუფძველს საბოლოო დასკვნებ-
სათვის, მაგრამ თუ ამგვარი აღმოჩენები გახშირდება, მაშინ ჩვენ ხელთ გვექნე-
ბა მოწმობა ქალაქის კეთილმოწყობის მაღალი დონის შესახებ გვიანელთანსტერ
ხანაში.

ზემოაღნიშნული ფენა უნდა უკავშირდებოდეს დიდ ნაგებობას. რომელია
კედლების ნაშთებს მივაცვლით თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. აქ
აღმოჩნდა დიდი ზომის რიყის ქვის წყობა, რომელშიც გამოყენებულია თირის
ქვაც. ეს წყობა სამხრეთ-დასავლეთიდან უშუალოდ ემიჯნება ალიზის გადპონგ-
რეულ და ამორფულ მასას, რომლის ძირშიც იგი აღმოჩნდა; ამასთან წყობის
ჩრდილო-აღმოსავლეთი ბოლო უშუალოდ შედიოდა შემოხსენებული ალიზის
ჩამოქცეული გროვის ქვეშ, ამიტომ გადაწყდა ხსენებული ალიზის გროვის გა-
რა: ალიზის ჩამოქცეულ კედელში აღმოჩნდა ხელსაფქვევი (სურ. 26). გაკრის
შემდეგ გამოირკვა, რომ ამ ალიზის ქვეშ ყოფილა აგრეთვე ქვის ხეობა. გახსნა-
ვებით რიყის ქვის წყობისაგან, იგი დიდი, უხეშად გათლილი, თირის ქვებისაგა-
ნაა ნაგები. ამასთან თვით ქვებიც და ის მიწაც, რომელშიც ისინი აღმოჩნდა, წი-
თელი ფერისაა. ეს გარემოება აშკარად იმის მაჩვენებელია, რომ ნაგებობის ეს
ნაწილი მძლავრ და დიდ ხანძარშია მოხვედრილი.

უხეშად გათლილი ქვის წყობა ქმნის გარკვეულ კონტურებს. კედლის წყო-
ბის ნაშთების მიხედვით, რომლის გაწმენდაც ჩვენ მოვასწარით, ძნელია მსჯე-
ლობა იმის შესახებ, თუ რა სახის ნაგებობასთან გვაქვს საქმე. საგანგებოდ უნდა
აღინიშნოს თხრილის ჩრდილო ნახევარში აღმოჩენილი მრგვალი ქვის სვეტის
ერთი ნაწილი (სურ. 27). სვეტი ქვიშაქვისაა (60 სმ სიმაღლის) შესანიშნავად
არის დამუშავებული. იგი, როგორც ჩანს, ერთი ნაწილია ნაწილებდაგან შედგე-
ნილი დიდი სვეტისა, რომელიც უდავოდ ძალიან დიდ ნაგებობას ეკუთვნოდა.
ამაზე მეტყველებს მის ორივე მხარეზე არსებული გრძივი ჭრილი და გრძივი
ხერელი, რომლებიც უნდა გამოყენებულიყო რკინის საპაგრებისათვის, ან ტყვი-
ის ჩამასხმელად. სვეტის მდებარეობა, ცხადია, თავდაპირველი არაა: იგი გვერდი-
დან ან ზემოდან ჩამოვარდნილი ჩანს (სურ. 28). ის კი აშკარაა, რომ დიდი და
მნიშვნელოვანი ნაგებობა დაახლოებით იმ ფართობზე უნდა ყოფილიყო, სადაც
გაველებულია II თხრილი. ამას მოწმობს შესანიშნავად დამუშავებული პრინციპ-
ული ფორმის ქვის კვადრი, რომელიც აღმოჩნდა გადამწვარ ფენაში, ჩაზვავებუ-
ლი კრამიტის ქვეშ.

ხანძრისაგან გაწითლებული წყობის მიმართულებაა ჩრდილო-ჩრდილო-და-
სავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. იგი თხრილის შიგნიდან მიემართება
ხრამის პირისაკენ, ხოლო მეორეს მხრივ მისი მიმართულებაა ჩრდილო-ჩრდი-
ლო-სამხრეთ-სამხრეთ-დასავლეთისაკენ (სურ. 29).

აღმოჩენილმა ნაგებობამ, რომელიც ძალიან მძლავრი ხანძრისაგანაა და-
გრეული, შემდეგი სახე მიიღო:

ერთი კედლის პირი იწყება კვადრატის აღმოსავლეთ კიდედან, ე. ი. ზეუ-
ხრამის პირთან და მიემართება ჩრდილო-დასავლეთ-დასავლეთისაკენ. ეს წყობა
ხრამის პირიდან გრძელდება 3,70 მ-ზე და აკეთებს კუთხეს სამხრეთ-დასავლეთი-
საკენ. მაგრამ, როგორც შემდეგი თხრიდან გამოირკვა, აღნიშნული წყობა აქ არ
წყდება და მიემართება კვლავ ჩრდილო-დასავლეთ-დასავლეთის მიმართულე-
ბით, სადამდე გრძელდება ეს წყობა, ძნელი სათქმელია, რადგან კვადრატში
ალიზის ფენა, რომელიც ამ წყობას ზემოდან ედო, ვეღარ ავიღეთ.

აღნიშნული წყობის პარალელურად ისევე ხრამის პირიდან, იგივე მიმართულებით მიემართება მეორე კედელი, ანალოგიური წყობისა. ქვები აქაც გადამწვარია და წითელი ფერისაა. ამ ორ ერთი მეორის პარალელურად მიმდინარე კედლებს შორის მანძილი 0,6 მ-ია.

ორ კედელს შორის აღმოჩნდა მძლავრი კულტურული ფენა ჩაქცეულ კრამიტის სახით. იგი მთლად გადამწვარია. კრამიტის ძირში გვხვდებოდა ამფორის კედლის ნატეხები, როგორც წითელკეციანი, ისე ყვითელანგობიანი. ამავე ფენაში ნაპოვნია ერთი ნატეხი წითელკეციანი ქურკლის კედლისა, რომლის ზედაპირი შემკულია წითელი ფერის სარტყლებით. საგანგებოდაა აღსანიშნავი ნატეხები წითლად გაპრიალებული, პირგადაშლილი ქურკლისა, რომელიც წითელი ფერის სარტყლებითა და სავარცხლით გამოყვანილი ტალღისებური ორნამენტითაა შემკული (სურ. 30). საინტერესოა, აგრეთვე, ძაბრისებურიძირიანი, პირგადაშლილი თიხის ლარნაკი (სურ. 31) და წრიული სახეებით მოჩუქურთმებული თეთრი კირქვის ფრაგმენტი (სურ. 32).

ორივე წყობა კარგადაა ნაგები. წყობა ჯვარედინია (შეად. კიბის წყობა) კედელს ქვეშ აქვს რიყის ქვით გამოყვანილი საძირკველი, ალაგ-ალაგ კვადრატებს შორის სივრცე კედლის სწორი პირის გამოსაყვანად შეესებულია სოლისებური გათლილი ქვებით. I კედლის შემორჩენილი ნაწილის უდიდესი სიმაღლე 1,2 მეტრია. კვადრები შეიდ რიგადაა განლაგებული. 1—3 რიგი კვადრებისა გადახვეტილია სამხრეთ-დასავლეთისაკენ, რაც ხანძრის შედეგი უნდა იყოს. ზემოდან, მეოთხე რიგიდან ქვევით, შედარებით ნაკლებადაა დამწვარი, თუმცა მოჩანს ნახშირის კვალი.

რაც შეეხება პირველის პარალელურ მეორე წყობას, როგორც ჩანს, იგი მარტო ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით კი არ გრძელდებოდა, არამედ აღმოსავლეთისაკენაც. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ამ მიმართულებით აღმოჩენა წყობისა, რომლის საბოლოო გაწმენდა ვერ მოვასწარით.

აღრე და წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა

დამწვარი ფენის ქვეშ აღმოჩნდა კულტურული ფენა, რომელიც შეიცავდა აღრე-და წინაანტიკურ მასალას, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია ქვევრებითა და სამხარეულო კერამიკით. ამ მასალის შემცველი ფენა ძლიერ დაზარალებულია და მასში ერთად გვხვდება აღრეანტიკური (V—IV სს.) და აგრეთვე წინარეანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი კერამიკული ფრაგმენტები.

ქვევრები:

ამ ფენასა და ელინისტურ ფენას შორის სხვაობა ნათლად ჩანს მოცემულ ფენებში მოპოვებული ქვევრების შედარებისას. ეს სხვაობა განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს როგორც მასალის დამუშავების, ისე ქურკლის გარეგანი გაფორმების მხრივ, ელინისტურ ფენაში მოპოვებული ქვევრებისაგან განსხვავებით, აღნიშნულ ფენაში არსებული ქვევრების უმრავლესობა წითელკეციანია და თიხითაც ძლიერაა ქარაჩრებული. პირების ფორმათა მიხედვით, აღნიშნული ფენის მასალაში სამი ჯგუფი გამოიყოფა: 1. პირგადმოზიდული ნიმუშები, რომლებსაც განიერი, ორნამენტირებული კიდე აქვთ, 2. სწორი პირი ოღნავ გადმო-

წიული ორნამენტირებული კიდით და 3. სადა, გადმოკეცილი კიდის მქონე ეგზემპლარი, რომლის პირი ქვემოთ განიერდება და ქმნის ქედს. პირი პროფილში მართკუთხა სამკუთხედის ფორმისაა.

პირგადმოზიდული ფრაგმენტების პირის კიდის ორნამენტი შემდეგნაირია: კაწრით შესრულებული თევზიფხური¹⁶ და რელიეფური გრეხილი. ეს უკანასკნელი ორნაირია: უფრო რელიეფური და მასიური გრეხილი, რომელიც დატანილია შედარებით განიერ კიდზე¹⁷ და ნაკლებ რელიეფური გრეხილი, რომელიც შესრულებულია დაკბილული იარაღით შედარებით ვიწრო კიდზე¹⁸. მეორე ჯგუფის პირის კიდევ გრეხილი ორნამენტიცაა შემკული, ოღონდ გრეხილი უფრო პორიზირებულია და ნაკლებრელიეფური. მესამე ჯგუფის ეგზემპლარი, როგორც აღნიშნული იყო, სადაა, თუ არ ჩავთვლით მასზე დატანილ მცირე სიღრმის წერტილებს. აღსანიშნავია, რომ მეორე ჯგუფის პირი ნაცრისფერკეციანია, ხოლო მესამე რუხკეციანია.

ამავე ფენაში გამოჩნდა რამდენიმე შაკეციანი ქვევრის კედლის და პირის ფრაგმენტი, რომელთა მიხედვით თუ ვიშაჩელებთ, დაეინახავთ, რომ ამ ქვევრებსა და ელინისტური ხანის ქვევრებს შორის არსებითი განსხვავებაა. აღნიშნულ ქვევრებს ელინისტური ხანის ქვევრებისაგან განსხვავებით, გასდევთ რელიეფური ქედი. რაც ფრაგმენტზე ეს გლუვია, ხოლო ზოგზე მახვილი¹⁹. პირები, როგორც ჩანს, ეკუთვნის პირგადაშლილ, მუცელგანიერ ქვევრებს, ერთი პირი ერთმანეთზე მიჯრილი წვრილი, ღარისებრი ზოლებითაა დასერილი, ხოლო მეორეზე ეს ზოლები მშვილდებითაა გადმოცემული²⁰. ქედიანი კედლებით გამოირჩევიან ნაცრისფერკეციანი, ბაცი ვარდისფერ ზედაპირიანი, შედარებით მომცრო, მაგრამ მუცელგანიერი და პირგადაშლილი ქვევრების ფრაგმენტები²¹. ამ ქვევრებს ყელის ძირში და მუცლის დასაწყისში გარშემო შემოუყვება ორი ერთი მეორის პარალელური ქედი, ქვედა მუცლის დასაწყისში არსებული ქედიდან ძირისაკენ ეშვება ასეთივე მერიდიანული ქედები. ამ ქვევრების ძირი ბრტყელი უნდა ყოფილიყო, რასაც მოწმობს ანალოგიური მასალისა და კედლის მქონე ძირი, რომელსაც ზედაპირზე მსგავსი მერიდიანული ქედები აქვს²².

ს ა მ ზ ა რ ე უ ლ ო კ ე რ ა მ ი კ ა

ამ სახის ჭურჭლიდან ყველაზე მრავალრიცხოვანია ქოთნის ფრაგმენტები (№ 165—179). ქოთნები, როგორც ჩანს, სხვადასხვა ზომისა იყვნენ და ფორმითა და ზედაპირის დამუშავებითაც განსხვავდებოდნენ ერთი მეორისაგან. მათი საერთო ნიშანია შემდეგი: ყველა მათგანი პირგადაშლილია, მაგრამ ზოგს პირი შედარებით თხელი აქვს, ხოლო ზოგს მასიურად მომრგვალებული.

16 № 158 და 299, ამ უკანასკნელის თევზიფხური უფრო ღრმაა და შესრულებულია დაკბილული იარაღით, ამ ეგზემპლარს ყელზე გასდევს ღაროვანი ტალისებური ორნამენტი.

17 № 159.

18 № 160.

19 № 163 (ორი ფრაგმენტი).

20 № 164 და 308.

21 № 162 (ოთხი ფრაგმენტი).

22 № 162.

№ 165 ყელპირის ფრაგმენტი შედარებით დიდი ზომის პირგადაშლილ ქოთანსაა, ქურქლის კეცი რუხია, ზედაპირი შავპირიალა, ყელი ღრმად აქვს დაღარული, ღარის წიბოები თხელი და მახვილია.

№ 166 მუცელგანიერი დიდი ზომის ქოთნის ყელ-მუცლის ფრაგმენტი. ყელში ძირში მუცლის ზედა ნაწილი შემკულია ნაკაწრი ირიბხაზოვანი ორნამენტით, რომელიც დაკბილული იარაღითაა შესრულებული. ეს ორნამენტი მოქცეულია ორ ღარს შორის, რომელთაგან ერთი ქოთანს ყელზე შემოსდევს, ხოლო მეორე მუცელზე. თიხა შესამჩნევადაა ქარსნარევი.

№ 168 ფრაგმენტი ოდნავ პირგადაშლილი ქოთნისა, რუხკეციანია, ვარდისფერზედაპირიანია. მუცელზე ირიბად შვეული ნაჭდევები აქვს.

№ 167 ფრაგმენტი ძლიერ პირგადაშლილი ქოთნისა. წითელკეციანია და წითელზედაპირიანი, ყელსა და მუცელზე გარშემო შემოსდევს შავი ზოლები.

№ 169—170, ორივე ფრაგმენტი რუხკეციანია, შავი ზედაპირის მქონე ქოთნებს ეკუთვნის. პირველი შედარებით დიდი ქოთნისაა, ხოლო მეორე უფრო ღრმად. დიდ ქოთანს, როგორც ჩვენი ფრაგმენტიდან ჩანს, სხეულზე გარშემო ღაროვანი ორნამენტი შემოსდევს. ასეთივე ორნამენტი აქვს მცირე ქოთანსაც, მაგრამ იგი ნაკლებრელიეფურია და უფრო გლუვია. ამასთან ამ უკანასკნელს ღარები უფრო ვიწრო და ხშირი აქვს. ეს ქოთნები განსხვავდებიან პირის მიხედვითაც. დიდი ქოთნის პირი უფრო გადაშლილია და უფრო ზრტყელი, ხოლო პატარისა ნაკლებ გადაშლილი და მომრგვალებული.

№ 171 ქოთნის ყელ-პირის ფრაგმენტი, რომელსაც რუხი კეცი აქვს, და შავი ზედაპირი. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს. ყელის ძირში გასდევს ორი ქედი, რომელიც ჩაღრმავებულ ქმნის. ეს ფრაგმენტი ძალიან მასიურია, თიხა-ქარსიანია.

№ 172 ფრაგმენტი შედარებით მოზრდილი, პირგადაშლილი ქოთნისა. ქოთნის ზედაპირი ნაცრისფერია, ასეთივე ფერისაა მისი კეცი. მუცლის ზედაპირზე მერიდიანულად ჩასდევს ზოლები, რომელთა შორის იქმნება სულ ოდნავ ჩაღრმავებული ღარები.

დანარჩენი ფრაგმენტები (მცირე განსხვავებით) თავისი კეცით, ზედაპირის დაშუქებითა და ფორმებით ახლოს დგანან აღწერილ მასალასთან. მათ შორის გამოირჩევა მხოლოდ სამი ფრაგმენტი (№ 302, 303, 332) შავი ქურქლისა.

№ 302 ფრაგმენტი პირგადმოკეცილი ქურქლისა. პირი ქურქელს მუცელზე ძლიერ აქვს გადმოკეცილი. ქურქელი შავზედაპირიანია და რუხკეციანი. ზედაპირი შემკული აქვს რომბული ორნამენტით.

№ 303 ფრაგმენტი ფართეპირიანი, მაღალკედლიანი ქურქელია. ქურქლის კეციცა და ზედაპირიც რუხი ფერისაა. პირი შიგნიდან ირიბი ნაჭდევებითა აქვს შემკული. გარედან ქურქელს ფარები აქვს, ყელთან ღარები საკმაოდ ღრმაა და შესაბამისად მათი კიდეებიც რელიეფურია, მუცელზე შუა ნაწილში ზიგზაგისებური ორნამენტი აქვს.

№ 332 ფრაგმენტი შავი ფერის ქურქლისა. კეცი რუხი აქვს, ძლიერ ქარსირებული. ყელზე და მუცლის ზედა ნაწილში გარშემო ღარები შემოსდევს, ხოლო მუცლის ზედაპირი ძირამდე შვეული ზოლებით აქვს შემოვლებული. მუცლის ზედა ნაწილში, სადაც შვეული ზოლები იწყება, ეს უკანასკნელი გადაკვეთილი არიან ასეთივე ერთი ჰორიზონტალური ზოლით. აღნიშნული ზოლები პირიალა, მაშინ, როდესაც დანარჩენი ზედაპირი ხორკლიანია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ყურები ქოთნებისა, გვერდითი რქისებური შვერილებით²³. ყველას ნაცრისფერი კეცი აქვს და ბაცი, მოვარდისფრო ზედაპირი. გვერდითი რქისებური შვერილები ყურებს აქეთ-იქიდან აქვს თავზე, პირის შესაყართან. დამუშავების მხრივ ყურების ორი ჯგუფი გამოიყოფა: 1. ცილინდრული ყურის შვერილები, რომლებიც, დადებულია უშუალოდ ყურის ზედაპირზე. მას ბოლოები დაბრტყელებული აქვს, ხოლო შუა ნაწილი უნაგირისებურად ჩაზნექილი²⁴; 2. რქისებური შვერილები, რომლებიც აქეთ-იქიდან ჩარქობილი აქვს ყურს²⁵. ასეთი ტიპის ყურები მრავლადაა მოპოვებული დასავლეთ საქართველოში — დაბლაგომში (ნაციხვარი), ნაოხვამუში, ქუთაისში, ჩხარის რაიონში (ძვერულქვის მშენებლობაზე)²⁶ და სხვა. ყველა ეს ყური განეკუთვნება წინაანტიკურ ხანას, უფრო გვიანბრინჯაოსა და ადრე რკინის ეპოქას და შეესაბამება ნაოხვამუს ზედა ფენას²⁷. საგულისხმოა, რომ ჩვენი მასალა ზოგ ძველ ნაშთაბლარებს ეხმარება არა მარტო აღნიშნული ყურებით, რომელთაც რქისებურა შვერილები აქვთ, არამედ კომპლექსურადაც. იქ აღმოჩენილია ისეთივე ქვევრები, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული და რომელნიც განხილულ რქისებურ ყურებთან ერთ ფენაში იქნა მოპოვებული. ნაოხვამუს ზედა ფენიდან ცნობილია ერთი ტიპის ყურა, რომელიც კურპლის კედელთან მრგვალ ნახვრეტს ქმნის. წინაანტიკურ ფენაში ვანში სხვა ზემოაღნიშნულ მასალასთან ერთად ასეთი ყურიცაა²⁸ მოპოვებული. ასეთი ყური აღმოჩენილია, აგრეთვე დაბლაგომში შუა ფენაში²⁹. ასეთივე არქაული უნდა იყოს ამავე ფენაში მოპოვებული ბრტყელი, ოვალურგანიკვეთიანი ყური, რომელსაც კურპელთან შეჯრის ადგილას პატარა, მომრგვალო მეჭეკი აზის. კურპელი შეზღუდპირიანია, კეცი კი მოვარდისფრო-რუხი აქვს.

წინაანტიკური ეპოქით ათარილებენ, აგრეთვე, ნაციხვარის ზედა ფენის ქვედა შრეებში აღმოჩენულ ქიქებს³⁰. ასეთი ქიქების ორ ტიპს გამოყოფენ: ერთაა თქელპირიანი, ხოლო მეორე სქელი, მასიური ძირით. უკანასკნელის მსგავსი ქიქა აღმოჩნდა ვანში, წინაანტიკურ ფენაში, ზემოაღნიშნულ მასალასთან ერთად.

წარმოდგენილი მასალა ნათლად გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს ადგილობრივ ნაწარმთან. რომელიც სპეციალურია დასავლეთ საქართველოს გარკვეული რაიონებისათვის. ეს მასალა საერთოდ დამახასიათებელია გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ეპოქისათვის და თანხვედბა ანდა უშუალოდ წინ უსწრებს ხანას, რომელიც ბერძნული სამყაროდან პირველი იმპორტული ნაწარმის შემოტანით აღინიშნება.

ამრიგად ვანში მიკვლეულია კიდევ ერთი მეტად საინტერესო უბანი, რომლის შემდგომი არქეოლოგიური შესწავლა ნათელ შუქს მოჰფენს როგორც ანტიკური, ისე წინარე ანტიკური კოლხეთის ისტორიის საკითხებს.

23 № 160, 181, 182, 183, 184, 301, 388.

24 № 160, 181, 182, 183, 184, 388.

25 № 388.

26 Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды. II, сс. 124, г. 35, 9,

27 იქვე, გვ. 124—125, 198.

28 იქვე 193.

29 Б. Куфтин. იქვე, ტაბ. 36.

30 Б. Куфтин. იქვე, გვ. 94, 98, შეად. ტაბ. 31, სვ. 5.

ИТОГИ АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЙ НА ЧЕТВЕРТОМ
УЧАСТКЕ ВАНСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ
в 1960—1961 г.г.

Резюме

На четвертом участке (на ген. плане пл. 186) Ванской археологической экспедиции в 1960—1961 г.г. было сделано несколько разведывательных раскопов, среди которых наиболее интересными находками особое внимание привлекает раскоп № 2 (рис. 28).

В данном раскопе непосредственно под гумусным слоем была зафиксирована разрушившаяся сырцовая кладка, перекрывавшая обвалившуюся черепицу, и остатки каменной кладки; все это, а также археологический материал, обнаруженный под упомянутыми остатками здания, представляют собой один, образовавшийся вследствие пожара, мощный слой отражавший последний период жизни упомянутого сооружения. В данном слое кроме черепицы и других строительных остатков, были обнаружены также в большом количестве обломки пифосов, амфор, кухонной керамики, чернолаковых и краснолаковых сосудов и т. д.

Черепица зафиксирована здесь двух видов — солсны и калиптеры. Плоская черепица по своей форме не отличается от распространенной в античном мире черепицы. В этом отношении более интересными кажутся желобчатые черепицы-калиптеры. Они имеют постепенно суживающуюся форму и оканчиваются массивным выступом, на котором опиралась расширяющаяся часть второго калиптера.

Найденные в Вани калиптеры, по своей форме близко стоят к синопским калиптерам и весьма возможно, что они являются изготовленными на месте по образцу синопских калиптеров. Данный факт имеет определенное значение и с точки зрения истории взаимоотношений Колхиды с Синопой, которое отражается и в других материалах уже с IV в. до н. э.

Обломки пифосов относятся к экземплярам с черной и борозчатой поверхностью. Эти пифосы, судя по отдельным фрагментам, были украшены также клинообразными значками. Такие пифосы находят в большом количестве не только в Вани, но и в Даблагоми и в других местах низовии р. Риони.

Среди местной керамики особое место занимают т. н. «коричневоглиняные» амфоры, одной из характерных особенностей которых являются массивные пугвицеобразные ножки, спиральной обмазкой с внутренней стороны. «Коричневоглиняных» амфор, которых часто находят в Северном Причерноморье, считают продукцией производственных центров южного Причерноморья (И. Зеест). Обломки подобных амфор (II—I вв. до н. э.), в большом количестве обнаружены на всей территории Колхиды (имеется только один случай их обнару-

жения в восточной Грузии — в Уплисцихе), а в особенности в Вани (только в нашем раскопе № 2 было найдено 41 доннышек этих амфор), что в свое время дало основание Н. В. Хоштариа выдвинуть положение о местном происхождении данных амфор. Об этом же свидетельствует сходство знаков, имеющих на ручках этих амфор, а также на колхидских пифосах.

Из местной керамики следует выделить кувшины с широкой шейкой, которые украшены гребенчато-волнистыми поясами, а также расписанных красными поясками. Многообразием отличаются также и фрагменты кухонной керамики, часть которых украшена волнистым орнаментом.

Импортная керамика представлена амфорами, чернолаковой и краснолаковой керамикой, мегарскими чашами, бальзамариями и т. д.

Были найдены также фрагменты синопских амфор. Среди последних привлекает внимание обломок клейма, на котором было отмечено имя астинома. На клейме сохранились только несколько букв и двойная эмблема — кадуцей треножник.

Представляют большой интерес и фрагменты чернолаковой и краснолаковой керамики. Чернолаковая керамика сравнительно малочислена. На основание глины и лака она относится к III—II вв. до н. э. и является продукцией малоазийских производственных центров. Несколько экземпляров были изготовлены из пергамской глины (рис. 21). Стенки этих сосудов с внешней стороны покрыты черным лаком, а с внутренней — красным. Хорошо выделяется и пергамская краснолаковая керамика, представленная в основном, формами, являющимися характерными для II—I вв. до н. э. Привлекают внимание также изготовленные из серой глины т. н. мегарские чаши (рис. 22), которые относятся ко второй половине II в. до н. э. Концом II и началом I в. до н. э. датируются и бальзамарии веретенообразной формы.

Здесь же следует отметить, что среди упомянутого выше материала был найден и бронзовый светильник эллинистического типа (рис. 23).

С точки зрения истории градостроительства особое внимание привлекает фрагмент глиняной трубы необычно больших размеров (рис. 25).

Таким образом, как мы видим, материал, обнаруженный в описанном культурном слое, довольно богат и разнообразен. Основная его часть относится ко второй половине II и к началу I вв. до н. э. Данный культурный слой отражает жизнь сооружения, которое, по-видимому, было построено во второй половине II в., а разрушено в середине I в. до н. э. Это сооружение воздвигнутое на каменном фундаменте из сырцовых кладки с черепичным перекрытием, погибло от пожара, следы которого ясно прослеживаются на развалинах. Оно погибло полностью и восстановление плана здания невозможно.

Под этим слоем пожара был обнаружен культурный слой, содержащий материал непосредственно предшествующего, а также несколько более раннего периодов. К первому относятся фрагменты шифсов, ко второму — ручки сосудов рогообразными выступами, столь характерными для керамического материала Колхиды на поздних этапах позднебронзового века.

რ. ფუთურია ნ. ხოშბარია, ა. ბჟონია.

ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961—1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები

საკარმიდამო ნაკვეთი, რომელსაც ჩვენ პირობით VI უბანს ვუწოდებდით, მდებარეობს ახვლედიანების გორის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სასოფლო გზის პირას, მის აღმოსავლეთით, იგი კალინკა და სიმონ ახვლედიანებს ეკუთვნოდა, 1964 წლიდან კი ამბერკი ახვლედიანმა დაისაკუთრა. ამ ეზომ იმთავითვე მიიქცია არქეოლოგთა ყურადღება, თუმცა 1961 წლამდე ვერ მოხერხდა აქ არქეოლოგიური გათხრების ჩატარება (გენ. გეგმაზე ნაკვ. 107, 108).

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ნინო ხოშბარია ყოველ წელს ათვალერებდა აღნიშნულ ნაკვეთს და აღრიცხავდა იქ აღმოჩენილ სიძველეებს. ამ ეზოში ძველად, მიწის დამუშავების დროს, აღმოჩენილი იყო მთლიანი ქვისაგან გამოკვეთილი სარკოფაგი, რომლის ნაწილიც დღემდე შემორჩა და ეზოში ინახება. სახლის მახლობლად ზედაპირზე ჩანდა დამწვარი და დაწლილი ალიზის კედლების ნაშთები, ანტიკური ხანის კრამიტების ნატეხები და დიდი ზომის რიყის ქვები, რომლებიც ნაკვეთის დამუშავების დროს ამოუყვრიათ მიწიდან, ხოლო 1961 წელს, გაზაფხულზე, ვანში არქეოლოგიური ექსპედიციის ჩასვლამდე სახლის პატრონებმა მიწის ბარვის დროს იპოვეს ქვისაგან გამოკვეთილი საზეთე წისქვილი, რომელიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება (სურ 33).

ამ ნაკვეთზე არქეოლოგიური გათხრები დაიწყო 1961 წლის 27 სექტემბერს. გასათხრელად შერჩეულ იქნა ეზოს შუა ადგილი, სახლისა და სასოფლო გზის შორის მოიზომა თხრილი, რომლის კედლებიც ზუსტად იყო ორიენტირებული გეოგრაფიული მხარეების მიხედვით. თხრილი დაიწყო კვადრატებად (5X5 მ). პირველ წელს გაითხარა მხოლოდ ოთხი კვადრატი მთლიანად და ერთის (მეხუთე კვადრატის) ნახევარი. ყველა კვადრატში თხრა მიყვანილ იქნა დედაქანამდე, რომელიც აქ თიხის რბილ კლდეზე წარმოადგენს. შემდეგ წელს იგივე ფართობის თხრა გაგრძელდა ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, ხოლო 1963 წელს თხრილს კვადრატები კვლავ აღმოსავლეთით მოემატა. სამივე წელს ყველგან თხრა დედაქანამდე იქნა მიყვანილი და გათხრილმა ფართობმა მიიღწია 350 კვადრატულ მეტრს. კვადრატების დანომრვა ვერ მოხერხდა თანმიმდევრობით, თუმცა ნუმერაცია სამივე წლისათვის საერთოა (სურ. 34).

პირველ კვადრატში, რომელიც თხრილის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, კულტურული ფენა თითქმის არ ყოფილა: აქ კორდოვანი ფენის შემდეგ მაშინვე გამოჩნდა თიხი. ამ კვადრატის ფართობზე, თიხში ამოჭრილია ხუთი პატარა.

სხვადასხვა დიამეტრისა და სიღრმის ორმო (მათი სიღრმეებია 15 სმ-იდან 30 სმ-მდე, დიამეტრი კი 10—20—30 სმ.), ამ ორმოების დანიშნულება ჯერჯერობით უცნობია, განლაგებაც არა აქვთ ისეთი, რომ მიგვახვედროს მათ რაობას, გაუგებარია, აგრეთვე მათი სხვადასხვა სიღრმე და დიამეტრი, არც მათი თარიღის შესახებ ვიცით რაიმე მასალის უქონლობის გამო.

მეორე კვადრატია არ გათხრილა, რადგან იგი პირველის გვერდითაა და ისეთი მდებარეობა აქვს, რომ იქაც პირველივე ბარისპირზე თირია მოსალოდნელი.

ზედაპირზე გასათხრელი ფართობი თითქმის სწორი იყო (ოღნავი შემადლეებით დასავლეთისაკენ), მისი ღედაქანი კი დაქანებული აღმოჩნდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ამის შესაბამისად კულტურული ფენებიც ღრმავდება აღმოსავლეთისაკენ. ყველაზე ღრმა წერტილი მთელს თხრილში ზედაპირიდან 2,40 მ სიღრმეზე მდებარეობს.

მთელი თხრილის ზედა ფენა დაზიანებულია ნაკვეთის დამუშავების გამო, უფრო ღრმად მდებარე კულტურული ფენები დარღვეულია ორმოებით, მაგრამ გვხვდება ხელუხლებელი ადგილებიც.

მესამე და განსაკუთრებით მეოთხე კვადრატები შედარებით მდიდარი აღმოჩნდა კულტურული ნაშთებით. მეოთხე კვადრატის აღმოსავლეთის კედლის ქრილი ასეთ სურათს იძლევა: კორდოვანი ფენის მსგავსი ნიდაგის ერთფეხოვანი ფენა ვრცელდება თითქმის თირამდე, მას აქა-იქ ურევია კერამიკის ნატეხები, დამწვარი შრე, თირის მოზრდილი ნაგლეჯი, ხოლო კვადრატის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მოზრდილი ქვებისაგან შედგენილი კედლის ნაშთი ჩანდა. მისი გაგრძელება შემდეგ გამოჩნდა, მეექვსე კვადრატის თხრის დროს. უშუალოდ თირზე დევს დამწვარი ალიზის თხელი ფენა. როგორც ჩანს, მეოთხე კვადრატის კულტურული ფენა ძირადად გადათხრილია ნაკვეთის დამუშავების დროს. ამიტომაც, რომ აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, რომელიც ძვ. წ. IV საუკუნიდან დაწყებული ძვ. წ. I საუკუნემდე ხანებს ეკუთვნის, არ გვხვდება შესაფერისი თანმიმდევრობით. ასე, მაგალითად, კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ზედაპირიდან 60—70 სმ სიღრმეზე ერთად აღმოჩნდა ძვ. წ. III—II საუკუნეების თიხის ჭურჭლის ნატეხები, ზედაპირიდან 40 სმ სიღრმეზე იყო ძვ. წ. I საუკუნის მონეტა, ხოლო ზედაპირთან სულ ახლოს შეგვხვდა შავლაკიანი ჭურჭლის მცირე ზომის ნატეხები, რომლებიც ძვ. წ. IV საუკუნისა უნდა იყოს ამავე კვადრატში თირთან სულ ახლოს გვხვდება ძვ. წ. I საუკუნის წითელლაკიან ჭურჭლის ნატეხებიც. დაახლოებით ამგვარივე მდგომარეობაა მესამე კვადრატშიც იქ კულტურული ფენა კიდევ უფრო თხელია. სამაგიეროდ მეხუთე და მეექვსე კვადრატებში ძირა ფენები ხელუხლებელი დაგვხვდა, ალბათ იმის გამო, რომ კორდოვანი ფენის შემდეგ აქ პირდაპირ იწყება ალიზის გადამწვარი კედლის ნანგრევები საკმარად დიდი სიმაღლისა (თხრილის აღმოსავლეთ კედელთან მისი სიღრმე 0 წერტილიდან 2,20 მეტრს აღწევდა). ასეთი კედლის ნანგრევები არ იყო მხოლოდ მეექვსე კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ალიზის კედლის ნანგრევები წითლად იყო გამომწვარი, მაგრამ არათანაბრად. ზოგან გაშვებულიცაა ცეცხლისაგან. ალიზის კედლის ნაშალის ადების შემდეგ გამოჩნდა კრამიტების ნატეხები და შიგადაშიგ შავად გამომწვარი ქვევრების კედლების ნატეხებიც. ამ ფენას აქა-იქ მოზრდილი ქვებიც ურევია. კრამიტყრილის პრეპარაციის დროს ნაპოვნია ბრინჯაოს რამდენიმე წვრილი ნივთი

(ლურსმანი, რგოლი, საკინძის ნატეხი), განსაკუთრებით აღსანიშნავია გველის-
თაყუბიანი სამაჯურის ნატეხი, რომელიც კრამიტყარილის ქვეშ აღმოჩნდა.

მეექვსე კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში და ნაწილობრივ მე-
ხუთე კვადრატში შეიმჩნეოდა ალიზის ნაშალში ახლად ამოპირილი ორმოს კვა-
ლი, ეს ის ორმო იყო, სადაც ნაკვეთის პატრონებმა გათხრის დაწყებიდან რამ-
დენიმე თვის წინათ ამოთხარეს ზემოთ ნახსენები საზეთე წისქვილი. მაგრამ
ორმოების კვალი შეიმჩნეოდა ალიზის ნაშალში სხვა ადგილებშიც. მეექვსე
კვადრატის ფართობზე, როგორც ჩანდა, ალიზის კედლების ნანგრევები სხვადა-
სხვა დროს იყო გადათხრილი, თუმცა მთხრელებს არ მიუღწევიათ კრამიტყარი-
ლამდე. ყოველ შემთხვევაში, კრამიტყარილის ქვეშ მდებარე ფენები ამ კვადრა-
ტებში ბელუხლებელი იყო. კრამიტყარილის ქვეშ შავი მიწა იწყებოდა, რომე-
ლიც ყრილის გარეთ ვრცელდებოდა, მაგრამ ვერ აღწევდა მეექვსე კვადრატის
აღმოსავლეთ კიდეზე.

შავი ფენის თხრის დროს მალე დაიწყო დიდი ზომის რიყის ქვების გროვა,
რომელზედაც კედლის ნაშთი გადადიოდა, იმ კედლისა, რომელიც მეოთხე კვად-
რატის აღმოსავლეთ კრილში ჩანდა და მეექვსე კვადრატში გრძელდებოდა
(სურ. 35—36). კედლის ნაშთსა და ქვების გროვას შორის მანძილი 20—40—45
სმ-ი იყო. კედლის მშენებლებს, ჩანს, ვერ შეუმჩნევიათ ქვაყრილის არსებობა
(სურ. 36), ქვაყრილის ქვეშ იყო მოთავსებული სამარხი (საერთო რიგით სამარ-
ხი № 6), რომელიც ხელუხლებელი აღმოჩნდა. ქვაყრილს განაზღვრული ფარ-
თობი ეკავა (სურ. 35). თირში, თითქმის წესიერი მოყვანილობის ფართობი იყო
ჩაპკრილი (მისი ზომებია 4 მ X 3,40 მ) და ამ ფართობის თავზე იყო ზემოაღნიშ-
ნული ქვაყრილი. ქვების ალაგებისას ხშირად გვხვდებოდა რკინის მსხვილი
ლურსმნები 20 და მეტი სანტიმეტრის სიგრძისა, ლურსმნები გვხვდებოდა ქვა-
ყრილის ალაგების შემდეგაც, სამარხის მთელ ფართობზე, შუაგულშიც და კუ-
თხეებშიც, განსაკუთრებით ხშირად კი სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.
როგორც ჩანს, თირში ჩაპკრილი სამარხი ხით იყო გადახურული და რკინის
ლურსმნებით შეკრული. ქვაყრილის ქვეშ შავი, წებოვანი მიწა იყო. ორგანული
ნაშთებით გაუღენთილი. ჩონჩხი ცუდად იყო შენახული, მაგრამ მიცვალებულის
დამხრობა ცხადი იყო — თავით ჩრდილოეთისაკენ. კბილების მიხედვით გამო-
ირკვა, რომ მიცვალებული ახალგაზრდა ქალი ყოფილა, დაახლოებით 25 წლისა.
ქვედა კიდურები შედარებით კარგად იყო შენახული. მიცვალებული წოლილა
ზურგზე გაშლილი, ხელუხლებული, თუმცა მკლავის ძვლები არ გადარჩენი-
ლა, მაგრამ სამაჯურების განლაგების მიხედვით ეტყობა ხელების მდებარეობა.

თირში ჩაპკრილ მოედნის დასავლეთ ნახევარში იწვა ცხედარი, ნივთები
უფრო სამარხის ფართობის ჩრდილო ნახევარში იყო მოთავსებული, მიცვალე-
ბულის თავისა და გულმკერდის არეში — ფეხებთან არაფერი აღმოჩენილა¹.

სამარხეული ინვენტარი ასეთია:

1. ოქროს დიადემა (სავ. № 61/662, სურ. 37)—გრეხილი რკალი ვრმთანეთ-
თან კავებით დაკავშირებული რომბისებური ფირფიტებით ბოლოვდება. თითო-

¹ სამარხის პირველი პუბლიკაცია იხ. Н. Хоштарна. Археологические раскопки в
Вану, კავკასიურ-აღმოსავლური კრებული II, თბილისი, 1962, გვ. 65—80.

ეული ფორფიტა პორიზონტული სარტყლით ორ ნაწილად იყოფა, სადაც დაბალი რელიეფით ცხოველთა ბრძოლის სცენა წარმოდგენილი — ორი ლომი თავს ესხმის შუაში მოქცეულ ტახს (სურ. 38).

2. ოქროს საყურეები, წყვილი (სავ. № 61/662, 33—34, სურ. 39). რგოლზე მოძრავად შეკიდულია ოთხთვალა ბაქანზე მდგარი წყვილი მხედარი, ხოლო ბაქანზე ძეწვევებით — რკოსებრი საკიდები. რგოლი ოვალურია, გახსნილი, ბოლოებგახვრეტილი; შემკულია დაკეპნილი და სადა მავთულების მონაცვლეობით შენდგარი სარტყლითა და ვარდულათი. ცხენის გამოსახულებები დაფარულია ცვარათი შედგენილი სამკუთხედებით, ხოლო მამაკაცის თავი — უწესრიგოდ გაბნეული ცვარათი (თმების ან ქუდის გამოსახვა).

3. ოქროს საყურეები — სასაფეთქელები (სავ. № 3—61/662, 37—38, სურ. 40). რგოლზე სხივისებურად დამაგრებულია დაკეპნილი მავთულებით შემკული ექვსი ღერო, რომლებიც ცვარასაგან შედგენილი პირამიდებით ბოლოვდება. რგოლი წრიულია, გახსნილი, ბოლოებგახვრეტილი, შემკულია სადა და დაკეპნილი მავთულებისა და მარყუჟებისაგან შემდგარი სარტყლით და ვარდულათი; ზედ დამაგრებულია ძეწვევი.

4. ოქროს საყურეები, წყვილი (სავ. № 3—61/662, 35—36; სურ. 41). მსგავსი ზემოთ აღწერილისა, ოღონდ ხუთსხივიანი და უძეწვევო.

5. ოქროს საყურეები, წყვილი (სავ. № 3—61/662, 31—32; სურ. 42). გახსნილი და გახვრეტილი ოვალური რგოლი ქვემოთ თანდათან გამსხვილებულია; შემკულია სადა და დაკეპნილი მავთულების მონაცვლეობით შედგენილი სარტყლით და ვარდულათი, ხოლო ქვედა გამსხვილება — ცვარათი შემდგარი სამკუთხედების რიგით.

6. ოქროს საყურე, ერთი ცალი (სავ. № 3—61/662, 30, სურ. 43). გახსნილი, ბოლოებგახვრეტილი, ოვალურ რგოლზე დამაგრებულია ბიპირამიდული მოყვანელობის საკიდი, რომელიც ცვარათი შედგენილი პირამიდით ბოლოვდება, რგოლი შემკულია სადა და დაკეპნილი მავთულების მონაცვლეობით შემდგარი სარტყლითა და ვარდულათი. ბიპირამიდული საკიდის ფერდები შუაში სიმალეზე ჩაკეცულია, შემკულია დაკეპნილი მავთულით და ცვარასაგან შემდგარი პირამიდებით.

7. ოქროს კისრის რკალი (სავ. № 3—61/662, 2). სადა, გახსნილი, მასიური, რკვალგანივკეთიანი.

8. ოქროს ყელსაბაში (სავ. № 3—61/662, 11), შედგენილი ჭიხვის გამოსახულებიანი საკიდებისა (56 ცალი, სურ. 44) და შეწყვილებული ტანდალარული ნივთებისაგან (13 ცალი).

9. ოქროს ყელსაბაში (სავ. № 3—61/662, 9, სურ. 45), შედგენილი ფრინველის გამოსახულებიანი საკიდებისა (42 ცალი) და სფეროსებური მოყვანილობის მძივებისაგან (70 ცალი). საკიდები შემკულია ცვარათი (თავი, ფრთების ნაწილი): ფრინველი თვლები ინკრუსტირებულია.

10. ოქროს ყელსაბაში (სავ. № 3—61/662, 10; სურ. 46), შედგენილი სიმინდის ტაროსებური საკიდებისა (79 ცალი) და სფეროსებური მოყვანილობის მძივებისაგან (196 ცალი).

11. ოქროს ყელსაბაში (სავ. № 3—61/662, 8, სურ. 47), შედგენილი რომბული მოყვანილობის საკიდისა (1 ცალი) და დაკბილული მძივმილაკებისაგან

(40 ცალი). საკიდის ნაპირებზე დამაგრებულია 12 კონუსი, რომლებიც მოჩარჩოებულია დაკეცილი მავთულით. მძივმილაკები შეშეკულია ცეარათი.

12. ოქროს ყელსაბაში (სავ. № 61/662, 12), შედგენილი სფეროსებური მოყვანილობის სადა მძივებისაგან (129 ცალი).

13. ოქროს გულსაკიდი ფირფიტა (სავ. № 3—61/662, 45; სურ. 48), ინკრუსტირებული (მინა, ფირუზი, სარდიონი), ძეწვეით შეკიდული მშვილდსაკინძზე და დაბოლოებული 8 ძეწვეზე შებმული ინკრუსტირებული ბროწეულის ნაყოფის გამოსახულებებით. ფირფიტაზე გეომეტრიული სახეებისაგან (სამკუთხედები, წრეები) შემღვარ სარტყლებს შორის მოცემულია გრიფონების (ზემთ) და ფრინველების (ქვემთ) გამოსახულებანი. გრიფონები ერთმანეთთან ზურგებითაა მიქცეული (პერალდიური გამოსახვა), ხოლო ფრინველები — ორივე მარცხნივაა მიბრუნებული.

14. ოქროს სამაჭურები, წყვილი (სავ. № 3—61/662, 4—5 სურ. 49), გახსნილი, ზურგშედრეკილი; დაბოლოებული ჭიხვის თავის გამოსახულებებით; მასიური.

15. ოქროს სამაჭურები, წყვილი (სავ. № 3—61/662, 6—7, სურ. 50), გახსნილი, ზურგშედრეკილი, ღრუ; შემორჩენილია ინკრუსტაციის ნაშთები, ერთი ცალი ბოლოვდება ლომის თავის, მეორე — ხბოს თავის გამოსახულებებით.

16. ოქროს საბეჭდავი ბეჭედი (სავ. № 3—61/662, 27), ოვალური, ბრტყელფარაკიანი, რომელზეც წერტილოვან ჩარჩოში ამოკვეთილია ჩაჩოქილი ჭიხვი, პროფილში მარჯვნივ.

17. ოქროს საბეჭდავი ბეჭედი (სავ. № 3—61/662, 28), ელიფსური, ბრტყელფარაკიანი, რომელზეც ორმაგწერტილოვან ჩარჩოში ამოკვეთილია ნიამორი, პროფილში მარცხნივ.

18. ოქროს საბეჭდავი ბეჭედი (სავ. № 3—61/662, 29), ელიფსური, ბრტყელფარაკიანი, რომელზეც ხაზოვან-წერტილოვან ჩარჩოში ამოკვეთილია მტაცებელი ცხოველი, პროფილში მარცხნივ.

19. ოქროს საბეჭდავი ბეჭედი (სავ. № 3—61/662, 41); ფარაკზე გამოსახულია ადამიანი, რომელსაც თავს ესხმის ლომი. გარშემო მინათ ინკრუსტირებული ჩარჩოა.

20. ქარვის საბეჭდავი (სავ. № 3—61/662, 44), ოქროს ყუნწიანი, კუბის ფორმის; ამოკვეთილია კურდღლისა და ირმის გამოსახულებები.

21. ოქროს ფირფიტები — ფრთავაშლილი არწივის გამოსახულებები (სავ. № 3—61/662, 42, სურ. 51), 2 ცალი, თავით ერთმანეთისკენ მიბრუნებული.

22. ოქროს მშვილდსაკინძი (სავ. № 3—61/662, 26; სურ. 52). მშვილდი შეშეკულია 7 შემსხვილებით.

23. ოქროს საკიდები (სავ. № 3—61/662, 25), პირამიდული, 2 ცალი.

24. ოქროს საავგაროზე (?) (სავ. № 3—61/662, 99; სურ. 53), ცილინდრული, ორივე მხრივ ღია, ნახვრეტიანი და ერთი მანქვლით.

25. ოქროს საავგაროზე (?) (სავ. № 3—61/662, 40; სურ. 53), ცილინდრული, ორივე მხრივ ღია, ოთხნახვრეტიანი.

26. ოქროს მძივები (სავ. № 3—61/662, 13), ბიკონუსური, ტანდალარული, 68 ცალი.

27. ოქროს მძივები (სავ. № 3—61/662, 17), სფეროსებრი მოყვანილობის, სადა. 8 მთელი და 10 ნახევარი.

28. ოქროს მძივ-პილაყები (სავ. № 3—61/662, 15), ოზწახნავა, 36 ცალი.
29. ოქროს მძივ-პილაყები (სავ. № 3—61/662, 16), ცილინდრული, ცვარათი შემკული, 22 ცალი.
30. ოქროს კილიტები (სავ. № 3—61/662, 18), კონუსური, სადა. ზურგზე ყუნწია მიჩილული, 51 ცალი.
31. ოქროს კილიტები (სავ. № 3—61/662, 19), ქუდისებური, სადა, 251 ცალი.
32. ოქროს კილიტები (სავ. № 3—61/662, 20), ქუდისებური, დაკბილულ-ნაპირებიანი, 174 ცალი.
33. ოქროს კილიტები (სავ. № 3—61/662, 21), კონუსური, ვერტიკალური ნახვრეტით; ნაპირებზე დაკეცილი მავთული აქვთ შემოვლებული, 2 ცალი.
34. ოქროს კილატი (სავ. № 3—61/662, 22), მსგავსი № 33-ისა, მხოლოდ დაღარულზედაპირიანი.
35. ოქროს კილიტი (სავ. № 3—61/662, 23), კონუსური, შემკული ცვარათი ნედგენილი სამკუთხედებით. 1 ცალი.
36. ოქროს კილიტი (სავ. № 3—61/662, 24), კონუსური, შემკული ცვარათი და ცისფერი პასტით.
37. ოქროს კილიტები (სავ. № 3—61/662, 14), სამყურა ფორმისა, 9 ცალი.
38. ოქროს ზოდი (სავ. № 3—61/662, 43; სურ. 54). წონა — 21,46 გრამი.
39. ოქროს ფიალა (სავ. № 3—61/662, 3 სურ. 55), ომფალოსიანი, ნუშის-გულისებრი ბურცობებით და სტილიზებული ლოტოსების გამოსახულებებით შემკული.
40. ვერცხლის დაიდემის ნატეხები (სავ. № 3—61/662, 55, სურ. 56) — რომბისებური ფირფიტებით დაბოლოებული გრეხილი რკალი. თითოეული ფირფიტა პორიზონტალური სარტყლით იყოფა ორ ნაწილად, სადაც გამოსახულია ორ წაგრძელებულ ბურცობს შორის მოქცეული ვარდულა.
41. ვერცხლის ჩამჩა (სავ. № 3—61/662, 53; სურ. 57). მორკალული ბოლოთი და გედის თავის გამოსახულებით შემკული.
42. ვერცხლის ფიალა (სავ. № 3—61/662, 51; სურ. 58).
43. ვერცხლის ფიალის ნატეხები (სავ. № 3—61/662, 57; სურ. 59), ნუშის-გულისებრი ბურცობებით და მათ შორის ფრთოსანი თხების წყვილ-წყვილი გამოსახულებებით შემკული.
44. ვერცხლის სასმისი (სავ. № 3—61/662, 56; სურ. 60).
45. ვერცხლის სარწყულას ნატეხები (სავ. № 3—61/662, 52, და 54; სურ. 61). ქუსლი შემკულია ოვეებითა და პალმეტებით; გადარჩენილია ყური, რკალი, შემკული შწოლარე ვერძებისა და ჭიქის სკულპტურული გამოსახულებებით.
46. ვერცხლის მათარისებური ჭურჭლის ნატეხები (სავ. № 3—61/662, 58).
47. მინის ამფორისკი (სავ. № 3—61/662, 46; სურ. 62), მუქი ლურჯი ფერის, თეთრი და ყვითელი ტალღური ზოლებით შემკული. სიმაღლე — 8,1 სმ.
48. მინის ამფორისკი (სავ. № 3—61/662, 47, სურ. 63), ლურჯი ფერის, თეთრი და ცისფერი ტალღური ზოლებით შემკული. სიმაღლე — 8,7 სმ.
49. მინის ამფორისკი (სავ. № 3—61/662, 48; სურ. 63), ლურჯი ფერის, ცისფერი და ყვითელი ტალღური ზოლებით შემკული. სიმაღლე — 8,3 სმ.
50. მინის ოინოხოია (სავ. № 3—61/662, 49, სურ. 65), ცისფერი, ყვითელი და ღია ცისფერი ტალღური ზოლებით შემკული. სიმაღლე—11 სმ.

51. მინის ალაბასტრონი (სავ. № 3—61/662, 50, სურ. 64), მუქი ლურჯი, ყვითელი და თეთრი ტალღურა ზოლებით შემკულია. სიმაღლე — 7,7 სმ.

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში მიწას ერია აუარებელი წვრილი პასტის მძივები, რომელთაგანაც მხოლოდ მცირეოდენის მოგროვება მოხერხდა, იგი ადვილად იშლებოდა და მიწას ერეოდა. საფიქრებელია, რომ ამ მძივებით ქსოვილი იყო მოქარგული:

ინვენტარის მიხედვით (სამაჯურები, ვერცხლის ქურჭელი, მინის ამფორის-კები), სამარხი ძვ. წ. მეხუთე საუკუნისა უნდა იყოს. ამ თარიღს ემხრობა თხრილის სტრატოგრაფიაც და შემდეგ წელს ამ სამარხის გვერდით აღმოჩენილი და; როგორც ჩანს, მისი თანამედროვე ძველადვე გაძარცული სამარხის (სამარხი № 8) გადარჩენილი ნივთები (შავფიფურული კილიკი, ოქროს საყურე).

სამარხმა მცირე რაოდენობით მოგვცა კერამიკა, ისიც მხოლოდ ადგილობრივი. სამარხის პრეპარაციის დროს ნაპოვნი რამდენიმე უხეში კერამიკის ნატეხი (რუხ-მოწითალოდ გამომწვარი, ქვიშანარევი თიხისა) აქ შემთხვევით მოხვედრილის (სამარხის ჩაქრის დროს დაზიანებული უფრო ძველი ფენიდან) შთაბეჭდილებას ტოვებს. ნატეხები უსახოა და მათი მიხედვით მთელი ქურჭლის წარმოდგენა ვერ ხერხდება. მხოლოდ ერთი ქურჭელი გამოირჩა ისეთი, რომელიც სამარხში უნდა ყოფილიყო ჩატანებული და მოხერხდა კიდეც მისი ნაწილობრივი აღდგენა, ესაა წაბლისფრად გამომწვარი თიხის ფართომუცლიანი ცალყურა ღოჭი, რომლის ქვედა ნაწილი სავსეა ზოლებადაა გაპრიალებული.

1962 წელს თხრა გაგრძელდა წინა წელს გათხრილი ფართობის უშუალო ჯაგრძელებაზე, მის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. ამ ფართობზე თითქმის ყველგან (ერთი — მეთერთმეტე კვადრატის გამოკლებით) გვხვდებოდა ალიზის დანგრეული კედლების ნაშთები და მის ქვეშ მოქცეული კრამიტების ნატეხები. ალიზის კედლების ნაშალი ხანძრისაგან იყო გაწითლებული სხვადასხვა ინტენსივობით და თითქმის მთლიანად ამორფულ მასად იყო ქცეული. მხოლოდ აქა-იქ გვხვდებოდა თითო-ოროლა ნატეხი ალიზის აგურისა, რომლის სისქეც იზომებოდა — 7—8 სმ.

მერვე კვადრატში კრამიტების ნატეხების ქვეშ აღმოჩნდა ერთმანეთის პარალელურად მდებარე ხის დანახშირებული ძელები, როგორც ჩანს, ჩაქცეული სახურავის ნაწილი. ისინი მიმართული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ხოლო ამავე კვადრატში დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმართული იყო ჩაქცეული ხე, რომელსაც აქეთ-იქით გაშვებული მოკლე ტოტებიც გადარჩენოდა. გაუგებარია ამ ხის აქ მოხვედრა პარალელური ძელების დონეზე, თუ არ დავუშვებთ, რომ ტოტებწაყვეთილი ხე ნაგებობაში ბოძად იყო გამოყენებული. საერთო სურათი ასეთია: ნაგებობა, რომელსაც ალიზის კედლები და კრამიტის სახურავი ჰქონდა ხანძრისაგან დაიღუპა. ხანძარზე აშკარად მეტყველებს გაწითლებული ალიზი, დანახშირებული ძელები, გაშვებული მიწა, დეფორმირებული კრამიტები, ნაცრის ფენა. პირველად სახურავის ხის ნაწილები ჩაწოლილა, მას თავზე დაჰყრია კრამიტები და ამის შემდეგ გადმოწოლილა კედლებიც.

ალიზის ნაშალში და კრამიტების ქვეშ ძალიან მცირე ნაშთები გვხვდება კერამიკისა, მაგრამ რაც არის, ყველა ძვ. წ. I საუკუნისაა. გარდა წითელლაკიანი კერამიკისა და ადგილობრივი ამფორების ნატეხებისა, ალიზის კედლის ნანგრევებში, მის ქვედა ფენაში მოპოვებულია ვერცხლის მონეტა კაპადოკიის მეფის

არიობარძანისისა (ძვ. წ. 96—63 წწ)². ეს ამ მონეტის პირველი აღმოჩენაა ს. ა. საქართველოში. მონეტა კიდევ ერთხელ ადასტურებს წინა წლების დაკვირვებას (ს. ხოშტარია), რომ ალიზინკედლიანი ნაგებობანი ვანში ძვ. წ. I საუკუნეში დაინგრა და ცეცხლში დაიწვა. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ალიზის ნანგრევების ფენა არ არის ხელუხლებელი; იგი შემდეგ ხანებში გადაუთხრიათ და ამის კვალი ზოგან კარგად შეიმჩნევა სტრატეგრაფიულ კრიოლშიც, ფუმცა ზოგიერთ ადგილას იგი დანგრევის შემდეგ ხელუხლებელი ჩანს.

ალიზის ნაშალის გადათხრილ ადგილებში, ზედაპირთან სულ ახლოს გვხვდება ქვების გროვები, რომელთაც აქა-იქ კრამიტების ნატეხებიც ურევია, ხოლო თბილისის ჩრდილო ნაწილის ზედა ფენაში ალიზის ნაშალი არ ჩანს და სწორედ აქ გვხვდება ფეოდალური ხანის ნაშთები—ქვევრისა და ქოთნის ნატეხები, აგრეთვე მინის სამაჯურის ნატეხი, რაც შუაფეოდალურ ხანაზე მივყვითითებს.

მეშვიდე კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ალიზის ნაშალის ფენა შედარებით თხელია და მის ქვეშ კრამიტების ნატეხები არ ჩანს. საფიქრებელია, რომ კედლების ნაწილი გარეთ გადმოინგრა, სახურავი კი ნაგებობის შიგნით ჩაწვა და ალიზის კედლს დიდი ნაწილი მას დაეცა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ მეშვიდე კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ალიზის ნაშალის ქვეშ ძვეს ძვ. წ. III—I საუკუნეების მასალის შემცველი ფენა. ეს წინა წელს შეექვსე კვადრატში გამოვლენილი ფენის გაგრძელებაა. ამ ფენაში აღმოჩნდა შავლაკიანი ქურტლის რამდენიმე ნატეხი და როდოსული ამფორის დამდიანი ყურის ნატეხი (შემორჩენილია დამლის მხოლოდ ნაწილი), რომელიც შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. III — II სს-ით.

ალიზინკედლებიანი ნაგებობის გეგმავერც ამჟამად გაირკვა, ის კი ცხადია, რომ ის თირში ჩაჭრილ ბუდეებში ამოყვანილ ქვის საძირკველზე ყოფილა დაშენებული, თუმცა ქვის წყობა ყველგან არ არის გადაჩენილი. თბილისის ერთ ეთხეში, სახელდობრ, მეცხრე და მეცამეტე კვადრატების საზღვარზე, ალიზის კედლებიანი იატაკის სავარაუდებელ დონეზე აღმოჩნდა მთელი ჯგუფი საოჯახო საგნებისა (სურ. 70), აქედან აღსანიშნავია რუხ-მოყვითალოდ გამოშვარი თიხის თხელკედლიანი, მაგრამ მოზრდილი ხალამი, ასეთივე თიხის ფართომუცლიანი, პირგადაშლილი, ვიწროყვლიანი ქილა და ორი ხელსაფქვავე, რომელთაგან თითოეული ორ-ორი ქვისაგან შედგება — ბრტყელი, სწორკუთხა ქვედა ქვისა და ამობურცულზურგისანი გრძელი და ვიწრო ზედა ქვისაგან. აქვე იყო ერთი მთელი კრამიტი, რომელიც სახურავიდან უვნებლად ჩამოკურებულა. ამ კომპლექსის ქვეშ, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმოჩნდა რუსტებიანი კვადრატისაგან აგებული კედლის ნაშთი (სურ. 71), რომელიც 10 მეტრი სიგრძისაა და ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართება. კედლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ბოლო ძალზე ახლოა დღევანდელ ზედაპირთან და წყდება ისე, რომ ცხადია მისი ქვები ამოღებულია, შესაძლოა არც ისე დიდი ხნის წინათ. ამ ნაკვეთის დღევანდელი პატრონების სახლი, რომლის ქვედა სართული — „პალატი“ ქვისაა, მრავლად შეიცავს აღმოჩენილი კედლის წყობაში გამოყენებული კვადრატის მსგავს ქვებს. აღნიშნული კედლის მხოლოდ ერთი წყებაა გადაჩენილი, საშუალო ზომის ქვიშაქვის კვადრატისაგან შედგენილი. კვადრატები გათლილია იმე, რომ წინა მხარეს ოღნავ შესამჩნევი რუსტი აქვს გამოყვანი-

2 მონეტა განსაზღვრა ნუმიზმატმა გ. დუნდუამ.

ლი, ზევიდან კი 2—3 და ზოგჯერ 4 ქვის გამოტოვებით ოთხკუთხედი ფოსოა კვადრში ამოჭრილი. ნარბანდისათვის იგი თითქოს მოზრდილია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მასში ჩამაგრებული იყო ხის ვიწრო ძელები, რომელთაც შემოწნული ჰქონდა კედელი, შემდეგ ბათქაშით გალესილი, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, აღნიშნული ფოსოების გარდა აქ არაფერი მოგვეპოვება ამ ვარაუდის დასამოწმებლად. კედლის მეორე მხარეს, მის მთელ სიგრძეზე თირის უწყესრიგო ფორმის ქვები შემოუყვება. აქაც ვარაუდის სახით გამოითქვა მოსაზრება (არქიტექტორი გ. ტონია), რომ შესაძლოა რუსტებიანი ქვების წყება კედელს მეორე მხრიდანაც ჰქონოდა, ხოლო მათ შორის ფართობი ამოვსებული იყო თირის ქვით, ამის დასადასტურებელი მაშინ იქ ახლომახლო არაფერი აღმოჩნდა, მაგრამ შემდეგში (1966 წელს) ამავე ნაკვეთში, მის დასავლეთ კიდეზე აღმოჩენილმა მსგავსი აგებულების კედლის ნანგრევებმა დაადასტურა ამ მოსაზრების სისწორე. აღნიშნულ კედელს ორივე მხარეს ჰქონდა შემორჩენილი თითო-ორიოჯი ქვიშაქვის კვადრი, მათ შორის მანძილი კი თირის ქვებით იყო ამოვსებული, უნდა ვიფიქროთ, რომ გათლილი ქვები ამოკრეფილი და სხვა ნაგებობებში გამოყენებული იყო.

ამგვარი ბედი არაა უჩვეულო ვანის სხვა ძველი ნაგებობებისათვის, მათგან ხომ ჩვენამდე უმნიშვნელო ნაშთებმა მოაღწია. ამ კარგი სამშენებლო მასალის დატაცება სულ უკანასკნელ ხანებამდე გრძელდებოდა.

რუსტებიან კედელს ედგმის თირის ქვებით აშენებული კედელი, რომელიც მასთან კუთხეს ქმნის და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიემართება. ეს კედელი რომ რუსტებიან კედელზე გვიანდელია, იქიდან ჩანს, რომ იგი სანახევროდ ჰუარავს ერთ რუსტიან კვადრს. ამ კედელთან თირი ჩაქრილია (სურ. 70). კედელი მეცხრე კვადრტიდან მეათე კვადრტში გადადის და იქ წყდება. მეხუთე კვადრტშიც გვაქვს კედლის ნაშთები, მაგრამ ძალზე დანგრეული, ასე, რომ მათში წყობის გამორჩევა ძნელია.

როგორც ზევით აღნიშნეთ, ალიზისკედლებიანი ნაგებობის იატაკის დონეზე დაბლაა რუსტებიანი კედლის ვადარჩენილი ზედაპირი. ზედ დაცემული მთელი კრამტიდან ჩანს, რომ ალიზის ნაგებობის დანგრევისას რუსტებიანი კედელი დიდი ხნის დანგრეული და გაუქმებული იყო. რადგან ალიზის კედლებიანი ნაგებობა ძვ. წ. I საუკუნეში დაინგრა, რუსტებიანი კედელი შეიძლება ძვ. წ. III—II საუკუნეებისა იყოს.

1961 წელს აღმოჩენილი მდიდრული სამარხის გარდა მის მახლობლად 1962 წელს კიდევ ორი სამარხი აღმოჩნდა (№ 7 და № 8), ისინი ძველადვე გაუძარცვავთ, თუმცა ერთ მათგანში, როგორც ითქვა, მაინც შემორჩენილა დასათარიღებელი მასალა (სამარხი № 8). ორივე სამარხი გაუძარცვავთ ალიზისკედლებიანი შენობის საძირკვლის მშენებლობისას, ამ ნაგებობის ერთ-ერთი კედლია ნაშთი (თირში ჩაჭრილი ფართობი და შიგ ჩარჩენილი რამდენიმე ქვა) სწორედ ზედ სამარხზე გადადის, ხოლო მეორე სამარხის კუთხე ამოშენებულია გვიანდელ კედლით (სურ. 66).

1962 წელს მეშვიდე კვადრტში აღმოჩენილი № 7 სამარხი წარმოადგენს თირში ჩაჭრულ, ერთ მხარეს მომრგვალებულ, გრძელ, ბრტყელძირიან ორმოს, რომლის სიგრძეა 2,1 მ, სიგანე 1,25 მ და სიღრმე 0,5 მ-მდე. ეს ორმო თითქმის პარალელურადაა მიმართული წინა წელს აღმოჩენილი სამარხის ორმოსადმი და მოსგან ორ მეტრამდე მანძილითაა დაშორებული (სურ. 34). სამარხი № 7

პირწმინდად იყო გაძარცვული და მოზრდილი ქვებით ამოვსებული. მიწის თანამედროვე ზედაპირიდან სამარხი 2 მეტრამდე სიღრმეზეა.

№ 8 სამარხის უდიდესი ნაწილი მერვე კვადრატშია მოთავსებული, მისი ჩრდილო-დასავლეთი კუთხე კი მეხუთე კვადრატში გადადის. სამარხი მოთავსებული ყოფილა თირში ჩაქრილ დიდ ფართობში. ეს ფართობი სწორკუთხაა. მისი სიგანე 3 მ, სიგრძე — 4 მ. სიღრმე სხვადასხვაგვარი აქვს და ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე თითქმის გაერთიანებულია თირის ზედაპირთან. ამ სამარხის მიმართულება უფრო ნაკლებად ემთხვევა მეექვსე კვადრატში გათხრილ მდიდრული სამარხისას. თუმცა სხვაობა ისეთი საგრძნობი არ არის, რომ ვერ აიხსნას მზის გადახრით წელიწადის სხვადასხვა დროს (იხ. სურ. 34), თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ადამიანის (ქალის) კბილები და ოჭროს ერთადერთი საყურე (სურ. 68), რომელიც ამ სამარხში გადარჩენია მძარცველებს, სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეშია ნაპოვნი, უნდა ვიფიქროთ, რომ მიცვალებული აქაც, ისევე, როგორც № 6 სამარხში, დამხრობილი ყოფილა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სამარხი, როგორც ჩანს, მდიდრული იყო, ამაზე მიუთითებს აქვე ნაპოვნი სამი ოჭროს მძივი, მინისა და ჰასტის მძივები და სამარხის სამხრეთ ნაწილში ნაპოვნი შავფიგურიანი, ატიკური კილაკის ნატეხები, რომლის აღდგენა იმდენად მოხერხდა, რომ შესაძლებელი გახდა ჭურჭლის ერთიანი ფორმის წარმოდგენა (სურ. 67). სწორედ ამ ჭურჭლის მეოხებით სამარხი საიმედოდ თარიღდება ძვ. წ. მეხუთე საუკუნის პირველი ნახევრით. სამარხს თავის მხრივ დაუზიანებია კულტურული ფენები, რომლებიც უფრო ძველ ხანას ეკუთვნოდა. ამაზე მიუთითებს რამდენიმე ნატეხი კოლხური პითოსებისა, რომლის მსგავსიც გვხვდება I უბანზე გამოვლენილ კერამიკულ ჭურის ნაშთებში³. აქვეა შავად გაპრიალებული ჭურჭლის მცირე ზომის ნატეხები და ზომომორფული ყურის ორიოდ ნატეხი. სამარხში აღმოჩნდა ცხოველების ძვლებიც, რომლებიც ეკუთვნის ძროხას, ღორს, თხას, ერთი ძვალი ირმისაცაა⁴. რადგანაც სამარხი გაძარცვული, დაზიანებული და არეული იყო, ძნელი სათქმელია, ამ საქონლის ხორცი ჰქონდა მიცვალებულს ჩატანებული, თუ ძვლები სხვა დაზიანებული კულტურული ფენიდან მოხვდნენ აქ.

1963 წელს მეექვსე უბანზე განახლებული თხრა მიზნად ისახავდა წინა წლებში გამოვლენილი ძეგლების შესწავლის გავრცელებას, სტრატეგრაფიული მონაცემების დაზუსტებას, აღმოჩენილი ნაგებობის გეგმის გამორკვევას, ახალი არქეოლოგიური მასალის მოპოვებას. გაითხარა წინა წელს გამოვლენილი ფართობის უშუალო გავრცელება სამხრეთითა და აღმოსავლეთით. მეცამეტე კვადრატის გავრცელება სამხრეთით, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე კვადრატები მთლიანად, მეთექვსმეტე კვადრატის ჩრდილო ნახევარი და 2 მ სიგანის ფართობი მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე კვადრატების აღმოსავლეთით. მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე კვადრატებს შორის დაეტოვებ 50 სმ სიგანის უღელი. ჩაიხატა სტრატეგრაფიული კრილები, როგორც უღელი, ისე კვადრატების დასავლეთა ედელი, თხრილში გამოვლენილი კედლის ქვეშ მდებარე კულტურული ფენები და ახვ.

³ ნ. ხოტარია, ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1962 წ. სამეცნიერო სესია, შედეგები 1962 წელს წარმოებული საეველ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები, თბილისი, 1963, გვ. 105.

⁴ ძვლები განსაზღვრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თანაშრომელმა ა. ციციშვილმა.

მთელ ფართობზე პირველივე ბარისპირზე გამოჩნდა კრამიტების ნატეხები, ხოლო მეორე ბარისპირიდან ალიზის ნაშალიც.

მეთოთხმეტე კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში 80—75—60 სმ სიღრმეზე შავად დამწვარი მიწა გამოჩნდა, აქვე იყო კრამიტების ნატეხები და ცხოველების ძვლების ნაშთები. ამავე კვადრატის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი წითელია გამოწვარი ალიზისაგან. ზედაპირიდან 80 სმ სიღრმეზე ალიზის ქვეშ იწყება შავად ვადამწვარი მიწის მძლავრი ფენა. კვადრატის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 3 მეტრამდე სიგრძისა და დაახლოებით ერთი მეტრი სიგანის ზოლი თითქმის მთლიანად ალიზის ნაშალია. იგი არ შეიცავს კრამიტების ნატეხებს. როგორც ჩანს, აქ ალიზის ჩაქცეული კედლის დიდ მონაკვეთთან გვაქვს საქმე, რომელსაც შემდეგში აღარ განუცდია ვადათხრა.

მეთოთხმეტე კვადრატში კრამიტურილის ფენის ქვეშ არის თიხნარი ფენა, რომელიც აქ უფრო სქელი ჩანს, ვიდრე წინა წელს გათხრილ კვადრატებში. ამ ფენაში აღმოჩნდა ბრინჯოს თავგახსნილი, სტილოზებულები გველისგამომთავლებიანი სამაჯურის ნატეხები, ხოლო აქვე, კვადრატის დასავლეთ კედელთან — ადგილობრივი ამფორის ნატეხები... ამავე ფენაში, ზედაპირიდან 1,60 მ სიღრმეზე შავლაკიანი ჭურჭლის პირის ნატეხი აღმოჩნდა, იგი შესაძლოა წითელ-ფიგურული იყო (შერჩენილი აქვს წითელი ზოლი). ამ ფენაში არის დამწვარი შრეებიც.

მეთხუთმეტე კვადრატის ზედა ფენებში კრამიტების აუარებელი ნატეხი ურევია წითლად ვადამწვარ მიწას. მათ შორის სოლენებიცაა და კალიპტერებიც. როგორც ჩანს, ყველა მათგანს ჰქონია ნიშანი (ისეთივე, როგორც წინა წლებში შეგროვილი ნიშნებია). აქაც, ისევე, როგორც მეთოთხმეტე კვადრატში, ალიზ-კრამიტის ფენის ქვეშ დევს თიხნარი ფენა, რომელშიც ხშირად გვხვდება ცხოველების ძვლები, ხოლო კერამიკა ძალიან ცოტაა. აქ ქვიშანარევე ფენაში აღმოჩნდა პაწია ნატეხი ღია ფერის თიხის ჭურჭლისა, რომლის ანგობიან ზედაპირზე წითელი საღებავით შესრულებული ურთიერთ ვადამკვეთი ზოლებია გამოყვანილი. აქვეა ერთი ისრისპირი და ვანისათვის არქაული კერამიკის ნატეხები.

მეთხუთმეტე კვადრატის აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლინდა კედლის ნაშთები, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით გრძელდება და თირის ქვებითაა შედგენილი.

მეთოთხმეტე კვადრატში რუსტებიანი კედლის ვაგრძელება აღარაა. 1963 წელს კიდევ შემოწმდა და დადასტურდა წინა წელს შემჩნეული გარემოება: რუსტებიანი კედლის ქვები 1962 წელს გამოვლენილს გარდა მთლიანად ამოკრეფილია და მისი ნაწილი ეზოში არსებული სახლის მშენებლობაზე გამოყენებული. გარშემო ფართობის გულმოდგინედ მოსინჯვის მიუხედავად ამ კედლის ვაგრძელებაზე ნაგებობის არავითარი ნაშთი არ აღმოჩენილა, სამაგიეროდ მეთხუთმეტე კვადრატში გამოჩნდა რუსტებიანი კედლისადმი პერპენდიკულარულად მიმართული წყობის ნაწყვეტი, რომელიც ნაწილობრივ აგრეთვე ქვიშაქვის კვადრატებისაგანაა შედგენილი, თუმცა ისინი ისე გულმოდგინედ არაა დაბეჭდებული, როგორც რუსტებიანი კედლისა. (სურ. 71).

ზემოთ ნახსენები რუსტებიანი წყობის ნაწყვეტის პარალელურად, მასზე 0,50 მ-ით დაბლა, მის სამხრეთ-დასავლეთით გამოჩნდა თარში საგანგებოდ ჩაჭრილ ბუდეში ჩასმული ცხრა კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრი, რომლებიც ორმჭკრივადაა ჩაწყობილი (სურ. 74, 75). კვადრები კარგადაა გათლილ-დაწუ-

შავებულო, ერთი მათგანი რუსტიანია, თუმცა წყობის პროფილი თითქმის არ ჩანს, თირი ეფარება. კვადრების სიგრძე 70—60 სმ-ია, სისქე 32—33 სმ. ამ წყობის ურთიერთობა რუსტებიან კედელთან ჯერ კიდევ გაურკვეველია. სავარაუდოა, რომ იგი რუსტებიან კედელზე უფრო ძველია.

თხრა ამჭერადაც ისევე, როგორც წინა წლებში, ყველგან, სადაც გამოვლენილმა კედლებმა არ შეგვიშალეს ხელი, თირამდე იქნა მიყვანილი. 1963 წლის გათხრილის უდიდესი სიღრმე ზედაპირიდან 2,40 მ იყო. თირი კვლავ დაქანებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ხოლო მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე კვადრატებს თითქმის დიაგონალურად და ოდნავ მორკალურად ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაუყვება თირში ჩაჭრილი ზოლი 50-70 სმ სიგანისა, იგი გრძელდება და შედის სამხრეთით გაუთხრელ ნაწილში. მის აღმოსავლეთით მასთან ახლოს 40 და ზოგან უფრო ნაკლები სანტიმეტრის დაცილებით პატარა ორმოები შეიმჩნევა. მათი დიამეტრი უდრის 25 სმ, სიღრმე 7—8 სმ, მეთოთხმეტე კვადრატში სამი ასეთი ორმოა. თუ რა სახის ნაგებობას ეკუთვნის თირში ჩაჭრილი ეს ზოლი და ორმოები, ჩვენთვის გაურკვეველია.

სტრატეგრაფიული ჰრილები 1963 წელსაც დაახლოებით ისეთივე გვაქვს, როგორც წინა წლებში, იმ განსხვავებით, რომ ალიზ-კრამიტის შემცველი ფენა უფრო ნაკლებადაა გადახრილი, ხოლო მის ქვეშ მდებარე უფრო ძველი ფენა თითქმის აღარ არსებობს, იგი ალიზისკედლებიანი ნაგებობის მშენებლებს ამ ადგილას მთლიანად აუღიათ და მოშიშვლებულ თირზე უშენებიათ თავისი ნაგებობა. ძველი ფენების ამ ადგილას არსებობაზე ზემოთ აღნიშნული რამდენიმე ნატეხი მიუთითებს მხოლოდ.

ამგვარად, მეექვსე უბანზე სამი წლის მუშაობამ გამოარკვია, რომ ეს ადგილი დასახლებული იყო ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (მდიდრული სამარხების მიერ დაზიანებული ძვ. წ. VII—VI საუკუნეების ფენები), თუმცა ამ დროიდან მხოლოდ მცირე რაოდენობის კერამიკის ფრაგმენტებია შემორჩენილი. ძვ. წ. V საუკუნის პირველ ნახევარში აქ საზოგადოების მაღალი ფენების წარმომადგენელთა სამარხები გაუმართავთ. ამ პერიოდის სხვა ძეგლები აქ ჯერჯერობით არ ჩანს. ძვ. წ. IV—III საუკუნეებში კარგად თლილი ქვებით უშენებიათ ნაგებობანი. ამ პერიოდის ადგილობრივი და იმპორტული კერამიკაც გვიდასტურებს აქ ინტენსიურ ცხოვრებას, ხოლო ძვ. წ. II—I საუკუნეებში უშენებიათ თირში ჩაჭრილ საფუძველზე დამყარებული ალიზისკედლებიანი ნაგებობანი, რომლებიც კრამიტით ყოფილა გადახურული და ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებში ხანძრით დაღუპულა. ჯერჯერობით ასე გვეხატება მეექვსე უბანზე გამოვლენილი ძეგლების წინედვით ამ ადგილზე ადამიანის ცხოვრება 500-ზე მეტი წლის განმავლობაში.

მეაფეოდალურ ხანაში აქ კვლავ არის ცხოვრება და ამის მანიშნებელი რამდენიმე საგანი გვაქვს (ქვევრების ნატეხები, მინის სამაჭურის ნატეხი), ვფიქრობთ. უფრო ინტენსიურად ამ ხანის ფენა ეზოს ჩრდილო ნაწილში უნდა იყოს წარმოდგენილი, რომელსაც ჯერ არ შეხებია არქეოლოგის ბარი. საერთოდ ამ უბანზე მუშაობა არ დამთავრებულა, უკვე გათხრილი სამასიოდე კვადრატული ნეტრი იმაზე მივითითებს, რომ ეს ადგილი ღარსია უფრო ფართო შესწავლისა, თხრილის გაგრძელება ყველა მიმართულებით მოგვეცეს დამატებით მასალას ანტიკურ ხანის ნაქალაქარის ერთერთი მნიშვნელოვანი უბნის ცხოვრების წარმოსადგენად. თუმცა უკვე არსებული მასალის საფუძველზე გვესახება ამ უბნის

ცხოვრების სქემატური სურათი. ამ უბნის მნიშვნელობა კიდევ უფრო ცხადი გახდა 1966 წლის გათხრებით, როცა მის ჩრდილო-დასავლეთ კიდეზე გაითხარა მრგვალი კოშკისა და გალავნის კედლის ნაშთები, რის შესახებაც სათანადო ანგარიშში დაწვრილებით არის საუბარი. არქეოლოგიური მასალის სიმცირის მიზეზია, როგორც ზემოთაც ითქვა, კულტურული ფენების განუწყვეტელი დაზიანება და ადგილის ბალ-ბოსტინისათვის დამუშავება, მაგრამ რაც არის ის მასალაც საკმაოდ მეტყვევლია და მიუხედავად ფრაგმენტულობისა, მყარ საფუძველს გვაძლევს დათარიღებისათვის.

ძვ. წ. VIII—VII და აგრეთვე VI—V საუკუნეები, როგორც ზემოთ ითქვა, წარმოდგენილია კერამიკის რამდენიმე ნატეხით, ჭურჭლის ზომომორფული ყურებით, კოლხური პითოსების ნატეხებით და სქელკედლიანი ჭურჭლის პირით, რომლის შესქელებული ნაპირი შემკულია ამოღარული რომბული ორნამენტით. ყველა ეს ნიშნები კარგად არის ცნობილი წინა და აღრეანტიკური კოლხეთისათვის (სურ. 69)⁵. მსგავსი ჭურჭლის აღმოჩენებს ამ ბოლო ხანებში ჩრდილო შავი ზღვისპირეთშიც მიაქციეს ყურადღება რუსმა არქეოლოგებმა და ისინი კოლხეთიდან იქ შეტანილად აღიარეს⁶. ძვ. წ. V ს-ის პირველ ნახევარს ეკუთვნის მდიდრული სამარხის მასალა, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი.

ყურადღებას იპყრობს № 8 სამარხში აღმოჩენილი შავფიგურული კილიკი (სურ. 67), იგი სამარხისათვის ჩაკრილი სათაყარს აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა, მიწის ზედაპირიდან 1,7 მ სიღრმეზე, თირზე, შავ ფენაში, რომელიც თიხნარი ფენის ქვეშ იყო. ჭურჭლის ტანის დიდი ნაწილი დაკარგულია, არა ჩანს არცერთი ყური. კილიკი დამზადებულია მოყვითალო-ვარდისფერი, სუფთად განლექილი თიხისაგან, რომელსაც ქარსის ძალზე წვრილი ნამცეცები ურევია. იგი წარმოადგენს დაბალ ქუსლზე შემდგარ ღრმა კილიკს, ძირი ვარდისფერი აქვს, შავი ლაკით დაფარულია ქუსლის კედელი და ძირზე რძი კონცენტრიული წრეა გამოყვანილი. კილიკი გარედან ვარდისფერ ფონზე შავი ლაკითაა მოხატული. გადარჩენილია პალმეტის ნაწილი (ალბათ აქვე ახლოს უნდა ყოფილიყო ჭურჭლის ყური), სუროს ფოთლების გირლიანდი და კენტაერის (?) ტანი, თავის ადგილი ატკეცილია. ჭურჭელს შიდა ზედაპირზე ამოკაწრული აქვს გრაფიტო. კილიკი თიხის, ლაკისა და მოყვანილობის მიხედვით ატიკური ნაწარმია⁷ და ძვ. წ. V ს-ის პირველ ნახევარს ეკუთვნის. მას ახლო ანალოგიები ჰოვებნება ამ პერიოდის შავფიგურულ კილიკებს შორის, ერთი მათგანი 1938 წელს აღმოჩნდა ტარიტაკში არქაული შენობის ნანგრევებში, მოყვანილობით, პალმეტითა და სუროს ტოტებით მთლიანად ემთხვევა ეს კილიკი ვანის კილიკს, ოღონდ აქ შუბრისანი შემოღარია გამოხატული. ამ კილიკსაც ვ. გაიდუკევიჩი ძვ. წ. V ს-ის პირველ ნახევარით ათარიღებს⁸. ვანის კილიკის სიმაღლე 7,5 სმ-ია, ძირის დმ — 12 სმ, პი-

⁵ Б. А. Күфтин. Материалы к археологии Колхиды, II, гл. 93, таб. 34.

⁶ И. Б. Зеест. И. Д. Марченко. Некоторые типы толстостенной керамики из Пантикапея, МИА № 103, гл. 155, сур. 6.

⁷ მისი კვიც ალწერილობით ძალიან უდგება ჩრდილო შავი ზღვისპირეთში მოპოვებულსა და სპეციალისტების მიერ ატიკურად მიხნულ ჭურჭელს. იხ. შავ. Г. А. Цветаева. К вопросу о торговых связях Пантикапея. МИА, № 56, с. 137.

⁸ В. Ф. Гайдукевич. Раскопки Тиритак в 1925—1940 гг. МИА, № 56-1. 1952, гл. 85, сур. 105. შეიძლება, აგრეთვე კიდევ რამდენიმე კილიკის დასახელება სპეციალისტების მიერ დათარიღდეს.

რის სავარაუდებელი დმ — 18 სმ, ქუსლის სიმაღლე 1,3 სმ, მოხატული ზოლის სიგანე 3,5 სმ.

გარდა ზემოთ აღწერილი კურკლისა, სამარხში სხვა ნატეხებიც აღმოჩნდა, ასეთია, მაგალითად შავლაკიანი კურკლის ფეხიანი ძირი (სავ. № 3—62/358) მოწითალოდ გამომწვარი, სუფთად განლექილი თიხისა, იგი შიგნიდან მთლიანად დაფარულია მბრწყინავი შავი ლაკით. ფეხის სიმაღლე 1,4 სმ-ია, დმ კი 5,5 სმ. ნატეხი ნაპოვნია სამარხის შუაგულში, შავ ფენაში მისგან ცოტა მოშორებით, ისევე სავარაუდოდ ფართობში აღმოჩნდა მუქი მოწითალო, სუფთად განლექილი თიხის კურკლის ნატეხი, რომელიც ორივე მხრივ მუქი, კარგი ხარისხის ლაკითაა დაფარული (სავ. N 3/356), კურკლის შიდა ზედაპირი შემკულია მოკლე ქდეული ზახებისაგან შემდგარი ორი მწკრივით. ეს ორი კურკელიც ატიყური ჩანს, ისინიც სასმისებს უნდა ეკუთვნოდნენ, თუმცა უფრო მცირე ზომისას, ვიდრე შავფიგურული კილიკია. როგორც ცხედავთ, მიცვალბებულს არა ერთი შავლაკიანი კურკელი ჰქონია ჩატანებული.

შავლაკიანი კურკლის მცირე ზომის ნატეხები VI უბანზე შემდეგდროინდელ ფენებშიც გვხვდება (ძვ. წ. IV—III სს). ასეთია მაგ. (სავ. № 3—62/314) ვარდისფერი, სუფთად განლექილი თიხის კურკლის ქუსლის ნატეხი, ორივე მხრივ დაფარული ნაკლებად მბრწყინავი შავი ლაკით. იგი III კვადრატში აღმოჩნდა კრამიტის ნაშალის შემცველი ფენის ქვეშ. აგრეთვე შავლაკიანი კურკლის პაწია ნატეხი (სავ. № 3—62/304), ალიზის გადმოქცეული კედლს ქვეშ აღმოჩენილი III და IV კვადრატების საზღვარზე და ნაცრისფერი თიხის შავლაკიანი კურკლის ნატეხები (სავ. № 3—62/63), მკრთალი ლაკით დაფარული, აღმოჩენილი ალიზის კედლების გარეთ მდებარე შავ ფენაში. მათ როგორც ლაკის ხარისხზე, ისე თიხაზე აშკარად ემჩნევათ გვიანდელი საპარხში აღმოჩენილ შავლაკიან კურკელთან შედარებით.

გამარცული სამარხის გადარჩენილ ინვენტარში აღსანიშნავია ცალი ოქროს საყურე (სავ. № 3—62/381), იგი წარმოადგენს ოვალურ მრგვალგანიკვეთიან რგოლზე დაკიდულ ბურთულას (სურ. 68). რგოლი ვახსნილია, ბოლოები გაბრტყელებული აქვს. ბურთულა დამზადებულია საკმაოდ სქელი ოქროს ფირფიტაგან; რგოლთან დაკავშირებულია დაღარული ცილინდრით. ბურთულა სიგრძივ დაღარულია. შუა წელზე ირგვლივ სარტყელი აკრავს, რომელიც შემკულია ცვარასაგან შედგენილი კუწუბებით. ბურთულას ბოლოზეც მირჩილულია ვიწრო, ტანდაღარული ცილინდრი, რომელიც ცვარათი შედგენილი ხუთი კუწუბითაა შემკული. საყურის საერთო სიგრძე 5,2 სმ-ია. თავში და ბოლოში მირჩილული ცილინდრების სიგრძე 0,5 სმ. ბურთულის დმ — 1,5 სმ. საყურე მაღალი სინჯის ოქროსია და ფაქიზადაა დამზადებული. მას შორეული ანალოგია მოეპოვება ყაზბეგის ელექტრონის საყურისა და ითხვისში 1962 წელს აღმოჩენილი ოქროს საყურის სახით. მასთან მოყვანილობით გაცილებით უფრო ახლოს დგას დაბლაგომის სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს საკიდი, რომელიც, ჩვენის აზრით უნწმომწყვეტილი საყურე უნდა იყოს⁹.

ოქროსაგან დამზადებული კიდევ ორი პაწია საგანი აღმოჩნდა გამარცულ სამარხში. ეს არის ერთი ტანდაღარული, ბიკონუსური მძივი (სავ. № 3—62/378), რომლის მსგავსი 1961 წელს აღმოჩენილ მდიდრულ სამარხშიც მრავლად შეგვ-

⁹ Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, II, таб. XV, сур. 14.

ხვდა და ერთიც ცოტა მოზრდილი მძივი (სავ. № 3—62/379), ამეამად დაჭყლეტილი და ფორმადაკარგული. უფრო მეტი რაოდენობით შეიკრიბა აქ ფერადი მინის მძივები, რომელთა უმრავლესობა წვრილი და დამტკრეულია.

ქრონოლოგიურად სამარხის მომდევნო ხანა (ძვ. წ. IV ს), როგორც ზემოთაც ითქვა, მეექვსე უბანზე შავლაიანი ჭურჭლის რამდენიმე ნატეხითაა წარმოდგენილი, ხოლო III—II საუკუნეები — იმპორტული კერამიკის რამდენიმე ნატეხით. მათ შორისაა მეტად საინტერესოდ მოხატული ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც აღმოჩნდა 1961 წელს მეოთხე კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კვადრატის აღმოსავლეთ კედელთან ახლოს, მეექვსე ბარისპირზე. ჭურჭელი ყურადღებას იქცევს ლამაზი მოყვანილობითა და შემკულობით. იგი დამზადებულია წმინდა, კარგადგანლექილი, მოყვითალოდ გამომწვარი თიხისაგან, თხელკედლიანია, შიგნიდან მთლიანადაა დაფარული შავი ლაკით. გარედან კი ღია ფერისაა. ალაგ-ალაგ შავი, მოყავისფრო საღებავით არის მოხატული წერტილებითა და წერტილებისაგან შედგენილი ყვავილებით, აგრეთვე ამოკაწრული გრეხილი ხაზებით. აღდგა ჭურჭლის დაახლოებით ერთი მეოთხედი ნაწილი, რომელსაც შემორჩენილი აქვს ყურის ნაწილიც. ჭურჭელი მომცროა, მაგრამ ღრმაა, პირფართო, მუცელთან კიდევ უფრო გაფართოებული, ძირისკენ შევიწროებული. მოხატული ზედაპირი არათანაბრად გამოწვეის გამო ზოგან მოყავისფრო-მოშავოა, მისი ერთი ნაწილი ამის გამო სხვა ჭურჭლის გვეგონა, ამიტომაც იგი საველე წიგნში ორი ნომრით გატარებული (3—61/169 და 3—61/170). ჭურჭელი ადრეელინისტური ხანისა უნდა იყოს (ძვ. წ. III ს-ის პირველი ნახევარი), თუმცა მისი მსგავსი ჭურჭელი არაა აღმოჩენილი არც ჩვენში და არც შავიზღვისპირეთში. მსგავსი მოხატვა და შავი ლაკით დაფარვა ზედაპირის ნაწილისა, როგორც ცნობილია, ელინისტური ხანის ჭურჭლისათვისაა დამახასიათებელი. ეს ჭურჭელი უნდა ეკუთვნოდეს ელინისტური კერამიკის იმ ჯგუფს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძველი ტრადიციების აღორძინება, სახელდობრ როდოსულ-მილეტური კერამიკის ტრადიციებისა¹⁰.

მოხატული ჭურჭლის აღმოჩენის ადგილთან ახლოს, ოღონდ უფრო ღრმად—მეცხრე ბარისპირზე აღმოჩნდა ე. წ. მეგარული თასის სამი ნატეხი (სავ. № 3—61/188). ორ ნატეხი პირ-გვერდისაა, ერთი კი ძირისა, სამივე ერთიდაიმავე ჭურჭლისაა. ჭურჭელი ნაცრისფრად გამომწვარი, სუფთად განლექილი თიხისაა, თხელკედლიანი, ნაბრგადმოწეული, მრგვალმუცლიანი, და ძირმომრგვალებული, რელიეფური, მცენარეული ორნამენტით შემკული. ორნამენტი ყალიბშია შესრულებული, პირს ქვემოთ ფრინველის გამოსახულებაც შეიმჩნევა, ძირზე ვარდული აქვს და ირველივი ღარები და კუწუბები. „მეგარული“ თასებში პატარა ნატეხები სხვა დროსაც აღმოჩენილა ვანში, როგორც პირველ უბანზე, ისე IV უბანზეც, მაგრამ მცირე რაოდენობით. როგორც ცნობილია, „მეგარული თასების“ სახელწოდება პირობითია, ეს თასები ელინისტური სამყაროს თითქმის ყველა ცენტრში მზადდებოდა ძვ. წ. III—II საუკუნეებში¹¹. საქართველოში მისი აღმოჩენები ძალზე იშვიათია, რაც არის, ისიც მცირე ფრაგმენტებითაა

¹⁰ Т. Н. Кипович. Из истории художественной керамики Северного Причерноморья, СА, VII, 1941.

¹¹ P. V. C. Baug. Megarian Bowls in the Rebecca Darlington Stoddard collection of Greek and Italian vases in Yale University, American Journal of archaeology, April—Jun—1941, XLV, № 2.

წარმოდგენილი. ჩვენი თასის დამზადების ცენტრზე ვერაფერს ვიტყვით, საერთო მოყვანილობით კი (გადმოწეული ნაპირი და სხვ.) იგი ძვ. წ. II საუკუნისა უნდა იყოს. მისი ზედაპირი არ არის დაფარული შავი ლაკით, თუმცა ალაგ-ალაგ მოშავო ფერი გადაკრავს, საერთოდ კი ნაცრისფერია.

დაახლოებით ამავე ხანებს უნდა ეკუთვნოდეს ყავისფერლაკიანი კურკლის პირის ნატეხი (საგ. № 3—62/363), მოწითალო-მოწაბლისფრო თიხისა, ორივე ნხრივ ჩამჭრალი, ყავისფერი ლაკით დაფარული. პირს კიდე შიგნითა აქვს შესქელებული. აგრეთვე ყავისფერლაკიანი კურკლის კედლის ნატეხი (საგ. № 3—62/331), რომელიც შიგნიდან მთლიანად ყავისფერია, გარედან კი 1 სმ სიგანის ყავისფერი ზოლი შემოუყვება და პაწია ნატეხი ღია ვარდისფრად გამომწვარი, სუფთად განლექილი თიხის კურკლია (საგ. № 3—62/351), რომლის ზედაპირი წითელი ლაკით შესრულებული ურთიერთგადამკვეთი ზოლებითაა შემკული.

VI უბანზე ძვ. წ. III — II საუკუნეების ბრინჯაოს რამდენიმე ნივთი გვაქვს მოპოვებული. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საქართველოში გავრცელებული და კარგად ცნობილი გველისთავიანი სამაჯურის ნატეხი.

ზურგშედრეკილი სამაჯურები, როგორც ცნობილია, ჩნდება აღმოსავლეთში ძვ. წ. V საუკუნეში და არსებობას განაგრძობს გვიანელინისტურ ხანამდე. ჩვენშიც ამ ხანებშია იგი გავრცელებული. მისთვის დამახასიათებელია ბოლოების შემკობა ცხოველთა თავების გამოსახულებებით. საქართველოში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება გველისთავებიანი სამაჯურები. სწორედ ამ სახეობას ეკუთვნის ჩვენი სამაჯურის ნატეხიც. რაც შეეხება მის ზურგშედრეკილობას, ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ ვარაუდით ვიცით, სამაჯურის ეს ნაწილი არ შემონახულა და არის შემთხვევები, როდესაც გველის თავების სტილიზებული გამოსახულება ზურგშედრეკივ სამაჯურებზედაც გვხვდება. მ. კუფტინის აზრით, სამაჯურების ზურგშედრეკილი ფორმა უნდა წარმოადგენდეს მოზიდული შვილდის მოყვანილობის მიზანძვას. მისივე თქმით ასეთი მოყვანილობის გამო სამაჯური უფრო მოხერხებულად და მკვიდროდ იყო მაჯაზე მოდებული¹². ჩვენ არ გვიჩვენება ეს მოსაზრება დამაჯერებლად, არც სამაჯურის შედრეკილობა უწყობს ხელს მას მაჯაზე მკვიდროდ შემოკდომას, პირიქით, სწორედ ამ ადგილას იქნებოდა სამაჯური ამობურცული. ვფიქრობთ, მისი მოყვანილობა დაკავშირებულია სანაჯურის მკლავიდან მოხსნასთან, გახსნილი ბოლოების გაწევის დროს წარმოიშვა შედრეკილობა, ხოლო ამის შემდეგ ეს ფორმა მოდაში შემოვიდა და კარგად დიდხანს შემორჩა. ზურგშედრეკილი სამაჯურების უძველესი ნიმუშებია ზემოთ აღწერილი, მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ლომისთავებიანი და ხბოსთავებიანი ოქროს სამაჯურები, აგრეთვე ჭიხვისთავებიანი, მასიური სამაჯურები.

VI უბანზე საკმაოდ მრავალადაა მოპოვებული ამფორების ნატეხები, მათ დიდ ნაწილს შეადგენს ე. წ. ყავისფერთიხიანი ამფორების ძირები და სხვა ნატეხები. გვხვდება იმპორტული ამფორებიც. უნდა აღინიშნოს, როდოსული ამფორის დამლიანი ყურის აღმოჩენა მეშვიდე კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მეხუთე ბარისპირზე, იქ, სადაც ალიზისკედლებიანი ნაგებობის გარეთ მდებარე ფართობი უნდა ყოფილიყო. მისი როდოსულობა ექვს არ იწვევს: ამაზე მეტყველებს როდოსისათვის დამახასიათებელი თიხა, ანგობა და ყურის მო-

¹² Б. А. Купфтин. Материалы к археологии Колхиды, ტომი I, გვ. 35, ტომი II, გვ. 33 და 36-37.

ყვანილობა. გადარჩენილია ყურის პორიზონტალურად მიმართული ნაწილი და მუხლი, რომელზედაც შეიმჩნევა, რომ ყური სწორი კუთხის შექმნით ეშვება ძირს. დამლა გადალუსილია, მაგრამ რამდენიმე ასო გაირჩევა. როდნაული ამფორების აღმოჩენა ვანში არაა უჩვეულო, მათ შორის დამლიანი ყურებიც გვხვდება. VI უბნის დამლიანი ყური მოყვანილობის მიხედვით ძვ. წ. III—II სს უნდა ეკუთვნოდეს¹³.

იმპორტულ ამფორათა ნატეხებში არის ერთი კნიდის ამფორის ძირი, იგი X კვადრატში აღმოჩნდა კრამიტყარილის ქვეშ, ზედაპირიდან 1,35—1,40 მ სიღრმეზე (სავ. № 3—62/44). იგი მუქი ვარდისფერი, მსხვილმარცვლოვანი თიხისაა, ძირი წარმოადგენს თავმომრგვალებულ კონუსს, რომელიც ლილვავით ბოლოვდება. კნიდის ამფორების ძირები სხვა დროსაც აღმოჩენილია ვანში. ჩვენი ცალი ძვ. წ. III—II საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს¹⁴.

იმპორტული ამფორების ორიოდ ნატეხი კოსისა უნდა იყოს, ხოლო რამდენიმე ნატეხი ჩვენთვის უცნობი ცენტრებიდან მომდინარეობს.

ე. წ. ყავისფერთიხიანი ამფორები, როგორც ითქვა, ყველაზე ჰარბი რაოდენობითაა ამ უბანზე, ისევე როგორც ვანის ნაქალაქარის სხვა უბნებზეც. აქ ამ ამფორათა ი. ზეესტის მიერ გამოყოფილი ორივე ჯგუფია წარმოდგენილი — ძვ. წ. III—II სს-ის ამფორებიც და ძვ. წ. I საუკუნისაც¹⁵.

საკმაოდ უხედააა მოპოვებული წითელლაკიანი კერამიკა, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ძალზე ფრაგმენტული. მხოლოდ ერთი წითელლაკიანი ჯამია თითქმის მთლიანად გადარჩენილი. რამდენიმე ჭურჭლის ფორმის აღდგენა კი შესაძლებელია გადარჩენილი ნაწილების მიხედვით.

თითქმის მთლიანი ჯამი (სავ. № 3—62/298) აღმოჩნდა IX და X კვადრატებს შორის დატოვებული უღლის მონგრევისას, შავად დამწვარ ფენაში, ზედაპირიდან 1,26 მ სიღრმეზე. ალიზიკედლებიანი ნაგებობის იატაკზე. ჯამი პატარა ფეხზეა შემდგარი, კალთამომრგვალებულია, სადანა?ირიანი, მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი, წმინდად განლექილი თიხისა. თიხას ურევია ქარსის მბრწყინავი ნაქეცები და შავი მარცვლები. ჯამი შიგნიდან და გარედან დაფარულია მუქი წითელი ლაკით. გარედან აქა-იქ ნაღვენთები და ლაკით დაუფარავი ადგილები აქვს. ჯამის საერთო სიმაღლე 6,3 სმ, ფეხის სიმაღლე 1,3 სმ, ფეხის დმ — 4 სმ, ჯამის პირის დმ — 11 სმ. ჯამი მეტად თავისებურად გამოიყურება, როგორც თიხა, ისე მოყვანილობა, ლაკის ხარისხი, ფერი და ამ ლაკით დაფარვა ჯამის ზედაპირისა, არა ჰგავს ჩვენთვის ცნობილ წითელლაკიანისას; ვფიქრობთ იგი იმპორტული არ უნდა იყოს და უნდა წარმოადგენდეს ჩვენთვის დღემდე უცნობი ადგილობრივი საწარმოს პროდუქტს.

სულ სხვაგვარია წითელლაკიანი ჯამი (სავ. № 3—62/57), რომელიც თითხმეტი ნატეხისაგან შეკოწიწდა. მისი ფორმა მთლიანადაა წარმოდგენილი, თუმცა ჭურჭელს ბევრი აკლია. ჯამი ნაპოვნია მეშვიდე კვადრატში ზედაპირიდან 1,20 მ სიღრმეზე, ალიზიკედლებიანი ნაგებობის კედლის გარეთ მდებარე პულტურულ ფენაში. ჭურჭელი დამზადებულია ვარდისფრად გამომწვარი,

¹³ И. Б. Зеест. Керамическая тага Боспора, МИА, № 83 გვ. 102, ტაბ. XXIII, სურ. 49.

¹⁴ И. Б. Зеест. დასახ. ნაშრომი, გვ. 101, ტაბ. XXIII, სურ. 48.

¹⁵ იქვე, გვ. 107, ტაბ. XXII, 59, 60.

წმინდა თიხისაგან. ლაკი მუქი წითელია, ალაგ-ალაგ ყავისფერი და ზოგან მია-
შავოც. ქუსლიანია. გარედან ქუსლი და ჯამის კედლის ნაწილი ქუსლის გარშემო
ნაცრისფრადაა გამომწვარი. ჯამი მთლიანად არაა ლაკით დაფარული, აქა-იქ ნა-
ღვეთები აქვს. ჯამს ყური ჰქონია, ეხლა მოტეხილი აქვს, ემჩენევა ყურის მი-
ჩილვის ადგილი. ჯამთან ახლოს ნაპოვნია დაგრეხილი ყურის ოთხი ნატეხი.
ქურკელს ნაპირი ვერტიკალურადაა აქვს აკეცილი და ნაპირს გარედან ერთი
ირგვლივი ღარი უკვლავს. ქურკლის ქუსლის დმ. 7 სმ. ქუსლის სიმაღლე 1 სმ, აკე-
ცილი ნაპირის სიგანე — 3,5 სმ, ჯამის საერთო სიმაღლე 66 სმ, პირის დმ დაახ-
ლოებით 17 სმ. ლაკისა და ფორმის მიხედვით ქურკელი ძვ. წ. II საუკუნისა
უნდა იყოს.

საინტერესოა წითელლაკიანი ქურკლის პირ-ყურის ნატეხი (სავ. № 3 —
61/159), რომელიც მეოთხე კვადრატში აღმოჩნდა, მეექვსე ბარისპირზე. ქურკე-
ლი წითლად გამომწვარი, სუფთად განლექილი თიხისაა, ურევია წვრილი;
მბრწყინავი ნამცეცები, ვერტიკალურკიდიანია, სადანაპირიანი, ვერტიკალური
კიდე 4 სმ სიმაღლისაა და შემდეგ ძირისაკენ მკვეთრად ვიწროვდება, მხოლოდ
პატარა ნატეხი შერჩენია ძირისაკენ გადახვეული, კედლს სისქე 5 მმ-ია, პირის-
კენ კედელი თხელდება. ყური ჰორიზონტალურად აქვს მიძერწილი კედელს
პირთან ახლოს და ორივე მხრივ მოკეცილია ბაბთივით. ლაკი მუქი წითელი ფე-
რის ჰქონია, ეხლა მხოლოდ ალაგ-ალაგ აქვს შერჩენილი. ყურის სიგანე — 1,4 სმ,
სიგრძე ყურის ჰორიზონტულად მიძერწილი ნაწილისაა — 6,5 სმ. ეს ნატეხი
თიხის მიხედვითა და ლაკის ფერით უფრო სამოსურ ჯგუფს უკავშირდება, ვი-
დრე პერგამულს. ფორმის მიხედვითა და ლაკის ხარისხით ეს ქურკელი ძვ. წ.
II—I სს-ისა უნდა იყოს.

ერთი წითელლაკიანი დოქისებური ქურკლის ფრაგმენტიცა გვაქვს (სავ.
№ 3—61/161), იგი ყელ-ყურ-მხარის ნაწილია. დია, მოყვითალო-მოვარდის-
ფრო თიხისაა, წმინდად განლექილი. ძალზე წვრილი ქარსის ნამცეცები ურევია.
ზრტყელგანიკვეთიანი ყური კუთხესა ჰქმნის და ისე ეშვება ძირს, მიძერწილია
ქურკლის პირის ძირსა და მხრებზე. პირი ქურკელს ფართე ჰქონია (დოქისებუ-
რი ქურკლის კვალბაზე). ყურის სიგანე — 2,6 სმ. ყურის სიმაღლე 6 სმ-ი. ქურ-
კელი აღმოჩენილია მეოთხე კვადრატში, მეექვსე ბარისპირზე. როგორც აღმო-
ჩენის ვითარება, ისე ქურკლის საერთო იერი მის ძვ. წ. II—I სს-ით დათარიღე-
ბას უჭერს მხარს.

ტიპური პერგამული ნაწარმი ჩანს ქუსლიანი ჯამის ძირი (სავ. № 3—61/152),
იგი ფაქიზად ნაკეთები ქურკლისაა, შიდა ზედაპირი კარგი ხარისხის ლაკითაა
თანაბრად დაფარული, შიდა ზედაპირზე შუაგულში ორი ფართოდ ამოღარული
კონცენტრული წრე აქვს გამოყვანილი, ქუსლის სიმაღლე — 7 სმ-ია, აღმოჩენი-
ლია მეოთხე კვადრატის მეხუთე ბარისპირზე, იგი ძვ. წ. I სს-ის ქურკელი უნდა
იყოს თიხისა და ლაკის ხარისხით, ფერთა და საერთო იერით მას ჰკვანან თხელ-
კედლიანი, თანაბრებული ქურკლის პირთა ნატეხები (სავ. № 3—61/151; 179; 185).
ეს ქურკელიც პერგამული ნაწარმი უნდა იყოს.

წითელლაკიანი ქურკლის ერთი ჯგუფი ეკუთვნის ნაპირაკეცილ ჯამებს. ასე-
თაა სავ. № 3—62/131, ჯამის პირის ნატეხი, ნაპოვნი მეექვსე კვადრატის მესამე
ბარისპირზე. ორივე მხრივ დაფარულია მუქი წითელი ფერის ლაკით. აკეცილი
ნაპირი ოდნავ მომრგვალებული აქვს. ნაპირს ქვემოთ ირგვლივ ღარი შემოუ-
ყვება. აკეცილი ნაპირის სიმაღლე 4 სმ-ია. კედლის სისქე 0,3 სმ-ი. მსგავსი

ქურკლის კიდევ რამდენიმე ნატეხია აქ ნაპოვნი (სავ. № 3—61/134; 3—61/160);
3 — 61/133 და სვ.).

ჩვენს მასალაში არის პატარა ჭგუფი კალთამომრგვალებული, პირდაზნექი-
ლი ჭამებისა, ისინი უმთავრესად მეოთხე კვადრატშია აღმოჩენილი მეორე, მე-
სამე და მეხუთე ბარისპირებზე (სავ. №№ 3—61/128; 3—61/132, 139, 147 და
149). ისინი ლაკითა და თიხის ფერით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ფორმა
კი საერთო აქვთ. ერთი (№ 139) პუქი წითელი, კარგი ხარისხის ლაკითაა დაფა-
რული, ორი (№№ 147 და 149) შედარებით ღია ფერის ლაკით, ხოლო ორს
(№№ 128 და 132) ლაკი მთლიანად გადაკლილი აქვს, მათი თიხა კი ფორებიანი
და ქარსნარევიანია.

წითელლაკიანი ლანგრების პირთა რამდენიმე ნატეხი გვაქვს. ფართოდ
გაშლილი, ნაპირაკეცილი, მუქი წითელი, კარგი ხარისხის თანაბარი ლაკითაა
დაფარული (სავ. № 3—61/419; 3 — 61/196), ერთი ნატეხის (№419) თიხა
მუქი ვარდისფერია, კარგად განლექილი, მკიდრო, ხოლო მეორე, რომელიც
ზუსტად ემთხვევა მოყვანილობით პირველს, უფრო ღია ფერის ლაკითაა დაფა-
რული. თიხა კი ისეთივეა.

ვანში, ძვ. წ. I საუკუნის ფენებში ყველგან გვხვდება ერთი ჭგუფი წითელ-
ლაკიანი კერამიკისა, რომელიც ღია ფერის, თითქმის თეთრი, სუფთად განლექი-
ლი თიხისაგანაა დაშლადებული და მუქი წითელი ლაკი აქვს გადავლებული. ამ-
გვარი ქურკლის ორიოდ ნატეხი აღმოჩნდა, აგრეთვე, სოხუმის ძველი ციხის
თხრის დროს, 1959 წელს, I საუკუნის ფენაში. მსგავსი ქურკელი არა აქვთ მო-
ხსენებული ტ. კნაპოვიჩის მირმეკიონისა და ტრაიტაქის წითელლაკიან ქურკელ-
ში და ლ. სილანტიევას ილურატის მასალებში, მაგრამ ჩრდილო შაიზღვისპი-
რეთში ამგვარი ქურკელი გვხვდება. ასეთი ქურკელი დაცულია, მაგალითად,
ოდესის მუზეუმში, ოლბიისა და ქერსონესის მუზეუმებში, თუმცა, სპეციალის-
ტების თქმით. მათ არც თუ ისე ხშირად ვხვდებით კულტურულ ფენებში. მეექვ-
სე უბანზე ამ ტიპის ქურკელი წარმოდგენილია მოზრდილი ლანგრის ძირით
(სავ. № 3—62/321). ქუქალი ჭრალში ოთხკუთხაა, ლანგარი ფართოდაა გადაშ-
ლილი, და შიგნითა და გარეთ კარგი ხარისხის ლაკითაა დაფარული. ქუსლის დმ.
10,5 სმ, ქუსლის სიმაღლე — 1 სმ, ქუსლის ძირის რგოლის სიგანე — 1,3 სმ,
კედლის სისქე ძირთან — 1,3 სმ. შიგნითან ლანგარი შემკულია კონცენტრული
წრეებით, ხოლო გარედან ქუსლს შუა ამოკაწრულია გრაფიტო, რომელიც მო-
ნოგრამას უნდა წარმოადგენდეს. თიხის მიხედვით ამავე ჭგუფის კერამიკის
ეკუთვნის წითელლაკიანი ქურკლის ქუსლის ნატეხი (სავ. № 3—62/62), რომ-
ელსაც ქუსლი ირგვლივ ღარებითა აქვს შემკული.

დანარჩენი წითელლაკიანი ქურკელი უფრო მცირე ზომის ნატეხებითაა
წარმოდგენილი. მათგან ზოგი სასმისებს უნდა ეკუთვნოდეს, ზოგი კალთამომრ-
გვალებულ ჭამებსა და ზოგიც ლანგრებს. აღსანიშნავია წითელლაკიანი ლანგ-
რის პირგვერდის ერთი ნატეხი (სავ. № 3—62/325), რომელიც მეცხრე და მერ-
ვე კვადრატებს შორის აღმოჩნდა, ალიზის ნაშალის ფენაში. ქურკლის ნატეხი
ორ ადგილასაა გახვრეტილი, ალბათ, შესაკოწიწებლად. მსგავსი მოზრდილი
ლანგარი პირველ უბანზეც არის ადრე აღმოჩენილი.

ადგილობრივი კერამიკიდან აღსანიშნავია ერთი პატარა ჭგუფი თიხის ქურ-
კლისა, რომელშიც: შესაძლოა, ძველი ტრადიციების აღორძინებაა მოცემულ-
ასეთია, მაგალითად, თიხის ქურკლის პირ-ყურის ნატეხი (სავ. № 3—62/309),

აღმოჩენილი მეათე კვადრატის ჩრდილო ნაწილში. ზედაპირიდან 75—78 სმ სიღრმეზე. იგი მსხვილმარცვლოვანი, წითლად გამომწვარი, მინარევებიანი თიხისაა, ბევრი ურევია შავი. თეთრი და მბრწყინავე ნამცეცები. პირი სადა აქვს, დაბალი, ყური ორსვეტა, ზომორფული, ყურის საერთო სიმაღლე — 8 სმ, პირის სიმაღლე — 1,2 სმ. ზომორფული ყურები, როგორც ცნობილია, გავრცელებულია გვიანბრინჯაოს ხანიდან, ვანის ჭურჭელი ბევრად უფრო გვიანდელია, მაგრამ ჩანს აქამდე შემორჩა ტრადიციით ამგვარი ყურების დამზადება. ეს ტრადიცია კიდევ უფრო ნათლად იგრძნობა თიხის ჭურჭლის ერთ ნატეხზე (სავ. № 3—62/58), რომელიც მეშვიდე კვადრატში აღმოჩნდა, ზედაპირიდან 1,25 მ სიღრმეზე. იგი თხელკედლიანია, ვარდისფრად გამომწვარი, სუფთად განლექილი თიხისა, ნაპირგადაწეული, შედებილი ყოფილა ყაიფრად. ახლა ყურთან აქვს შერჩენილი შედების ნაშთი. ამ ჭურჭლის ყურიც ზომორფულია, თუმცა თვითონ ჭურჭელი როგორც თიხით, ისე ნაკეთობით მეტად ფაქიზი და დახვეწილია და არა ჰგავს იმ სქელკედლიანსა და მსხვილმარცვლოვანი თიხის ჭურჭელს, რომელთაც უკეთდებოდათ ჩვეულებრივ ზომორფული ყური.

ადგილობრივი ჭურჭლიდან აღსანიშნავია საღვინე დოქის ზედა ნაწილი (სავ. № 3—61/388), ტუჩიანი, ცალყურა, ყური პირდაპირი გაგრძელება პირისა და მეორე ბოლოთი მხარზეა დაძერწილი. თიხა მსხვილმარცვლოვანია, მინარევებიანი. ჭურჭელი ნაპოვნია მეოთხე კვადრატში, ძვ. წ. I საუკუნის კედლის ნაშთის ქვეშ. ჭურჭლის მხრები წითელი საღებავით გამოყვანილი ირგვლივ ზოლებით ყოფილა შემკული. მასთან ახლოს იყო აღმოჩენილი დოქის ყელის ნატეხი, კარგად განლექილი, მოწითალო თიხისა, რომელსაც მხარზე აგრეთვე წითელი ზოლები დაჰყვება.

მეტად საინტერესოა შავად გაპრიალებული, მცირე ზომის ჭურჭლის ერთი ჯგუფი, რომელიც შავლაკიანი და ზოგიც წითელლაკიანი იმპორტული ჭურჭლის ნიპაძევით უნდა იყოს დამზადებული. ასეთია, მაგალითად, შავპრიალა ჭურჭლის ყური (სავ. № 3—61/166), რომლის მსგავსი ფლინისტური ხანის შავლაკიან ჭურჭელზეც გვხვდება და წითელლაკიანზეც. ესაა ბრტყელგანვიკვეთიანი, გვერდებში მოხვეული ყური, რომელიც პორიზონტალურადაა ხოლმე მიძერწილი ღრმა ჯამის აკეცილ პირთან.

ადგილობრივი ნაწარმია ჯამის ძირის ნატეხი (სავ. № 3—62/322), ქუსლიანი, ვაშლილი, წითლად გამომწვარი, მსხვილმარცვლოვანი, მინარევებიანი თიხისა, ქუსლი რგოლისებური აქვს, დაბრტყელებული. ძირზე გარედან ამოკაწრულია ურთიერთგადამკვეთი ოთხი ხაზი, რომელიც ქუსლში მოქცეულ წრეს რვა თანაბარ ნაწილად ჰყოფს. ჭურჭელი აღმოჩნდა მერვე და მეცხრე კვადრატებს შორის, ალიზის ნაშალის ფენაში, მიწის ზედაპირიდან 0,60 მ სიღრმეზე. აღმოჩენის ადგილის მიხედვით იგი ძვ. წ. I საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. თავისებურად გამოიყურება ერთი ჭურჭლის ძირის ნატეხი (სავ. № 3—62/323) მოწითალო-მორუხოდ გამომწვარი, მინარევებიანი თიხისა, რომელსაც შერჩენილი აქვს ორი შვერილი (სადგარი). ამგვარი შვერილი ალბათ სამი უნდა ჰქონოდა: შიდა ზედაპირი გაპრიალებული ჰქონია. ზედაპირზე ერთი ირგვლივი ღარი შემოუყვება. ეს ჭურჭელიც პირველი საუკუნის ფენაში აღმოჩნდა და ასევე უნდა დათარიღდეს. აღსანიშნავია დასახელებული ჭურჭლის თიხის მსგავსება ი. წ. ყაიფრის თიხის ამფორების თიხასთან. ეს კიდევ ერთი საბუთია ამ ამფორების ადგილობრივობისა.

კერამიკული ნაწარმიდან უსათუოდ უნდა აღინიშნოს მეშვიდე კვადრატის მეხუთე ბარისპირზე პირამიდული საწაფის აღმოჩენა (სავ. № 3—62/23). ეს ჭერჭერობით ერთადერთი შემთხვევაა მეექვსე უბანზე საწაფის აღმოჩენისა. საწაფის სიმაღლე 8,5 სმ-ია, ძირის ფართობი $5 \times 5,2$ სმ. თიხის ერთი კვირისტა-ვიც აღმოჩნდა, თავწაჭრილი კონუსისებური, ამოღარული ურთიერთგადაწყვეთი საზებით შემკული (სავ. № 3—61/183).

კერამიკული ნაწარმი განსაკუთრებით უხვადაა წარმოდგენილი კრამიტების სახით, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, აქ თითქმის მთელ ფართობზე აღიზის დაშლილი და გადაქცეული კედლის ქვეშ კრამიტის ჩაქცეული და ჩამტვრეული სახურავი გვხვდება. ესაა ვანისათვის ჩვეულებრივი ტიპის კრამიტი, კალიბტურებიცა და სოლენებიც, მათგან მხოლოდ სოლენების ზომები ვიცით, რადგან ზოგიერთი მათგანი თითქმის მთელი გადარჩენილა. მათი ზომებია: დაახლოებით $59-60 \times 48,5$ სმ. სისქე 3—2,5 სმ. აკეცილი გვერდის სიმაღლე 5—4 სმ. ეს კრამიტი ბრტყელი, გვერდაკეცილი; ერთი ბოლოსაკენ დაშვებულგვერდიანი, საერთო ზომებითაც ჰგავს სინოპურ კრამიტს¹⁶, თუმცა ვანის კრამიტი ადგილობრივია, ამაზე მიუთითებს თიხა (ვანში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება სინოპური კრამიტის ნატეხებიც) და ის თავისებური ნიშნები, რომელიც, როგორც ჩანს, ყველა კრამიტს ჰქონია. ელინისტური ხანის კრამიტისათვის დამახასიათებელია დამლა¹⁷, ვანურ კრამიტზე კი თავისებური ნიშნებია, ისინი გამოყვანილია ნედლ კრამიტზე გამოწვამდე. ბევრი ნიშანი ბერძნულ ასოებს მოგვაგონებს. ზოგი კი თითის ნაკვდევია — სამი თითა, ზოგჯერ მეტისაც. მსგავსი ნიშნები არ გვხვდება შავიზღვისპირეთის ელინისტური ხანის მასალებში (სურ. 76).

ვანის კრამიტების ნიშნებს ემსგავსება მცხეთაში აღმოჩენილი ნიშნები. თუმცა სრული დამთხვევა აქაც არა გვაქვს. ისინი ზოგადად, საერთო ხასიათით ჰგვანან ერთმანეთს. ორივე ამოკაწრულია წვეტიანი იარაღით გამოუწვავ კრამიტზე და ორივე მარტივია, მაგრამ მცხეთის ანტიკურ კრამიტზე, როგორც ამას ა. აფაქიძე აღნიშნავს¹⁸, ნიშნები უმთავრესად ღარიან კრამიტზე გვხვდება და იშვიათად ბრტყელზე. ვანში კი ორივე სახის კრამიტზე გვხვდება და ჭერჭერობით არ ყოფილა შემთხვევა, რომ მთლიან კრამიტზე ნიშანი არ ყოფილიყოს. ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, ეს ნიშნები ვერ ჩაითვლება ხელოსანთა, ან სახელოსნოს ნიშნებად, ამისათვის ისინიშეტად მრავალფეროვანია და ძალიან მარტივი, მისი აზრით ეს ნიშნები პირობითი აღნიშვნებია შემკვეთლებისა და მათთვის დამზადებული კრამიტის რაოდენობისა¹⁹.

მექვსე უბანზე მოპოვებულ კრამიტებზე სულ თხუთმეტამდე სხვადასხვა ნიშანი გვაქვს (სურ. 76). აქედან უმრავლესობა ვანის სხვა უბნებზე მოპოვებულ კრამიტებზეც შეგვხვედრია, თითო-ოროლა კი აქამდე უცნობი იყო. ამ ნიშნების დანიშნულებისა და რაობის გადაწყვეტა ჭერჭერობით არ ხერხდება, მაგრამ, ჩვენის აზრით, მართლაც არ შეიძლება ისინი სახელოსნოს ნიშნებად მივიჩნიოთ,

¹⁶ В. Ф. Гайдукевич. Строительные керамические материалы Боспора, Боспорская черепица, Известия ГАИМК, 109.

¹⁷ Б. Н. Граков. Эпиграфические документы царского черепичного завода в Пантыкапее.

¹⁸ ა. აფაქიძე. სამშენებლო კერამიკის წარმოების საკითხისათვის ანტიკური ხანის ქართლის სამეფოში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვეთი II, თბილისი, 1959, გვ. 130

¹⁹ О. Лордкипанидзе. Ремесленное производство и торговля в Мухета в I—III вв. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 65, გვ. 37, 122.

მაშინ უნდა დაეუშვათ, რომ ერთი ნაგებობის გადასახურად სულ ცოტა 15 სხვა-დასხვა სახელოსნოს კრამიტი გამოუყენებიათ, რაც ძნელი წარმოსადგენია. შესაძლოა ისინი ცალკე ხელოსნების ნიშნები იყოს და ისეთ საწარმოსთან გვეჭონდეს საქმე. სადაც 15 და იქნებ მეტი ხელოსანიც მუშაობდა კრამიტის დამზადებაზე და თითოეული თავის ნიშანს ადებდა კრამიტს, რათა არ შეშლოდა მის მიერ დამზადებული კრამიტის რაოდენობა. რასაკვირველია, ამ საკითხს, ისევე როგორც კრამიტის დამზადებასთან დაკავშირებულ მრავალ სხვა საკითხსაც, სპეციალური შესწავლა უნდა. ვანში საამისოდ უკვე საქამო მასალა დაგროვდა.

VI უბნის არქეოლოგიურ მასალაში ყურადღებას იქცევს ხელსაფქვაელების აღმოჩენა, ხოლო 1961 წელს ამავე უბანზე, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, ზეთის გამოსახდელი წისქვილი აღმოჩნდა. მსგავსი ხელსაწყო არაა ცნობილი დღემდე, არც საქართველოში და არც ჩრდილო შავი ზღვისპირეთში, სამაგიეროდ ამგვარი წისქვილი კარგადაა ცნობილი იტალიაში, ნეაპოლის მუზეუმში დაცულია სტაბიაში აღმოჩენილი მსგავსი წისქვილი. ნაპოვნია ამგვარი წისქვილი ბოსკორეალეშიც²⁰. ეს ხელსაწყო მოხსენებული აქვს ჯერ კიდევ კატონს, მ. სერგეენკოს აღწერილი აქვს ის წისქვილი, რომელსაც კატონი ჰგულისხმობს²¹. ეს აღწერა სწორედ მეექვსე უბანზე აღმოჩენილ წისქვილს უდგება (სურ. 33). ამგვარი წისქვილი ჩვეულებრივ ორქვიანია, ვანისას ერთი ქვა აქვს. წისქვილი იხმარება ზეთის ხილისაგან კურკების გამოსარჩევად და მის მოსამზადებლად ზეთის გამოსხისათვის. ექსპედიციამ გათხარა ის ადგილი, სადაც ეს წისქვილი იყო აღმოჩენილი. ალიზის კედლის ნანგრევები მას ზედ დასცემია, ეს კედელი კი ძვ. წ. I ს-შია დანგრეული, წისქვილი, როგორც ცნობილია, ზმარებაში შემოდის ელინისტური ხანის დასასრულს. წყლის წისქვილის გამოგონებას წინ უსწრებდა ვანის წისქვილის შავაჯის ხელსაწყოები. ეს წისქვილი ამ დროს, შეიძლება ითქვას, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა იყო და ის მიუწვდომელი არ ყოფილა ვანის ანტიკური ხანის ქალაქისათვის. ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა კოლხეთის ამ ქალაქის დაწინაურებულობისა.

გაცილებით უფრო პრიმიტიულია ამავე უბანზე და ქრონოლოგიურად იმავე ფენაში აღმოჩენილი ხელსაფქვაეები. ეს ხელსაფქვაეები, ენეოლითის ხანიდან მოყოლებული, ანტიკურ სამყაროშიც ბევრგან ინახავს თავს²².

მეექვსე უბანზე გვხვდება მცირე ზომის ნატეხები ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ხელის წისქვილისა, რომელიც შუაში ირიბად არის ჩაქრილი, გვეგმაში კი სწორკუთხედიან²³, ქვედა ქვა ასეთ წისქვილსაც ბრტყელი აქვს, სწორკუთხა.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას მეექვსე უბანზე აღმოჩენილ მონეტებზეც: აქ საპა წლის განმავლობაში სულ საპი მონეტა აღმოჩნდა. ერთი მათგანი 1961

²⁰ A. Drachmann. Ancient Oil Mills and Presses, 1932. იხ. აგრეთვე G. Dalman. Arbeit und Sitte in Palastina, 1939.

²¹ Марк Порция Катон. Земледелие, перевод и комментарии Е. Сергеева, М. 1950, გვ. 154 და შემდეგ.

ვანის საზეთე წისქვილი გამოაქვეყნა ლ. მოლოდინმა, იხ. მისი ქართული ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1963, ტაბ: XX3.

²² В. Д. Блаватский. Земледелие в античных государствах Северного Причерноморья, Москва, 1955.

²³ В. Д. Блаватский, დასახ. ნაშრომი, გვ. 139, სურ. 61.

წელს, მეოთხე კვადრატში, ზედაპირიდან 40 სმ სიღრმეზეა ნაპოვნი. იგი ძალზე დაზიანებული და ქანვისაგან შეკუმულია, მაგრამ მაინც შესაძლებელი გახდა მასში ძვ. წ. I საუკუნის მითრიდატეს სახელით მოჭრილი ამისოს მონეტის გამოცნობა²⁴. მონეტა სპილენძისაა. ამ მონეტის აღმოჩენის რამდენიმე შემთხვევა გვაქვს ვანში.

მეორე მონეტა 1962 წელს აღმოჩნდა ალიზის კედლის ნანგრევების ქვეშ. ეს მშვენივრად შენახული ვერცხლის მონეტაა, კაპადოციის მეფის არიობარხანესისა, რომელიც ძვ. წ. 96—63 წწ. მეფობდა, მონეტის ავერსზე გამოსახულია მამაკაცის პროფილი, რევერსზე ათინა პალადა, რომელსაც ხელზე გამარჯვების ქალღმერთი ნიკე აზის, ამ მონეტის აღმოჩენა საქართველოში ერთდღერთი შემთხვევაა. ეს აღმოჩენა იმითაცაა საინტერესო, რომ მონეტა ზუსტად თარიღდება და იძლევა ალიზისკედლებიანი ნაგებობის დანგრევის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვარს.

ამგვარად VI უბანში, მიუხედავად აქ გათხრილი ფართობის სიმცირისა, მეტნაკლებად სრული წარმოდგენა მოგვცა აქ არსებული დასახლების ცხოვრებაზე დროის საკმაოდ ხანგრძლივ მონაკვეთში. აქ ქრონოლოგიურად განსხვავებული ექვსი ფენა გამოიყო.

უძველესი დასახლება ამ ადგილისა ეკუთვნის წინანტიკურ ხანას (ძვ. წ. VIII — VII სს), ეს ის ფენაა, რომელიც დაუზიანებია მდიდრულ სამარხს. II ქრონოლოგიური ფენა მდიდრული სამარხითაა წარმოდგენილი — ძვ. წ. V ს. III ფენა — ძვ. წ. IV—III სს—წარმოდგენილია თლილი ქვისაგან ნაგები კედლის ფრავმენტითა და სათანადო არქეოლოგიური მასალით (დამათარიღებლად აქ უმთავრესად შავლაკიანი კერამიკაა). მომდევნო ხანისაა რუსტებიანი კედელი (ძვ. წ. III—II საუკუნეები), რომელსაც I საუკუნეში დანგრეული ალიზის კედლებიანი და კრამიტით გადახურული ნაგებობა მოსდევს. ამის შემდეგ აქ ცხოვრება შეწყვეტილი ჩანს ვიდრე შუაფეოდალურ ხანამდე. ხოლო ამ უკანასკნელი ხანისა ქვევრის პირის ნატეხი, ღოქის ნატეხები და მინის სამაჯურის ნატეხი გვაქვს. ამით მთავრდება VI უბანზე სტრატეგრაფიული კრილი. თითოეული ამ ფენის არსებობა, თუმცა ზოგი მათგანი მეტისმეტად მწირადაა წარმოდგენილი, არავითარ ექვს არ იწვევს.

Н. В. ХОШТАРИА, Р. В. ПУТУРИДЗЕ, А. М. ЧКОНИЯ

ИТОГИ АРХЕОЛОГИЧЕСКИХ РАБОТ, ПРОВЕДЕННЫХ В 1961—1963 ГГ. СЕВЕРО-ВОСТОЧНОЙ ЧАСТИ ВАНСКОГО ГОРОДИЩА

Резюме

В 1961 году вместе с работами на участках, где велись раскопки и в предыдущие годы, экспедиции удалось начать работы и на приусадебном участке С. Л. Ахвледиани (на ген. плане пл. 107—108). Да этого работы здесь ограничивались лишь небольшими разведочными шурфами и поверхностными наблюдениями.

Раскопками 1961—63 гг. обнаружены (рис. 33—76), как и на других участках работ экспедиции, следы различных этапов античного

²⁴ მონეტები განსაზღვრა ნუმიზმატმა გ. ლუნდუამ.

периода (VI—I вв до н. э.), остатки оборонительных стен и других зданий, в большом количестве крупная черепица от обрушивавшегося перекрытия, каменные ядра для баллисты, керамика и др. Под стеной I в. до н. э. было обнаружено древнее погребальное сооружение, перекрытое культурными остатками промежуточных эпох. (рис. 35). Для погребения (№ 6) в скале была вырезана прямоугольная камера на глубине около 1,5 м. со сторонами длиной более 3 м. По-видимому, погребение имело деревянное перекрытие от которого сохранились крупные железные гвозди. В погребении была захоронена молодая женщина со множеством вещей (рис. 37—65). Большинство украшений было из золота, в том числе и отделанные цветной пастой, стеклянной массой и цветными камнями, разделенными золотыми перегородками. Особенно обращают на себя внимание золотая диадема витая с расширяющимися плоскими концами на которых выгравированы в два ряда изображения борьбы трех зверей, четыре пары серег, четыре браслета с вогнутыми спинками и скульптурными изображениями голов животных у концов, четыре перстня с овальными щитками и др.

Помимо золотых украшений и золотой пилы в погребении найдены сосуды из серебра и бронзы, а также бронзовое зеркало и пять стеклянных сосудов, вероятно содержавшие когда то благовония.

Изучение инвентаря погребения приводит нас к датировке его V в. до н. э. К тому же времени относятся вероятно два других погребения (№ 7—8), найденных здесь же, но разграбленных еще в древности.

На участке встречаются и остатки средневековой керамики и стекла, но в незначительном количестве. В I в. до н. э. как весь город так и этот участок был основательно разрушен и сожжен врагами.

8. ლორთქიფანიძე

ვანის ნაქალაქარის I უბანზე 1961—1963 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები

1961—1962 წწ. მცირე მოცულობის საძიებო გათხრები ჩატარდა „ახვლედიანთ გორაზე“, მისადგომი გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე. შესასწავლ ობიექტს, რომელიც VI უბნის №№ 6—8 კვადრატებიდან 31 მეტრით დასავლეთით, გზის პირას მდებარეობდა, პირობით I საძიებო თხრილი ეწოდა. გორაკის ფერდის ამ ნაწილში, ბუნებრივ კრილში ჩანდა რიყის მრგვალი ქვები, ქვათლილები და კრამიტის ნატეხები (სურ. 77). ძიების ძირითადი დანიშნულება იყო გაგვერკვია — არსებობდა თუ არა ახვლედიანთ გორაზე მისადგომი ეს გზა ძველადაც, ანტიკურ ეპოქაში. ერთი შეხედვით გზა გვიანდელი ჩანს, რადგან სიმონ ახვლედიანის ეზოდან დაწყებული აღნიშნული გორის თავამდე, 0,5 კმ-ის მანძილზე მას ჩაუჭრია კულტურული ფენები¹. არ არის გამორიცხული ის გარემოებაც, რომ ძველი გზა შედარებით ვიწრო იყო, დროდადრო მისი გაფართოებისას კი დაზიანდა კულტურული ფენები².

გზის დასავლეთ კრილში შევისწავლეთ დაახლოებით 10 კვადრატული მეტრი ფართობი. ამ შედარებით მცირე ტერიტორიაზე, 3,5 მ-ის სიღრმეზე, აღმოჩნდა 30 კარგად დამუშავებული ქვათლილი, ოცამდე ნატეხი თეთრი ფერის ბრტყელი, გათლილი ქვა (არქიტექტურული დეტალები?) და მრავალრიცხოვანი რიყის მრგვალი ქვები. ნანგრევები დაფარული იყო თიხანარევი მიწის ფენით, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავდა კრამიტის, ქვევრების, ამფორების, სუფრისა და სამზარეულო კერამიკის ნატეხებს. გარდა ამისა, აქ აღმოჩნდა: შავლაკიანი და წითელლაკიანი კერამიკის მცირე ფრაგმენტები; საქსოვი დაზვის საწაფები. ერთ-ერთ მათგანს ძირზე გამოწვეამდე გამოსახული აქვს სოლარული ნიშანი; ქვევრის ნატეხისაგან დამზადებული კვირისტავი³ (სურ. 78,ა); ნაქალა-

1 ნ. ს. შტარია, არქეოლოგიური გათხრები უანში 1947 წელს. მიმოხილველი I, თბილისი, 1949, გვ. 300.

2 მართლაც 1966 წელს I საძიებო თხრილიდან 10 მ-ის ჩრდილოეთით გზის გაფართოებასთან დაკავშირებული სამუშაოების შემდეგ ექსპედიციამ აღმოაჩინა კარიბჭე და რიყის ქვით მოკირწყვლილი ძველი გზის ნაწილი, რამაც საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა. ანტიკურ ხანაშიც აქ გადიოდა გზა, განსხვავება მხოლოდ დონეებშია.

3 მ. კუფტინი არ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ დაბლაგომში აღმოჩენილი ასეთი კვირისტავეები ბევრის სათამაშოს ფუნქციასაც ასრულებდნენ. Б. А. К у ф т и н. М а т е р и а л ы к а р х е о л о г и и К о л х и д ы, II, Т б и л и ს ი, 1950, გვ. 111. ჭურჭლის გამტრევეებისაგან დამზადებულ კვირისტავეები აღმოჩენილია ზ ა მ ე ს კ ი ე ს ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ი ს ე ლ ი ნ ის ტ რ ი ხ ა ნ ა ს ფ ე ნ ე შ ი და ს ს ე. Н. И. П о г р е б о в а. Позднекифское городище на Нижнем Днепре, МИА, 64, 1953, გვ. 156.

ქარის სხვა კულტურული ფენებისაგან განსხვავებით საძიებო თხრილმა მოგვცა საკმაოდ მრავალფეროვანი სამკაულიც: ბრინჯაოს გვერდჩაჭრილი, ზედაპირწიბოიანი ზარაკი, რომელიც ძვ. წ. IV—II სს. ფართოდ ჩანს გავრცელებულ მთელს კოლხეთში⁴; აგრეთვე ბრინჯაოს გრეხილტანიანი, ბოლოკავიანი საყისრე რკალის ნატეხი, ბრინჯაოს ზურგჩაზნეკილი სამაჯურის ნატეხი, ბოლოში ცხოველასტილიზებული გამოახლებებით (ძვ. წ. III—II —სს დაბლაგომის სამაჯურების IV ტიპი)⁵, მოზაიკური მძივი, საინტერესოა წვრილფენა საქონლის, შესაძლოა გარეული ინდივიდის მარჯვენა კიდურის ქუსლის ძეღისაგან დამზადებული (ბუნებრივი მსგავსების გამოყენებით) ცხოველის თავის (ხბო?) გამოსახულება. თვალბის ადგილას გამკოლი ნახერცია და როგორც ჩანს, მან ყელზე ჩამოკიდებულს ატარებდნენ ავგაროზის სახით. ასეთი ავგაროზები არა ჩანს უცხო საქართველოაათვის, რინი ცნობილია სამთავროდან და სოხუმის მთის ძვ. წ. IV—III სს-ით დათარიღებული ერთ-ერთი სამარხული კომპლექსიდან⁶. აქ აღწერილი სამკაულები კოლხეთის ძვ. წ. IV—III სს. ქვევრსამარხების დამახასიათებელ ინვენტარს შეადგენენ.

კოლხეთის ანტიკური ხანის მიწათმოქმედების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქვათილებთან აღმოჩენილ რკინის, სახნისის მსგავს იარაღს (სურ. 75). იგი ნაკლები ჩანს, მომტვრეული აქვს პირა და თავის ნაწილი, ისი სიგრძეა 12 სმ, აქედან 6 სმ გვერდებგახსნილ მასრას უკირავს, რომლითაც ის ხის ტარზე მაგრდებოდა. მასრის დიამეტრი 1,5 სმ-ია, საქართველოს ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ, განსაკუთრებით სენათ-ხევისურეთმა შემოგვინახა პატარა სახნისები⁷, მაგრამ ფორმით ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან ვანურ იარაღისაგან. ჩვენი ნივთი გარკვეულ გენეტიურ კავშირს ამჟღავნებს კვიპროსზე და ლატენის კულტურაში საკმაოდ გავრცელებულ ბრინჯაოს თოხებთან, ასეთივე ფორმის რკინის თოხები გვხვდება ბერძნულ-რომაულ სამყაროში⁸. ანალოგიური, ოღონდ ბევრად მოზრდილი რკინის თოხები აღმოჩენილია სტანიცა პაშკოვსკოეში და კრასნოდარში. სპეციალურ ლიტერატურაში მათ მეოტურ თოხებს უწოდებენ⁹. საინტერესოა, რომ მ. პოკროვსკი ამ „მეოტურ თოხებს“ სახნისის ტიპის იარაღს უწოდებდა¹⁰. იმის გამო, რომ კოლხური ანტიკური ხანის თოხები საესებით იმეორებენ ბრინჯაოს თოხების ფორმებს, ვანურ ახლად აღმოჩენილ იარაღს მათ კატეგორიას ვერ მივაკუთვნებთ. ჩვენში ეთნოგრაფიულად დადასტურებულია ანალოგიური კონსტრუქციის მქონე სასოფლო-სამეურნეო

⁴ Б. А. Купфтин. Материалы к археологии Колхиды, II, გვ. 26.

⁵ საქართველოს არქეოლოგია, ა. აფაქიძის საერთო რედაქციით. თბილისი, 1959, გვ. 237

⁶ ალ. კალანდაძის ცნობით მსგავსი ავგაროზები გვხვდება სამთავროს სამაროვანის ელენსტური ხანის მასალებში. იხ. ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954, გვ. 98.

⁷ იხ. სპ. ს. ჩანაშის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული გამოფენა (სტეფლი 13, სახეული იარაღები) და ეთნოგრაფიული ფონდი 20—34/2.

⁸ W. M. Flinders Petrie. Tools and Weapons, London, 1917, გვ. 19, 20, სურ. XIX, XX.

⁹ В. Д. Блаватский. Земледелие в античных государствах Северного Причерноморья, М, 1953, გვ. 109, სურ. 36.

¹⁰ М. Покровский. Городища и могильники Среднего Приднепровья. Труды КПИ, VI, вып. 1. Краснодар, 1937, გვ. 8.

იარაღები: შალთა და ქარჩი¹¹, რომელთა ერთ-ერთ სახეობას უნდა წარმოადგენდეს I საძიებო თხრილში აღმოჩენილი საგანიც.

თხრილში აღმოჩენილი ქვათლილების ნაწილი რუსტიანია. ერთი კვადრი, რომლის სიგრძე 90 სმ იყო, ხოლო სიგანე 45 სმ, ორი მხრიდან იყო რუსტირებული და აშკარად რაღაც მონუმენტური შენობის კუთხის ქვას წარმოადგენდა. ერთ-ერთ კვადრზე აღმოჩნდა ხელოსნის ნიშანი, ბერძნული ასომთავრული T-ს მსგავსი. ყველა ქვათლილს კარგად ეტყობა ვიწროპირიანი იარაღით დამუშავების კვალი. ქვის ჯიშში ადგილობრივია და ეკუთვნის ტრაქიტული ტუფის ნაირსახეობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ პატარა ფართობზე სამშენებლო ქვები მრავლად აღმოჩნდა, თვით შენობის საძირკველს აქ ვერ მივაგენით. ჩანს, შენობა მალლა მდგარა და მისი დანგრევის შემდეგ ჩამოცვენილა ქვები ფერდობის ძირში. როდის დაინგრა აღნიშნული ნაგებობა, ძნელი გადასაწყვეტია. კვადრების თანხლები მასალა ძვ. წ. III—I სს. თარიღდება. შენობას, რომელიც დიდი ზომისა ყოფილა, ორჯერ განუცდია ნგრევა. ამის გამოა, რომ ქვათლილების ნაწილი თხრილში ზედაპირიდან 3,5 მ-ის დონეზეა, ნაწილი კი 80 სმ-ის სიღრმეზე. პირველად შენობის ნანგრევები ჩამოცვენილა დაახლოებით თანამედროვე გზის დონეზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ანტიკურ ხანაში ეს გზა თუ არა, მისი დონე მაინც არსებულა. მომავალი კვლევა-ძიება I საძიებო თხრილში შენობის ძირითადი ნაშთების აღმოჩენის მიმართულებით უნდა წარიმართოს.

I უბანი ახვლედიანთა გორის თავზე მდებარეობს. 1947 წლიდან მოყოლებული, აქ გამოვლენილია ძვ. წ. IV—I სს დათარიღებული ქვის რამოდენიმე ნაგებობის, მათ შორის მონუმენტური ტაძრის ნანგრევები და სამარხები. ჩვენი მიზანი იყო აღნიშნულ უბანზე კულტურული ფენების სტრატოგრაფიის დადგენა. I უბნის 88—90, 101—103 კვადრატებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები ძირითადად აგრძელებდა ნინო ხოშტარიას მიერ წინა წლებში № 87 და 100 კვადრატებში დაწყებულ სამუშაოს¹². ეს კვადრატები შესასწავლ ფართობს ჩრდილოეთიდან ეკვროდნენ და მისი დონიდან 0,60 მ სიღრმეზე მდებარეობდნენ. შესწავლილ იქნა 87—100 კვადრატებში დარჩენილი შავი ფერის მძლავრი კულტურული ფენა, რომელიც შავფიგურიანი და წითელფიგურიანი კერამიკის ფრაგმენტების მეშვეობით ძვ. წ. V—IV სს. იყო დათარიღებული (სურ. 79, 1—5). ეს ფენა, რომელიც თირზე იდო, დიდი რაოდენობით შეიცავდა ადრეული ტიპის კოლხური ქვევრებისა და სხვა ჭურჭლის ცეცხლისაგან დეფორმირებულ ფრაგმენტებს, დამწვარი თიხისა და დანახშირებული ხის ნაშთებს. ეს ფენა ვრძელდებოდა 90, 103 კვადრატებში. აქ ქარბობდა კარგად დიტკეპნილი წითლად გამომწვარი თიხა, კარგად ჩანდა დანახშირებული ძელების კვალი. ამ ფენაში ბატქაში და მოზრდილი რკინის ლურსმნებიც გვხვდებოდა, რაც ხის ნაგებობის არსებობაზე მიგვითითებდა.

ხის ნაგებობა ხანძარს უმსხვერპლია. საინტერესოა, რომ თირსაც ძლიერა ცეცხლის მოქმედების კვალი ამჩნევია. 98, 101 კვადრატების ჩრდილო ნაწილ-

¹¹ გ. ქალაბაძე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXII, თბილისი, 1961, გვ. 206, ტაბ. VI, 1, 2, 1.

¹² Н. В. Хоштариа. Археологические исследования в Вани и Ванском районе в 1952 году. Мასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. II, 1959, გვ. 152.

ში, შავი ფერის კულტურულ ფენაში, აღმოჩნდა ბრინჯაოს მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტები. ეს ჭურჭელი მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების გამოაღებულ, ზოგიერთი ნაწილი კი გადაძვანია. ჭურჭელი შემკული ყოფილა ოვისებური მეჩხერი ორნამენტით, პალმეტებისმაგვარი მცენარეული სახეებით და ხეიბიანი ბალთებით (სურ. 80, 2). ჭურჭლის ფორმის დადგენა ძნელდება. მრგვალგანივიკეთიანი, ჰორიზონტული ყურის ნაწილის მიხედვით შესაძლოა ის ბრინჯაოს ჰიდრიის ტიპის ჭურჭელს ეკუთვნოდეს, რომლის მსგავსი არც თუ ისე იშვიათად გვხვდება ძვ. წ. V—IV სს. სამხრეთ იტალიურ ბრინჯაოს ნაწარმში¹³. ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტების აღმოჩენის ადგილიდან 70 სმ-ის დაშორებით, 101 კვადრატის ჩრდილოეთ ნაწილში, იმავე შავი ფერის ნახშირნარევი კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ბრინჯაოს გედის 5 სმ სიგრძისა და 2 სმ სიგანის მეტად ნატიფი გამოსახულება (სურ. 80). გედს ზურგზე გამკოლი, სოლისებური მანკვლი აქვს, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი რაღაც საგანთან იყო დაკავშირებული. არაა გამორიცხული, რომ იგი ბრინჯაოს ჭურჭლის ნაწილს წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ ფრინველების სკულპტურებით შემკობილი საწესო ჭურჭელი საკმაოდ კარგადაა ცნობილი¹⁴.

გედი რეალისტურადაა გადმოცემული და ასახავს წყალში ცურვის მომენტს. ყელი მაღალი და სწორი აქვს, ფეხები ტანზეა მიკრული. ოსტატურადაა გამოყვანილი ბუმბულის თვითეული ხაზი¹⁵. სამწუხაროდ ჯერ ცეცხლის მოქმედებას და მერე ავთვისებიან პატინას მისი ზედაპირი საგრძობლად დაუზიანებია. გედის ასეთი გამოსახულება ჩვენში პირველად აღმოჩნდა, თუმცა ანტიკური ხანის კოლხეთში გვხვდება გედის თავებით შემკული სამაჯურები, კისრის რკალები, რომლებიც ადგილობრივ ნაწარმს წარმოადგენდნენ. ბ. კუფტინის მიხედვით აქ ბერძნულ „ხენიკისის“ სტილის გავლენასთან უნდა გვეკონდეს საქმი¹⁶. მართლაც ეს მოტივი ფართოდ ჩანს გავრცელებული ბერძნულ სამყაროში, ელინთა წარმოდგენით გედი ღვთაებრივი ფრინველია, რომელიც ყოვლის შემძლე ღმერთების აღტაცებასაც კი იწვევს¹⁷. ამიტომაც რომ ბერძნები მთელ რიგ საგნებს, სკამებს, გემის ქიმებს, კოვზებს, ჩაჩხებს, საწურებს, თასებსა და სხვა, გედის თავებით ამკობდნენ¹⁸. ცნობილია ომის ღმერთის — არესის გამოსახულება, რომელსაც გედისთავიანი მუზარადი ახურავს¹⁹.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ელინურ სამყაროში წინაანტიკურ ხანაში არსებობდა წყლის ფრინველთა სკულპტურული გამოსახვის ტრადი-

¹³ G. Richter. A Fourth—century Bronze Hydria in New-York. AJA, 1946, № 3 (July), გვ. 361—367, მისივე, Greek Art. London, 1960, გვ. 199.

¹⁴ G. Richter. Greek Art, London, 1960, გვ. 199 და შემდ. სურ. 98. 99.

¹⁵ აქ გამოსახული უნდა იყოს ე. წ. მყვირალა გედი, სისინა ვედებისაგან განსხვავებით, ამ სახეობას სწორი, მაღალი ყელი ახასიათებს. იხ. Г. П. Деметьев. Н. А. Гладков и др. Птицы СССР. М., 1952, ტ. IV, გვ. 255—256, 27 5.

¹⁶ Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, I, Тбилиси, 1949, გვ. 51.

¹⁷ დაჯერლებით გედების სიმბოლიკაზე ბერძნულ ხელოვნებაში ბ. კუფტინის აღნიშნული ნაშრომის კარდა იხ. Стефани. Объяснения вещей, найденных близ Керчи в 1862 г., ОАК за 1863 г. გვ. 47 და შემდ.

¹⁸ Б. А. Фармаковский. Архаический период на Юге России. МАР, 34, Пб., 1914, გვ. 31, სურ. 2, 3.

¹⁹ E. Babelon. Catalogue des bronzes antiques de la bibliotheque nationale. Paris 1895, გვ. 83—84.

ცია, რაც გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებთან იყო დაკავშირებული²⁰. დორო-ტი კენტი აღწერს ბრინჯაოს ფურცლებისაგან დამზადებულ ძვ. წ. VII ს. დათარიღებულ ბატის სკულპტურულ გამოსახულებას, რომელსაც, ვანური გედით, ზურგზე ყუნწისმაგვარი შვერილი აქვს²¹. ბატის თუ გედის ვერცხლის სკულპტურული გამოსახულება ცნობილია ამოდარის განძიდანაც. ო. დალტონი, ცხენის, ცხვრის, თევზისა და განძის სხვა სკულპტურებს ძვ. წ. VI—IV სს. ათარიღებს²². საერთოდ წყლის ფრინველთა გამოსახულებას მზის კულტს უკავშირებენ და მათი გამოსახულებები უკვე ენეოლითში ჩნდება²³. როგორც ჩანს, ამიტომ იქცა იგი საბერძნეთში აპოლონის საღმრთო ფრინველად. მითების მიხედვით გედები აპოლონის ეტლში არიან შებმული, მათ აქვთ წინათგრძნობის ღვთიური ძალა და გედის სიმღერა სხვა არაფერია, თუ არა აიღის სამყაროსთან მოახლოებით გამოწვეული სიხარული²⁴.

აქედან გამომდინარე, ვანში აღმოჩენილი გედის ქანდაკება თავდაპირველად შესაძლოა აპოლონთან დაკავშირებულ საკულტო საგანს წარმოადგენდა; რა დანიშნულება ჰქონდა მას ვანში, ჭერჭერობით ამაზე პასუხის გაცემა გვიჭირს.

მე-100 კვადრატის სამხრეთ ნაწილში, ნახშირნარევე შავ კულტურულ ფენაში აღმოჩნდა შავფიგურული, მომცრო კურკლის პროფილირებული ფრაგმენტი (სურ. 79ს). ამავე კვადრატის დასავლეთ ნაწილში აღწერილი კულტურული ფენა გადადიოდა ე. წ. „კერამიკული თიხის“, ადგილობრივ ტერმინოლოგიით „კინკიპურის“ ლოკალურ ფენაში, რომლის წარმოშობა ჩვენთვის უცნობია²⁵.

103 კვადრატში II რეპერიდან — 0,53 სმ სიმაღლეზე აღმოჩნდა შავზედაპირიანი რელიეფურქედებიანი ქვევრის ნაწილი, რომელიც დედაქანში, თირში ამოჭილ ბუდეში იქდა. გადარჩენილა მხოლოდ ქვევრის ქვედა ნაწილი. ქვევრი ყელამდე არ ყოფილა მიწაში ჩაფლული. მისი შუა ნაწილის დონეზე შემოინახა თანადროული ქვაფენილის ნაშთი, რომელზედაც დამზობილი ჯამი იდო. ქვევრი შავზედაპირიანია, რელიეფური ქედებით დაფარული აშკარად წინაელნისტურ ხანას განეკუთვნება. შესაძლოა ქვევრი ხის წნულიან ბათქაშით შეღესილ გადამწვარ ნაგებობას უკავშირდებოდეს. 101 კვადრატის 2 მ-ით დაშორებით, დასავლეთით 88—89 კვადრატების საზღვარზე, დასავლეთი უღლის თანამედროვე ზედაპირიდან 1,8 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა თირში ამოღებული ორმო (d = 10 სმ, h = 15 სმ), რომელიც სვეტის ძირის სამაგრი შეიძლება ყოფილიყო. თითქმის თირის ზედაპირზე აღმოჩნდა შავლაკიანი კურკლის 6 მმ სისქის ფრაგმენტი, რომელიც ორი მხრიდან იყო დაფარული კარგი ხა-

²⁰ Dorothy Kent Hill. Other Geometric Objects in Baltimore, AJA, № 1, Jan., 1956, გვ. 36.

²¹ D. Kent Hill. დასახ. ნაშრომი, გვ. 37, XXXVII, 2, 3,

²² O. M. Dalton. The Treasure of the Oxus, London, 1926, გვ. 7, ტაბ. VI. 15.

²³ H. Kühn. Rock Pictures of Europe. London, 1961, გვ. 91, 92, სურ. 68.

²⁴ Plat. Phaed., 85 a—b. პარათალია, გედი აპოლონის საღმრთო ფრინველად ითვლება, მაგრამ ზოგჯერ თვით ზევსი არ თაყობდა მიელო მისი იფრი, მითების მიხედვით ზევსი გედად იქცა და ისე ეწვია ლუდას. ამიტომ ითვლებიან დოსკურები გედის კვერცხიდან გამოჩეკილებად.

²⁵ შეადარე Н. В. Хоштарна. Ванская археологическая экспедиция 1962 года (Предварительный отчет). სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წლის საველ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბილისი, 1963, გვ. 105.

რისხის მბზინავი ლაკით. კეცი ღია ვარდისფერია, წმინდად განლექილი, ყოველგვარი მინარევების გარეშე. ამ მონაცემების მიხედვით იგი ატიკური წარმოშობისა უნდა იყოს. იმავე შავი ფერის ნახშირნარევე კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ადრეული კოლხური ქვევრის ფრაგმენტი და რკინის ნივთები. განსაკუთრებით საინტერესოა 60 სმ სიგრძის ბრტყელი, შუა ნაწილში ამოზნექილი რკინის საგანი, რომელიც, შესაძლოა, ურდულის შესაყარ პირს წარმოადგენდა.

88—91, 101—104 კვადრატებში აღწერილი შავი კულტურული ფენა მეტნაკლები სიმძლავრით იყო წარმოდგენილი. ამ ფენისთვის დამახასიათებელია თიხის ბათქაშის ნაშთები, მეორე მხარეს ხის წნულეების ანაბეჭდით. კვლავ მრავლადაა სიმბურვალისაგან დაგრებილი, წიდად ქცეული კერამიკის, მათ შორის კოლხური ქვევრების ფრაგმენტები. კარგად ჩანს, რომ მძლავრ ხანძარს დიდხანს უბოძებია და მთლიანად შთაუნთქავს საკმაოდ მოზრდილი ხის ნაგებობა (სურ. 81, 2) ამ ნაგებობასთან დაკავშირებულმა შვემა კულტურულმა ფენამ მოგვცა ღარიანი, კუთხის ფიგურული კრამიტის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი. ვფიქრობთ, რომ ეს ნაგებობა არ იყო კრამიტით გადახურული. აღნიშნული ფრაგმენტი კი სხვა შენობის უნდა იყოს. ხის ნაგებობის ნაშთების ქვეშ აღმოჩნდა თირში ამოჭრილი მოგრძო, ოთხკუთხა ორმოები, რომლებსაც, შესაძლოა, სამეურნეო დანიშნულება ჰქონდათ (სურ. 82, 2).

89—88, 77—76 კვადრატების საზღვარზე თირი უფრო დაბლაა განლაგებული და შავი კულტურული ფენა ბევრად მძლავრი ჩანს. საანგარიშო წლებში შევისწავლეთ მისი მხოლოდ ზედა ნაწილი. აქ აღმოჩნდა პატარა, მასრიანი სამწახნავა ისრისპირი, რომელიც ბერძნულ-სკვითური ანალოგიებით ძვ. წ. V—IV სს. თარიღდება, აგრეთვე რკინის რამოდენიმე საჯავშნე ფირფიტა, წითელფიგურიანი ჭურჭლის ფრაგმენტი, ატიკური შავლაკიანი სკიფოსის ძირი (სურ. 79, 2). მათთან ერთად ბევრად დიდი რაოდენობით გვხვდებოდა ადგილობრივი კერამიკის, ადრეული ტიპის კოლხური ქვევრებისა და სასმისების ნატეხები.

98 კვადრატის ამ ნიაღვრისგან გადარეცხილ ფენაში აღმოჩნდა 5 მთელი და 21 გატეხილი საჯავშნე რკინისა და ბრინჯაოს ფირფიტა, რაც, ნინო ხოშტარის აზრით, შესაძლოა დანგრეული სამარხის სიახლოვეზე მიუთითებდეს²⁶. ანალოგიური საჯავშნე ფირფიტები, მათ შორის ნახევარფაბრიკატები, აღმოჩენილია სკვითების, კამენსკოვის ნაქალაქარზე და ძვ. წ. V ს-ით თარიღდება²⁷. თავდაცვის ეს საშუალება გვხვდება ასურეთში, ირანსა და ურარტუში²⁸, უფრო მოგვიანებით კი ვრცელდება ბერძნულ-რომაულ სამყაროშიც. გარდა ვანისა²⁹, მსგავსი ფირფიტებიანი ბექთარის ნაწილები ჩვენში ყერჯერობით არსად აღმოჩენილა. ვანის მონაპოვარი გვაძლევს საშუალებას კოლხეთში მძიმედ შეიარაღებული რაზმების არსებობა ვივარაუდოთ. აღწერილი კვადრატების გათხრის

²⁶ Н. В. Хоштарна. Ванская археологическая экспедиция 1962 г. სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წლის საეკლ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბილისი, 1963. მოხსენებათა მოკლე შინაარსები, გვ. 105.

²⁷ Б. Н. Граков. Каменское городище на Днепре. МИА, 36, გვ. 132.

²⁸ Б. Б. Плотровский. Кармир-Блур, III, Ереван, 1955, გვ. 32, 35, სურ. 24.

²⁹ ბრინჯაოს ფირფიტებისაგან შედგენილი ბეგთარი ენაში აღმოჩნდა ძვ. წ. III ს-ით დათარიღებულ კრემაციულ სამარხშიც. ჯავის პერანგები ძვ. წ. I ს. და ახ. წ. I საუკუნის მიჯნაზე ჩნდება ჩვენში (თავლონი, ჯღვეთი და სხვა).

შედგად თხრილის დასავლეთ ნაწილში შეიქმნა 15 მ-ის სიგრძისა და 1,5 მ სიმაღლის უღელი, რამაც მოგვცა მონაკვეთის შემდეგი სტრატეგრაფიული კრიოლი:

I. კორდოვანი და ჰუმუსნარევი მოშავო ფერის მიწის ზედა ფენა.

II. მოყვითალო თიხნარევი მიწის ფენა, ძალზე არეული, შეიცავდა სხვა-დასხვა პერიოდის მასალას, 20 სმ სისქისა.

III. ნახშიროვანი შრე, 10 სმ სისქისა. ალაგ-ალაგ დარღვეული.

IV. მოყვითალო თიხნარი მიწის ფენა, თითქმის სტერილური, ქვედა ჰორიზონტში შეიცავს ქვის კვადრების ნათალს, 60 სმ სისქისა.

V. შავი ფერის მდიდარი კულტურული ფენა.

VI. დედაქანი, თირი.

კორდოვანი და მისი მომდევნო ფენა ძალზე მდიდარი აღმოჩნდა კერამიკის ფრაგმენტებით. ძალზე ბევრი იყო კოლხური ქვევრებისა და ამფორების ნატეხები, კრამიტის ფრაგმენტები. ესოდენ დამახასიათებელი ვანის ნაქალაქარისათვის ალიზის კედლების ნაშალი აქ არსად არ დადასტურდა. იმპორტული კერამიკა წარმოდგენილია ძვ. წ. IV—III სს შველაკიანი სათევზე ლანგრის ძირით, ტალღისებური რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭლის გვერდით, პალმეტებით შემკული ქუსლრგოლიანი, შველაკიანი ჭამის ძირის ფრაგმენტით. ამავე ფენამ მოგვცა პერგამონული წარმოების ე. წ. ბარბოტინის ტექნიკით დამზადებული თასების ფრაგმენტები, რომლებიც ძვ. წ. II ს. თარიღდება³⁰ (სურ. 83₁₋₄, 6-7). ერთ ზეთანზე შერჩენილია სუროს ფოთლა³¹ და ნაყოფის რელიეფური გამოსახულება. ანალოგიური ჭურჭელი გვიანელინისტური ანტიკური სამყაროს ბევრ ადგილასაა აღმოჩენილი, ხოლო მათი დასამზადებელი ყალიბები მხოლოდ პერგამონიდანაა ცნობილი³¹. ასევე პერგამონის ნაწარმთა წრეში თავსდება კარგად გამომწვარი, მოწითალო ფერის თხელკედლიანი ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (სურ. 83₅). ღია მოწითალო ფერის ლაკით დაფარულია ჭურჭლის გამოსაჩენი ნაწილი. ქუსლის ფსკერი ლაკის ნალევნთებითაა მოფენილი. ფსკერი ცენტრში ოდნავ ამობურცულია, ქუსლის სიმაღლე 0,5 სმ-ია, დიამეტრი 6 სმ. ჩვენი დაკვირვებით იგი ახლოს უნდა იდგეს მცირე-აზიული კერამიკის ე. წ. „A“ ჯგუფთან, რომელიც ახ. წ. I ს-ით თარიღდება³². გარდა კერამიკისა, ამ ფენაში აღმოჩნდა 8 სმ სიგრძის, თავში გახვრეტილი, შავი ფერის სალესი ქვა, რომელსაც ქამარზე ჩამოკიდებულს თუ ატარებდნენ (სურ. 83₆).

აღმოჩენილი მასალის მიხედვითაც ჩანს, რომ ეს ფენები არეულია და მისი წარმოშობა ნაქალაქარის ცხოვრების რომელიმე გარკვეულ პერიოდს არ შეიქლება დავუკავშიროთ. გარდა ამისა, სტრატეგრაფიულმა კრილმაც გვიჩვენა, რომ აქ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს თხრილებიც ამოულიათ. ზო-

³⁰ F. Courby. Les vases grecs à reliefs. Paris. 1922, გვ. 382; В. Ф. Гайдукевич. Раскопки Тиритакы Мирмекия в 1946—1952 гг. МИА 85, 1958, გვ. 200, სურ. 53; მისი-33, Мирмекий, II, 1959, გვ. 67, სურ. 82.

³¹ T. Knipowitsch. Untersuchungen zur Keramik römischer Zeit aus den Griechenstädten an der Nordküste des Schwarzen Meers I. Die Keramik römischer Zeit aus Olbia in der Sammlung der Ermitage. Materialien zur römisch-germanischen Keramik, IV, Fr—M, 1929, გვ. 27, სურ. 5, 1, 3.

³² T. Knipowitsch. დასა. (აზრობი, გვ. 29.

გიერთ მათგანს ნახშიროვანი შრეც დაურღვევია. ეს უკანასკნელი ყველაგან ერთი სიმძლავრისა არ ყოფილა და, როგორც ჩანს, ხის რაღაც ნაგებობის დაწვის შედეგად არის წარმოშობილი. აქ აღმოჩნდა რკინის ნაჭედი, განიკვეთში ოთხკუთხა, ქუდიანი ლურსმნები, კერამიკის რამოდენიმე უსახო ნატეხი. ამ შრის დათარიღება არ მოხერხდა, სავარაუდებელია, რომ მისი წარმოშობა ძვ. წ. III—II სს შემდგომ პერიოდს უკავშირდება. როგორც ჩანს, ახვლედიანების გორის თავის ეს ნაწილი გარკვეულ დროს, კერძოდ ელინისტურ ხანაში, თავისუფალ სიერკეს წარმოადგენდა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ აქ წარმოიშვა თითქმის სტერილური თიხანარევი ფენა, რომელიც ნიაღვრის დალექილსაც ჰგავს. მის ქვედა ჰორიზონტში 10 სმ სისქის ლორღნარევი კვადრების ნათალია, რომელიც სამშენებლო ნაგავს მოგვაგონებს, თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ იგი შეგვიძლია დავუკავშიროთ აქ ელინისტურ ხანაში ინტენსიურად მიმდინარე მშენებლობას. ყოველ შემთხვევაში ქვის ჭიშები ერთნაირი ჩანს. ამ ფენის შემდეგ მოდიოდა შავი ფერის მძლავრი კულტურული ფენა, ხის ნაგებობის ნაშთით, ძვ. წ. V—IV სს, რომელზედაც დასაწყისში გვექნადა საუბარი და რომლის შესწავლა საანგარიშო წლებში არ დასრულებულა.

1962—1963 წწ. გაითხარა კვადრატები 45—47 და 65, რომლებიც მდებარეობენ ახვლედიანების გორის თავზე, მის აღმოსავლეთ კიდეში, ყორღანული სამარხის ქვის ყორესა და ხევს შორის. კულტურული ფენები აქ შემდეგნაირად იყო განლაგებული (სურ. 84):

I ალიზის ნაგებობის კედლების ნაშალი, ამორფული მასა ალაგ-ალაგ ნახშირის ზოლების კვალით. საშუალოდ მისი სისქე 45 სმ უდრიდა.

II ალიზის ნაშალი იდო კრამიტყრილზე, ეს უკანასკნელი კი ნახშიროვან შრეზე. რომელიც ხის კონსტრუქციების დაწვის შედეგადაა წარმოშობილი.

III მოყვითალო თიხნარის კულტურული ფენა. ამ ფენის შუა ნაწილში მდებარეობს ქვის ნაგებობის ნაშთი (ე. წ. შენობა IV). მას ჩაუტყრია შავი ფერის ქვედა კულტურული ფენა. ამ ფენის სისქე 35 სმ-ია.

IV შავი ფერის მძლავრი კულტურული ფენა (დედაქანი აქაც თირია).

პირველი ორი ფენა ქალაქის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდს უკავშირდება. იგი კარგად დათარიღდა ქალაქ ამისოს ზარათხანაში მოჭრილი ორი სპილენძის მონეტით (ტეტრაბალები), რომლებზედაც გამოსახულია ეგვიპტის დეა ნიკე, ხელში დაფნის რტო რომ უკავია. მონეტა მითრიდატე VI ეგპატორის ხანას განეკუთვნება და დათარიღებულია ძვ. წ. 105—90 წლებით³³. საყურადღებოა, რომ IV ნაგებობა ძვ. წ. I ს. ჩანდა ზედაპირზე და ალიზის კედლის ნანგრევებით დაიფარა. მიწის მაშინდელ სასიარულო დონეს წარმოადგენდა მოყვითალო თიხნარის ზედა ჰორიზონტი. ამ ფენამ მოგვცა კრამიტებისა და ქვევრების ნატეხები, ელინისტური წითელლაკიანი კერამიკის ფრაგმენტები, ადგილობრივი ამფორების ქუსლები. სამზარეულო და სუფრის კურორტის ნატეხები.

ადგილობრივი ამფორებისა და ქვევრების მრავალრიცხოვან ნატეხებთან ერთად ამ ფენაში აღმოჩნდა ძვ. წ. II—I სს. იმპორტული კერამიკის ნატეხე-

³³ F. Imhoof-Blumer. Die Kupferprägung des Mitridatischen Reiches und andere Münzen des Pontos und Paphlagoniens. NZ, V (1913) გვ. 169, 177, № 40—46, ტაბ. II, № 3—6.

ბი (სურ. 85). მათ შორის აღსანიშნავია თხელკედლიანი, ე. წ. ელინისტური წითელი ლაკით დაფარული, დაღარულზედაპირიანი, მრგვალქუსლიანი თასის ქვედა ნაწილი. ქუსლისა და ტანის შეერთებასთან ეტეობა ხელოსნის თითების ანაბეჭდი, რაც ეგზომ დამახასიათებელი ჩანს გვიანელინისტური ხანის, მათ შორის პერგამონული ნაწარმისათვისაც³⁴. ყურადღებას იპყრობს ასევე პერგამონული წითელლაკიანი მრგვალქუსლიანი ჯამის ქვედა ნაწილი, რომელზედაც გამოწვევის შემდეგ ამოკაწრულია მამაკაცის სახელი Φ:ν:ι:ς³⁵ მესამე კანკლედობის ნათესაობით ბრუნვაში ΦINTIAOC. აღსანიშნავია რომ ბერძნულ ონომასტიკონში ეს სახელი საკმაოდ იშვიათად გვხვდება, საკმარისია ითქვას, რომ იგი არ არის დადასტურებული არც ჩრდილო შავიზღვისპირეთისა და არც მცირე აზიის ბერძნულ სახელებში³⁶. არ გვხვდება ეს სახელი ატიკაშიც³⁷.

არაა გამორიცხული, რომ გრაფიტო პატრონის ვინაობას აღნიშნავს. დასახელებულ ფენაში აღმოჩნდა რამდენიმე ადგილობრივი ჭურჭლის ძირი, რომლებსაც გამოწვეამდე ჯერისმავგვარი ნიშანი ჰქონდათ. საყურადღებოა, რომ ასეთივე ნიშანი დადასტურებული იქნა აქვე აღმოჩენილ მოყვითალოკეციან, წითელლაკიანი ლანჯრის ფსკერზე. იგი ამოკაწრულია გამოწვევის შემდეგ და ცხადია, ხელოსნის ნიშნების რიგს ვერ დავუკავშირებთ. თეთრანგობიან დერგისმავგვარი ჭურჭლის ერთ-ერთ ფრაგმენტზე, წითელი საღებავით გამოყვანილია ორი ბერძნული ასო—ΔΙ ეს ნიშანი ტევადობის მაჩვენებელი ჩანს და 14 ლიტრს უნდა უდრიდეს³⁸.

გარდა აღწერილისა, იმპორტული კერამიკა წარმოდგენილია ე. წ. თითისტარისებური საბალზამეებით, რომლებიც მრავალრიცხოვანი ანალოგიებით ძვ. წ. II—I სს. თარიღდებიან³⁹ (სურ. 85).

მოყვითალო, თიხანარევა მიწის ფენამ, რომელიც ნაგებობა IV აშენების პერიოდს უკავშირდება, შედარებით დიდი რაოდენობით მოგვცა კოლხური ქვევრებისა და ამფორების ნატეხები. ყურადღებას იპყრობს ტერაკოტული გამოსახულებების ფრაგმენტებიც. საინტერესოა სქელკედლიანი, ბრტყელძირა ჯამის მოზრდილი ნატეხები (სურ. 86), რომლის ანალოგიებს ვხვდავთ ბოსფორის ძვ. წ. III ს. მასალებში⁴⁰. თუ ქვევრების ნატეხების რაოდენობით ვიმსჯელებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ IV ნაგებობასთან რამოდენიმე ქვევრი

³⁴ T. Knipowitsch. დასახ. ნაშრომი გვ. 23.

³⁵ W. Papé. Wörterbuch der griechischen Eigennamen nebst eine über die Bildung Personennamen. Er. 1845, გვ. 406.

³⁶ L. Zgurta. Die Personennamen, Praha, 1955 მსოფ. Kleinasiatische Personennamen, Praha, 1964.

³⁷ A. Raubitschek. Notes on Attic Prosopography, Hesperia, XI 1942, გვ. 304—313.

³⁸ შეად. Е. И. Левин. Материалы Ольвинского темениса. Ольвия, М. Л., 1964, გვ. 134, სურ. 2. V. Санагаче. Importul amforelor stampilate la Istria. Buc., 1957, გვ. 430.

³⁹ J. K. Anderson. Excavations on the Kofina Ridge, Chios. The Annual of the British School at Athens, XLIX, გვ. 66, 74, ტაბ. 18.

⁴⁰ Т. Н. Книпович. Опыт характеристики городища у станицы Елисаветовской, по находкам экспедиции Государственной академии истории материальной культуры в 1926 г. Сб., История Боспора, гв. 156, სურ. 44.

იყო დაკავშირებული (ექსპედიციის ხელმძღვანელის ნინო ხოშტარიას ცნობით, გასულ წლებში აქვე გაითხარა ერთი ქვევერი). იმპორტული კერამიკიდან ყურადღებას იპყრობს შავ და ნაცრისფერლაკიანი ბრტყელიძირა, დიდი ლანგრების ნატეხები. ერთ-ერთ მათგანზე შერჩენილია მოზრდილი პალმეტის ანაბეჭედი (სურ. 85). ცალკეული ნატეხებისაგან აღდგა იმპორტული, ვიწროყელიანი, დაწყვილებულყურიანი დოქის ზედა ნახევარი. ქურქელი დაფარულია ვარდისფერი ანკობით და გარშემო შემოუყვება ერთმანეთის პარალელური წითელი ხაზების ზოლები (სურ. 85). ასეთი ქურქელი ელინისტური ხანის ანტიკურ სამყაროში საკმაოდ გავრცელებული ჩანს. იმპორტულ ამფორებს შორის გამოიყოფა როდოსული ძვ. წ. III—II სს. ამფორების ყურებისა და გვერდების ფრაგმენტები.

IV ნაგებობის მხოლოდ ჩრდილოეთი კედელი შემონახა მთლიანად, მისი სიგრძე 2,50 მ-ია. დანარჩენი კედლების სამხრეთი ნაწილები დანგრეულია (სურ. 87). გეგმაში ნაგებობას წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა უნდა ჰქონოდა. აღმოსავლეთი კედლის დარჩენილი სიგრძე 1,50 მ-ია. კედლების მაქსიმალური სიმაღლე ყველგან ერთნაირია — საშუალოდ 1, 10 სმ. და შედგება ქვათილების ოთხი რიგისაგან. კვადრები კარგადაა გათლილი. წყობა მშრალია, კვადრების ზომებია $50 \times 23 \times 24$; $38 \times 24 \times 27,50 \times 24,5$ სმ. კვადრების ნაწილი დასავლეთ საფასადო მხარეზე და ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ნაწილში დაბალი რუსტითაა დამუშავებული, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს იყო ნაგებობის საფასადო მხარე (სურ. 87.—88). ნაგებობის შიდა ფართობი, ე. ი. სივრცე კედლებს შორის, ამოვსებულია ბრტყელი ნაგლეჯი ქვებით, რომლებიც სწორ ზედაპირს ქმნიან. ეს ქვები უწესრიგოდ ჩაყრილის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა და როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, თიხის ხსნართან ერთად იყო ამოყვანილი. ზოგიერთი თიხის ბრტყელი ქვა გაწითლებული იყო, რაც, შესაძლებელია, ცეცხლის მოქმედების კვალიც იყოს. აღმოსავლეთ კუთხესთან აღმოჩნდა შეუზედაპირიანი, ელინისტური ხანის ტანდაღარული კოლხური ქვევრის ქვედა ნაწილი, რომელიც IV ნაგებობასთან იყო დაკავშირებული და საკულტო დანიშნულება უნდა ჰქონოდა (ზედაზე!). საყურადღებოა, რომ ქვევრის ორმოს ამოდებისას ძვ. წ. V—IV სს შვიი კულტურული ფენა დაუზიანებიათ (სურ. 89, 1).

ზომებისა და კონსტრუქციის მიხედვით IV ნაგებობა არც საცხოვრებელ და არც საფორტიფიკაციო-სამეურნეო დანიშნულების შენობებს არ უკავშირდება. იგი უფრო საკულტო დანიშნულების ნაგებობაა, შესაძლოა საკურთხეველი⁴¹, ან სამსხვერპლო.

როგორც აღნიშნული გვექონდა, IV ნაგებობას ჩაუქრია ძვ. წ. V—IV სს შვიი კულტურული ფენა. ამ ნაგებობის საძირკველი, როგორც ეს დამახასიათებელია ვანის ნაქალაქარის ადრეელინისტური ხანის ქვის ნაგებობებისათვის, გადგმულია თირში. აღნიშნული ნაგებობა ისეთივე სამშენებლო ტექნიკით არის აშენებული, როგორც ნაქალაქარის ძვ. წ. III—II სს სხვა ძეგლები.

ქვედა შვიი ფერის კულტურული ფენა შედარებით კარგად შემონახა IV ნაგებობასა და ბრინჯაოს სარკოფაგიანი გორასამარხის ქვის ყორეს შორის.

⁴¹ ზეად. А. Н. Карасев. Могильник в Ольвинском темени, Ольвия, М. Л., 1954, зб. 74, 86, სურ. 47.

0 წერტილიდან ამ ფენის დონე 2,85 მ-ის სიღრმეზეა. 3,20 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ქვის წყობის ნაშთები (სურ. 89, 2), თირში ამოკრილი საბოძე ორი ორმო და რიყის ქვების გროვები. თირი აქ მოსწორებული აღმოჩნდა. ამ ფენაში ნაპოვნია შავზედაპირიანი, შედარებით თხელკედლიანი, რელიეფური ქედებით შემკული კოლხური ქვევრების ნატეხები, სავარცხლის ტექნიკით შესრულებული თხელ და სქელპირიანი დერგების პირ-ყელის ფრაგმენტები, კედებით შემკული მოზრდილი ჭურჭლების მრგვალ-და ოვალურგანიკვეთიანი ყურები, შვეულყელიანი და თხელპირიანი დოქების ნატეხები, ყელის არეში რელიეფური წერტილებით შემკული, ძაბრისებურყელიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, ხელსაფეკვაები და სხვ. (სურ. 86, 2-4). დიდი რაოდენობით გვხვდებოდა შინაური ცხოველების, უპირატყაად მსხვილფეხა საქონლისა და ღორის ძვლები⁴².

I უბნის ფენებზე დაკვირვება გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ახვლედიანების გორის თავზე აღრეანტიკურ, წინაელნისტურ ხანაში დასახლება არსებობს. ელინისტურ ხანაში კი ძირითადად საკულტო ადგილს წარმოადგენს, სადაც ტაძრების „წმინდა“ მიწაზე წარჩინებულებიც იმარხებიან. ნ. ხომტარიას აზრით, ძვ. წ. II—I სს. აქ ფართო მასშტაბის საფორტიფიკაციო სამუშაოები წარმოებდა. ძვ. წ. I ს. ქალაქი დარბეული და გადამწვარი.

საანგარიშო წლებში საძიებო სამუშაოები წარმოებდა ნაქალაქარის შემოგარენში და სანახებში, ადგილ კეკინარში. სოფელ ცხესულორის ერთ-ერთი უბანში, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან ეკერის ახვლედიანების გორას, დადასტურდა ანტიკური ხანის მძლავრი კულტურული ფენის არსებობა. ახვლედიანების გორას და აღნიშნულ ადგილს გამოჰყოფს კაპრანიას ღელე და შემდეგ მშრალი ხევი. ახვლედიანების გორას გაბატონებული ადგილ-მდებარეობა უქირავს და აქედან ძნელი მძადგომია. კეკინარაში და კაპრანიას ნაპირებზე შეგროვებულია კოლხური ადრეული ტიპის ქვევრების ნატეხები, ბრინჯაოს საკისრე რკალის ნაწილი, კვირისტაეები, ყურმილიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, სინოპური აფორის მასიური ქუსლის ძირები. გადმოცემით ამ ადგილებში მიწის დამუშავების დროს არაერთხელ აღმოჩენილა ქვევრსამარხები. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გადმოგვეცეს ძვ. წ. III—II სს. სინოპური აფორა (სურ. 90), (პირყელი და ყურები მოუხერხიათ) და რაღაც ფრინველის თუ ცხოველის გამოსახულება. აღსანიშნავია, რომ თიხისაგან დამზადებული ცხოველების სტილიზებული გამოსახულებანი კეკინარაში წინათაც აღმოჩენილა (სურ. 91, 1, 4, 5). ასეთი სკულპტურები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს სხვა ნამოსახლარებშიც⁴³. ცხოველთა ამ სკულპტურულ გამოსახულებებს საკულტო დანიშნულება უნდა ჰქონოდა, შესაძლოა ისინი ტოტემებს წარმოადგენდნენ.

კეკინარაში გამოვლენილმა კულტურულმა ფენებმა კიდევ ერთხელ დადასტურეს ნინო ხომტარიას მიერ გამოთქმული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კეკინარა ანტიკურ ხანაში ქალაქის ერთ-ერთ უბანს წარმოად-

⁴² განსახლვრულია ბიოლოგიური მუცნიერებათა კანდიდატის ა. ციციშვილის მიერ.

⁴³ Н. В. Хоштарна. Археологические исследования Урени. Мასალები... I, თბილისი, 1955, გვ. 43. ანტიკურ კოლხეთში ცხოველთა გამოსახულებებით ამკობდნენ ჭურჭლის ყურებსაც. ასეთი ჭურჭლის ყური შემთხვევით იქნა ნაპოვნი ნაქალაქარის I უბანზე (სურ. 91, 3).

გენლა. აქ ახვლედიანების გორისაგან განსხვავებით, მოსახლეობის საშუალო და დაბალი ფენების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ.

Г. А. ТОРДКИПАНИДЗЕ

ОСНОВНЫЕ ИТОГИ АРХЕОЛОГИЧЕСКИХ РАСКОПОК I УЧАСТКА ВАНСКОГО ГОРОДИЩА 1961—1963 гг.

Резюме

В 1962 году небольшой разведочный раскоп (5 м×5 м) был заложен в северной части т. н. «Ахвледианебис гора», в западной части проселочной дороги, где у склона холма был образован естественный стратиграфический разрез (рис. 77). Цель раскопа — выяснение важного вопроса — существовала ли дорога, на данном отрезке городища, и в античную эпоху. Раскопки показали, что уровень дороги в древности существовал. На эту поверхность сверху свалились квадры монументального здания, которое дважды подвергалось разрушению. Разнообразный археологический материал: фрагменты чернолаковой и краснолаковой керамики, местная разнообразная кухонная керамика, обломки пифосов и амфор, бронзовые украшения, пирамидальные грузила и черепица были датированы III—I вв. до н. э. Раскопки 1966 года окончательно подтвердили наши предположения о том, что эта дорога существовала и в древности. К северу от I разведочного раскопа была обнаружена часть древней дороги и развалины городских ворот.

В 1961—1962 гг. по поручению Н. В. Хоштариа продолжались археологические исследования на вершине «Ахвледианебис гора» — т. н. I участок городища, кв. № 88—90, 101—103 (генплан, площадь 192). Здесь был выявлен мощный, черного цвета культурный слой, связанный с ранним периодом истории городища. Большой интерес вызывают остатки деревянного сооружения, мазанки, на полу которого были открыты хозяйственные ямы (рис. 81). Слой дал также фрагменты чернофигурной и краснофигурной керамики, колхскую керамику V—IV вв. до н. э., остатки бронзового сосуда и небольшое скульптурное изображение лебедя (рис. 80).

У самого обрыва, в восточной части холма было раскопано небольшое каменное сооружение, по-видимому, культового назначения (рис. 87—88). Оно было построено в III в. до н. э. и просуществовало вплоть до середины I в. до н. э. Строителями был потревожен черный культурный слой V—IV вв. до н. э. В квадратах 45—47, 65 (генплан, площадь 220) было засвидетельствовано три культурных слоя. Верхний образовался во время разрушения города и представляет собой развалины сырцовых стен с сильными следами пожара, рухнувшую черепичную крышу. Дневную поверхность того времени представляет желтоватый культурный слой, который относится к эллинистической эпохе (рис. 84).

Здесь были обнаружены многочисленные обломки черепицы со знаками мастеров, импортная керамика, местная разнообразная посуда и монеты эпохи Митридата VI (медные тетрахилки г. Амиса, 105—90 гг. до н. э.).

Археологические раскопки данного участка еще не завершены.

არქეოლოგიური გათხრები ვანში 1966 წელს

1966 წლის ზაფხულში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ განაახლა არქეოლოგიური სამუშაოები ვანში.

ჯერ კიდევ 1966 წლის გაზაფხულზე (მარტის ბოლო, აპრილის დასაწყისი) ინსტიტუტმა ვანში მიავლინა არქეოლოგთა ჯგუფი ახვლედიანების გორაზე სასოფლო გზის გაფართოებასთან დაკავშირებული აღმოჩენების შესასწავლად და მცირე გათხრების საწარმოებლად. თხრა წარმოებდა სამ ადგილას, გზის გასწვრივ, სკოლის მოწაფეების დახმარებით, საზოგადოებრივ საწყისებზე. გამოიჩინა, რომ ბულდოზერით გზის გაფართოებისას დაუზიანებიათ ნაგებობის კედლები. გზის ყველაზე უფრო ვიწრო ადგილას მთლიანად მოუწერევიათ თლილი ქვისაგან ნაგები ექვსი მეტრი სიგრძის კედელი, მის ზევით მიწიდან ამოუვლიათ ქვის სტელა — დიდი, სწორკუთხა კვადრი, რომელშიაც ტყვიით ჩამაგრებული ყოფილა ოთხკუთხა განივკვეთიანი სვეტი (სტელის ზომები ასეთია: ფუძის სიგრძე — 74 სმ, სიგანე — 61 სმ, სიმაღლე 40 სმ. სვეტის სიგრძე — 31 სმ, სიგანე — 21 სმ, გადარჩენილი სიმაღლე — 21 სმ.). სვეტს თავი წატეხილი აქვს (სურ. 92). გზის ვიწრო ადგილას გამოვლინდა რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩისა თუ ეზოს ფრაგმენტი (სურ. 93), გაიქრა საცდელი თხრილი გზის ნაპირას, გამოშლდა მონგრეული კედლები, ყველაფერი ეს აუცილებელს ხდიდა ნაქალაქარზე არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის განახლებას.

საანგარიშო წლის არქეოლოგიური კამპანია მიზნად ისახავდა ანტიკური ხანის ნაქალაქარის საზღვრების დადგენას, საფორტიფიკაციო და საერთოდ არქიტექტურული ნაგებობების გამოვლინებას და მით ძველი ქალაქის დაგეგმარების შესწავლას, ახალი არქეოლოგიური მასალების მოპოვებას, როგორც ამ ქალაქის და საერთოდ ძველი კოლხეთის, ასევე მის ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობის ისტორიისათვის.

ექსპედიციამ ისარგებლა ძველი, 1957 წელს შედგენილი ტოპოგრაფიული გეგმით და „ახვლედიანების გორის“ სახელწოდებით ცნობილი მთელი ფართობი დაპყრო ცალკეულ უბნებად და ნაკვეთებად. ამგვარი დაყოფა მიზნად ისახავდა პირველ რიგში, არქეოლოგიურად საინტერესო ტერიტორიის მთლიანად აღრიცხვას და მასზე ყველა ცნობილი არქეოლოგიური აღმოჩენის ადგილის შესაძლებლად ზუსტად დატანას, რაც უნდა გახდეს საფუძველი შემდგომი გეომაზომიერი არქეოლოგიური გათხრებისა და შესაბამისად, „ნაქალაქარის“ გენერალური გეგმისა.

შეიქმნა არქეოლოგიურად სანტერესო ტერიტორია „ახვლედიანების გორისა“ (დაახლოებით 12 ჰა ფართობის ოდენობისა) ტოპოგრაფიული გეგმის მიხედვით დაყოფილია ნაკვეთებად, თითოეული ნაკვეთის ფართობი 20X20 მ-ია და იგი არაბული ციფრებითა აღნიშნული, ასეთი ნაკვეთი ხდება, ძირითადად, ჭვენიანის საფუძველი მოპავალი თხრილსა, აპიტომაც თითოეული ნაკვეთი თავისთავად კვადრატებადაა დაყოფილი. კვადრატების ზომა 2X2 მ-ია, ხოლო ნაკვეთის შიგნით ბაღის შესაქმნელად გამოყენებულია არაბული ციფრებისა და ლათინური ასოების მონაცვლეობა. თითოეული ნაკვეთი, ხოლო ამ უკანასკნელის შიგნით კვადრატების ბაღე ყველგან ზუსტად ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენაა დამხრობილი. არქეოლოგიურად შესასწავლი ფართობის ამგვარი დაყოფა საშუალებას გვაძლევს აღმოჩინილი ძეგლების მეტნაკლებად ზუსტი ფიქსაციისა, აგრეთვე აღრე ჩატარებული გათხრებისა და ამჟამად მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი ძეგლების ურთიერთთან დაკავშირებისა და საერთოდ არქეოლოგიური ძეგლებისა და ცალკეული აღმოჩენების ფიქსაციის უზრუნველყოფისა!

არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე ექსპედიციამ აღრიცხა და მოახდინა ფიქსაცია სასოფლო გზის გაფართოებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებისა და გაშთვლებული კულტურული ფენებისა (იხ. გენერალური გეგმა). გზის გაფართოებისას ნათლად გამოჩნდა, რომ კულტურული ფენები გასდევს გზის კვირში ახვლედიანების გორის მთელ შუა ტერასას.

საგანგებოდაა აღსანიშნავი 106 ნაკვეთზე კლდოვან თირში ჩაპრილი 1,40 მ სიღრმის ორმო, რომელიც შეიცავს ალიზის აგურებისა, ჩაქცეული კრამიტის, დანახშირებული ხის ძელებისა და კერამიკის ფრაგმენტებს. ალიზის აგურებს შორის აღმოჩნდა მასიური, დაახლოებით 57 სმ სიგრძისა და 1,8 სმ დიამეტრის მქონე ისარი. ისარს აქვს სამფრთიანი სტაბილიზატორი (7,6 სმ სიგრძისა). ამგვარი ისრები ელინისტურ ხანაში იყო გავრცელებული და მათ საგანგებო ისარსატყორცნი მანქანებით ისროდნენ². როგორც ჩანს, ეს ისარი თავდამსხმელი მტრის მიერაა ნასროლი... აღნიშნულ ნაკვეთზე ამჟამად აღმოვლილბრავი კოლმეურნის ყანაა. მისი დათვალიერებისას აკრფილბა საკმაოდ მრავალფეროვანი ზედაპირული კერამიკული მასალა: კოლმური ქვევრებისა და ამფორების, სინოპური ამფორებისა და კრამიტების ფრაგმენტები; თიხის-პირამიდული საწაფი.

არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა ძირითადად სამ ნაკვეთზე. უპირველეს ანოცანად ექსპედიციამ 1966 წლის გაზაფხულზე გამოვლენილი ქვაფენილის შესწავლა დაიასა მიზნად. ქვაფენილი 69-ე ნაკვეთის 18-10 კვადრატებშია

¹ იქნაში არქეოლოგიური გათხრების თავდაპირველ და აღრიცხულ ეტაპზე უზნების შემოფარგვლა მათათვე პირობით იყო და იგი ძირითადად კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებს შეესატყვისებოდა. არქეოლოგიური სამუშაოების გაფართოებასთან ერთად იქმნებოდა გარკვეული უზერზლობანი და სიმწლეები ცალკეული აღმოჩენების ფიქსაციისათვის: უძველესი ხანის ნაგებობანი და განსაკუთრებით კულტურული ფენის გავრცელება, ბუნებრივია, არ ემახვევა თანამედროვე დანახლებათა ფარგლებს და ამას გარდა იმავე მიზეზებით უზნების საზღვრებიც იმათათვე არ იყო ზუსტად განსაზღვრული: ახლა კი ერთიანი ბაღის შექმნა და მთელი ფართობის შედარებით წვრილ ნაკვეთებად დაყოფა, ჩვენი აზრით, ფიქსაციის უზრუნველ საშუალებას სძლევს.

² А. В. Болдырев, Я. М. Боровский. Техника военного дела и мореходства, сб. Эллинистическая техника (псд. ред. А. Толстого) М. Л., 1948, გვ. 281 სტრ. 101, გვ. 227, სტრ. 104.

მოქცეული. ქვაფენილის შეზღვრვაში გაწმენდა ჩრდილოეთის მიმართულებით დაიწყო.

ქვაფენილის დასაწყისიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, დაახლოებით 22 მ-ის დაცილებით, ზღის პრილაში ქვაფენილის დონეზე მოჩანდა ქვის ბრტყელი ფილები (51, 1₁₀), რომელნიც ვარაუდით შესაძლოა იმავე ქვაფენილთან ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი. ამიტომაც გადაწყვედა შესასწავლი ფართობის იმგვარად შემოფარგვლა, რომ თხრილის ფარგლებში აღნიშნული ფილებიც მოქცეულიყო. ამრიგად გასათხრელად შემოფარგლული ფართობი მოექცა 51-ე და 69-ე ნაკვეთების დასავლეთ ნაწილში E და I ხაზებს შორის.

თხრილის მთელ ფართობზე დაახლოებით 20—25 სმ სისქის ჰუმუსირებულ შავ ფენას, რომელიც შეიცავდა დაშლილი ალიზის კედლებსა და ზოგჯერ კერამიკის ნატეხებსაც, მოსდევდა მოყვითალო ფერის თიხნარი მიწა. ეს ფენა მრავლად შეიცავდა დანგრეული ქვის კვლას ნაშთებს. ასე მაგ. თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (51, 610—110 კვადრატები) უკვე მიწის ზედაპირიდან 25 სმ სიღრმეზე თავი იჩინეს დანგრეული და გადმოვარდნილი კედლის ქვებმა (უპირატესად ეს იყო ქვიშაქვები და ცეცხლისაგან გაწითლებული თირის ქვათლილები). ისინი აღნიშნულ კვადრატებში მთელ ფერდობზე იყვნენ დაფენილი და კარგად ჩანდა, რომ ზემოდან გორაკის თხემიდან იყვნენ დაცურებული. სათანადო ფიქსაციის შეზღვევ ეს ქვები აიყარა და მათ ქვეშ ისეთსავე თიხნარ ფენაში კვლავ მრავლად გვხვდებოდა გადმონგრეული კედლების ცალკეული ქვათლილები, სხვადასხვა არქიტექტურული დეტალები, აგრეთვე, შედარებით იშვიათად. კრამიტისა და კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები. საგანგებოდაა აღსანიშნავი ამ ფენაში (51, 610 კვადრატები) აღმოჩენილი კირქვისაგან გამოკვეთილი 50 სმ სიმაღლის ჭურჭელი. ეს უკანასკნელი, ზუსტად შუაში გაკვეთილი ბერძნული ჰიდრიის მოყვანილობისაა. ზედა და ქვედა ბოლოებში მას ოთხკუთხა ჰორიზონტალური (1,2×5×5 სმ) ფოსოები აქვს ამოკვეთილი. როგორც ჩანს, ქვედა ფოსო საგანგებო საფუძველზე დასამაგრებლად იყო განკუთვნილი, ხოლო ზემოდან ამ ჭურჭელს კიდევ, ალბათ რაღაც მხატვრული დეტალი (პალმეტი?) ამკობდა. ჭურჭელი უკანა მხრიდან საყრდენ კედელზე უნდა ყოფილიყო საგანგებოდ დამაგრებული, რაზედაც მიუთითებს უკანა მხარეზე გამოკვეთილი საგანგებო ღრმა ფოსოები (სურ. 94—96). იქვე ნაპოვნია ქვის ბრტყელი ფილა (39×43 სმ.), რომელსაც ერთ მხარეს მომრგვალებული შვერილი აქვს შუაში ამოკვეთილი ფოსოთი (სურ. 95), ვფიქრობთ, შესაძლოა ეს ფილა ჩამწებული იყო კედელში და სწორედ მის მომრგვალებულ შვერილზე იყო დამაგრებული ჰიდრია.

თხრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (69, 63), იმავე თიხნარ ფენაში აღმოჩნდა წვრილმარცვლოვანი თეთრი მარმარილოსაგან გამოკვეთილი კარგად პროფილირებული კარნიზის სამი ფრაგმენტი (სურ. 98).

ყვითელი ფერის თიხნარ ფენაში კრამიტის ნატეხებთან ერთად (51, 110-110 კვადრატებში) გვხვდებოდა აგრეთვე, თუმცა შედარებით იშვიათად, კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებიც. აღსანიშნავია მცირეაზიული შავლაკიანი სათევსე ლანგრის ნატეხი³. აგრეთვე ფრაგმენტი ჩამის ქვედა ნაწილისა, რომელიც ვარაუდით შავი ფერის ლაკით, ხოლო შიგნიდან კი შავი და ყავისფერი ლაკითაა

3 ხველე № 3—66 : 67/1—3.

4 №№ 3—66 : 50.

დაფარული (კურკლის შუაგული შემკულია ყავისფერი ლაკით გამოყვანილი კონცენტრული სარტყლებით). ქუსლის ძირზე გარედან გრაფიტოა ამოკაწრული⁵. იქვე ნაპოვნია შავპრიალა ჭამისა და თასის ნატეხებიც.

69-ე ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იმავე ფენაში (გვ კვადრატ-) აღმოჩნდა შავლაკიანი, დაბალქუსლიანი კურკლის (კილიკის?) ძირი, რომელიც ნატყვიფრი ორნამენტითაა შემკული: შუაგულში კონცენტრულ წრეებში ჩასმულია ოვების გამოსახულება, რომელსაც გარს ერტყვიან პალმეტები. ეს უკანასკნელნი კლდეებშია ჩასმული. შემორჩენილია კლდეების ოთხი რიგი, ამასთან მესამე რიგი მეოთხისაგან წრიული ვიწრო ღარითაა გამოყოფილი (საფიქრებელია, რომ კლდეების რიგი გრძელდებოდა)⁶.

თიხნარი ფენის ალების შემდეგ მთელს ფართობზე თავი იჩინა დანგრეული ალიზის კედლების ნაშალისაგან წარმოქმნილია ფენამ, რომელიც ალიზ-აგურებსაც შეიცავდა. სავსებით აშკარა გახდა, რომ თიხნარი ფენა და იქ ნაპოვნი არქიტექტურული დეტალები 69-ე ნაკვეთზე არაა in situ და ისინი ზედა ტერასიდანაა გადმოვარდნილი.

„ალიზიანი“ ფენა 51 და 69-ე ნაკვეთებზე (H და I ხაზებს შორის) მეტნაკლები ინტენსივობით მთელს ფართობზეა გავრცელებული. განსაკუთრებით მძლავრად იყო ეს ფენა 69, გ4—h4 კვადრატებში (აქ ფენის სიმძლავრე თითქმის 1,80 მ-ს აღწევს), როგორც შემდგომში გამოიჩინა, „ალიზის“ ფენა უშუალოდ ებჯინება აქვე გამოვლენილი ნაგებობის სამხრეთ კედელს და როგორც ჩანს, აქედანვე იყო გადავარდნილი.

„ალიზიანი“ ფენის ალებისას 51, გ10—h10, i10 და 69, გ. 1—4, i 1—4 კვადრატებში თავი იჩინა ქვის ნაგებობის კონტურებმა, უფრო სწორად კედლების წყობის ზედა რიგმა, ამიტომაც გადაწყდა, რომ თავდაპირველად გამოვლენილი ნაგებობის მთლიანი კონტური და მის შემდგომ იქნებოდა შესწავლილი კულტურული ფენა ნაგებობის შიგნით და მის გარეთ.

ნაგებობის გარეთ კულტურული ფენა, ძირითადად, გადმონგრეული ალიზის კედლებისა და ჩაქცეული კრამიტის ფენას წარმოადგენდა. ამ ფენის ზედა ჰორიზონტები, როგორც წესი, მხოლოდ ცეცხლისაგან გამომწვარი, დაშლილი ალიზის შრეებს წარმოადგენდა, მხოლოდ სულ ქვემოთ უკვე უშუალოდ ქვაფენილის დონიდან დაახლოებით 15—20 სმ-ის სიმაღლეზე (ჭრილში) თავი იჩინა ოთხკუთხა ალიზის, ბრტყელი და ღარიანი კრამიტის ფრაგმენტებმა და, რაც განსაკუთრებითაა ამჯერად საინტერესო, რკინის ბრტყელმა, კუთხემოხრილმა სალტეებმა, რომლებიც სახურავის კრამიტის სამაგრებს უნდა წარმოადგენდეს (სურ. 100). ეს სალტეები დამზადებულია საშუალოდ 5—6 სმ სისქის რკინის ფირფიტისაგან. მათი საშუალო სიგრძე 20—22 სმ-ია, ხოლო მოხრილი ბოლოს სიგრძე 4—5 სმ და სიმაღლე 3—4 სმ. რკინის სალტეებს, როგორც წესი, ბოლოზე აქვს სამანქველ ნახვრეტები, ხოლო ზოგიერთს შემორჩენილი აქვს რკინისავე ლურსმანი, რომელიც, როგორც ჩანს, ხის კოჭებზე კრამიტის სამაგრების დასაქვდებლად იყო გამოყენებული. მთლიანად ნაპოვნია 30-ზე მეტი ასეთი რკინის სამაგრი „კავი“⁷.

5 გ—66 : 51.

6 № გ—66 : 77.

7 გ—66 : 47, 71, 143.

რამდენადაც სრულიად აშკარაა, რომ ეს „ალიზიანი“ ფენა უშუალოდ ქვაფენილზეა დაფენილი და ამდენად იგი ასახავს ნგრევის პროცესს და შეიცავს ცხოვრების სულ უკანასკნელი ეტაპის ამსახველ არქეოლოგიურ მასალებს, გადაწყვეტიტე მთელი ამ ფართობის პრეპარაცია. აღნიშნულ კვადრატებში (ნაგებობის სამხრეთით) ქვაფენილის გაყოლებაზე და უშუალოდ მის თავზე მრავლად ჩნდებოდა ალიზის გამომწვარი და გამოუწვავი აგურის ნატეხები. მთლიანი აგური შემორჩენილი არაა, მაგრამ ცალკეული ფრაგმენტების მიხედვით ჩანს, რომ მათი სისქე 7—9 სმ-ია.

აგურებს ქვემოთ და მათთან ერთად გვხვდებოდა დანახშირებული ხის ძელების ნაშთები და დამსხვრეული ღარიანი და ბრტყელი კრამიტები. ასე, რომ ამ უბანზე დასტურდება ნგრევისა და ძლიერი ხანძრის ისეთივე სურათი, როგორიც სხვა უბნებზე.

პრეპარაციის დროს აღნიშნულ კვადრატებში ქვაფენილის თავზე გვხვდებოდა კოლხური ამფორების ყელ-პირის⁸, კედლების, ყურისა და ძირის⁹ ფრაგმენტები, შავზედაპირიანი სამზარეულო კერამიკა (უპირატესად ქოთნები და კოჭობები)¹⁰, აგრეთვე წითელკეციანი დოქის ყელის ფრაგმენტები, რომელიც წითელი სარტყლებითაა შემკული¹¹, წითლად გაპრიალებული ჭამისა თუ ლანგრის მრგვალქუსლიანი ძირი¹² და შვეულკედლიანი ლანგრის ნატეხი¹³ და სხვა.

საერთო იერით მთელი ეს მასალა საეხებით ანალოგიურია იმ არქეოლოგიური მასალებისა, რომლებიც ვანის ნაქალაქარის ნგრევასთან და მისი ცხოვრების უკანასკნელ ეტაპთან დაკავშირებული კულტურული ფენებისთვის არის დამახასიათებელი.

„ალიზიანი“ ფენის აღებით გამოვლინდა რიყის ქვებით მოგებული ქვაფენილი, რომლის სიგრძე 18 მ-ია. (სურ. 93). სამხრეთ ნაწილში დაგებულია ბრტყელი (35×30) ფილები, გრძელდება თუ არა ქვაფენილი უფრო სამხრეთით, არ ჩანს: მის საყარაულებელ გაგრძელებაზე თანამედროვე გზაა გაკრილი. მაგრამ ფილები ისეა დაგებული, სრულად აშკარაა ქვაფენილი აქვე იწყებოდა. ქვაფენილს, როგორც ჩანს, აღმოსავლეთ კიდეზე (დასავლეთით იგი კლდოვან თირს ებჯინება) ახლდა ქვათლილებით ამოყვანილი ბორდიური. ეს უკანასკნელი შემორჩენილია 69, II—I კვადრატებში და აქ ქვაფენილის სიგანე 2,85 მეტრია (სურ. 101).

69, G კვადრატში გამოჩნდა რიყის ქვების ნაყარი, რომელიც საგანგებოდ ჩაყრილის შთაბეჭდილებას ტოვებდა (სურ. 102). შემოწმების მიზნით, W—O მიმართულებით წინასწარ გაკეთდა ჭრილი. აღმოჩნდა, რომ ქვაყრილი არეულია შავი ფერის კულტურულ ფენაში, რომელიც ჭრილში შეიცავდა კრამიტის, ალიზის აგურის, კერამიკის, საქონლის ძვლებისა და ნახშირის ფრაგმენტებს. აშკარა გახდა, რომ ქვაყრილი არაა in situ და ამიტომ სათანადო ფოტო და გრაფიკული ფიქსაციის შემდეგ დავიწყეთ მისი აღება. „ქვაყრილის“ აღებისას ხშირად ჩნდებოდა ხის ნახშირისა და საქონლის ძვლების ფრაგმენტები, აგრეთვე საკმაოდ მრავალფეროვანი კერამიკული მასალა. მათ შორისაა შავზედაპირი-

8 ვ—66 : 73.

9 ვ—66 : 74, 94, 96, 56, 89.

10 ვ—66:91—93.

11 ვ—66 : 102.

12 ვ—66:109.

13 ვ—66 : 103.

ანი კოლხური ქვევრებისა და ყავისფერკეციანი კოლხური ამფორისა და დოქების ნატეხები¹⁴. შეგვხვდა იმპორტული (სინოპური?) ამფორის ერთი ძირი¹⁵, აგრეთვე იმპორტული, შედარებით თხელკეციანი ამფორის ყელ-პირის ფრაგმენტი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მსგავსი ამფორის ფრაგმენტი ნაპოვია 69, *is* კვადრატში — ქვაფენილის თავზე¹⁶, რაც კიდევ ერთი მოწმობაა იმი-სა, რომ „ქვაყრილი“ ნგრევის შემდეგ და მის შედეგადაა წარმოქმნილი. ნაპოვია, აგრეთვე პირფართე, მუცელგანიერი სამზარეულო დანიშნულების ქოთნის ფრაგმენტები¹⁷, ხოლო ერთი ნატეხი შავად გაპრიალებული შეეულ-კლიანი ჯამისა¹⁸. იქვე აღმოჩნდა წითელლაკიანი კერამიკის სამი ფრაგმენტი. ერთა მათგანი ადგილობრივი მინაბაძია და წარმოადგენს სქელკედლიანი ჯამის მრგვალქუსლიანი ძირის ნაწილს. კეცი უხეშია, მსხვილმარცვლოვანი და ქარსიანი. ზედაპირი ჭერ წითლადაა გაპრიალებული და მერე შეღებილი¹⁹. დანარჩენი ორი ფრაგმენტი იმპორტულია, როგორც ჩანს, პერგამონული. ერთი მათგანი კალთამომრგვალებული თასისაა, ლაკი შინდისფერია²⁰, ხოლო მეორეც ღრვა ჯამის თუ თასის პირს წარმოადგენს. პირის კიდე შიგნიდან რელიეფური ქედითაა გამოყოფილი, ლაკი მუქი ფერისაა, ყავისფერში გარდამავალი, ამასთან თითქოს კალთა გარეთ წითელი ფერის სარტყელით ყოფილა შემკული²¹. აღსანიშნავია, აგრეთვე, ფრაგმენტები თეთრკეციანი, მრგვალპირიანი და მუცელგანიერი დოქისა²², რომელიც იმპორტული ჩანს. „ქვაყრილის“ ქვეშ აღმოჩენილი კერამიკული მასალა ძირითადად სახსებით ანალოგიურია სხვა უბნებზე ნაპოვნი II—I სს მასალებსა, მაგრამ რამდენადმე მოულოდნელია იქვე ნაპოვნი ორი ფრაგმენტი, რომელთაგან ერთი კოლხური სასმისის ძირს წარმოადგენს²³, ხოლო მეორე შავზედაპირიანი, შეეულკედლიანი და ფართომუცლიანი ქოთნისაა. ორივე ფრაგმენტი ადრეანტიკური ხანის კულტურული ფენებისთვისაა დამახასიათებელი და ჭერჭერობით ძნელია თქმა, თუ რით აიხსნება მათი მოხვედრა ძვ. წ. II—I სს მასალებთან ერთად: საქმე გვაქვს გვიანდელ ტრადიციებთან, თუ თვით ნივთები ინახავენ თავს დიდი ხნის მანძილზე?

ქვაყრილის ალებისას ჩნდებოდა კირხსნარის შელესილობის ნაშთებიც, რომელნიც ზოგჯერ რიყის ქვებზეც იყო შემორჩენილი. ცხადი გახდა, რომ რიყის ქვებითა და კირხსნარით მოპირკეთებული იყო კლდოვან თირში გამოჭრილი ადგილი, რომელზედაც ახლაცაა შემორჩენილი კირხსნარით დამაგრებული რიყის ქვები.

ქვაყრილის ალების შემდეგ გამოჩნდა, რომ ქვაფენილი ებჯინება ვერტიკალურად დაყენებულ ფილებს, რომელთა სიგრძე საშუალოდ 75 სმ, სიგანე 21 სმ, ხოლო სიმაღლე 25 სმ-ია. ამ ფილებით შემოსაზღვრულ ფართობს შიგნით აღმოჩნდა 10×12×13 სმ სიმაღლის ქვის მონოლითში ამოკვეთილი როფი

14 ვ—66 : 116.

15 ვ—66 : 112.

16 ვ—66 : 74.

17 ვ—66 : 113.

18 ვ—66 : 117.

19 ვ—66 : 109.

20 ვ—66 : 110.

21 ვ—66 : 111.

22 ვ—66 : 116.

23 ვ—66 : 119.

(მისი ზომებია 30×67 სმ). გამოვლინდა საკმაოდ მძლავრი და რთული ნაგებობა, რომელიც დასავლეთი კედლით უშუალოდ კლდოვან თირზეა მიშენებული. ამ ნაგებობის ჩრდილოეთი კედლის სისქე 2,76 მეტრია (სურ. 103). კედლის შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე აღწევს 2 მეტრს. ამ კედლის ჩრდილოეთი ფასადი საგანგებოდაა დამუშავებული. მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი კუთხიდან დაახლოებით 1,45 მეტრის სიგრძეზე თეთრი ფერის დიდი ზომის კვადრებითაა ამოყვანილი, ხოლო დანარჩენ ნაწილში კლდოვან თირამდე ქვიშაქვისა და თირის ქვათილებია გამოყენებული. წყობის ქვედა რიგს ჰქმნიან შედარებით დაბალი და გრძელი ქვათილები (ქვიშაქვის კვადრები ცეცხლისაგანაა გაწითლებული). მეორე რიგი შედარებით სწორკუთხა კვადრებითაა ამოყვანილი. მესამე რიგი მხოლოდ კედლის თავსა და ბოლოშია შემორჩენილი, რაც საშუალებას გვაძლევს დავუკვირდეთ ქვათილების ზედაპირის (ე. ი. სიმძიმის მატარებელი პორიზონტალური ზედაპირის) დამუშავებას. წყობის მეორე რიგის ქვათილების ზედაპირი საგანგებოდაა მოსწორებული და მკაცრად პორიზონტულია (რაც იძლეოდა საშუალებას მასზე მშრალად შეშდევს რიგის ქვათილები დალაგებულიყო). კედლის აღმოსავლეთ კუთხეში მხოლოდ ერთი დიდი ზომის სწორკუთხა ქვათილია შემორჩენილი, ხოლო დასავლეთ ნაწილში იმავე დონეზე გამოყენებულია ორ რიგად დაწყობილი შედარებით დაბალი კვადრები, რომელთა ზედაპირი ზუსტად შეესაბამება აღმოსავლეთ კუთხის კვადრის ზედა პორიზონტულ ხაზს.

ნაგებობის ჩრდილოეთი კედლის საფასადო მხარე, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ნაწილში (ის, რომელიც თეთრი ფერის ქვებითაა ამოყვანილი) გარკვეული წესითაა დამუშავებული: ქვათილის გვერდითი კიდეები საგანგებოდაა ჩამოთლილი და მოსწორებული, ხოლო მათ შორის შექმნილი ბალიში წვეტიანი იარაღითაა დაკეპნილი, რაც თავისებურ რუსტებს (თუ მათ იმიტაციას) ჰქმნის. კედლის შიდა და გარე პერანგს შორის სივრცე უწყსრაოდ გათლილა დიდი და მცირე ქვებითაა შევსებული და ერთმანეთთან თიხითაა დაკავშირებული. ამასთან შეიძინევა, რომ შიგნითაც ქვები პორიზონტულადაა ჩაწყობილი და სრულიად გარკვეული ცდაა შიდა ქვების დალაგებისას მათი საფასადო წყობის პორიზონტალურ რიგთან ნიველირებისა. ამიტომაც საფიქრებელია, რომ კედელი მთელ მის სიგანეზე ერთდროულად იყო ამოყვანილი პორიზონტალურ რიგებად. მხოლოდ შიდა და გარე საფასადო ნაწილში იყენებდნენ საგანგებოდ და კარგად გათლილ კვადრებს.

საკმაოდ რთული პროფილირების და კონსტრუქციისაა ამ კედლის აღმოსავლეთი ნაწილი (სურ. 103). კუთხიდან 45 სმ დაცილებით ქვიშაქვის სწორკუთხა პოსტამენტზე (31×25 სმ) აღმართულია 67 სმ სიმაღლის სწორკუთხა სვეტი, რომელიც უშუალოდ კედლის წყობას ებჯინება. სვეტზე დგას თითქმის კვადრატული მარმარილოს კვარცხლბეკი, რომლის ზედა ნაწილში ამოკვეთილია სწორკუთხა ფოსო. მისი ნაპირები ტყვიითაა შევსებული, ხოლო შიგნით კი შემორჩენილია ტყვიითვე ჩამაგრებული წვრილმარცვლოვანი მარმარილოს ფრაგმენტები (ქანდაკების ნაშთები?). კარგად ჩანს, რომ ჯერ კედელია ამოყვანილი და მერეა მასზე მიდგმული სვეტი, რის გამოც კვარცხლბეკის გასამართავად კედლის ქვა საგანგებოდაა ამოტეხილი. სვეტიდან 27 სმ დაცილებით კედლის წყობაში 10 სმ სიგანის საგანგებო ნიშაა გამოკვეთილი, რომელიც ზემოდან ჩამოსაშვები რკინის კარისათვის (კატარქტა) იყო განკუთვნილი.

კედელზე ვერტიკალურად ზემოდან ქვემოთ ამოკაწრულია ბერძნული წარწერა: *α. α. α. α. α.* (სურ. 99), ე. ი. *ἀπόβασις ἀναστασεως* „გვედრები ქმენ შეუფეო“. ხოლო იმავე კედლის შიდა მხარეს შემორჩენილია საკუთარი სახელის დაწერილობა: „არსანს“ (*Ἄρσανς*)²⁴.

ჩრდილო კედლის კუთხიდან 2,40 სმ-ის დაცილებით კედელი 52 სმ-ითაა წინ გამოწეული და ქმნის თავისებურ ბურჯს (მისი სისქე 55 სმ-ია). ეს უკანასკნელი მთლიანად თეთრი ფერის ქვითაა ამოყვანილი: შემორჩენილია წყობის ოთხი რიგი: ქვედა რიგს ჰქმნის ერთი მთლიანი კვადრი, ხოლო დანარჩენი სამი რიგი ორ-ორი ქვათლილითაა შექმნილი. მაგრამ ქვათლილების დალაგებაში შეიმჩნევა გარკვეული კანონზომიერება, რომელიც კონსტრუქციულთან ერთად შესაძლოა გარკვეული დეკორატიული ეფექტისთვის იყო გამოიზნული. ასე, მაგალითად, მეორე და მეოთხე რიგში ქვეშე შორის ნაყერი სამხრეთ და ჩრდილო მხრიდან ჩანს, ხოლო აღმოსავლეთი მხრიდან იგი მთლიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაშინ, როდესაც მესამე რიგში პირიქითაა. ზედა რიგის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ქვათლილები ერთმანეთთან რკინის სამაგრებით იყო დაკავშირებული, ხოლო „ბურჯის“ ქვები უშუალოდ შედის კედლის ძირითად წყობაში (რაც, თავის მხრით, ერთდროულად ნაშენობას მოწმობს) და მასთან ერთად ერთ მთლიანს წარმოადგენს. აღსანიშნავია ერთი საინტერესო დეტალი: „ბურჯის“ წყობის ერთი (უკანა) ნაწილი, როგორც ითქვა, უშუალოდ კედლის წყობაშია შესული. მათ აქვთ ერთი საერთო კვადრი, რომლის სიგანე წყობაში 28 სმ-ია, მაგრამ „ბურჯის“ საჭირო სიგანის შესანარჩუნებლად ეს ქვა „ბურჯის“ წყობაში წინა მხრიდან საგანგებოდაა ჩამოკვეთილი და შესაბამისად შევიწროებული. ასე, რომ ცხადია, აღნიშნულ „ბურჯს“ გარკვეული კონსტრუქციული დანიშნულება ჰქონდა, მართლაც მის შიდა კუთხეში იატაკის ფილაზე ამოკვეთილია ოთხკუთხა ფოსო (დაახლოებით 9×9 სმ), რომელიც ტყვიითაა შევსებული და როგორც ჩანს, განკუთვნილია კარის ჩასადგმელი ღერძისათვის. ასე, რომ „ბურჯი“ კარის უკანა საყრდენს წარმოადგენდა, ხოლო კარი იღებოდა გარედან შიგნით, რასაც მოწმობს იატაკად დაგებულ ფილაზე კარის მოძრაობისაგან შექმნილი რკალისებური ხაზები. ბუნებრივია ვივარაუდოთ ასეთივე საყრდენი „ბურჯის“ (ცალკე მდგარის და კედელთან მიშენებულის) არსებობა მოპირდაპირე მხარესაც, მაგრამ იგი სამწუხაროდ შემორჩენილი არაა.

ზემოთ ნახსენები სწორკუთხა ფილები ჩრდილო კედლის მისასვლელთან და აღმოსავლეთ მხარესაა მიწაზე დაგებული და ერთმანეთთან რკინის სამაგრებით დაკავშირებული. საესებით აშკარაა, რომ ეს ფილები გრძელდებოდა უფრო აღმოსავლეთითაც, რაზედაც მიუთითებს ერთ-ერთი ფილის კიდეზე შემორჩენილი ორი სამაგრი, რომელიც გვერდით ფილასთან დასაკავშირებლად უნდა ყოფილიყო ვანკუთვნილი. აღნიშნული ფილები ზედ ხშირი სიარულისაგან საგრძნობლად გაცვეთილია. ყველაფერმა ამან გვაფიქრებინა, რომ აქ საქმე უნდა გვექონდეს ქალაქის კარიბჭესთან. საინტერესოა, რომ აქვე გადის დღევანდელი სასოფლო გზაც, რომელიც სოფლის ქვედა ნაწილიდან მაღლა გორაკისაკენ მიემართება და გადადის სოფელ ციხე-სულორში. კარიბჭის მახლობლად იგი განაკუთრებით ვიწრო იყო, მხოლოდ გასულ წელს გაფართოვდა სამანქანო გზის მშენებლობისას. არსებობს ვადმოცემა, რომ ეს ვიწრო გასავალი უწინ

24 თ. ყაუხჩიშვილი, ვანის ბერძნული წარწერები. საქართველოს მეცნ. აკადემიის შოკბე, XLVIII, № 1, 1967, გვ. 253—258.

რკინის კარით იყო ჩაკეტილი, ზევით არაეის უშვებდნენ და საგანგებოდ დარა-
ჯობდნენ²⁵.

ზემოთ აღწერილი კედელი წარმოადგენს თავის მხრივ მასზე მიდგმული
ნაგებობის ჩრდილოეთ კედელს (სურ. 104): მისი სისქე 2,75 მ-ია. ამ ნაგებო-
ბის დასავლეთი კედელი უშუალოდ კლდოვან თირზეა მიშენებული და მისი
სისქე ამიტომაც საშუალოდ მხოლოდ 1,10 მ-ია და კედელს შორის სისქე უს-
წორმასწოროდ გათლილი დიდი ზომის ქვებითაა ამოვსებული. ამავე ნაგებო-
ბის სამხრეთი კედლის სისქე 2,10 მ-ია. შემორჩენილი სიმაღლე (დასავლეთ
კუთხესთან) 2,55 მ-ს აღწევს. ამ კედლის გარე საფასადო ნაწილში შემორჩენი-
ლია წყობის თერძოვანი რიგი, რომელიც დაშენებულია საძირკვლის წყობაზე.
ეს უკანასკნელი ვერტიკალური ხაზიდან 12 სმ-ითაა წინ გამოწეული. ამ კედ-
ლის წყობის ქვედა რვა რიგი უპირატესად ნაგებია ქვიშაქვის ქვათლილებით
(ისინი ხანძრისაგანაა გაწითლებული და დაშლილი). ჩრდილოეთი კედლისაგან
განსხვავებით, სადაც, როგორც წესი, დიდი ზომის კვადრებია გამოყენებული,
აქ ქვათლილები უფრო მცირეა და ამასთან სხვადასხვა ზომისაა. შემორჩენი-
ლი ზედა სამი რიგი წყობისა შედარებით დიდი ზომის თეთრი ფერის კირქვის
კვადრებითაა ამოყვანილი. ქვათლილების ერთ ნაწილს, ისევე, როგორც ჩრდ-
ლოეთ კედელზე, კარგად ეტყობა რუსტული დამუშავება (უნდა აღინიშნოს,
რომ ამგვარად მხოლოდ თეთრი ფერის ქვათლილები კი არაა დამუშავებული,
არამედ ქვიშაქვისაგან გამოკვეთილი კვადრებიც). ისევე, როგორც ჩრდილოეთ
კედელზე, აქაც ზუსტადაა დატული წყობის მკაცრად ჰორიზონტალური რიგე-
ბი. კედლის სისქეც ჩრდილოეთი კედლის ანალოგიურადაა ამოყვანილი და შე-
ქმნილი. ამასთან აქ უფრო აშკარად შეიმჩნევა, რომ შიდა სივრცის შესასვლ-
ბად შედარებით უხვადაა გამოყენებული თიხნარი მიწა.

სამხრეთი კედლის ბოლო კლდოვან თირთანაა ახლოს მიდგმული, ამას-
თან აქ კვადრებს გამოკვეთილი აქვთ საგანგებო „შეერილები“. კარგად ჩანს,
რომ აქ თირი საგულდაგულოდაა ჩამოჭრილი, ხოლო კუთხის კვადრებსა და
თირის შორის მანძილი ამოვსებულია მცირე ზომის ნაგლეჯი ქვითა და რიყის
ქვებით. ეს უკანასკნელი კი თირზე კირხსნართაა დამაგრებული და თირის სამ-
ხრეთ გაგრძელებაზე, როგორც ვნახეთ, რიყის ქვებით ყოფილა მოპირკეთე-
ბული.

ნაგებობის შიდა კედლები თითქმის მთლიანად ქვიშაქვითაა მოპირკეთე-
ბული. კვადრები სხვადასხვა ზომისაა, მაგრამ ყველგან რუსტულადაა დამუშა-
ვებული: ნაპირები საგანგებოდაა ჩამოთლილი, ხოლო ბალიში წვეტიანი იარა-
ღითაა დაკვეცილი. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ წყობის ყველა
რიგი მკაცრად ჰორიზონტალურია და ყველგან საგულდაგულოდაა ნიველირებუ-
ლი, ეს გარემოება თარაზოს მეშვეობითაა ჩვენს მიერ შემოწმებული სამხრეთ
კედლიდან ჩრდილოეთ კედელთან მიმართებაში და ჩრდილოეთის კედლის ში-
და მხარეს აღმოსავლეთ ნაწილში.

ამრიგად, აღწერილი ნაგებობა (სურ. 104, 106) სამი მხრიდანაა შემოსა-
ზღვრული, ხოლო აღმოსავლეთი მხრიდან „ღიაა“ და არა აქვს კედელი (გამოვ-
ლინებულია მხოლოდ საძირკველი, რომელზედაც გადადის ნაგებობის იატაკი),
ნაგებობის შიგნით კულტურული ფენების იგივე მონაცვლეობაა დადას-

25 ნ. ხოშტარიძე არქეოლოგიური გათხრები სოფელ ვანში 1947 წელს, „მომზად-
ვული“, I, გვ. 300.

ტურებულო: „თიხნარ“ ფენას მოსდევს მპლავრი გადმონგრეული ალიზის ფენა, რომელიც შეიცავს დანახშირებული ხისა და ალიზის აგურების ფრაგმენტებს. ამ ფენის აღების შემდეგ მოხდა ნაგებობის შიდა ფართობის პრეპარაცია, რის შედეგადაც მთელ მოედანზე გამოჩნდა გადმონგრეული და დამსხვრეული ალიზის აგურები და დანახშირებული ხის ძელის ფრაგმენტები. ეს ფაქტი იმის მოწმობაა, რომ ამ ნაგებობას ქვის კედლებზე დაშენებული ჰქონდა ალიზის აგურებისაგან შემდგარი კედელი²⁶.

პრეპარაციის დროს აღმოჩნდა თიხის კურკლის რამდენიმე ფრაგმენტი: მალაღუებიანი, ძირშედრმავებული ლარნაკი. მისი ზედა ნაწილის პირი და კალთები შემორჩენილი არაა, ხოლო ძირს შიგნიდან ამკობს წიწვიანი ტოტების გამოსახულება, რომელსაც ირგვლივ უვლის ირიბად გამოყვანილი ხაზები (სურ. 112). კურკელი რუხკეციანია, თიხა მსხვილმარცვლოვანი, მრავალად შეიცავს ქვიშის მინარეებს²⁷. იქვე ნაპოვნია ერთიღამავე ფორმის; მაგრამ სხვადასხვა ზომის თასების ორი ფრაგმენტი²⁸. თასი თხელკედლიანია, დაბალპირიანი, კიდეშესქელებული. მრგვალად მიძერწილი, ბრტყელგანიკვეთიანი ყურის ზედა ნაწილი ცხოველს სტილიზებული რქებივითაა გამოყვანილი. თასის შიგნითა ზედაპირი ურთიერთგადამკვეთი (რომბისებური) ხაზებითაა შემკული; ორივე ფრაგმენტი გარედან ლევაფარადა გაპრიალებული. კეცი გადანატეხში მოყვითალო-მონაცრისფროა, ცუდად განლექილი, შეიცავს ქვიშისა და ქარსის წვრილ მარცვლებს (სურ. 113).

აგურების აღების შემდეგ გამოჩნდა ნაგებობის თიხატყეპნილი იატაკი. ნაგებობის დასავლეთ კედელთან მიდგმულია საკურთხეველი (სურ. 107), რომელიც ამგვარადაა ნაგები: ერთმანეთზე მკიდროდ მიდგმულ ქვის კვადრებზე აღმართულია ოთხკუთხა სვეტი, რომელზედაც ორი კარგად გათლილი ქვის ფილა ძევს. მათგან ქვედა ფილა უფრო განიერია ზედაზე, სიგრძე კი თანაბარა აქვთ. სათავსოს იატაკზე თიხის კურკელი ეწყობა, სულ 23 ცალი, ისინი შემდეგნაირად იყო განაწილებული (სურ. 106—109): კურკლის უმრავლესობა განლაგებული იყო სათავსოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ნაგებობის დასავლეთ კედელთან, საკურთხეველის სამხრეთით (სურ. 108). აქ არის წითლად გაპრიალებული და ირგვლივ მუქი წითელი ზოლებით შემკული ორკუთხა კურკელი (სურ. 110/8), რომელიც ერთი შეხედვით პელიკას მოგვაგონებს²⁹, კოლხური ამფორა, რომელიც ძალზე დამტყრეული იყო, მაგრამ თითქმის მთლიანად აღდგა³⁰, იგი წელში ოდნავ შეზნეპილია და ტანზე ამოკაწრული ნიშანი აქვს (სურ. 111/5), აქვეა ცალყურა და უყურო მოშავო-მოწითალოდ გამომწვარი ქოთნები (სურ. 110/1—7, 9)³¹. ორი ქუსლიანი ჯამია, რომელთაგან ერთადასავლეთ კედელთან დამხობილი იყო ქოთანზე (სურ. 110/12), მეორე კი ზემოთ დასახლებული ამფორის აღმოსავლეთით იღობ³² (სურ. 111/3). აქვე ახლოს კიდევ ერთი ამფორის ქვედა ნაწილი იყო გადარჩენილი (სურ. 111/8).

²⁶ აგურების ერთი ნაწილი გამოუწვავია (ოღონდ ხანძრისაგანაა ნაწილობრივ გაწითლებული), მაგრამ ზოგს აშკარად ეტყობა, რომ თავიდანვე იყო გამოწვარი.

²⁷ № 3—66: 78.

²⁸ № 3—66: 79 და 82.

²⁹ № 3—69: 496.

³⁰ ე—66: 491.

³¹ № 3—66: 495, 496, 497, 498, 499, 500.

³² ე—66: 498.

საკურთხეველის წინ (სურ. 107), მის აღმოსავლეთით, სამი დოქი ეწყო, სადაღაც აქვე ახლოს, ეტყობა მეოთხეც იყო, იგი შეკოწიწდა ამ მიდამოებში შეკრებილი ნატეხებისაგან. აქედან ორი დოქი (სურ 111/1—2) სამტურჩაა, მათი ყური პირის უშუალო გაგრძელებაა, მომრგვალებულად ზევით აზიდული ეწევა ძირს და მხარზეა მიძვრწილი. განსაკუთრებით საინტერესოა მეორე დოქი³³ (სურ. 111/2), რომლის მხრები შემკულია კონცენტრული წითელი ფერის სარტყლებით, სარტყლებს შორის ისეთივე წითელი საღებავით გამოყვანილია ზოგან წერტილები, ზოგან კი სტილიზებული ცხოველებისა და ფრინველების მსგავსი ფიგურები, ზოგი მათგანი წიწვიან ხეს მოგვაგონებს, ზოგიც ადამიანს, მაგრამ ძნელი სათქმელია, საგანგებოდ აქვთ მათ ასეთი მოყვანილობა მიცემული, თუ საღებავის გარკვეული ხელსაწყოთი დატანის დროს შემთხვევით მიღებული. კურკლის ყურის ძირში გამოწვამდე ამოკაწრულია ისრის მოყვანილობის ნიშანი. მესამე დოქი³⁴ უტუჩოა (სურ. 111/4), პირის გვირგვინი გარეთ გადაშლილი აქვს. ამ კურკლის ზედა ნაწილიც შემკულია ირგვლივი წითელი ზოლებით. მეოთხე დოქი (სურ. 111/3), რომელიც აქვე ახლოს უნდა მდგარიყო, სამტურჩაა³⁵, მისი ყურიც უშუალოდ პირის გვირგვინის გაგრძელებაა, ყელი, მხარი და მუცლის ზედა ნაწილი შემკული აქვს წითელი ზოლებით. ამ ზოლებს შუაეც ჩანს ცდა ისეთივე წითელი საღებავით რაღაც ფიგურების გამოყვანისა.

საკურთხეველის ჩრდილოეთით, ნაგებობის დასავლეთ კედელზე ერთმანეთის მიყოლებით მიწყობილია სამი კოლხური ამფორა³⁶ (სურ. 109). ისინი მარცვლით იყო საესე, ბოტანიკის ინსტიტუტის მარცვლეულის განყოფილების თანამშრომლის მენაბდის განსაზღვრით ეს მარცვლეული ფეტვია. ამ სამი ამფორიდან ერთი (სურ. 111/7) ძირგახვერტილია³⁷, წელში შეზნექილი, მხრებისაკენ გაფართოებული, ყელშებერილი. ყელზე გამოწვამდე ამოღარული აქვს ნიშანი, რომელიც ქვევით მიმართულ ისარს ჰგავს. დაახლოებით ასეთივე მოყვანილობის, მაგრამ უფრო მოზრდილი და წერილად ამოკაწრული ნიშანი აქვს ამ ამფორას ყურის ქვემოთაც, მაგრამ ნიშნის წვერს აქ საწინააღმდეგო მიმართულება აქვს და იგი გრაფიტოს მსგავსად ამფორის გამოწვის შემდეგ უნდა იყოს ამოკაწრული. დანარჩენი ორი ამფორა ქუსლიანია (სურ. 111/5-9). მათშიც ყოფილა მარცვლეული, მაგრამ ერთი ამფორის მხოლოდ ქვედა ნახევარია გადარჩენილი. ერთი პატარა, წითლად გამომწვარი ცალყურა ქოთანის სათავსოს აღმოსავლეთ ნაწილშიც იდო, ხოლო მასთან ახლოს, სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, დეგს: რკინის ძლიერ დაჟანგული, გვერდებაკცილი ფირფიტა (სურ. 106), რომელიც კარს ჰქონია ქვევიდან ამოკრული. აქვეა მსხვილთავიანი, გრძელი რკინის ლურსმანი. სათავსოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მოზრდილი გროვაა დამიწებული კირისა. ნაგებობის იატაკი თიხატყეპნილია. საკურთხეველი ამჟამად დაზიანებულია, მას დასცემია ზემოდან ჩამოქცეული კედელი და, როგორც ჩანს, მის სიმძიმეს (აგრეთვე ხანძრის მოქმედებასაც) დაუხეტია ოთხწახნავა სვეტი, ხოლო მასზე დაყრდნობილ ქვედა ფილას ორი კუთხე ჩამოსტეხია, თუმცა ეს ნატეხებიც იქვე ახლოს აღმოჩნდა. ფილების სიგრძე 80 სმ-ია, ხოლო ზედა ფილის სიგანე 48 სმ.

33 № 3—66 : 504.

34 № 3—66 : 505.

35 № 3—66 : 503.

36 3—66 : 488, 490.

37 № 3—66 : 488.

თხრა გაგრძელდა კარიბჭის ჩრდილოეთითაც (51, E₈₋₁₀ და I₈₋₁₀ ხაზებს შორის). ამ მონაკვეთის სტრატეგრაფიული კრილი, კარიბჭის ჩრდილო კედლიდან 2 მეტრის დაშორებით. რომელიც დაფერდებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და 4,20 მ სიღრმისაა, ასეთ სურათს იძლევა: ზედა კორდოვანი ფენის სისქე საშუალოდ 0,40 მ-ია, იგი შედარებით მცირე რაოდენობით შეიცავს კულტურულ ნაშთებს, ხშირად გვხვდება თირის უფორმო ქვები, შესაძლოა კედლის ნანგრევებიდან გადმოცეცილი. მას მოსდევს მოყვითალო თიხნარი ფენა 0,60—0,70 მ სისქისა, იგი ხშირად შეიცავს კრამიტებს და სხვა კერამიკულ ნატეხებს, ალაგ-ალაგ გაშვებულია და ეტყობა ხანძრის კვალი. მის ქვეშ მდებარე ფენა უკვე აშკარა ნანგრევებია ალიზის კედლისა, რომელიც ალიზის აგურების ნატეხებით ბლომად ურევია, აქა-იქ გაბნეულია კრამიტების ნატეხები და თირისა და რიყის ქვები. ნაწილი ამ ფენისა ალიზის კედლის ამორფულ მჟაას წარმოაგენს, მას უშუალოდ მოსდევს კრამიტის ჩალეწილი სახურავი, რომელშიც გვხვდება დანაწილებული ხის ნაშთები (გადახურვის ძელები?) და აუარებელი ნატეხები მცირე ზომის ქვევრის მოყვანილობის უყურო კოჭობებისა (სურ. 115). რამდენიმე ასეთი კოჭობი მთლიანად აღმოჩნდა ამავე ფენაში, აღნიშნული სტრატეგრაფიული კრილის ჩრდილოეთით. სახურავის ნალეწის ქვეშ მდებარე ფენა მკვრივი თიხნარია, რომლის დასავლეთ ნაწილშიც ვხვდებით კირხსნარით შედგენილი მოლესილობის დეფორმირებულ ფრაგმენტებს.

ამგვარად, კარიბჭის გარეთ, მის ჩრდილოეთით გააქვს გადმოქცეული ალიზის კედელი და ჩალეწილი კრამიტის სახურავი, რომლის ქვეშაც მოქცეულია ძვ. წ. I ს-მდე ამ ადგილას დაგროვილი კულტურული ფენა (მკვრივი თიხნარი). რაც შეეხება მთელსა და აუარებელ ნალეწ კოჭობებს, ისინი უშუალოდ სახურავის ჩალეწით არიან გაჭყლებილი.

ამ მონაკვეთის ზედა ფენაში, როგორც ზევითაც ითქვა, შედარებით მცირეა კულტურული ნაშთები, ისინი აქ მოხვედრილია, როგორც ჩანს, ფერდობის თავზე მდებარე დაახლებიდან ჩამორეცხვის გზით. მათ შორისაა წითლად გაპრალეებული ჭამის ქუსლიანი ძირის ნატეხი³⁸, შავად გამომწვარი „მეგარული“ თასის პირგვერდის ნატეხი³⁹, სუფთად განლეწილი თიხის თასის პირგვერდის ნატეხი⁴⁰ და სხვ.

მომდევნო — მეორე, მოყვითალო ფენა შეიცავს ანგობიანი იმპორტული ამფორის უფრს⁴¹, სინოპური კრამიტების ნატეხებს, აქვეა ქვისაგან გამოთლილი პატარა ღარი, რომელსაც ორი გამჭოლი ნახერეტი აქვს⁴².

რიგით მესამე ფენაში გვხვდება კერამიკის ფრაგმენტები: რგოლისებრ ქუსლზე შექმდარი წითლად გამომწვარი ქურჭლის ძირის ნატეხი⁴³, წითლად გამომწვარი ჭამის პირგვერდის ნატეხი⁴⁴, წითელლაკიანი, შვეულკედლიანი ლან-

38 № 3—66 : 124.

39 № 3—66 : 135.

40 № 3—66 : 130.

41 № 3—66 : 137.

42 № 3—66 : 139.

43 № 3—66 : 57.

44 № 3—66 : 60.

გრის პირის ნატეხი⁴⁵, ანგობიანი ამფორის კედლების ნატეხები⁴⁶. აქვეა ხელ-
საფქვევის ნატეხი⁴⁷.

კრამიტის ნალეწის ქვეშ, როგორც ზევეითაც ითქვა, აუარებელი ნატეხებია
მცირე ზომის უყურო კოჭობებისა, რომელთაგანაც ზოგი მთლიანადაც გა-
დარჩენილა⁴⁸, ვხვდებით წითელლაკიანი სუფრის კურკლის ნატეხებს⁴⁹, ამფო-
რისკის ძირს⁵⁰, პირამიდულ საწაფს⁵¹. ამავე ფენაში აღმოჩნდა ტერაკოტული
ნიღბის ნატეხები; რესტავრაციის შემდეგ გამოირკვა, რომ იგი გვირგვინით
თავშემკული დიონისეს ნიღბია⁵² (სურ. 114).

კრამიტის ნალეწის ქვეშ მდებარე თხნარ ფენაში აღმოჩნდა კანელურე-
ბიანი კურკლის ნატეხი, რომელიც შიგნიდან წითელი ლაკითაა დაფარული,
გარედან კი ალაგ-ალაგ შავი და წითელი ლაკით⁵³.

კირხსნარიანი მოლესილობის ზედაპირზე ასეთი მასალა შეგვხვდა: შავად
გაპრიალებული ყურიანი ფინჯნის ნატეხები, შეკოწიწების შემდეგ კანთაროსის
ფორმის მიბაძვით დამზადებული კურკელი აღმოჩნდა⁵⁴, რომლის შემკულობა
ადგილობრივი კურკლისათვისაა დამახასიათებელი: შიგნიდან წვრილად და-
რომბილი ორნამენტითაა შემკული, გარედან კი ნაქდვეი წერტილებითა და
ურთიერთგადამკვეთი ხაზებით, რომლებიც რომების ერთ ირგვლივ მწკრივს
ჰქმნიან. კურკელი ორივე მხრივ შავად არის გაპრიალებული (სურ. 116). აქ
სხვა კურკლის ნატეხებიც იყო შეპრიალა ჯამისა⁵⁵. აქვეა წითელლაკიანი ლან-
გრის ნატეხი ღია ფერის თიხისა, ორივე მხრივ კარგი ხარისხის ლაკით დაფა-
რული⁵⁶. აქვე ახლოს დამწვარი, დანახშირებული შრედან გვაქვს ძაბრისებურ-
პირიანი ღია ფერის თიხის იმპორტული ამფორის პირ-ყელის ნატეხი⁵⁷.

კრამიტის სახურავის ნალეწის ქვეშ მდებარე ფენაში ვხვდებით მუქი წი-
თელი ლაკით დაფარულ, ნაქდვეი ორნამენტით შემკული ჯამის ძირის ნატეხს⁵⁸,
ყავისფერლაკიანი კურკლის პაწია ყურს, რომელსაც უნაგირისებრი დანაძერწი
აქვს⁵⁹, პირამიდულ საწაფს⁶⁰, კანელურებიანი თასის ნატეხს, და სხვ. აგრეთვე
ბრინჯაოს საკინძს⁶¹, შავად გაპრიალებულ, დარომბილი ორნამენტით, შიგნიდან
შემკულ ფინჯნის ნატეხს⁶², შავლაკიანი კურკლის პაწია ნატეხებს⁶³, წითელი

45 № 3—66 : 59.

46 № 3—66 : 58.

47 № 3—66 : 508.

48 № 3—66 : 512; 513, 142, 69.

49 № 3—66 : 478.

50 № 3—66 : 471.

51 № 3—66 : 473.

52 № 3—66 : 509, 510.

53 № 3—66 : 145.

54 № 3—66 : 464.

55 ვ—66 : 465.

56 ე—66 : 467.

57 ვ—66 : 136.

58 ვ—66 : 457.

59 ე—66 : 126.

60 ვ—66 : 126.

61 ვ—66 : 483.

62 ვ—66 : 463.

63 ვ—66 : 207, 127, 475.

ზოლებით შემკულ ჭურჭელს, ყავისფრად გაპრიალებულ ზედაპირზე წითელი საღებავით დარომბილი ორნამენტით შემკული ჭურჭლის ნატეხებს⁶⁴ და სხვ.

აღნიშნულ ნაკვეთზე (51) გამოვლინდა კრამიტყრილის მეორე ფენაც, რომლის ქვეშაც ასეთი მასალა აღმოჩნდა: წითელლაკიანი ლანგრების ნატეხები, ღია ფერის თიხისა. კარგი ხარისხის ლაკით დაფარული⁶⁵, თხელკედლიანი, გვერდაკეცილი, წითელლაკიანი ჯამის ნატეხები⁶⁶, პირამიდული მცირე ზომის საწაფი⁶⁷, შავად გაპრიალებული ჭურჭლის ნატეხები⁶⁸, შავლაკიანი ნაქდევორნაშენტიანი თეფშის ძირის ნატეხი მდარე ხარისხის ჩამქრალი ფერის ლაკით დაფარული⁶⁹ და სხვ.

კრამიტყრილის ქვეშ ზოგიერთ კვადრატში გამოვლინდა რიყის ქვის ფენილი, მისი აღებისას კი ასეთი მასალა აღმოჩნდა: თიხის პირამიდული საწაფი⁷⁰, კოლხური ამფორის ძირი, მომრგვალებული, ფართო კონუსის მოყვანილობისა⁷¹, რუხად გამოშწვარი, ქვიშანარევი თიხის ჭურჭლის ოვალური მოყვანილობის ყური⁷², ქვეერის კედლის ნატეხი, მისი შავად გამოშწვარი კეცის ზედაპირი შექმულია პარალელური ღარებით⁷³. თეთრანგობიანი, იმპორტული ამფორის კედლის ნატეხი⁷⁴, შავპრიალა ლანგრის ნატეხები, რომელსაც მრგვლად აკეცილი ნაპირი აქვს⁷⁵, თხელკედლიანი, რუხად გამოშწვარი და გაპრიალებული თასის პირგვერდის ნატეხი და სხვ.⁷⁶

კარიბჭის აღმოსავლეთით, სასოფლო გზის მეორე მხარეს, 52 და 70 ნაკვეთებზე მოჩანდა დანგრეული კედლის ნაშთები. მისმა არქეოლოგიურმა შესწავლამ ცხადყო, რომ აქ საქმე გვაქვს ნახევარწრიული კოშკის საძირკველთან (სურ. 117). კედლების ასაგებად კლდოვანი თირი საგანგებოდაა ამოკვეთილი და ნაპირები კარგად გათლილი ქვიშაქვებითაა ამოყვანილი, ხოლო მათ შორის სივრცე უწესრიგოდ ჩაყრილი ქვებითაა ამოვსებული. კოშკის კედლის სისქე 2,85 მ-ია; სამწუხაროდ კოშკის დასავლეთი ნაწილი მთლიანად მორღვეულია, ხოლო გადარჩენილი ნაწილიც ჭერჭერობით ბოლომდე გათხრილი არაა, ამიტომაც ამჟამად ძნელდება კოშკის შიდა ფართობის განსაზღვრა. 70-ე ნაკვეთში გამოვლინდა კედლის ფრაგმენტი, რომელიც აღმოსავლეთისაკენაა ორიენტირებული და შესაძლოა მიემართება საქვაბიას ღელესაკენ, მაშასადამე უნდა წარმოადგენდეს ქალაქის დამცველ ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელს.

ეს კედელიც ძირითადად ქვიშაქვისაგანაა აგებული: კარგად გათლილი ქვებისაგან შემდგარ პერანგში უწესრიგოდაა ჩაყრილი სხვადასხვა ზომის თირის ქვები. კედლის შიდა მხარეს ელაგა ქვის ოთხი ჭურვი, თვითნებური საშუალოდ 13—20 სმ დიამეტრისაა. კედლის საერთო სისქე 2,50 მ-ია. იგი ჭერჭერობით

64 უ—66 : 469, 466.

65 ე—66 : 482, 517, 481.

66 უ—66 : 479.

67 ე—66 : 476.

68 უ—66 : 485.

69 ე—66 : 480.

70 ე—66 : 518.

71 უ—66 : 516.

72 ე—66 : 519.

73 ე—66 : 521.

74 ე—66 : 520.

75 ე—66 : 514.

76 ე—66 : 485.

2 მეტრის სიგრძეზეა გამოვლენილი. კედლის დასავლეთი ნაწილი სასოფლო-გზის გაქრისას არას მორღვეული, ხოლო აღმოსავლეთით მისი გაგრძელება და საეარაუღებელი კავშირი 1961—1963 წლებში VI უბანზე შესწავლილ კედლებთან, მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

კარიბჭისა და ჩრდილო-აღმოსავლეთი სასიმაგრო კედლის აღმოჩენამ დასვა საკითხი ჩრდილო-დასავლეთი და დასავლეთი შემომსაზღვრელი კედლებსა და საერთოდ ნაქალაქარის საზღვრების ძიების შესახებ. ამ მიზნით დაიხვეწა კარიბჭის დასავლეთით მდებარე ტერასა, სადაც ამჟამად ორი მოსახლის კარმიდამოა განლაგებული. ამ ადგილებიდან აღრეც იყო ცნობილი შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვარი. სახელდობრ აქ მცხოვრებთაგან არაერთხელ ყოფილა შექმნილი ოქროს წერილი სამკაული, რომლებიც ამ საკარმიდამო ნაკვეთებზე იყო ნაპოვნი. საინტერესოა, რომ ამ მოსახლის საცხოვრებელი სახლის ქვედა სართული მთლიანად ძველი ქვისაგანაა ნაშენი და საფიქრებელია, რომ ეს ქვები იქვე ახლო ადგილიდანაა მოზიდული. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ამავე მოსახლის ეზოში, ზედაპირზევე ჩანს ძველი კედლის ნაშთები, რომელზედაც დიდი მუხის ხეა ამოსული. საესებით ანალოგიური მდგომარეობაა მეზობელ საკარმიდამო ნაკვეთზეც. მიწის გადაბრუნების დროს აქ ხშირად ჩნდება საგანგებოდ გათლილი ქვები, აგრეთვე ცალკეული არქეოლოგიური ნივთები, რომელთა ერთი ნაწილიც ამჟამად ვანის კიროვის სახელობის საშუალო სკოლის მუზეუმში ინახება. 1966 წელს ამ ორ მოსახლესთან მისასვლელი გზა გაფართოვდა და 34-ე ნაკვეთის 2_{ა-10} და 2_{ა-8} კვადრატებში გამოჩნდა საკმაოდ მძლავრი კულტურული ფენების კრილი. ამავე ფართობებზე წინასწარული ზედაპირული დაზვერვისას აკრეფილ იქნა ელინისტური ხანის კერამიკული მასალა: კრამიტებისა და ალიზის აგურის ნატეხები, კოლხური, სინოპური და თეთრანაგობიან ამფორებს, წითლად გაპრიალებული სათევწე ლანგარისა და სხვა ფრაგმენტები. ყოველივე ამან განაპირობა ამ მიდამოების არქეოლოგიური გათხრებით შესწავლის აუცილებლობა. პირველ რიგში საჭიროდ მივიჩნით გზით დაკავებული ფართობის შესწავლა. გასათხრელად შერჩეული ფართობი ექცევა 33—34 და 49—50 ნაკვეთებში. კულტურული ფენების კრილი გრძელდება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დაახლოებით 18 მეტრის სიგრძეზე. აქ თითქმის ყველგან ნიადაგისეულ კორდოვან შრეს, სადაც ბროწეულის ხეები და ეკალია ამოსული, მოსდევს დანგრეული ალიზის კედლის მძლავრი ფენა. იქ, სადაც გზის გაყვანისას ფენა დაზიანებულია, ნიადაგისეული კორდოვანი ფენა დევს ნაყარ ქვებზე, ხოლო შემდეგ ეს ფენა მძლავრად იჩენს თავს თითქმის მთელ სიგრძეზე. დანგრეული ალიზის ფენა თითქმის 1 მ სიძლიერისა და დაფენილია ჩამსხვრეულ კრამიტებზე და დანახშირებულ შრეზე, რომელიც დაქსარი ხის კოჭებისა თუ ძელის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს შრე (დაახლოებით 10—12 სმ სიქისა) გადადის ყვითელ თიხნარ ფენაში, რომელიც შეიცავს კირქვის ფილებს და თირის ქვათილებს, მაგრამ ზოგიერთი ცეცხლშია მოხვედრილი და გაწითლებული. განსაკუთრებით მძლავრია დანგრეული ალიზის ფენა (საშუალოდ 2,20 მ), რომელიც ზოგან გადადის კედლის წყობაზე.

დანგრეული ალიზის ფენა გასათხრელად შერჩეულ ფართობზე თითქმის მთლიანადაა აღებული, როგორც ჩანს, გზის გაყვანის დროს, ეს ფენა მხოლოდ მცირე ფართობზე იყო შემორჩენილი და წარმოადგენდა მოწითალო-მოყვითალო ფერის გაფხვიერებულ მასას. ამ ფენაში საკმაოდ მრავლად გვხვდება გვერდობაკეცილი და ღარიანი კრამიტის ნატეხები (სამწუხაროდ მეტისმეტ

ფრაგმენტულობის გამო კრამიტების მთლიანი ზომების აღდგენა ვერ მოხერხდა⁷⁷, ძირითადი ნაწილი ამ კრამიტებისა აღგილობრივია, ზოგიერთ ფრაგმენტზე შევარჯინალია ნიშნები. ამავე ფენაში გვხვდება, აგრეთვე ალიზ-აგურის ნატეხები, როგორც წყაი 9—10 სმ სისქისა. ნაპოვნია ხის წნულის ანაბეჭდიანი პაპაქის ფრაგმენტაც (გამომწვარი თიხისა). ჩანგრეული ალიზ-აგურისა და კრამიტების ნატეხებს შორის აღმოჩნდა მოხრილი რკინის სალტეები⁷⁸. ერთ-ერთ მათგანზე შემორჩენილია ლურსმანი⁷⁹. აქვე იყო სხვადასხვა ზომის მრგვალ-ქუდიანი ლურსმნები⁸⁰.

ამავე ფენაში ნაპოვნია, აგრეთვე პირამიდული ფორმის თიხის საწაფი (სიმაღლე 7,5 სმ-ია, ძირის — 3,5×3,5 სმ)⁸¹ და წითელლაკიანი თასის ფრაგმენტები⁸². ეს უკანასკნელი გარედან მუქი წითელი ფერის ლაკითაა დფარული, ხოლო მისი კალთები კანელურებითაა შემკული. ქუსლი დაბალია, რგოლისებური, შუა ნაწილში კი გარედან აქვს წაწვეტებული კონუსისებური მოყვანილობის ბურცობი. თასის შიდა ზედაპირზე ლაკი შედარებით ოდნავ ღია ფერისაა (ძირზე გადაცლილია). თიხა კარგადაა განლექილი, კეცი გადანატეხში მოყვითალო-მოყარდისფროა.

დანგრეული ალიზის ფენას ჰრილში მოსდევს, როგორც უკვე ითქვა, მოყვითალო ფერის ფენა, რომელიც შეიცავს სამშენებლო მასალებს (კირქვისა და თირის ქვათილებს), რიყის ქვებს, კერამიკას, ძვლებს... ჰრილში ეს ფენა დაახლოებით 80 სმ სიმძლავრისაა.

ამ ფენის აღებისას მის ზედა ნაწილში ჩნდებოდა უწესრიგოდ ნაყარი რიყისა და თირის ქვები, რომელთა ქვეშ გვხვდებოდა კრამიტისა და კერამიკის ფრაგმენტები: კოლხური ამფორის კედლები, თეთრანგობიანი ამფორის პირის, წითელი ზოლებით მოხატული შავპირიალა⁸³ და ყავისფრად გამრიალებული ჰურპლის⁸⁴, შავად და ნაცრისფრად გამომწვარი ჯამების, აგრეთვე ირიბი ჰდებებით შემკული შავლაკიანი ლანგრის მცირე ზომის ნატეხები⁸⁵, ნახშირის ნატეხები, ცხოველთა და ფრინველთა ძვლები⁸⁶. ამავე ფენაში მოპოვებული მასალებიდან საგანგებოდაა აღსანიშნავი ძვლის ნივთი⁸⁷, რომელიც შესაძლოა მუსიკალური საკრავის ნაწილს წარმოადგენდეს.

ამ ფენის აღების შემდეგ გამოჩნდა ნაგებობათა ნაშთები: 33 კგ-ს კვადრატებიდან საშხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართება კედელი, რომელიც გრძელდება 34-ე ნაკვეთის მკ-ს კვადრატებში. ამ კედლის (№ 1, სურ. 118) გარე ნაწილის გათხრისას თავს იჩენს მოყვითალო ფერის ფენა, რომელიც გადმონგრეულ კედლის ქვათილებთან ერთად შეიცავს კერამიკის ფრაგმენტებსაც (კოლხური ქვევარი, სამზარეულო ჰურპელი, წითელლაკიანი ლანგარი და პერგამონულ-

77 კრამიტების სისქე 2,5—3 სმ-ია, გვერდების სიმაღლე მერყეობს 4,5—5 სმ შიგის.

78 3—66 : 305/1—3, 206.

79 3—66 : 226; ეს ნატეხი კორდოვან ფენაშია ნაპოვნი.

80 № 3—66 : 306/1—3.

81 № 3—66 : 274.

82 № 3—66 : 209.

83 სავ. № 3—6 : 211.

84 № 3—66 : 224.

85 № 3—66 : 213.

86 ა. ციციშვილის განსაზღვრით, აქა ტანმორჩილი ძროხის, ღორის, თხის და ქათმის ძვლები.

87 № 3—66 : 222.

ლი თასი, თიხის პირამიდული საწაფი, მინის ქურქელი). ტიპოლოგიური ნიშნებითა და საერთო იერით ეს მძალა საეხებით ანალოგიურია ზემოაღწერილი იმ მასალებისა, რომლებიც თხრილის დანარჩენ ფართობზე გადმონგრეული ალიზისა და მის მომდევნო ყვითელ თიხნარ ფენაში ჩნდებოდა. როგორც ჩანს, ეს ფენაც აქ ამ ნაგებობათა ნგრევის პროცესში და მის შემდეგაა წარმოშობილი, მოპოვებული მასალებიდან აღსანიშნავია თეთრკეციანი წითელლაკიანი ძირი, რომლის შიდა მხარე ჭდეებით გამოყვანილი კონცენტრულ სარტყელში ჩასმული ნატეფერი ბალმეტებითაა შემკული⁸⁸. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს ამ ფენაში ნაპოვნი მინის ქურქლის ნატეხები. ისინი ძალზე ფრაგმენტულია, მაგრამ მაინც თვით ფაქტი ელინისტური ხანის კოლხეთში მინის ქურქლის გავრცელებისა საკმარის მნიშვნელოვანია. ერთ-ერთი ფრაგმენტი გაუმჭვირვალე ლურჯი ფერის მინისაა⁸⁹, გვხვდება ღია ცისფერი ნატეხიც⁹⁰.

№ 1 კედელს შიდა მხრიდან ეკვრის რამდენიმე კედელი (სურ. 119—120), რომლებიც თავისებურ სათავსოებს ქმნიან. ამ კედლების ზედაპირიდან დაახლოებით 10—12 სმ სიღრმეზე თავს იჩენს უკვე ნაცრისფერი ფენა, რომელიც როგორც ჩანს, ამ ნაგებობათა ცხოვრების სულ უკანასკნელ ეტაპს განეკუთვნება.

ამ ფენაში გვხვდება კრამიტების (უპირატესად გვერდებაკეცილი), აგრეთვე შავზედაპირიანი კოლხური ქვევრების კედლის ფრაგმენტები. საგანგებოდაა აღსანიშნავი იქვე ნაპოვნი წითელზედაპირიანი ქვევრის ნატეხები (ზედაპირი, ისევე როგორც შავკეციან ქვევრებზე, წვრილი ღარებითაა დაფარული). განსაკუთრებით მრავლადაა ნაპოვნი ამ ფენაში კოლხური ამფორის ფრაგმენტები. დიდი რაოდენობითაა აგრეთვე შავად შებოლილი სამზარეულო კერამიკის ფრაგმენტები (უპირატესად სხვადასხვა ზომის პირგადაშლილი, მუცელი-გამობერილი ქოთნები, მათ შორის რამდენიმე ყურიაანი)⁹¹. აღსანიშნავია ერთი ნატეხი ნაცრისფრად გამოწვარი, ფართომუცლიანი ქოთნის კედლისა, რომლის ზედაპირი ზედა ნაწილში კონცენტრული ღარებითაა შემკული, ხოლო ქვემოთ ტალღისებური ორნამენტია გამოყვანილი⁹². ამავე ფენაში ნაპოვანია, აგრეთვე წითელკეციანი (ადგილობრივი) ლუთერიის ფრაგმენტიც⁹³.

საკმარის ხშირია ამ ფენაში შავპირილა ქურქლის ფრაგმენტებიც. მათ შორისაა შვეულკედლიანი და კალთამომრგვალებული ჯამები⁹⁴. საგანგებოდაა აღსანიშნავი ორი ფრაგმენტი კანთაროსის ტიპის ჯამისა ჰორიზონტალურად მიძერწილი ბრტყელი ყურით⁹⁵.

წითლად გაპირილებულ ქურქელს შორის გამოირჩევა ორი შვეულკედიანი დიდი ზომის მრგვალქუსლიანი თეფში. ერთ-ერთ მათგანზე შემორჩენილია ნახვრეტები (დამტვრეული ქურქლის კედლების გადასაბმელად)⁹⁶. ორივე თეფში ღია მოწითალოდაა გაპირილებული. კეცი უხეშია, მსხვილმარცვლოვანი,

88 № 3—66 : 243.

89 № 3—66 : 236.

90 № 3—66 : 231.

91 № 3—66 : 281, № 3 კედელთან. ეს ფრაგმენტი წითელკეციანია (მხოლოდ ერთ ადგილას შებოლილი) მუცელი წვრილი, პორიზონტული ღარებითაა დაფარული.

92 № 3—66 : 223.

93 № 3—66 : 271.

94 3—66 : 265.

95 № 3—66 : 268.

96 № 3—66 : 266.

შეიცავს ქვიშისა და ოქროსფერი ქარსის წვრილ მარცვლებს და საერთო იერიო ძალზე ჰგავს ადგილობრივი ჭურჭლის კეცს. საფეხრებელია, რომ ეს თეფშები წარმოადგენენ ძვ. წ. II—I სს ფართოდ გავრცელებული წითელლაკიანი, შვეულკედლიანი თეფშების ადგილობრივ მინაბაძებს. კეცის მიხედვით იმავე ტიპისაა იმავე ფენაში ნაპოვნი ოდნავ პირგადაშლილი ღრმაქუქსლიანი თასის ფრაგმენტები⁹⁷. აღსანიშნავია, აგრეთვე თითო ნატეხი მცირე ზომის წითელკეცანი კოქობისა (საცხებით ისეთი, როგორიც მრავლად იყო ნაპოვნი კარიბქის გათხრებისას)⁹⁸ და წითელი სარტყლებითა და წერტილებით მოხატული დოქისა⁹⁹. ამავე ფენაში ნაპოვნია, აგრეთვე ორი ფრაგმენტი შველაკიანი ჭურჭლისა. ერთ-ერთი მათგანის კეცი კარგად გასლექილი, ღია წითელი ფერისაა და ძალზე ჰგავს ატიკური ჭურჭლის კეცს¹⁰⁰. მეორე ფრაგმენტი კიდევსქელებული ფრიალა, ქუსლიანი თეფშისაა. ლაკი „ზეთისნიღის ფერისაა“, მოკლებულია ბრწყინვალეობას. ჭურჭლის შუაგული შემკულია უხეშად გამოყვანილი ირიბი ქდეებით¹⁰¹.

ამ ფენაში მოპოვებული კერამიკა საკმაოდ მრავალრიცხოვანია, მაგრამ ტიპოლოგიური თვალსაზრისით იმეორებს ვანის ნაქალაქარის სხვა უბნებზე აღმოჩენილ ძვ. წ. II—I სს წითელლაკიანი ჭურჭლის ფორმებს. ნაპოვნია: 1. წითელლაკიანი დოქის ქვედა ნაწილი, დოქი მრგვალქუქსლიანია და კალთები კონცენტრული ღარებითა აქვს დაფარული, კეცი მოწითალო ფერისაა, კირქვისა და ქარსის ძალზე წვრილ მინარეებს შეიცავს, მუქი წითელი ფერის ლაკი არათანაბრად აქვს წასმული, ნაღვენთებიანია¹⁰². 2. კალთამორგვალებული, მრგვალქუქსლიანი ღრმა თასი, კეცი მოწითალო ფერისაა (პერგამონული) ოდნავ ქარსიანი, ლაკი შედარებით კარგი ხარისხისაა, ქუსლი შეუღებავი აქვს¹⁰³. 3. მაღალ და შვეულკედიანი ჯამები, პერგამონული¹⁰⁴. 4. განსაკუთრებით ხშირია თეთრკეცანი, დაბალი, შვეულკედიანი ლანგრები. ერთ-ერთ ფრაგმენტს ძირზე შემორჩენილი აქვს ნატევიფრი პალმეტები, ხოლო მათ ირგვლივ სანრიგად გამოყვანილია ოვების ძალზე სტილიზებული გამოსახულება¹⁰⁵, მეორე ლანგრის ძირზე მცირე ზომის ნაკლები კონცენტრული წრეებია გამოყვანილი. ძირზე გრაფიტოა ამოკაწრული¹⁰⁶.

ამავე ფენაში ნაპოვნია პერგამონული წითელლაკიანი რელიეფური სახეებით შემკული თასის ფრაგმენტი, შერჩენილი აქვს სუროს ფოთლის გამოსახულება. ამავე ფენაშია ნაპოვნი, აგრეთვე, პირამიდული ფორმის თიხის საწაფი¹⁰⁷, წითელკეციანი, თათისტარისებური მოყვანილობის მცირე ზომის ამფორისკის ძირი¹⁰⁸ და ბრინჯაოს ზურგშედრეკილი სამაჯურის ნატეხი. ეს უკანასკნელი

97 № 3—66 : 437.

98 № 3—66 : 269.

99 3—66 : 219.

100 3—66 : 311.

101 № 3—66 : 283.

102 № 3—66 : 284/1—18.

103 № 3—66 : 307/1—11.

104 № 3—66 : 308.

105 № 3—66 : 310/1—3.

106 № 3—66 : 307/1—14, 381/1—22 (ეს ფრაგმენტები ყველა ერთი ლანგრისა აღმოჩნდა,

ესინი გაფანტული იყო სხვადასხვა კვადრატებში).

107 № 3—66 : 288.

108 3—66 : 359.

წერილი მავთულისგანაა დამზადებული, მისი ერთი ბოლო (მეორე შემორჩენილი არაა) დაქვლეულია (წარმოადგენს გველის თავის სტილიზაციას). დაფარულია ციანფერი პატინით¹⁰⁹. სამაჭური მცირე ზომისაა და ალბათ ბავშვის სამკაულს წარმოადგენდა.

ნაცრისფერი ფენა, რომლის სიმძლავრე საშუალოდ 80—90 სმ-ია, გადადის მკერძე მოყვითალო-მონაცრისფრო ფენაში. ეს უქანასქნელი საშუალოდ 80—90 სმ სისქისაა.

ნაცრისფერი და მომდევნო მოყვითალო-მონაცრისფრო ფენების საზღვარზე აღმოჩნდა მოყვითალო კირქვის სვეტიან ბაზა¹¹⁰.

მოყვითალო-მონაცრისფრო ფენა მრავლად შეიცავდა კერამიკის ფრაგმენტებს. კრამიტების ძირითადი ნაწილი ადგილობრივია (ყეცი მოწითალო-მოყავისფროა, უხეში, ქვიშის, კვარცისა და ოქროსფერი ქარსის წერილი მარცვლების ხშირი მინარევებით). გვხვდება როგორც ბრტყელი, ასევე ღარიანი კრამიტის ნატეხებიც. ღარიან კრამიტებს შემორჩენილი აქვს ბარისებური შვერილი, რომელიც ვანური კრამიტის სინოპურთან გენეტურ კავშირზე მიუთითებს. ერთ-ერთ ღარიან კრამიტზე შემორჩენილია ნიშანი. ადგილობრივ კრამიტებთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე სინოპური ბრტყელი და ღარიანი კრამიტის რამდენიმე ნატეხიც.

ამავე ფენაში აღმოჩენილია კოლხური ქვევრების ნატეხებიც, ამასთან როგორც შავზედაპირიანი¹¹¹, ასევე, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, წითელზედაპირიანი¹¹². ორივე ტიპის ქვევრების კედლის ზედაპირი წერილი, ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი ღარებითაა დაფარული და ფრჩხილით გამოყვანილი ქვებიტაა შემკული. იქვე ნაპოვნია, აგრეთვე საკმაოდ დიდი ზომის წითელყეციანი და საღაზედაპირიანი უპირო კურკლის (დერგის?) ფრაგმენტებიც¹¹³. გვხვდება, აგრეთვე, დიდი ზომის პირგადაშლილი ჯამის (ლუთერიის?) ფრაგმენტებიც. მათი ყეცი მოწითალო ფერისაა, ქვიშისა და ოქროსფერი ქარსის წერილი მარცვლების შემცველი. ამავე ტიპის კურკელს უნდა წარმოადგენდეს ფრაგმენტები დიდი ზომის რუხყეციანი პირგადაშლილი კურკლისა, რომელიც ნაწილობრივია აღდგენილი¹¹⁴.

საკმაოდ მრავალფეროვანია ან ფენაში აღმოჩენილი სამზარეულო და სუფრის კერამიკა. მრავლადაა ნაპოვნი სხვადასხვა ზომის პირგადაშლილი და მულცულგამობერილი ქოთნები და კოჭობები, მათი ზედაპირი, როგორც წესი ცეცხლზე ხშირი ხმარებისაგან შავდაა შებოლილი. გვხვდება ყურიანი ნატეხებიც. ზოგიერთ ფრაგმენტს ახლავს ორნამენტიც, ძირითადად ტალღისებური ხაზები¹¹⁵. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ნატეხი¹¹⁶, რომელსაც მხარს უმკობს კონცენტრულ წრეებში ჩასმული უხეშად გამოყვანილი ტალღისებური ორნამენტი და თან ახლავს გამოწვავადე ამოკაწრული ნიშანი (ისარიებური). ეს უქანასკ-

109 № 3—66 : 210.

110 № 3—66 : 361.

111 № 3—66 : 412; 386, 387 (ყელის ნატეხები) 369, 429, 319 (ქვევრის პირები — ვერტიკალური, საღაზედაპირიანი).

112 № 3—66 : 413.

113 № 3—66 : 376, 249, 427, 345.

114 № 3—66 : 404.

115 № 3—66 : 370.

116 № 3—66 : 396.

ნელი საეცებით ანალოგიურია იმ ნიშნისა, რომელიც ძალზე ხშირია ვანურ კრამიტებზე და კოლხურ ამფორებზე.

ამავე ფენაში გვხვდებოდა, აგრეთვე, შავად შებოლილი ჯამებიც, მათ შორის ყურიანი ფრაგმენტებიც¹¹⁷. აღსანიშნავია ერთი ნატეხი კალთამომრგვალებული ბრტყელძირა ჯამისა, რომლის პირის გვირგვინი შუაში ღარითაა გამოყოფილი¹¹⁸. ნაპონია, აგრეთვე, დიდი ზომის მრგვალქუსლიანი ჯამის ნატეხებიც¹¹⁹, თიხის მრგვალთაფიანი ხუფები¹²⁰ და წითელკეციანი (ადვილობრივი) ლუთერიის ტუჩი¹²¹.

საკმაოდ მრავალფეროვანია ამ ფენაში აღმოჩენილი დოქების ფრაგმენტები, ერთი ნაწილა წითელკეციანია, მაგრამ განსხვავდება ერთმანეთისაგან მთელი რიგი დეტალებით. ერთი ფრაგმენტი მრგვალპირიანი დოქისაა, ბრტყელგანივკეთიანი ყურის ზედა ნაწილი უშუალოდ პირზეა მიძერწილი, ზედაპირი სადაა¹²². მეორე ფრაგმენტის ზედაპირი აგრეთვე მრგვალპირიანი დოქისა წითლადაა გაპრიალებული, ხოლო ყელი შემკულია წითელი ფერის წვრილი კონცენტრული სარტყლებით¹²³. საინტერესოა ზოგიერთი დოქის ყურის შემკული ყელი ერთ-ერთი დოქისა, რომლის ყელი და მუცლის ზედა ნაწილი წითელი სარტყლებითაა შემკული, ქედიანია, ხოლო ზედა ნაწილში ორი ერთმანეთისაგან ღარით გამოყოფილი შვერილითაა შემკული¹²⁴. მეორე ფრაგმენტი შედარებით ფართოპირიანი, სადაზედაპირიანი დოქისაა. მისი ბრტყელგანივკეთიანი ყურის ზედა ნაწილი ნაპირებზე რქისებური შვერილებითაა შეიკული. (ეს უკანასკნელი ცხოველის „დაცქვეტილი“ ყურების იმიტაციის შთაბეჭდილებას ჰქმნის)¹²⁵. ამას გარდა გვხვდებოდა აგრეთვე, დოქის კედლის ფრაგმენტები, რომლებიც წითელი სარტყლებითაა შემკული (როგორც სადაზედაპირიანი¹²⁶, ასევე წითლად გაპრიალებულიც¹²⁷). ერთ-ერთი დოქის ფრაგმენტზე შემორჩენილია ყავისფერი საღებავით გამოყვანილი სარტყელი¹²⁸. ზოგიერთი ფრაგმენტის მიხედვით ჩანს, რომ დოქების ერთი ნაწილის წითლად გაპრიალებული ზედაპირი, ყელსა და მუცლის ზედა ნაწილზე წითელი სარტყლებითაა გამოყვანილი, ხოლო მხარს ფრჩხილით (?) გამოყვანილი თევზიფხური ორნამენტი აკობდა¹²⁹. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ფრაგმენტი, მისი ზედაპირი წაბლისფრადაა გაპრიალებული და შემკულია წვრილი სავარცხლით გამოყვანილი ტალღისებური ხაზებით, რომელზედაც შავი საღებავით რომბისებური სახეებია გამოყვანილი¹³⁰. სრულიად ანალოგიური შემკულობის მუ-

117 № 3—65 : 377, 452.

118 № 3—66 : 404.

119 № 3—66 : 451

120 № 3—66 : 397, 428.

121 № 3—66 : 424.

122 № 3—66 : 432.

123 № 3—66 : 431.

124 № 3—66 : 290/1—5.

125 № 3—66 : 371.

126 № 3—66 : 321.

127 № 3—66 : 372.

128 3—66 : 322.

129 № 3—66 : 403/1—5.

130 № 3—66 : 434.

ცელგამობერილი და ვიწროყელიანი დოქები ნაპოვნია ოჩამჩირესა¹³¹ და ეშერ-ში¹³².

იმავე ფენაში გვხვდება, აგრეთვე, ყავისფერზედაპირიანი დოქის საკმაოდ მრავალფეროვანი ფრაგმენტები. ერთ-ერთი მათგანი დოქის ზედა ნაწილისაა, მისი ყელი, როგორც ჩანს, ცილინდრული ფორმისაა, ოდნავ პირგადაშლილა (პირის გვირგვინი მომტერეულია). ყელს ძირზე (მხრის დასაწყისში) უყლის მკვეთრად გამოყვანილი რელიეფური სარტყელი. ოვალურგანივკვეთიანი ყურის ზედა ნაწილი უნაგირისებური შევრილითაა შემკული¹³³.

ყველა ზემოთ დასახელებული დოქის ფრაგმენტის კეცი გადანატეხში წითელი ფერისაა, მსხვილმარცვლოვანია და შეიცავს ქვიშის, კირქვისა და ოქროსფერი ქარსის წვრილ მარცვლებს, ასე, რომ ისინი, სრულიად უყოყმანოდ, ადგილობრივი სახელოსნოების პროდუქციად უნდა მივიჩნიოთ.

ამავე ფენაში მრავლადაა ნაპოვნი შავლაკიანი კერამიკაც, რომელიც უპირატესად ლანგრების, თეფშებისა და თასებს სახითაა წარმოდგენილი. ლაკი ამ კურკლის ნატეხებისა, როგორც წესი, შედარებით ცუდი ხარისხისაა, არათანაბრადაა წასმული და მომწვანო ფერის იერი დაჰკრავს, რაც მათ შედარებით გვიანდლობაზე მიუთითებს. გვხვდება შეუულკიდიანი¹³⁴ და პირგადაშლილი¹³⁵ თეფშების ნატეხები, აგრეთვე ფრიალა კიდეშესქელებული თეფშების ფრაგმენტები (ერთ მათგანს ძირზე შემორჩენია ირიბი ჰედები¹³⁶). აღსანიშნავია მაღალკიდიანი, ოდნავ პირგადაშლილი, მრგვალქუსლიანი შავლაკიანი ჯამი. ძირზე შიდა მხარეს ეტყობა ირიბი ჰედები და პალმეტები, ხოლო გარედან შუაში მცირე ზომის კონუსისებური ბურცობები აქვს და თან ახლავს გრაფიტოქუსლის ეს ნაწილი უფრო ყავისფრადაა გამომწვარი¹³⁷. ანალოგიური ჯამები ფართოდაა გავრცელებული ჩრდილო შავიზღვისპირეთის ელინისტური ხანის ნამოსახლარებზე და მათ ძვ. წ. III—II საუკუნეებით ათარიღებენ¹³⁸. ამავე ფენაში გვხვდებოდა აგრეთვე შავლაკიანი დახურული კურკლის ნატეხებიც¹³⁹. ამავე ფენაში მოპოვებულია შავად და წაბლისფრად გაპრიალებული კერამიკაც, რომელიც უპირატესად სხვადასხვა ფორმის ჯამებითაა წარმოდგენილი. შედარებით მრავალრიცხოვანია შეუულკიდიანი ჯამები. ისინი ერთმანეთისაგან პარის სიდიდითა და პროფილირებით განსხვავდებიან. ზოგიერთი ფრაგმენტის პირის კიდე სწორია¹⁴⁰, ხოლო ზოგიერთის ოდნავ შუაშია გაღუნული¹⁴¹. ამას გარდა, გვხვდება აგრეთვე, ოდნავ პირგადაშლილი, კალთამომრგვალებული მრგვალქუსლიანი ჯამებიც¹⁴². აღსანიშნავია, აგრეთვე შავად გაპრიალებული, როგორც ჩანს, დახურული ტიპის კურკლის კედლის ფრაგმენტებიც, ერთ-ერთ-

131 Б. А. Куфтун. Материалы к археологии Колхиды, II. Сб. 75/5.

132 Б. А. Куфтун, Материалы... I, გვ. 43—44, სურ. 12

133 № 3—66 : 291/1—14.

134 № 3—66 : 405 ; 292.

135 № 3—66 : 330—331.

136 № 2—66 : 260 (ამ ფრაგმენტის კეცი აღსანიშნავია).

137 № 3—66 : 408. (№ 1 და № 3 კედლების კუთხესთან).

138 Е. И. Левин, Керамический комплекс III—II вв. до н. э., «Ольвия», М.—Л., 1964, გვ. 253.

139 № 3—66 : 440/1—4.

140 № 3—66 : 399, 106.

141 № 3—66 : 224, 298, 324.

142 № 3—66 : 363, 362.

თი მათგანის კედლები ფართო კანელურებითაა შემკული¹⁴³. ნაპოვნია, აგრეთვე, შავად გაპრიალებული ჯამების ძირებიც, ისინი, როგორც წესი, მრგვალქუსლიანებია (სხვადასხვა ზომის), ზოგიერთ მათგანზე ამოკვეთილია წიწვოვანი ხის სტილოზებული გამოსახულება¹⁴⁴. აღსანიშნავია კიდევ ყავისფრად გაპრიალებული, საკმაოდ დიდი ზომის მაღალკიდიანი (ოდნავ პირგადაშლილი) ჯამის ფრაგმენტებიც (ეს კურკელი, როგორც ჩანს, ყურიანი ყოფილა: შემორჩენილია ანატეკები¹⁴⁵). ამ ფრაგმენტების კეციც, ზოგიერთი ნატეხის გამოკლებით, საკმაოდ უხეშია, მსხვილმარცვლოვანი და შეიცავს ქვიშისა და ქარსის წვრილი მარცვლების მინარევებს და როგორც ჩანს, ადგილობრივი ნაწარმია. საგანგებოდ აღსანიშნავია წითელკეციანი ლანგრის (სათევზე?) ფრაგმენტები. ერთ-ერთი მათგანის¹⁴⁶ პირის კიდე წითელი ფერის, ხოლო მეორე¹⁴⁷ ყავისფერი (წითელ ფერში გარდამავალი) ლაკითაა დაფარული, ხოლო შიდა ზედაპირი შავი ფერის (მეორე ფრაგმენტისა) და ყავისფერი ფართე სარტყლითაა შემკული. ანალოგიურ ლანგრებს ძვ. წ. III ს. დასასრულით ათარიღებენ¹⁴⁸.

ყავისფერი და წითელლაკიანი კერამიკა ამ ფენაში შედარებით მცირერიცხოვანია და ისაც უპირატესად ზედა პორიზონტებში გვხვდებოდა. ნაპოვნია კალთამომრგვალებული წითელლაკიანი თასისა¹⁴⁹ და მაღალქუსლიანი თითისტარისებური მოყვანილობის ამფორისკის ფრაგმენტები, აგრეთვე ყავისფერლაკიანი (წითელში გარდამავალი) კურკლის ნატეხები. ცალკე უნდა აღინიშნოს ბომბალას ფორმის კურკელი¹⁵¹. იგი ყვითელკეციანია და ზედა ნაწილი მოყავისფრო-მოწითალო ლაკითაა დაფარული. აქვეა პერგამული რელიეფური თასის ფრაგმენტი¹⁵², აგრეთვე ნაცრისფერკეციანი „მეგარული“ თასის საკმაოდ მოზრდილი ნატეხი, კალთები „ქერკლისებური“ ორნამენტითაა შემკული, ხოლო ძირზე წრიულ მედალიონში ჩასმული ვარდულია გამოსახული¹⁵³. ანალოგიური ფორმის თასებიც ძვ. წ. III—II სს თარიღდება¹⁵⁴.

ამავე ფენაში ნაპოვნია ოთხი სხვადასხვა ზომის თიხის პირამიდული საწაფი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ამ ფენაში აღმოჩენილი მინის კურკლის სამი ნატეხი. ერთი მათგანი თხელკედლიანი თეთრი ფერის მინისაა. თასის შიდა ზედაპირი პირთან და ქვემო ნაწილში კარგად ნაკვეთი ღარებითა და რელიეფური ქედებითაა შემკული¹⁵⁵. მეორე ფრაგმენტი წარმოადგენს სქელკედლიანი ღია მომწვანო ფერის მინის ქუსლიანი ჯამის ძირს¹⁵⁶.

143 № 3—66 : 272.

144 № 3—66 : 439.

145 № 3—66 : 450.

146 № 3—66 : 366.

147 № 3—66 : 443.

148 Т. Иванов. Антична керамика, «Аполлопия», София, 1963, гв. 232, №

625 а.

149 № 3—66 : 326/1—5.

150 № 2—65 : 328—329.

151 № 3—66 : 367.

152 № 3—66 : 380.

153 № 3—66 : 332.

154 Е. И. Левин, დასახ. ნაშრ. გვ. 252, სურ. 13, 14.

155 № 3—66 : 368.

156 № 3—66 : 409.

განსაკუთრებით საინტერესოა მესამე ფრაგმენტი, სამწუხაროდ ძალზე მცირე ზომისა (შესაძლოა ჯამის ან თასის ძირისა). იგი ორი ფერის მინისაგან ყოფილა დამზადებული: ერთი ნაწილი თეთრი, ხოლო მეორე მწვანე ფერისაა, და როგორც ჩანს, მათ შორის ოქროს თხელი და მცირე ზომის ფირფიტა ყოფილა ჩაფენილი.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ამ ფენამ მეტად მრავალფეროვანი და საყუარადღებო მასალა მოგვცა, რომლის ძირითადი ნაწილი კარგად თარღდება ძვ. წ. III ს-ის დასასრულითა და II ს-ით. მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს ამ ფენაში ნაპოვნი კირხსნარიანი ღულაბის ფრაგმენტები¹⁵⁷, ამასთან ღულაბი გვხვდება როგორც რიყის დიდი ზომის ქვაზე, ასევე კერამიკულ ფილაზე დასხმული¹⁵⁸, ეს უკანასკნელი შესაძლოა კერამიკული ფილებისაგან შემდგარი იატაკის დასაგებად იყო გამოყენებული.

მოყვითალო-მონაცრისფრო ფენა, რომელიც ნაგებობათა შიგნით იჩენს თავს, როგორც ჩანს, მათი აშენების შემდეგაა წარმოშობილი და ასახავს აქ ცხოვრების ერთ-ერთ ეტაპს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფენის აღებას შემდეგ, თითქმის კლდოვან თირზე აღმოჩნდა აღრეანტიკური ხანის ქვევრის ფრაგმენტები. საფიქრებელია, რომ ისინი ეკუთვნოდნენ იმ კულტურულ ფენას, რომლებიც ელინისტური ხანის მშენებლობისას იქნა დანგრეული და რომელიც თავს იჩენს № 2 ნაგებობის შიგნით მოშავო-მონაცრისფრო ფენის სახით. აღსანიშნავია, რომ აქ აღმოჩნდა უფრო ძველი ფრაგმენტებიც, სახელდობრ წინაურე ანტიკური ხანის კერამიკის ფრაგმენტებიც (მაგ. ე. წ. „ზოომორფული“ ყურა)¹⁵⁹.

„ნაცრისფერი“ და „მოყვითალო-მონაცრისფრო“ ფენების აღების შემდეგ გამოვლინდა ნაგებობათა რთული სისტემა (სურ. 117). საესებით აშკარაა, რომ გათხრების შედეგად გამოვლენილი ნაგებობანი არაა მხარეების მიხედვით ორიენტირებული და ისინი რელიეფის შესაბამისად არიან აგებულნი. ნაგებობათა ეს სისტემა, როგორც ჩანს, ამ ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილის გამაგრებას ისახავდა მიზნად და ძირითადი კედელიც (№ 1) უპირატესად, უნდა ვივარაუდოთ, ამ ტერასის თხემს საზღვრავდა.

№ 1 კედელი (სურ. 118) ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხიდანაა გამოვლენილი და კარგად ჩანს, რომ გარე პერანგი უშუალოდ კლდოვან თირზე იქნებოდა ამოყვანილი, ხოლო შემდეგ, მშენებლებს საფასადო ნაწილის საძირკველის ამოსაყვანად თირი ამოუკვეთიათ. ერთ ადგილას თირი ღრმალაა ჩაჭრილი და აქ საწრეტი არხისათვის კედლის ძირში საგანგებო ფოსოა ამოშენებული.

№ 1 კედელი (სურ. 118), რომლის სისქე საშუალოდ 2 მეტრია, მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მისი საფასადო ნაწილი შედარებით კარგადაა შენახული დაახლოებით 10 მეტრის სიგრძეზე და საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ წყობის ხასიათი. კედლის საძირკველი უშუალოდ თირზეა ამოყვანილი. ქვედა რიგი ვიწრო და მოგრძო (საშუალოდ 15×70, 15×90 სმ) ქვათლილებიდანაა შემდგარი, ხოლო უფრო ზემოთ შემორჩენილია წყობის ორი რიგი, რომელიც კარგად გათლილი დიდი ზომის კვადრებისგანაა (55×80,

157 გადაეცა საანალიზოდ ო. ფიცხელაურს.

158 კირხსნარიანი ღულაბის ფრაგმენტები ნაპოვია № 1 და № 3 კედლების კუთხისთან (№ 411, 445).

159 № 3—66 : 242.

50×70 სმ) ნაგები. ქვათლილების ნაპირები ჩამოთლილია და მით შექმნილია ერთგვარი ბალიში, რომელიც, როგორც ჩანს, გარკვეულ სიმაგრეს აძლევდა კედელს. ეს ქვათლილები ჰქმნიან კედლის გარე პერანგს, ხოლო შიდა პერანგი დაბალი და წვარქმელებული, უსწოროდ გათლილი ქვებისგანაა შედგენილი. პერანგებს შორის სივრცე სხვადასხვა ზომისა და უწესრიგოდ ჩაყრილი თირისა და რიყის ქვებით და თიხითაა ამოვსებული. ჩანს, აგრეთვე, რომ პერანგის შიდა ნაწილის ქვებიც ერთმანეთთან თიხითაა დაკავშირებული.

№ 1 კედელს შიდა მხრიდან ედგმის რამდენიმე კედელი, რომლებიც თავისებურ სათავსოებს ჰქმნიან. 33-ე ნაკვეთის i_8 კვადრატში ძირითად № 1 კედელს ედგმის № 2 კედელი, რომელიც თირზეა ამოყვანილი, მხოლოდ ნაწილობრივია გამოვლინებული: კედელი შედის i_{6-7} კვადრატებში, რომლებიც ჭერჭერობით გათხრილი არაა. თხრილის კედლის ქირილში ჩანს, რომ № 2 კედლის შემორჩენილი ნაწილის წყობის სიმაღლე დაახლოებით 2,90 მეტრია და შედგება 16 რიგისაგან. ამ კედლის პარალელური კედელი, რომელიც № 2 კედელთან ერთად ალბათ ჰქმნის ცალკე სათავსოს (№ 1), ჭერჭერობით გამოჩენილი არაა.

№ 2 კედლიდან დაახლოებით 1,20 მეტრის დაცილებით № 1 კედელს მძლავრი კონტრაფორსი (კედელი № 3) აქვს, რომლის სიგრძე 1,60 მეტრია, ხოლო სიგანე თავში (№ 1 კედელთან) 1 მეტრი, ბოლოში კი დაახლოებით 0,75 მეტრი. იგი შემორჩენილია 2,20 მ სიმაღლეზე. ისევე, როგორც № 2 და № 1 კედლების შიდა პერანგი, ეს კონტრაფორსი ვიწრო და გრძელი უწესრიგოდ გათლილი ქვებითაა ნაგები. ამასთან იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი № 1 კედელთან ერთადაა აშენებული (როგორც ჩანს, იმიტომ, რომ კედელი კლდოვან თირზე არ დაკურებულიყო). აღნიშნულ კონტრაფორსს სამხრეთიდან მოშენებული აქვს № 4 კედელი, რომელიც № 5 და № 6 კედლებთან ერთად ჰქმნის ძირითად კედელზე მიშენებულ ცალკე სათავსოს (№ 2).

ამრავალ ზეშაღნიშნულ ფართობზე აღმოჩენილია ძველი ქალაქის შუა ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის ნაგებობათა ერთი წყება. ძირითადი კედლის სიძლიერე გვაფიქრებინებს, რომ ამ შესაძლოა საქმე გვაქვს სასიმაგრიო კედელთან და მასთან დაკავშირებულ სათავსოებთან (კომუნიკაციებთან?).

ამ ფართობზე შესწავლილი ზედა კულტურული ფენები („დანგრეული ალიზისა“ და „მოყვითალო“ ფენები), რომლებიც ზურავენ აღნიშნულ არქიტექტურულ კომპლექსს, როგორც ჩანს, ნაგებობათა ნგრევის პროცესში და მის შემდგომად წარმოქმნილი, ხოლო „ნაცრისფერი“ ფენა ძვ. წ. II—I სს არქეოლოგიური მასალის შემცველი, ასახავს ამ ნაგებობათა ცხოვრების სულ უკანასკნელ ეტაპს. ამავე დროს არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ ეს კედლები (№ 1 კედელი და I და II სათავსოები) უკვე არსებობდა ძვ. წ. III საუკუნის მეორე ნახევარში მაინც. № 7 და № 8 კედლები უშუალოდ დევს „მოყვითალო-მონაცრისფრო“ ფენაზე და სავსებით აშკარაა, რომ ისინი განეკუთვნებიან მშენებლობის შედარებით გვიან ეტაპს. სამწუხაროდ, ჭერჭერობათა ვერ მოხერხდა იმის დადგენა, თუ სახელდობრ როდისაა ძირითადი კედლები აშენებული (არ ჩანს სამშენებლო პერიოდის კულტურული ფენა). უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ელინისტური ხანის მშენებლობისას საგრძნობლად დაზიანებული და თითქმის განადგურებული წინარე ხანის კულტურული ფენები. თუმცა, როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ცალკეული ნაშთები გვიჩვენ-

ნებს, რომ ამ ფართობზე არსებობდა სამოსახლო როგორც ადრეანტიკურ, ასევე წინაანტიკურ ხანაშიც.

საანგარიშო წელს ექსპედიციამ არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ცენტრალური ტერასის სამხრეთ ნაწილშიც, კარიბჭიდან დაახლოებით 200-მდე მეტრის დაცილებით, ზედ გზის პირზე, სადაც ჯერ კიდევ 1966 წლის გაზაფხულზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გზის გაფართოებისას გამოჩნდა კედლის წყობა და დანგრეული კედლის ნაშთები. უკვე მაშინ დადასტურდა აქ საკმაოდ მძლავრი კედლის არსებობა, რომელიც თითქმის ზუსტადაა ორიენტირებული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ამ ნაკვეთის შესწავლა დაიწყო 1966 წელს და გაგრძელდა 1967 წელსაც. საანგარიშო წელს აქ მოიზომა თხრილი, რომლის ზომებია 12X4 მმ. თხრილის მთელ ფართობზე აღებულია საშუალოდ 20—40 სმ სიქის შავი, ჰუმუსირებული ფენა, რომელიც შეიცავდა ალიზი-აგურის უსახურ ნატეხებს, კოლხური ამფორის კედლების, რუხეციანი სამზარეულო კერამიკის ფრაგმენტებსა და სხვ.

ჰუმუსირებულ ფენას, ისევე, როგორც სხვა უბნებზე, აქაც მოსდევს „ალიზიანი“ ფენა, დაახლოებით 1,20 მ სიძლიერისა. „ალიზიანი“ ფენის უკვე ზედა პორიზონტებში ჩნდებოდა საკმაოდ მოზრდილი ცალკეული ქვები. ეს ფენა მრავლად შეიცავდა ალიზ-აგურის, გვერდობაკეცილი და ღარიანი კრამიტების, კოლხური შავ და წითელზედაპირიანი ქვევრებისა¹⁶⁰ და ამფორების ფრაგმენტებს¹⁶¹. ნაპოვნია, აგრეთვე, შავპირადა კურკლისა¹⁶² და ერთი იმპორტული ამფორის კედლის ნატეხი. ეს უკანასკნელი თითქოს მონაცრინაფრო-მოყვითალო ფერის ანგობითაა დაფარული, კეცი გადანატეხში ღია ყავისფერია, კარგად გაცრილი და თანაბრად გამომწვარი, შეიცავს ქარისისა და თეთრი ფერის მინარევეებს¹⁶³. გვერდობდა აგრეთვე, სხვადასხვა ზომის მრგვალთაყვანი და ოთხწახნავა რკინის ლურსმნები¹⁶⁴. საგანგებოდაა აღსანიშნავი, ბოძალის ფორმის ორკაპა (ცალი კაპი მოტეხილია) მასრიანი რკინის ნიეთი¹⁶⁵ და რკინისავე მასრიანი წვეტიანი იარაღი¹⁶⁶ და სხვ.

თავისი შემადგენლობით ეს „ალიზიანი“ ფენა სავსებით ანალოგიურია სხვა უბნებზე დადასტურებული იმგვარივე ფენისა და იგივე წარმოშობისაა: აქ საქმე გვაქვს დანგრეულ და უკვე ამორფულ მასად ქცეულ ალიზის კედლებთან, რომლებიც ფარავენ ჩაქცეულ სახურავს და ნაგებობათა ცხოვრების უკანასკნელ ეტაპთან დაკავშირებულ კულტურულ ფენას.

ალიზიანი ფენის აღების შემდეგ თხრილის თითქმის მთელ ფართობზე ჩნდებოდა რიყის წვრილი ქვები, ამიტომაც მთელი ფართობი საგანგებოდ იქნა პრეპარირებული. პრეპარაციის შედეგად თხრილის დასავლეთ ნაწილში გამოჩნდა კირხსნარით შეკრული რიყის ქვები, რომელთა ზედაპირი საგანგებოდ იყო წაკვეთილი და ერთ დონეზე მოსწორებული (ამასთან რიყის ქვები სხვადასხვა ფერისაა: ძირითადად თეთრი და ძალზე ღია ვარდისფერი). სავსებით აშკარა გახდა, რომ აქ საქმე გვაქვს ძლიერ და საგანგებოდ დანგრეულ და

160 № 3—66 : 556/1—3.

161 № 3—66 : 19.

162 № 3—66 : 27.

163 № 3—66 : 25/1—5.

164 № 3—66 : 32, 306.

165 № 3—67 : 74.

166 № 3—67 — 75.

გადმობრუნებულ მოზაიკურ იატაკთან. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, დაგებული იყო თიხნარ მიწაზე, რომელიც წინასწარ იყო საგანგებოდ გამომწვარი თუ ნახშირ-ნაცროვანი ფენით დაფარული¹⁶⁷. აღნიშნული იატაკი ეკუთვნოდა და უკავშირდებოდა თეთრი კირქვის ბლოკებისაგან აგებულ კედელს. ნაგებობის დასავლეთ ნაწილში გამოჩნდა ორი ქვისაგან შექმნილ სწორკუთხა პოსტამენტზე აღმართული 68 სმ სიმაღლისა და 48 სმ სიგანის ქვიშაქვის სვეტი — საკურთხეველი. აღსანიშნავია, რომ მოზაიკური იატაკის ერთი მოზრდილი ფრაგმენტი საკურთხეველზე იყო დავარდნილი (სურ. 122—126).

„ნახშირ-ნაცროვანი“ შრის აღების შემდეგ გამოჩნდა ყვითელი ფერის მკვრივი თიხნარი ფენა, რომლის ზედა ნაწილი შედარებით სტერილურია, ხოლო უფრო ქვემოთ გვხვდებოდა სხვადასხვა კერამიკული ფრაგმენტები. მაგრამ იქნებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს თიხნარი ფენა დროთა განმავლობაში თანდათანობით კი არაა წარმოქმნილი, არამედ იგი თითქოს საგანგებოდაა ჩაყრილი. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ამ ფენაში ერთდროულად გვხვდებოდა სხვადასხვა დროის მასალები. ერთი ნაწილი კერამიკული მასალისა აღრეანტიკური ხანისაა. მათ შორისაა რელიეფურქედანი და შავზედაპირიანი კოლხური ქვევრებისა და ღერგების¹⁶⁸, ირიბკალთიანი, ბრტყელძირა, შავეციანი ჯამისა¹⁶⁹ და სხვა ფრაგმენტები. საგანგებოდაა აღსანიშნავი ჭურჭლის (დოქის?) კედლის მცირე ზომის ფრაგმენტი. კეცი მოვარდისფროა, კარგად განლევილი და თანაბრად გამომწვარი. ფრაგმენტის გარე ზედაპირი ყვითელი ფერის ანგობითაა დაფარული და ყავისფერი ხაზებით მოხატული¹⁷⁰.

ყველა ეს ფრაგმენტი ძირითადად ძვ. წ. V—IV საუკუნეებისთვისაა დამახასიათებელი. მათთან ერთად იმავე ფენაში ნაპოვნია ელინისტური ხანის კერამიკის ნიმუშებიც: გვერდებზეაქცილი და ღარიანი კრამიტის, შეპირილა ჭურჭლის, წითელი სარტყლებით შემკული წითელეციანი დოქის, შავლაკიანი ჭურჭლისა და სხვა ფრაგმენტები. სავსებით აშკარაა თითქოს, რომ აღნიშნული თიხნარი ფენა დანგრეულ კედლებს შორის სივრცის ამოსასვებადაა გვიანელინისტურ ხანაში საგანგებოდ ჩაყრილი.

თიხნარ ფენაში აღმოჩნდა რკინის ურნალი. იგი წარმოადგენს 104 სმ სიგრძის მასიურ რკინის სამფრთიან ისარს. ისარისპირის სიგრძე 30 სმ — ზოლო ხის ძელზე დასაგები პერანგის სიგრძე უდრის 33 სმ-ს. მისი დიამეტრი ბოლოში 30 სმ-ია. რკინის ურნალი ელინისტურ ხანაში თავდაცვით ნაგებობათა დანგრევის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენდა. ამგვარი იარაღების ელინისტურ აღმოსავლეთში არსებობა დასტურდება როგორც წერილობითი წყაროებით, ასევე არქეოლოგიური მონაცემებით¹⁷¹. ვანში ნაპოვნი რკინის ურნალი ჭერჭერობით ერთადერთია საქართველოში და საერთოდ საბჭოთა

¹⁶⁷ ამ ფენაშია ნაპოვნი ვერცხლის მონეტა — კისტოფორი, რომელსაც დ. კაპანაძე და გ. ლორთქიფანიძე ძვ. წ. 50—49 წწ. ათარიღებენ (იხ. ურნალი „იოსიკარი“, 1967 წ. № 8, გვ. 147), ხოლო გ. დუნდუა კი უფრო იმ აზრისაა, რომ ეს მონეტა ძვ. წ. 200 — 123 წწ. პერგამონშია მოჭრილი (იხ. გ. დუნდუა, ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი კისტოფორის შესახებ — კრებულში „არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში 1969 წელს“).

¹⁶⁸ 3—66 : 560.

¹⁶⁹ № 3—66 : 558.

¹⁷⁰ № 3—66 : 562.

¹⁷¹ დაწერ. იხ. Э.п.и.н.и.ст.и.ч.ес.к.ая т.х.н.и.к.а, გვ. 301 და შემდ.

კავშირის ტერიტორიაზე¹⁷². ახლა ძნელია გადაჭრით თქმა თუ ვის ეკუთვნის ვანში ნაპოვნი ურნალი — ადგილობრივ საქალაქო გარნიზონს, თუ თავდამსხმელ მტერს¹⁷³. სავსებით აშკარაა მხოლოდ, რომ ეს იარაღი არ უკავშირდება ვანის ნაქალაქარის ნგრევის უკანასკნელ ეტაპს და იგი გაცილებით ადრინდელია, ვიდრე ის ნაგებობა, რომელიც ძვ. წ. I საუკუნეშია დაღუპული: როგორც აღვნიშნეთ, ურნალი იმ ნაგებობის იატაკის ქვემოთ, „ნახშირ-ნაცროვანი“ შრის ქვეშ 12—14 სმ სიღრმეზე, საგანგებოდ ჩაყრილ თიხნარ მჭრეშია ნაპოვნი, ე. ი. კედლებს შორის სივრცის ამოვსების დროს ეს ურნალი უკვე არსებობდა და იგი, როგორც გამოუყენებელი საგანი, მიწასთან ერთად ჩაუფლიათ (სურ. 127).

„თიხნარი“ ფენის აღების შემდეგ გამოჩნდა უფრო ძველი ნაგებობის იატაკის ფრაგმენტიც. იატაკი წითელი ფერისაა და შემდეგნაირადაა დაგებული: კლდოვან თირზე საგანგებოდაა დაფენილი დაახლოებით 10—12 სმ თიხნარი ფენა, რომელშიც ჩაყრილია რიყის წყრილი ქვები, ხოლო ეს უკანასკნელი ზემოდან მოლესილია დანაყილი კირქვისა და კერამიკის ნარევეთ. ამიტომაც იატაკი წითელი ფერისაა და ე. წ. ჰიდრაულიკური იატაკის შთაბეჭდილებას ტოვებს. ესაა იატაკი იმ ნაგებობისა, რომლის მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთი ნაწილია ჭერჭერობით გამოვლენილი. გამოირკვა, რომ ძვ. წ. II საუკუნის ბოლოსათვის ეს ნაგებობა უკვე დანგრეულია და ამ დროს ამ ადგილზე შენდება უკვე ახალი, ალიზის კედლებიანი და მოზაიკურიიატაკიანი შენობა. რისთვისაც საგანგებოდ თიხატყეპნილი მოედანია შექმნილი. ამ მიზნით მშენებლებს ძველ ნაგებობის შორის დარჩენილი სივრცე თიხნარი მიწით ამოუყვსიათ... რომ „წითელიიატაკიანი“ ნაგებობა ძვ. წ. II საუკუნის მეორე ნახევარში უკვე დანგრეული იყო, იქიდანაც ჩანს, რომ თიხნარ ფენაში ნაპოვნია წითელსარტყელიანი დოქის ფრაგმენტები, რომლებიც ძვ. წ. II საუკუნეზე უფრო ადრინდელი არ უნდა იყოს. მეორე მხრივ საინტერესოა, რომ თხრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში თავი იჩინა დაახლოებით 10—18 სმ სისქის ნაცროვანმა ფენამ, რომელიც წითელი იატაკის დონეზე დაახლოებით 1,20 მ-ით მაღლა მდებარეობს. სავსებით აშკარაა, რომ ეს ფენა შენობის აგებამდეა წარმოქმნილი და სამხრეთი კედლის მიერაა ჩაჭრილი და დაზიანებული. ამ ფენაში ნაპოვნია ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის ნიმუშები: რელიეფურქედიანი ქვევრების პირისა და კედლის ფრაგმენტები¹⁷⁴, კოლხური სასმისის ძირები¹⁷⁵, ყურმილიანი დოქის ნატეხები¹⁷⁶ და სხვ. ამავე ფენაშია ნაპოვნი ძვ. წ. V საუკუნის ყელგამობერილი ქიოსური ამფორის ფრაგმენტიც.

ამრიგად შესაძლებელი ხდება შემდეგი სურათის წარმოდგენა: აღნიშნულ ნაკვეთზე ძვ. წ. V—IV საუკუნეებში უკვე არსებობდა სამოსახლო, რომლის ნაშთები ნაცროვანი ფენითაა წარმოდგენილი. შემდეგ, უკვე, შესაძლოა ძვ. წ. IV ს-ის დასასრულს, თუ III საუკუნეში, ამ ადგილზე შენდება ნაგებობა, რომელსაც ჰქონდა დანაყილი კირქვითა და კერამიკით მოლესილი წითელი იატაკ-

172 ქერსონესში აღმოჩენილია თავდაცვითი კედელი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ურნალითაა დანგრეული. იხ. В. Д. Блаватский, Античная археология, Москва, 1961, 83-84.

173 დაწვრ. იხ. Г. А. Лордкипანიძე, Наконечник тарана из Ванн, Советская Археология, № 4, 1969.

174 № 3—66 : 10, 13—14.

175 № 3—66 : 16—17.

176 № 3—66 : 11, 24.

კი. ეს ნაგებობა ძვ. წ. II საუკუნის მეორე ნახევარში უკვე დანგრეულია და შექცევ იმავე ადგილზე შენდება ალიზისკედლებიანი ნაგებობა, რომელსაც კირხსნარით გამოგრებული და რიყის ქვებით შედგენილი „მოზაიკური“ იატაკი ჰქონდა. ეს შენობა ქალაქის სხვა ნაწილებთან ერთადაა დანგრეული ძვ. წ. I საუკუნეში.

როგორც აღრე, ისე საანგარიშო წელსაც ვანში მოპოვებული დიდალი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა მნიშვნელოვანი წყაროა ელინისტური ხანის კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების შესასწავლად, როგორცაა: სამშენებლო საქმე (თავდაცვითი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, მოჩუქროთმებული არქიტექტურული დეტალები, კირხსნარის გამოყენება), სამხედრო ხელოვნება (რკინის ურხალი, ხელშუბი, ისრები, ქვის ბირთვები, შურდულის ქვები), ხელოსნური წარმოება (რკინის დამუშავება, კერამიკული წარმოება, საფეიქრო საქმე), ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობა (იმპორტული ამფორები, შავ და წითელ-ლავიანი კერამიკა, ტერაკოტული პლასტიკა და სხვა). ყველაფერ ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ვანის, არამედ მთელი კოლხეთის ისტორიის შესწავლისათვის.

И. В. ХОШТАРИА, О. Д. ЛОРДКИПАНИДЗЕ, Р. В. ПУТУРИДЗЕ, Г. И. ЛЕЖАВА
АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАСКОПКИ В ВАНИ В 1966 г.

Резюме

В 1966 году Ванская археологическая экспедиция Института истории, археологии и этнографии АН Грузии, вновь приступила к раскопкам Ванского городища, прерванным в 1963 году. За отчетный год экспедиции удалось открыть (на ген. плане пл. 51—52, 69—70) и почти полностью раскопать архитектурный комплекс городских ворот, (рис. 92—106) у наружной стены которых сохранился мраморный постамент для статуи (рис. 103) и выцарапанная греческая надпись «Молю тебя владычица». (рис. 99). Ворота фланкируются полукруглой башней и мощными оборонительными стенами, сложенными из прекрасно отесанных рустованных квадров. У входа в город сооружено небольшое культовое здание с алтарем и приношениями (расписанные красными полесками кувшины, миски, амфоры — рис. 107—111). К этому храму ведет мощенная мелким булыжником мостовая (рис. 101). Весь этот комплекс сооружен в III в. до н. э. и разрушен в I в. до н. э.

200 метрах к юго-востоку от ворот открыто и частично раскопано святилище II в. до н. э. В развалинах сильно разрушенного мозаичного пола стоял каменный алтарь (рис. 121—126).

На восточном склоне центральной террасы городища обнаружены ряд сооружений III—I вв. до н. э. Особо большой интерес представляет обилие архитектурных деталей, в том числе — мраморные карнизы и известняковая из известняка гидрия, которая украшала, по-видимому фасад какого-то здания (рис. 94—97).

Добытый во время раскопок весьма разнообразный и многочисленный археологический материал является ценным источником для изучения истории и культуры древней Колхиды (строительное дело, военная техника, керамическое производство, взаимоотношение с греко-эллинистическим миром и др.).

არქეოლოგიური გათხრები ვანში 1967 წელს

საანგარიშო წელს ვანის არქეოლოგიური ექსპედიციამ გათხრებს აწარმოებდა ძირითადად სამ უბანზე.

გაგრძელდა კარიბჭის არქიტექტურული კომპლექსის შესწავლა, კერძოდ ქალაქის დამცველი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის საფორტიფიკაციო სისტემის შესწავლა. ამ მიზნით ექსპედიციამ განაგრძობდა 1966 წელს 70-ე ნაკვეთის B2-6—K 2-6 ხაზებს შორის გამოვლენილი გალავნის კედლის შესწავლას (სურ. 117). ეს კედელი 12 მეტრის სიგრძეზე იქნა გაწმენდილი. შედარებით კარგადაა შენახული კედლის გარეთა პერანგი, რომელიც რუსტიანი ქვებითაა ნაგები. საფასადო ქვათილები სხვადასხვა ზომისაა (50×50×30, 50×40×30, 50×40×26 სმ და ა. შ.). დასავლეთ ნაწილში საფასადო წყობის ორი რიგია შემორჩენილი და მათგან მხოლოდ ზედა რიგია რუსტიანი. შიდა პერანგის მხოლოდ ერთი ქვაა შემორჩენილი (დაახლოებით 40 სმ სიგანისა). მთლიანად კედლის სისქე 2,70 მ-ია. გარე და შიდა პერანგს შორის სივრცე ამოვსებულია უწესრიგოდ გათლილი თირის ქვებით, დიდი ზომის რიყის ქვებითა და თიხით. „ხურდად“ გამოყენებული თირის ქვების ერთი ნაწილი ცეცხლისაგანაა გაწითლებული.

გალავნის კედელი რელიეფის შესაბამისადაა ამოყვანილი და რკალივით გასდევს მიწის ზედაპირს. გამოვლენილი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, საძირკველში თირის ქვებია გამოყენებული, ხოლო ზედა ნაწილი ძლიერაა დანგრეული. საფასადო წყობა მხოლოდ ერთ ადგილასაა გადაჩენილი და იმ ადგილას იგი ამჟამად ძლიერ დეფორმირებული თირის ქვათილებითაა ნაგები. ზოგიერთ ქვათილს ეტყობა რუსტული დამუშავება.

დასავლეთ ნაწილში გალავნის კედელი თირზეა დადგმული და მას ჩაჭრილი აქვს მკვრივი, თირნარევი, ყვითელი ფერის თიხნარი ფენა, რომელშიც გვხვდება ალრეანტიკური ხანის კერამიკული ნატეხები: კოლხური ქედანი ქვევრების, ყურიანი კოლხური სასმისის¹, აგრეთვე ძვ. წ. V ს-ის ატიკური კილასის ქუსლიანი ნატეხი².

გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან ახლოს ექსპედიციამ გამოავლინა კიდევ ერთი, საკმაოდ დიდი ზომის ნაგებობა, რომლის არქეოლოგიური შესწავლა ჯერ კიდევ არაა დამთავრებული. ნაგებობის კედლები კარგად დამუშავებული ქვათილებითაა ამოყვანილი, ხოლო კედლის ზედა რიგები, როგორც

¹ საველე № 3—67 : 130.

² 3—67 : 131.

ჩანს, გამოიწვია ალიზის აგურებით ყოფილა შედგენილი. ყურადღებას იქცევს ძლიერი ხანძრისა და ნვრევის მანიშნებელი ნაშთები: დამწვარი ხის ძელები. თუ სახურავის კოჭები, იატაკზე ჩამოვარდნილი კრამიტები და ალიზის აგურები, ცეცხლისაგან გადამწვარი თიხის ქურქელი და თითქმის წიდად ქცეული ნივთები. იატაკის დონეზე და კედლის ნანგრევებში ნაპოვნი საგნებიდან ვანსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამკედლო იარაღები (რკინის მარწუხი და სხვა). შენობის გარეთ კი ძვ. წ. II—I სს წითელი და შავზედაპირიანი კოლხური ქვევრებია აღმოჩენილი. საგანგებოდაა აღსანიშნავი აგრეთვე, გალანის კედელთან ქვის ჭურვების სიმრავლე, რაც გარკვეულ სამხედრო სამზადისზე მიუთითებს და თავისებური ილუსტრაციაა იმ მღელვარე მოვლენებისა, რომელითაც აღსავსეა ძვ. წ. I საუკუნის პირველი ნახევრის კოლხეთის ისტორია (მითრიდატე VI ევპატორის დაპყრობითი ომები, რომელთა ექსპანსია, ბოსფორისა და პერგამის მეფეთა შემოსევები).

საანგარიშო წელს ექსპლედირა განაგრძობდა აგრეთვე „მოზაიკურიატაკიანი“ ნაგებობის შემდგომ შესწავლას. თხრილი გაფართოვდა ჩრდილოეთის მიმართულებით, რაც ნაგებობის მთლიანი კონტურის გამოვლენას ისახავდა მიზნად. კულტურული ფენების განლაგება ახლად მოზომილ ნაკვეთზე ზუსტად ისეთავე იყო, როგორც 1966 წელს შესწავლილ ფართობზე. ჰუმუსირებულ ფენას მოსდევდა ალიზიანი ფენა, რომელიც კულტურული ნაშთებით საკმაოდ ღარიბია. გვხვდებოდა მხოლოდ კრამიტისა და კოლხური ამფორის კედლების თითო-ორთა ნატეხი. ამათ გარდა ნაპოვნია თიხის პირამიდული ფორმის საწაფი (სიმაღლე — 6 სმ, ფუძე — 3×3,5, თავი — 1,5×1,5 სმ)³, სხვადასხვა ზომის, უპირატესად ოთხწახანა და მრგვალქულიანი რკინის ლურსმნები (სულ 13 ცალი)⁴. აღსანიშნავია, აგრეთვე, ბოძალის ფორმის ორკაპა (ცალი კაპი მოტეხილი აქვს) მასრიანი ნივთი⁵ და რკინისავე მასრიანი, წვეტიანი იარაღი⁶.

ალიზიან ფენას მთელ ფართობზე მოსდევს რიყის ქვაყრილი. ერთი შეხედვით ქვაყრილი საგანგებოდ დაფენილის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, მაგრამ შემდგომში შესწავლამ გვიჩვენა, რომ ეს ქვაყრილი გრძელდება უფრო ღრმად თათქმის საგანგებოდ გამოიწვარ თიხნარ შრემდე, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, მოზაიკური იატაკის მომზადებას წარმოადგენდა. მაგრამ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქვაყრილი ზოგიერთ ადგილას ალიზიან ფენაშია არეული, ხოლო სხვაგან კი, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რიყის ქვებს შორის მოქცეულია კრამიტისა და სხვა კერამიკული ნატეხები. ქვაყრილის ზედაპირზე შეიმჩნეოდა კოლხური ამფორის ნატეხები, აგრეთვე კირხსნარიანი შელესილობისა და მოზაიკური იატაკის ფრაგმენტები. საესებით აშკარა გახდა, რომ ქვაყრილი არ იყო in situ, ამიტომაც სათანადო გასუფთავებისა და ფიქსაციის შემდეგ დაეწყო მისი თანდათანობით აყრა. გვხვდებოდა თითო-ორთალა გამოიწვარი (?) ალიზის აგურის ნატეხები, იშვიათად კრამიტის ნატეხებიც. თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სადაც ნაგებობის ჩრდილო კედლის გაგრძელება იყო სავარაუდებელი, ქვაყრილი ფარავდა კედლის ნანგრევებს. კედლის შიდა პირი მონგრეულია და იატაკიც ჩანგრეული, ზოლო რიყის

3 № 3—67: 73.

4 № 3—67: 67, 76.

5 № 3—67: 74.

6 № 3—67: 75.

ქვები გადამწვარი ალიზის მასაშია აჩუელი. ნაპოვნია რკინის ბოლომობრილი ლურსმნები, აგრეთვე თეთრანგობიანი ამფორისა და კრამიტის ნატეხები.

ქვაყრილის ალების შემდეგ ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილში თითქმის მთელ ფართობზე გამოჩნდა, რომ აქ ერთმანეთის მახლობლად დაახლოებით ორმოცამდე ამფორაა ჩამტერეული. კარგად ჩანდა, რომ ისინი ზემოდან დავარდნილი რიყის ქვების სიმძიმისაგანაა ჩატეხილი. ზოგიერთ ადგილას მოზაიკური იატაკის დიდი ზომის ნატეხები რიყის ქვებიანადაა ჩავარდნილი ამფორის კედლებში. იქვე ნაპოვნია სწორკუთხა ნივთი, 35 სმ სიგრძისა და 3,5 სიმაღლის, რომელსაც შემორჩენილი აქვს ბრინჯაოს მანკვლები⁷. საფიქრებელია, რომ იგი ხის ნივთის, შესაძლოა სკიერის გარსაკრავს წარმოადგენდა. მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს იქვე ახლოს ერთმანეთისაგან დაახლოებით 1,10 მ დაცილებით აღმოჩენილი რკინის 4 სადგარი, რომლებიც იქნებ ხის სკიერის ფეხებს წარმოადგენდნენ⁸. აქვეა ნაპოვნი სხვადასხვა ზომის რკინის ლურსმნები⁹ და ბრინჯაოს თხელი ფირფიტები, რომლებზედაც მანკვლებია შემორჩენილი¹⁰.

ნაგებობის დასავლეთ ნაწილში, საკურთხეველთან ახლოს აღმოჩნდა მთლიანად დამსხვრეული კოლხური ქვევრი. ქვევრის გაწმენდის დროს გვხვდებოდა ერთიანად გაშავებული მიწა, მოზაიკური კენჭები და კირხსნარით დაკავშირებული რიყის ქვები (ე. ი. იატაკის ნაშთები), აგრეთვე მრგვალქუდიანი რკინის ლურსმანი, გვერდებაკეცილი კრამიტის რამდენიმე ნატეხი, კოლხური ამფორის კედლისა და ქუსლის ნატეხები. ქვევრის ნამტერევეებში აღმოჩნდა ერთი მონეტაც¹¹, ხოლო საკურთხეველის წინ მთელი განძი მონეტებისა¹². განძი შეიცავს 120 მონეტას, ესენია პონტოპ სამეფოში მიოთრიდატე ეპატორიპ მიერ მოჭრილი ანეპიგრაფული მონეტები, რომლებიც საკმაოდ იშვიათია¹³.

ნაგებობის შიგნით აღმოჩნდა, აგრეთვე რკინის სასაკმეველე, რომლის ზედა ნაწილი ჭერ კიდევ ალიზის ფენაში იყო მოქცეული. სასაკმეველე ორი ნაწილისაგან შედგება (სურ. 129), ერთი 36 სმ სიმაღლის დაფანჯრულ, კონუსისებური მოყვანილობის ხუფს წარმოადგენს, რომელსაც წვეროზე უწნწში რგოლი აქვს გაყრილი. მეორე ნაწილი დიდი ზომის ჯამია. იქვე, რკინის ჯამთან ახლოს და თვით ჯამზეც ნაპოვნია ბრინჯაოს გარსაკრავის ნატეხები, რომელზედაც ქედური ორნამენტია შემორჩენილი (ოვები და „მარგალიტების“ რიგი, მცენარის ყლორტები, ფრინველის გამოსახულება)¹⁴.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აქვე აღმოჩენილი უზარმაზარი ბრინჯაოს ნივთი, რომლის ცალკეული ნაწილები კარგა დიდ ფართობზე იყო გაფანტული. პრეპარაციის დაწყების პროცესში საგანი წარმოადგენდა ცეცხლისაგან და ზედ დავარდნილი რიყის ქვებისაგან მთლიანად დეფორმირებულ მასას, რომლის შიგნით მოჩანდა სკულპტურული მორთულობის ცალკეული დეტა-

7 № 3—67 : 261.

8 № 3—67 : 254, 257.

9 № 3—67 : 258.

10 № 3—67 : 415.

11 № 3—67 : 223.

12 № 3—67 : 221, 222.

13 დრ. К. В. Голенко. Пситийская анснимная медь, ВДИ, № 1, 1969, გვ. 130—154, სურ. 3.

14 № 3—67 : 174.

ლები (სურ. 130). ნიეთის ნაწილები დაახლოებით 1 მეტრის დიამეტრზე იყო გავრცელებული, ძირითადი მასა კი 30 სმ დიამეტრის მქონე ფართობზე. ამ ნაწილში ნიეთის კედლებს შორის ნაპოვნია ბრინჯაოს ერთი ფრთაგამოლილი არწივის ქანდაკება და ღვთაების ჰორელიეფური გამოსახულება. მის ირგვლივ კი ბრინჯაოს ჭურჭლის ნაწილებს ჰფარავდა ძლიერ დაღეწილი კოლხური ამფორის ნატეხები, რომელიც ბრინჯაოს ნიეთის ნატეხებშიც იყო არეული. შიგვე გვხვდებოდა ცეცხლში გადამწვარი კრამიტის თითო-ოროლა ნატეხიც. მთლიანად ამ ფართობის გასუფთავებისას და ბრინჯაოს ნიეთის ნაწილების ამოღების შემდეგ გამოირკვა, რომ ნიეთის მოსართავ ნაწილებს (სურ. 131—145) ეკუთვნოდა 6 ბრქვალი, რომელიც სადგარს წარმოადგენდა, ფრთაგამოლილი არწივის სპი ქანდაკება, ღონისის წრის სხვადასხვა ღვთაებათა (პანი, სატირი, არიადნე, მენადები) თავების 6 ჰორელიეფური გამოსახულება, აგრეთვე 18 სმ სიმაღლის ნიკეს ქანდაკება. ნიეთის ცალკეული ფრაგმენტები აგრეთვე ჰელური ორნამენტითაა მორთული (ლესბიური კიმატიონი, ტანშიშველი ამურის გამოსახულება და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ნიეთის პრეპარაციის დროს ხშირად გვხვდებოდა გადამდნარი ტყვიის ნაშთები, ხოლო იმ ადგილას, საიდანაც ნიეთი იქნა ამოღებული, მიწის ზედაპირი მთლიანად ნაცრისფრად იყო შეფერილი, როგორც ჩანს, ცეცხლში გადმნარი ტყვიისაგან.

ამრიგად, მოზაიკურიატაკიანი ნაგებობის შიგნით უმდიდრესი მასალა იქნა მოპოვებული, რომლის ერთი ნაწილი აშკარად შეწირულებას წარმოადგენდა (ამფორები, ქვევრი, მონეტები). ბრინჯაოს ჭურჭლის დანიშნულება მის რესტავრაციამდე მთლად ნათელი არაა. შესაძლოა იგი სარიტუალო დანიშნულების ჭურჭელი იყოს, ან მდიდრულად შემკული სადგარი, რაზედაც უნდა მდგარიყო იქვე ახლოს აღმოჩენილი ზემოთნახსენები რკინის სასაქმეველე. ყველაფერი ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მოზაიკურიატაკიანი ნაგებობა, რომლის დასავლეთ ნაწილში საკურთხეველია აგებული, წარმოადგენს საკულტო ნაგებობას — ტაძარს.

ტაძარი სწორკუთხა მოყვანილობისაა, აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებულ. მისი პარალელური კედლების სიგრძე 13 მეტრია, ხოლო სიგანე 5 მ. ნაგებობის სამხრეთი და დასავლეთი კედლები ჭერ კიდეე 1966 წელს იყო გამოვლენილი. ეს კედლები უსწოროდ გათლილი თირის ქვებითაა აგებული, არსებითად ესაა საძირკველი. დასავლეთი კედელი ებჯინება და გადადის კიდეც თირის ბაქანზე სწორედ იმ ადგილას, სადაც ჰქმნის კუთხეს ჩრდილოეთ კედელთან. ამ ადგილას კედელი ძლიერ დანგრეულია და ქვებიც კი აღარაა შემორჩენილი. სავსებით განსხვავებულია ჩრდილოეთი კედელი. ეს უკანასკნელი უშუალოდ თირზე ამოყვანილი, უფრო სწორად კლდოვანი თირის მოპირკეთებას წარმოადგენს: თირის კლდეა ჩამოჭრილი და კედელი ისეა ამოყვანილი. თირის ზედაპირზე კედლის სისქე 1,80 მ-ია (ზუსტად ისევე, როგორც სამხრეთი კედლისა). ჩრდილოეთის კედლის შიდა საფასადო მხარე შემდეგნაირადაა დამუშავებული: ერთ გარკვეულ მანძილზე, ჩრდილო-დასავლეთი კუთხიდან 3 მეტრის დაცილებით, უბრალოდ თირია ჩამოსწორებული და კედლად თითქოს შიშველი კლდეა გამოყენებული. რამდენადმე გაუგებარია, რომ ამ ადგილას თირი, მასზე დადგმული რუსტირებული წყობიდან დაახლოებით 30 სმ-ითაა წინ წამოწეული, ამასთან ცეცხლისგანაა ძლიერ გაწითლებული. შემდეგ კი ძირითადად ქვებითაა მოპირკეთებული. საყურადღებოა, რომ წყობაში სხვადასხვა ჯიშის ქვებია გამოყენებული, უპირატესად თირისა. ამასთან დამუშავების იერი-

თაც ისინი ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავდებიან. ქვების ერთი ნაწილი უსწოროდაა გათლილი, სხვადასხვა ზომისაა, ზოგიერთი რუსტირებულიცაა და საერთოდ ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ შესაძლოა ისინი ადრე სხვა ნაგებობაში იყო გამოყენებული, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თირზე ამოყვანილი 4 რბგია შემორჩენილი. შიდა საფასადო წყობა პირდაპირ თირზეა დაშენებული. იმის გამო, რომ ქვები სხვადასხვა ზომისაა, წყობის პორიზონტული რიგი არაა იდეალურად სწორი (როგორც მაგალითისათვის კარიბჭეზე მიდგმულ საკულტო ნაგებობაში).

ამ კედლის ვაგრაჟლება აღმოსავლეთის მიმართულებით თითქოს მთლიანდაა დანგრეული.

მოზაიკურიტაკიანი ნაგებობა ძვ. წ. I ს-ის შუა ხანებშია ქალაქის დანარჩენ ნაწილებთან ერთად დანგრეული, მაგრამ აგებული უნდა იყოს არაუადრეს ძვ. წ. II ს-ის მეორე ნახევრისა. ამას მოწმობს მოზაიკური იატაკის ქვეშ მოპოვებული მასალა.

საანგარიშო წელს ექსპედიცია შეუდგა, აგრეთვე ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ ფერდობის შესწავლას. ეს ნაკვეთი ადგილობრივი მოსახლის ბოსტანით იყო დაკავებული და აკაციის ხეებითა და ჭაგებით შემოზღუდული. აქ გაყვანილი თხრალის საერთო სიგრძე 64 მეტრია, მთელ ამ ფართობზე კორდოვან შრეს მოსდევდა ჰუმუსირებული შავი ფენა, რომელიც საშუალოდ 40—60 სმ სიმძლავრისაა.

ჰუმუსირებული ფენა, განსაკუთრებით მისი ზედა პორიზონტები, მიწის სამუშაოების შედეგად ძლიერაა დაზიანებული და ზოგიერთ კვადრატებში საკმაოდ გაფხვიერებულიც. ეს ფენა, როგორც წესი, შეიცავს დაშლილი და გადამწვარი ალიზის ნაშთებს; გამომწვარი და გამოუწვავი ალიზ-აგურის, გვერდებაკეცილი და ღარიანი კრამიტის, აგრეთვე ძალზე მრავლად ე. წ. კოლხური ყავისფერ და წითელკეციანი ამფორის ნატეხებს. საკმაოდ ხშირია, აგრეთვე სამზარეულო კერამიკის, უპირატესად ცეცხლისგან შებოლილი და შვადგამომწვარი, პირგადაშლილი, მუცელგამობერილი ქოთნის ნატეხები. აღსანიშნავია ის: გარემდებაც, რომ რადგან ეს ფენა მერმინდელი მიწის სამუშაოებისაგანაა დაზიანებული, ამიტომ აქ თავს იჩენს სხვადასხვა დროის მასალაც (მათ შორის სულ ახალი დროის მინის, თიხისა და ფაიფურის ჭურჭლის ნატეხებიც კი). საგანგებოდ აღსანიშნავია წითელკეციანი, მრგვალგანივკვეთიანი, სიგრძივ დაღარული ყური (წვრილი ვერტიკალური ღარებით, მკვეთრად ამოზიდული ქედებით შექმნილი)¹⁵. იგი თავისი იერით უფრო საშუალო საუკუნეების ნაწარმს მოგვაგონებს. ძირითადად მაინც ჰუმუსურ ფენაში გვიანელისისტური, ვანის ნაქალაქარის სულ უქანასქნელი ეტაპისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური მასალებია მოპოვებული. ესაა უპირატესად კოლხური ამფორებისა და შავ-ზედაპირიანი ქვევრების ნატეხები. გვხვდება, აგრეთვე, თეთრანგობიანი, იმპორტული ამფორის ნატეხები. აღსანიშნავია წითელკეციანი, კარგად განლექილი თიხის ამფორის წაწვეტებულძირიანი ქუსლი¹⁶, აგრეთვე ყვითელკეციანი ამფორის ყელის ნატეხი. პირის გვირგვინი შესქელებული აქვს, მის ქვემოთ ყელი მკვეთრადაა პროფილირებული, ნატეხი საკმაოდ მსუბუქია, კეცი შეიცავს

15 № 3—67: 208.

16 № 3—67: 86.

დიდი ზომის თეთრი ფერის ჩანართებს¹⁷. წითელლაკიანი კერამიკა შეეუღლებიან ლანგრებიტა წარმოდგენილი, მათ შორის რამდენიმე ნატეხი თეთრკეციანია, ხოლო ზოგიერთის კეცი წითელი ფერისაა, მრავლად ქარსნარევი, მათ შორისაა ერთი ძირის ნატეხი, რომელიც მცირე ზომის სამკუთხა ქღებებითა შემკული¹⁸. გვხვდება რელიეფურგამოსახულებიანი მცირე ზომის ფრაგმენტები¹⁹, აგრეთვე გვიანდელი შავლაკიანი კურკლის უსახური ნატეხები²⁰. ამავე ფენაშია ნაპოვნი თიხის პირამიდული საწაფი²¹ და მრგვალქუდიანი რკინის ლურსმანიც²².

ზემოაღწერილ გვიანელინისტურ და როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო გვიანდელ არქეოლოგიურ მასალებთან ერთად შავ, ჰუმუსირებულ ფენაში გვხვდება, აგრეთვე უფრო ადრინდელი კერამიკის ნიმუშებიც, მათ შორისაა ქუსლი, ე. წ. სირჩისებურძირიანი ამფორისა, რომელიც, როგორც ცნობილია, ძვ. წ. IV—III საუკუნეების თასოსის წრის ამფორადაა მიჩნეული²³, მაგრამ მათგან განსხვავებით, ჩვენი ფრაგმენტის კეცი ღია ფერაა, სულ ოდნავ ქარსიანი²⁴. ნაპოვნია, აგრეთვე, ადრეანტიკური ხანის ქვეერის კედლის ნატეხებიც, შავზედაპირიანიც²⁵ და წითელკეციანიც²⁶.

ამგვარად, ჰუმუსირებული შავი ფენა ძირითადად თუშვა გვიანელინისტური ხანის მასალების შემცველია, მაგრამ მასთან ერთად გვხვდება უფრო გვიანდელი ნატეხებიც, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, უპირატესად ახალი ხანის ხშირი მიწის სამუშაოების (დაბარვა, ორმოების ამოღება და ა. შ.) შედეგადაა აქ მოხვედრილი.

ჰუმუსირებული ფენის აღების შემდეგ თხრილის ჩრდილო ნაწილში გამოჩნდა ძლიერ დეფორმირებული კედლის ნაშთი. იგი შემორჩენილია 6 მ-ის სიგრძეზე. კედელი დაფერდებულია და შედარებით უკეთაა შემორჩენილი თირის ქვებით ნაგები პერანგი (ამ ქვების საშუალო ზომაა 25×40 სმ). კედლის სამხრეთ ნაწილში გარე პერანგის მხოლოდ რამდენიმე ქვაა შემორჩენილი. პერანგებს შორის სხვადასხვა ზომის რიყის ქვებია ჩაწყობილი. ასე, რომ ამ კედლის სისქე დაახლოებით 1,80 მ უნდა ყოფილიყო. ამ კედელს შიდა მხრიდან ედგმის ზუსტად იმავე წესით ნაგები კედელი, რომელიც ჭერჭერობით ბოლომდე არაა გამოვლენილი. ეს კედელი სასწრაფოდ აშენებულის შთაბეჭდილებას ტოვებს: იგი უშუალოდ ყვითელ თიხნარზეა დაშენებული და მისთვის საჯანგებოდ საძირკველიც კი არაა გაპრილი. საფიქრებელია, რომ ეს კედელი წარმოადგენდა საძირკველს ალიზის კედლისათვის. ეს უკანასკნელი აქ in situ შემონახული არაა, მაგრამ მისი ნაშთები საკმაოდ კარგად შეინიშნება იმავე ფართობის ქვევით იმ ფენებში, რომლებიც ხურაუდნენ კარიბჭის კომპლექსს.

17 № 3—67: 64.

18 № 3—67: 63, 1—2.

19 № 3—67: 187.

20 № 3—67: 188.

21 № 3—67: 98.

22 № 3—67: 65.

23 ო. И. Б. Зест. Керамическая тара Боспора, გვ. 88 და შემდეგ, ტაბ. X, 23.

24 № 3—67: 96.

25 № 3—67: 66.

26 № 3—67: 212.

დაახლოებით ასეთივე სურათია თბილისის სამხრეთ ნაწილში, სადაც აგრეთვე ჰუმუსირებულ ფენას მოსდევს ჩამონგრეული და დამსხვრეული კრამიტების მძლავრი ფენა, რომელიც ფიქსირებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დაახლოებით 24 მეტრის სიგრძეზე. კრამიტის ფენის სიმძლავრე საშუალოდ 40—60 სმ-ია, ზოგან კრამიტის ნამსხვრევები კოლხური ამფორების ნატეხებშია არეული.

თბილისის შუა ნაწილში ჰუმუსირებული ფენის ადების შემდეგ ჩანს უწყესრიგოდ დავარდნილი თირის ქვების გროვები. დიდი ნაწილი ამ ქვებისა, რომლებიც უთუოდ კედლის ნაშთებს წარმოადგენენ, ცეცხლისგანაა გაწითლებული, გადამწვარია და ამასთან ერთად არეულია რიყის დიდი ქვებისა და ალიზის აგურების ნამტკრევებში.

თბილისის თითქმის მთელ ფართობზე გადარჩენილი კედლის საძირკველი, დანგრეული კედლის ნაშთები, კრამიტყრილიანი შრე—ყველგან დევს ყვითელ, მიწანარევე თიხნარ ფენაზე, რომლის საშუალო სიმძლავრე 1 მეტრს აღემატება. ეს ფენა არაა თანდათანობით წარმოქმნილი და იგი ამიტომაც არ შეიცავს დანაშრევებს. ამ ფენაში უპირატესად მხოლოდ არქიტექტურული დეტალები გვხვდება; უპირატესად კირქვის პროფილირებული კარნიზები, რომელთაც არქიტექტორი გ. ლევაია სახურავის კონსტრუქციის ნაწილებად მიიჩნევს. საგანგებოდაა აღსანიშნავი ყვითელ ფენაში ნაპოვნი თეთრი კირქვისაგან გამოკვეთილი, თითქმის ნატურალური სიდიდის ლომის თავები, რომელთაგან ერთი კედლის მოსართავია²⁷, ხოლო დანარჩენი ორი — ფრონტონის დამაგვირგვინებელი, წვიმის წყლის სადინარად განკუთვნილი სიმის ნაწილს წარმოადგენს²⁸ (სურ. 144—149).

ამავე ფენაში გვხვდება კერამიკული ფრაგმენტებიც, თუმცა ძალზე მცირე რაოდენობით. ყვითელ თიხნარ ფენაში ნაპოვნი მასალებიდან აღსანიშნავია ნატეხები შავზედაპირიანი კოლხური ქვეერისა, რომლის მხრები ორ რიგად განლაგებული ფრჩხილიანებური ჰდეებითაა შემკული²⁹; აგრეთვე გვიანდელი შავლაკიანი ჰურქლის ნატეხები³⁰, სხვადასხვა ზომის თიხის პირამიდული საწაფები³¹. საგანგებოდაა აღსანიშნავი როდოსული ამფორის ყური, რომელზედაც ორსტრიქონიანი დამლა შემორჩენილი³². პირველი სტრიქონი, სადაც ეპონიმის სახელი უნდა იყოს მოთავსებული, ვერ იკითხება, მეორე სტრიქონში კი როდოსული თვის დასახელებაა — დალიოს, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერს შეესაბამება (დამლაში თვე მოცემულია ნათესაობით ბრუნვაში ΔΔΑΙΟΥ).

ყვითელ თიხნარ ფენაში ზოგიერთ ადგილას შეიმჩნეოდა ცეცხლისაგან გამომწვარი და გაწითლებული შრეები. ამასთან, რაც იქნებ განსაკუთრებით საგულისხმოა, კარგად ჩანდა დაშლილი ალიზის ნაშთები, რომლებიც ცეცხლისგანაა გამომწვარი და გამოირჩევა ყვითელი ფერის მასაში.

ყვითელი თიხნარი ფენა მხოლოდ ერთ ფართობზე იქნა მთლიანად აღებული. პროფილირებული კარნიზის ქვეშ ჩამოქცეული კრამიტის შრეა, რომელიც ნამწეზე დევს. თითქმის ისეთივე სურათი დადასტურდა სხვა ნაკვეთზეც,

27 ნაპოვნია 68-ე ნაკვეთზე, კვადრატის h₁.

28 ნაპოვნია 68, f₈ და f₉ კვადრატებში.

29 № 3—67 : 247.

30 № 3—67 : 236, 239.

31 № 3—67 : 240—241, 245.

32 № 3—67 : 246.

არქიტექტურული დეტალი ფენის შუაგულში იყო მოქცეული, ხოლო თვით ფენა დევს დანახშირებულ დამწვარ შრეზე, რომელშიც ჩამტვრეული კრამიტები არეული. ამრიგად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყვითელი ფენა ერთბაშადაა წარმოქმნილი ქალაქის ნგრევის ერთ-ერთ გვიანდელ ეტაპზე, რის შემდეგ მასზევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასწრაფოდ ალუმართავთ ახალი კედლები.

ყვითელი ფენის მომდევნო კულტურული დანაშრევები მხოლოდ ზოგიერთ კვადრატში იქნა შესწავლილი. ყვითელი თიხნარი ფენა მთლიანად დავარდნილია გადამწვარ შრეზე, რომელშიც დამსხვრეული კრამიტებია არეული. კრამიტების ძირითადი ნაწილი ადგილობრივია (გვერდბაკეცილი და ლარჩანი), მაგრამ გვხვდება თითო-ორთა ნატეხი სინოპური კრამიტისაც, მათ შორისაა ნატეხი სინოპური კალიბტერისა, რომელიც დამახასიათებელი ბარისებური შევრილით ბოლოვდება³³. როგორც ცნობილია, ვანის ადგილობრივი კალიბტერაც სინოპურის ანალოგიაა და მის მიბაძვას უნდა წარმოადგენდეს³⁴.

კრამიტნარევე, დამწვარ შრეს მოსდევს მოყვითალო-მონაცრისფრო თიხნარი ფენა, ეს უკანასკნელი ზოგჯერ ფარავს თირის ქვით ნაგებ კედლებს, რომელნიც ჭერჭერობით მთლიანად არაა გათხრილი (იხ. გვეგმა).

მოყვითალო-მონაცრისფრო ფენა დაახლოებით 60—70 სმ სისქისაა. იგი საკმაოდ მდიდარია კერამიკული ნატეხებით. კრამიტის ნატეხებთან ერთად გვხვდება კოლხური ქვევრებისა და ამფორების მრავალრიცხოვანი ნატეხი, რომელთა შორისაა 8 ქუსლი³⁵. საკმაოდ მრავლად გვხვდებოდა აგრეთვე საშხარეულო ქოთნისა³⁶ და ჭამების ნატეხები.

მონაცრისფრო-მოყვითალო ფენა გადადის მუქი ფერის მიწანარევე თიხნარ ფენაში, რომელიც ადრეანტიკური ხანის კერამიკული ფრაგმენტებითაა მდიდარი. აღსანიშნავია, რომ ამ ფენაში სრულებით არ გვხვდება კრამიტის ნატეხები. მთელი კერამიკული მასალა აქ ადრეანტიკური (მაგ. ძვ. წ. VI—IV სს) დამახასიათებელი ფორმებითაა წარმოდგენილი. ყურადღებას იქცევს სიმრავლე შავზედაპირიანი კოლხური ქვევრის კედლებისა, რომელნიც გარედან ვიწრო პორიზონტული ღარებითა და ვერტიკალური მკვეთრად გამოკვეთილი ქედებითაა შემკული. აღსანიშნავია, რომ ნაპოვნია ზუსტად ამგვარივე რამდენიმე ფრაგმენტი, მაგრამ წითლად გამომწვარი ქვევრისა³⁷, რაც პირველი შემთხვევაა როგორც ვანში, ისე კოლხეთის სხვა რაიონებშიც. საკმაოდ ტიპურია ამავე ფენაში ნაპოვნი და ადრეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ქვევრისა და დერგის პირები, რომელთა გარეთევენ გადმოწეული ბაკო დაკბილული სამკუთხა კედლებითაა შემკული³⁸. გვხვდება, აგრეთვე ადრეანტიკური კოლხური სასმისის ნატეხებიც, როგორც მძალაფენიანი³⁹, ისე კონუსისებურძირიანიც. ერთი ასეთი ფრაგმენტი ტალღისებური ხაზებითაა შემკული⁴⁰. ერთი ნატეხი შავადგამომ-

33 № 3—67 : 459.

34 შეად. ო. თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი; 1966, გვ. 128.

35 3—67 : 454, 217—219, 319, 354—356.

36 3—67 : 272.

37 3—67 : 277.

38 3—67 : 301, 304, 381.

39 3—67 : 197.

40 3—67 : 282.

წვარი, ბრტყელძირიანი ჯამისაა, რომლის ოდნავ ირიბი კალთის პირი შიგნით-კენაა ჩახვეული⁴¹. ეს ჯამიც ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენს. აღსანიშნავია აგრეთვე ნატეხი ნაცირისფრად გამომწვარა, სქელკედლიანი ჭურჭლისა, რომლის ზედაპირი შექმულია დაკბილული იარაღით გამოყვანილი დარომბილი ხაზებით. ზემოთ დასახელებული მთელი ეს კერამიკული მასალა, ზოგადად, როგორც უკვე ვთქვით, ადრეანტიკური ხანისთვისაა დამახასიათებელი. ფენის თარიღის დასაზუსტებლად მნიშვნელოვანია იქვე აღმოჩენილი იმპორტული კერამიკა, რომელიც რამდენიმე ნატეხითაა წარმოდგენილი. ესაა ნატეხები ძვ. წ. V—IV სს ატიკური შავლაკიანი კერამიკისა. ერთი მათგანი ე. წ. კანელურებიანი კანთაროსის ტიპის კილიცისაა⁴², რომელიც ჩვეულებრივ ძვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. რამდენადმე უფრო ადრეულია შავლაკიანი ჭურჭლის ყელ-პირის ნატეხი⁴³, რომელიც ორივე მხრივია დაფარული მღალაი ხარისხის ზეთისხილისმაგვარი ელვარების ლაკით. ერთ ნატეხს წითლად მოხატული სარტყელი გასდევს. იგი წითელფიგურული ჭურჭლის ნატეხი უნდა იყოს⁴⁴. ამრიგად ეს ფენა ძირითადად ძვ. წ. V—IV საუკუნეებით თარიღდება. აღსანიშნავია ამასთან დაკავშირებით ამ ფენაში ნაპოვნი სინოპური ამფორის პირისა და კედლების ნატეხები⁴⁵. აღნიშნულ მასალებთან ერთად, ამავე ფენაში გვხვდება თითქოს უფრო გვიანდელი კერამიკული ფრაგმენტები — წითელკეციანი ლუთერიის⁴⁶, წაწვეტებულძირიანი ამფორის⁴⁷ და სხვ. ასევე გაცილებით უფრო ადრინდელი (წინარე ანტიკური ხანის) ე. წ. ზოომორფულუურიანი ჭურჭლის ნატეხიც⁴⁸. მაგრამ ძირითადად აღნიშნული ფენა ძვ. წ. V—IV სს კერამიკული ფრაგმენტებთაა წარმოდგენილი. ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეს ფენა ჰხურავს თირზე ამოყვანილ თეთრი ქვით ნაგებ კედელს, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია ჭერჯერობით გამოჩენილი. თითქოს საყვებით აშკარა უნდა იყოს, რომ ეს კედლის ფრაგმენტი ადრეანტიკური ხანისაა.

ამრიგად, ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე გავლებულმა თხრილებმა დაადასტურეს, რომ ეს ტერასა ძველი ქალაქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია და მისი ფართო მასშტაბით შესწავლა აუცილებელია.

Н. В. ХОШТАРИА, О. Д. ЛОРДКИПАНИДЗЕ, Р. В. ПУТУРИДЗЕ

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАСКОПКИ В ВАНИ В 1967 г.

Резюме

В 1967 г. Ванская археологическая экспедиция продолжала раскопки на нескольких участках городища. К востоку от городских ворот и пристроенного к ним культового здания (раскопанных в 1966 г.) выявлена и расчищена на протяжении 12 м. часть северо-восточной

41 № 3—67 : 302

42 № 3—67 : 313.

43 № 3—67 : 315.

44 № 3—67 : 292.

45 № 3—67 : 380, 347.

46 № 3—67 : 118.

47 № 3—67 : 379.

48 № 3—67 : 385.

крепостной стены (рис. 106). Фасадная часть этой стены сложена из хорошо обработанных рустованных квадров (50×50×30 см 50×40×30 см.). Пространство между внешним и внутренним панцирем заполнено глиной и крупным булыжником. Эти стены, толщиной 2,70 м., вместе с примыкающей с внешней стороны полукруглой в плане башней образуют северо-восточную часть укрепления, сооруженного в начале эллинистического периода и разрушенного в I в. до н. э. Следует отметить, что в некоторых местах, при постройке северо-восточной крепостной стены, прорезан плотный глинистый слой, содержащий материалы раннеантичного периода (обломки колхидских пифосов и бокальчиков, аттического чернолакового килика V—IV вв. до н. э. и др.).

У северо-восточной стены открыто и частично исследовано довольно обширное здание, каменный цокол которого сложен из хорошо обработанных квадров. Найдены в большом количестве сырцовые обгоревшие кирпичи, свидетельствуют об их широком использовании для возведения стен. Обращают на себя внимание следы сильного пожара и разрушения: обугленные деревянные балки, рухнувшая на пол черепичная кровля, пережженные керамические сосуды и т. д. Особый интерес представляют найденные внутри помещения массивные железные клещи и др. предметы. У юго-западного внешнего угла обнаружены раздавленные колхидские пифосы II—I вв. до н. э. Следует отметить также, найденные в большом количестве каменные ядра, что указывает на военные приготовления и в свою очередь являются прекрасной иллюстрацией тех бурных событий, которые переживала Колхида в первой половине I в. до н. э. (завоевательные войны Митридата VI Евпатора, римская экспансия, прабительские нашествия боспорских и пергамских царей).

В 1967 году экспедиции удалось так же почти полностью раскопать т. н. «здание с мозаичным полом», открытое в 1966 году в 200 м. к юго-западу от городских ворот (на ген. плане пл. 199—200). Здание это представляет собой продолговатое прямоугольное помещение длиной 13 м и шириной 5 м (рис. 121). Следует отметить заметное различие в характере кладки его отдельных стен: южная и западная стены сложены из неправильно отесанных квадров песчаника, в то время, как северной стеной служит вертикально обрезанная скала, лишь частично сохранившейся каменной облицовкой (рис. 128). Вход в здание находится с восточной стороны, однако эта часть сильно разрушена и еще не доследована до конца. В глубине здания (в юго-западной части) стоит алтарь — невысокая (70 см.) колонна на прямоугольном каменном постаменте (рис. 126). В развалинах мозаичного пола найдены около сорока раздавленных колхидских амфор и один пифос, 120 медных монет понтийского чекана, а также железная курляница (рис. 129), состоящая из двух частей: конусовидной крышки, ромбовидными отверстиями и «таза», стенки которого по-видимому были обиты найденным там же бронзовым пояском, украшенным штампованным орнаментом (овы и «жемчуг», розетки, растительный орнамент, изображение птиц). Особо большой интерес представляют найденные у алтаря фрагменты огромного, но к сожалению сильно деформированного от огня, бронзового сосуда (рис. 130), от которого сохранились его многочисленные, отлитые из бронзы скульптурные украшения (рис. 131—143): 6 «когтей» (на которых покоился сосуд), три фигурки орлов, с распростертыми крыльями, шесть горельефных изображений головок божеств круга Диониса. Венцом сосуда является 18-сантиметровая статуэтка крылатой богини Ники. «Здание с моза-

ичным полом» с воздвигнутым в глубине алтарем, несомненно, представляло собой святилище, а найденные в нем предметы являются приношениями (за исключением, конечно, курильницы). По стратиграфическим данным святилище построено в II в. до н. э. и разрушено вместе с остальными сооружениями города, в I в. до н. э. (II—I вв датируются также и амфоры, пифос монеты, бронзовый сосуд).

В 1967 году экспедиция приступила к археологическому изучению и восточного склона центральной террасы. На площади длиной 60 м сняты дерновый и следующий за ним гумусированный слой, под которым в северной и южной частях раскопа были выявлены остатки оборонительных стен (отдельные квадры, большая часть которых сильно обгорела от огня). Особо следует отметить найденные на склоне, в желтом, глинистом слое разные архитектурные детали, преимущественно профилированные карнизы, а также высеченные из белого известняка огромные львиные головы (рис. 144—149), из которых одна является декоративным украшением стены, а две остальные симами фронтона. Очевидно, эти монументальные скульптуры принадлежали грандиозному и богато украшенному зданию, поиски которого является одной из основных задач экспедиции.

შლილი ქურქლის ყელი, რომელიც გარედან კონცენტრულ წრეებში ჩასმული ტალღისებური ორნამენტითაა შემკული. კეცი მსხვილმარცვლოვანია, მრავლად შეიცავს პიროქსენისა და ქარსის წვრილ მარცვლებს, თანაბრადაა გამომწვარი².

სამშარეულო კერამიკის ნატეხები ამ ფართობზე შედარებით იშვიათია. სულ რამდენიმე ფრაგმენტი შეგვხვდა ნაცრისფრად გამომწვარი, პირგადაშლილი ქოთნისა. სამაგიეროდ ნაპოვნია ყურიანი მრგვალი ხუფის ნატეხი³.

შედარებით მრავალრიცხოვანია მთელ ამ ფართობზე წითელლაციანი კერამიკა, როგორც იმპორტული, ასევე მისი ადგილობრივი მინაბაძები, განსაკუთრებით ტიპურია სიმრავლე შეეუღლიდნან ჯამებისა, როქელნიც ჰუმულსური ფენისა და საერთოდ ნაქლაქარის გვიანდელი ეტაპის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია. მრავლად გვხვდებოდა თეთრკეციანი და შეეუღლიდნან ჯამის ფრაგმენტები. მათ შორის ერთი კარგად პროფილირებული ქუსლისა, რომელიც შიგნიდან მცირე ზომის ირიბი პლდებით გამოყვანილი წრეებით იქნებოდა დაფარული⁴.

გვხვდება შეეუღლიდნან ჯამების ყავისფერლაციანი ფრაგმენტები⁵. ლაკი ძალზე მუქი ფერისაა, უთანაბროდაა წასმული, კეცი ღია ფერისაა, საკმაოდ ქარსიანი.

შეეუღლიდნან ჯამების ადგილობრივი მინაბაძები რამდენადმე განსხვავდებიან მათი იმპორტული პროტოტიპებისაგან. კეცი უხეშია, მეტწილად უთანაბროდ გამომწვარი და სქელკედლიანი. თიხა განუღეჟავია, თუმცა შეგვხვდა რამდენიმე ნატეხი კარგად განღეჟილი თიხისა⁶. საღებავიც არათანაბრადაა წასმული და ზოგჯერ, როგორც უკვე ცნობილია, შეხამებულია გაპრიალების ტექნიკასთან.

ადგილობრივი ჯამებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, ყავისფრად გაპრიალებული, ძალიან ფართო და მაღალკალთიანი ჯამების ნატეხები. ასეთი სულ ორი ფრაგმენტი⁷. მათგან ერთზე გარედან ამოკაწრულია წრე და მასში ჩასმული ურთიერთგადამკვეთი ხაზები⁸.

ჰუმუსურ ფენაში ხშირია აგრეთვე იმპორტულ ამფორათა, მეტწილად თეთრანგობიანი და სინოპეს ამფორათა ნატეხები.

საგანგებოდაა შესწავლილი საკმაოდ მოზრდილი თიხის მილის ფრაგმენტი. მისი ოდნავ გაფართოებული ბოლო სამ რიგადაა მკვეთრად დაღარული (ღარის ნაპირები წიბოიანია). სამწუხაროდ, ბოლო ნაწილიც დაზიანებულია და კარგად არ ჩანს, როგორი იყო იგი. მილი ჩარხზეა ნაკეთები და წითლად გამომწვარი. გარედან შემკულია წითელი საღებავით გამოყვანილი კონცენტრული წრეებით. ეს გარემოება გამორიცხავს მის წყალსადენ მილად მიჩნევის შესაძლებლობას⁹.

საგანგებო ყურადღებას მოითხოვს, აგრეთვე, გამომწვარი თიხის ერთი მი-

2 № 3—68 : 11.

3 № 3—68 : 8.

4 № 3—68 : 9.

5 № 3—66 : 33.

6 № 3—68 : 18.

7 № 3—68 : 293, 287.

8 № 3—68 : 287.

9 № 3—68 : 7.

ლისებური საგნის ნატეხი, რომელიც უფრო რკინის სადნობი ქურისათვის განკუთვნილი საქშენი უნდა იყოს.

ჰუმუსური ფენის აღების შემდეგ გამოვლინდა გალავნის კედელი, რომელიც უშუალოდ მიყვება ტერასის აღმოსავლეთ ფერდობს და უკავშირდება ჯერ კიდევ 1966 წელს აღმოჩენილ ძვ. წ. III—II სს გალავნის მასიურ კედელს, თუმც მათი შეერთების სავარაუდებელი ადგილი ძლიერ დაზიანებულია და ამიტომაც ვერ მოხერხდა მათი ურთიერთობის ზუსტად დადგენა. სტილისტურად ეს ორი კედელი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია. ახლად გამოვლენილი კედელი ნაკლებ მონუმენტურია და იგი სასწრაფოდ აშენებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. კედელი შემდეგნაირადაა ნაგები: თირის ქვებით ამოყვანილია შიდა და გარე პერანგი, ხოლო შემდეგ მათ შორის სივრცე ამოვსებულია დიდი ზომის რიყის ქვებით, ნაგლეჯი თეთრი კირქვისა და თირის ქვებით. კედლის პერანგი ამოყვანილია თირის ქვებით, რომელთაც წაგრძელებული, წაკვეთილი სამკუთხედის ფორმა აქვთ. ისინი საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან მიჯრილი. წაკვეთილ ნაწილებს შორის სივრცე რიყის წვრილი ქვებითაა შევსებული. შემორჩენილია წყობის სამი რიგი, მაგრამ იგი საკმაოდ დეფორმირებულია და ფერდისკენაა გადაწოლილი. ისიც კარგად ჩანს, რომ შიდა პერანგის თირის ქვების წყობა ერთ შვეულ ხაზზე კი არაა, არამედ კედლის წინ გადაწოლის გამო, ამჟამად კიბისებური ფორმა აქვს მიღებული.

გალავნის კედელი შიდა მხრიდან კონტრაფორსებითაა გამაგრებული. კონტრაფორსები შემდეგნაირადაა ამოყვანილი: მიწის ფენაზე რიყის დიდი ქვებია დაყრილი და მასზეა კონტრაფორსი ამოყვანილი ისე, რომ შედგენილია მაგარი ჩარჩო (თირის ქვით ნაგები), რომლის შიგნით გამოყენებულია დიდი ზომის რიყის ქვები. ამასთან ნაპირებში გამოყენებულია წაკვეთილი სამკუთხედის ფორმის ქვები (ზუსტად ისევე, როგორც გალავნის კედელში).

კარგად ჩანს, რომ კონტრაფორსებიცა და კედელიც სასწრაფოდაა აშენებული. აქ საძირკველიც კი არაა ბოლომდე, ე. ი. თირამდე გაჭრილი. იქმნება სრული შთაბეჭდილება, რომ ეს კედლები განეკუთვნებიან ძველი ქალაქის ცხოვრების სულ უკანასკნელ ეტაპს.

ნაკვეთში ჰუმუსური ფენის აღების შემდეგ გამოჩნდა ნახშიროვანი ფენა და კრამიტის მრავალრიცხოვანი ნატეხები. აქ აღსანიშნავია თეთრანგობიანი და ძლიერქარბიანი ამფორის პირ-კედლის ნატეხი¹⁰ და შვეულკიდიანი და თეთრკეციანი წითელლაკიანი ლანგრის პირის ნატეხი¹¹. იქვეა ნაპოვნი კოლხური ქვევრის პირი, რომელიც გარედანაა დაღარული, ხოლო ყელზე დაქდებული აქვს ორნამენტი¹². აღსანიშნავია შავპირილა თასის პირის ფრაგმენტი, რომელიც შიდა მხრიდან წნეხით გამოყვანილი ბადისებური ორნამენტითაა მორთული¹³.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს ამავე ფენაში ნაპოვნი თიხისაგან გამოძერწილი და შემდეგ გამომწვარი ვერძის თავის გამოსახულება¹⁴.

ჰუმუსურ ფენას თხრილის მთელ სიგრძეზე მოსდევს ყვითელი თიხნარი ფენა. ამ ფენაში კერამიკული ფრაგმენტების რაოდენობა გაცილებით ნაკლებ-

10 № 3—68 : 233.

11 № 3—68 : 224.

12 № 3—68 : 70.

13 № 3—68 : 73.

14 № 3—68 : 71.

ბია. საერთოდ ეს ფენა ნაქალაქარის სხვა უბნებზეც არ ტოვებს დიდი ხნის ცხოვრების შედეგად წარმოქმნილის შთაბეჭდილებას: იგი თითქოს ერთბაშად მოზღვაგებული და დაჯარღნილი. ეს ფენა ძირითადად არქიტექტურულ დეტალებს შეიცავს. მათ შორისაა ტრაპეციის ფორმის ქვის ფილები.

ეკრამიკული ფრაგმენტებიდან აღსანიშნავია როდოსული ამფორის ყური, რომელზედაც დამდა ყოფილა, მაგრამ ამჟამად ველარ იკითხება¹⁵. ნაპოვნია, აგრეთვე შავლაკიანი ქურქლის ქუსლის ნატეხი, რომელიც ძირზე შიგნიდან სამრიგად განლაგებული ქდეებით ყოფილა შემკული (ლაკი საკმაოდ მაღალი ხარისხისაა, ატიკური, ძვ. წ. IV ს)¹⁶. ამავე ფენაშია ნაპოვნი სინოპური ლუთერიის ფრაგმენტი¹⁷. კოლხური დოქის ერთ-ერთ ნატეხზე ყურს ჭეშმით სვასტიკაა ამოკვეთილი (გაპოწეპადე)¹⁸. საგანგებოდაა აღსანიშნავი წითელლაკიანი ლანგრის ფრაგმენტები, რომელნიც ეკუთვნიან თეთრკეციან და შვეულკიდიან ლანგრების ტიპს¹⁹.

ყვითელი ფენის აღების შემდეგ გამოვლინდა კონტური მრგვალი შენობისა, რომელიც ოთხკუთხა საძირკველზეა ამოყვანილი, საანგარიშო წელს მრგვალი შენობის შესწავლა ვერ დამთავრდა, იგი მომავალი წლისათვის გადაიდო.

შენობის საძირკველი იდეალურად გათლილი სწორკუთხა ქვათლილებითაა ნაგები და თირის ქვებით მოგებული. სწორკუთხა საძირკველზე დაშენებული მრგვალი შენობის კედელი 2 მეტრის სიგანისაა, ხოლო მისი შიდა დიამეტრი 10 მეტრს აღემატება. მრგვალი კედლის სამხრეთ ნაწილში აღმოჩენილია ღარიანი სამსხვერპლო ქვა, რაც თითქოს მიუთითებს, რომ აქაც საკულტო ნაგებობასთან — ტაძართან გვაქვს საქმე. ამ ნაგებობის აღმოსავლეთი ნაწილი საგრძნობლადაა დაზიანებული და დანგრეული. ამიტომაც ძნელდება ნაგებობის გეგმის მთლიანად წარმოდგენა. აშკარაა მხოლოდ, რომ ნაგებობის სწორკუთხა კედელს ჩაქრილი აქვს ძვ. წ. V—IV საუკუნეების კულტურული ფენა და ისეა კლდოვან თირზე ამოყვანილი. მეორეს მხრივ, ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გამოვლინდა ფრაგმენტი თირის ქვებით მოგებული მოედნისა, რომელიც, საფიქრებელია, მის თავდაპირველ მისასვლელს წარმოადგენდა. ამ მოედნის ზედაპირზე ფიქსირებულია ძვ. წ. III—II სს კულტურული ფენა (როდოსის ამფორათა დამლიანი ყურების ფრაგმენტები), რომელსაც ფარავს მოზაიკური იატაკის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაშთები. ეს უკანასკნელი 1966—67 წლებში გათხრილი მოზაიკური იატაკიანი ტაძრის იატაკის ანალოგიურია და მასავით ძვ. წ. II—I სს განეკუთვნება.

თხრილის დასავლეთი მიმართულებით გაფართოებისას აღმოჩნდა ძვ. წ. I ს-ის კედლები, რომელიც ყვითელ თიხნარ ფენაზეა ამოყვანილი. ყვითელი თიხნარი ფენა კი ფარავს საკმაოდ გრანდიოზულ კედელს, რომელიც 1,60 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. მისი სიგრძე 17 მეტრს აღემატება. ნაპოვნია ამ კედლის კუთხეებიც, მაგრამ ჩრდილო-და სამხრეთი კედლების გამოვლენა ვერ მოესწრო. ამიტომ ძნელი სათქმელია, ცალკე ნაგებობის საძირკველია ის, თუ მოედნის გასამაგრებელი კედელი. სტრატეგრაფიული მონაცემებით ეს კედელი

15. № 3—68: 227.

16. № 3—68: 230.

17. № 3—68: 75.

18. № 3—68: 129.

19. 3—68: 234. იხ. ნ. მათიაშვილი, იმპორტული ეკრამიკის ერთი ჯგუფი ვანიდან. მაცნე, 1964, № 6 გვ. 299 და შემდეგ.

ძე. წ. III ს-ით თარიღდება და ისევე, როგორც თხრილის სხვადასხვა ნაწილებში გამოვლენილი ძე. წ. III—II ს ნაგებობანი, ამოყვანილია ადრეანტიკური ხანის კულტურულ ფენაზე. ეს უკანასკნელი საკმაოდ დიდ ფართობზე იჩენს თავს და წარმოდგენილია მრავალფეროვანი კოლხური კერამიკით (ქვევრები, ღერვები, ყურმილიანი დოქები, სასმისები, ჯამები და სხვა) და აგრეთვე წითლად მოხატული ე. წ. აღმოსავლური კერამიკისა და ძე წ. V საუკუნის ატიკური შავფიგურული და შავლაკიანი კერამიკის ნატეხებით.

საანგარიშო წელს განახლდა გათხრები ნაქალაქარის ერთ მონაკვეთზე (გენ. გეგმაზე ნაკვეთი — 228), რომელიც ადრევე ცნობილი იყო მნიშვნელოვანი აღმოჩენებით. ამ ნაკვეთიდან მომდინარეობს, მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ორი პოლიქრომული დიადემა. დღესაც ეზოში ყრია კარგად გათლილი მაგარი ქვიშაქვის კვადრები, მათგან ზოგი ძალზე დიდი ზომისა. ისინი აქ, რა თქმა უნდა, შორიდან არ არიან მოტანილი. ზედაპირზე ჩანს, აგრეთვე კედლების ნაშთები და კრამიტების ნატეხები. ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია თავიდანვე ყურადღებით ეკიდებოდა ნაქალაქარის ამ მონაკვეთს და ყოველწლიურად აწარმოებდა მის ზედაპირულ დათვალიერებას, ხოლო 1959 წელს მოხერხდა აქ არქეოლოგიური თხრის ჩატარებაც²⁰. ამ სამუშაოს მოკლე ანგარიშში ნინო ხოშტარია ახსენებს ძველი ნაგებობის ნაშთებსა და მისი კვადრების დასამაგრებელ რკინის პიროსს, რომელიც მაშინ მიწის ზედაპირზე მოჩანდა. სწორედ ეს ადგილი გათხარა ამჟერად ექსპედიციამ და გამოავლინა დიდი ნაგებობის ნაშთები.

ეს ნაგებობა, რომლის მხოლოდ აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლებია გადარჩენილი, სვეტებიანი უნდა ყოფილიყო. სვეტების საფუძვლები წარმოადგენენ თლილი ქვით ნაგებ კონტრაფორსებს, რომლებიც აღნიშნული კედლების საძირკვლის წყობასა აქვს მიუწეებელი. აღმოსავლეთ კედელს სამი ასეთი კონტრაფორსი აქვს (სურ. 150, სურათზე მოჩანს პირველი და მეორე კონტრაფორსი). სამხრეთის კედელს კი ერთი (სურ. 151). თითოეულ მათგანს ზედაპირზე ოთხკუთხა ფოსო აქვს, როგორც ჩანს, ხის ოთხკუთხა განივევებინი სვეტის ჩასამაგრებლად.

კონტრაფორსები სხვადასხვა სიღრმისაა, რადგან მათი აგება შეფარდებულა რელიეფთან, ისინი თირზე დაშენებული, ამ მონაკვეთზე კი თირი სხვადასხვა სიღრმეზეა, იგი ჩრდილოეთისაკენ მაღლდება და ამიტომაც უკიდურესი კონტრაფორსი ჩრდილოეთით ყველაზე ნაკლები სიღრმისაა — იგი მხოლოდ ორი წყება გათლილი ქვებისაგან შედგება.

ნაგებობის კედლიდან კონტრაფორსები 80 სმ-ითაა წინ წამოწეული. ისინი, როგორც აღვნიშნეთ, კარგად გათლილი ქვიშაქვებითაა ნაგები, მაშინ, როდესაც კედლები აგებულია რიყისა და ნაგლეჯი ქვებით. მხოლოდ სამხრეთის კედლის კონტრაფორსს აქვს ძირში დაგებული რიყისა და ნაგლეჯი ქვა, ზევიდან კი მასაც კარგად გათლილი კვადრები ადევს (სურ. 151).

ნაგებობის აღმოსავლეთი კედელი მიწის ზედაპირიდან 1,20 მ სიღრმეზე გრძელდება, მისი სიგანე კი 1,37 მეტრია. გრუნტი შემადგენელია ამ მონაკვეთზე დასავლეთისკენაც, ამიტომ სამხრეთი კედლის დასავლეთი ნაწილი ნაკ-

²⁰ იხ. Н. В. Хоштариа. Археологические раскопки в Ване в 1959 г. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1959 წლის საკულტურო-არქეოლოგიური კულევაძების შედეგებისადმი მოხსენებათა ანოტაციები და სამუშაო გეგმა, თბილისი, 1960, გვ. 48—49.

ლებად ღრმად, იგი წყდება თანამედროვე სახლის აღმოსავლეთ კედელთან ახლოს და ალბათ ამ უკანასკნელის აშენების დროსაა მისი გაგრძელება საბოლოოდ დანგრეული. რაც შეეხება შენობის აღმოსავლეთ კედელს, იგი ჩრდილოეთით მესამე კონტრაფორსის შემდეგ აღარ გრძელდება, რადგან აქ თირი მალაა, კედლის საძირკველიც ზევით იქნებოდა, ზედაპირთან ახლოს და იქიდან ადვილად ამოკრებდნენ ქვას საშენ მასალად. თუმცა თხრილი კარგა მანძილზე იქნა გაგრძელებული ნაგებობის ჩრდილოეთის კედლის საპოვნელად, ცდა უშედეგოდ დამთავრდა, ვერც კედელი მოიძებნა და ვერც მისი საძირკვლის რაიმე ნაშთი. აქაც უნდა ვიფიქროთ, ქვები შედარებით ახალი ამოკრეფილია და ამჟამად ამ მონაკვეთზე არსებული სახლის „ბალატის“ მშენებლობაზე გამოყენებული.

ნაგებობის სამხრეთი კედლის გადარჩენილი სიგრძე 9 მეტრია, ყველაზე ღრმა ადგილას იგი 1,40 მ-ია, მისი სიგანე კი დასავლეთით მხოლოდ 90 სმ. სამხრეთი კედლის შიდა ფასადის წყობა უფრო მდარეა, ვიდრე ნაგებობის აღმოსავლეთი კედლის გარე ფასადისა. აქ უმთავრესად თირის სხვადასხვა ზომის ქვებია გამოყენებული, შიგა და შიგ თეთრი ქვა და რიყის დიდი ქვებიც ურევია.

აღმოსავლეთი კედელი აღნიშნული ნაგებობისა უფრო საგულდაგულოდაა აგებული. წყობის ხასიათით იგი ძლიერ ჰგავს აქვე, სასოფლო გზის მეორე მხარეს 1966—67 წლებში გათხრილი მოზაიკურიბატაკიანი ტაძრის ნანგრევებს, თუმცა, მისგან განსხვავებით, კონტრაფორსებიანი ნაგებობის კედელს აქა-იქ რიყის ქვებიც ურევია, ტაძრის კედელი კი მთლიანად თირის ქვებითაა ნაგები.

როგორც ირკვევა, ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთზე აღნიშნულ ნაგებობაზე უფრო ძველი შენობაც ყოფილა, იქიდან უნდა მომდინარეობდეს ქვიშაქვისაგან გამოკვეთილი კაპიტელის ნატეხი, რომელიც I და II კონტრაფორსებს შორის იყო ჩაშენებული ნაგებობის აღმოსავლეთ კედელში (სურ. 150). აღმოსავლეთი კედლის წინ, მიწის ზედაპირიდან 0,85—87 მ-ის სიღრმეზე იწყება ქვაყრილი და გრძელდება თირამდე, ეს ქვაყრილი ისეთივე შემადგენლობისაა, როგორისაც კედელი, ამიტომ საფიქრებელია, იგი ძველადვე დანგრეული კედლიდანაა გადმოკვენილი. ქვაყრილში არის სამი გათლილი კვადრი, რომელთაგანაც თითოეულს თათო სწორკუთხა ფოსო აქვს ბრტყელ გვერდზე, თითო გვერდი კი რუსტულადაა დამუშავებული.

ფართობი, რომელიც უჭირავს ნაგებობას, მთლიანად არის გადათხრილია და ალბათ არაერთგზის, ეს კარგად ჩანს თხრილის სტრატოგრაფიულ ჰრილში. აქ ყველა ფენა დაზიანებულია, ვხედებით ქვის ნათლის შრეებსაც, რაც აგრე დამახასიათებელია ვანის ნაქალაქარის ყველა ქვის ნაგებობის მახლობელი ფენებისათვის, მაგრამ ეს შრეები ნაწყვეტ-ნაწყვეტია და გადათხრის კვალი კარგად ეტყობა. გადათხრილია ნაგებობის შიდა ფართობიც, აქ არსად არ შეიმჩნევა ნაგებობის იატაკის დონე, თუმცა იგი ალბათ კონტრაფორსების ზედაპირის სიმაღლეზე მაინც უნდა ყოფილიყო. იგი სავსებით განადგურებულია.

ნაგებობის შიგნით გათხრილმა მონაკვეთმა მოგვცა მთელი წყება ისეთი საგნებისა, რომლებიც აქ დაშლილი სამარხების არსებობას გვაგვარაულებინებს.

კონტრაფორსებიანი ნაგებობის აღმოსავლეთით, მისგან 6 მეტრის დაცილებით, მიწის ზედაპირთან სულ ახლოს კიდევ ერთი შენობის კედლები გამოვლინდა. კედელი მიემართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და სამხრეთით კუთხეს აკეთებს, თუმცა აქვე ახლოს წყდება. იგი ნაგებია უმთავრესად თეთ-

რი ქვით, რითაც ძალზე გამოირჩევა კონტრფორსებიანი ნაგებობისაგან. ამგვარი ქვით ნაგები კედლები ვანის ნაქალაქარის სხვა უბნებზე მხოლოდ წინაელისტურ ხანაში ვეაქვს მცირე ფრაგმენტებად შემორჩენილი. ამ კედლის დასათარიღებლად გარდა ასეთი პარალელისა, სხვა არაერთარი მასალა არ მოგვეპოვება. იგი ისე ახლოა მიწის ზედაპირთან და ისე არაღრმად გრძელდება (თირამბდე აქ ძალიან მცირე მანძილია) რომ არქეოლოგიური მასალის მასთან დაკავშირება ვერ ხერხდება. რაც შეეხება კედლის წყობას, გარეგნული იერის მიხედვით იგი ადვილად შეიძლება ადრეანტიკური ხანისად მივიჩნიოთ²¹. კედლის სიგანე 2 მეტრია, გადაჩენილია სულ ქვების სამი წყება. ახლო-მახლო მოპოვებული მასალა ელინისტური ხანისაა, მათ შორისაა რამდენიმე კოლხური ამფორის ნატეხი და შავლაკიანი ასკოსის მრგვალი ყურის ნატეხი, ყველაფერი ეს უფრო გვიან შეიძლება მოხვედრილიყო ამ კედლის მახლობლად.

კონტრფორსებიანი ნაგებობის აღმოსავლეთით გაიჭრა თხრილი 4 მ X 2 მ ზომისა, მისი კრილი ასეთ სურათს იძლევა: ზედაპირიდან 25—27 სმ-ის სიღრმემდე ფხვიერი, გადაბრუნებული ნიდაგი — კორდოვანი, ჰუმუსირებულ ფენა, მის ქვეშ მკვრივი, ყვითელი თიხნარი 50 სმ სისქისა, იგი მცირედ, მაგრამ მაინც შეიცავს გვიანელისტური ხანის კერამიკის ნატეხებს. ამას მოსდევს ქვყრილი და ფხვიერი მიწა, მასში აღმოჩნდა ბრინჯაოს საკინძი, ქვები მოზრდილია, რიყისაც არის და თირისაც. ეს ფენა 97 სმ სიღრმისაა და მერე გრუნტი — თირის კლდე იწყება.

ნაგებობის გადაჩენილი კედლების ჩრდილოეთით, აღმოსავლეთის კედლის გაგრძელების ძებნისას აღმოჩნდა თირში ჩაჭრილი პატარა არხი, რომელიც გარკვეულ მანძილზე რიყის დიდი ქვებით იყო ამოვსებული. თავის დროზე ეს არხი წვიმის წყლის სადინარი უნდა ყოფილიყო, იგი დაქანებულ ადგილზეა გაჭრილი და ისეთი ვიწროა (28 სმ სიგანისა), რომ სხვა ვერაფრისათვის გამოდგებოდა. მთელ სიგრძეზე არხი შავი მიწითაა ამოვსებული.

კონტრფორსებიანი ნაგებობის გარშემო და მის შიგნით მოპოვებული არქეოლოგიური მასალის დიდ ნაწილს, როგორც მოსალოდნელიც იყო, კერამიკა შეადგენს. მათ შორისაა კრამიტები, ალიზი, სხვადასხვა დანიშნულებისა და წარმოშობის კურკელი. დიდი რაოდენობით გვხვდება რკინის ლურსმნები და ბრინჯაოს სამკაულის ნატეხები, რომელნიც ჩვენის ვარაუდით დანგრეული სამარხებიდან უნდა მომდინარეობდნენ.

ქრონოლოგიურად მთელი ეს მასალა თავსდება ძვ. წ. V—I საუკუნეებში და თითქმის ყველა ეს საუკუნეა წარმოდგენილი მეტ-ნაკლებად უხვად. როგორც ჩანს, ცხოვრება ნაქალაქარის ამ მონაკვეთზე განუწყვეტელი იყო ქალაქის არსებობის მთელ მანძილზე და მოიშალა ქალაქის დაღუპვასთან ერთად ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანების ახლოს. აქ, ისევე როგორც სხვა უბნებზეც, გვხვდება ცხოვრების შემდეგ განახლების ცალკეული ნიშნებიც, ამ შემთხვევაში აღრეფეოდალური ხანისა. ანუ ნიშნად ჩვენ მიგვაჩნია კონტრფორსებიანი ნაგებობის აღმოსავლეთით გაჭრილი საკონტროლო თხრილში მიწის ზედაპირიდან 70 სმ-ის სიღრმეზე აღმოჩენილი რკინის ისრისპირა²², სამფრთიანი, ღერაკიანი, მისი სიგრძე 8 სმ-ია, უღიღესი სიგანე 2 სმ. ჰსგავსი ისრისპირები გვხვდე-

²¹ ზეაღ. მაგ. Б. Д. Блаватский. Отчет о раскопках Папникаея в 1945—1949, 1952 и 1953 гг. МИА, გვ. 13 და შემდ.

²² საგ. 14 3—68: 166.

ბა ბიჭვინტაშიც, ადრებიზანტიური ხანის ფენებში, ეს ისრისპირი არის ჭერჭერობით ამ მონაკვეთზე ყველაზე გვიანდელი საგანი.

ყველაზე უფრო ძველი საგანი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ნაკვეთზეა ჭერჭერობით ნაპოვნი, არის კოლხური ქვევრის კედლის ნატეხი²³, დეფორმირებული ცეცხლში მოხვედრის გამო (თუ წარმოების წუნი?). ნატეხი მსხვილ-მარცვლოვანი, ვარდისფერსარჩულიანი, გარედან შავად გამომწვარი თიხისაა, ზედაპირი შემკული აქვს ორი ირგვლივი, რელიეფური ზოლით, რომლის ქვეშ ირიბი, სიგრძივი ზოლები დაუყვება. ზოლებს შორის მანძილი 1,8—1,5 სმ-ია. ეს არის ადრეანტიკური ხანის კოლხური ქვევრის არც თუ შაბლონური ნიმუში. იგი ნაპოვნია კონტრაფორსებიანი ნაგებობის სამხრეთი კედლის შიდა ფასადთან, ფხვიერი ფენის ქვეშ მდებარე შავ ფენაში შავლაკიანი ჭურჭლის ნატეხთან ერთად²⁴, რომელსაც ზედაპირზე ექნევა ზოლი. საფიქრებელია, რომ იგი წითელფოფურული უნდა ყოფილიყო. მსგავსი ჭურჭლის ნატეხი აღმოჩენილია ნაგებობის აღმოსავლეთით მდებარე კედლის გაწმენდისასაც²⁵. ეს ჭურჭელი თხელკედლიანია და ისეთი მძალი ხარისხის ლაკით არის დაფარული, როგორც მხოლოდ ატიკაში მზადდებოდა ძვ. წ. V—IV საუკუნეებში²⁶. ეფიქრობთ, შესაძლოა მოხატული ჭურჭლის კედლის ბაწია ნატეხი იონური კერამიკის ნიმუში იყოს²⁷. ნატეხის სიმციერის გამო მის სადაურობაზე კატეგორიული მსჯელობა კირს. იგი წმინდად განლექილი თიხისაა, ღია ვარდისფერ ფონზე ყავისფერი ზოლებით მოხატული, ნაპოვნია კონტრაფორსებიანი ნაგებობის სამხრეთი კედლის გარედან წმენდის დროს. მასთან ერთად ნაპოვნია ზომორფული შეერილებით შემკული წითლადგამომწვარი ჭურჭლის ყურის ნატეხი²⁸.

ძვ. წ. V საუკუნეს ეკუთვნის აგრეთვე პატარა ისრისპირი²⁹ ბრინჯაოსი, აღმოჩენილი ნაგებობის შიგნით გაკრილ თხრილში. იგი უმასროა, სამწახნაგა, სიგრძით 2,2 სმ, ჰგავს ასევე დათარიღებულ საერომატულ ისრისპირებს. რომლებიც დიდი რაოდენობითაა მოპოვებული სკვითური ხანის სამარხებში³⁰.

ღარღვეული სამარხების ინვენტარიდან აღსანიშნავია ქვის მძივის ნატეხი³¹ მრავალფენიანი (სამფერი, წითელი, ნაცრისფერი, შავი, აქატისა; მასთან ერთად ნაგებობის შიდა ფართობში აღმოჩნდა მთლიანი მძივიც მინისა³², დიდი (ღმ — 2 სმ) ლურჯი, ტანდალარული, მანდარინისებური მოყვანილობისა, მრგვალნახვრეტისანი. აგრეთვე მინის საკიდი თუ საკინძის თავი, ჩაქუჩისებური მოყვანილობისა, ღია მწვანე, გამჭვირვალე მინისა, ნახვრეტისანი. აქვეა ბრინჯაოს საკინძი³³, თავდაკბილული, მისი სიგრძე 5,5 სმ-ია.

23 სავ. № 3—68 : 59.

24 № 3—68 : 57.

25 № 3—68 : 164.

26 В. Д. Блаватский. История античной расписной керамики, Москва, 1953,

27 24 და 25-ე მ.

27 № 3—68 : 237.

28 № 3—68 : 235.

29 № 3—68 : 267.

30 К. Ф. Смирнов, Вооружение Савроматов, МИА, № 101, Москва, 1961 გვ. 56—57, ტაბ. V, 16, 17 და სხვ.

31 № 3—68 : 264.

32 № 3—68 : 263.

33 № 3—68 : 266.

რამდენიმე საგანი, რომლებიც აგრეთვე სამარხეულ ინვენტარს უნდა შე-
ადგენდეს. აღმოჩნდა ნაგებობის კედლებს გარეთაც, მათ სიახლოვეს: ბრინჯა-
ოს საყრდნე³⁴, რომელსაც თავი ღრუ სფეროსებური ჰქონია (ამჟამად გადარჩე-
ნილია სკვაროს მხოლოდ ქვედა ნახევარი), 10 სმ სიგრძისაა, სფეროს დიამეტრი
კი 0.8 სმ-ია. მრგვალვანიკვეთიანი ბრინჯაოს მავთულის ნატეხი³⁵, რომელიც
შესაძლოა სამაჯურის ნატეხი იყოს, ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხი³⁶, რომელსაც
ღრმად დაკეჭნილი ღერო აქვს და სხვ.

ცალკეა აღსანიშნავი შინახელოსნობასთან დაკავშირებული საგნები — პი-
რამიდული საწაფები³⁷, თიხის კვირისტავი და სხვ.

ამ უბანზე მონეტის აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევა გვაქვს. ესაა სპი-
ლენძის მონეტა, ქალაქ ამისოში ძვ. წ. 115—105 წლებს შორის მოჭრილი ტე-
ტრაბაქა³⁸. მონეტა ნაპოვნია კონტრაფორსებიანი ნაგებობის შიგნით გაჭრილ
თხრილში პირველივე ბარისპირზე კორდოვან ფენაში. მონეტა შედარებით კარ-
გადაა დაცული და კეთილშობილი პატინით დაფარული, აეერსზე გამოხატუ-
ლია არესის პროფილი მუზარადში, ხოლო რევერსზე დაშნა და ყვავილი.

საინტერესოა ნიმუშებითაა წარმოდგენილი ადგილობრივი და იმპორტული
ამფორები, თუმცა რაოდენობრივად ბევრი არაა. შეიძლება ითქვას, რომ უნი-
კალურია კოლხური ამფორის ერთი ქუსლი³⁹, რომელზედაც ძირთან სულ ახ-
ლოს გამოწეამდე ამოღარულია ნიშანი. კოლხურ ამფორებზე გამოწეამდე შე-
სრულებული ნიშნები ხშირად გვხვდება, მაგრამ ისინი ჩვეულებრივ ყელზე ან
მხრებზეა გამოყვანილი, იშვიათად ყურზეც, ეხლა კი ირკვევა, რომ ნიშნებს
ძირზეც უკეთებდნენ. მსგავსი მოყვანილობის ნიშანი კოლხურ ქვევრებზეც
გვხვდება.

იმპორტული ამფორების ნატეხებიდან აღსანიშნავია სუფთად განლექილი,
ღია ვარდისფერი თეთრანგობიანი ამფორის ძირი⁴⁰, მისი ქუსლი რკოსებური
შეერილით ბოლოვდება, თიხას ურევია ქარსის ძალზე წმინდა ნამცეცები. ტა-
ნასკენ ქუჩაში მკვეთრად ფართოვდება და შერჩენილი კედლის ნატეხი მის
თხელკედლიანობაზე მიგვიითითებს.

ნაგებობის შიგნით გაჭრილ თხრილშივე ნაპოვნია ამფორის ყურის ნატე-
ხი⁴¹, რომელსაც ყურის დასაწყისში რომბის მოყვანილობის ღრმა ნაქდევი აქვს
დამღისათვის, თუმცა დამღის არავითარი კვალი გარდა ამ ნაქდევისა, არ შემო-
ნახულა. ამფორა აგურისფერადაა გამოწევაში, მახვილმარცვლოვანია, ურევია
თეთრი კვარცხისა და შავი და თეთრი მბრწყინავი ნამცეცები, მოგვაგონებს
ეანშივე 1967 წელს მოზაიკურიატაკიანი ტაძრის მახლობლად აღმოჩენილ თა-
სოსურ აფფორის დამღიანი ყურის ნატეხს. ვფიქრობთ, შესაძლოა ეს ყურიც
თასოსურ ამფორას ეკუთვნოდეს. ჩაქდეული რომბის ზომებია: 1,5×1,4 სმ, ეს
არ არის თასოსური ამფორებისათვის ტიპური დამღა, თუმცა გამოწევის
ხშირად გვხვდება. გარდა ამისა, ეს შესაძლოა მეორე ყურის დამღა იყოს, რო-

34 № 3—68 : 297.

35 № 3—68 : 169.

36 № 3—68 : 62.

37 № 3—68 : 160.

38 № 3—68 : 262. მონეტა განსაზღვრა გ. ლორთქიფანიძემ.

39 № 3—68 : 277.

40 № 3—68 : 165.

41 № 3—68 : 297.

მელზედაც ჩვეულებრივ რაიმე გამოსახულებაა, ეს დამლა პატარაა და დამატებითი⁴².

აღსანიშნავია კოლხური ამფორის ყელ-პირის ნატეხი⁴³, რომელსაც ყელზე გამოწვამდე წიწვისებური ორნამენტი აქვს ამოფხაპნილი. ასეთი ორნამენტი კოლხურ ამფორაზე აქამდე არ შეგვხვედრია.

მოხატული ჭურჭლის მეტად საინტერესო ნატეხი აღმოჩნდა კონტრაფორსებიანი ნაგებობის აღმოსავლეთი კედლის გარეთა პროფილის გაწმენდისას I და II კონტრაფორსებს შორის ზედაპირიდან 0,70 მ სიღრმეზე. იგი სქელკედლიანია, წმინდად განლექილი თიხისა, ორივე მხრიდან მუქი წითელი, ზოგან მოშავო ლაკით არის დაფარული, მოხატულია — წერტილებით შედგენილი ვარდულითა და ტალღისებური ირგვლივი სამი ხაზით. ჭურჭლის კედლის სისქე 1,1 სმ-ია, გადარჩენილი ნატეხის მოყვანილობის და კედლის სისქის მიხედვით კრატერის ნატეხი უნდა იყოს, მოხატვის მიხედვით კი მცირე აზიის სახელისნოდან უნდა მომდინარეობდეს. იგი ელინისტური ხანის იმ ჯგუფის ჭურჭელს ეკუთვნის, რომელშიც იონიური ჭურჭლის მოხატვის ტრადიციების აღდგენა იგრძნობა⁴⁴.

წითელლაკიანი ჭურჭლის რამდენიმე ნიმუში გვაქვს ნაპოვნი ამ უბანზე, ასეთია, მაგალითად, ლანგრის ნატეხი⁴⁵, ღია, მოთეთრო ფერის თიხისა, ორივე მხრიდან მუქი წითელი ლაკით დაფარული, ხოლო შიგნიდან ფსკერზე დაკლდული ორნამენტით შემკული. ლანგრის ქუსლის ნატეხი, ვარდისფრად გამომწვარი, წმინდად განლექილი თიხისა, ძირის დიამეტრი 9 სმ-ია, ქუსლის სიმაღლე 1 სმ. ეს ტიპური მცირეაზიული ლანგარი უნდა იყოს ძვ. წ. II—I საუკუნეების მიჯნისა⁴⁶.

ლუთერიის ნატეხები საკმაოდ იშვიათად გვხვდება ვანში. ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ნაკვეთზე ერთი ნატეხია ნაპოვნი სინოპური ლუთერიისა⁴⁷, რომელსაც გადაშლილ ნაპირზე ირგვლივი ღარი შემოუყვება.

ადგილობრივი ჭურჭლიდან, გარდა ზემოთაღწერილი კოლხური ქვევრებისა და ამფორებისა, აღსანიშნავია წითლად გამომწვარი ჯამის პირის ნატეხი⁴⁸ და შავად გაპრიალებული ჭურჭლის პირის ნატეხი, მსხვილმარცვლოვანი, ქვიშანარევი თიხისა, ნაპირი ოდნავ შიგნითა აქვს შეწეული, კედელი კი თითქმის შეეული აქვს. ალბათ, კათისებური სასმისი იქნებოდა. იგი იმ ჯგუფის ჭურჭელს უნდა ეკუთვნოდეს, ელინისტურ ხანაში რომ მზადდება კოლხეთში ანტიკური კერამიკის ფორმების მიბაძვით, ადგილობრივი ტექნიკური ხერხებით.

ასეთია ის მასალა, რომელიც ანტიკური ხანის ვანის ნაქალაქარის ერთერთ ცენტრალურ უბანზეა მოპოვებული. როგორც ვხედავთ, აქ კულტურული ფენები ყველგან დარღვეულია და ამიტომ მასში არქეოლოგიური მასალა არ

⁴² A. M. Bon et A. Bon, Les limbres amphoriques de Thasos, Paris, 1957, გვ. 79—80.

⁴³ № 3—68 : 60.

⁴⁴ Т. Н. Книпович, Из истории художественной керамики Северного Причерноморья, СА, VII, 1941.

⁴⁵ № 3 — 68 : 61.

⁴⁶ იხ. ნ. მათიაშვილი, იმპორტული კერამიკის ერთი ჯგუფი ვანიდან, მაცნე, № 6. 1964, გვ. 300 და შემდ. ტაბ. II.

⁴⁷ № 3—68 : 158.

⁴⁸ № 3—68 : 51.

გვხვდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, თუმცა ის კი ცხადია, რომ ეს მონაკვეთი ძვ. წ. V ს-ში უკვე დასახლებულია და მასზე ცხოვრება განუწყვეტ-
ლედ გრძელდება ძვ. წ. I საუკუნემდე, ხოლო კვლავ აღდგენილი ცხოვრების
წიზანი ადრეფეოდალური ხანისა გვაქვს.

О. Д. ЛОРДКИПАНИДЗЕ, Р. В. ПУТУРИДЗЕ

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАСКОПКИ В ВАНИ В 1968 г.

Резюме

В 1968 году раскопки велись на нескольких участках городища.

К югу от святилища с мозаичным полом были раскопаны остатки большого здания (на ген. плане пл. 228). Сложенные из тесанного камня контрфорсы, пристроенные к фундаменту восточной и южной стен, возможно, служили основаниями колонн. На каждом из четырех (рис. 150—151) контрфорсов сделаны прямоугольные выемки (для крепления колонн?).

Исследованная внутренняя площадь здания представляет собой подпольную часть, а пол здания не сохранился. В культурном слое этой площади найдены обломки керамики IV—I вв. до н. э.—местной и привозной столовой посуды, импортных и колхидских амфор. Здесь же обнаружены обломки бронзовой булавы, перстня, браслета, стеклянная бусина, фрагменты костей. Это дает основание полагать, что при постройке здания было разрушено более древнее, небогатое погребение.

Здание, как и весь город, разрушено в I в. до н. э. Самые поздние предметы, найденные на этом участке (краснолаковая керамика, медная монета), относятся к I веку до н. э., а самый ранний — V веку до н. э.

Экспедиция продолжала планомерное изучение центральной террасы городища (на ген. плане площ. 49—50, 67—68). Верхний гумусированный слой сильно разрушен земляными работами. Вместе с характерным для последнего этапа жизни города материалом (колхидские амфоры, пифосы, обломки черепицы, импортные амфоры со светлой ангобой, белоглиняная краснолаковая керамика) встречались более ранние, относящиеся к V—IV вв. колхидские пифосы, бокальчики и обломки современной фарфоровой посуды.

После снятия гумусированного слоя выявлена оборонительная стена шириной в 1,80 м. Стена тянется вдоль восточного склона террасы. Наружная и внутренняя облицовка стены выложена из квадров местного песчаника и забутована мелким булыжником. (Следует отметить, что булыжник распространен на довольно большой площади).

Оборонительная стена через каждые 6 метров укреплена контрфорсами (рис. 158). Контур стены в настоящее время сильно поврежден. Видно, что стена построена поспешно, без надлежащей подготовки, на глиняном слое, образованном после сильного разрушения. Найденные в этом слое две монеты первой половины I века до н. э. и керамические обломки дают основание полагать, что разрушение произошло в том же I веке до н. э. Особо надо отметить найденную в этом же слое баранью головку 9 см длины из местной обожженной глины.

Желтый, глинистый слой перекрывает целый ряд построек III—II вв. до н. э. Среди них особенно выделяются остатки круглого зда-

ния. Здание построено на прямоугольном фундаменте. Фундамент выложен тщательно оттесанными квадратами и вымощен плитами песчаника. Ширина стены круглого здания 2 метра, внутренний диаметр больше 10 метров. Найденный внутри здания большой, тесанный камень с желобом, по всей вероятности, является жертвенником и указывает на культовое назначение здания. Восточная часть здания сильно разрушена, а раскопки юго-западного угла еще не закончены, что затрудняет восстановление плана здания. Ясно лишь то, что при постройке этой стены был задет культурный слой V—IV вв. до н. э. С другой стороны, в северо-западном углу здания выявлен фрагмент площади, мощенный плитами песчаника, которая, надо полагать, первоначально являлась преддверием здания. На этой площади зафиксирован слой III—II вв. до н. э. (обломки клейменных ручек родосских амфор). Этот слой перекрыт довольно многочисленными остатками мозаичного пола, совершенно аналогичного вышеописанного святилища и датированного II—I вв. до н. э.

При расширении раскопа к западу обнаружены стены I века до н. э. (выстроенные на желтом глинистом слое). Желтый же слой перекрывает довольно большую стену (1,60 м сохранившейся высоты), длина которого больше 17 метров (рис. 159). Уже обнаружены углы этой стены, но так как раскопки еще не закончены, трудно сказать, является ли она фундаментом здания или укреплением террасы. Стратиграфическими данными стена датируется III веком до н. э. и так же, как и другие постройки этого раскопа, построена на слое раннеантичного периода. Слой этот встречается на довольно большой площади и представлен многочисленной колхидской керамикой (пифосы, кувшинчики с вертикальным трубчатым носиком, стаканчики, миски), керамикой, расписанной красной краской, аттической чернолаковой керамикой V в. до н. э.

В юго-восточной части раскопа выявлены также фрагменты стен из белого камня, перекрытые вышеуказанным слоем.

Таким образом, материалы, обнаруженные на центральной террасе холма, еще раз подтверждают предположение экспедиции, что эта терраса является одним из наиболее важных участков древнего города, изучение которого только начинается.

არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს

ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია 1969 წელს გათხრებს ნაქალაქარის რამდენიმე უბანზე აწარმოებდა.

კარიბჭის კომპლექსის აღმოსავლეთით გრძელდებოდა ძვ. წ. II—I სს. ნაგებობათა შესწავლა. გაგრძელდა აგრეთვე, მოზაიკური ტაძრის აღმოსავლეთით, სასოფლო გზის გასწვრივ მდებარე მონაკვეთის გათხრა, მაგრამ ძირითადი და ფართო მასშტაბის სამუშაოები მაინც ცენტრალურ ტერასაზე წარმოებდა. 50-ე და 68-ე ნაკვეთებზე გრძელდებოდა 1968 წ. დაწყებული სამუშაოები, რომელთაგან უმთავრესი იყო ე. წ. მრგვალი ტაძრის არქეოლოგიური შესწავლა. ამ მიზნით თავიდანვე დაიწყეთ 68, 69—73 კვადრატებში დატოვებული უღლის გათხრა.

ჭუმუხურ ფენას მოსდევდა გაწითლებული თიხნარი შრე, რომელიც კრამიტყრილზე იყო დაფენილი. წითელი ფერის თიხნარი მხოლოდ ერთ გარკვეულ მონაკვეთზე ჩანდა და მისი წარმოშობა სულ ნათელი არაა — ამორფული ალიზის მასაა თუ ჩვეულებრივი ყვეთელი თიხნარი, რომელიც ცეცხლისგანაა გაწითლებული. კრილშიც წითელ თიხნარსა და კრამიტყრილს შორის ზოგიერთ ადგილას შეინიშნებოდა ჩვეულებრივი შავი ფერის ჭუმუხის შრეები. აღსანიშნავია ისიც, რომ სიწითლე მაინც მხოლოდ ზედაპირზე დაკრავდა აღნიშნულ შრეს (კრამიტყრილზე რომაა დაფენილი). იქნებოდა შთაბეჭდილება, რომ კრამიტებზე თუ კრამიტებთან ერთად გადმოვარდნილია რაღაც დიდი თიხნარი მასა, რომლის ერთი ნაწილი ხანძრისგანაა გადამწვარი, ეს თიხნარი მასა საკმარის მკვრივია და ხელში ცომივით იზილებოდა. ამ შრის ალების შემდეგ ჩატარდა კრამიტყრილის პრეპარაცია, რომლის დროს ჩნდებოდა გვიანდელი (ძვ. წ. I ს.) წითელლაქიანი ჭურჭლის ნატეხები, აგრეთვე პირგადაშლილი და ოვალურგანიკვეთიანყურიანი დოქის ფრაგმენტები. აღსანიშნავია, რომ ამ დოქის ზედაპირი წვრილი ერთმანეთთან ახლო მიჯრილი ღარებითაა დაფარული (საშუალო საუკუნეების კერამიკის მსგავსად), ყელი კი წითელი საღებავითაა მოხატული: წრიული სარტყელის ზედა ნაწილში წერტილები, ხოლო ქვემოთ რომებიცაა (?) გამოყვანილი. ღრუთალო ფერის კეცი მსხვილმარცვლოვანია და შეიცავს კირქვისა და ქარსის მინარეგებს. ეს ნატეხები, ბუნებრივია, კრამიტის ფრაგმენტებთანაა არეული, რომელთა შორის ერთი საინოპური კრამიტისაა, დანარჩენი კი ადგილობრივი. კრამიტების უდიდესი ნაწილი ბრტყელია და გვერდებზეა კეცილი, მხოლოდ თითო-ორი ფრაგმენტი თუ გამოერეოდა დარბანი კრამიტისა. მთლიანი კრამიტის აღდგენა ვერ მოხერხდა, (ზოგიერთი ფრაგმენტის სიგანე 56 სმ-ია). კრამიტების ერთი ნაწილი ცეცხლისაგანაა გაწითლებული და ზოგჯერ თითქმის წიდად ქცეული, ზოგიერთ მათ-

განზე შეპორჩენილი იყო აგრეთვე ნახშირის კვალიც. კრამიტურილის პრეპარაციის დროს ჩნდებოდა ხის ნახშირის საკმაოდ მოზრდილი ფრაგმენტები და ნახშირბადული ხის ძელის ნაშთებიც, ხოლო მათთან ერთად რკინის ლურსმნებიც. ყველა ისინი ოთხწახნაგა და ბრტყელქუდიანია (ერთ-ერთის სიგრძე — 23 სმ-ია). აღსანიშნავია, რომ 68, 14—15 კვადრატებში ჩნდებოდა თეთრი კირქვის ბრტყელი ქვები, თირის ქვათილები და მოზაიკური იატაკის ფრაგმენტები.

საგანგებოდაა აღსანიშნავი 68, 14 კვადრატში ნაპოვნი თეთრი კირქვისაგან გამოთლილი შუაში გაკვეთილი ჰიდრიის ტიპის კედლის მოსართავი დეკორატიული ქურქელი, რომელიც ანალოგიურია 1966 წ. ნაპოვნისა.

კრამიტურილის ქვეშ გამოჩნდა მონაცრისფრო თიხანარევი ჰუმუსი, რომლის თანდათანობით აღებისას უკვე ზედაპირზევე ჩნდებოდა კრამიტის ნატეხები, რიყისა და თირის ქვები. 68, 13 კვადრატში აღმოჩნდა თიხის ორი პირამიდული საწაფი სხვადასხვა ზომისა. ერთი უფრო მასიურია (სიმაღლე — 9,5 სმ. ფუძე 6×6,5 სმ), ხოლო მეორე შედარებით მომცროა (სიმაღლე 5,5 სმ, ფუძე — 5×5,5 სმ.).

კრამიტურილისა და თიხანარევი ჰუმუსირებული ფენის საზღვარზე აღმოჩნდა ძლიერ პატინირებული სპილენძის მონეტა. მართალია, იგი თიხანარევი ჰუმუსში აღმოჩნდა, მაგრამ იმ ადგილზე ამ ფენაში დანახშირებული შრეები საკმაოდ ღრმად აღწევდა, ამიტომაც ზუსტად განსაზღვრა ძნელია, ეს მონეტა კრამიტურილისა და დამწვარი შავი ფენის კუთვნილია თუ მომდევნო ფენისა. ყოველ შემთხვევაში მათ შორის დიდი ქრონოლოგიური ხარვეზი არაა საგულგებელი.

კრამიტურილის ალების შემდეგ, თიხანარევი ჰუმუსის ზედაპირზე პრეპარაციის შედეგად თანდათანობით გამოჩნდა სხვადასხვა ზომის თირის ქვებით, თეთრი ფერისა და რიყის ქვებით შედგენილი „წყობა“, რომელიც ძლიერაა დანგრეული. ამ ქვებით შედგენილი ფართობი გეგმაში წრიულ-აგაღური ფორმისაა. მის შიგნით კვლავ ჩნდებოდა კრამიტის ნატეხები და თირის ქვები, რომელთა ერთი ნაწილი ცეცხლისგან იყო გაწითლებული. საფიქრებელია, რომ ეს იყო ნაშთები წრიული შენობისა, რომელსაც ჰქონდა ქვის საძირკველზე ამოყვანილი ალიზის კედლები და კრამიტით იყო გადახურული. ეს ნაშთები ეკუთვნის ქალაქის ცხოვრების სულ უკანასკნელ ეტაპს. სტრატოგრაფიულად კი „წყობა“ ამოყვანილია იმ ფენაზე, რომელიც გადადიოდა მრგვალი ტაძრის ნანგრევებზე.

კულტურული ფენების შემდგომი შესწავლის მიზნით, სათანადო ფოტო და გრაფიკული ფიქსაციის შემდეგ, „მრგვალი წყობის“ ნაშთები მოიხსნა, რის შემდეგ გამოჩნდა რიყის წვრილი ქვები, რომლებიც შესაძლებელია საძირკველის ამოსაყვანად და ნიადაგის გასამაგრებლად იყო ჩაყრილი. ამასთან იმ ადგილზე მიწა საკმაოდ მკვრივ თიხნარს წარმოადგენდა და საგანგებოდ გამაგრებულის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ამ დონეზე 68, 13 კვადრატში აღმოჩნდა თეთრი კირქვისაგან გამოკვეთილი ქურქლის ნატეხი.

თიხნარი ფენის შესწავლა გაგრძელდა აგრეთვე 68, 13—13 კვადრატებშიც, სადაც მრავლად გვხვდებოდა სხვადასხვა ზომის ქვის ანატეციები. 68, 14—14 კვადრატებში კი უფრო რიყის ქვები ჩნდებოდა, აგრეთვე უსახური კერამიკული ფრაგმენტები და ძვლები. ეს ფენა, მრგვალი ნაგებობის სამხრეთი კედ-

ლის მთელ სიგრძეზე, მრავლად შეიცავს სამშენებლო ქვის ანატაკეცებს და გადადის ნაცრისფერ ფენაზე, როშლის ალების შემდეგ მკაფიოდ გამოვლინდა მრგვალი ტაძრის კონტურები და აღრინდელი შენობის ნაშთებიც (სურ. 153—155), დადგინდა, რომ საქმე გვაქვს მშენებლობის ორ ძირითად ეტაპთან მაინც. თავდაპირველ ეტაპზე ნაგებობას აშკარად სწორკუთხა ფორმა ჰქონდა და ამოყვანილი იყო შესანიშნავად გათლილი და დამუშავებული სწორკუთხა ფილებით (სურ. 154—155). ამ სამშენებლო პერიოდიდან შემორჩენილია ჩრდ.-აღმ. კედლის გარეთა ნაწილის ფრაგმენტი, ხოლო მის გაგრძელებაზე დასავლეთისაკენ — თირში ამოკვეთილი ბუდეები, რომელნიც ქვათლილების ჩასავლებადად იყო განკუთვნილი. თითქოს თავდაპირველ ეტაპს ეკუთვნის აგრეთვე სამხ.-აღმ. კედლის ნაწილი და მის გაგრძელებაზე ბუდეები. მაგრამ სამხ.-აღმ. კედელი, დანარჩენი ნაწილებისაგან განსხვავებით, თეთრი ქვათლილებითაა შედგენილი. ზემოაღნიშნულის ვარდა, თავდაპირველ ეტაპს უნდა მიეკუთვნოს დასავლეთი შიდა კუთხე, აგრეთვე თირის ქვის ფილებით მოგებული იატაკი. რაწდენადმე რთული გასარკვევია, ერთდროულადაა თუ არა ნაგები ჩრდილო კედელი. აქ ჩვენ გვაქვს მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ამოკვეთილი ბუდეები და თითქოს კუთხის ქვაც. საინტერესოა, რომ ამ ბუდეების პარალელურად კლდეში ამოკვეთილია მცირე ზომის მრგვალი ორმოები, როგორც ჩანს ხის ბოძებისათვის. გადაჭრით ძნელია იმის თქმა, რომ ეს ბუდეები მშენებლობის პირველ ეტაპზეა ამოკვეთილი, მაგრამ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ადგილას ჩაჭრილი უნდა ყოფილიყო ის ყვითელი თირნარევი ფენა, რომელიც მშენებლობის დროინდელია და რომელზედაც ჩრდ.-დასავლეთ კუთხეში გამოჩნდა იატაკის ფრაგმენტი.

სწორკუთხა შენობის სამივე კედლისათვის დამახასიათებელია სტილისტური ერთიანობა, ამასთან საგარძნობი განსხვავება ამ თვალსაზრისით, მომდევნო პერიოდის მშენებლობისაგან. თუ ჩრდ.-აღმ. კედლის მიხედვით ვიმჩქელებთ, სადაც წყობის 5—6 რიგია შემორჩენილი, დაინახავთ რომ იგი ძალზე ახლოს დგას კარიბჭის წყობასთან. საძირკველის ვარდა ჩრდილო მხარე ამოყვანილია სწავლასხვა ზომის სწორკუთხა ქვათლილებით. შიდა მხრიდან ეს კუთხე მორღვეულაა, მაგრამ ნათლად ჩანს წყობის ხასიათი. აქ ჭერ კიდევ არაა ფართოდ გამოყენებული „ხურდის“ ტექნიკა. გვაქვს ერთიანი უწყვეტი წყობა და მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში თავისუფალი სივრცე სამშენებლო ქვის ანატაკეცებითაა შევსებული. ასევეა ამოყვანილი დასავლეთ ნაწილის შიდა კედელიც, რომელიც საკმაოდ კარგადაა შენახული და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მშენებლობის ტექნიკის შესახებ. აქ წყობა უშუალოდ თირზეა ამოყვანილი და შედგება იდეალურად გათლილი, თითქმის თანაბარი ზომის სწორკუთხა ქვათლილებისაგან. წყობა კიბისებურადაა დაწყებული და მიყვება თირის რელიეფს, ისე რომ, მაგ. სამხრეთ ნაწილის ქვათლილების წყობის დონეზე ჩრდ. ნაწილში თირია დარჩენილი. შიდა ფართობი კი მოგებულია უსწოროდ გათლილი თირის ქვებით, რომლებიც უშუალოდ თირზე დეეს, მაშინ როდესაც ნაპირებში ბუდეებია ამოკვეთილი. შედარებით ცუდადაა შენახული სამხრეთი კედელი: ფაქტიურად შემონახულია მხოლოდ მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე, სადაც თეთრი ქვებია დაგებული. დანარჩენ ნაწილში მთელ სიგრძეზე მხოლოდ ბუდეებია დარჩენილი.

ძალიან რთულად დგას აღმოსავლეთი კედლის საკითხი, აქ არც ბუდეები ჩანს, რაც გვაფიქრებინებს, რომ შენობა აღმოსავლეთი მხრიდან ღია უნდა

ყოფილიყო და მაშასადამე თავისი გეგმით მსგავსი კარიბჭეზე მიშენებული ტაძრისა.

სწორკუთხა შენობის სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების სიგანე 3 მ-ია; სიგრძე — 11,40 მ; ხოლო დასავლეთი კედლის სიგრძე 10,40 მ.

სწორკუთხა შენობის საძირკველზე უფრო გვიან (ძვ. წ. III ს. მეორე ნახევარში) მრგვალი შენობაა აგებული. საამისოდ ძველი შენობის საძირკველიცაა გამოყენებული (სურ. 153). ამასთან, დასავლეთი მხარე სამშენებლო ნაშთებით, უპირატესად ანატაკეებითაა ამოვსებული და შემდეგ მოპირკეთებული. მშენებლები თარიღს დონეზე დასულან და ძველი შენობის ბუდეებზე უკვე მრგვალი კონტური შემოუვლიათ, რაც ძალიან კარგად ჩანს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, აგრეთვე ჩრდილო ნაწილში. რომ შენობა მთლიანად მრგვალი იყო, ე. ი. კომპისებური, ამას მოწმობს მრგვალი კონტურის ბუდეები აღმოსავლეთ ნაწილშიც. მრგვალი შენობის დმ 10 მ-ია, ხოლო შიდა დმ — 5,40 მ, კედლების სისქე 2,40 მ-ია (სურ. 157).

ელინისტური ხანის ფენები შესწავლილ იქნა აგრეთვე ცენტრალური ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშიც. თხრილი მოიცავს 85, h_8-10 k_8-10 ; 86 a_8-9 ; f_8-9 ; $e_{10}-d_{10}$; 104, $h_{1-4}-k_{1-4}$; 105, $a_{1-4}-e_{1-4}$ ნაკვეთებს. ამ ფართობის შესწავლა იმითაა განპირობებული, რომ ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობის კრილში დაახლოებით 25 მეტრის სიგრძეზე ჩანდა ჩამოქცეული კრამიტის მძლავრი ფენა და დამწვარი დანახშირებული შრეები. კრილში ამ ფენას მოსდევს ყვითელი თიხნარი ფენა, რომელიც ფარავს თეთრი კირქვის ფილებით ნაგებ კედელს. ეს უკანასკნელი ჭერ კიდეც 1967 წ. გამოვლინდა და სტრატოგრაფიული მონაცემებით ადრეანტიკური ხანის დასასრულით დათარიღდა.

ზედა ფენა წარმოადგენს გაფხვიერებული შავი ფერის ჰუმუსს, რომელიც ეენახის დამუშავებისას არის ძლიერ დაზიანებული და გადათხრილი. ამიტომაცაა, რომ ამ ფენაში გვხვდება როგორც შედარებით ახალი დროის კულტურული ნაშთები (მაგ. მარსელის კრამიტებისა და ფაიფურის ჟურჭლის ნატეხები), ასევე ელინისტური, ადრეანტიკური და წინარეანტიკური ხანის კერამიკული ფრაგმენტებიც. ნაპოვნია ორი ნატეხი გამომწვარი ბათქაშისა, რომელზედაც ხის წნულის ანაბეჭდებია შემორჩენილი. ელინისტური ხანის ნაშთებთან შეგვხვდა რამდენიმე ფრაგმენტი ლარიანი კრამიტისა და ბრტყელი კრამიტის ორიოდე უსახური ნატეხი. აქვეა ნაპოვნი შავზედაპირიანი კოლხური ქვევრისა და კოლხური ამფორის კედლის ნატეხებიც. მათ შორის ერთი ქუჩალია — საკმაოდ წაგრძელებული და ცილინდრული მოყვანილობისა და რამდენიმე ნატეხი წითელკეციანი იმპორტული ამფორისა. ამავე ფენაში გვხვდება, როგორც აღვნიშნეთ, ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის ნატეხებიც: გრებილი ორნამენტით მორთული ღერგის პირი, ქვევრის ქედიანი კედლის ნატეხები და ერთი შეველებრიანი და მუცელგამობერილი ქოთნის პირვევრდის ნატეხი. ამავე ფენაშია ნაპოვნი წინარეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის ორი ნატეხიც: ერთი „ზოომორფული“ ყურისაა, ხოლო მეორე — შავპირი ღერგისა. ამრიგად, შავი ჰუმუსიანი ფენა ძლიერაა დაზიანებული გახშირებული მიწის სამუშაოთა გამო. ეს ფენა ფარავს ყვითელ თიხნარ ფენას, რომელიც მიწის ზედაპირიდან 50 სმ სიღრმეზე იჩენს თავს.

თხრილის მთელ ფართობზე ფიქსირებულია ჩამოქცეული კრამიტების ფენა, რომელიც განსაკუთრებით კომპაქტურადაა წარმოდგენილი ჩრდილო ნაწილში.

მონაპოვარი მასალა: კოლხური ქვეყნებისა და ამფორების კედლის, პირ-
ყურის ნატეხები და ქუსლები, ტიპიურია ნაქალაქარის გვიანდელი ეტაპისა-
თვის. ისინი სხვადასხვა ფორმისაა: დაბალცილინდრული, მომრგვალებული და
ოდნავ წელში გამოყვანილიც კი. გვხვდებოდა თეთრანგობიანი იმპორტული ამ-
ფორის კედლის ნატეხებიც, აგრეთვე რამდენიმე ფრაგმენტი სინოპური კა-
ლიპტერისა და გვერდბაკეცილი კრამიტისაც.

85, i_8-10 — k_8-10 , 104, h_{1-2} i_{1-2} კვარატებში გამოვლინდა თირის ქვით ნა-
გები კედელი, რომლის სიგანე 3 მეტრს აღწევს. კედელი მიემართება ვენა-
ხააკენ და მისი შემდგომი შესწავლა 1970 წელს განხორციელდება.

საანგარიშო წელს დავიწყეთ აგრეთვე წინარეელინისტური ხანის კულტურ-
რული ფენების ფართოდ შესწავლაც.

წინარეელინისტური ხანის კულტურული ფენები ცენტრალური ტერასის
თითქმის ყველა შესწავლილ მონაკვეთზე წარმოდგენილია ნაცრისფერი თიხ-
ნარი ფენით, რომლის საშუალო სიმძლავრე 80—140 სმ-ია. სამწუხაროდ, ეს
ფენები ხშირ შემთხვევაში ელინისტური ხანის მშენებლობის დროსაა ძლიერ
დაზიანებული და ძალზე იშვიათად გვხვდება უძრავი სახით. ამიტომაც აღრე-
ანტიკური ხანის კერამიკულ ფრაგმენტებთან ერთად გვხვდებოდა, თითქმის აშ-
კარად გამოხატული, უფრო ადრინდელი ხანის ნაშთებიც.

აღრეანტიკური ხანის ფენებში გვხვდება ნაცროვანი შრეები და ხის წნუ-
ლის ანაბეჭდიანი ბათქაშის ნატეხები. საერთოდ კი ძირითადია კერამიკული
ფრაგმენტები.

ძვ. წ. VI—IV სს. კულტურულ ფენებში მოპოვებული კერამიკა საკმაოდ
მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვანი თავისი ფორმებითა და ორნამენტა-
ციით. იგი თვალსაჩინო მოწმობაა ადგილობრივი კერამიკული წარმოების მა-
ღალი დონისა ძვ. წ. VI—IV სს.

ზემოაღნიშნული კულტურული ფენების შესწავლისას აღმოჩნდა სამი სა-
ნარხი (№№ 9, 10 და 11).

№ 9 სამარხი აღმოჩნდა ე. წ. 17-მეტრიანი კედლის ძირში, სამარხი ორმო
სწორკუთხაა (4 მ X 2 მ). იგი ამოკვეთილია კლდოვან დედაქანში (თირში).
სამარხი ორმო გადახურული იყო მიწითა და ქვაყარით. იგი ორიენტირებულ-
აა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სამარხში რამდენიმე ჩონჩხი აღმოჩნდა
(სურ. 160, 161). მის ცენტრალურ ნაწილში დაკრძალული იყო მთავარი მიცვა-
ლებული, რომელიც ინვენტარის მიხედვით წარჩინებული მეომარი უნდა იყოს.
მიცვალეული დაკრძალული უნდა ყოფილიყო ხის სარკოფაგში ან ხის სარე-
ცულზე (შემორჩენილია რკინის ლურსმნები). იგი ორიენტირებულია ჩრდი-
ლოეთიდან სამხრეთისაკენ, თავით ჩრდილოეთისაკენ, დასვენებულია ზურგზე
ფეხებგაშორილი, ხელები მენჯის ძვლებზე ეწყო. ჩონჩხი დაზიანებულია: თა-
ვის ქალა და მარჯვენა მკლავის ძვლები ჩონჩხს მოცილებულია (სურ. 162).

სამარხი სამი მხრიდან (ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან)
შემორაგული იყო სხვადასხვა ზომის რკინის შუბისპირებით და მახვილებით
(სულ 53 შუბისპირი და 2 მახვილია აღმოჩენილი. სურ. 163). ცენტრალური სა-
მარხის სამხრეთ კედლსთან, მეომრის ფერხთით, აღმოჩნდა რკინის ფურცლები-
საგან შემდგარი ბრინჯაოს მავთულით შეკრული ფარის ფრაგმენტები. ფარი
შუბისპირებს ეფარა (სურ. 164). შუბისპირები სხვადასხვა ზომისაა. უმრავლეს-
ობა მასწავასნილია, თითქმის ყველა მათგანის მასრაში ჩარჩენილია ხის
ტარის ნაშთები.

მეომრის ქვედა კიდურებს ფარავდა ბრინჯაოს „საწივეები“ და „საბარკულები“ (სურ. 172, 173).

სამარხში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა აგრეთვე ბრინჯაოსა და რკინის ისრისპირები. ისრისპირები სამარხის მთელ ტერიტორიაზე იყო მობნეული, ხოლო ორ ადგილას მიჯრით იყო ჩაწყობილი გარკვეულ წესრიგში. როგორც ჩანს, ისინი ტყავის ან ხის კაპარკში ყოფილა ჩალაგებული.

მეომრის ინვენტარი საკმაოდ მდიდრული და მრავალფეროვანია. თავი ოქროს ფიგურებისაგან (ცხენოსანი და მასზე მირჩილული ფრინველები) შედგენილი თავსაბურავით ჰქონდა შემკული, ყელის არეში აღმოჩნდა აგრეთვე ოქროსავე ყელსაბამის ნაწილები (ნახევარმთვარისებური საკიდებისა და მძივებისაგან შედგენილი), თავის ქალისაგან მოშორებით აღმოჩნდა ერთი ბურთულიანი საყურე და ოქროს კლანკილი მავთული. მის მარჯვენა 2 ოქროსი და 3 ვერცხლის სამაჯური ამკობდა. ხელის მტევნების მიდამოებში აღმოჩნდა ოქროს, ვერცხლისა და რკინის ბეჭდები. ოქროსა და ვერცხლის ფარავები საბეჭდად იანია. ერთ-ერთ მათგანზე ბერძნული ასოებით ამოკვეთილია სახელი „ΔΕΛΑΤΟΣ“. მეომრის მარცხენა მკლავთან იღო სალესი ქვა, რომლის თავი ოქროს გარსაკრავითაა შემკული. კისრის არეში აღმოჩნდა ფილიპე მაკედონელის (ძვ. წ. 359—336) ოქროს სტატერი. თავის ქალასთან ბრინჯაოს დაბალი ლანგარი და წითელი საღებავით მონატული დოქი აღმოჩნდა, ხოლო მარცხენა მხართან შავად გამომწვარი თიხის ადგილობრივ დამზადებული ჯამი და ატიკური შავლაკიანი კანთაროსი. ცენტრალური სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იდგა ერთი ე. წ. სოლხა I ტიპის ამფორა.

სამარხი ორმოს სამხრეთ ნაწილში, მთავარი მიცვალებულის ფერხითთ ათიოდე სმ-ით უფრო მაღლა აღმოჩნდა კიდევ ორი ჩონჩხი (ქალისა და მამაკაცისა). ორივე ჩონჩხი ორიენტირებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, თავით დასავლეთისაკენ, სახით ჩრდილოეთისაკენ (მთავარი მიცვალებულისაკენ). ზურგზე გაშოტლი. მათ თითქმის არაერთი ინვენტარი არ ახლდა. მხოლოდ ერთის კისრის არეში აღმოჩნდა სხვადასხვა ფერის პასტის მძივები. მეორე ჩონჩხი ძაღლის ჩონჩხზე იყო დასვენებული (სურ. 165).

სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იდგა 5 ამფორა: ორი ე. წ. სოლხა I ტიპისა, ორი კოლხური და ერთი სინოპური. სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა აგრეთვე ხის ბორობლის ანაბეჭდი (სურ. 165).

ეს სამარხი ფილიპე II-ის სტატერით, შავლაკიანი კანთაროსითა და სინოპურ ამფორაზე შემორჩენილი დამლით საკმაოდ ზუსტად თარიღდება ძვ. წ. IV ს. მესამე მეოთხედით.

სამარხეული ინვენტარის აღწერილობა:

1. თ ა ვ ს ა მ კ ა უ ლ ი, ოქროსი — საკიდები, მძივები, მილაკები. საკიდი — 15 ცალი, სადა მძივი — 59 ცალი, შეწყვილებული მძივი — 3 ცალი, სამშავი მძივი — 4 ცალი, ტანდალარული მილაკი — 89 ცალი (სულ 170 ერთეულია).

სავარაუდოა, რომ თავსამკაული შედგენილი იყო საკიდების, მძივებისა და მილაკების მონაცვლეობით.

საკიდები ერთნაირია: წარმოადგენს ცხენისა და მხედრის და ცხენის უკანა ნაწილთან თანმიმდევრულად მირჩილულ ორი სხვადასხვა ზომის ფრინველის გამოსახულებას (სურ. 166). ცხენისა და მხედრის გამოსახულება ერთიანადაა ფირფიტისაგან გამოტეფილი—მიღებულია ორი ნახევრის ერთმანეთთან მირ-

ჩილვის შედეგად (რჩილვის ხაზი ნათლად იკითხება). ცხენს დიდი ფოთლისებური ყურები აქვს! (დიდი ზომის ყურების გამო კითხვის ქვეშ დგას გამოსახულების ცხენად განსაზღვრა), რომლებიც შემკულია წიწვოვანი ან ურთიერთგადამკეთი ხაზებით (რომბული ბადით). ერთ საკიდზე ცხენს სადა ყურები აქვს (სხვებთან შედარებით ეს ყურები პატარა ზომისაა). თვალები თითო ცვარათია აღნიშნული, რომელსაც სადა მავთული შემოუყვება². თვალების დასმაში ხშირად ცდომილება შეიმჩნევა — დარღვეულია სიმეტრია, ერთი საკიდის ცალ თვალზე სადა მავთულით შეკრულ წრეში ცვარას ნაცვლად მოკლე სადა მავთულია დამაგრებული.

ცხენის გრძელი ფაფარი ირიბი ხაზებითაა გამოყვანილი. კისერზე ურთიერთგადამკეთი ხაზებია (რომბული ბადე).

ცხენის სხეული ოდნავ მოდელირებულია (მაგალითად, თეძო). კიდურები არ არის გამოსახული.

ცხენის ღრუნთან ორივე მხარეს დარჩილულია სადა მავთულისაგან გამოყვანილი ყუნწები (რჩილვა უხეშადაა შესრულებული), რომელზედაც ასევე სადა მავთულისაგან შეკრული ყუნწებით დუგმისებური სამკაულებია შეკიდული. დუგმისებური სამკაული ფირფიტისაგანაა გამოკრილი, ოდნავ გამოტვიფრულია, შემოახლდრულია ზემოდან დარჩილული სადა მავთულით.

ცხენს კისერთან და თეძოსთან ორი ნახერეტი აქვს გაკეთებული.

მხედარს დიდი თავი აქვს. თვალები მრგვალი — გამოყვანილი სადა მავთულით (სამი მხედრის ცალ თვალზე დამატებით ცვარაცაა დასმული, მსგავსად ცხენის თვალებისა). ასევეა აღნიშნული ყურებიც (8 საკიდზე ყური მხოლოდ ცალ მხარესაა გამოსახული). თავზე ზემოდან სადა მავთულით შეკრული წრეა დარჩილული, რომლის შიგნითა ზედაპირი ერთიანად დაფარულია ცვარათი (თმების ან ქუდის გამოსახვა).

მხედრის სხეულა შიშველია, ოდნავ მოდელირებული. კარგად იკითხება ფეხება, ხოლო ზედა კიდურები პირობითადაა წარმოდგენილი.

ფრინველების გამოსახულებები ფირფიტისაგანაა გამოტვიფრული სათითაოდ და შემდგომ მირჩილული ერთმანეთზე. თითოეული მიღებულია ორი ნახეჯრის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად (რჩილვის ხაზი ნათლად იკითხება).

წინა ფრინველი შედარებით დიდი ზომისაა. ფრინველის თავი ერთიანად ცვარათია დაფარული (ცვარას დასმაში ცდომილებანი შეინიშნება). თვალები მრგვალია — გამოყვანილია სადა მავთულით. ფრინველს სადა მავთული შემოუყვება კისერზე.

ფრინველს მაღალი კისერი აქვს, რომელიც ორივე მხრიდან წიწვოვანი ხაზებითაა დაფარული.

ფრთები ტვიფრითაა გამოყვანილი — ერთი ჰორიზონტალური და რამდენიმე ირიბი ხაზით აღინიშნება. ნისკარტის ორივე მხარეს სადა მავთულით შეკრული ორი ყუნწია დარჩილული, რომლებზეც ასევე სადა მავთულის ყუნწებით დამკობებული სამკაულია შეკიდული. ეს სამკაული ფირფიტისგანაა გა-

¹ დაზარალებული ცალების მიხედვით კარგად ჩანს ყურების დამაგრების ხერხი: ყურები მავთულისებრი შეკრულებითაა დაბოლოებული, რომელიც ყურების დასმის ადგილას გაკრილ ფირფიტაში შეჭნით შედის. ამის შემდეგ დამატებით გამოყვანებულია რჩილვა.

² ზოგჯერ შემთხვევით დასმულ ცვარას ვხვდებით ცხენის სხეულზე, მაგალითად, კისერთან ქვემოთ.

მოტვიფრული, ამობურცულია, შემოსაზღვრულია ზემოდან დარჩილული გრეხილი მავთულით.

ფრინველს ბოლოში ერთი ნახვრეტი აქვს.

მეორე ფრინველი ემსგავსება წინას, მხოლოდ უფრო პატარა ზომისაა. ფრინველის თავი ასევე ცვარათია დაფარული. თვალები მრგვალია — სადა მავთულით გამოყვანილი, კისერზე სადა მავთულია შემოვლებული. კისერი მაღალია, მხოლოდ სადა. ფრთები ზემოდან დარჩილული გრეხილი მავთულითაა გამოყვანილი. ნისკარტზე წინა ფრინველის მსგავსი სამკაულია შეკიდული, მხოლოდ უფრო პატარა ზომისა და გრეხილი მავთულის ნაცვლად სადა მავთულათ შემოსაზღვრული.

სიგრძე — 51 მმ, უდიდესი სიგანე — 25 მმ.

მძივებში სამი ჭგუფი გამოიყოფა: სადა სფეროსებური, შეწყვილებული და სამმაგი მძივები.

სადა სფეროსებური მძივი ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მიჩილვის შედეგადაა მიღებული (რჩილვის ხაზი კარგად იკითხება).

ღერძის სიგრძე — 6,5 მმ, დმ — 6 მმ.

შეწყვილებული მძივი ორი სადა სფეროსებური მძივის შეერთებითაა მიღებული.

სამმაგი მძივი შედგენილია სამი სადა სფეროსებური მძივისა და ორი ტანდალარული მილაკისაგან. სადა სფეროსებური მძივები სამ რიგადაა განლაგებული. მათ შორის ვერტიკალურად მოთავსებულია ტანდალარული მილაკები.

სიმაღლე — 23 მმ.

მილაკები მიღებულია დალარული ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად.

მილაკებს შორის განსხვავებაა ზომებისა და ღარების რაოდენობის მიხედვით. ღარების რაოდენობა 2-დან 6-მდე მერყეობს; სიგრძე — 2 მმ-დან 7-მმ-მდე (სავ. № 3—69/289).

2. ყ ე ლ ს ა ბ ა მ ი, ოქროსი — ნახევარმთვარისებური საკედები და მძივები. საკიდი — 12 ცალი, სადა მძივი — 45 ცალი, ტანდალარული მძივი — 46 ცალი, შეწყვილებული მძივი — 5 ცალი, ოთხმაგი მძივი — 1 ცალი.

საკიდები ერთნაირია. ნახევარმთვარისებურ ფირფიტაზე ზემოთ შეწყვილებული მძივებია დარჩილული; ქვემოთ კიდევბსა და ცენტრში — ყუნწებისა და რგოლის საშუალებით შეკიდულია ღუმისებური სამი სამკაული (სურ. 167).

ნახევარმთვარისებური ფირფიტა შემოსაზღვრულია ზემოდან დარჩილული დაკეპნილი მავთულით (ზედა და ქვედა რკალი ცალ-ცალკე მავთულითაა გამოყვანილი, მავთულების ბოლოების შეერთება კარგად ჩანს). შიდა მხრიდან მავთულის გასწვრივ ცვარათა რიგია, რომელზეც ასევე ცვარათი შედგენილი პატარა სამკუთხედებია დასმული, სამკუთხედები უმეტესად სამი ცვარათისაგანაა შედგენილი. ზოგჯერ სამკუთხედები საერთოდ გამოტოვებულია ან პირობითად წარმოდგენილია ერთი ცვარათი. ზედა რკალზე 7 ან 8 სამკუთხედია. ქვედა რკალზე მათი რაოდენობა 5-დან 7-მდე მერყეობს.

ნახევარმთვარისებური ფირფიტის უკანა მხარე გლუვია, ზოგჯერ დაკეპნილი მავთულის ანაბეჭდები შეინიშნება.

შეწყვილებული მძივები სადა და ტანდალარული მძივების ერთმანეთთან მირჩილვითაა მიღებული. ორივე მძივი სფეროსებური მოყვანილობისაა, შედგენილია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვით (რჩილვის ხაზი კარგად იკითხება, ზოგჯერ ამ ადგილას გარღვეულიცაა). ტანდალარული მძივის ნახევარსფეროთა ღარების მიმართულება ზოგჯერ აცდენილია.

დუგმისებური სამკაული საკიდან დაკავშირებულია მრგვალი ყუნწებისა და წაგრძელებული რგოლის საშუალებით. ყუნწები საკიდის კიდევებთან ზედა რკალის მავთულის ბოლოებითაა გამოყვანილი, შუა ნაწილში დარჩილულია (ზოგჯერ მეტად უხეშად, რაც კარგად ჩანს ნახევარმთვარისებური ფირფიტის უკანა მხარეს). საკიდის ყუნწები გამოყვანილია დაკეპნილი მავთულით; დუგმისებური სამკაულისა კი უმეტესად სადა მავთულით, მხოლოდ რამდენიმესია დაკეპნილი მავთულის. რგოლები სადა მავთულითაა შედგენილი.

დუგმისებური სამკაული შემოსაზღვრულია ზემოდან დარჩილული დაკეპნილი მავთულით. მისი ზედაპირი ოდნავ ამობურცულია (გამორტიფრულია).

მძივებში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა: სადა, ტანდალარული, შეწყვილებული და ოთხზავი.

სადა, ტანდალარული და შეწყვილებული მძივები მსგავსია ნახევარმთვარისებურ ფირფიტაზე ზემოთ დარჩილული მძივებისა.

ოთხზავი მძივი შედგენილია სადა სფეროსებური ოთხი მძივით, რომლებიც ორ რიგადაა განლაგებული (თითოეული მიღებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთზე მირჩილვით, რჩილვის ხაზი კარგად ჩანს).

ნახევარმთვარისებური ფირფიტის სიგრძე (ყუნწებიანად) — 18,5—21 მმ, სიგანე 6—7 მმ, საერთო სიმაღლე (შეწყვილებული მძივებითა და დუგმისებური სამკაულით) — 27—30 მმ. დუგმისებური სამკაულის სიმაღლე 6—6,5 მმ, სიგანე — 5—5,5 მმ. მძივების ღერძის სიგრძე — 4,5 მმ, დმ — 4 მმ (სავ. № 3—69/290).

3. საყურე, ოქროსი, ერთი ცალი.

რგოლზე უძრავადაა დამაგრებული ჰვირული ბურთულა, რომელიც ცვა-რათი შედგენილი პირამიდებით ბოლოვდება (სურ. 168).

რგოლი ოვალურია, გახსნილი, ბოლოებგახვრეტილი (ნახვრეტებთან ღერო გაფართოებულია). რგოლის წინაპირი გაბრტყელებულია. ამ გაფართოებულ სარტყელზე რვა დაგრეხილი ღეროა სიგრძივ დარჩილული. ისინი ერთმანეთთან ისეა მოთავსებული (გრეხვის ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით), რომ წნულის ოთხი რიგი იქმნება. ზედა ნაწილში დამაგრებულია ვარდულა. მისი ფურცლები სადა მავთულითაა გამოყვანილი, რომელიც სათანადოდ გამოზრულ ფირფიტაზეა დარჩილული. ფირფიტა დატიფრებულია ისე, რომ ფურცლები მავთულის შავნით ოდნავ ამობურცულია. ვარდულა თორმეტფურცლიანია. შეჯული სადა მავთულით გამოყვანილ სპირალს წარმოადგენს (მავთულის 6 მოხვევა). ცენტრში პატარა ბურთულაა დამაგრებული.

ჰვირული ბურთულა შემდგარია შვიდი სარტყლისაგან, რომელთაგან ექვსი შედგენილია დაგრეხილი და სადა მავთულებით (ორ დაგრეხილ შორის მოქცეულია ერთი სადა მავთული)³. მეშვიდე, ჰორიზონტალური და შუა წელზე შემოყოლებული სარტყელი, წარმოადგენს ვიწრო სადა ფირფიტას (ბოლოე-

3 ერთ სარტყელზე პატარა ნიღბითაა (მავთულის ნატეხი) შერჩენილი.

ბის შეერთების ადგილი კარგად ჩანს), რომლის კიდევები დავრეხილი მავთუ-
ლითაა შემოსაზღვრული, ხოლო ზედაპირი ცეარათი შედგენილი პირამიდები-
თაა შემკული. თითოეულ პირამიდაში ხუთი ცეარაა (ოთხი, ერთი), მაგრამ აჰ-
ჟამად ზედა ნაწილი მოგლუვებულია (დიდხანს ხმარების კვალი) და ზედა ცეა-
რა უმეტეს შემთხვევაში აღარ იკითხება (თავდაპირველად სარტყელზე 32 პირა-
მიდა იქნებოდა დასმული). ბურთულას შემკრავი სარტყლები პირამიდებ-
ლურთან კუთხეს ქმნის (ამიტომ ბურთულა ბიკონუსს ემსგავსება). ხოლო ბო-
ლოვებით ორივე მხარეს დაკეცილი მავთულით შედგენილ წრებთანაა ნი-
ჩილული.

ბურთულას მთელ სიგრძეზე გასდევს ღერძი, რომლის ბოლოები ბურთუ-
ლას გარეთ გამოდის და ერთი მხრივ დაკავშირებულია რგოლთან, ხოლო მეო-
რე მხრივ, ქვემოთ — ცეარათი შედგენილ პირამიდებთან. ღერძი მიღებულია
ფირფიტის წრიულად დაკეცივსა და მისი ბოლოების ერთმანეთთან მიჩქილის
საშუალებით. ღერძზე რგოლთან და პირამიდებთან გადაბმის ადვილას დაკეცი-
ლი მავთულებისაგან შეკრული წრეებია შემოვლებული.

ცეარასგან შედგენილი პირამიდების გადაბმის შედეგად ერთიანი დაფან-
ჯრული პირამიდა იკრება. სულ ხუთი პირამიდაა. თითოეული პირამიდა წმ-
დგარია 13 ცეარასაგან. ოთხფერდაა. ფერდზე ცეარა ასეა განლაგებული: სამი.
ორი, ერთი. აღსანიშნავია, რომ შიგნითა მხრიდანაც ცეარა გამოქვეყნის. ცეა-
რა ნაწილობრივ მოგლუვებულია.

სიგრძე — 79 მმ, რგოლის დმ — 50 მმ. ვარდულას დმ — 11.5 მმ. ბურ-
თულას დმ (პირამიდებიანი სარტყლით) — 22 მმ (სავ. № 3—69/291).

4. ბ ე ქ ე დ ი, ფარაკიანი, ოქროსი (სურ. 169).

ფარაკზე ამოკვეთილია ადამიანის მჯდომარე ფიგურა და ბერძნული ნეკა-
ტიური წარწერა ΔΕΛΑΤΟΣ (სავ. № 3—69/292).

5. ბ ე ქ ე დ ი, ფარაკიანი, ოქროსი.

ფარაკზე ამოკვეთილია ხელშუბიანი მხედარი (სავ. № 3—69/293).

6. ს ა მ ა ჯ უ რ ბ ე ი, ოქროსი, წყვილი.

გახსნილი, მასიური. შემკულია 23 შეერილით, აქედან სამი — ბოლოებთან
და ზურგზე — ორ მრგვალ ფირფიტას შორის მოქცეულ ტანდაბარულ მძივს
მოკვავონებს, ხოლო დანარჩენები (ოცი შეერილი) ბრტყელ. დაწანავებულ
მძივებს. ღერო მრგვალგანიკვეთიანია. ზურგი ბრტყელია. იგრანობა მისწრა-
ფება შედრეკილობაქენ (განსაკუთრებით ერთ ცალზე. სურ. 170).

სამაჯური ერთიანადაა (შეერილებიანად) ჩამოსხმული.

დმ შეერილებიანად — 72 მმ, შეერილების გარეშე — 65.5 ღეროს
დმ — 3 მმ (სავ. № 3—69/294).

7. მორკალული კლაკნილი მავთული, ერთი ცალი.

მავთული თანაბრად დაკლაკნილი ტალღისებურად (44 კლაკნილია) და
ნახევარწრიულადაა მორკალული. ერთი ბოლო მოკვეცილებულია, მეორე ჩამო-
ტეხილი უნდა იყოს.

რკალის სიგრძე — 156 მმ (სავ. № 3—69/295).

8. ს ა ლ ე ს ი ქ ე ა, ოქროსი გარსაკრავიანი.

სალესი ქვის თავი ოქროს გარსაკრავითაა შემკული. გარსაკრავი ფარფ-
ტისაგანაა დამზადებული; მისი ზედაპირი სადაა, კარგად გაპრალაებული. ზემო-
დან მრგვალი ყუნწი აქვს დამაგრებული (რჩილვა უხეშადაა ნაკლავებული

და მისი კვალი ნათლად ჩანს), რომელიც მსხვილი, მრგვალგანივკვეთიანი მავ-
თულისაგანაა შედგენილი (სურ. 171).

გარსაკრავი სალეს ქვასთან საკმაოდ მკიდროდაა დაკავშირებული — დამაგ-
რებელია სალეს ქვაში ორივე მხრიდან გაკეთებულ შერღვევებთან საშუალე-
ბით. (შეაძლოა ეს შერღვევებანი სალეს ქვაში თავდაპირველად გაკეთებული
ნახევრეტისაც იყოს).

სალესი ქვის სიგრძე ყუნწიანად — 143 მმ, უყუნწოდ — 133 მმ. გარსაკ-
რავის სიგრძე ყუნწიანად — 41 მმ. ყუნწის დმ — 11,5 მმ (სავ. № 3—69/296).

9. მ ო ნ ე ტ ა, ო ქ რ ო ს ი, ფილიპე II მაკედონელის (ძვ. წ. 359—336 წწ)
სტატერი (სავ. № 3—69/297).

10—11. ბ ე კ დ ე ბ ი, ფარაკიანი, ვერცხლისა. ორი ცალი.

ერთზე ფრინველებია ამოკვეთილი, მეორეზე კი ნადირთა ბრძოლა (სავ.
№№ 3—69/298—299).

12. ს ა მ ა ჯ უ რ ი, ვერცხლისა, ერთი ცალი. ოდნავ ზურგმდრეკილი, ბო-
ლობგამსხვილებული და რელიეფური სარტყლებითა და სამკუთხედებით შემ-
კული. დმ — 7,5 სმ (სავ. № 3—69/300).

13. ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი, ვერცხლისა, წყვილი, გახსნილი, ბოლოებში ყურებ-
გაღაწეული ძაღლის გამოსახულებით. სამაჯურები ფუყეა (სურ. 170).

უღიდესი დმ — 7 სმ (სავ. № 3—69/301).

14. ს ა ს ა ფ ე თ ქ ლ ე რ გ ო ლ ი, ვერცხლისა, გახსნილი, ცალი ბოლო სპი-
რალურად არის გადახვეული, მეორე მოტეხილია. დმ — 3,5 სმ (სავ. № 3—
69/302).

15. ლ ა ნ გ ა რ ი, ბრინჯაოსი.

პირი ჰორიზონტალურად აქვს გადაკეცილი. პირს ქვემოთ მშვილდისებუ-
რი მოპირავე ყური ჰქონია. ყური მოცილებულია. ჯამი ყურს ქვემოთ რელი-
ეფური პალმეტითაა შემკული.

პირის დმ — 32 სმ, გადაკეცილი ნაპირის სიგანე — 1,5 სმ, სიმაღლე —
3,5 სმ (სავ. № 3—69/303).

16. დ ო ქ ი, ვარდასფრად გამომწვარი თიხისა, მოხატული (ე. წ. აღმოსავ-
ლური). ცალყურა, პირგადაშლილი, მსხლიანებურტანიანი და ბრტყელძირა. დო-
ქის ზედა ნაწილი წითელი საღებავით არის მოხატული. მუცლისა და ყელის
გარშემო პარალელური წრეებისაგან და მათ შორის მოქცეული მოკლე, ირი-
ბი ხაზებისაგან შემდგარი სარტყელი შემოსდევს. ამ სარტყლებს შორის არე
4 სამკუთხედითაა შევსებული. პირს გარშემოც შემოუყვება წითელი ზოლი
(სურ. 176).

სიმაღლე — 16,5 სმ, პირის დმ — 5,5 სმ, ძირის დმ — 7 სმ (სავ. № 3—
69/304).

17. ჯ ა მ ი, რუხად გამომწვარი თიხისა, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული.
დაბალი კედლები გამოყვანილ ქუსლში გადადის. პირს გარედან ამოკაწრული
ღარბის სარტყელი შემოსდევს (სურ. 178).

სიმაღლე — 3,5 სმ. პირის დმ — 12,5 სმ ძირის დმ — 7,2 სმ. (სავ. № 3—
69/305).

18. კ ა ნ თ ა რ ო ს ი, შეელაკიანი, პროფილირებულპირიანი და ქუსლიანი,

ყურს ზემოთ პირის დონეზე ჰორიზონტალური შეერილები აქვს. კანთაროსის ფსკერზე ოთხი პალმეტია დაქდებული (სურ. 177).

სიმაღლე — 8 სმ, პირის დმ — 8,5 სმ, ქუსლის დმ — 4,5 სმ. (სავ. № 3 — 69/307).

19. ა მ ფ ო რ ა, სინოპური, მხრები გაშლილი, კორპუსი კონუსური მოყვანილობისა აქვს, ყელი ცილინდრული, პირთან ახლოს ოდნავ შებერილია. პირი ლილვაკიანი, ყურები ოვალურგანიგვეთიანი, ქუსლი ძირამომორგვალებული და გამოყვანილი. თიხა მსხვილმარცვლოვანია, ურევია შავი ავგიტის ნამცეცები. გამომწვარია მოვარდსფეროდ, აქა-ქ დაჰკრავს იასამნის ფერი. ზედაპირი მოსწორებული აქვს და ანგობიკ ჰქონია გადაელებული. ანგობის ნაშთი უფრო ზედა ნაწილზე აქვს შერჩენილი. ცალ ყურზე სწორკუთხა ნაქდევში აქვს დამლა, სამსტრიქონიანი. ემბლემა — დელფინზე ჩაფრენილი არწივი, მოთავსებულია წარწერის მარჯვნივ ვერტიკალურად. წარწერა ასე იკითხება:

Ἰστυεω
ἐπὶ Κίρου
ἰστυσίμου

ფაბრიკანტი ჰისტიაიოსი, ასტინომი კიროსი (მაგისტრატურის დასახელება ბოლოში). როგორც ცნობილია, დელფინზე ჩაფრენილი არწივის ემბლემის შემცველი სინოპური ამფორების დამლები ბ. გრაკოვის მიერ გამოყოფილ I ქრონოლოგიურ ჯგუფს ეკუთვნის (ძვ. წ. 360—320 წ.წ.⁵).

ამავე ქრონოლოგიურ ჯგუფშია დამლაში მოხსენიებული ორივე პირი, ჰისტიაიოსი და კიროსი. ეს უქანასენელი I ქრონოლოგიური ჯგუფის მეორე ქვეჯგუფში გვხვდება. ამიტომ ეს ამფორა ამ ქრონოლოგიური მონაკვეთის მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნოს.

სინოპური ამფორა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იყო ოთხ დანარჩენ ამფორასთან ერთად მიყულებული (სურ. 165).

სიმაღლე — 66 სმ, უდიდესი სიგანე (მხრებთან) — 34 სმ, ქუსლის სიმაღლე — 5 სმ, ყელის სიმაღლე — 19 სმ, პირის დმ — 7,5 სმ, დამლის ნაქდევის სიგრძე — 7 სმ, სიგანე 2,5 სმ, ამფორის ტევადობა — 16 ლიტრი (სავ. № 3 — 69/307).

20. ა მ ფ ო რ ა სოლოხა I ტიპისა, სამარხში განცალკევებით აღმოჩნდა რკინის ნივთების გარემოცვაში. ეხლაც აქვს შერჩენილი რკინის ქანგი. მხრებგაშლილი მომრგვალებულად გადადის კონუსური მოყვანილობის კორპუსში, ძირისკენ შევიწროებული, პროფილირებული, დაბალი ქუსლით მთავრდება. ყელი ცილინდრული, ყურები ბრტყელგანიგვეთიანი, პირი ფართოდ გადაშლილი. თიხა ღია ვარდისფერად გამომწვარია, სუფთად განლეჟილი, ბევრი ურევია ოქროსფერი ქარსის წვრილი ნამცეცები.

სიმაღლე — 56 სმ, ყელის სიმაღლე — 14 სმ, უდიდესი სიგანე — (მხრებთან) — 29 სმ. პირის დიამეტრი გადაშლილი ნაპირის კიდეებიდან — 16 სმ, შიდა დმ პირისა 11 სმ. ამფორის ტევადობა — 14 ლიტრი. სავ. № 3—69/308.

ყელს შიგნიდან ჩარხზე გამოყვანის დროს გაჩენილი ირგვლივი ღარები ეტყობა.

⁵ Б. Н. Граков, Древнегреческие керамические клейма с именами астиномоз, М., 1929, гл. 56 და სვ. И. Б. Брашнинский, Экономические связи Синопы в IV—II вв. до н. э., сб. «Античный город», М., 1963, гл. 33.

ეს ამფორა, ისევე როგორც ამავე სამარხში აღმოჩენილი ამ ტიპის ორი ამფორა (იხ. № 21, 22), მოყვანილობითა და თიხით ზუსტად ისეთია, როგორც ი. ზეესტის მიერ სოლოხა I-ად წოდებული ამფორა⁶. როგორც ცნობილია, ჯერჯერობით გაურკვეველია მისი დამზადების ცენტრი, მას ეგეოსის ზღვის რომელიმე კუნძულიდან შემოტანილად თვლიან⁷. ამ ტიპის ამფორებს ძალიან იშვიათად აქვთ დამღები და ისიც ყოველთვის თითო-ორიოდა ასოს შემცველი. ზემოთ აღწერილ ამფორას ცალ ყურზე, მრგვალ ნაქდევში აქვს დამლა. ასოები ძნელად გასარჩევია, მათგან ორი შედარებით გარკვევით ჩანს. ამის გარდა უნდა იყოს ემბლემა (ხელიკი?), თუმცა ამაზე გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით. სავ. № 3—69/308.

21. ამ ფორა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩენილი ამფორათა ჯგუფიდან, აგრეთვე სოლოხა I-ის ტიპისა, მოყვანილობით და თიხით ისეთივე, როგორც № 20, ამასაც აქვს ცალ ყურზე მრგვალი დამლა, უფრო პატარა და უფრო ძნელად გასარჩევია.

სიმაღლე — 56 სმ. პირის დამაშლილ ნაპირიანად 16,5 სმ-ია. პირის შიდა დამ — 11,51 სმ. გადაშლილი და ოდნავ ძირს დაქანებული, ნაპირის სიგანე — 2 სმ. ყურის სიმაღლე — 15 სმ, სიგანე — 4 სმ. ყელის სიმაღლე — 17 სმ. ქუსლის სიმაღლე — 5 სმ, ქუსლის უდიდესი დამ — 7 სმ. ტევადობა 14 ლიტრი (სავ. № 3—69/309).

22. ამ ფორა სოლოხა I ტიპისა. უდამლო, ისეთივე ფორმისა, როგორც სავ. № 20 და 21, ოღონდ უფრო დიდი.

სიმაღლე — 60,5 სმ, უდიდესი სიგანე (მხრებთან) 32 სმ. პირის შიდა დამ — 13 სმ, ყელის სიმაღლე — 14,5 სმ, ქუსლის სიმაღლე — 5 სმ, ქუსლის უდიდესი სიგანე — 6 სმ. ტევადობა — 17 ლიტრი (სავ. № 3—69/310).

23. ამ ფორა კოლხური, კვერცხისებური მოყვანილობის, ძირისკენ შევიწროებული, ბრტყელი ქუსლი აქვს, 4 სმ დიამეტრისა. ცილინდრული ყელი, ლილვაკიანი პირი და ოვალურგანივკვეთიანი ყურები აქვს. დაქანებულ მხრებზე ამოკაწრულია გრაფიტო ΔH და სხვა გაურკვეველი ნაკაწრი. თიხა ყავისფერი, მინარევებიანი, მსხვილმარცვლოვანია.

სიმაღლე 63 სმ, უდიდესი სიგანე 34 სმ, ყელის სიმაღლე 18 სმ, პირის დამ 10 სმ. ყურის სიგანე 5 სმ. ტევადობა 19 ლიტრი (სავ. № 3—69/311).

24. ამ ფორა კოლხური, მხრებდაქანებული, ძირისკენ შევიწროებული, ქუსლწატეხილი ძველადვე. ცილინდრულყელიანი, ნაპირილილვაკიანი, ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს პირს ქვემოთ 2,5 სმ-ზე, და მხრების დასასრულს ყურს ქვემოთ თითო თითისეული ნაქდები აქვს.

თიხა მსხვილმარცვლოვანია, მუქწითელ-მოყავისფროდ გამომწვარი, ურეგია შავი ავგიტის ნამცეცები.

გადარჩენილი სიმაღლე — 60 სმ, უდიდესი სიგანე — 30 სმ, ყელის სიმაღლე — 15 სმ, პირის შიდა დამ — 8 სმ, ყურის სიგანე — 4,8 სმ, ტევადობა — 17 ლიტრი (სურ. 169), სავ. № 3—69/312.

⁶ И. Б. Зеест, Керамическая тара Боспора, МИА № 83, Москва, 1960, გვ. 91.

⁷ ი. ბრაშინსკის აზრით შესაძლებელია სოლოხა I ტიპის ამფორები კოსის ამფორათა წრეს ეკუთვნოდეს, იხ. И. Б. Брашинский. Новые материалы к датировке курганопоскопской племенной знати Северного Причерноморья, Eirene-IV, Praha, 1965, გვ. 94—98, ი. მანცევიჩი კი მათ ტერმინში დამზადებულ მიჩნევს იხ. А. Манцевич. Об амфорах из кургана Солеха. Сообщения гос. Эрмитажа, ХХІХ, М—Д, 1968, გვ. 48—53.

25. საწეიეები და საბარკულეები, ბრინჯაოსი, მუხლთან გადახსნილი, ძლიერ დაქანგული და დაზიანებული (ამეამად რესტავრირებული). საწეიების სიგრძე -- 30 - 35 სმ, საბარკულების -- 26 სმ (სურ. 172, 173). (სავ. № 3—69/313).

26. მახვილი, რკინისა, ორპირღესილი, მოკლევადიანი. მახვილი ტარს ქვემოთ გადატეხილია (სურ. 174).

სიგრძე — 78 სმ (სავ. № 3—69/314).

27. მახვილი, რკინისა, ძლიერ დაქანგული, ორპირღესილი, მთელ სიგრძეზე სამი ღარი გასდევს (სურ. 174).

სიგრძე — 75 სმ (სავ. № 3—69/315).

28. დანა, რკინისა, ოღნავ მოხრილი, შერჩენილი აქვს მანკელები და ძელის ტარის ნაშთები (სავ. № 3—69/316).

29—80. შუბისპირები, რკინისა, სხვადასხვა ზომის, უმრავლესობა მასრაგახსნილია. რამდენიმეს პირის სიგრძეზე რელიეფური ქედი გასდევს (სურ. 175).

შუბისპირების საშუალო სიგრძე 30—45 სმ-მდე მერყეობს (სავ. № 3 — 69/317—368).

81. ისრისპირები, ბრინჯაოსი, სამწახნაგა, მასრიანი, მკვეთრად გაღესილი წიბოებით. წახნაგებზე ნახვრეტები აქვს დატანებული ღეროზე დასამაგრებლად (?) (სურ. 175).

სიგრძე — 2,5—3 სმ (სავ. № 3—69/369).

82. ისრისპირები, რკინისა, ძლიერ დაქანგული ყუნწიანები (სურ. 175).

სიგრძე — 2—3,5 სმ (სავ. № 3—69/370).

83. ფირფიტის ნატეხები, ბრინჯაოსი. ორნამენტისანი, შეიძლება კაპარქის გარსაკრავი იყოს (სავ. № 3—69/371).

84. ფარის ფრაგმენტები, რკინისა, ბრინჯაოს მავთულით შეკრული (სურ. 164). ფარი ძლიერ დაქანგულია და დეფორმირებული (სავ. № 3—69/372).

№ 10 სამარხი ბავშვისა, აღმოჩნდა ნაკვეთ 68-ში კვ. C7—d7. წარმოადგენს თირში ამოკვეთილ პატარა ზომის მოპრეგვალბულ ორმოს (1,4 მ X 0,90 მ). თანადროული ან ოღნავ გვიანდელია მეორის სამარხზე.

სამარხული ინვენტარის აღწერილობა:

1. სასაფეთქლები, ოქროსი, წყვილი. თითოეული წარმოადგენს ორ სხვადასხვა ზომის რგოლს. რგოლები მსხვილი მრგვალგანივეკვეთიანი მავთულისაგანაა დამზადებული, ბოლოები გახსნილი აქვს და ერთმანეთზე გადასული (დიდ რგოლზე პატარა რგოლია შეკიდული).

დიდი ზომის რგოლის დმ — 23 მმ, ღეროს დმ — 2 მმ, მცირე ზომის რგოლის დმ — 19 მმ, ღეროს დმ — 1,5 მმ (სავ. № 3—69/373).

2. სამაჯური, ოქროსი, გახსნილი, მრგვალგანივეკვეთიანი, ბოლოები სწორადაა ჩამოჭრილი, შესქელებულია და ერთმანეთზეა გადასული, შემკულია ირგვლივ შემოვლებული ღარებით.

სამაჯური დიხანს ხმარების კვალს ატარებს.

სამაჯურის უდიდესი დმ — 48 მმ, ღეროს დმ—3,5 მმ (სავ. № 3—69/374).

3. სამაჯური, ვერცხლისა, გახსნილია, ბოლოები ერთმანეთზეა გადა-

სული და შემკულია ირგვლივ შემოვლებული ღარების რიგით. მრგვალგანივ-
კვლიანი, ზურგი ბრტყელია.

სამაჯურის უდიდესი ღმ — 4,5 სმ (სავ. № 3—69/375).

4. სამაჯური, ბრინჯაოსი, გახსნილი, მრგვალგანივკვეთიანი, შემკულია
ირგვლივ შემოვლებული ღარების რიგით და სივრცეები ქლებით.

სამაჯური დაზიანებულია — ღარები და ქლები ცუდად იკითხება.

სამაჯურის ღმ — 48 მმ, ღეროს ღმ — 3 მმ (სავ. № 3—69/376).

5. სამაჯური, ბრინჯაოსი, გახსნილი, ბოლოვდება ცხოველის თავის
სტილიზებული გამოსახულებით, ოთხკუთხაგანივკვეთიანია, შემკულია ირგვ-
ლივ შემოვლებული ღარების რიგებისა და ქდეული წერტილების მონაცელო-
ბით. სამაჯური ერთიანადაა ჩამოსხმული.

ღმ — 66 მმ (სავ. № 3—69/377).

6. ბეჭედი, ვერცხლისა, ფარაქიანი, ფარაქზე ამოკვეთილია მჭდომარე
ადამიანის ფიგურა, რომელსაც ერთ ხელში დისკო უჭირავს, მეორეში ზეთის-
ხილის (?) ტოტი (სავ. № 3—69/378).

7. ბეჭედი, ბრინჯაოსი, ფარაქიანი, ფარაქი სადაა.

ღმ — 2 სმ (სავ. № 3—69/379).

8. მონეტები, ვერცხლისა — კოლხური თეთრი, 3 ცალი, წერილი ნო-
ბინალი (სავ. № 3—69/380).

9. მძივები, პასტისა და გიშრისა: 22 გიშრის საკიდი, 20 გიშრის ცი-
ლინდრული მძივი, 49 ლურჯი პასტის მძივი, 62 მწვანე პასტის მძივი, 26 ყვი-
თელა პასტის მძივი (სავ. № 3—69/381).

10. დოქი, რუხ-მოწითალოდ გამომწვარი (არათანაბრად) თიხისა, სქელ-
კედლიანი, პირგადაშლილი, ყელი ვიწრო და დაბალი, მუცელი ბიკონუსური,
ძირი ბრტყელი აქვს. მუცლის გარშემო ღარებს შუა მოქცეული ტალღოვანი
(სავარცხლისებური ინსტრუმენტით შესრულებული) ორნამენტის სარტყელი
შემოუყვება.

სიმაღლე — 18,5 სმ, პირის ღმ — 8,5 სმ, ძირის ღმ — 7 სმ (სავ. № 3—
69/382).

11. ქოთანის, რუხ-მოწითალოდ გამომწვარი თიხისა, უხეშად ნაძერწი,
ცალყურა, მრგვალმუცლიანი, ძირბრტყელი, ყური მრგვალგანივკვეთიანია.

სიმაღლე — 10,5 სმ, ძირის ღმ — 7 სმ. (სავ. № 3—69/383).

12. სანელსაცხებლე, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, ყელივი-
წრო, პირი პროფილირებულია, მხრებში გაზიდული, ძირისკენ მკვეთრად შე-
ვიწროებული მუცელი პატარა, გამოყვანილ ქუსლში გადადის. ძირი ოდნავ
შეღრკეილია. ზედაპირი მოყავისფრო განავი ზოლებით აქვს მოხატული (სურ.
179).

სიმაღლე — 11,5 სმ, პირის ღმ — 3 სმ, ძირის ღმ — 3 სმ (სავ. № 3—
69/384).

13. დოქი, მოხატული, პირგადაშლილი, ცალყურა, მუცელი მსხლისებუ-
რი, ძირი ბრტყელი აქვს. დიავარდისფრად გამომწვარი, წმინდად განლექილი
თიხისაა, მოხატულია წითელი საღებავით.

სიმაღლე — 16 სმ, პირის ღმ — 6,5 სმ, ძირის ღმ — 6 სმ (სავ. № 3 —
69/385).

14. კინკილა, ლეგად გამომწვარი თიხისა, ზედაპირგაპრიანებული,
ცალყურა, მარალყელიანი, პირგადაშლილი; მრგვალმუცლიანი და ძირბრტყელი.

მრგვალგანიკვეთიანი ყური მხართან იწყება და პირს ქვემოთ, თითქმის ყელის შუა ნაწილთან მთავრდება.

ყელი მთელ სიგრძეზე შემკულია განივი პარალელური ღარებით (გოფრირებულია). მხარი შემკულია ძირისკენ წვეტებით მიმართული, ამოკაწრული სამკუთხედებით. სამკუთხედების შიდა არე ამოკაწრული ხაზებითაა შევსებული. სულ 5 ასეთი სამკუთხედი. მუცლის გარშემო სამი ამოღარული ზოლისაგან შემდგარი სარტყელი შემოუყვება (სურ. 180).

სიმაღლე — 16 სმ, პირის დმ — 5 სმ, ძირის დმ — 6 სმ (სავ. № 3 — 69/386).

15. დოქი, რუხ-მოწითალოდ არათანაბრად გამომწვარი თიხისა, ცალყურა, პირგადაშლილი, მრგვალი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებულმუცლიანი, ძირბრტყელი. მშვილდისებური. მრგვალგანიკვეთიანი ყური მხართან იწყება და პირს ქვემოთ მთავრდება.

მუცლის გარშემო ორ ღარს შორის მოქცეული ტალღოვანი (სავარცხლისებური) ორნამენტის სარტყელი შემოუყვება (სურ. 180).

სიმაღლე — 16 სმ, პირის დმ — 6,5 სმ, ძირის დმ — 5,5 სმ (სავ. № 3 — 69/387).

16. სასმისი, ლევად გამომწვარი თიხისა, გაპრილებული, პირი თევზისებურად გადაშლილი, მუცლის ზედა ნაწილი თითქმის ცილინდრულია, ძირისაკენ დაქანებულია და ქუსლში გადადის. ქუსლი და ყური მოტეხილი აქვს. ქურკლის ტანი სიგრძეზე ამოკაწრული წიწვოვანი ორნამენტითაა შემკული (სურ. 181).

შერჩენილი სიმაღლე — 21 სმ, გადაშლილი პირის სიგანე — 7,5 სმ, მუცლის დმ — 9 სმ. (სავ. № 3—69/388).

№ 11 ხამარხი, ცენტრალური ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა (ნაკვ. 104, K₂₋₄, 105 A₂₋₄). ხამარხი ორნა (3×3.70 მ) კლდოვან დედაქანშია ამოკრალი. რიყის ქვაყრილის ქვეშ მდებარე ზის საჩყოფავისაგან შემორჩენილია მხოლოდ რკინის დღი ზომის ლერსნეზი. მასზე შენაძლებელია მისი ზომების სავარაუდო აღდგენა (სიგრძე — 3.10 მ, სიგანე — 2.25 მ, სიმაღლე — 1,50 მ). საჩყოფავის გარეთ აღმოჩნდა საყვარელ კარვად შენახული ცხენის ჩონჩხი, აგრეთვე რკინის ლავის ძლიერ დაჯანჯღლი ნაშთი. ხამარხში ოთხი ადამიანის ჩონჩხის ნაშთი იყო. მათგან ერთი (დვილზე კლდელ შენახული) ძალზე მდიდრულად დაკრძალული ქალისა (სურ. 153—155).

მიცვალბულის თავით (სამარხის აღმოსავლეთ კედლის ნაწილზე) ელვად იმპორტული (ბერძნული) ბრინჯაოს ენობოა დაპატარა რომლის ტარი ლეროსის ტანს წარმოსახავს; თიხის ორყურა საწვლავებზე: ვერცხლის სფერული ქურკელი, რომლის ტანი შემკულია ენობის ორნამენტით და ხელსაწყო-ლი სფინქსების გრავირებულ გამოსახულებათა სარტყელთა კოლბური ბრინჯაოს მცირე ზომის (სიტულის ფორმის) პეტრელი რომლის ქალი სავარაუდოდ ხოლო სახურავი ცხოველთა გრავირებულ გამოსახულებათა შემკული აგრეთვე ბერძნული ვერცხლის სარტყელთა რომლის ქალი ლეროსის ლონა ხოლო მის ქვემოთ ვერძის სველმტარებელი გამოსახულებითაა მოკლული; ვერცხლის მაღალფეხიანი კლიპები (2 ც.); ე. წ. ხამარხის პირის თავის (2 ც.) და მოზრდილი შავპირი კოლბური დონე (ტალღოვანი ორნამენტით შემკული).

სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ორი კოლბური ორნამენტი და ერთ ატიკურ მაღალფეხიან შავლაქთან კოლბურ ელვად დაკრძალული და ფრან-

ველის ძეგლები, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში — კოლხური ბრინჯაოს სიტულები (სურ. 186).

ქალის სამკაული თითქმის მთლიანად ოქროსა და ვერცხლისაა. თავს უმკობდა ოქროს დიადემა, რომლის გრეხილი რკალი რომბისებური ფირფიტებითა და შესაყრავი კავებითაა დაბოლოებული. ამ ფირფიტებზე ამოტვიფრულია ორ რიგად განლაგებული ცხოველთა ბრძოლის სცენები: ერთზე — ლომები გლეჯენ ზურგზე განრთხმულ ხარს, ხოლო მეორეზე კი წინა ფეხებზე წაჩოქილ ქურციკს. თავის არეში აღმოჩნდა და თავსამკაულის ნაწილებს წარმოადგენს მსხლისებური საკიდებისა და ტანდალარული მძივების მონაცვლეობა, ოქროს სხივანა სასაფეთქლეები, რომლის რგოლს ვარდულა ამკობს, ხოლო სხივებს კი ცვარათი შედგენილი პირამიდები და ჩიტის მინიატურული გამოსახულებანი. იქვეა ნაპოვნი ე. წ. ჰვირულბურთულიანი საყურეები და მშვილდსაკინძი, აგრეთვე ოქროს ღერო (ზოდი?).

აღმოჩენის პირობების გათვალისწინების საფუძველზე აღდგენილია 5 სხვადასხვა ყელსაბამი: პირველი შედგება კუს გამოსახულებიანი საკიდებისა და სადა სფერული მძივებისაგან, მეორე — ჩიტის გამოსახულებიანი საკიდებისა და ტანდალარული მძივებისაგან, მესამე — ვერძის თავის გამოსახულებიანი საკიდებისა და მძივებისაგან, მეხუთე — სიმინდისტაროაებური საკიდებისა და ტანდალარული მძივებისაგან, მეხუთე — დოლისებური საკიდებისა (ცვარათი გამოყვანილი სვასტიკებითა და სხვა გეომეტრიული სახეებით შემკული) და მსხვილი ტანდალარული მძივებისაგან. შესაძლოა მასვე ეკუთვნოდა ქარვის სწორკუთხა მძივები. საერთოდ კი საფიქრებელია, რომ ოქროს საკიდებთან და მძივებთან ერთად ყელსაბამში მონაცვლეობდა ფერადი პასტისა და სარდიონის მძივსაკიდები, აქვე რომაა მრავლად ნაპოვნი.

დიდი რაოდენობით აღმოჩნდა აგრეთვე ვერცხლის მილაკები და სადა სფერული მძივები, სხვადასხვაგვარი საკიდები.

მაკებთან აღმოჩნდა ოქროს სამაჯურები, რომელთაგან ერთი წყვილი ტახის გამოსახულებით, ხოლო მეორე — ვერძის თავებითაა შემკული. სამაჯურებთან ერთად, როგორც ჩანს, მკლავს (იდაყვს ქვემოთ) ამკობდა ოქროსა და სარდიონის მძივები. იქვეა ნაპოვნი ხუთი ბეჭედი, რომელთაგანაც ერთი ფარაკიანია და საბეჭდავს წარმოადგენს. საფიქრებელია, რომ სარტყლის მოსართავს წარმოადგენდა არწივის ოქროს ორი გამოსახულება, რომელთაც უთუოდ ჰერალდიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

მიცვალებულს, როგორც ჩანს, ეფარა სუდარა, რომელიც ოქროს ღილაკებით და მილაკზე ასხმული ორნამენტირებული ფირფიტებით იყო გაწყობილი.

მიცვალებულის ჩონჩხის ქვეშ და მის გვერდით (სამარხი ორმოს ძირის დონეზე) აღმოჩნდა ძლიერ დამსხვრეული თიხის ჭურჭელი (ამჟამად აღდგენილია): დიდი ზომის ორყურა ბრტყელძირიანი ჭურჭლები (წინეხვით გამოყვანილი ზოლებით შემკული), სხვადასხვა ზომის ბიკონუსური ფორმის ცალყურა და უყურო შაკპრიალა ჭურჭლები (ორნამენტი — ტალღოვანი, ირიბი ჭდეები), ყურმილიანი დოჭი.

მეორე მიცვალებულს აღმოაჩნდა ვერცხლის ორი დიადემა ერთად (!) ოქროს სხივანა საყურეები, პასტის სხვადასხვა ზომის მძივსაკიდები, ვერცხლის ბრტყელი სამაჯურები (ზენური ორნამენტით შემკული). მესამეს — ვერცხლის დიადემა, ოქროს სხივანა საყურეები, ყელსაბამი — ოქროსა და პასტის მძივე-

ბისკან შემდგარი, მკორე და მესამე მიცვალებულებს შორის აღმოჩნდა გეოგრაფის კოეზი (სფინქსის სკულპტურული გამოსახულებით შეწყველი).

მეთოხე მიცვალებულს მხოლოდ ოქროს ერთადერთი სახურე ჰქონდა ხამარბეული ინვენტარის აღწერილობა:

1. დ ი ა დ ე მ ა, ოქროსი.

დიადემა წარმოადგენს დავრეხილ, მორკალურ ღეროს. რომელიც ერთპანეთთან კავებით დაკავშირებული რომბისებური ფირფიტებით მოლოცდება (სურ. 187—189).

ღერო თანაბრად დაგრეხილი; განივკვეთში ოთხფრთხანია.

რომბისებური ფირფიტები მოყვანილობით ერთნაირია.

თითოეული შემოჩარჩოებულია ჩაღარული ხაზებითა და ვერტიკალური ქდეების წყებით. ფირფიტა პორიზონტალური სარტყლით ორ თაქმას თანაბარ ნაწილად — ტოლფერდა სამკუთხედებად იყოფა. სარტყელი ფირფიტაზე ზემოდანაა დარჩილული; შუა ნაწილი ამოზურცულია, ხოლო კდეები დაკვენილი.

სამკუთხედებში ცხოველთა ქიდილის სცენებია წარმოდგენილი დაბალი რელიეფით. ერთ ფირფიტაზე ორი ლომი დასვერება ქურციკს; მეორე ფირფიტაზე — ორი ლომი ხარს (თითოეულ ფირფიტაზე გამოსახულებები ორჯერაა გამეორებული).

ეს კომპოზიციები კარგადაა მორგებული სამკუთხედის ფორმას. ორჯე შემთხვევაში შუაშია მოთავსებული ქურციკი ან ხარი, ხოლო ლომები ამ ფიგურის მიმართ ჰერალდიკურადაა მოცემული.

ლომის გამოსახულება ყველა შემთხვევაში, გარდა წვრილმანი დეტალებისა, ერთმანეთის მსგავსია. ლომის სხეული გამოსახულია პროფილში, თავი — en face. კული დაშეებულია, ხოლო ბოლო — ზეაწეული და მოკაუბკაული. სხეული მკვეთრადაა მოდელირებული. სახის ნაკვთები მოცემულია საკმაოდ დეტალურად — ნუზისებური თვალები, გრძელი ცხვირი, „ფოთლანებური“ მოყვანილობის ყურები (ყურებზე შეიმჩნევა წვრილი ირიბი ხაზები). ლომის ფაფარი ურთიერთგადამკვეთი ხაზების ბადითაა გამოსახული (ხაზები გადაკვეთისას რომბებს ქმნის). იგივე ხერხია გამოყენებული კულის ბოლოზეც, რომელიც გაფართოებულია და გირჩის მოყვანილობას გვაგანება ბეწვი ზურგზე წვრილი ირიბი ქდეებითაა აღნიშნული.

როგორც აღნიშნული იყო, ლომის გამოსახულებები თითქმის ზუსტად მეორდება, გარკვეული გადახრები ჩანს მხოლოდ კედურების მოძრაობაში.

გარკვეული სხვაობაა პროპორციებშიც. ლომების კედურები შედარებით დაგრძელებულია. ეს გამოწვეულია სამკუთხედების სხვადასხვა ზომით (ლომების ფეხები დაგრძელებულია იმ შემთხვევაში, როდესაც საწყობის სიმაღლე უფრო დიდია).

მეორე კომპოზიციამში ლომები წაქცეულ ხარს დასვერებებიან: ერთი ხარს ყელს ჩასწვლამია, მეორე — მუცელს. სამკუთხედებში ლომების მოძრაობის შედარებისას კარგად ჩანს გარკვეული გადახრები.

ამგვარად, ორივე კომპოზიციამში ცენტრში მოქცეული ცხოველი ლომების მიერ უკვე დამარცხებულია.

ქურციკი წინა ფეხით წაჩოქილია, თავი დახრილ აქვს. რტა — მარჯვნივ დახრილ, ლომი ერთი ფეხით რტას ებჯინება კედელს.

ქურციკი წარმოდგენილია პროფილში. სხეული მოდელირებულია აკურსი

ირიბი ღარებით გადმოცემულია წვერები და ბეწვი ზურგს გასწვრივ. რქა ჭდე-
ებითაა გამოსახული, მხოლოდ რქის წვერია სადა და გადალუნული. ყურებზეც
შეიძინევა აგრეთვე ირიბი ნაკაწრები. ნათლად ჩანს ქურციკის ჩლიქები, სას-
ქესო ორგანო, მოკლე სქელი კული.

ქურციკის გამოსახულებების ცალკეულ დეტალებში მცირე განსხვავებე-
ბია. ერთი ქურციკის წვერები შედარებით მოკლეა; უკანა ფეხები უფრო გან-
ზეა გამდგარი, ხოლო წინა წაჩაჩილა ფეხს ზემოთ, მუცელთან, რაღაც მრგვა-
ლი ნიშანია ამოტვიფრული, რაც შემთხვევითი ხასიათისა უნდა იყოს.

ხარი ზურგზეა განრთხმული, თავი უკანაა გადადგებულა, წინა ფეხები ზე-
ვითაა მოქცეული და მოკეცილი. ერთ სამკუთხედში ხარის მხოლოდ ერთი
უკანა ფეხია გამოსახული, რომელიც გაშვერილია ლომის მუცელთან; მეორე
სამკუთხედში ორივე ფეხია მოცემული იგივე მოძრაობაში. ხარის კული სწორა-
დაა განრთხმული მიწაზე.

ხარი გამოსახულია პროფილში. სხეული და თავი მოდელირებულია. რქა
სადაა, მხოლოდ ძირში შეინიშნება ჭდეები. ირიბი ჭდეები და ჰორიზონტალუ-
რი ნაკაწრები ჩანს კულზე. ირიბი ნაკაწრებია აგრეთვე ყურებზე. ნათლადაა
გადმოცემული ხარის ჩლიქები.

აღსანიშნავია, რომ ორივე ხარს თეძოსთან სამკუთხა მოყვანილობის ჩა-
ღრმავებული ნიშანი აქვს. შეიძლება ეს შემთხვევითი ხასიათის იყოს და ტვი-
ფრის დაზიანებით იქნას ახსნილი.

ერთ შაკუთხედში ხარის წინა კიდურები ზუსტად ცენტრშია მოქცეული;
მეორეში კი მარჯვნივაა გადახრილი. გარკვეული სხვაობა ჩანს სხვა დეტა-
ლებშიც. პირველ შემთხვევაში ხარის თავი უფრო მკვეთრადაა გადახრილი,
ზურგის ხაზი შედარებით დაშორებულია ჰორიზონტალურ სარტყელს: წინა
კიდურები უფრო მჭიდროდაა მოკეცილი, უკანა კიდურების შესახებ კი უკვე
აღნიშნული იყო.

განხილულ კომპოზიციებში ცხოველები მჭიდროდაა განლაგებული და სამ-
კუთხედის ფართობი თითქმის მთლიანად შევსებულია. ზოგჯერ ჩარჩოები გარ-
ღვეულია კადეც (მაგალითად, ხარი თავისი უკანა ფეხის ჩლიქებით გამო-
ღის მოცემულ ჩარჩოდან).

რომბისებური ფირფიტები ერთმანეთს უკავშირდება კავებით, რომელთა
წვერები სხვადასხვა სიბრტყეზეა განლაგებული და ამ პრინციპის საფუძველ-
ზე ხდება სწორედ მათი გადაბმა.

კავის ღერო მრგვალგანივკვეთიანია (წვერთან ზისი დმ—2,5 მმ), რომბის-
ებურ ფირფიტასკენ თანდათანობით ფართოვდება. შემკულია ვერტიკალური
ღრმა ღარებითა და ჰორიზონტალური ჭდეებით (იმგვარად, რომ გარკვეული
ორნამენტული სახე იქმნება, ე. წ. ორნამენტი Perlenschnur).

კავის ღერო უკანა მხრიდან სადაა.

ღიაღმის დმ — 212 მმ, 233 მმ (გარე მხრიდან); 204,5 მმ, 220 მმ (შიდა
მხრიდან); რომბისებური ფირფიტის ჰორიზონტალური სარტყლის სიგრძე —
107 მმ, კავის სიგრძე — 29 მმ (სავ. № 3—69/389).

2. თ ა ვ ს ა მ კ ა უ ლ ი, ოქროსი — მსხლისებური საკიდები და მძივები⁸.

⁸ საკიდებისა და მძივების თავსმაკულად განსაზღვრა, აგრეთვე მათი გარკვეული კანონ-
ზომიერებით ასხმა ემყარება აღმოჩენის პირობების გათვალისწინებას.

მსხლისებური საკიდი — 63 ცალი; აქედან უყუნწო — 31 ცალი, ყუნწიანი — 32. წვრილი ტანდალარული მძივი — 124 ცალი. საშუალო ზომის ტანდალარული მძივი — 60 ცალი. საშუალო ზომის ტანდალარული მძივი, ცალ მხარეს ნახერგთან დაკეპნილმავთულშემოვლებული — 8 ცალი.

თავსამკაული შედგენილია მსხლისებური საკიდებისა და სხვადასხვაგვარი მძივების მონაცვლეობით (სურ. 195).

საკიდები მოყვანილობით მსხლისებურია; წარმოადგენენ ბიკონუსს, სადაც ქვედა კონუსის სიმაღლე გაცილებით მცირეა ზედასთან შედარებით. ფუყეა, დამზადებულია ფირფიტისაგან — ორი გამოტვიფრული ნახევარი ერთმანეთთანაა მირჩილული. რჩილვის ხაზი ვერტიკალურია და ნათლად იკითხება. ზედა ნაწილში ნახერგტია გაკეთებული. ნახერგთან საკიდის ორივე მხარე შეღრმავებულია (თითქოს იმ მიზნით, რომ მძივი საკიდთან მჭიდროდ მოთავსდეს). საკიდების ერთ ნაწილს, ნახერგტის გარდა, ზემოდან მრგვალი ყუნწიც აქვს დამაგრებული, რომელიც მთლიანად წნულს წარმოადგენს (მიღებულია ურთიერთსაწინააღმდეგოდ დაგრეხილი ორი მავთულის შეერთებით).

უყუნწო საკიდის სიგრძე — 21 — 21,5 მმ, ყუნწიანი საკიდის სიგრძე — 25,5—26 მმ, ღმ — 9—9,5 მმ, ყუნწის ღმ — 4 მმ, ყუნწის სიგანე — 1,5 მმ.

მძივებში ძირითადად ორი ჩვეუთა გამოიყოფა: წვრილა და საშუალო ზომის ტანდალარული მძივები.

წვრილი ტანდალარული მძივები მოყვანილობით სფეროსებურია, მცირე განსხვავება შეიმჩნევა ზომებსა და ღარების სისშირეში. მიღებულია ორი, უკვე დაღარული ნახევარსფეროს შეერთებით. ამიტომ ზოგჯერ ნახევარსფეროთა ღარების მიმართულება ადენილია. რჩილვის ხაზი კარგად იკითხება. ღერძის სიგრძე — 5,5 მმ, ღმ — 4—5 მმ.

საშუალო ზომის მძივები წვრილის მსგავსია, მხოლოდ ღერძის გასწვრივ ოდნავ წაგრძელებული. რამდენიმეს ერთ მხარეს ნახერგტის გარშემო დაკეპნილი მავთული აქვს შემოვლებული.

ღერძის სიგრძე — 7—8 მმ, ღმ—5—6 მმ (სავ. № 3—69/390).

3. ს ა ს ა ფ ე თ ქ ლ ე ბ ი, ოქროსი; წყვილი.

რგოლზე სტივისებურად დამაგრებულაა ექვსი ღერო, რომლებიც ცვარა-საგან შედგენილი პირამიდებით და ჩიტის გამოსახულებებით ბოლოვდება (სურ. 190).

რგოლი წრიულია, გახსნილი, ბოლოებში გახვრეტილი; რგოლის წინა პირი გაბრტყელებულია. ამ გაფართოებული სარტყლის ორივე მხარეს დაკეპნილი მავთულისაგან მიღებული მარყუყეებია თანაბრად ჩამწკრივებული (24 კბალი თითო რიგში). სარტყლის შუა ნაწილში სიგრძივ დარჩილულია ვიწრო ფირფიტა (კბილების ბოლოები მის ქვეშაა მოქცეული), რომლის კიდეებს დაკეპნილი მავთულები საზღვრავს, ხოლო ზედაპირზე ასევე დაკეპნილი მავთულით შემოვლებული ბურთულებია დასმული (17 ბურთულა).

სარტყელი ქვემოთ განაპირა სხივს ებჯინება, სარტყლის ზემოთ, რგოლზე დამაგრებულია ვარდულა. მისი თექვსმეტი ფურცელი ჩანს, რომლებიც ფირფიტაზე დარჩილული დაკეპნილი მავთულითაა გამოყვანილი (იგულისხმება, რომ ზედა ნაწილში ვარდულას 2—3 ფურცელი ჩიტის სხეულით დაფარულია). ვარდულას ცენტრში დაკეპნილი და სადა მავთულებსაგან შემდგარი წრეები მონაცვლეობს (დაკეპნილი მავთულისა სამი, ხოლო სადა მავთულისა ორი).

მცირე წრეში, რომელიც დაკეპნილი მავთულისაგანაა მიღებული, მოთავსებულია ბურთულა.

ვარდულას ზედა მხარეს და ნაწილობრივ რგოლზე დასმულია ჩიტის გამოსახულება. ჩიტს სადა, ოდნავ მოკაუჭებული ნისკარტი აქვს; სადა მავთულით გამოყვანილია მრგვალი თვალები, თავი ერთიანად დაფარულია ცვარათი, სადა მავთულითაა მოხაზული ფრთებიც, რომლებსაც ირგვლივ ცვარა შემოუყვება. მკერდზე ორ რიგად მოთავსებულია ცვარასგან შემდგარი სამკუთხედები. ჩვეულებრივ, სამკუთხედი ექვსი ცვარასაგანაა შედგენილი, მაგრამ არის გარკვეული გადახრებიც (სამი ცვარასგან შემდგარი სამკუთხედი, ან საერთოდ უწესრიგოდ დამაგრებული ცვარა). ყელზე სადა მავთულია შემოვლებული. ჩიტს ბოლოზე დამაგრებული აქვს მრგვალი ყუნწი, რომელიც მიღებულია სადა და დაკეპნილი მავთულების შეერთებით (განაწირა ორ დაკეპნილ მავთულს შორის სადა მავთულია მოქცეული). ერთ საყურეზე ყუნწი ისეა დასმული, რომ ჩანს ჩიტის კუდი—ცვარასგან გამოყვანილი სამკუთხედი, მეორეზე კი ყუნწთან ცვარას მხოლოდ ერთი რიგი შეიმჩნევა.

სხივების მეორე მხარეს, ვიღრე გახვრეტილ ბოლომდე, რგოლი შემკულია დაკეპნილი მავთულის ოთხი რიგით. აქედან ორი, რომელიც საზღვრავს ღეროს, გრძელდება ჩიტის გამოსახულებამდე; თუმცა სარტყლით და ვარდულათი სრულიად დაფარულია (შეიძლება აქ მხედველობაში იყოს მიღებული ღეროს გვერდები?).

სხივები მიღებულია სადა, მრგვალგანივკვეთიან ღეროზე. დაკეპნილი მავთულების დამაგრებით იმგვარად, რომ თითოეულ სხივზე დაკეპნილი მავთულით ოთხი წახნაგი იქმნება და სხივი განივკვეთში სწორკუთხაა; ქვემოთ დაკეპნილი მავთულითაა შემოვლებული და ბოლოვდება ცვარასგან შემდგარი პირამიდით. საყურეზე პირამიდების ოთხ რიგს ვხედავთ, ერთი რიგი უშუალოდ სხივებთანაა დაკავშირებული, დანარჩენი სამი ამ უკანასკნელს ქვემოდან და გვერდებიდან უკავშირდება. პირამიდა ოთხფერდაა, შედგენილია 25 ცვარასგან (ფერდზე ცვარა ასეა განლაგებული: ოთხი, სამი, ორი, ერთი).

პირამიდები ერთმანეთთან გადაბმულია ერთი დამატებითი ცვარას საშუალებით, რომელიც ზოგჯერ უფრო მსხვილია, პირამიდებში შემავალ ცვარასთან შედარებით (განსაკუთრებით ქვედა რიგში). თითოეულ რიგში 6 პირამიდაა. დამატებით თითო პირამიდა მოთავსებულია კიდევზე იმგვარად, რომ უკანასკნელი ოთხივე რიგთანაა დაკავშირებული. ამ განაწირა პირამიდებზე და ნაწილობრივ სხივებზე ვხედავთ ჩიტის გამოსახულებას, რომელიც ზემოთ აღწერალის მსგავსია; მხოლოდ არ აქვს კუდი და ყუნწი. განსხვავებაა აგრეთვე ერთ უმნიშვნელო დეტალში: ერთ-ერთ ჩიტს თვალი ცვარათი აქვს აღნიშნული და სადა მავთულით შემოვლებული, სხვა შემთხვევაში კი თვალი მხოლოდ სადა მავთულითაა შემოხაზული.

სიგრძე — 76 მმ-81 მმ. რგოლის დმ (გარე მხრიდან) — 44 მმ, 42,5 მმ. ვარდულას დმ — 11 მმ. სხივების უდიდესი გაშლა (პირამიდებიანად) — 46 მმ (სავ. № 3—69/391).

4. საყურეები, ოქროსი, წყვილი.

რგოლზე უძრავადაა დამაგრებული ქვირული ბურთულა, რომელიც ცვარათი შედგენილი პირამიდებით ბოლოვდება (სურ. 191).

რგოლი ოვალურია, გახსნილი, ბოლოებში გახვრეტილი (ნახვრეტთან. ღერო ოდნავ გაფართოებულია). ამ გაფართოებული სარტყლის ორივე კიდზე

ჩამწკრივებულია დაკეპნილი მავთულისაგან შემდგარი მარყუქები; შუა ნაწილში კი სიგრძევი სამი მავთულია დარჩილული — ორ სადა მავთულს შორის მოქცეულია დაკეპნილი მავთული.

სარტყლის ზემოთ, რგოლზე დამაგრებულია ვარდულა, რომლის ფურცლები ფირფიტაზე დარჩილული დაკეპნილი მავთულითაა გამოყვანილი. ფირფიტა თხელია და უკანა მხრიდან დაკეპნილი მავთულის ანაბეჭდები შეიმჩნევა. ერთ საყურეზე 14 ფურცელი ჩანს (იგულისხმება, რომ ერთი მიანც დაფარულია სარტყლით), მეორეზე — 15. ვარდულას ცენტრში სადა და დაკეპნილი მავთულებისაგან შემდგარი წრეები მონაცვლეობს (სადა მავთულისა და დაკეპნილი მავთულისაგან შემდგარი ორ-ორი წრეა). დაკეპნილი მავთულისაგან შემდგარ მცირე წრეში მოთავსებულია ცვარა.

ბურთულა ჰვირულია; შედგენილია 6 სარტყლისგან; ღერძის გასწვრივ წაგრძელებულია. სარტყელთაგან ხუთი ერთნაირია — მიღებულია დაკეპნილი და სადა მავთულების ერთმანეთთან მონაცვლეობით (სამი დაკეპნილი და ორი სადა მავთულია). მეექვსე, პირიზონტალური და შუა წელზე შემოყოლებული სარტყელი წარმოადგენს ვიწრო სადა ფირფიტას, რომლის კიდეები დაკეპნილი მავთულითაა შემოსაზღვრული, ხოლო ზედაპირი ცვარათი შედგენილი პირამიდებითაა შემკული. ერთ საყურეზე 15 პირამიდაა, მეორეზე — 14. პირამიდა სამფერდაა (ფერდზე ცვარა ასეა განლაგებული: სამი, ორი, ერთი). ბურთულას ორივე მხარეს, ზემოთ და ქვემოთ, ვხედავთ დაკეპნილი და სადა მავთულებისაგან შემდგარ წრეებს.

ბურთულას მთელ სიგრძეზე გასდევს ღერძი, რომლის ბოლოები ბურთულას გარეთ გამოდის და ერთი მხრივ დაკავშირებულია რგოლთან, ხოლო მეორე მხრივ (ქვემოთ) — ცვარათი შედგენილ პირამიდებთან. ღერძი მიღებულია ფირფიტის წრიულად დაკეპვისა და მისი ბოლოების ერთმანეთთან მირჩილვის საშუალებით. რჩილვის ხაზი, განსაკუთრებით ერთ საყურეზე ირიბად მიიმართება.

ღერძზე, ზედა ნაწილში, რგოლთან გადაბმის ადგილას, დაკეპნილი მავთულისაგან შეკრული წრეა. ასეთივე წრეს ვხედავთ ქვემოთ, პირამიდებთანაც, მაგრამ ღერძი აქ წრეში გადის და უშუალოდ დაკავშირებულია შიგნით მოქცეულ ერთ პირამიდასთან, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ ჩანს.

ცვარასგან შედგენილი პირამიდები ისეა ერთმანეთთან გადაბმული, რომ ერთიანი დაფანჯრული პირამიდის შთაბეჭდილება იქმნება. სულ 6 პირამიდაა, აქედან ერთი შიგნითაა მოთავსებული, თითოეული პირამიდა შედგენილია 25 ცვარასაგან, ოთხფერდაა (ფერდზე ცვარა განლაგებულია შემდგენიარად: ოთხი, სამი, ორი, ერთი).

სიგრძე — 66 მმ; 68 მმ. რგოლის დმ — 30 მმ, ვარდულას დმ — 8 მმ, ბურთულას დმ (პირამიდებიანი სარტყლით) — 16 მმ, ღერძის დმ — 3 მმ (სავ. № 3—69/392).

5. ყ ე ლ ს ა ბ ა მ ი, ოქროსი — კუსგამოსახულებიანი საკიდები და მძივეები.

დიდი ზომის კუსგამოსახულებიანი საკიდი — 1 ცალი, მცირე ზომის კუსგამოსახულებიანი საკიდი — 30 ცალი, სადა სფეროსებური მძივი — 26 ცალი, ცალ მხარეს ნახვრეტთან დაკეპნილმავთულშემოვლებული მძივი — 6 ცალი.

ყელსაბამი შედგენილია კუსგამოსახულებიანი საკიდებისა და მძივების მონაცვლეობით (სურ. 192)⁹.

კუსგამოსახულებიან საკიდებში ერთი ცალი შედარებით დიდი ზომისაა და განსხვავებულია დანარჩენებისაგან. მისი თითოეული ნაწილი ცალკეა დამზადებული და შემდეგ შეერთებულია ერთმანეთთან. კუს თავი მიღებულია გამოტვიფრული ორი ნახევრის მიჩილვის საშუალებით. რჩილვის ხაზი სიგრძივია; ნათლად იკითხება ქვედა მხრიდან, ზევითა მხარეს კი დაფარულია ცვარათა მწკრივით, სამ-სამი ცვარასგან მიღებული ორი სამკუთხედით აღნიშნულია პირი, თვალები—ცვარას გარშემო შემოვლებული დაკეპნილი მავთულით. თავის სხეულთან გადაბმის ადგილი ზევითა მხრიდან ასევე ცვარათა რიგითაა დაფარული. თავი ჩამჭდარია სხეულში — ფირფიტა აქ ჩაქრილია, მაგრამ გამოყენებულია რჩილვაც.

სხეული ორი ფირფიტის ერთმანეთთან მიჩილვის საშუალებითაა მიღებული, ქვედა ფირფიტა მხოლოდ გამოქრილია და კიდებია ოდნავ აწეული; შიგნით მცირედ შედრეკილია.

კუს ზურგი ოვალურია; გარშემოვლებულია მსხვილი დაკეპნილი მავთულით (შეიმჩნევა მავთულის ბოლოების შეერთების ადგილი) და ცვარათა რიგით (შიდა მხრიდან). ზურგის შიდა ფართობი სიგრძივი სარტყლით ორ ნაწილად იყოფა, სადაც ცვარათი მიღებული სამკუთხედებია მოთავსებული სამ-სამ რიგად. სარტყელი შედგენილია დაკეპნილი და სადა მავთულების მონაცვლეობით (სამი დაკეპნილი და ორი სადა მავთულია, აქედან ერთი სადა მავთული — კუს თავთან, მარცხნივ — დაგრძელებულია დაკეპნილით). ცვარათი მიღებული სამკუთხედები ორივე მხარეს გარკვეული რიგითაა განლაგებული (ფუძით სარტყლისკენ). პირველ რიგში 9 სამკუთხედია, მეორეში — 7, მესამეში — 6.

ცვარა საკმაოდ ფაქიზადაა დასმული. მცირე გადახრები ჩანს მარჯვენა ნაწილში. როგორც წესი, თითოეული სამკუთხედი ექვსი ცვარასგანაა შემდგარი, მაგრამ რამდენიმე ადგილას მხოლოდ სამ ცვარას ვხედავთ; ზოგჯერ ცვარა აცდენილია სამკუთხედის მოხაზულობას.

ცვარათი შემდგარი სამკუთხედების რიგია აგრეთვე კუს უკანა ფეხებს შორის (8 სამკუთხედი). კუს ოთხი ფეხი ღარებითაა გამოყვანილი. კუს უკანა ნაწილთან ყუნწია დამაგრებული, რომელიც მრგვალგანიკვეთიანი მავთულისგანაა მიღებული.

სიგრძე ყუნწიანად — 30 მმ, უყუნწოდ — 27,5 მმ, სიგანე, უდიდესი — 16,5 მმ, უმცირესი — 15 მმ, სიმაღლე — 9 მმ.

მცირე ზომის კუსგამოსახულებიანი საკიდები ერთნაირია. მიღებულია ორი გამოტვიფრული ფირფიტის ერთმანეთთან მიჩილვის საშუალებით. ქვედა ფირფიტა სადაა, ოდნავ შედრეკილია; კიდებია აწეული აქვს. ზედა ფირფიტაზე გამოაჩნულია კუს თავი და სხეული. კუს თვალები ინკრუსტირებული აქვს—დაკეპნილ მავთულისგან შედგენილ წრეში მოთავსებულია თეთრი ფერის მინისებური მასა (ამჟამად სახეშეცვლილია). თვალებს შორის მოთავსებულია სამი ცვარასგან შემდგარი სამკუთხედი. კუს ზურგი ოვალურია, გარშემოვლებულია დაკეპნილი მავთულით. შიდა ფართობი სიგრძივი სარტყლით ორ თით-

⁹ საერთოდ, ყველა შემთხვევაში, სამკუთხედის ყელსაბამებად განსაზღვრა, აგრეთვე მათი გარკვეული კანონზომიერებათ ასხმა ემყარება აღმოჩენის პირობების გათვალისწინებას.

ქმის თანაბარ ნაწილად იყოფა, სადაც სამ-სამ რიგად მოთავსებულია ცვარასგან შედგენილი სამკუთხედები. სარტყელი მიღებულია სადა და დაკეპნილი (სამი სადა და ორი დაკეპნილი) მავთულების მონაცვლეობით. (ერთ ცალზე სარტყელი ბოლოსკენ დავიწროებულია, რადგან შუა სადა მავთული გაწყვეტილია და დაკეპნილი მავთულები, სადას გარეშე, ერთადაა მოთავსებული. სამ ცალზე სარტყელი მკვეთრად აცდენილია შუა ხაზს, ამიტომ ერთ მხარეს სამკუთხედების მესამე რიგი მეტად პირობითადაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე მხარეს მეოთხე რიგია, თუმცა საკმაოდ დუღევრად შესრულებული). სამკუთხედები 6 ცვარასგანაა შემდგარი. პირველ რიგში 7 ან 8, იშვიათად 9 სამკუთხედია მოთავსებული. მეორე რიგში მათი რიცხვი 8-დან 6-მდე მერყეობს, მესამე რიგში 5-ია (მესამე რიგში ხშირად სამკუთხედების განლაგებაში არეულობა შეიმჩნევა, ზოგჯერ სამკუთხედები 3 ცვარასგანაა შემდგარი; არის შემთხვევები, როდესაც სამკუთხედების ნაცვლად ცვარაა უწესრიგოდ მობნეული).

კუს ოთხივე ფეხზე (თათების აღსანიშნავად) მოთავსებულია სამ რიგად ცვარა, მის გაგრძელებაზე კი — ქვედა ფირფიტაზე — სამი ღარია.

კუს ბოლოში სფეროსებური მოყვანილობის მძივია მირჩილული. მძივი ღერძის გასწვრივ წაგრძელებულია. რჩილვის ხაზი კარგად იკითხება. ორივე მხარეს ნახერგტან მავთულია შემოვლებული.

სიგრძე, მძივიანად — 19—20 მმ; მძივის გარეშე — 14—15 მმ. სიგანე, ფეხებიანად — 12—13 მმ; ფეხების გარეშე — 10—11 მმ.

მძივების უმეტესი ნაწილი სფეროსებური მოყვანილობისაა, სადაა. ნაწილი მსგავსია კუს ბოლოში მირჩილული მძივებისა, იმ განსხვავებით, რომ დაკეპნილი მავთული მხოლოდ ერთ მხარესაა ნახერგტან შემოყოლებული (სავ. № 3—69/393).

6. ყ ე ლ ს ა ბ ა მ ი, ოქროსი — ვერძის თავის გამოსახულებიანი საკიდები და მძივები.

ვერძის თავის გამოსახულებიანი საკიდი — 40⁰ ცალი, ტანდალარული წერილი მძივი — 58 ცალი, ტანდალარული უწერილესი მძივი — 44 ცალი.

ყელსაბამი შედგენილია ვერძის თავის გამოსახულებიანი საკიდებისა და ტანდალარული მძივების მონაცვლეობით (სურ. 193).

საკიდები ერთნაირია, მიღებულია ფირფიტისაგან გამოტვიფრული ორია ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად (რჩილვის ხაზი ნათლად ჩანს). კარგადაა გადმოცემული ვერძის პირი. თვალეები მრგვალია, ამობურცული; მოხაზულია წარბებიც, რქები წრიულადაა მოხრილი და დაქდეული.

საკიდის ზემოთ ყუნწია მირჩილული, რომელიც მიღებულია დალარული ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად.

საკიდის სიგრძე (ყუნწიანად) — 14,5 მმ, სიმაღლე — 6,5 მმ. ყუნწის სიგრძე — 3,5 მმ, ღმ — 2,5 მმ.

მძივები სფეროსებური მოყვანილობისაა, ტანდალარული. მიღებულია ორია უკვე დალარული ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად (რჩილვის ხაზი კარგად იკითხება). ნახევარსფეროებზე ღარების მიმართულება მეტნაკლებად ემთხვევა ერთმანეთს.

ზომების მიხედვით ორი ჭკუფი გამოიყოფა: წერილი და უწერილესი (აქ გათვალისწინებულია საერთოდ სამარხში აღმოჩენილი ყველა ტანდალარული მძივის შეფარდება).

წერილი მძივის დმ — 4 მმ (ზოგიერთი ღერძის გასწვრივ ოდნავ წაგრძელებულია).

უწვრილესი მძივის დმ — 3 მმ (სავ. № 3—69/394).

7. ყ ე ლ ს ა ბ ა მ ი. ოჭ რ ო ს ი — ჩიტისგამოსახულებიანი საკიდები და მძივები.

ჩიტისგამოსახულებიანი საკიდი — 60 ცალი, ტანდალარული მძივი — 119 ცალი, აქედან: ყუნწიანი — 59 ცალი, უყუნწო — 60 ცალი, მილაკი — 3 ცალი.

ყელსაბამი შედგენილია ჩიტისგამოსახულებიანი საკიდებისა და წვრილი, ტანდალარული მძივების მონაცვლებით (სურ. 194).

საკიდები ერთნაირია. ჩიტს მსხვილი და მოკაუჭებული ნისკარტი აქვს; თვალები დაკეპნილი მავთულითაა მრგვლად მოხაზული. ასევე დაკეპნილი მავთულითაა გამოყვანილი ფრთები და კუდი, მხოლოდ ფრთების შიგნით დამატებით სადა მავთულსაც ვხედავთ. სადა მავთული შემოვლებულია აგრეთვე კისერზე. ჩიტს ბოლოში ყუნწი აქვს მირჩილული, რომელიც წარმოადგენს სადა ოდნავ დაკეპნილი მავთულებით შედგენილი წრეების შეერთებით მიღებულ მილაკს. საკიდები ფუყეა.

სიგრძე, ყუნწიანად — 12 მმ, სიგანე — 6 მმ, სიმაღლე — 8 მმ, ყუნწის სიგრძე — 3 მმ, დმ — 2 მმ.

ტანდალარული მძივები სფეროსებური მოყვანილობისაა. მიღებულია ორი, უკვე დაღარული ნახევარსფეროს (ამიტომ ღარების მიმართულება ზოგჯერ აცდენილია სწორ ხაზს) ერთმანეთთან შეერთებით. რჩილვის ხაზი კარგად იკითხება, გამოიყოფა ორი ჯგუფი — ყუნწიანი და უყუნწო.

უყუნწო მძივების უმრავლესობა ხშირად დაღარულია. მაგრამ გვხვდება შედარებით მეჩხერად დაღარულებიც. ყუნწიანი მძივები ხშირად დაღარულია; ყუნწი მკავანია საკიდების ყუნწებისა, მხოლოდ, ხუთის ნაცვლად, სამი წრისგანაა შემდგარი.

მძივების ზომებში განსხვავება არ შეიმჩნევა. დმ—4,5 მმ (სავ. № 3 — 69/395).

8. ყ ე ლ ს ა ბ ა მ ი, ოჭ რ ო ს ი — სიმინდის ტაროსებური საკიდები და მძივები.

სიმინდის ტაროსებური საკიდი—47 ცალი. საშუალო ზომის ტანდალარული მძივი — 46 ცალი. წვრილი ტანდალარული მძივი — 46 ცალი.

ყელსაბამი შედგენილია სიმინდის ტაროსებური საკიდებისა და ტანდალარული წვრილი და საშუალო ზომის მძივების მონაცვლებით (სურ. 196).

საკიდები ერთნაირია, მიღებულია ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვით. რჩილვის ხაზი სიგრძივია და კარგად ჩანს. შემკულია ჩაქდებული წერტილებით, რომლებიც ვერტიკალურ ზოლებადაა განლაგებული (თითოეულ ზოლში წერტილების ორი რიგია) და გარკვეული კანონზომიერებით მონაცვლებობს სადა მინდორთან (რჩილვის ხაზი ყველგან სადა მინდორზე გადის). ეს ჩაქდებული წერტილები თითქოს სიმინდის კბილებს გამოსახავს. საკიდის ბოლოში წვერზე პატარა ბურთულაა დამაგრებული. ზემოთ საშუალო ზომის ტანდალარული მძივია დარჩილული. მძივი სფეროსებურია, ღერძზე ოდნავ წაგრძელებული. მიღებულია ორი, უკვე დაღარული, ნახევარსფეროს შეერთებით (ნახევარსფეროთა ღარების მიმართულება ზოგჯერ აცდენილია).

რჩილვის ხაზი კარგად იკითხება. გარდა ამისა, ორი „მძივი“ საკიდთან ერთადაა გამოტვიფრული. ერთი მათგანი (ზემოდან მეორე), ტანდალარულია, მხოლოდ ღარები ვერტიკალურადაა განლაგებული. „მძივს“ ერთი, ზოგჯერ ორი ნახვრეტი აქვს (23 მძივი ორნახვრეტიანია; მეორე ნახვრეტი უფრო ხშირად მესამე „მძივთან“ გადაბმის ხაზზე ვაღის). მესამე „მძივი“ დაბრტყელებულია, ნახვრეტი არ აქვს.

საკიდის სიგრძე — 30—31,5 მმ, ღმ — 7 მმ.

წერილი, ტანდალარული მძივები სფეროსებული მოყვანილობისაა, მიღებულია ორი უკვე დაღარული ნახევარსფეროს შეერთებით (ნახევარსფეროთა ღარების მიმართულება ზოგჯერ აცდენილია). რჩილვის ხაზი ნათლად ჩანს. მცირე განსხვავება შეიმჩნევა ღარების სიხშირეში. ღმ — 4,5—5 მმ.

საშუალო ზომის ტანდალარული მძივები წერილის მსგავსია, მხოლოდ ღერძის გასწვრივ ოდნავ წაგრძელებულია. ღერძის სიგრძე — 7 მმ, ღმ—5—6 მმ (საე. № 3—69/396).

9. ყ ე ლ ს ა ბ ა მ ი, ოჭროჩი — დოლისებური საკიდები და მძივები.

დოლისებური საკიდი — 6 ცალი, ტანდალარული მძივი — 42 ცალი.

ყელსაბამი შედგენილია დოლისებური საკიდებისა და მსხვილი, ტანდალარული მძივებისაგან (სურ. 197).

საკიდები მოყვანილობით ერთნაირია: ორი მრგვალი ფირფიტა შეერთებულია წრიულად მოკეცილი ფირფიტით (მისი ბოლოები მიჩილილი არ არის, არამედ ერთმანეთზე გადადის), რომელიც შუა ნაწილში შედრეკილია და აქვს ნახვრეტი. მრგვალი ფირფიტები შემოვლებულია დაკეპნილი მავთულით (ზოგჯერ ნათლად ჩანს მავთულის ბოლოების შეერთების ადგილი. რამდენიმე შემთხვევაში ბოლოები ერთმანეთთან მისული არ არის). მძივის ერთ მხარეს ორი გულ განლაგებული ცვარათი გამოყვანილია სვასტიკის გამოსახულება. მეორე მხარეს სვასტიკა მხოლოდ ორ მძივზეა; სამ შემთხვევაში ასევე ცვარათი მიღებულია დაგრძელებულმკლავიანი ოთხკუთხედები; ხოლო ერთ მძივზე — რთული სვასტიკა (სვასტიკის თითოეული ფრთა გაორებულია). თავისუფალ ადგილებში, გარდა რთულსვასტიკიანი ფირფიტისა, დაკეპნილ მავთულთან გარკვეული რიგით, ოთხ-ოთხი ცვარაა დასმული (ოთხი ცვარათი ოთხკუთხედია შედგენილი). ერთგან, დაგრძელებულმკლავიან ოთხკუთხედთან—ექვს-ექვსი ცვარაა. სხვა მსგავს გამოსახულებებთან შედარებით აქ ოთხკუთხედის მკლავები უფრო გრძელია.

საკიდის ღმ — 11 მმ, სიმაღლე — 6 მმ.

მძივები სფეროსებურია, ოდნავ ღერძის გასწვრივ წაგრძელებული. ტანდალარულია. ღარები საკმაოდ ზუსტადაა გამოყვანილი. მიღებულია ორი უკვე დაღარული ნახევარსფეროს შეერთებით, რჩილვის ხაზი კარგად ჩანს.

ღერძის სიგრძე — 8,5 მმ, ღმ — 8 მმ (საე. № 3—69/397).

10. საღა მ ძ ი ვ ე ბ ი, ოჭროსი. 30 ცალი.

მძივები სფეროსებური მოყვანილობისაა, ღერძის გასწვრივ ოდნავ წაგრძელებული; საღაა. მიღებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მიჩილივის შედეგად. რჩილვის ხაზი საგანგებოდაა მოსწორებული (ზოგჯერ მაინც იკითხება). ზედაპირი გაპრიალელებულია.

საფიქრებელია, მძივები რომელიმე ყელსაბამის შემადგენლობაში შედიოდა და მონაცვლეობდა პასტისა და სარდიონის სხვადასხვაგვარ მძივებთან და საკიდებთან, რომლებიც უკვე მრავლად იყო აღმოჩენილი.

ღერძის სიგრძე — 8 მმ, ღმ — 7 მმ (სავ. № 3—69/398).

11. სამაჭურები, ოქროსი; წყვილი.

გახსნილი, ბოლოვდება ტახის გამოსახულებებით. მახიურია, ღერო მრგვალ-განიკვეთიანია; ზედაპირი გაპრიალებული (სურ. 199).

ღერო და ტახის გამოსახულებები ერთიანადაა ჩამოსხმული, ხოლო შემდეგ ტახის ცალკეული დეტალებია დამატებით დამუშავებული. ტახს უკანა ფეხები მოკეცილი აქვს მუცლის ქვეშ. საკმაოდ დაწვრილებითაა გადმოცემული მისი ნაკეთობი: დინგი, ეშვები, წაგრძელებული თვალები, ყურები, ჯაგარი, ჩლიქები, ცალ გვერდზე (ორივე ტახზე მარჯვენა მხარეს) გადმოგდებული კუდი. ტახის სხეული მთლიანად დაფარულია ვერტიკალურ ზოლებად განლაგებული მოკლე პარალელური ჰაერებით. ზურგზე ჯაგარი პარალელური ღარებითაა გადმოცემული; ზევიდან კი შემკულია ურთიერთგადამკვეთი ხაზებით, რომლებიც რომბების რიგს წარმოქმნიან. ჰაერებს ვხედავთ ჩლიქებზეც.

ღმ — 80 მმ, 77 მმ. ტახის სიგრძე — 26 მმ, ღეროს ღმ — 6,5 მმ (სავ. № 3—69/399).

12. სამაჭურები, ოქროსი; წყვილი.

გახსნილი; ბოლოვდება ვერძის თავის გამოსახულებებით. ღერო მრგვალ-განიკვეთიანია; ზედაპირი მკრთალად გაპრიალებული. ვერძის თავი წაგრძელებულია, რქები — წრიულად მოხრილი.

სამაჭურზე, გარდა რკინის ქანვისა, მოთეთრო ფერის დანალექიც (?) შეიმჩნევა, რომელიც გარკვეული მიმართულებით ვრცელდება — სამაჭურის ზურგზე სწორ ხაზს მიჰყვება. საფიქრებელია, აქ სარჩულის ნაწილი გამოისპვივის, ე. ი. სამაჭური მიღებულია სარჩულზე ოქროს ფირფიტის გადაკვრით.

სამაჭურები დიდხანს ტარების კვალს ატარებს — ვერძის თავები მოგლუვებულია და ნაკეთობის გარჩევა ძნელდება. ვერძის კისერი დაფარული ყოფილა ნახევარწრიული ჰაერებით. ახლა ეს ნათლად სამაჭურის მხოლოდ ქვედა მხრიდან ჩანს. ჰაერების რიგი უნდა ყოფილიყო რქებზეც. ამაზე ოდნავ შესამჩნევი მითითებაა რქების გვერდებზე. რომელიც ჰაერები შეიმჩნევა თვალებთან. ვერძის თავი სამაჭურის ღეროდან ორი პარალელური ხაზით გამოიყოფა.

ღმ — 53 მმ; 54 მმ. ღეროს ღმ — 4 მმ (სავ. № 3—69/400).

13. მძივები, ოქროსი (სურ. 198).

მარჯვენა ხელთან 139 ცალი, მარცხენასთან — 133 ცალი.

მძივები აფეროსებური მოყვანილობისაა (ღერძის გასწვრივ ოდნავ წაგრძელებული). დამზადებულია ფირფიტისაგან — ორი ნახევარსფერო ერთმანეთთანაა შეერთებული, სარჩულის გამოყენების გარეშე (ამის შემოწმების საშუალებას იძლევა ერთი დაზიანებული ცალი, რომელიც რჩილვის ხაზზეა გახეული). ზედაპირი გაპრიალებულია, რჩილვის ხაზი საგანგებოდაა მოსწორებული, ღერძის სიგრძე — 9 მმ, ღმ — 8 მმ (სავ. № 3—69/401).

14. მძივები, სარდონის (სურ. 198).

მარჯვენა ხელთან — 90 ცალი, მარცხენასთან — 82 ცალი.

მძივების უდიდესი ნაწილი სფეროსებური მოყვანილობისაა, მხოლოდ ღერძზე გაბრტყელებული (ზოგჯერ — ძლიერ გაბრტყელებული). რამდენიმე მძივი (5 ცალი) ღერძის გასწვრივ წაგრძელებულია. ზედაპირი გლუვია და გაპრიალებული; იშვიათად დაწახნაგებული — გვხვდება სამწახნაგა, თხუთმეტ-წახნაგა და ოცწახნაგა. ზოგჯერ წახნაგები დაგლუვებულია.

სარდიონი სხვადასხვა ელფერისაა: თაფლისფერი; მოყვითალო, მოწითალო, მუქი წითელი (სავ. № 3—60/402).

15. ბექდები, ოქროსი (სურ. 201), 4 ცალი.

ბექდები ერთნაირია, თითოეულის რკალი წრიულია, მრგვალგანიკვეთიანი, „ფარაკი“ ოთხი სპირალისაგანაა შედგენილი (რკალის ბოლოები განშტოებულია და ორ-ორ სპირალადაა დახვეული).

დმ—19,5 მმ; 20 მმ; 21,5 მმ 22 მმ (სავ. № 3—69/403).

16. ბექედი, ფარაკიანი, ოქროსი.

რკალი სადაა, მხრებისკენ განზიდული, მრგვალგანიკვეთიანია. ფარაკი ბრტყელია; მხრებისკენ ოდნავ მორკალური. მოყვანილობით ვიწრო ოვალს წარმოადგენს. შემოჩაჩოებულია ორ რიგად განლაგებული მოკლე ქლებით. ამოკვეთილია გაურკვეველი გამოსახულება (სურ. 201).

დმ — 22,5 მმ (სავ. № 3—69/404).

17. გარსაკრავი, ოქროსი.

გარსაკრავი წარმოადგენს შუაში ვადაცეცილ სწორკუთხა ფირფიტას, რომლის ზედაპირი გაპრიალებულია; შემოჩაჩოებულია დაკეცილი და სადა მავთულების რიგით (დაკეცილი და სადა სამ-სამი მავთული ერთმანეთთან მონაცვლებს) უხვადაა შეკრული ცვარათი, რითაც რთული ორნამენტული სახეა გამოყვანილი — მკლავებდაგრძელებული ოთხკუთხედიანი ერთმანეთთანაა გადაბმული. გარდა ამისა, თავრთუვალ მინდორზე ვხედავთ ოთხ-ოთხი ცვარასაგან შემდგარ ოთხკუთხედავს; ხოლო ერთ მხარეს, ჩარჩოსთან, გარკვეული რიგით მოთავსებულია ორ-ორი ცვარა.

მავთულების რიგით ფირფიტის გვერდებზე დატოვებულია ვიწრო სადა ზოლი, სადაც სიმეტრიულად ოთხ-ოთხი ნახვრეტია გაკეთებული.

ფირფიტის სიგანე — 19 მმ (სავ. № 3—69/405).

18. მშვილდსაკინძი, ოქროსი.

მშვილდსაკინძი ერთწილადაა — ერთიანი მრგვალგანიკვეთიანი ღეროსგანაა დამზადებული. მშვილდი თითქმის თანაბრადაა მორკალული და ნახევარწრეს უახლოვდება. შუა შესქელებულ ნაწილში ღარების რამდენიმე რიგია (10 ღარია) შემოვლებული; ღარებს შორის მანძილი, თითოს გამოკლებით, სიგრძივი ჯდებითაა შევსებული, ხოლო გარე მხრიდან ტეხილი ზაზებით სამკუთხედებია შედგენილი. მშვილდის ბოლო გაბრტყელებულია, ზემოთაა აკეცილი და ნემსის ბუდეს წარმოადგენს. სახსარი ღეროს ერთი მობვევითაა მიღებული. ნემსი თანდათანობით ვიწროვდება.

სიგრძე — 22 მმ, სიმაღლე — 14 მმ (სავ. № 3—69/406).

19. კონუსური მძივები, ოქროსი; 3 ცალი.

მძივები მოყვანილობით კონუსს ემსგავსება. გვერდები დაღარულია. ნახვრეტი სიმაღლეზეა გაკეთებული. ნახვრეტს ზემოთა მხრადან და ფუძეს დაკეცილი მავთული შემოუყვება. გვერდები ერთიანი ფირფიტისგანაა დამზადებული; ასევე ფუძეც, რომელიც ოდნავ შედრეკილია და შუაში ნახვრეტილი. ფერდების ფუძესთან მიჩილვა დაკეცილი მავთულითაა დაფარული. განსხვავება იგრძნობა გვერდების დაღარვის სიხშირესა და სიმაღლეში.

ორი მძივის სიმაღლე — 5 მმ, ფუძის დმ — 8 მმ, მესამე მძივის სიმაღლე — 3,5 მმ, ფუძის დმ — 7,5 მმ. ფუძეზე ნახვრეტის დმ მერყეობს 1,5 მმ-დან 3 მმ-მდე (სავ. № 3—69/407).

20. ნატეხი, ოქროსი — ზოდი(?)

ნატეხი წარმოადგენს მსხვილი ღეროს ნაწილს. ოდნავ მორკალულია. გვერდებზე ორ-ორი წიბო აქვს. განივევებით ოვალს უახლოვდება. ზოგიერთ ადგილას შეიმჩნევა მოწითალო ფერის (რკინის ქანგის?) დანალექი.

სიგრძე — 15,5 მმ. დმ — 6 მმ (სავ. № 3—60/408).

21. არწივის გამოსახულებიანი ფირფიტები, ოქროსი, წყვილი.

არწივის გამოსახულება გამოჭრილია ფირფიტისაგან¹⁰. ცალკეული ნაკვთები გამოტვიფრულია: მოკაუჭებული ნისკარტი, მრგვალი თვალები, ფეხი, კლანჭები, ფრთებსა და კუდზე — ღარები (სურ. 200).

არწივის თავი და სხეული გამოსახულია პროფილში (ერთ ფირფიტაზე არწივი მარჯვენაა მიბრუნებული, მეორეზე — მარცხნივ). მხოლოდ ფრთები მოცემულია en face, გაშლილია და ქვემოთ ჩაშვებული. არწივი კლანჭებით ფრთასთანაა მიბჯენილი (ერთ შემთხვევაში მარჯვენა, მეორეში მარცხენა ფრთასთან). არწივის სხეული ირიბი ქდეების რიგებითაა დაფარული.

კიდეების გასწვრივ გაკეთებულია ნახვრეტები, რომელთა საშუალებით ფირფიტები დამაგრებული (დაკერებული) იყო ქსოვილზე ან ტყავზე. ერთ ფირფიტაზე 26 ნახვრეტია (აქედან სამი — ფრთაზე, კუდზე და თვალებზე — შემთხვევითი ხასიათისა უნდა იყოს); მეორეზე — 30. ნახვრეტების გაკეთებაში რაიმე კანონზომიერება არ ჩანს (ერთ ფირფიტაზე ნახვრეტები განლაგებულია მარჯვენა ფრთის მთელ გაყოლებაზე; მეორეზე ნახვრეტები მხოლოდ თავსა და ბოლოშია).

სიგრძე — 47,5 მმ, 49 მმ. სიგანე — 35 მმ; 36 მმ (სავ. № 3—64/409).

22. საკიდები და მილაკები, ოქროსი — სუდარის სამკაული (სურ. 202).

საკიდი — 68 ცალი. მილაკი — 66 ცალი.

საკიდები მოყვანილობით ტოლფერდა სამკუთხედს მოგვაგონებს, მხოლოდ კუთხეები მომრგვალებულია. მიღებულია ორი ფირფიტის ერთმანეთთან მირჩილვით. ზედა ფირფიტა გამოტვიფრულია; გამოყვანილია გვერდები, ხოლო ზედაპირი შემკულია ვარდულათი და მანებით, რომელთა კონტური წყვეტილი ხაზითაა მოცემული. ვარდულა თერთმეტფურცლიანია; ფურცლებს შემოუყვება გარე მხრიდან წყვეტილი ხაზით შეკრული წრე. ვარდულას ქვემოთ გამოსახულია მანები, წყვილად, ერთმანეთის საპირისპიროდ. მანებს შორის ქვემოთ პატარა კუწუბოა. ყველა შემთხვევაში ერთი ტვიფრი უნდა იყოს ნახმარი. ცალკეულ დეტალებში განსხვავება სრულიად არ შეიმჩნევა. ქვედა ფირფიტა მხოლოდ გამოჭრილია; უმეტესად ბრტყელია — ზოგჯერ შედრეკილია; რამდენიმე ცალზე (8 საკიდზე) ქვედა ფირფიტის ნაწილი პირდაპირ მიკრულია ზედაზე და ჩანს კიდეც მანების ანაბეჭდები. ერთ ფირფიტაზე შეიმჩნევა ორი ნაკერი (ფირფიტა სამი ნაწილისაგანაა შეკოწიწებული).

საკიდს ზემოდან დამაგრებული აქვს მილაკი, რომელიც მიღებულია სადა ფირფიტის წრათლად მოკეცვლა და ბოლოების ერთმანეთთან მირჩილვით.

საკიდის სიგრძე — 24 მმ; სიგანე — 20 მმ. საკიდის მილაკის სიგრძე — 5 მმ; მილაკის დმ — 2 მმ.

¹⁰ კიდეები საგანგებოდ აღარაა შემოსწორებული; ამიტომ შეიმჩნევა გამოჭრისას დაშვებული მცირე უზუსტობანი.

მილაკები მიღებულია დაღარული ფირფიტის წრიულად მოკეცვის საშუალებით. ფირფიტის ბოლოები მირჩილული არ არის, არამედ ერთმანეთზე გადადის (ერთგან ფირფიტის ბოლო ცუდადაა გადაჭრილი და მცირე ზოლად ატყეცილა). მილაკებზე ღარების სისწორე სხვადასხვაა: მერყეობს 13-დან 23 ღარამდე.

სიგრძე 19-20,5 მმ; დმ — 2,5-3 მმ (სავ. № 3—69/410).

23. დ ი ლ ა კ ე ბ ი, ოქროსი — სუდარის სამკაული, 328 ცალი.

ღილაკები მრგვალია, შუაგული ფართო და ამობურცული. კიდეებზე ვიწრო ზოლად ფურცლები შემოუყვება. ჩვეულებრივ, ერთყუნწიანია.

ღილაკები დამზადებულია მრგვალი ფირფიტის გამოტვიფრით. გამოყენებულია სამი ტიფრა: ღილაკების უმრავლესობა 31-ფურცლიანია (179 ცალი); არის 23-ფურცლიანიც (47 ცალი), ხოლო 2 ცალი 30-ფურცლიანია¹¹. ზოგჯერ ადგილი აქვს ტიფრის გაორებას (ტიფრი აცდენილია ან გამეორებული).

ყუნწი დარჩილულია ღილაკის უკანა მხარეს, ჩვეულებრივ შუა ადგილას, ზოგჯერ — აცდენილად. მიღებულია ვიწრო ფირფიტის წრიულად მოკეცვით — უმეტეს შემთხვევაში ყუნწის ბოლოები ერთმანეთზე გადადის და გვერდებზე განლაგებული; ზოგიერთებზე კი ბოლოები ერთმანეთთანაა მისული. რამდენიმე ღილაკზე ორი ყუნწია გაკეთებული, მაგრამ აქ ერთი ყუნწი გამოუყენებელია. ის თავიდანვე არაზუსტად ყოფილა დამაგრებული და გაუქმებული. ერთ 23-ფურცლიან ღილაკზე უკანა მხრიდან, დაახლოებით შუა ნაწილში, დარჩილულია პატარა ზომის თხელი ოთხკუთხა ფირფიტა, რომელზეც დამაგრებულია ყუნწი.

დმ — 13 მმ (სავ. № 3—69/411).

24. მ ძ ი ვ ე ბ ი, ვერცხლისა.

მთლიანი მძივი — 1591 ცალი. ნახევარსფეროებად დაშლილი მძივი — 960 ცალი. ნატეხი — 164 ცალი¹².

მძივები სფეროსებური მოყვანილობისაა, ღერძზე ოდნავ წაგრძელებული. დამზადებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვის საშუალებით. რჩილვის ხაზი საგანგებოდაა მოსწორებული, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, მძივების დაზიანებას გამოკარგად ჩანს. მძივების ნაწილი რჩილვის ხაზზე გარღვეულა კიდეც და ახლა ნახევარსფეროთა სახითაა წარმოდგენილი.

ღერძის სიგრძე — 8 მმ; დმ — 7 მმ (სავ. № 3—69/412).

25. მ ი ლ ა კ ე ბ ი, ვერცხლისა.

წერილი მილაკი — 1146 ცალი. მსხვილი მილაკი — 147 ცალი.

მილაკები სადაა. მიღებულია ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად, რომლის ბოლოები მირჩილული არ არის, არამედ ერთმანეთზე გადადის (ზოგჯერ საკმაოდ ღრმად).

გამოიყოფა ორი ჯგუფი: წერილი და შედარებით მსხვილი მილაკები, დაჯგუფება ხდება მილაკების დიამეტრების განსხვავების მიხედვით, რადგან სიგრძის აღდგენა უმეტეს შემთხვევაში გაძნელებულია — ბოლოები დაზიანე-

11 30-ფურცლიანი ღილაკების გამოყოფა პირობითია, შეიძლება აქ ტიფრის გაორებასთან გვერდის საქმედ ანტიკომ ერთი ფურცელი აღარ იკითხება.

12 საერთოდ, ვერცხლის სამკაულის მხოლოდ მცირე ნაწილის გადარჩენა ვერ მოხერხდა. ანტიკომ რიტუობრივი მონაცემი მაინც პირობითად ასახავს თავდაპირველ სურათს.

ბულია და მილაკები ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი. (რიცხოვრივ მონაცემებშია ნახეს ერთეულად მივიჩნევთ).

წვრილი მილაკის სიგრძე — 15—17 მმ; დმ—2—2,5 მმ. იგივე დიამეტრის გჭონე რანდენიმე მილაკის სიგრძე — 7—8 მმ. მსხვილი მილაკის სიგრძე — 23,5—25 მმ; დმ—3 მმ (სავ. № 3—69/413).

26. მილაკები, დაკეპნილი მავთულით შემკული, ვერცხლისა. 2 ცალი. მილაკები მიღებულია ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად, ბოლოები ერთმანეთზე ღრმადაა გადასული და შემდეგ მიჩილილი (რჩილვის ხაზი შეიჩნევა). კიდეებზე დაკეპნილი მავთულია შემოვლებული.

სიგრძე — 16 მმ, დმ—6 მმ; დმ დაკეპნილ მავთულიანად 7 მმ (სავ. № 3—69/414).

27. მილაკები, დაკეპნილი და სადა მავთულებით შემკული, ვერცხლისა. 2 ცალი.

მილაკები მიღებულია ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად, ბოლოები ერთმანეთზე ღრმადაა გადასული და შემდეგ მიჩილილი. (რჩილვის ხაზი კარგად იკითხება). კიდეებზე შემოვლებულია დაკეპნილი და სადა მავთულებით შეღწევილი სარტყლები (ორ დაკეპნილ შორის მოქცეულია სადა მავთული).

სიგრძე — 44 მმ; 46 მმ, დმ — 9 მმ; დმ დაკეპნილი და სადა მავთულების სარტყლიანად 11 მმ (სავ. № 3—69/415).

28. მილაკები და მძივები, ვერცხლისა.

მილაკები და მძივები ერთმანეთის მონაცვლეობით იყო განლაგებული — მილაკები სიგრძივ სამ რიგად; მძივები — ოთხ რიგად. ამჟამად მილაკების I რიგიდან გადარჩენილია 28 ცალი; II რიგიდან—26 ცალი; III რიგიდან — 32 ცალი. (სულ 86 ცალი, უმეტესად ფრაგმენტების სახით). მძივების I რიგიდან — 13 ცალი; II რიგიდან — 17 ცალი; III—რიგიდან — 20 ცალი; IV რიგიდან — 23 ცალი (სულ 73 ცალი).

მილაკები სადაა, მიღებულია ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად, ბოლოები ერთმანეთზე გადადის; მიჩილილი არ არის.

სიგრძე — 56 მმ; დმ — 4 მმ.

მძივები სფეროსებური მოყვანილობისაა (ღერძზე ოდნავ წაგრძელებული). დანჯაღებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მიჩილვის საშუალებით (რჩილვის ხაზი კარგად ჩანს). ნახვრეტი შედარებით ფართოა (ალბათ გათვალისწინებული იყო მილაკთან მონაცვლეობა).

ღერძის სიგრძე — 9,5—10 მმ. დმ — 9 მმ (სავ. № 3—69/416).

29. ნახევარსფეროსებური ტანდალარული საკიდები, ვერცხლისა; 353 ცალი.

საკიდები ნახევარსფეროსებური მოყვანილობისაა, ტანდალარულია. შუაში ნახვრეტი (გაყვთებულია ზევიდან. ქვევით. საკიდის შიდა მხრიდან ჩანს ნახვრეტის გაყვთებისას გარღვეული ფირფიტის უსწორმასწორო კიდეები).

საკიდები მიღებულია ფირფიტის გამოტვიფრით. გამოყენებულია სამი ტიპით: განოიყოფა რვა, ცხრა და ათღარიანი საკიდები. (უმეტესი ნაწილი ცხრაღარიანი).

სიმაღლე — 6—7 მმ, დმ — 10,5—12 მმ (სავ. № 3—69/417).

30. ნახევარსფეროსებური წახნაგიანი საკიდები, ვერცხლისა;

38 ცალი. აქედან: მთელი — 7 საკიდია (ერთი აღდგენილია — შეკოწიწებულია ორი ნაწილისაგან), ფრაგმენტის სახით — 31 ცალი.

საკიდები ნახევარსფეროსებურ მოყვანილობას უახლოვდება, მხოლოდ ოდნავ დაბრტყელებულია. გვერდებზე წახნაგებია გამოყვანილი (მთელი ცალეზის მიხედვით, 12 ან 13 წახნაგი). შუაში ნახვრეტია, საკიდების უმეტეს ნაწილზე ნახვრეტთან ამოკლეული წრეა შემოვლებული. ხოლო ამ უკანასკნელის გარშემო ასევე ამოკლეული წერტილებია (10 ან 11 წერტილი). ზოგიერთ საკიდზე (11 ცალზე) ნახვრეტის გარშემო — პირდაპირ ამოკლეული წერტილებია. (წერტილების რიცხვი 5-დან 9-მდე მერყეობს). ერთ საკიდზე მხოლოდ ნახვრეტია გაკეთებული.

სიმაღლე — 8—9 მმ, დმ — 17—18 მმ (საე. № 3—69/418).

31. ნახევარსფეროსებური ცვარათი შემკული საკიდი, ვერცხლისა.

სამკაული ნახევარსფეროს მოყვანილობაა. ნაკეთებია ფირფიტისაგან, შუაში ნახვრეტია, რომელსაც დაკეპნილი მსხვილი მავთული შემოუყვება; მას სადა მავთულისაგან შეკრული წრე მოსდევს, ხოლო უკანასკნელზე ცვარათი შემორიგებულია. ნახევარსფეროს კიდეებს დაკეპნილი მსხვილი მავთული შემოუყვება. გვერდები ცვარათი შედგენილი სამ რიგად განლაგებული სამკუთხედებითაა შემკული. (თითოეულ სამკუთხედში 10 ცვარათი. ცვარათი ასეა განლაგებული: ოთხი, სამი, ორი, ერთი). ცვარათს დასაშვანი უზუსტობა არ შეიძინება.

ნახევარსფეროს ხუფის მსგავსად ეკერის მრგვალი ფირფიტა, რომელსაც შუაში ნახვრეტი აქვს.

ნახევარსფერო და მრგვალი ფირფიტა ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი.

ნახევარსფეროს სიმაღლე — 16 მმ (საე. № 3—69/419).

32. ტახის გამოსახულებიანი საკიდები, ვერცხლისა, 5 ცალი.

საკიდი წარმოადგენს ტახის გამოსახულებას. მიღებულია ფირფიტისაგან გამოტვიფრული ორი ნახევრის ერთმანეთთან მიჩილივის შედეგად.

ტახის სხეული მოდელირებულია, ტახს შესქელებული დრენჩი, მრგვალი თვალეები და წაგრძელებული ყურები აქვს (ეშვები არ უჩანს). ჭაგარი ზურგის გაწვრივ ირიბი ქლებითაა გადმოცემული. უკანა ფეხები მოკეცილია; ფეხებზე ერთი ირიბი ღარით გამოყოფილია ჩლიქები (ყელი გამოსახული არ არის).

საკიდის შუა ნაწილში, სიმაღლეზე, ნახვრეტია გაკეთებული.

საკიდები ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი (საე. № 3—69/420).

33. ბიპირამიდული, ქლებით შემკული საკიდი, ვერცხლისა, 52 ცალი.

საკიდი ბიპირამიდულია, მიღებულია ფირფიტისაგან გამოტვიფრული ორი ოთხფერდა პირამიდის ერთმანეთთან მიჩილივის შედეგად. (ჩილივის ხაზი თავდაპირველად საგანგებოდ იქნებოდა მოსწორებული, მაგრამ ახლა ნათლად ჩანს. ზოგიერთ საკიდზე ამ ადგილას ბზარიც შეიძინება). თითოეული პირამიდის წახნაგები პორიზონტალური ქლებითაა შემკული. (ქლებებს რიცხვი 4 ან 5-ია).

ნახვრეტები ბიპირამიდის ორივე ღერძის გაწვრივება განლაგებულია. ნახვრეტებთან შემოვლებულია (დარჩილულია) დაკეპნილი მავთული. (ზოგჯერ მავთულს ბოლოების შეერთება კარგად იკითხება).

ვერტიკალური ღერძის სიგრძე — 14,5—15,5 მმ. პორიზონტალური ღერძის სიგრძე — 18—19 მმ. საკიდის გვერდის სიგრძე — 14,5—15 მმ (საე. № 3—69/421).

34. ს ა კ ი დ ე ბ ი, ქდეებითა და ცვარათი შემკული, ვერცხლისა. 2 ცალი. საკიდი ბიპირამიდულია. მიღებულია ფირფიტისაგან გამოტვიფრული ორ. ოთხფერდა პირამიდის ერთმანეთთან მირჩილების შედეგად. (აგებულიებით მსგავსია № 33-ისა). რჩილის ხაზზე სადა და დაკეპნილი მავთულია დამაგრებული (სადა მავთული მოქცეულია ცვარათი შემკული პირამიდის მხარეს).

თითოეულ პირამიდაზე წახნაგები საგანგებოდაა გამოყვანილი და პორიზონტალური ქდეებითაა შემკული (ქდეების რიცხვი 5 ან 6-ია). ერთ-ერთ პირამიდაზე ცვარათი შედგენილ სამკუთხედებსაც ვხედავთ, რომლებიც პირამიდის ფერდზე სამ რიგადაა განლაგებული. სამკუთხედები უმეტესად ექვს-ექვსი ცვარასგანაა მიღებული, მაგრამ ზოგიერთი—ათი და მეტი ცვარასაგანაც (სურ. 203). მესამე რიგში სამკუთხედი პირობითადაა აღნიშნული — არ არის მომთავრებული.

საკილზე, ვერტიკალური და პორიზონტალური ღერძების გასწვრივ ნახვრეტებია. პორიზონტალური ღერძების გასწვრივ განლაგებულ ნახვრეტების ირგვლივ შემოვლებულია დაკეპნილი და სადა მავთულებით შედგენილი (ორ დაკეპნილს შორის ერთი სადა მავთულია მოქცეული) სარტყელი. ვერტიკალური ღერძის გასწვრივ მდებარე ნახვრეტებთან კი — დაკეპნილი მავთული; ცვარათი შექველ პირამიდაზე დაკეპნილი მავთულის შემდეგ დამატებით სადა მავთულის წრეა, ერთ საკილზე ამ წრეზე სიმეტრიულად, წახნაგების გასწვრივ, თითო ცვარაა დამაგრებული. მეორეზე მხოლოდ ერთ ცვარას ვხედავთ (დანარჩენი მოვარდნილია).

ვერტიკალური ღერძის სიგრძე — 25,5 მმ; 27 მმ. პორიზონტალური ღერძის სიგრძე—37 მმ; 37,5 მმ; გვერდის სიგანე—25—26 მმ (სავ. № 3—69/422).

35. პირამიდული ს ა კ ი დ ე ბ ი („ბალთები“), ვერცხლისა.

35 საკიდი, აქედან: მთელი — 2 ცალი, ფრაგმენტის სახით — 33.

საკიდი პირამიდული მოყვანილობისაა, ოთხფერდა წახნაგები მკვეთრად გამოყვანილი (ფირფიტისაგან „პირამიდის“ მხოლოდ ფერდებია გამოტვიფრული, „ფუძე“ ღიაა). საკიდის კიდეები და წახნაგები ამოჭდული წერტილებითაა შემკული (ერთი საკიდის წერტილები დაცხრილულია და ნახვრეტებს ემსგავსება).

შუაში (წვერზე) ერთი ნახვრეტია.

სიმაღლე — 9 მმ. გვერდის სიგანე — 24—25 მმ (სავ. № 3—69/423).

მეორე მიცვალებულს თავისა და გულ-მკერდის არეში აღმოჩენილია:

36. ს ა ყ უ რ ე ე ბ ი, ოქროსი; წყვილი.

რგოლზე სხივისებურად დამაგრებულია ხუთი ღერო, რომლებიც ცვარათი შედგენილი მტევნებით ბოლოვდება.

რგოლა წრიულია, გახსნილი, ბოლოებგაზერეტილი (ნახვრეტებთან ღერო ოდნავ გაფართოებულია); მრგვალგანიკვეთიანი.

თითოეული სხივი ოთხი დაგრებილი მავთულისგანაა შემდგარი. მავთულები ერთმანეთთან ისეა მოთავსებული, რომ გრებივის მიმართულება ურთიერთსაწინააღმდეგაა და მიღებულია წნული. სხივი ბოლოვდება ოთხი, შედარებით მსხვილი ზურთულისაგან შემდგარი მტევნით. თითოეულ ზურთულასზე კი ოთხი უფრო პატარა ზომის ზურთულასაგან შემდგარი მტევანია დასმული (ზურთულების დასმაში უზუსტობანი შეიმჩნევა).

საყურეებს ეტყობა ხმარების კვალი — ცვარა ზოგან გაცვეთილია (მოგლუვებულია).

სიგრძე — 46 მმ; 47 მმ. რგოლის დმ — 25,5 მმ; 26 მმ; რგოლის ღეროს დმ—1,5 მმ. სხივების უდიდესი გაშლა (პირამიდებიანად) 25,5 მმ; 27 მმ (საე. № 3—69/424).

37. მძივები, ოქროსი.

ტანდალარული მთელი მძივი — 18 ცალი, ტანდალარული ნახევარსფეროებად დაშლილი — 5 ცალი. სადა ნახევარსფეროებად დაშლილი — 3 ცალი.

მძივები სფეროსებური მოყვანილობისაა, ღერძზე ოდნავ წაგრძელებული. ძირითადი ნაწილი ტანდალარულია (ნახევარსფეროებზე ღარების მიმართულეობა მეტ-ნაკლებად ემთხვევა ერთმანეთს).

საფიქრებელია, პასტის მძივებსა და საკიდებთან ერთად, რომლებიც იქვე მრავლად აღმოჩნდა, ოქროს მძივები ყელსაბამის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ღერძის სიგრძე — 7—7,5 მმ; დმ—6,5—7 მმ (საე. № 3—69/425).

მესამე მიცვალეზულს აღმოაჩნდა:

38. საყურეები, ოქროსი; წყვილი.

მსგავსი № 36-ისა, მხოლოდ რგოლზე ხუთის ნაცვლად, ოთხი ღეროა დამაგრებული.

საყურეებს ეტყობა ხმარების კვალი — ცვარა ოდნავ მოგლუვებულია.

სიგრძე — 41 მმ; 45 მმ; რგოლის სიგანე — 22 მმ; 24 მმ, სხივის უდიდესი გაშლა — 25 მმ; რგოლის ღეროს დმ — 1 მმ (საე. № 3—69/426).

39. ყელსაბამი, ოქროსი — ხბოსთავის (?) გამოსახულებიანი საკიდი და მძივები.

საკიდი — 1 ცალი, ტანდალარული მძივი — მთელი 24 ცალია; ნახევარსფეროს სახით — 1 ცალი.

საკიდი ცხოველის (ხბოს?) თავის გამოსახულებას წარმოადგენს. მიღებულია ფირფიტისგან გამოტვიფრული ორი ნახევრის ერთმანეთთან მიჩილვის შედეგად. ზევიდან რჩილვის ხაზი დაფარულია დაკეპნილი და სადა მავთულეობით შედგენილი სარტყლით. (ორ დაკეპნილს შორის სადა მავთულია მოქცეული). ქვედა მხრიდან კი ნათლად ჩანს.

ცხოველს დაკეპტილი ყურები აქვს, რომლებიც ფირფიტისგანაა ცალკე გამოყვანილი და მერე მიჩილული. თეალები დაკეპნილმავთულშემოვლებული ცვარათია აღნიშნული. პირი დაკეპნილი მავთულითაა შემოხაზული, ხოლო ნესტოები სადა მავთულით. ყბებზე ორივე მხარეს დარჩილულია დაკეპნილი მავთულით შედგენილი სპირალები, ცენტრში ცვარათი.

ყელთან შემოვლებულია დაკეპნილი და სადა მავთულეობით შედგენილი სარტყელი (ორ დაკეპნილს შორის სადა მავთულია მოქცეული).

საკიდზე ზევით ტანდალარული სფეროსებური მოყვანილობის მძივია დარჩილული.

საკიდის სიგრძე (მძივიანად) — 16,5 მმ.

მძივები სფეროსებური მოყვანილობისაა, ღერძზე წაგრძელებული. მიღებულია დალარული ნახევარსფეროთა ერთმანეთთან მიჩილვის შედეგად (ნახევარსფეროებზე ღარების მიმართულეობა აცდენილია). რჩილვის ხაზი ნათლად ჩანს (მძივები მსგავსია საკიდზე დარჩილული მძივისა).

ღერძის სიგრძე — 7,5—8 მმ; დმ — 6,5 მმ (სავ. № 3—69/427).

40. ყ ე ლ ს ა ბ ა მ ი, ოქროსი — ბიპირამიდული საყიდი. მძევები და მილაკები.

საკიდი — 1 ცალი, მძივი — 16 ცალი, მილაკი — 10 ცალი.

საკიდი ბიპირამიდულია, მიღებულია ფირფიტისაგან გამოტვიფრული ორი ოთხფერდა პირამიდის ერთმანეთთან მიჩიჩილვის შედეგად. წახნაგები საგანგებოდაა გამოყვანილი. ვერტიკალური და პორიზონტალური ღერძების გასწვრივ ნახევრეტებია, რომლებთან დაკეცილი მავთულია გარშემოვლებული.

ვერტიკალური ღერძის სიგრძე — 9 მმ; პორიზონტალურისა — 10,5 მმ.

მძივები სფეროსებური მოყვანილობისაა, ღერძის გასწვრივ ოდნავ წაგრძელებული. მიღებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მიჩიჩილვის შედეგად, რჩილვის ხაზი საგანგებოდაა მოსწორებული. ზედაპირი გაპრალებულია.

ღერძის სიგრძე — 5 მმ; დმ — 4,5 მმ.

მილაკები მიღებულია ფირფიტის წრიულად მოკეცივის შედეგად, ბოლოები ერთმანეთზეა გადასული (მიჩიჩილული არ არის).

სიგრძე — 7,5 მმ (ორი მილაკის სიგრძე — 6,5 მმ); დმ — 2 მმ.

იქვე აღმოჩნდა საშუალო ზომის ტანდალარული და სადა სფეროსებური მძივები (16 ცალი).

ტანდალარული მძივის ღერძის სიგრძე — 8 მმ, დმ — 6 მმ. სადა მძივის ღერძის სიგრძე — 7,5 მმ, დმ — 5,5 მმ — 6,5 მმ (სავ. № 3—69/428).

41. დ ი ა დ ე მ ე ბ ი, ვერცხლისა. 3 ცალი.

თითოეული დიაღემა წარმოადგენს დაგრეხილ მორკალურ ღეროს, რომელიც ერთმანეთთან კავებით დაკავშირებული რომბისებური ფირფიტებით ბოლოვდება (სურ. 204).

ღერო თანაბრად დაგრეხილი, განიკვეთში ოთხფრთიანია.

რომბისებური ფირფიტები შემოჩარჩობულია ჩადარულ ხაზებს შორის მოქცეული კდეების წყებით. თითოეული ფირფიტა პორიზონტალური სარტყლით ორ თითქმის თანაბარ ნაწილად — ტოლფერდა სამკუთხედებად იყოფა. პორიზონტალური სარტყელი შემდეგნაირადაა მიღებული: ამოკლეული წერტილები ზემოთ და ქვემოთ შემოსაზღვრულია პარალელურ ხაზებს შორის მოქცეული კდეების ერთი ან ორი რიგით. თითოეული სამკუთხედის ცენტრში მოთავსებულია ვარდულა და აქეთ-იქით წაგრძელებული გამოსახულებანი, რომლებსაც პირობითად თითისტარისებურს ვუწოდებთ.

ვარდულები ერთნაირია: ამოკლეული შუაგულის გარშემო ასევე ამოკლეული წერტილებია შემოყოლებული.

თითისტარისებურ გამოსახულებებს უმეტესად წერტილები ან მოკლე კდეები შემოუყვება.

დიაღემის კავების ღერო მრგვალგანიკვეთიანია. შემკულია წიწვოვანი ორნამენტით ან ვერტიკალური კდეებით. ხოლო გაფართოებულ ნაწილზე (რომბისებურ ფირფიტებთან) შემოვლებულია ორ-ორი ღარი, მათ შორის მოთავსებული კდეებით (სავ. № 3—69/429).

42. ს ა მ ა ჯ რ ე ბ ი, ვერცხლისა. 5 ცალი.

სამაჯურები ერთნაირია. გახსნილი, ბრტყელგანიკვეთიანი (სქელი ფირფიტა მორკალური). შემოჩარჩობულია ორ პარალელურ ხაზს შორის მოქცეული კდეებით, ხოლო შიდა ზედაპირი ე. წ. ზენური ორნამენტითაა შემკული

(წრეები ირიბი ხაზებითაა შეერთებული; წრეებს შიგნით წერტილებია). ბოლოები შესქელებულია და ფანტასტიკური ცხოველის (დრაკონის?) თავების გამოსახულებას წარმოადგენს. ცხოველს სქელი დრუნჩი, მრგვალი თვალები და გრძელი კისერი აქვს. ზემოთა მხრიდან ურთიერთსაწინააღმდეგოდ განლაგებული ირიბი ჭდეებია (სურ. 205).

ღმ — 60 მმ, ფირფიტის სიგანე — 12,5 მმ, სისქე — 1,5 მმ (სავ. № 3—69/430).

მეოთხე მიცვალებულის თავის ქალის ქვეშ აღმოჩნდა:

43. ს ა ყ უ რ ე, ოქროსი.

რგოლზე უძრავადაა დამაგრებული ბურთულა, რომელიც ცვარათი შედგენილი მტევნით ბოლოვდება (სურ. 206).

რგოლი ოვალურია: გახსნილი, ბოლოებგახვერტილი (ნახვერტებთან ღერო ოდნავ გაფართოებულია), მრგვალგანიკვეთიანი.

ბურთულა შემკულია ვერტიკალური ღარებით (12 ღარით), ხოლო შუა წელზე პორიზონტალური სარტყელი აქვს შემოვლებული (დარჩილული). სარტყელი წარმოადგენს ვიწრო სადა ფირფიტას (მისი ბოლოების შეერთება კარგად ჩანს), რომელზეც ცვარათი შედგენილი პირამიდებია (11 პირამიდა) დამაგრებული (თითოეული პირამიდა ხუთი ცვარასგანაა შემდგარი: ოთხი, ერთი). ბურთულა მცდებულია ორი, უკვე დაღარული, ნახევარსფეროს ერთმანეთთან მიჩილვის შედეგად, მსგავსად ტანდალაარული სფეროსებური მიხეებისა (ნახევარსფეროებზე ღარების მიმართულება აცდენილი არ არის). რჩილის ხაზი პორიზონტალური სარტყლის ქვეშაა მოქცეული.

ბურთულას ზემოთ და ქვემოთ დაბალი ცილინდრებია, რომლებიც მცდებულია ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად (ბოლოები ერთმანეთთანაა მიჩილული, რჩილის ხაზი კარგად იკითხება). ცილინდრებს კიდევებზე დაგრეხილი მავთული შემოუყვება, ცილინდრებით ბურთულა დაკავშირებულია, ერთი მხრივ, რგოლთან, მეორე მხრივ, ცვარათი შედგენილ პირამიდებთან.

ზედა ცილინდრი რგოლთან დამაგრებულია ვიწრო ფირფიტის საშუალებით, რომელიც რგოლზეა ჩამოკმული და დარჩილული, ხოლო მისი ბოლოები ცილინდრის შიგნითაა მოქცეული (ამის გარკვევა ხერხდება საყურის დაზიანების გამო).

ქვედა ცილინდრი ბოლოვდება შედარებით დიდი ზომის ბურთულებისაგან შემდგარი მტევნით. თითოეულ ბურთულაზე მოთავსებულია უფრო პატარა ზომის ბურთულებისაგან შემდგარი მტევნები.

საყურეს ეტყობა ხმარების კვალი — ბურთულას სარტყელზე ცვარა ზოგან გაცვეთილია (მოგლუვებულია).

სიგრძე — 50 მმ, ბურთულას ღმ (პირამიდებიანი სარტყლით) — 16 მმ, ცილინდრის ღმ — 4 მმ, რგოლის ღეროს ღმ — 1,5 მმ (სავ. № 3—69/431!).

44. პ ა ტ რ ა ბ რ ი ნ ჩ ა ო ს ი (სურ. 207), რომლის ტარი ტანშიშველი ჰაბუკის სკულპტურულ ფიგურას წარმოადგენს. ჰაბუკის ტანი რამდენადმე ბრტყლადაა ჩამოსხმული, თავი სწორადაა დასმული, შუბლსა და სათეთქლებზე ჩამოშვებული თმა მკვეთრადაა მორკალური, ხოლო უკანა მხარეს მხრებზე — პორიზონტალური ხაზებითაა დაბოლოებული. სახის ოვალი ნიკაპისკენაა წაგრძელებული; ცხვირი დიდი ზომისაა, ძალიან დიდ ნუშისებური მოყვანილობის თვალებზე კაკალი მრგვალი ნაჭდევითაა გადმოცემული. ყელი მკერდზე ქმნის წვეტიან გამონაშვებს (სამკუთხედისებურად წაწვეტებულს). მუცელი და

საერთოდ მუსკულატურა მშრალად და ძალზე სუმა რულადაა გადმოცემული, მხოლოდ ქიმი და ძუძუს თავებია მცირე ზომის წრიული ნაკვდევებით აღნიშნული. გრძელი ფეხები ერთმანეთთანაა შეერთებული, ხოლო გაჭიმული თითის წვერები ეხებიან ცხვრის თავის სკულპტურულ გამოსახულებას, კაბუკის განზე გაშლილი ხელები იდაყვში მართი კუთხითაა მოხრილი და თითები ეხება პატერის ჯამთან დამაკავშირებულ ფირფიტას, ამასთან მხოლოდ ცერია გამოყოფილი.

დამაკავშირებელი ფირფიტა შემკულია ნახევარპალმეტებს შორის გამოსახული რელიეფური ხეებით, რომელთა შორის ოვალური ყვავილია მოთავსებული. ხეები ერთმანეთთან კვეთით გამოყვანილი ბაფთითაა „გადაქერილი“. ეს ფირფიტა უერთდება მოხრილ ფირფიტას, რომელზედაც ხეებზე დასმული პალმეტია გამოსახული, ეს ფირფიტა მიჩილილია და თან მანკვლებითაა ჯამთან დაკავშირებული.

პატერის შემადგენელი ნაწილები: ჯამი, დამაკავშირებელი ფირფიტები, ტანშიშველი კაბუკისა და აგრეთვე ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებანი ცალ-ცალკეა დამზადებული და მერმეა ერთმანეთთან დაკავშირებული.

საერთო სიგრძე — 46 სმ. ჯამის სიმაღლე — 5 სმ, ტარის სიგრძე — 19, კაბუკის ტანის სიგრძე — 13,5; ცხვრის თავი — 2,5 სმ, დმ — 28 სმ (სავ. № 3—69/432).

პატერის ტარზე გამოსახული ტანშიშველი კაბუკის სახისა და ტანის სტილისტური თავისებურებანი, განსაკუთრებით კი მწყობრი კონტური და წაგრძელებული პროპორციები, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჭრილი ფეხები, მარცხენა ხელის ერთგვარი ასიმეტრიულობა, ზომები და აგრეთვე აკროტერიუმის სახით შესრულებული დამაკავშირებელი ფირფიტა, მას აახლოვებენ ატიკური წარმოების პატერებთან, უფრო სწორად ე. წ. აკროპოლისის ჯგუფთან, რომელიც ძვ. წ. 500—480 წწ. თარიღდება¹².

45. ე ნ ო ხ ო ი ა, ბრინჯაოში, რომლის ყური აღრეკლასიკური ხანისათვის (ძვ. წ. 475—440 წწ.) დამახასიათებელი პალმეტითაა შემკული (სურ. 208)¹⁴.

46—47. კ ი ლ ი კ ე ბ ი (2) ვერცხლისა, ატიკური, მაღალფეხიანი, პირგადაშლილი. ყური და ქუსლის ზედა ნაწილი ოვების ორნამენტითაა შემკული, ხოლო ქუსლის სადგარის ნაწილი — „მარგალიტების“ ორნამენტით. ერთ-ერთის ყურზე შემორჩენილია მოოქვრის კვალი (სურ. 209).

პირველის სიმაღლე — 9 სმ, პირის დმ — 10,5 სმ, ქუსლის სიმაღლე — 4,5 სმ; მეორის სიმაღლე — 6 სმ, პირის დმ — 11 სმ, ქუსლის სიმაღლე — 3 სმ.

ზუსტად ანალოგიური ვერცხლის კილიკები ცნობილი არაა. ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ისინი წარმოადგენენ შემდგომ განვითარებას ვერცხლის იმ ტიპის კილიკისას, რომელიც ე. წ. „შვიდ ძმათა“ (Семьбратние) IV ყორანშია ნაპოვნი და გრავირებული გამოსახულების მიხედვით ძვ. წ. 470 წლებით

¹² M. Gjedesen. Bronze Paterae with Antropomorphus Handles, Acta Archaeologica, XIX, 1944, გვ. 110 და შემდ.

¹⁴ ზღა. G. Richter, Handbook of the Greek collection (The Metropolitan Museum of Art), 1953, გვ. 81.

თარიღდება¹⁵ ჩვენი კილიკების ტიპის კურკლები ატიკურ კერამიკაში აქ V ს. მეორე მეოთხედით თარიღდება¹⁶.

48. ა რ ი ბ ა ლ ო ს ი, ვერცხლისა, ატიკური ტიპისა. ყურები ფრინველის გამოსახულებას წარმოადგენს. სფეროსებური ტანი „ნენების“ ორნამენტითაა შემკული, მათ შორის კი შექმნილია ფრიზი, რომელზედაც სფინქსების მსგელობის გრაფირებული გამოსახულებაა, ძირზე ორმაგი ლოტოსის გამოსახულებაა. პირდაპირი ანალოგიები არ ეძებნება (სურ. 210).

49. ს ა რ წ ყ უ ლ ი, ვერცხლისა, მრგვალმუცლიანი, შემკულია ფრთოსანი ლომების და ვერძების სკულპტურული გამოსახულებებით. სკულპტურული გამოსახულება ყურის ძირს წარმოადგენს. მათზე დამაგრებულია მარყუქით მშვილდისებური მოძრავი ყური. სარწყული იდგა დაპირქვევებულ ჯამისებურ ორნამენტირებულ სადგარზე. სადგარსა და სარწყულს გრეხილი რკალი აერთებს (სურ. 211).

საერთო სიმაღლე — 13 სმ. პირის დმ — 11,5 სმ. სადგარის სიმაღლე — 2 სმ, სადგარის დმ — 9 სმ, რკალის დმ — 8 სმ (საე. № 3—69/436).

50. ს ა ს მ ი ს ი, ვერცხლისა, ფართოყელიანი, პირი ძაბრისებურად აქვს გაფართოებული, მუცელი მრგვალი, ძირი ბრტყელი, ყელისა და მუცლის საზღვარზე მოკლე ვერტიკალური ნაკდევეების სარტყელი შემოუყვება. ძლიერ დეფორმირებულია, სიმაღლე — 8,5 სმ, ძირის დმ — 3 სმ (საე. № 3 —69/437).

51. კ ო ვ ზ ი, ვერცხლისა. კოვზის პირი ოვალურია, წვერისკენ შედარებით წაგრძელებული და წაწეებებული. ტარი ბოლოვდება სფინქსის სკულპტურული გამოსახულებით. სფინქსის წინა ფეხებთან პალმეტია მოცემული (სურ. 212).

სიგრძე — 183 მმ, პირის დმ — 34 X 50 მმ (საე. № 3—69/438).

52. კ ი ლ ა კ ი, შველაციანი, მალაღუხიანი და პირგადაშლილი, ატიკურია. მრავალრიცხოვანი ანალოგიებით ზუსტად თარიღდება ძვ. წ. V ს. პირველი მეოთხედის დასასრულითა და მეორე მეოთხედით (სურ. 213)¹⁷.

სიმაღლე — 9 სმ, პირის დმ — 13 სმ, ფეხის სიმაღლე — 3 სმ, ძირის დმ — 6 სმ.

53. ს ა ნ ე ლ ს ა ც ხ ე ბ ლ ე, თიხისა, ორყურა, ფორმა ლეკითოსისებური კურკლისაა, დაფარულია ღია მოწითალო-მოყვითალო ფერის ანგობით და შემკულია შავი ლაკით გამოყვანილი სარტყლებით. კეცის მიხედვით ატიკური ნაწარმია (სურ. 214)¹⁸.

სიმაღლე — 21,5 სმ, პირის დმ — 6,5 სმ, ყელის სიმაღლე — 6 სმ, ძირის დმ — 5 სმ.

¹⁵ შტრ. К. С. Горбунова. Серебряные ялпки из Семьбрятних курганов... (საქონდატო დისტრატის ავტორფერატი), შ., 1953.

¹⁶ შტრ. H. Bloesch. Formen attischen Schalen von Exekias bis zum Ende des strengen Stils, Berlin, 1940, გვ. 137 და შემდ., გვ. 141, ტაბ. 39 ა.

L. Talcott. Vases and Kalos-Names from an Agora Well, He:peria, V, 1936, გვ. 333—342, ტაბ. 39, 4.

¹⁷ შტრ. H. Bloesch. დასაქლ. ნაშრ., გვ. 141 და შემდ ტაბ. 34, 2ა—3ა. L. Talcott, დასაქლ. ნაშრ., გვ. 333—342, ტაბ. 4; CVA, Suisse, I. Genève, I, 1962, გვ. 31, ტაბ. 26, 4.

¹⁸ ანალოგიური კურკული ნაპოვნია ჩრდ. შვეიზღისპირეთშიც, ოლბის მახლობლად № 1 სამარხში. იხ. M. Ebert, Ausgrabungen auf dem Gute Maritzin, PZ, V, 1913 1/a,

54. ლარნაკი, ლეგად გამომწვარი თიხისა, ზედაპირგაპრიალებული. პირი ძლიერ, თითქმის პორიზონტალურად აქვს გადაშლილი, ყელი ცილინდრულია, მუცელი მკვეთრად ბიკონუსური, ძირი ბრტყელი.

პირის გარე მხარე, პროფილირებულია და შემკულია ურთიერთგადამკვეთი ირიბი ნაკაწრებით. ყელის ძირში მოკლე ირიბი ნაკდეგების (ხორბლისებურა) სარტყელი შემოუყვება. ასეთივე ნაკდეგების ორი რიგისაგან შემდგარი სარტყელი შემოსდევს მუცელსაც (სურ. 217).

55. ლარნაკი, ლეგად (არათანაბრად) გამომწვარი თიხისა, ზედაპირგაპრიალებული (სურ. 218).

პირი ძლიერ გაშლილი აქვს, ყელი დაბალი, მუცელი მკვეთრად ბიკონუსური, ძირი ბრტყელი. პირი გარედან პროფილირებულია და შემკულია ირიბი ჰდეებით. ირიბი ნაკდეგების სარტყელი შემოუყვება ყელს ძირში და მხარს გარშემო, ხოლო მუცლის გარშემო ასეთივე ნაკდეგების ორი სარტყელი შემოუყვება.

სიმაღლე — 12 სმ, პირის დმ — 13 სმ, ძირის დმ — 7 სმ (სავ. № 3 -- 69/442).

56. დოქი, რუხ-მოწითალოდ გამომწვარი თიხისა, ცალყურა, პირსწორი, ყელი ძაბრისებურად გაფართოებულია, მუცელი მხრებში გაზიდული, ძირისაგან მკვეთრად დაქანებული (ბიკონუსური), ძირი ბრტყელი.

მწვილდანივებული, ბრტყელგანივკვეთიანი ყური მხარზე იწყება და პირს ქვემოთ უერთდება ყელს.

ყურს თავსა და ბოლოში ორ-ორი ნაკდევი ამჩნევია, ყელს გარშემო 4 ამოღარული ზოლი შემოსდევს.

სიმაღლე — 23,5 სმ, ძირის დმ — 11 სმ (სავ. № 3—69/443).

57. დოქი, რუხად (არათანაბრად) გამომწვარი თიხისა, ცალყურა, პირგადაშლილი. დაბალყელიანი. მუცელი მხრებში ძლიერ გაზიდულია, ძირისაგან მკვეთრად დაქანებული (ბიკონუსური), ძირი ბრტყელი. დაბალი მრგვალგანივკვეთიანი ყურა მხართან იწყება, უშუალოდ პირს უერთდება და პირს ზემოთაა აზიდული. ყელის ძირში, მუცლისა და ყელის გარშემო ორ ღარს შუა მოქცეული ტალღოვანი (სავარცხლისებური) ორნამენტის სარტყელია შემოყოლებული (სურ. 219).

სიმაღლე — 17 სმ, პირის დმ — 8,5 სმ, ძირის დმ — 10,8 სმ. (სავ. № 3-- 69/444).

58. დოქი, ლეგად (არათანაბრად) გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, ცალყურა, ყელი დაბალია, მუცელი შუაში ძლიერ გაბერილი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული (ბიკონუსური), ძირი — ბრტყელი.

ბრტყელგანივკვეთიანი ყური მხართან იწყება, უშუალოდ პირს უერთდება და პირს ზემოთაა აზიდული.

ყელის ძირში და მუცლის გარშემო ორ ღარს შორის მოქცეული ტალღოვანი (სავარცხლისებური) ორნამენტის სარტყელია.

სიმაღლე — 11 სმ, პირის დმ — 7,5 სმ, ძირის დმ — 6,8 სმ (სავ. № 3-- 69/445).

59. დოქი, ყურმილიანი, ლეგად გამომწვარი თიხისა, გაპრიალებული ყელი შედარებით მაღალი აქვს, პირისკენ ძაბრისებურად გაფართოებული. ბიკონუსური, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული მუცელი დაბალ, გამოყვანილ ქუსლში გადადის, ძირი ბრტყელია (სურ. 220).

ბრტყელგანიკვეთიანი მშვილდისებური ყური მხართან იწყება და პირს ქვემოთ მთავრდება, ყურის ძირთან ვერტიკალური მილი აქვს დატანებული.

ყურს ზემოთ მრგვალი ნახვრეტი აქვს, მაგრამ არა გამჭოლი. სიმაღლე 17,5 სმ, ყელის სიმაღლე — 6 სმ, პირის ღმ — 8 სმ, ქუსლას სიმაღლე — 1 სმ, ძირის ღმ — 7,5 სმ (სავ. № 3—69/446).

60. ქოთანი, რუხად გამომწვარი თიხნა, პირგადაშლილი, ყელი დაბალია, მუცელი მრგვალი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული, ძირი ბრტყელი. პირი გარედან პროფილირებულია. ყელს გარშემო პატარა კოპების სარტყელი შემოსდევს, ხოლო მუცლის შუა ნაწილზე ორ ღარს შუა მოქცეული ირიბი ნაქდევების სარტყელია.

სიმაღლე — 13 სმ, პირის ღმ — 9,5 სმ, ძირის ღმ — 6,5 (სავ. № 3 — 69/447).

61. ჯამი, რუხად გამომწვარი თიხისა, ფართოდ გაშლილი პირით, ძირ-ბრტყელი (სურ. 221).

სიმაღლე — 3 სმ, პირის ღმ — 13,5 სმ, ძირის ღმ — 10 სმ. (სავ. № 3 — 69/448).

62. ჯამი, რუხად გამომწვარი თიხისა, პირი შიგნით აქვს შეკეცილი, ძირი ბრტყელი (სურ. 223).

სიმაღლე — 4 სმ, პირის ღმ — 12 სმ, ძირის ღმ — 9 სმ. (სავ. № 3 — 69/449).

63. ჯამი, რუხად გამომწვარი თიხისა, გადაშლილი და ძირბრტყელი (სურ. 221).

სიმაღლე — 3,4 სმ, პირის ღმ — 13 სმ, ძირის ღმ — 9 სმ. (სავ. № 3 — 69/450).

64. ჯამი, რუხად გამომწვარი თიხისა, პირი შიგნით აქვს შეკეცილი. კედლები ძირისკენ შედარებით ძლიერ დაქანებული, ძირი ბრტყელი (სურ. № 221).

სიმაღლე — 4 სმ, პირის ღმ — 11,5 სმ, ძირის ღმ — 6 სმ (სავ. № 3— 69/451).

65. ორყურა კურკელი, დიდი ზომისა, რუხ-მოწითალოდ გამომწვარი, პირი პროფილირებულია და გაღმოკეცილი, ყელი ვიწრო, მუცელი მხრებში დაქანებული, შუაში ფართო და ძირისაკენ მკვეთრად შევიწროებული. ბრტყელგანიკვეთიანი მომცრო ყურები პირს ქვემოთ იწყება და მხრის ზედა ნაწილს უერთდება. ზედაპირი წნეხვით გამოყვანილი გრძივი ზოლებით აქვს შემკული (სურ. 221).

სიმაღლე — 44 სმ. პირის ღმ — 15,5 სმ, ყელის სიმაღლე — 9 სმ, ძირის ღმ — 14 სმ (სავ. № 3—69/452).

66. ორყურა კურკელი, დიდი ზომისა, ისეთვე როგორც № 65, ოღონდ უფრო რუხად და არათანაბრად გამომწვარი.

სიმაღლე — 44 სმ, პირის ღმ — 15,5 სმ, ყელის სიმაღლე — 9 სმ, ძირის ღმ — 14 სმ (სავ. № 3—69/453).

67. ორყურა დერგი, (სურ. 221), რუხ-მოწითალოდ გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, მუცელი მხრებში დაქანებულია, შუაში გაბერილი და ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული (ბიკონუსური?), ძირი ბრტყელია. მრგვალგანიკვეთიანი ყურები პორიზონტალურად აქვს დაძვრული მუცლის ზემო ნაწილზე. მუცლის ქვემო ნაწილი წნეხვით გამოყვანილი ხაზებითაა შემკული.

სიმაღლე — 37 სმ, პირის დმ — 26 სმ, ძირის დმ — 13 სმ, (სავ. № 3 — 69/454).

68. თასი, ლურჯი მინისა (ე. წ. ფინიკიური), ოვალური, პირისკენ ძაბრი-სებურად გაფართოებული, ძირი მომრგვალებული, ჭურჭლის ზედა ნაწილს ყვი-თული და თეთრი ფერის ტეხილი და სწორი ხაზებთანაა შედგენილი სარტყე-ლი შემოსდევს (სურ. 215, 216).

სიმაღლე — 15 სმ, პირის დმ — 7,5 სმ. (სავ. № 3 — 69/455).

69. თასი, იისფერი მინისა (ე. წ. ფინიკიური). ტანი კვერცხისებურია, ძირი მომრგვალებული, ზედა ნაწილი გადატეხილია, ისეთივე უნდა ყოფილიყო, რო-გორც № 68. ნატეხები თან ახლავს. ეს თასიც ყვითელი ტეხილი ხაზებით ყო-ფილა შემკულია.

სიმაღლე — 12 სმ (სავ. № 3—69/456).

70. ს ი ტ უ ლ ა ბრინჯაოსი, პირგანიერი, ორყურა, მუცელი მხრებში გან-ზიდული აქვს, ქუსლი სადგარისებურად გამოყვანილი, ჭურჭელი მთლიანად, ყელთან ერთად, ბრინჯაოს ორი ფურცლისაგან არის შეკრული მანკვლების საშუალებით. ქუსლი, აგრეთვე მანკვლებით, შემოკედილია დაპირქვევებული ჯამის ფორმის ფსკერზე. მხრებზე ერთმანეთის პირდაპირ ვერტიკალურად მი-ჩილული ჰქონია წნული ორნამენტით შემკული ყურები, რომლებზეც მარყუ-ყით ამოღებული ყოფილა ბრინჯაოს მრგვალგანიკვეთიანი მავთულის რკალი-სებური მოძრავი სახელური. ჭურჭლის ძირზე შიდა მხრიდან სვასტიკაა გამო-სახული.

სიმაღლე — 28 სმ, ყელის სიმაღლე — 6,5 სმ, ქუსლის სიმაღლე — 4,5 სმ, პირის დმ — 23 სმ, ქუსლის დმ — 18,5 სმ.

71. ს ი ტ უ ლ ა ბრინჯაოსი, ორყურა, პირგადაშლილი, მუცელი მხრებში გაზიდულია, ქუსლი სადგარისებურად გამოყვანილი. ჭურჭლის ტანი ყელთან ერთად ექვსი ფურცლისაგან არის შეკრული მანკვლებით. ქუსლი ცალკე აქვს შემოკედილი. მცირე ზომის ვერტიკალურად დასმული სახელურები ზოომორ-ფული ყურებით არის შემკული (სურ. 224).

სიმაღლე — 47—48 სმ, ყელის სიმაღლე — 9—10 სმ, ქუსლის სიმაღლე — 11 სმ, პირის დმ — 43 სმ, ძირის დმ — 28 სმ (სავ. № 3—69/457).

72. ს ი ტ უ ლ ი ს ფრაგმენტები ბრინჯაოსი, შემორჩენილია ძირი და ქუსლი, ყელის ნატეხი და წნული ორნამენტით შემკული რკალისებური ყუ-რები.

ქუსლის სიმაღლე — 5 სმ, ძირის დმ — 22 სმ, ყელის სიმაღლე — 7,5 სმ (სავ. № 3—69/458).

73. ს ი ტ უ ლ ი ს ფრაგმენტები, ბრინჯაოსი, პატარა ზომის. ფრაგმენტების მიხედვით სიტულა ისეთივე ფორმის უნდა ყოფილიყო, როგორც სიტულა № 70. ვერტიკალურად დასმული, წნული ორნამენტით შემკულ ყურებზე და-მაგრებული ყოფილა რკალისებური მოძრავი სახელური. ზემოაღწერილი სი-ტულისაგან განსხვავებით ამ სიტულას ხუფი ჰქონია, რომელიც ცხოველთა გრავირებული გამოსახულებებით არის შემკული.

ძირზე სვასტიკაა გამოსახული (სურ. 224, 225).

ქუსლის სიმაღლე — 3 სმ, ყურების სიგრძე — 3,5 სმ, ხუფის დმ — 10,5 სმ (სავ. № 3—69/459).

წარჩინებული კოლხი ქალის სამარხი (სამარხი № 11) უნდა დათარიღდეს არა უადრეს ძვ. წ. V ს. შუა ხანებისა, რამდენადაც იმპორტული ნივთები ძვ. წ. V ს.-ის პირველ ნახევარს (უფრო მეორე მეოთხედს) განეკუთვნება.

ამ სამარხმა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი მასალა გამოავლინა კოლხეთის ნივთიერი კულტურის სხვადასხვა დარგების შესასწავლად (მეთუნეობა, ლითონის მხატვრული დამუშავება, განსაკუთრებით საიუველირო ხელოვნება და სხვა). აღსანიშნავია, რომ სამარხში აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის სამკაული ხასიათდება მკაცრი სტილისტური ერთიანობით, ამასთან მხოლოდ კოლხურისათვის ჩვეული ფორმები (ღიაღემები, სასაფეთქლეები, საყურეები და ა. შ.) და გენეტიკური კავშირი ვანშივე უფრო ადრე ნაპოვნ სამკაულებთან, სრულიად უცილებელს ხდის მათ ადგილობრივ წარმოშობას, ახლა უკვე სავსებით თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ ძველ ვანში პროფესიონალ ოქრომჭედელთა ძლიერი სკოლის არსებობა, რომელიც ფლობს ურთულეს ტექნიკურ ხერხებს.

ვანის 1969 წლის არქეოლოგიურ აღმოჩენებს დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ მან კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ძველი კოლხეთის განვითარების მაღალი დონე და ცხადყო უკვე ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში აქ მაღალდაწინაურებული სახელმწიფოსა და სოციალურად ძლიერ დიფერენცირებული კლასობრივი საზოგადოების არსებობა.

О. Д. ЛОРДКИПАНИДЗЕ, Р. В. ПУТУРИДЗЕ, В. А. ТОЛОРДАВА, А. М. ЧКОНИА

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАСКОПКИ В ВАНИ В 1969 Г.

Резюме

В отчетном году Ванская археологическая экспедиция производила раскопки на нескольких участках городища.

К востоку от городских ворот продолжались работы по изучению архитектурного комплекса и культурных слоев II—I вв. до н. э.

Продолжались также раскопки на участке к востоку от храма с мозаичным полом. Полностью расчищены восточная стена и северо-восточный угол храма. К востоку от храма, на расстоянии 0,8 м, обнаружен вырубленный в скале фундамент здания. Это здание длиной 9 м было разрушено до постройки храма. Стены были раскрашены — найдены фрагменты разноцветной (красной, синей, черной и желтой) штукатурки. Этим зданием был поврежден раннеантичный культурный слой, который представлен многочисленными фрагментами колхидской керамики.

Основные работы велись на центральной террасе, где открыты здания и крепостные стены III—I вв. до н. э. (на ген. плане пл. 49 — 50, 67—68).

Почти полностью закончено археологическое изучение «круглого храма». Установлены два строительных периода. Первоначально (конец IV в. до н. э. и начало III в. до н. э.) здание имело прямоугольную форму (11 м × 10 м) и было построено из прекрасно отесанных и хорошо обработанных плит (рис. 154, 155). Позднее (II половина III в. до н. э.) на месте прямоугольного здания был воздвигнут круглый храм (рис. 156—158). По стратиграфическим данным первоначально круглый храм с западной стороны имел подступ, выложенный камен-

ными плитами, которые в II—I вв. до н. э. были заменены мозаичным полом. Круглый храм разрушен в середине I в. до н. э. (вместе с архитектурным комплексом городских ворот). На его развалинах была сделана насыпь и поспешно воздвигнута крепостная стена, которая вскоре была также разрушена (середина I в. до н. э.). К этому последнему этапу городской жизни относятся также остатки круглой в плане кладки, выявленные к юго-востоку от круглого храма. Стены II—I вв. до н. э. открыты и в юго-восточной части центральной террасы.

Находки из культурных слоев аналогичны материалам, найденным в предыдущие годы (фрагменты колхидских пифосов и амфор, родосских и синопских амфор, расписанной красной краской, черно и краснолаковой керамики). Особо следует отметить деталь стенового украшения в виде гидрии (аналогичная находке 1966 года) и маленькую чашу, высеченных из белого известняка.

В отчетном году на широкой площади изучались доэллинистические (VI—IV вв. до н. э.) и более ранние культурные слои. Ввиду того, что они сильно повреждены последующими строительствами, наряду с материалом VI—IV вв. до н. э. встречаются и более ранние остатки. Культурный слой VI—IV вв. до н. э. представлен всеми основными типами колхидской керамики (пифосы, кувшины и кувшинчики, кубки на высокой и конусообразной ножке и т. д.). Встречаются также фрагменты импортной керамики (в основном аттической чернолаковой посуды). Большой интерес представляет небольшой фрагмент довольно раннего (конец VII в. до н. э. или начало VI в. до н. э.) хиосского киллика. (рис. 182).

При изучении этих культурных слоев обнаружены три погребения. Первое (погр. № 9) открыто под фундаментом т. н. 17-метровой стены (рис. 159). Погребальная яма (4 м × 2 м) вырублена в скале, в которой, по-видимому, стоял деревянный саркофаг (сохранились лишь железные гвозди), перекрытый земляной и каменной насыпью. Это — погребение знатного воина (погребен головой к северу). Захоронение огорожено с трех сторон железными наконечниками копий различных размеров (общее количество достигает 50). В погребении были найдены железные меч и кинжал, обломки железного щита, бронзовые и железные наконечники стрел. Ноги воина покрывали бронзовые набедренники и поножи (рис. 160—164).

Довольно богаты украшения воина (рис. 166—178). К головному убору относятся золотые фигурки всадников и птиц (15 штук). Найдены золотые подвески-лунницы, золотая серьга (1 штука); серебряные и золотые браслеты, золотые, серебряные и железные перстни-печатки (на одном золотом перстне выгравировано имя ΔΕΛΑΤΟΣ).

В погребении обнаружены также точильный камень с золотой головкой, золотой статар Филиппа II Македонского (359—336 гг. до н. э.), бронзовое блюдо, аттический чернолаковый канфар (II половина IV в. до н. э.), кувшинчик, расписанный красной краской, колхидская глиняная чаша и амфора типа т. н. Солоха I (рис. 171—178).

У ног воина лежали два скелета — мужчины и женщины (рис. 165). По-видимому, это были слуги или рабы-пленники. Они были погребены почти без всякого инвентаря. Под ними обнаружен скелет собаки. Фиксирован также отпечаток деревянного колеса. Там же, в углублении, стояли пять амфор, две — типа т. н. Солоха I, две — колхидских и одна кейменная синопская; клеймо относится ко II подгруппе I хронологической группы синопских клейм (370—320 гг. до н. э.).

На основе стatera Филиппа II Македонского, чернолакового кувшара и клейма амфоры весь погребальный комплекс датируется третьей четвертью IV в. до н. э.

Несколько более поздним должно быть найденное поблизости второе (№ 10) погребение (по-видимому, детское), которое также вырублено в скале (1,40 м × 0,80 м). Здесь обнаружены: золотые висячие кольца, золотые и бронзовые браслеты, серебряные перстни, пастовые бусы и подвески, серебряные колхидки (3 мелких номинала) и глиняная посуда — колхидские лощенные кувшинчики серого обжига, горшок с одной ручкой, кувшинчик, расписанный красной краской (аналогичный кувшинчику из погребения воша) и призматический унгентарий (рис. 179—181).

Третье погребение (№ 11) обнаружено в юго-восточной части центральной террасы (на ген. плане пл. 104). Погребальная яма (3 м × 3,70 м) вырублена в скале. От предполагаемого деревянного саркофага сохранились лишь большие железные гвозди, расположение которых дает возможность приблизительно восстановить его размеры (длина — 3,10 м, ширина 2,25 м, высота 1,50 м). Вне саркофага найдены скелет лошади и железные удила. В погребении (рис. 182—184) обнаружены остатки четырех человеческих скелетов, среди которых один (наиболее плохо сохранившийся) — женский, с очень богатым инвентарем (рис. 185—224).

У изголовья погребенной (вдоль восточной стены погребения) были разложены: бронзовая энохоя и патера (рис. 207, 208), ручка которой изображает фигуру куруса; глиняный сосуд с двумя ручками для благовоний (рис. 214); серебряный сферический сосуд, украшенный «язычками» и фризом гравированных изображений шестя сфинксов (рис. 210); колхидский маленького размера бронзовый сосуд (формы ситюлы) со свастикой на дне и гравированными изображениями животных на крышке (рис. 224, 225); греческое серебряное ведро (рис. 211), ручка которого украшена скульптурными изображениями крылатого льва и баранов; серебряные килики на высокой ножке (рис. 209); два кубка из т. н. финикийского стекла (рис. 215, 216) и колхидский чернолощенный кувшин с волнообразным орнаментом (рис. 219).

В юго-восточном углу погребения на четырех колхидских глиняных мисках (рис. 223) и на одном аттическом чернолаковом килике (рис. 213) лежали кости животных и птиц, а в юго-западном углу — колхидские большие бронзовые ситюлы. На дне одной из них изображены свастики (рис. 186).

Украшения были почти все из золота и серебра. Обнаружена золотая диадема (рис. 187—189), крученный ободок которой оканчивается ромбовидными пластинками и застежками. На ромбовидных пластинках в два ряда расположены рельефные изображения сцен борьбы животных: на одной — львы раздирают распростертого на спине быка, на второй — припавшую на передние ноги газель. К головному убору относятся также грушевидные подвески и ребристые бусы, височные серьги с лучами, кольца которых украшены розетками и миниатюрными изображениями птичек, а лучи — такими же птичками и пирамидками, составленными из зерн; другая пара серег — с шарообразными подвесками (рис. 190, 191, 195).

На основании точной фиксации найденных в погребении предметов можно восстановить пять различных золотых ожерелий. Первое ожерелье было составлено из подвесок в виде черепашек и гладких сферических бус (рис. 192), второе — из подвесок в виде птичек и мелких ребристых бус (рис. 194), третье — из подвесок в виде головок

барапа и ребристых бус (рис. 193); четвертое — из початкообразных подвесок и ребристых бус (рис. 196); пятое — из барабанообразных подвесок, украшенных свастикой и другими геометрическими узорами, и крупных ребристых бус (рис. 197); можно предположить, что к нему относились также прямоугольные янтарные бусы. Вообще не исключено, что в ожерельях наряду с золотыми подвесками и бусами чередовались многочисленные цветные пастовые и сердоликовые бусы, которые были найдены там же.

В большом количестве обнаружены серебряные гладкие сферические бусы, трубочки, разнообразные подвески (бипирамидальные, покрытые зернью (рис. 203); изображения кабанов и др.).

У запястья найдены золотые браслеты, из которых одна пара украшена изображениями кабана (рис. 199), а вторая — головками барапа. Руку, ниже локтя, украшали золотые и сердоликовые бусы (рис. 198). Обнаружены также пять золотых колец (рис. 201), из которых одно со штифом и представляет собой печать; две золотые пластинки, изображающие орлов (рис. 200), которые, видимо, служили украшением пояса и имели геральдическое значение. Золотые штампованные круглые бляшки, реберчатые трубочки и орнаментальные подвески, очевидно, были нашты на погребальном покрывале (рис. 202).

Золотые украшения отличаются строгим стилистическим единством и притом некоторые формы характерны только для Колхиды (диадема, серьги и т. д.).

Под костяком и рядом с ним (на уровне дна погребальной ямы) найдена разбитая глиняная посуда: больших размеров плоскостенные сосуды с двумя ручками, украшенные лощеными полосами; разнообразная чернолощенная посуда биконической формы с ручками и без ручек (орнамент — волнообразный, косая насечка); кувшинчики (рис. 217—222).

У второго костяка обнаружены две серебряные диадемы (рис. 204), золотые серьги с лучами, пастовые разновидности подвески, серебряные плоские браслеты со спиралевидным орнаментом (рис. 205). У третьего — серебряная диадема, золотые серьги с лучами, ожерелье, состоящее из золотых и пастовых бус и подвесок. Между вторым и третьим костяком найдена серебряная ложка с скульптурным изображением сфинкса (рис. 212). У четвертого погребенного была только одна золотая серьга (рис. 206).

Часть импортных вещей, обнаруженных в погребении (бронзовая патера), датируется началом V в. до н. э. Некоторые предметы (аттический чернолаковый килик, серебряные килики) 80—50-ыми годами V в. до н. э. Но, учитывая некоторые обстоятельства, надо предполагать, что захоронение не должно относиться к более раннему времени, чем середина V в. до н. э.

ა. ციციშვილი

ვანის არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული ცხოველთა ძვალეულის ნაშთები

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული (1967—1969 წწ.) ცხოველთა ძვალეულის ნაშთები (სულ 190-მდე ნიმუშია) მნიშვნელოვანია ვანის ადრეანტიკური ღროის ცხოველთა სახეობისა და ზომების დასადგენად და საერთოდ დასავლეთ საქართველოს ოსტეოლოგიურ მასალებთან შესადარებლად. აღნიშნული კოლექცია იმერეთისათვის დამახასიათებელ შინაურ ცხოველთა სახეობის შემადგენლობას ამჟღავნებს. მასალაში უმთავრესად მსხვილი რქოსანი საქონლის ძვლებია (134), არის აგრეთვე ღორის (37), წვრილი რქოსანი საქონლისა (14) და ძაღლის (3 ქვედაყბის) ძვლები.

ვანის მასალა ახლო დგას ითხვისისა და ბორის კოლექციებთან, იმ მხრივ რომ, გარდა მცირე ზომის ნიმუშებისა, მსხვილი რქოსანი საქონლის შედარებით დიდი მოცულობის ძვლების ნარჩენებსაც შეიცავს. ეს ყველა დასახელების ძვლის ნიმუშს ეხება.

ღორის ძვლები შემადგენლობით (10-მდე ეშვია, მათ შორის 2 გარეულისა უნდა იყოს, არის თავის ქალასა და ქვედაყბის ფრაგმენტებიც. სხივის საკმარის დიდი მოცულობის ძვალი — ზრდადასრულებულისა, ხოლო საშუალო ზომის სხივის ძვალი, რომელსაც არა აქვს გაძვალეებული ეპიფიზები, მოზარდისა უნდა იყოს) 4—5 სული ცხოველისაა.

წვრილი რქოსანი საქონლის ძვალეულის ნაშთები

1. თავის ქალა—cranium, 2. სარქო მორჩი—cornu, 3. კეფის ძვალი (os occipit.), 4. მხრის ძვალი—humerii, 5. სხივის ძვლები—radii, 6. ნების ძვლები—metacarpale, 7. წინატერფის ძვლები—metatarsale.

წვრილი რქოსანი საქონლის თავის ქალას ფრაგმენტი, განუვითარებელი სარქო მორჩი, კეფის ძვალი (ლამბდავისებრი ნაკერავით) და ქუსლის ძვალი მორფოლოგიური ნიშნებით თხის ორ ეგზემპლარს უნდა ეკუთვნოდეს. დანარჩენი ნიმუშებიდან მ ხ რ ი ს ძ ვ ა ლ ს (№ 14, მარცხ.) კარგად აქვს დაცული დისტალური ბოლო — რკალი, მხოლოდ დაზიანებული აქვს როკზედა ძვალი მედიალური მხრიდან, რაც ამწელებს მისი ცხვრის ან თხისადმი მიკუთვნებას.

1 ნ. ხოშტარია, ო. ლორთქიფანიძე, რ. ფუთუჩიძე, ვანის არქეოლოგიური გათხრები 1967 წელს (XVII სამეცნიერო სესია. აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1968).

თითქოს უფრო ახალგაზრდა ცხვრისა უნდა იყოს (ღიაფიზის უმცირესი სიგანეა — 19. ირგვლივა — 44 და რკალის სიგანე — 25 მმ).

ნ ე ბ ი ს ძ ვ ა ლ ი № 2, ძვალთან კარგად შეზრდილი, ქვემო სასახსრე ზედაპირია, დაზიანებული ეოლიარული მხრიდან. ვერ ხერხდება მცირესა და დიდ მორგევებს შორის შეფარდების ინდექსის დადგენა, მაგრამ ქვემო სასახსრე ზედაპირის მორფოლოგიური ნიშნებით უფრო ცხვარს ეკუთვნის.

წ ი ნ ა ტ ე რ ფ ი ს ძ ე ლ ი ს მხოლოდ ღიაფიზია შემორჩენილი (უმცირესი სიგანეა 12 და ირგვლივა — 42 მმ). ცხვრის თითო-ოროლა ძვალი დასაველეთ საქართველოს სხვა კოლექციებშიაც (ბორი?, ითხვისი?) გვხვდება. ცხვრის ძვლები¹ მეტი რაოდენობით ადრეანტიკური დროის ითხვისის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა, სადაც იმერული ცხვარი ეხლაც არის გავრცელებული².

ვანის წვრილი რქოსანი საქონლის ძვლების მიხედვით, ცხვარი პატარა ტანისა ჩანს, მაგრამ ძვლების ფრაგმენტული შემადგენლობა ზუსტი განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა.

მასალაში, როგორც ითქვა, ყველაზე მეტი რაოდენობით მსხვილი რქოსანი საქონლის ძვლებია, თუმცა მცირე რაოდენობით თითო დასახელების ძვალაც გვხვდება.

მსხვილი რქოსანი საქონლის ძვალეულის ნაშთები

1. ქვედაყბის ძვლები—mandibulae, 2. კბილები—dentes, 3. ბეჭის ძვლები—scapulae, 4. მხრის ძვლები—humerii, 5. სხვიის ძვლები—radii 6. იდაყვის ძვლები—ulnae, 7. ბარძაყის ძვლები—femores, 8. დიდი წვივის ძვლები—tibiae, 9. კოჭის ძვლები—astragale, 10. ნების ძვლები—metacarpale, 11. წინატერფის ძვლები—metatarsale, 12. ფალანგები—phalanges.

კოლექციაში ძროხეულის თავის ქალა არ ჩანს. შემორჩენილია მხოლოდ ქვედაყბის ძვლები (14 ცალი), არამთლიანად დაცული. ზოგიერთს დაცული აქვს საკბილო კიდე (პურ. 226), საკმაოდ მოცვეთილი კბილებით (4 მარჯვენა, ერთი მარცხ.). თვალნათურად და განაზომებითაც (საკბილო კიდის სიგრძეა 133—135 და უკბილო მორჩისა 46—66 მმ, უმცირესი 25—27 და უდიდესი სიმაღლე M₃-ის უკან — 65 მმ) ზრდადასრულებულ ცხოველებს უნდა ეკუთვნოდნენ. სამი შესამჩნევად პატარა, ხვესურულის³ ქვედაყბის ზომის, ნიმუში სარძეო კბილებით (P₃, 4) Bos taurus-ის მოზარდისა უნდა იყოს. დანარჩენი საკბილო მორჩისა (შესამჩნევად მოცვეთილი მოლარებით) და ერთი ასწერივი ტოტის ფრაგმენტებია. 29 იზოლირებული კბილია (12 ზედა და 17

2 მ. მ. ივანენკოს არქეოლოგიური გათხრების მიხედვით (1938).

3 რ. აბრამიშვილი. ითხვისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წლის მუშაობის შედეგები, აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესია, 1964.

4 ა. ციციშვილი, ცხოველთა ძვალეულის ნაშთები ითხვის-ჩილათას ბორცვიდან (დისერტაცია, 1970).

5 მ. რჩეულიშვილი, საქართველოს მეცხვარეობის ისტორიისათვის, თბ., 1953 (რუსულ ენაზე).

6 ნ. იოსელიანი. მასალები ხვესურული ფურის ოსტეოლოგიისათვის, საქ. მუზეუმის მოაზრ. ობ. ტ. IV, 1928.

ქვედაცხის) ზრდადასრულებული და მოზარდი *Bos taurus*-ის მორფოლოგიური ნიშნებით.

ბეჭის 3 ფრაგმენტული ძვალია — მცირე ზომის ბეჭის ყელისა და ფოსოს ნაწილებით, თუმცა განაზომებით (ცხრ. 1) ზოგიერთი აღმეტება ხევსურულის სათანადო ძვალს და ბევრად არ ჩამორჩება ითხვისის *Bos taurus*-ის ბეჭის ძვალს, ხოლო ბორისა კი ორივეს სკარბობს, გარდა ერთი მაქსიმალური ზომისას ითხვისიდან.

ცხრილი 1

ძროხეულის ბეჭის ძვლის განაზომები, მმ.

	ბეჭის ძვლის ყელის უმცირესი სიგანე	უმცირესი ირველოა	ფოსოს სიგრძის ივერდივი ზომა	ფოსოს უღიდესი სიგანე
ვ ა ნ ი	40—42	100	42—45	35—40
ითხვის-ჩილათა	42—44	107—140	46—67	42—65
ითხვისი (სამარტი)	40	100	50	45
ბორი	42—48	100—110	45—49	38—48
ხევსურული	40	99,8	47,2	37,4

აღნიშნულ კოლექციაში 7-მდე მხრის ძვალია. № 125 (მარჯვ.) დიაფიზისა და ქვედა სასახსრე რკალის ნიმუშია. მორღეველი აქვს პროქსიმალური ბოლო, ეტყობა ძროხეულის ახალგაზრდა ეგზემპლარს ეკუთვნის, მაგრამ განაზომებით (დიაფიზის უმცირესი სიგანეა — 32, რკალის უღიდესი სიგანე — 65 მმ) მინც აღმეტება ხევსურულს. ასევე ახალგაზრდა ცხოველის მხრის ძვალია № 281 (მარჯვ.) — მორღეველი აქვს ქვემო სასახსრე ზედაპირი (დიაფიზის უმცირესი სიგანე — 30 მმ). რკალის განაზომის აღება ვერ ხერხდება. შესაძლოა მისი წყვილია. № 281 (მარცხ.) რკალის სიგანეა — 62 მმ. № 370 (მარცხ.) ხევსურულის სათანადო ძვლის ზომისა ჩანს. მისი წყვილი უნდა იყოს № 370ა (მარჯვ.). ერთი მათგანი მაქსიმალური ზომისაა (რკალის სიგანე—71 მმ). შესაძლოა ამ უკანასკნელის ნაწილია პროქსიმალური ზედაპირის ნიმუში — სიგანე ზემო სასახსრე ზედაპირისა 93 მმ-ია. ამრიგად, მხრის ძვლები ვანიდან, ბორისა და ითხვისის *Bos taurus*-ის ამ ძვლის განაზომების ფარგლებში ხვდებიან და სკარბობს მხოლოდ ერთი მაქსიმალური ზომის ნიმუში ითხვისიდან

(ცხრ. 2).

ცხრილი 2

ძროხეულის მხრის ძვლის განაზომები, მმ

	პროქსიმალური ზედაპირის უღიდესი სიგანე	დიაფიზის უმცირესი სიგანე	დიაფიზის უმცირესი ირველოა	დისტალური სასახსრე რკალის სიგანე
ვ ა ნ ი	93	30—32	—	61—71
ითხვისი-ჩილათას ბორცი	79	27—40	90—125	61—85
ითხვისი (სამარტი)	71	25	98	—
ბორი	—	33	118	75
ხევსურული	85,2	27,4	58	60

სხივის 8 ძვალა. დისტალური ბოლო მხოლოდ ერთია, ასევე ერთია მთლიანი სხივის ძვალი (სიგრძე — 212 მმ, პროქსიმალური ზედაპირის სიგანეა — 60, ხოლო ქვემო სასახსრე ზედაპირისა — 56 მმ, დიაფიზის ირგვლივ ძვალთაშუა სივრცესთან — 95 მმ). ზემოსასახსრე ზედაპირის (სიგანეში საშუალო ზომის 62—64 მმ) ორი ნიმუშია, ხოლო მაქსიმალური ზომისა (68 — 69 მმ) — ოთხი. № 281 (მარცხ.) და ერთი იზოლირებული დისტალური ბოლო (მარცხ.) დაზიანებული ძვლებია და განაზომების აღების საშუალებას არ იძლევიან; შესახედვად საშუალოზე უფრო დიდი ზომისა ჩანან ისევე, როგორც № 281 (მარჯვ.) იდაყვის ძვალი, ხოლო ძალიან მცირე ზომის მეორე ნიმუში (თავი არა აქვს გაძვლებული) Bos taurus-ის მოზარდს უნდა ეკუთვნოდეს.

განაზომების მიხედვით (ცხრ. 3), ვანის მთლიანი სხივის ძვალი (შესაძლოა ცხოველის ინდივიდუალური თვისებებით დაპირობებული) ხევესურულის სათანადო ძვლის ზომისაა, ხოლო საშუალო და მაქსიმალური სიდიდის ნიმუშები დიდად არ განსხვავდებიან ითხვისისა და ბორის ამავე ძვლისაგან (ცხრ. 3).

ცხრილი 3

ძროხეულის სხივის ძვლების განაზომები, მმ

	სხივის ძვლის სიგრძე	ზემო სასახსრე ზედაპირის სიგანე	ქვემოსასახსრე ზედაპირის სიგანე	დიაფიზის ირგვლივ ძვალთაშუა სივრცესთან
ვ ა ნ ი	212	60—69	56	95—100
ითხვისი-ჩილათა	—	55	—	—
ბ ო რ ი	—	62—70	—	104—115
ხევესურულო	224	61—8	53,6	88

ბარძაყის ძვლის 3 ფრაგმენტია. მათ შორის იზოლირებული პროქსიმალური ბოლოს ნიმუშს (მარცხ.) დაცული აქვს ციბრუტთაშუა ქედი, დაზიანებული თავისა და დიდი ციბრუტას ნაწილებით. თვალზომურად თითქოს მასიური ძვალა. დისტალური ბოლო (მარჯვ., უღიაფიზო) ორი განაზომის აღებზე საშუალებას იძლევა; სიგანე — 80 და დისტალური ბოლოს სიგრძის განივი ზომა — 110 მმ არაზუსტია, ვინაიდან როკზედა ძვლის კუდალური ნაწილი დაზიანებულია. № 370 — დიაფიზი ბარძაყის ძვლის ფრაგმენტული ნიმუშია.

მენჯის ძვლის სასახსრე ფოსოს ორი ფრაგმენტია.

დიდი წვივის ძვლის კონტურებით კარგად დაცული დისტალური ბოლოს (ზოგიერთი დიაფიზის შუა ნაწილით) — 5 ძვალა. მათ შორის 4 (დისტალური ბოლოს სიგანე — 48—51 მმ, დიაფიზის უმცირესი სიგანე — 30—32 და ირგვლივ — 81 მმ) მცირეა და ერთი (დისტალური ბოლოს სიგანე — 54, დიაფიზის უმცირესი სიგანეა — 34 და ირგვლივ — 90 მმ) — საშუალო ზომის ნიმუშია.

ვანისა და ითხვისის დიდი წვივის ძვლების განაზომებში განსხვავებას იძლევა მხოლოდ ერთი მაქსიმალური ზომის ნიმუში ითხვისიდან (ცხრ. 4).

ზომაში ასეთი შეფარდებით არიან მოცემული კონტურებით მთლიანად შემონახული ვანის Bos taurus-ის კოჭის ძვლები (6). განაზომების რყევადობის მიხედვით, ლატერალურ სიგრძეში მაქსიმალური ზომის (59—65 მმ) ორი ნიმუშია. საერთოდ კი ითხვისისა და ბორის Bos taurus-ის სათანადო ძვლის განაზომების ფარგლებში არიან მოცემული (ცხრ. 5).

ვანის მასალა, როგორც ითქვა, არაა დიდი რაოდენობის, მაგრამ მნიშვნელოვანია, ვინაიდან მეტაპოლიებისა და ფალანგების მთლიან ძვლებსაც შეიცავს.

ცხრილი 4

ძროხულის დიდი წვივის ძვლის განაზომები, მმ

	დისტალური ბოლოს სიგანე	დიაფიზის უმცირესი სიგანე	ირგვლივა
ვ ა ნ ი ითხვისი-ჩილათა ხევესურული	48—54 50—75 51	30—34 30—45 32,5	81—90 85—90 88,6

ცხრილი 5

ძროხულის კოკის ძვლის განაზომები, მმ

	ლატერალური სიგრძე	მედიალური სიგრძე	ზემო სასახსრე ზედაპირის სიგანე	ქვემო სასახსრე ზედაპირის სიგანე	უკანა სასახსრე ზედაპირის სიგანე
ვ ა ნ ი ითხვისი-ჩილათა ბ ო რ ი ხევესურული	55—65 54—67 58 58	52—59 49—60 52—67 54	32—36 34—44 37—45 35	36—41 34—45 39 36	33—38 32—43 37—40 32

ნების ძვალი № 6 (მარცხ.) მტკიცედ გაძვლებული ეპიფიზებით (სურ. 226), მცირე ზომის ნიმუშია. ხევესურულს სათანადო ძვლას ზომისა ჩანს მეორე მთლიანი ნების ძვალი (ცხრ. 6), დანარჩენი ძვლები პროქსიმალური ბოლოს იზოლირებული ნიმუშებია. განაზომებით (უდიდესი სიგრე — 55—58 მმ) შესამჩნევად აღემატებიან ხევესურულს, ზოგი მათგანი კი დიაფიზის უმცირესი სიგანისა (32—33 მმ) და ირგვლივს განაზომშიც (85 — 95 მმ) აღემატება რა ხევესურულს, ჩამორჩება ითხვისისა და ბორის ნების ძვლებს პროქსიმალური და დისტალური ბოლოს სიგანის განაზომებში (ცხრ. 6).

ცხრილი 6

ძროხულის ნების ძვლის განაზომები, მმ

	ლატერალური სიგრძე	ზემოსასახსრე ზედაპირის სიგანე	დისტალური ბოლოს სიგანე	ქვემოსასახსრე ზედაპირის სიგანე	დიაფიზის სიგანე	ირგვლივა
ვ ა ნ ი ითხვისი-ჩილათა ბ ო რ ი ხევესურული	162—163 — — 163	47—58 48—54 50 48,6	44 50—63 50—55 —	49 53—60 63 48,6	25—33 27—35 29 25,6	73—95 77—90 82 74,2

შედარებით მეტი რაოდენობითაა — წინატერფის ძვლები. მთლიანად დაცული ოთხი ნიმუში სიმალეში თითქმის ხევესურულს სათანადო ძვლის ზომისაა (სურ. 226). მაგრამ არის შედარებით დიდი მოცულობის წინა-

ტერფის ძვლებიც (ლატერალური სიგრძეა — 190—195 მმ). მორფოლოგიური ნიშნებისა და სიგანეში განაზომების რყევადობის მიხედვით, *Bos laurus*-ის ზრდადასრულებული (ცხრ. 7) და მოზარდის კიდურის ძვლებია (ღიაფიზის უმცირესი სიგანეა — 17—21 და ირველივა — 56—59 მმ) — არამტკიცედ გაძვლებული ეპიფიზებით. წინატერფის ძვლები ვანის ძროხეულის ზომაში დახასიათებისათვის უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევიან. ითხვისისა და ბორის *Bos taurus*-ის ძვლები სათანადო ძვლებისაგან განაზომებში დიდად არ განსხვავდებიან (ცხრ. 7).

ცხრილი 7

ძროხეულის წინატერფის განაზომები, მმ

	ლატერალური სიგრძე	პროქსიმალური ზედაპირის სიგანე	დისტალური სიგანე	ქვემოსასხრის ზედაპირის სიგანე	ღიაფიზის უმცირესი სიგანე	ღიაფიზის ირველივა
ვ ა ნ ი	168—195	38—43	47—55	45—58	21—27	68—92
ითხვისი-ჩილათა	180	45—54	47—57	44—54	23—30	68—95
ბ ო რ ი	203	45	50	60	25	88
ხეისურული	187,4	41	—	44,8	21,6	74,2

ამრიგად, მართალია, ვანის კოლექციაში მცირე რაოდენობის ძვლების ნაშთებია, მაგრამ წინატერფის ძვლების შესწავლით შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, რომ ეს ძვლები ათამდე სულ ძროხეულს უნდა ეკუთვნოდეს. ვანის ძვალეულის კოლექცია ხევსურულზე უფრო ტანადი — საშუალო ზომის ძროხეულზე მიუთითებს და თითქოს ითხვისისა და ბორის მსხვილი რქოსანი საქონლის მსგავსად, ძროხეულის დაკნინების სურათს არ იძლევა.

ფალანგების სულ ცხრა ნიმუშია. ოთხი — I, სამი II და ორი — III ფალანგის ძვლია. I ფალანგის სამი ძვალი შეესაბამება ზემოთ აღწერილი ნებისა და წინატერფის ძვლებს (სურ. 226). მორფოლოგიურად და ზომით უფრო ზრდადასრულებული ცხოველის ძვლებია, მაგრამ მასალის უკმარობის გამო, დაბეჭდვით არაფრის თქმა შეიძლება. განაზომების მიხედვით, ჩამორჩებიან ბორის *Bos taurus*-ის I ფალანგის ძვლებს (ცხრ. 8).

ცხრილი 8

ძროხეულის I ფალანგის განაზომები მმ

	ლატერალური სიგრძე	ლატერალური სიგრძე შუაში	ზემოსასხრის ზედაპირის სიგანე	ქვემოსასხრის ზედაპირის სიგანე	ღიაფიზის სიგანე შუაში
ვ ა ნ ი	43—53	41—48	23—25	23—24	21—22
ბ ო რ ი	59—60	46—60	26—34	23—27	26—30
ხეისურული	49—51	41—49	23—25	21—23	22

I ფალანგის მე-4 ნიმუში დაზიანებულია.

საინტერესო მასალას იძლევა ცხოველთა ძვალეულის ნაშთები ვანის ადრე-ანტიკური ღროის № 11 სამარხიდან (1969 წ.). შინაურ ცხოველთა ჩონჩხის ნაწილები, რომლებიც სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ერთი მეორესთან მიდგმულ ოთხ ჯამშია მოთავსებული, სიძველისაგან იმდენად დაშლილია, რომ მათი აღდგენა ძნელდება, მაგრამ მაინც ხერხდება სახეობის გამოჩვენება. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ აქაც ძვლების მიხედვით, დასავლეთ საქართველოსა და თვით ვანის იმავე ეპოქის ნასახლარების მსგავსად, შინაურ ცხოველთა იგივე შემადგენლობა (თხა, ღორი, მსხვილი რქოსანი საქონელი) აღმოჩნდა. ჯამის ირგვლივ, სამარხის ფსკერზე ძვლების ნაშთები არ ჩანს, გარდა ცოტა მოშორებით მოთავსებული, მთლიანად ჩადებული ცხენის ჩონჩხისა⁸. ეს იმას მოწმობს, რომ ჯამებზე ზრდადასრულებული ცხოველის მხოლოდ ნაწილები იყო დადებული. საკმაოდ აშკარად არის გამოვლინებული ძვლების ასაკობრივი შემადგენლობა. თუმცა, როგორც იყო აღნიშნული, ძვლები მცირე ზომის ფრაგმენტებად არიან წარმოდგენილი, მაგრამ შენარჩუნებული აქვთ მორფოლოგიური ნიშნები და ზოგიერთი განაზომის აღების შესაძლებლობასაც იძლევა. არის ფრინველის რამოდენიმე ძვალი⁹.

აღმოჩნდა ზრდადასრულებული ღორის ერთი დიდი წვივის ძვალი და გოკის რვა ძვალი (ქვედაყბის, ბეჭის, მხრის, სხივის, მენჯის, ბარძაყის, დიდი წვივისა და ნების), დაცულია აგრეთვე ნეკნები და მცირე რაოდენობით ნამტვრევებიც, შესაძლოა ქვედაყბის ძვლისა. ქვედაყბის ძვალს შენარჩუნებული აქვს P₃ (სარძ.) და მოზარდისათვის აშკარად გამოვლინებული ზომა და სხეულის სინატაფე. ჩონჩხის ნაწილები იმას მოწმობს, რომ გოკი მთლიანად იყო ჯამებზე დადებული. კარგად არის დაცული დიდი წვივის ძვლის დისტალური ბოლო დიაფიზით. საფიქრებელია, რომ ზრდადასრულებული ღორის სხეულის მხოლოდ ეს ნაწილი იყო მოთავსებული.

წვრილი რქოსანი საქონლის მხოლოდ 3 ძვალია: ქვედაყბის — mandibula, მხრისა — humerus და ბარძაყისა — femur.

ქვედაყბის ძვლის (მარცხ.) მხოლოდ უკბილო კიდის ნაწილია გადარჩენილი (უმცირესი სიმაღლეა — 9 მმ), უფრო მოზარდისათვის დამახასიათებელი ნიმუშია. მოზარდს უნდა ეკუთვნოდეს დანარჩენი ორიც.

მხრის ძვალი (მარცხ.), უდიაფიზო რკალის მედიალური მხარეა, კალდალურად როკზედნაწილით. თითქოს უფრო თხის მორფოლოგიური ნიშნები აქვს. მცირე რაოდენობის ძვლების ნამტვრევებში მოიძებნება ეპიფიზმორღვეული მხრის ძვლის პროქსიმალური ბოლოც.

ეპიფიზმორღვეული პროქსიმალური ბოლოს უდიაფიზო ნიმუშია ბარძაყის ძვალიც. დაცული აქვს ციბრუტთაშუა ქედი. დიდი ციბრუტასა და თავის (caput) მოყვანილობა თითქოს ამასაც თხისათვის დამახასიათებელი ფორმისა აქვს. შესაძლოა ეს ცხოველიც, როგორც გოკი, მთლიანად იყო დად-

7 ო. ლორთქიანიძე, რ. ფუთუჩაძე, ვანის არქეოლოგიური გათხრება, 1969 წ. სამეცნიერო სესია, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

8 ნ. ვაშრეკელი, ვანი I, გვ. 252

9 ნ. ბურჩაქაბრაშვილი, ვანი I, გვ. 255.

ბული, მაგრამ ჩონჩხის დანარჩენი ნაწილები ნამტკრევეების სახითაც კი არ ჩანს.

აპრიგად, დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ შინაურ ცხოველთა სახეობრივი შემადგენლობა აღმოჩნდა. ეს კოლხეთისათვის ტიპური, ტანმორჩილი მსხვილი რქოსანი საქონლის¹⁰ ძელების ნარჩენებსაც ეხება.

მსხვილი რქოსანი საქონლის ძელები

1. ბეკის ძვალი—scapula, 3. მხრის ძვალი—humerus, 3. ნეკნები—costae.

ბეკის ძელის (მარცხ. სამარხი № 11) ყელისა და ფოსოს ნაწილებია მხოლოდ დაცული. განაზომებით (ყელის უმცირესი სიგანეა — 42 და ირგვლივა — 100 მმ, სასახსრე ფოსოს სიგრძის იგურდივი ზომაა — 47, სიგანე — 38 მმ) არ განსხვავდება ვანის ძროხეულის, ზემოთ აღწერილი, ბეკის ძელისაგან (ცხრ. 1). ფოსო გაძვლებული ჩანს, ზრდადასრულებულ ახალგაზრდა ცხოველს უნდა ეკუთვნოდეს.

მხრის ძვალი (მარცხ.) ნაკლებად დაცული რქალის მედიალური მორგვის ნიმუშია. თვალზომურად ბეკის ძელის შესაფერისი ზომისა, ჩანს, ე. ი. ორივე ძვალი Bos taurus-ის ერთსა და იმავე ცხოველს უნდა ეკუთვნოდეს.

ეტუობა ჩამებზე ძროხეულის მხარ-ბეკისა და ნეკნების ნაწილებიც იყო დალაგებული. ამ უკანასკნელის ნამტკრევეებიც აღმოჩნდა სამარხში. დანარჩენი ნამტკრევეების აღდგენა ვერ მოხერხდა, შესაძლოა აწერილი ნიმუშების ნაწილებია.

დასკვნები

1. ვანის ძვლოვანი კოლექცია, როგორც ნასახლარებისა, ისე № 11 სამარხიდან, დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ შინაურ ცხოველთა ძელებს ნარჩენებს შეიცავს.

2. მსხვილი რქოსანი საქონლის ზოგიერთი ძვალი ნასახლარებიდან ითხვისისა და ბორის სათანადო ძელების განაზომების ფარგლებში ხვდება. თითქოს ძელების ნიმუშები ამ სამი კულტურის ძროხეულის დაკნინების სურათს არ იძლევიან, ისე კი „კოლხური“ მაინც ტანმორჩილი საქონლის ტიპი ჩანს.

3. მასალაში თხისა და ღორის ძვლებთან ერთად აღმოჩნდა ცხვრის ძვლების ფრაგმენტული ნაშთებიც. შესაძლოა იმ ეპოქაში მოსახლეობაში გაბნეული იყო თითო-ოროლა ცხვარი.

А. Л. ШИШИШВИЛИ

КОСТНЫЕ ОСТАТКИ ЖИВОТНЫХ, ДОБЫТЫЕ АРХЕОЛОГИЧЕСКИМИ РАСКОПКАМИ ВАНИ

Резюме

Предлагаемая работа включает определение и описание небольшого материала костных остатков мелкого и крупного рогатого скота, добытых Ванской Археологической экспедицией (1967—1969 гг.), из селищ и погребения № 11, на территории Вани раннеантичной эпохи.

¹⁰ Аристотель. История животных. Вестник древней Истории, 1947, № 2, стр. 325.

Заключения вынесены на основании сравнения костных остатков с соответствующими костями местной породы овцы («имеретинской») и крупного рогатого скота («хевсурской»).

Означенный материал сравнивался и с костными остатками *Ovis agries* и *Bos taurus* позднеантичной эпохи холма селища Итхвиси-Чилата (Чиатурский р-н) и из погребения Бори (Р-н им. С. Орджоникидзе).

По костным остаткам мелкого рогатого скота, *Capra hircus* и *Ovis agries* небольшого размера, но фрагментность состава костей не дает возможности точного измерения.

Из черепных костей сохранились только нижнечелюстные кости и зубы, позволяющие установить поголовье крупного рогатого скота. Имеются важного значения образцы цельных метаподий и фаланги.

Костная коллекция из селищ так же как из погребения № 11 раннеантичной эпохи Вани, включает кости домашних животных характерного состава для Западной Грузии.

Кости крупного рогатого скота из Вани попадают в пределы размеров соответствующих костей *Bos taurus* Итхвиси, но Бори несколько их превосходит, будучи все-таки небольшого размера. Размеры костей крупного рогатого скота означенных районов (Имерети) не дают картину захудания скота, характерного для Колхидской низменности.

В материале вместе с костями свиньи и козла, как было сказано, оказались костные остатки *Ovis agries*. Возможно в ту эпоху, в указанных районах овцеводство носило характер по 2—3 экз. овец подворно распыленного хозяйства.

შინაური ცხენი ვანის ნაქალაქარიდან

1969 წელს ნაქალაქარ ვანში ჩატარებული გათხრების შედეგად არქეოლოგების მიერ მიკვლეულ კოლხი ქალის სამარხში, რომლის ასაკი განისაზღვრა ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრით, ჩატანებული აღმოჩნდა შინაური ცხენი.

განხილული ჩონჩხის 85 ძელოვანი ერთეულიდან მხოლოდ 25 ნიმუში აღმოჩნდა შედარებით უკეთ დაცული.

თავის ქალას პრეპარაცია ვერ მოხერხდა მისი ძლიერი დაზიანების გამო. კრანიალური ნაწილებიდან მხოლოდ კბილების 27 ეგზემპლარი გაგვაჩნია, რომლებიც ახალგაზრდა ცხოველის ნიშნებით ხასიათდებიან, მათგან 20 ძირითადი საღეჭი კბილებია, 7 კი საჭრელი.

პოსტკრანიალური ჩონჩხიდან ძირითადად ლულოვან ძვლებზე გავამახვილეთ ყურადღება.

მაღების 10 ეგზემპლარი განვიხილეთ (გულმკერდისა და წელის); ყოველი მათგანი დაზიანებულია და მხოლოდ მათი სხეულებიდან შემონახული წვეტიანი და განივი მორჩების გარეშე.

მხრის ძვლის 1 ნიმუშია მხოლოდ დაცული, ისიც მხოლოდ ძვლის დისტალური ბოლო.

სხვიის 1 ეგზემპლარი გავაჩნია 3 ცალკეული ძვლის ნატების სახით.

ნების 2 ნიმუში აღმოჩნდა. ერთი მათგანი მთლიანადაა დაცული (მაქსიმალური სიგრძე — 217 მმ), მეორე — მხოლოდ პროქსიმალური ბოლოა.

ტერფის — 1 მთლიანი ძვალი მოგვეპოვება (მაქსიმალური სიგრძე — 265 მმ).

I ფალანგების 3 ძვალია, II და III ფალანგებისა კი ორ-ორი.

დანარჩენი ჩვენს მიერ გარკვეული ძვლებიდან აღვნიშნეთ: ქუსლისა და კოკის ძვლები (ორ-ორი ეგზემპლარი), კვირისტავი (1 ნიმუში), მაჯისა და უკანა ტერფის ძვლები (12), ნეკნები (11 ნატები), მენჯისა და გავის ძვლების 9 ფრაგმენტული ნაწილი და სესამოიღული ძვალი (2 ეგზემპლარი).

ნებისა და წინა ტერფის ძვლების განაზომების (ცხრილი 1) საფუძველზე ვანის ცხენი მივაკუთვნეთ საშუალო სიმაღლის ცხენების ჯგუფს (სიმაღლე მინდარში — 140 სმ).

ნების, წინა ტერფისა და ფეხის I ფალანგის მაქსიმალური სიგრძის დიაფიზის სიგანესთან შეფარდებისას მიღებული ინდექსების (ცხრილი 2) შედეგად გამოირკვა რომ მას საშუალო სისქის ფეხი ჰქონდა: ჩლიქის ძვლებმაც საშუალო სიფართის მაჩვენებლები გამოავლინეს.

სხივის ძეგლის უდიდესი სიგრძე	336
სხივის ძეგლის პროქსიმალური ბოლოს სიგანე	81
სხივის ძეგლის დიაფიზის სიგანე	37
ნების ძეგლის უდიდესი სიგრძე	217
ნების ძეგლის პროქსიმალური ბოლოს სიგანე	51
ნების ძეგლის დისტალური ბოლოს სიგანე	48
ნების ძეგლის დიაფიზის სიგანე	34
წინა კიდურის I ფალანგის უდიდესი სიგრძე	84
წინა კიდურის I ფალანგის პროქსიმალური ბოლოს სიგანე	54
წინა კიდურის I ფალანგის დისტალური ბოლოს სიგანე	47
წინა კიდურის I ფალანგის დიაფიზის სიგანე	35
წინა კიდურის ჩლიქის უდიდესი სიგანე	68
წინა კიდურის ჩლიქის უდიდესი სიმაღლე	40
წინა კიდურის ჩლიქის უდიდესი სიგრძე	50
ბარძაყის ძეგლის უდიდესი სიგრძე	99
ბარძაყის ძეგლის პროქსიმალური ბოლოს სიგანე	116
ბარძაყის ძეგლის დისტალური ბოლოს სიგანე	94
ბარძაყის ძეგლის დიაფიზის სიგანე	38
წვივის ძეგლის უდიდესი სიგრძე	65
წვივის ძეგლის პროქსიმალური ბოლოს სიგანე	95
წვივის ძეგლის დისტალური ბოლოს სიგანე	73
წვივის ძეგლის დიაფიზის სიგანე	40
წინა ტერფის უდიდესი სიგრძე	265
წინა ტერფის პროქსიმალური ბოლოს სიგანე	50
წინა ტერფის დისტალური ბოლოს სიგანე	48
წინა ტერფის დიაფიზის სიგანე	32
უკანა კიდურის I ფალანგის უდიდესი სიგრძე	82
უკანა კიდურის I ფალანგის პროქსიმალური ბოლოს სიგანე	56
უკანა კიდურის I ფალანგის დისტალური ბოლოს სიგანე	45
უკანა კიდურის I ფალანგის დიაფიზის სიგანე	33
უკანა კიდურის ჩლიქის უდიდესი სიგანე	52
უკანა კიდურის ჩლიქის უდიდესი სიმაღლე	78
უკანა კიდურის ჩლიქის უდიდესი სიგრძე	38
ქუსლის ძეგლის მაქსიმალური სიგრძე	59
ქუსლის ძეგლის უდიდესი სიგანე	03
კოკის მედალური სიგრძე	45
კოკის ლატერალური სიგრძე	56
კოკის სიგანე შუაში	59

ვანის ცხენის ძვლების პროპორციები პროცენტებში

სხივის ძვლის პროქსიმალური ბოლოს ინდექსი	25
სხივის ძვლის დისტალური ბოლოს ინდექსი	22,02
სხივის ძვლის დიაფიზის ინდექსი	11,01
ნეზის პროქსიმალური ბოლოს ინდექსი	23,5
ნეზის დისტალური ბოლოს ინდექსი	21,1
ნეზის დიაფიზის ინდექსი	15,6
წინა კიდურის I ფალანგის პროქსიმალური ბოლოს ინდექსი	64,2
წინა კიდურის I ფალანგის დისტალური ბოლოს ინდექსი	55,9
წინა კიდურის I ფალანგის დიაფიზის ინდექსი	41,6
წინა კიდურის ჩლიქის სიგანის ინდექსი	136
წვივის პროქსიმალური ბოლოს ინდექსი	26,01
წვივის დისტალური ბოლოს ინდექსი	20
წვივის დიაფიზის ინდექსი	10,9
ტერჯის პროქსიმალური ბოლოს ინდექსი	18,8
ტერჯის დისტალური ბოლოს ინდექსი	18,1
ტერჯის დიაფიზის ინდექსი	12,07
უკანა კიდურის I ფალანგის პროქსიმალური ბოლოს ინდექსი	68,2
უკანა კიდურის I ფალანგის დისტალური ბოლოს ინდექსი	54,8
უკანა კიდურის I ფალანგის დიაფიზის ინდექსი	40,2
უკანა კიდურის ჩლიქის სიგანის ინდექსი	132

II. Н. ГАМРЕКЕЛИ

ДОМАШНЯЯ ЛОШАДЬ ИЗ ГОРОДИЩА ВАНИ

Резюме

В результате археологических изысканий в городище Вани в 1969 году было обнаружено погребение женщины, которое датируется второй половинкой V-го века до н. э.

В погребении оказалась захороненной лошадь, кости которой представлены 85-ю экземплярами.

Череп препарации не поддавался. По промерам пясти и плюсны (табл. № 1) лошадь из городища Вани была нами отнесена к группе лошадей среднего телосложения (высота в колке 140 см).

В результате соотношения наибольшей длины к диафизу пясти плюсны и 1-ой фаланги (табл. № 2) выяснилось, что имеем дело с лошадью средненогой. Судя по костям копыт они принадлежат к группе средней ширины,

К ИЗУЧЕНИЮ ДОМАШНИХ ПТИЦ ДРЕВНЕГО ВАНИ

Среди костных остатков домашних животных из погребения № 11 античного Вани (V в. до н. эры) костей птиц оказалось очень мало — всего 11 фрагментов. Все они принадлежат двум (минимально) экземплярам взрослых домашних гусей, *Anser anser domesticus* L. Кости гусей найдены в юго-западном углу погребения № 1 (кв. 41—42; 48—49) раскопок 1969 года (площ. 104 кв. К₃—4. 105 а₃—4). Кости гусей находились на 4-х тесно прилегающих друг к другу чашах «джамии» вместе с фрагментами костей крупного и мелкого рогатого скота и свиньи. Все они являются остатками погребальной тризны. Кости гусей были в древности обломаны и их пустоты заполнились породой. Целым остался лишь один левый кораконд, у которого оказался обломанным его задне-нижний угол. Некоторые кости явно обгрызены, например правая плюсна в верхне-заднем участке, фрагмент левой плюсны с отгрызанными кондилюсами.

Материалы: 2 верхних конца от 2-х правых плечевых костей, тоже от 2-х левых плечевых костей, 1 нижний конец левой плечевой кости, 1 левый кораконд, 1 верхняя часть правого кораконда, 1 дистальный конец правой локтевой кости, 1 нижняя часть левой тибіотарзальной кости, 1 нижняя часть левой плюсны с погрызами, 1 правая плюсна, 1 фрагмент передней части грудной кости. Всего 11 отдельных костей от 2-х (минимально) взрослых особей крупных размеров.

Измерения костей:

Плечевые кости: 1) наибольшая ширина верхнего конца—35,8 мм, са 32 мм, са 32 мм. 2) ширина нижнего суставного блока — 24 мм.

Кораконд: 1) длина кости — са 66 мм, 2) наибольшая верхняя ширина — 16,8 мм, 3) наименьшая ширина посередине — 9,1 мм.

Тибіотарзальная левая: 1) ширина нижнего кондилюса — 16,1 мм. 2) наименьшая ширина диафиза — 8 мм.

Плюсна правая: 1) ширина верхнего конца — 18 мм, 2) наименьшая ширина диафиза — 7,8 мм.

На территории СССР домашние гуси констатированы в ряде археологических памятников. Так, М. А. Воижевский (1958) указывает домашнего и дикого гуся для античных культурных слоев греческой Ольвии на р. Южный Буг. Здесь отмечается в слоях догетской эпохи (VI—I вв. до н. эры) 26 костей дикого и 11 костей домашнего гуся, в слоях послегетской эпохи (I—IV вв. н. эры) 9 костей дикого и 5 костей домашнего гуся. Домашний гусь найден в античных слоях Пантикапей в Керчи (Бурчак-Абрамович Н. И., 1963). Таттар А. В. (1962) в списке птиц Кобяковского городища на правом берегу р. Дона вблизи г. Ростова на Дону в культурных слоях первых веков н. эры помещает и гуся (по-видимому домашнего). Домашнего и дикого гуся найдено в

ряде крымских городищ начала нашей эры (скифские слои) — Южно-Донгузлавском, Гермонассе, в античных слоях начала н. эры Танаиса на р. Дону (Н. И. Бурчак-Абрамович, В. И. Цалкин, рукопись). Домашний и дикий гуси встречены в материалах археологических раскопок древнего Мингечаура в Западном Азербайджане в культурных слоях разного возраста. (Н. И. Бурчак-Абрамович, рукопись). Интересно то, что в культурных слоях Самтавро (Мухета) довольно многочисленны кости домашних кур, но ни одной косточки гуся. В более поздних культурных слоях домашний гусь отмечен для средневекового Саркела на р. Дон (IX—XII вв. н. эры) по данным М. А. Войцетвенского (1960). Домашний гусь описывается С. К. Далем (1952) из древнего г. Двина в Армении (VII—XII вв. н. э.). Гусь (по-видимому домашний) отмечен Н. В. Верещагиным (1959) в кухонных слоях IX—XIII вв. н. эры дворца Ширваншахов в г. Баку. Кости гусей (домашних и вероятно диких) найдены при археологических раскопках в средневековом Оран-Кала и г. Чухур-Кабала (Н. И. Бурчак-Абрамович, рукопись) в Азербайджане. Домашний и дикий гуси описываются из средневекового городища г. Волковыска в Западной Белоруссии — слои X—XIV вв. н. эры (Бурчак-Абрамович Н. И., Зверуго Я. Г., 1969). Домашнего гуся разводили вместе с домашней курицей в Московском Кремле — слои XI—XV вв. н. эры на территории теремов (Н. И. Бурчак-Абрамович, В. И. Цалкин, 1969). Перечень находок костей домашних и диких гусей в культурных слоях античного, средневекового и более поздних времен, можно было бы еще продолжить, но и этого достаточно для того, чтобы показать бытование в те времена в домашнем хозяйстве древнего населения домашних гусей вместе с домашней курицей. Остается неясным вопрос первого появления на территории Грузии одомашненного гуся. С целью выяснения данной интересной хозяйственно-культурной проблемы необходимо обратить внимание на изучение костей птиц из более древних культурных слоев — неолита, энеолита и бронзы. Вопрос осложняется еще и тем, что кости диких и домашних гусей, особенно более древних примитивных пород одомашненных гусей, между собой трудно различимы, иногда вовсе неразличимы и тогда приходится для выяснения вопроса привлекать иные косвенные доказательства, что далеко не всегда достоверно.

ЛИТЕРАТУРА

- Боголюбский С. Н. 1959. Происхождение и преобразование домашних животных. «Советская наука». М.
- Бурчак-Абрамович Н. И. 1963. К изучению птиц античной эпохи Боспорского царства. Сб. «Орнитология». Вып. 5. сс. 438—440. М. МГУ.
- Бурчак-Абрамович, Цалкин В. И. 1969. Птицы из археологических раскопок в Московском Кремле. Бюл. Моск. о-ва испыт. природы, отд. биологии, т. XXIV(6), сс. 49—53.
- Бурчак-Абрамович Н. И., Зверуго Я. Г. 1969. К изучению орнитофауны древнего Волковыска. Тезисы докладов к конференции по археологии Белоруссии. Ин-т истории АН БССР. сс. 216—223. Минск.
- Верещагин Н. К. 1959. Млекопитающие Кавказа. История формирования фауны. МН СССР, АН Азерб. ССР. М.
- Войцетвенский М. А. 1958. Орнитофауна Ольві Археологічні пам'ятки, т. VII. АН УРСР. сс. 156—158.

- Вониственский М. А. 1960. Птицы степной полосы европейской части СССР. АН УССР. Киев.
- Даль С. К. 1952. Птицы из раскопок Двипа (VII—XII вв. н. э.). Труды Гос. Исторического Музея АН Арм ССР, т. IV, сс. 113—150. АН Арм ССР. Ереван.
- Келлер К. 1913. Происхождение наших домашних животных. изд. Сойкина.
- Куманов С. 1958. Птицеводство. София.
- Підоплічко І. Г. 1952. Глохо,гження свійських тварин, АН УРСР. Київ.
- Таттар А. В. 1962. Дикие и домашние животные низовьев Дона в первые века нашей эры. Археологические раскопки на Дону, Ростовский обл. Музей Краеведения. сс. 142—146. Ростов-на-Дону.
-

ვანის დიადემაების ტექნოლოგიური გამოკვლევა

ვანის ვერცხლისა და ოქროს დიადემაების ტექნოლოგიური გამოკვლევა საინტერესოა როგორც საქართველოს კულტურის ისტორიისათვის, ისე თევზის ტექნოლოგიისა და საერთოდ ტექნიკის ისტორიისათვის.

ვანის ვერცხლის დიადემაები დაზიანებულია. ისინი ფრაგმენტების სახით არიან დაცული საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში და ს. ჭანაშვიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, რაც მათი ტექნოლოგიური გამოკვლევის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

დიადემა (სურ. 56) შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან:

1. გრეხილი რკალი და 2. გრეხილი რკალის ბოლოებზე მიერთებული მხატვრულად დამუშავებული რომბული ფირფიტები, რომლებსაც ბოლოებზე აქვთ შესაკრავი კავები.

როგორც დიადემაების გრეხილი რკალების აგებულების შესწავლამ გვიჩვენა, ისინი სხვადასხვანაირი კვეთისა გვხვდება (სურ. 227), მაგრამ ყველა მათგანი საბოლოოდ ოთხშესაველიან ზრახნს ემსგავსება. შუაბრინჯაოს ხანის ზოგი დიადემა კვადრატული კვეთის ღეროს წახნაგების მხოლოდ ჩაკვერვით (ა) ან დამატებით წიბოების ფრთების სახით გაბრტყელებით (ბ) და გრეხვით მიიღებან.

სურ. 227, ა სახის კვეთი აქვს, მაგალითად, ოქროს დიადემა გრეხილ რკალს (ბრილი), რომელიც, გ. გობეჯიშვილის დათარიღებით, განეკუთვნება II ათასწლეულის დასაწყისს.

ნახ. 227, ბ სახის კვეთი აქვს ვანში 1969 წელში აღმოჩენილ ვერცხლის დიადემაზე. ამ დიადემაების რკალის ზოგიერთი ფრაგმენტის კვეთზე შეინიშნება განზრევებები, რამაც შეიძლება გვაფიქრებინოს მავთულოვან გულაზე ფურცლოვანი ფრთების არსებობა, როგორც ეს ნაჩვენებია სურ. 227, გ-ზე, მაგრამ სინამდვილეში, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, იგი შედგება ცივანაქედი შრის დროის ხანგრძლივობის გამო ატკეჩისა. როგორც ასეთი ნიმუშის სხვა ადგილის მაკროსტრუქტურაზე დაკვირვებამ და მიკროქიმიურმა ანალიზმა გვიჩვენა, იგი დამზადებულია ერთი მთლიანი კვადრატული კვეთის წნელის წახნაგების ჩაკვერვით წარმოქმნილი ფრთების ხეხვით, (ბ), რის შემდეგ წარმოებულია გრეხვა.

გრეხვა შესრულებულია შემდეგნაირად. კვერვით მიღებულ ოთხფრთიან ნამზადის ერთი ბოლო ჩამაგრებულია დამკვერში, ნამზადზე წამოცმულია ორი ნახევრისაგან შემდგარი ხის სამარჯვი „ქანჩი“ (სურ. 227, თ) სამარჯვის ბრუნვით და მისი თანდათანობით გადაადგილებით წარმოებულია ნამზადის გრეხვა,

რაც მოღუნვის შემდეგ დიადემის ოთხშესავლიანი ხრახნის მსგავსი რკალის მიღებას უზრუნველყოფს.

აღნიშნული ვერცხლის დიადემისაგან განსხვავებული აგებულების გრებილი რკალი აქვს სურ. 56-ზე ნაჩვენებ ვანში 1961 წელს აღმოჩენილ ვერცხლის დიადემას. ამ დიადემის ყველაზე მცირე ფრაგმენტი გამოიყენეთ მაკროსკოპული, მიკროსკოპული და სპექტრალური ანალიზისათვის.

როგორც „ხრახნული“ რკალის ფრაგმენტებზე დაკვირვებით ირკვევა, იგი წარმოადგენს ცენტრში მოთავსებულ მავთულს (Ø1,5 მმ), რომლის ირგვლივ შემოკეცილი და დაკვერილია 0,25 მმ სისქის ვერცხლის ფურცლის ოთხი ფრთა (იხ. სურ 227, ვ).

სურ. 228, გ-ზე წარმოდგენილია დიადემის გრებილი ნაწილის მაკროსტრუქტურა, სადაც კარგად ჩანს ცენტრში მავთულის მდებარეობა და ერთი ფრთა ორმაგი ფურცლით. სხვა ფრთები მოტყდა მაკროზების დაშლადებისას ვერცხლის ძლიერ მყიდვე მდგომარეობის გამო.

სპექტრალური ანალიზით დადგენილ იქნა ვერცხლის დიადემის ხრახნული რკალის ნაწილების ქიმიური შედგენილობა. დიადემის ხვეულის გარე ნაწილის მთავარი შემადგენელი ელემენტებია: სტიბიუმი 0,5—2%-მდე, სპილენძი 2%-მდე, მცირე რაოდენობის კალა, დანარჩენი ვერცხლია. დიადემის ხვეულის გულის შედგენილობა ისეთივეა, როგორც გარე ნაწილისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი სპილენძს რამდენიმე %-ით მეტს შეიცავს. მიკროქიმიური ანალიზით გაირკვა, რომ გული შეიცავს 18,66% სპილენძს, ფრთები კი 2,5%. გულის შედგენილობაში სპილენძის გადიდებული რაოდენობა შემთხვევითი არ არის, იგი ოსტატის მიერ გააზრებულია ხვეულის სიმტკიცისა და დრეკადობის გასაადიდებლად, რაც შეეხება კალის არსებობას, როგორც გულის მავთულში, ასევე გარე ფურცლებზე, მიგვითითებს რომ გამოყენებულია უმნიშვნელო რაოდენობით კალის შემცველი საჩილი. აქ. რჩილვა შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ ფრთების შემოკეცივისას რამდენიმე ადგილას შეჭიდებისათვის, შემდეგ ნაწილები ძირითადად შეერთებულია ფრთის ფურცლების ერთი მეორეზე და გულაზე კვერვით. გულისა და გარე ნაწილის მიკროსტრუქტურები (სურ. 228, ა და ბ) დამახასიათებელია წნევით დამუშავებული ვერცხლის შენადნობისათვის.

ამგვარად, 3—61 დიადემის ვერცხლის ხვეულის მისაღებად, წინა დიადემებისაგან განსხვავებით, დამზადებულია ვერცხლის შენადნობის მავთული, გამოკვერილია განსხვავებული შედგენილობის 0,25 მმ სისქის ფურცელი, რომლისგანაც კვერვით შემოკეცილია რკალის ოთხი ფრთა (ხეი), სურ. 227, გ-ს მიხედვით, შემდეგ მიღებულ ნაშადის გრებზე შესრულებულია ზემოთ აღწერილი მიმდევრობით — სამარჯვი ქანჩის საშუალებით (სურ. 227, თ).

ვერცხლის დიადემები აღმოჩენილია აგრეთვე საქართველოს სხვა აგილებში (მგალითად, არქეოლოგ გ. გობეჯიშვილია 5-მდე დიადემა აქვს აღმოჩენილი, რომელთა ტექნოლოგიური გამოკვლევა გრძელდება. მათი შესწავლა ვფიქრობთ გამოავლენს დიადემების გრებილი რკალების დამზადების სხვა ხერხებს.

ვერცხლის დიადემის რომელი ფირფიტების სისქე 0,4—0,5 მმ უდრის. ისინი მიღებულია სხმული ნაშადის კვერვით. ეს ფირფიტები გრებილი რკალის ბოლოებთან კვერვით არის შეერთებული; ხოლო ზოგიერთი მათგანი დასაშვებია წარმოადგენს ღეროსთან ერთ მთლიანს. რომებულ ფირფიტას მეორე მხარეს აქვს ღეროვანი წანაზარდი, რომელიც ადრე ალბათ შესაკრავი კავის

მოვალეობას ასრულებდა, ისე როგორც ოქროს დიადემებზეა შემონახული. ასე თვე კაკიანი ღერო უნდა ჰქონოდა მეორე რომბულ ფირფიტას.

რომბული ფირფიტები დიადემის მთავარ შემამკობელ ნაწილებს წარმოადგენენ, რის გამოც მათ მხატვრულ დამუშავებას ყოველთვის მთავარი ყურადღება ექცევა. სურ. 229 და 229,ა-ზე წარმოდგენილია ერთ-ერთი რომბული ფირფიტის წინა და უკანა მხარე, საიდანაც ჩანს, რომ პოზიტიურ გამოსახულებას შესაბამება მისი ნეგატიური გამოსახულება, თხელ ფურცელზე ასეთი სახის გამოსახულება შეიძლება მიღებული იქნას ტვიფრით ან თევით.

გამოსახულება რომბულ ფირფიტებზე ტეიფრით რომ ყოფილიყო მიღებული, მაშინ ორივე ფირფიტაზე ზუსტად ერთნაირი გამოსახულება უნდა ყოფილიყო. ამის გარდა, გამოსახულებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგი მიღებულია იარაღის ორი მხრიდან მიყენებით (გამოსახულების ძირითადი ნაწილი მიღებულია უკანა მხრიდან, ხოლო ცენტრალური უწყვეტი კონტურები და ზოგიერთი წერტილოვანი კონტური მიღებულია გამოსახულების წინა მხრიდან), რაც ტეიფრით დამზადების შემთხვევაში მოითხოვს ორი ნახევრისაგან შედგენილ რთულ ტეიფრს და საკმაოდ დიდი სიმძლავრის წნეხს, ეს კი იმ პერიოდისათვის შეუძლებელი არ არის.

მაშასადამე, დარჩა მხოლოდ ერთი შესაძლებლობა, რომ რომბული ფირფიტები მხატვრულად დამუშავებულია თევვის ტექნოლოგიური პროცესის გამოყენებით.

როგორც თევვის ტექნოლოგიური პროცესების გამოკვლევამ გვიჩვენა, თევა შეიძლება იყოს რბილი (ანუ რბილ საღებზე) ან მაგარი (ანუ მაგარ საღებზე)¹. ამ შემთხვევაში ნათევი გამოსახულება დამახასიათებელია რბილი თევვისათვის, რბილი თევვის პროცესი წარმოებულია შემდეგი თანმიმდევრობით:

1. წინასწარ გამოჭრილი რომბული ვერცხლის ფირფიტის იმ მხარეზე, რომელიც განკუთვნილია წინა მხარედ, გამოხაზულია მისაღები გამოსახულების მსახლვრელი კონტურები და მონიშნულია საკაწრელი თეგით.

2. რომბული ფირფიტა გადაკრულია ფისოვან მასაზე ე. წ. მურაცხზე (წარმოადგენს ფისას, ნაცრისა და სანთლის ნარევის) და სასრიალო თევით² შესრულებულია ჩარჩოს წყვილპარალელური კონტურები და ცენტრალური 8 კონტური.

3. ფირფიტა მურაცხიდან ამძვრალია, გასუფთავებულია და დაკრულია მასზე ხელახლა გამოსახულების წინა მხრით, რის შემდეგ მიღებულია:

ა. ჩარჩოს წინა წყვილპარალელურ კონტურებს შორის ბლაგვთავა თევით ($a=1,5$ მმ $b=2$ მმ), ცერცოვანთავა თევის ორმაგი ანაბეჭდების წყვეტილი კონტური;

ბ. ორი ნახევარსფერული ამობურცვა რომბის მცირე დიაგონალზე სფერულთავა თევით ($d=8$ მმ);

გ. ნახევარსფერული ამობურცვების გარშემო მრგვალთავწყვეტილი წრიული კონტური მრგვალთავა თევით ($d=8$ მმ);

დ. დიდ დიაგონალზე მრგვალთავწყვეტილი კონტური მრგვალთავა თევით ($d=3$ მმ);

ე. დიდი დიაგონალის ორივე მხარეს, ოთხმაგ-სასრიალო სწორხაზოვანი

¹ ა. ანდრიაშვილი, თეგური ხელოვნების ტექნოლოგია, „მეცნიერება და ტექნიკა“, № 5, 1970 წ.

² ა. ანდრიაშვილი, სათევი იარაღები, „მეცნიერება და ტექნიკა“, № 8, 1970 წ.

კონტურის შუა ადგილებში ორმაგი ანაბეჭდების წყვეტილი კონტური ბლაგვ-
თავა თევით ($a=1,5$ მმ; $b=2$ მმ);

4. ოთხი ულვაშისებრი რელიეფის ამოყვანა გამკვლევი თევებით³.

5. ფირფიტა მურაცხიდან ამძვრალია, გასუფთავებულია, დაკრულია უკა-
ნა ზედაპირით და წინა მხრიდან შესრულებულია:

ა. ორი მრგვალთავეწვეტილი წრიული კონტური, რომლის მცირე დიაგო-
ნალზე ნახევარსფერულ ამობურცვასა და უკანა მრგვალთავეწვეტილ წრიულ
კონტურს შორის, მრგვალთავე თევით ($d=1$ მმ);

ბ. წერტილოვანწვეტილი კონტური ულვაშისებრი რელიეფების თავის
ირგვლოვ ნემსა თევით ($d=0,3$ მმ). თევური ნაქეთობის საბოლოო პროცესს
ჩვეულებრივ, ტონირება წარმოადგენს. ვერცხლის დიადემას ამჟამად ისეთი ფე-
რი აქვს, როგორც სურ. 56-ზეა წარმოდგენილი. იგი შეიძლება მიეჩინოთ სა-
უკუნეთა მანძილზე გარემო პირობების (გოგირდწყალბადის) მოქმედების შე-
დეგად, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ დროისათვის ჩვენმა წინაპრებმა უკვე იცოდნენ
ხელოვნური ტონირებაც. ცნობილია, რომ ახლა მკვლევართა მეტი ნაწილი
არქეოლოგიურ ნივთებზე პატინას ხელოვნურად სთვლის. თუ ჩვენს დიადე-
მაზე ამ აზრს გავავრცელებთ, მაშინ დიადემისათვის საბოლოოდ სიძველის ფე-
რი უნდა მიეცათ, გოგირდისა და პოტაშის ნაღობის წყალხსნარის საშუალებ-
ებით⁴.

ოქროს დიადემა, აღმოჩენილი 1961 წ. (სურ. 37), წარმოადგენს
ოთხშესავლიან გრებილ რკალს, მიერთებულს ორკავიან რომბულ ფირფიტებ-
თან, რომლებზეც ამოყვანილია ლომებისა და ტახტების რელიეფური გამოთა-
ხულებები.

ოთხშესავლიანი ხრახნის მსგავსი რკალის კვეთის ზომა 10 მმ უდრის. გრე-
ხილი რკალის თითოეული „ძაფი“ ოქროს ლენტს წარმოადგენს, რომლის სიგა-
ნე 5 მმ უდრის, სისქე 0,6 მმ, ხოლო „ხრახნის“ ბიჯი $t=40$ მმ.

უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა გაირკვეს საკვლევი ოქროს დიადემის
ხრახნული რკალის აგებულება. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ რკალის თითო-
ეული გრებილი ხვია ფურცლის ვიწრო ზოლს წარმოადგენს. ასეთი ოთხი ზო-
ლი ერთიმეორესთან შეიძლება მიყენებულ იქნას მარტივი ხის სამარჯვის (სურ.
227, ბ) საშუალებით, რის შემდეგ ოთხივე კუთხიდან წარმოებულა რჩილვის
პროცესი.

ამ პერიოდში ჩვენმა წინაპრებმა უკვე იციან ოქროს რჩილვის შემდეგი
მეთოდები: 1. გამდნარ გოგირდში ამოვლებული ოქროს თხელი ფურცლის ნა-
წიბურების ერთიმეორეზე მოთავსებით დაგახურებით⁵; 2. ოქროს აშლგამის
საშუალებით; 3. ოქროს სარჩილის გამოყენებით.

გოგირდის გამოყენებით უნდა იყოს მირჩილული ჭერ კიდევ თრიალეთის
IV ყორღანიდან ოქროს თხელფურცლოვანი მილაკები. ამ მეთოდის არსი შემ-
დეგში მდგომარეობს: ოქროს ფურცლებს რჩილვისათვის ათავსებდნენ გამ-
დნარ გოგირდში, მათ ზედაპირზე წარმოიქმნებოდა გოგირდოვანი ოქრო. ამ

³ ფ. თაქაძე, ი. ანდრიაშვილი, ქართული ჰელდური ხელ. ტექ. პროცესი, განათ-
ლება, 1967.

⁴ А. Г. Спасский. Технологии цветных металлов и сплавов. М., 1947.

⁵ ფ. თაქაძე, ი. ანდრიაშვილი, ქართული ჰელდური ხელოვნების ტექნოლოგიური
პროცესი, განათლება, თბ. 1967, გვ. 71.

ფურცლებს ერთიმეორეს შეახებდნენ და ახურებდნენ, გოგირდი გამოეცლებოდა SO_2 -ის წარმოქმნით, რჩებოდა იონიზებული ოქრო, რომელიც ფურცლის ზედაპირებში ინტენსიურად დიფუზირდებოდა. ამ მეთოდით რჩილვა შედარებით ნაკლები სიმტკიცით ხასიათდება და ამიტომ მისი გამოყენების შესაძლებლობა ოქროს დიადემის რკალური ხვიის შემთხვევაში ნაკლებ საყარაუდოა. ჩვენს შემთხვევაში, რჩილვის შემდეგ, ზრახნული რკალის დაგრძობვა ხდება, რის გამოც, დაშლის თავიდან ასაცილებლად, რჩილვა დიდი სიმტკიცით უნდა ხდებოდეს.

ოქროს ამაღავით რჩილვის მეთოდი ქართულ ოქრომქედლობაში შენიშნულია გრეხილ-მარცვლოვანი სამუშაოებისათვის, ხოლო უფრო გვიან—ტხარაინი მინანქრების წარმოებაში. ოქროს ამაღავით რჩილვის მეთოდი ჩვენი აზრით, გამოყენებულია, თრიალეთის ოქროს მძივის, ბედენის ოქროს საკინძის დამზადებისას, რომლებიც ძვ. წ. ა. II ათასწლეულის I ნახ. მიეკუთვნებიან. ამ მეთოდის ნაკლს (გარდა იმისა რომ მავნეა) აგრეთვე მცირე სიმტკიცე წარმოადგენს.

უფრო მოსალოდნელია, რომ ოქროს დიადემების რჩილვისას გამოყენებულია მაგარი რჩილვა—ოქროს სარჩილავის გამოყენებით.

როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა, ქართველი ოსტატები ოქროსა და ვერცხლის მაგარ რჩილვას უძველესი დროიდან მიმართავდნენ. დამტკიცებულია, რომ მაგარი რჩილვისათვის საჭირო ტემპერატურას სარჩილავი მილაკი უზრუნველყოფდა.⁶

ამრიგად, საკვლევი ოქროს დიადემის ხრახნული რკალი შედგენილია ოთხი ოქროს ფირფიტის მიდგმით, მათი მაგარი რჩილვით, რის შემდეგ მისი კუთხეები გულდასმითაა ჩაკვერილი; ზოგ ადგილას, ალბათ, სადაც სარჩილისაგან არ იყო დაფარული ნაწიბურები, ჩაფენილია თხელი ფურცლის ვიწრო ზოლი, რჩილვისა და კუთხეების ცივი კვერვის შემდეგ, ხდებოდა მისი ჩაკვერვა.

ხრახნული რკალის ორი ფირფიტის (თითოს გამოშვებით) ზედა წიბოები ბრტყელთავე თევითაა დაკბილული, რაც მას ლამაზ შეხედულებას აძლევს.

როგორც ექსპერიმენტმა აჩვენა, ზოლებისაგან რჩილვით შედგენილი ნამზადის გრეხვა დამაკმაყოფილებლად წარმოებს. მაგალითისათვის მოვიყვანთ ოქროს ერთ-ერთი დიადემის „პირს“, რომელიც ამჟამად გამოფენილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და რომლის ოთხშესავლიანი „ხრახნული“ რკალი დამზადებულია სპილენძის ოთხი ლენტის მირჩილვით და შემდეგ ზემოთ აღწერილი მეთოდით გრეხვით, ოქრო სპილენძზე უფრო პლასტიკურია, რაც გრეხვისათვის უკეთეს პირობებს ქმნის.

ხრახნული რკალის ბოლოები მირჩილულია რომბულ ოქროს ფირფიტებთან. რომელთა სისქე 0,4 მმ უდრის, რჩილვის კვალი კარგად შეინიშნება; ოქროს ფირფიტის კაუქთან ღეროსთან მირჩილვის კვალიც ასევე კარგად შეინიშნება.

რომბულ ფირფიტას დიდ დიაგონალზე აქვს შესქელება. მისი სიგანე უდრის 5 მმ, ხოლო ფირფიტიდან ამოწევა ანუ სისქე 1,5 მმ. იგი რელიეფური და წიბოებდაკდეულია. ეს შესქელება მიღებულია რომბული ფირფიტის კვერვით დამზადების დროს გრძივი ღარების თევვის, ხეწვისა და ხეხვის საშუალებით.

⁶ А. В. Флерова. Технология художественной обработки
шпола, стр. 247.

ფირფიტა (სურ. 230, ა და ბ) როგორც აღენიშნეთ, გამოკვერილია კაქან ლეროსთან ერთად. კაქიან ლეროზე ნაკდვეი წრიული რგოლებია, აღსანიშნავია, რომ ლეროს შიდა ანუ შებლისაკენ მიქცეულ ზედაპირზე კაქი არ არის დაქდვეული, იგი გლუვია, რაც სრულიად გასაგებია, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე. კაქიან ლეროზე ქდვეა უფრო მოხერხებული იქნებოდა შესრულებულიყო ფირფიტების ხრახნული რკალის ბოლოებთან მიჩილვაპვლ. ხოლო რაც შეეხება თვით ქდვეის პროცესს, იგი შეიძლება შესრულებულიყო როგორც ქრეთით, ისე თეგვით. კაქის ქდვეულ ზედაპირზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ წრიული ნაკდვეები შესრულებულია ზედაპირული თეგვით. ხოლო დახრილ ზედაპირზე მსახველის გასწვრივი ღარები — საქრეთელის საშუალებით.

კაქიან რომბულ ფირფიტაზე გამოსახულება, რომელიც წარმოადგენს ჩარჩოში ჩამოვლ ლომებისა და ტახის კომპოზიციას. შესრულებულია ხრახნულ რკალთან მიჩილვაპვლ.

ფირფიტაზე გამოსახულება შეიძლება მიღებულიყო ტვიფრვით, ქრეთით ან თეგვით.

გამოსახულება ტვიფრვით არ უნდა იყოს მიღებული იმიტომ, რომ ერთი მხრივ გამოსახულება მკვეთრია და მეორე მხრივ რელიეფის ორივე მხარეს შეინიშნება იარაღის კვალი, რაც ტვიფრვისათვის არაა დამახასიათებელი.

გამოსახულება ქრეთითაც არაა მიღებული, რადგან ასეთ შემთხვევაში გამოსახულების უკანა მხრიდან არ უნდა იყოს იარაღის შესაბამისი კვალი, რაც ჩვენს შემთხვევაში კარგად შეინიშნება.

დარჩა ერთადერთი მოსაზრება, რომ თხელ ფურცელზე გამოსახულება მიღებულია თეგვის პროცესის საშუალებით შემდეგი თანმიმდევრობით:

ფირფიტის წინა მხრიდან გამოხაზულია მისაღები გამოსახულების მსახდრეელი კონტურები და მთავარი ელემენტები (გამოსახულებაზე წარმოდგენილია ორი ლომი, რომელთაგან ერთს, შუაში მდგომ ტახის ფეხისათვის პირი უტაცია, ხოლო მეორე ლომი ტახს თავთან უდგია). გამოქსატულების კონტურებზე სასრიალო საკონტურე თეგვით მიღებულია წინა უწყვეტი ნათევი კონტურები, რომელთა კვალი უკანა მხრიდან კარგად ჩნდება ამობურცული კონტურის სახით. ასევე სასრიალო და საცემი თეგვებით დაჩნეულია სხვა ელემენტები (ლომებისა და ტახის თავის დეტალები და სხვა). შემდეგ გადაბრუნებულია ფურცელი, მოთავსებულია მაგარ სადებზე წინა ზედაპირით, და უკანა მხრიდან, ამობურცული ნათევი კონტურის გაყოლებით, შიდა მხარეს იგივე სასრიალო თეგვით შემოვლებულია ისეთივე კონტური. შემდეგ ფურცელი მოთავსებულია რბილ სადებზე — ფისოვან მასაზე სარელიეფე თეგვებით მიღებულია გამოსახულების საჭირო რელიეფი. უკანა მხრიდანაა ნათევი ავრეთვე ფეხების, კუდებისა და სხვა დეტალები, რომლებშიც კარგად შეიმჩნევა თეგვის ნაკვალები.

შემდეგ ფურცელი გადაბრუნებულია ფისოვან მასაზე (მურაცხზე) და წინა მხრიდან თეგვით დახუსტებულია ლომებისა და ტახების თავის დეტალები; თვალეები, პირი ნეკნები და ტახის სხვა ელემენტები.

საბოლოოდ, დამუშავებულია გამოსახულებათა ფაქტურები წინა მხრიდან, ფაქტურები დამუშავებულია ორი სჯის თეგვით: ბრტყელთავა № 1 თეგვი, რომლის საშუალებით: მიღებულია ბრტყელთავწყობილი ფაქტურა და სასრიალო საკონტურე თეგი — მოკლე მრუდხაზოვანი კონტურებისათვის.

ლიადემის რომბული ფირფიტების ჩარჩოები წარმოადგენს წინა წყვილ პარალელურ სასრიალო უწყვეტ კონტურებს შორის ბრტყელგანივ მაგარ ნათეგ კდეებს (სიგანით 1,5 მმ), რაც ნათლად ჩანს ფურცლის უკანა მხარეს არსებული თეგის ნაკვალევით. ჩარჩოს თეგვა შესრულებულია შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ წინა მხრიდან შემოხაზულია სასრიალო თეგით ორი პარალელური კონტური, ფირფიტის ნაპირიდან პირველი კონტურის 2,5 მმ დაშორებით და მეორე კონტური პირველიდან ასევე 2,5 მმ-ის დაშორებით. გატარებულ კონტურების გასწვრივ ბრტყელი საცემი თეგით მოთეგილია გრძივი კონტურები, რის შემდეგ ამ კონტურებს შორის განივი ხაზაკებია მიღებული, ბრტყელთავა საცემი თეგის განივი გადაადგილების საშუალებით.

ნათეგი, რომბული ფირფიტები ხრახნულ რკალთან მიერთებულია რჩილვაკვერვის საშუალებით, რაც ჩანს ამ ადგილებში კვერვის კვლების არსებობით. საჩრიალის ქიშურა შედგენილობის დადგენა ვერ მოხერხდა ნოეთის უნიკალობის გამო.

ოქროს ღიადმა, აღმოჩენილი 1969 წ. ლომების, ხარისა და ქურციკის გამოსახულებით: ტექნიკური შესრულების მიხედვით, ზემოთ განხილული ღიადემის მსგავსია, მაგრამ შეინიშნება განმასხვავებელი ნიშნებიც, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

1. გრეხილი რკალის კვეთის ზომები ამ ღიადემისა წინასთან შედარებით უფრო ნაკლებია (ღიადემი უდრის 8 მმ, ხოლო ერთი ხეის ბიჯი: = 32 მმ).
2. ოთხივე ზოლის წიბოები დაუკბილავია, ე. ი. სრულიად არაა ნათეგი.
3. გრეხილი რკალი, ჩვენის აზრით, შედგენილია არა ოთხი ლენტის მირჩილვით, არამედ წინასწარ დამზადებული ორი კუთხოვანის მირჩილვით — ორი მხრიდან (იხ. სურ. 225-ე და ე) და მათი ოთხივე კუთხის ხაზზე კვერვით.
4. კაუჭიან ღეროებზე წრიულ ნათეგ რგოლებთან ერთად არის ოთხი ორმხრივდაქანებული კონუსური ზედაპირი, დაღარული საპრეტელების საშუალებით.

5. ღიადემის ჩარჩო, წინასაგან განსხვავებით, წარმოადგენს სამმაგ წინიდან ნაკრეთ კონტურს, რომელთა პირველ და მეორე კონტურებს შორის განივნათეგი შტრიხებია შესრულებული სპეციალური თეგით.

ამ გვარად, ღიადემები ვანის ადრენტიკური ხანის სამარხებიდან წარმოადგენენ ჰედური ხელოვნების ერთ-ერთი დარგის თეგური ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს, რომელთა დამზადებისას გარდა თეგვისა გამოყენებულია შემდეგი პროცესები: სხმული ნამზადის თავისუფალი ჰედვა, ტკეცვა, რჩილვა, კვერვა, გრეხა და ტონირება. საკელი, საკვერი, სატკეცი და საპრეთი იარაღების გარდა გამოყენებულია თეგვის შემდეგი იარაღები: სასრიალო ნემსა და დანისებრი თეგები, ბრტყელთავა საკონტურე, მახვილთავა საკონტურე, მრგვალთავა, სფერულთავა, რკალურთავა და წრიულ საკონტურე საცემი თეგები, ოქროს ღიადემებზე შესრულებული ნათეგი გამოსახულებები მალალმხატვრული გემოვნებით ხასიათდებიან, რაც მიღწეულია თეგვის ტექნიკური ხერხებისა და იარაღების სრულყოფილობის შედეგად.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდში თეგური ხელოვნებასთან დაკავშირებულ ყველა ზემოთ მოხსენებულ სამუშაოებს ერთი ოსტატი ასრულებდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, როგორც ამ პერიოდის, ისე ანტიკური და ადრენტიკური პერიოდების ლითონების მხატვრული დამუშავების დონეს და მას-

ტაბებს საქართველოში, არ არის გამოცხადებული, რომ ეს სამუშაოები განაწილებული ყოფილიყო დასკვნულ ოსტატებზე.

И. А. АНДРИАШВИЛИ

ТЕХНОЛОГИЧЕСКОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ВАНСКИХ ДИАДЕМ

Резюме

Технологическое исследование диадем из Вани представляет большой интерес не только для истории Грузии, но и для раскрытия технологии древнегрузинской чеканки.

Диадемы из Вани состоят из двух основных частей: витой дуги и ромбических пластинок с крючками для сцепления.

Витые дуги сделаны как из цельного стержня, так и составлены при помощи чеканки и пайки. После получения заготовки для винтообразной дуги производили их кручение с применением гайкообразного приспособления. Отдельно производили изготовление ромбических пластинок и их художественную обработку процессами чеканки и гравировки. После производили их соединение с концами винтового дуга с чеканкой.

Как выяснилось, диадемы из Вани являются образцами чеканного искусства Грузии ранне-античного периода, при изготовлении которых, кроме чеканки использованы следующие процессы: свободная ковка литой заготовки, выбивание листа, выколodka, пайка, кручение, гравирование и тонирование.

Во время изготовления ванских золотых и серебряных диадем, кроме инструментов дляковки, выколдки и гравирования применены следующие виды чеканов: скользящие — игольчатые и ножкообразные, плоские контурные, контурные с острой головкой, круглые, сферические, дугообразные — ударные.

Чеканные изображения на золотых диадемах выполнены с высокохудожественным вкусом. Это наглядно показывает, что мастера этого времени в совершенстве владели техническими приемами чеканки и имели необходимые инструменты для чеканки.

Надо полагать, что в этом периоде все вышеизложенные процессы чеканного искусства выполнялись одним мастером, но предусматривая уровень и масштаб художественной обработки металлов как античного, так и до античного времени в Грузии, не исключено, что эти процессы выполнялись отдельными мастерами.

ABOUT THE BOOK...

In the interior of western Georgia, in the territory of ancient Colchis, there is a small town bearing the old Georgian name of Vani. It is situated in the picturesque valley of the Sulori — the left-side tributary of the Colchian river Phasis (present Rioni) famous in antiquity. It is about 100 km from the sea coast (24 km south-east of the railway junction Samtredia).

In the western outskirts of the town, where it is hilly, ancient adobe walls and remains of stone buildings stick out in every courtyard and along the country road; traces of a conflagration are also clearly visible. While digging, the inhabitants not infrequently found ancient burials containing gold and silver ornaments.

